

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ა. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

იოსებ ფლავიოსი

# მოთხრობანი იუდაებრივისა კუელსიჭყუაობისანი

II

ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად  
მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო  
ნ ი ნ ლ შ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ შ ა



თბილისი  
„მეცნიერება“  
1988

ნაშრომით შთაერდება I ს-ის ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის თხზულების, „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი“ დღემდე გამოუქვეყნებელი ძველი ქართული თარგმანის პუბლიკაცია. I ნაკვეთი, რომელიც მოიცავს გამოკვლევასა და ტექსტის ნაწილს, გამოცემა 1987 წელს.

იოსებ ფლავიოსის ისტორიული თხზულების ქართულ ენაზე თარგმნა არის გამოხმაურება იმ დიდი დაინტერესებისა ანტიკურობით, რომელიც განსაკუთრებით გაღრმავდა XII ს-ის საქართველოში. ეს ძველი წარმოადგენს XII ს-ის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის საინტერესო ნიმუშს. იგი მნიშვნელოვანი წყაროა იმ ეპოქის ქართული ენისა და ქართული სოციალური ტერმინოლოგიის შესასწავლად.

წინამდებარე ნაკვეთი შეიცავს თარგმანის უკანასკნელი რვა წიგნის (VIII—XV) კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, ლექსიკონს, საკუთარ და ეთნიკურ სახელთა საძიებელს. ლექსიკონი ასახავს ძველი ქართული ენის ლექსიკური ფონდის სიმდიდრეს. დადგენილია ცალკეული ლექსიკური ერთეულების პირველი და მნიშვნელობებისაგან განსხვავებული მნიშვნელობები. საკუთარ და ეთნიკურ სახელთა კომენტარებულ საძიებელში, რომელიც მოიცავს 2600-მდე ერთეულს, თავმოყრილია ცნობები შრავალი ისტორიული პირის თუ გეოგრაფიული პუნქტისა და ეთნიკური სახელის შესახებ.

რედაქტორი პროფ. მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე

რეცენზენტები: ფილ. მეცნ. დოქტორი ე. გაბიძაშვილი  
ფილ. მეცნ. დოქტორი გ. ნინუა



## ბექსტინსათვის

გამოცემას საფუძვლად დაედო XIII ს-ის ხელნაწერი A 675 (თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ლიტერი A). გათვალისწინებულია XVI და XIX სს-ების ნუსხების, ქუთაის 10-ისა და S 315—321-ის ჩვენებები (ლიტერები Q და S), აგრეთვე დავით დადიანის ნარედაქციევი S-ის მონაცემები (ლიტ. D). თხზულების ქართული თარგმანი, წარმოდგენილი სხვადასხვა ნუსხებში, ერთი რედაქციისაა. სხვაობები ნუსხებს შორის ვარიანტებში არ გაგვაქვს. Q, S და D-ს ჩვენებებს წარმოვადგენთ მაშინ, როდესაც A 675 ბერძნული დედნისაგან განსხვავებულ წაკითხვას გვთავაზობს ან მასში დაშვებულია რაიმე შეცდომა. როცა სქოლიოში ჩამოტანილია ძირითად ტექსტში გასწორებული რომელიმე ფონეტიკური ფორმა, იგულისხმება ყოველთვის A ხელნაწერი. სხვა სახის გასწორებისას სქოლიოში გასწორებულ ფორმასთან ვუთითებთ ხელნაწერის ინდექსსაც. თუ ასეთი მითითება არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმა გასწორდა სამსავე (AQS) ხელნაწერში. ძირითად ტექსტში საკუთარ სახელებში ბერძნული ს-ს შესატყვისად იხმარება ვ. ასეთი ფორმები ტექსტში დავტოვეთ გასწორების გარეშე.

სქოლიო სამი სახისაა: 1. დანომრილი, რომელშიც ჩატანილია ძირითადი ტექსტის შესწორებები; 2. ვარსკვლავიანი (\*), რომელშიც განმარტებულია გაუგებარი თუ უთარგმნელად გადმოტანილი ადგილები ბერძნული დედნის შესატყვისის მონაკვეთის ნოტანით. ამავე ვარსკვლავით მითითებულია ტექსტში გამოყენებული ბიბლიის მონაკვეთები; 3. სქოლიოში O ნიშნით გატანილი გვაქვს ხელნაწერის აშიებზე გაკეთებული მინაწერები.

ტექსტი ხელნაწერშივე არის დაყოფილი წიგნებად. თავებად და პარაგრაფებად კი ჩვენ დავყავით ბერძნულ გამოცემაზე დაყრდნობით (ვსარგებლობთ შემდეგ გამოცნით: Josephus, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A. Ralph Marcus, PhD., Lois Feldman. In nine volumes. Jewish Antiquities, IV—IX, London, MCM LXI—MCMLXVI).

მსენი არიან მიწმისა შინა იოსიკოძს მონხრობათასა  
ოუღამბრივისა სიტუადასაგამოგისასა

- 1) ვითარმედ სოლომონ, მეფობისა შიმღებელჳან, მტერნი მოსრნა.
  - 2) სიბრძნისათჳს მისისა და გონიერებისა მისისა და სიმღიდრისა.
  - 3) ვითარმედ აჴან იეროსოლჳმათა შინაჲ ტაძარი აღაშენა.
  - 4) ვითარმედ აღსრულდა სოლომონ, ერმან, განდგომილჳან ყრმისა მისისა როგოვამოსაგან, ათთა ნათესაჳთა ქუეშ-დამორჩილებულთა მეფედ განაჩინა იეროვოაჴოს ვინმე, ხოლო ორთა ტომთა ზედა ძე მისი განმეფნა.
  - 5) ვითარ სუსაჴოს; ეგჳპტელთა მეფემან, აღმჳედრებულჳან იეროსოლჳმათა ზედა და მჳყრობელჳან ქალაქისაჴან, სიმღიდრე მისი ეგჳპტედ წარილო.
  - 6) აღმჳედრებჳა იეროვოამოსი, ისრაილიტთა მეფისაჲ, ძესა ზედა როგოვამოსასა, ავიას, და ძლეულეჳაჲ.
  - 7) ვითარმედ იეროვოამოსს ნათესაჳისა ვასინის ვინმე<sup>1</sup> სახელით განმხრწნელჳან, თჳთ მეფობაჲ იჳყრა.
  - 8) ეთიოპთა აღმჳედრებჳა იეროსოლჳმათა ზედა მეფობასა მას ზედა ასანოსს, ავიას ყრმისასა, და განხრწნაჲ მჳედრობისაჲ.
  - 9) ვითარმედ აჳესსაროსს ნათესაჳი რაჲ განიხრწნა, განმეფნა ისრაილიტთა ამარის და რე მისი, ახოსს.
  - 10) ვითარმედ ადერ, დამასჴოსსა და სჳრიაჴსა მეფე, ორგზის აღმჳედრებული ახოსს ზედა, იძლია.
  - 11) აშჳანიტთა და შოაჳიტთა იოსაფატის ზედა, იერო/სოლჳმათა მეფისა, აღმჳედრებულთა, ძლეულეჳაჲ.
  - 12) კჳალად ახაჳოსს, სჳრთა ზედა აღმჳედრებული, იძლია ბრძოლასა შინა და თჳთ იგიცა წარწყჳდა.
- მოაქუს წიგნსა ამას უამი წელთა ას სამოცდასამთაჲ.  
ოსიპოსს სიტყუჳაჲ მერვე.

07. 1

ვ 1)\* ჳაიღიდისთჳს ვიდრემე უჳუე და სათნოებისა მისისა, და რაოდენთა კენთილთა მიზეზქმნილი თანად მონათესეჳეთაჲ ბრძოლათა თანად და წყობათა რაოდენნი წარჳმართნა, დაბერებული აღსრულდა, ვითარ უპირველესსა შინა ამის წიგნისასა ცხად-ჳყაჳით. ხოლო სალომონ, ყრმაჲ მისი, მერმეცა ჳაბუჳად მყოფი და შიმღებელი მეფობისაჲ, რომელი ჳერეტი ცოცხალჳან განაჩინა იგი მჳუეფედ ერისა მცნებისაჳებრ ღმრთისა, დაჳდა რაჲ საყდარსა ზედა, ერი ყოველა ვიდრემე აქებდა, ვითარ ჳერ-არს მეფესა ზედა შმთაჳრობსა, აღსრულე-

<sup>1</sup> ვისმე (ვასინსა დაჳარცხა იეროვოამოსს ტ-ში და მეფობა ჩაჳდლო ზელში).

• III მჳჳ. 2,12.

ბად კეთილად საქმეთა მისთა და სიბერისა მიმართ პოხილისა და კეთილბედნიერისა მიწეზნად მთავრობასა.

2)\* ხოლო აღონიას, რომელმან და მამისაცა ჯერეთ სიცოცხლესა კელყო დაპყრობად მთავრობასა, მისრულმან დედისა მიმართ მეფისა, ვირსავისა, სიყუარულით მოიკითხა იგი. ხოლო მან ჰკითხა, უკუეთუ საკმარებისა რომლისათვისმე მოსრულ არს მისა მიმართ და უწყებამ უბრძანა, ვითარ მხიარულუბით მოქმედმან. და მან უკუე იწყო, ვითარმედ მეცნიერ არს ვიდრემე და იგიცა, მეფობასა ჰასაქისათვისცა და სიმრავლისა მიერ წინააღრჩევისათვის მისდად მყოფსა. ხოლო ვინაითგან გარდავიდა ესე სალომონოვს მიმართ, ძისა მისისა, ნებისაებრ ღმრთისა, შეიტკობს და შეიყუარებს მის ქუეშესა მსახურებასა და მოწვეწულთა საქმეთა ზედა მხიარულ არს. ხოლო ევედრებოდა, რათა მოურნე ექნნეს ძმისა მიმართ და არწმუნოს მიცემად მისდა ქორწინებად აქესსაკი, მამისა თანა მწოლი, რამეთუ არა მიახლებულ არს მისდა მამამ სიბერისა ძლით, არამედ მერმცა ქალწულად დადგრომილ არს. და ვირსავი უკუე შოურნეობასა მოსწრაფებით აღუთქუმიდა და ქორწილისა ქმნასა მრჩობლთაგან, ვიდრე თანად მეფისაგან ნიკებად, რასავე მნებებელისა, და თვთ მისგან, ფრიად მედრებელისა. და იგი ვიდრემე კეთილმსასოებელი<sup>1</sup> წარვიდა ქორწილისათვის. ხოლო სალომონოვს დედამან მეყუსეულად მიიძართა ძისა მიმართ, გულვებადმან ვედრებად, რომელთათვის აღონიას, მოქენესა, აღუთქუა და წინაშემცხუეულსა მისდა ყრმასა და გარემოხუეულსა ამბორს-უყო. ხოლო მან მიიყვანა იგი სახლად, სადა შეემოხუეოდა დგომამ სამეფოსა საყდარსა მისსა და, დაჯლომილმან, ბრძანა დადგამდ დედანათუს სახუსა საყდარსა მარჯუენით. და დაჯლომილმან ვირსავი — „ერთი, თქუა, ო ყრმოდ, მადლი მთხოველსა მომანიქე მე და ნურარას ძნელსა უარყოფისასა, გინა მკმუნეარებისასა, იმოქმედებ“. ხოლო სალომონ ბრძანებად უბრძანა. რამეთუ ყოველთა ჯერ-არს დედისა მინიკებად და მერმეცა აბრალებდა დასაბამად, რამეთუ სასოებისა თანა აწვე მტკიცისა მიმთხუევად ჰყოფს სიტყუათა, რომელთათუს ევედრების. და იგი, არამედ უვარყოფასა მეჰუელი, ევედრებოდა მიცემად ქალწულსა ავესსაკის ქორწინებად ძმისა აღონიასა<sup>2</sup>.

3)1\* ხოლო მეფემან, რისხვით მიმლებელმან სიტყუსამან, გარე-მიაქცია დედად, უზეშთავსთა საქმეთა გულისთქუმად მეტყუელმან აღონიასმან და საყვრველ, ვითარ არა მეფობასაცა მიტევეებისათუს ევედრების, ვითარ უპირველესისა, ქორწინებასა მისდა ავესსაკისდა მედრებელი, რომელსა აქუან მოყუარენი ძლ/იერნი, ითავოს მკედართმყვანებელი და ავითაროს, მთავარი მდღელთა. და მომწოდებელმან ვანეოვს, სხეულის-მცველთა ზედათამან, უბრძანა მას მოკუდინებად ძმისა აღონიასი. ხოლო მომწოდებელმან ავითაროვსცა მდღელთ-მთავრისამან, „სიკუდილისაგან ვიდრემე, პრქუა, გიქსნიან შენ სხუანიცა, თანად რაოდენთა დაშუერ მამისა ჩემისა თანა, და კიდობანიცა, რომელი მის თანა იტურთჳ. ხოლო ამას სასჯელსა დაესდებ შენ ზედა, დაწესებულისა აღონიას თანა და მისთვისთა მბრძნობისა: ნუცა აქა ჰმყოფობ, ნუცა სახედ-

136

<sup>1</sup> კეთილსასოებად AQD.

\* III მეფ. 2,13. <sup>2</sup> III მეფ. 2,22; 2,27. 1 ნემტ. 6,5.

<sup>3</sup> აღონიას ვერ მოუვიდა კარგა ქალწულსა ავესსაკის თხოვნა.

ველად ჩემდა შემემთხუევი, არამედ მამულად შენდა წარსრული, აგარაკთა შინა ცხორებად. და ესე ვიდრე აღსასრულადმდე გაქუნდინ ცხორებაჲ მცოდნეელსა, არაა ნერმეცა მართალ-ყოფისათჳს ღირსებასა შინა". დაიყენა ვიდრემე უკუე მღდელობითისა პატივისაგან ითამაროს სახლი პირველთქუმულისა მიზეზისათჳს, ვითარ და ავითაროასცა პაპასა წინააწარ-უთხრა ღმერთმან, ხოლო გარდაიცვალა ფინეესოას ნათესავად სადოკოსადმი. და ერისაგანად ქმნილნი ფინეესოას ნათესავისაგან, რომელსა ეამსა ითამაროას სახლად მღდელობაჲ გარდაიცვალა, ამას ილისგან მიღებითა პირველად; არიან ესენი: მღდელთ-მთავრისა იოსიპოას ძე<sup>1</sup> ვოკქიას, ხოლო ამისი — იოთამოს, იოთამოს უკუე — მარცოთეოს, ხოლო მარიოთეოსი — როფეოს და როფეოასი — აქიტოვოს, ხოლო აქიტოვოასი<sup>2</sup> — სადოკოს, რომელი პირველად<sup>3</sup> დავიდის ზე მეფისა მღდელთმთავარ იქმნა.

4)\* ხოლო იოავოს მკედართმთავარი, მსმენელი მოკლვასა აღონისსა, შე-შინებულ იქმნა, რამეთუ მოყუარე იყო შისა უფროასდა, ვიდრე სალომონოას მეფისა. და დაქირებებასა ამისგან შისა მიმართისა სიყუარულისათჳს არა უსიტყუად მექუელი, ივლტოდა სამსხუერპლოასა მიმართ და უშიშოებისა ქმნასა მკუეულობდა მისდა, ღმრთისა შიმართ მეფისა კეთილმსახურებისათჳს. ხოლო ამას მიუთხრეს რად ვიეთმე იოავოას განზრახვაჲ, წარმავლენელმან ვანეოას-მან უბრძანა აღმადგინებელსა მიყვანებაჲ სამსჯავროდ სიტყუსმგებელადსა. ხოლო იოავოს არა დატევებაჲ თქუა სამღდელოასაჲ, არამედ მუნ მოსიკუდილ-ეოფაჲ უფროასდა, ვიდრე სხუასა ადგილსა შინა. და ვანეოს უკუე სიტყუსგე-ბაჲ შისი აუწყუა მეფესა, ხოლო სალომონ ბრძანა მუნ თავისა შისისა მოკუეთთაჲ, ვითარ ჰნებაჲს, და ჰასჯელსა ამას მიღებაჲ ორთა მკედართმთავართათჳს, რომელნი უსამართლოდ მოაკუდინნა<sup>4</sup>, და დაფლვაჲ სხუელისა შისისაჲ, რადთა ნაცოდვებნი ვიდრემე არა მოაკლდენ ნათესავისა შისისაგან, ხოლო იოავოს აღსრულებიას თანად იგი და ნამად უბრალო იყვენ

და ვანეოს ვიდრემე, ბრძანებულთა მოქმედი, იგი განიჩინა მკედართმევა-ნებელად ყოვლისა ძალისა. და მხოლოჲ ყო სადოკოს<sup>5</sup> მღდელთმთავრად მღფე-მან ავითაროას ადგილსა, რომელი გარდაადგინა.

5)\* ხოლო სემეისოსს უბრძანა, სახლსა აღმაშენებელსა, დადგრომაჲ იერო-სოლჳმათა შინა, მახლობელად შისა, არა ქონებაჲ კელმწიფებისაჲ განსლვად ნარდუეესა ნაძოვანთასა<sup>2</sup>. ხოლო ურჩ-ექმნეს მას თუ, სიკუდილი იყო პატი-ვი. და სიდიდითა ქადუბნისაჲთა და ფიცთაჲ ქმნაჲ აიძულა მისდა. ხოლო სე-მეისოსს მხიარულებაჲ თქუა მათ ზედა, რომელნი უბრძანა სალომონ. და მკუეუკავი ამათისა მოქმედებისაჲ, დამტევებელი მამულისაჲ, იეროსოლჳმათა შინა მოქმედ იყო ქუეყასა. და ვინაჲთგან უკუე წარკდეს სამნი წელნი, მსმე-ნელმან ორთა მონათა, მისთა ლტოლვილთამან, გიტტის შინა ყოფისა, მიიმართა მონათა მიმართ. ხოლო ვინაჲთგან უკუე-მოიქცა მათ თანა, მცნობელი მეფე, ვითარმედ და მცნებათაჲ მისთა შეურაცხისქმნელ<sup>3</sup> იქმნა და უზეშთავისი,

<sup>1</sup> ძენი. <sup>2</sup> აქიტოვოი. <sup>3</sup> პირველად/ +სა A. <sup>4</sup> მოაკლდინა. <sup>5</sup> სადოკოს/—AQD.

რამეთუ ფიცთა ღმრთისათა არცა/ერთი ზრუნვამ-ყო, ბოროტად მქონებელ იყო და მომწოდებელმან მისმან — „არა შენ, პრეტუა, ჰფუცე არა დატევებამ ჩემი, არცა განსლვამ შენი! ოდესმე ამის ქალაქისაგან სხუადმი? არა სადმე განველტო ცრუფიცებისა სასაქელსა, არამედ და ამისთვისცა და მათთვის, რომელნი მამასა ჩემსა ავინენ ლტოვასა შინა, გტანჯო შენ, ბოროტქმნილო, რამთა სცნა, ვითარმედ შეიძენენ არცა ერთსა ბოროტნი, არა მაშინვე უსამართლოებათათვის ტანჯულნი. და ყოველსა ეჟმსა, რომელსა შინა მეჭუველ არიან უშიშოდ ყოფასა, არცა ერთსა მავნებელნი, აღმატების და იქმნების უხეშთა-ეს სასაქელი მათი, რომელი მიეცამცა მაშინვე მცოდველთა“. და სემეისოსა ვიდრემ: ბრძანებულმან ვანეოს მოაყუდინა?.

თ. 2

1)\* ხოლო აწდა, მტკიცედ მქონებელმან მეფობისამან სალომონ და მტერ-თა მტანჯველმან, მიეყვანა ფარაოთის, ეგუპტელთა მეფისა, ასული. და შემზადებელი იეროსოლჟმთა ზღუდეთამ მრავლად უდიდეს და უმტკიცეს პირველ მყოფთასა, განაგებდა საქმეთა მიერითგან მრავლითა მშუდობითა, სიჭაბუკისა მიერ არა ვნებულად სიპართლისა მიმართ და დაცვისა სჯულთამსა და ქსენებისა, რომელნი მამამან აღსრულებამან ამენო, არამედ ყოველთა მრავლისა თანა განოწულილვისა აღასრულებდა, რაოდენთა მოქმედებენ წინაწარსრულნი ეჟმთა შინა და სიბრძნისაღმი განჭაბუკებულნი. ხოლო აგრძნა, გივრონად წოდებულად<sup>1</sup> მიწვეულმან, რვალისა სამსხუერპლოსა ზედა, მოვსის მიერ შეზადებულსა, მსხუერპლვამ ღმრთისამ. და ათასნი რიცხვთ ყოვლადდასაწუველ ყვნა სამსხუერპლონი. და ამათი მოქმედი სათნო-უჩნდა ღმერთსა, დიდად პატივისმცემელი, რამეთუ გამოჩინებულმან მისდა ძილთა შინა მის ღამისათა, უბრძანა თხოვად, რომელნი ნაცვლად კეთილმსახურებისა შინც-ნეს მას ნიჭნი.

ხოლო სალომონ უკეთესნი და უდიდესნი და ღმრთისაგან მინიჭებად სახარულევანნი და კაცისა მიერ მიღებად საუმჯობესონი ითხოვნა ღმრთისაგან, რამეთუ არა ოქროსა, არცა ვეცხლსა, არცა სხუასა სიმღიდრესა, ვითარ კაცი და ჰბაბუკი, ფეგრად მიცემად მისდა, ვინაჲთგან ესენი მხოლოდ საეჭუველ არიან უმრავლესნი, უუგუნურესნი გულისკმა-იყოფებიან ღირსად მოსწრაფებისა და ღმრთისა ნიჭად ყოფად. „არამედ მომეც მე, თქუა, მეუფეო, გონებამ მრთელი და სიბრძნე კეთილი, რომელთა მიერ ვსჯიდე ერსა, ჰემმარბრთა და მართალთა მიმღებელი“. ამთ თხოვათა ზედა განიშუა ღმერთმან და სხუათაცა ყოველთა, არა მოვსენნა გამორჩევასა შინა, მიცემაჲ აღუთქუა სიმღიდრისამ, დიდებისამ, მბრძოლთა ძლევისამ და პირველ ყოველთასა გულისკმის-ყოფისა და სიბრძნისამ, ვითარი არავის სხუასა კაცთაგან აქუნდა, არცა მეფეთაგანსა, არცა მსოფლიოთასა. ხოლო დამარხვამ შეფობისამ შეილთაცა მისთათს მრავალსა ეჟმსა აღუთქუა, უკუეთუ მართლიად მყოფი დაადგრეს და მრწმუნებელი მისდა მამისა მიმსგავსებელი, რომელთა შინა რჩეული იყო. ამათი მსმენელი სალომონ ღმრთისაგან, აღვლდნა მეყუსაეულად ცხედრისაგან და თაყუანისმცემელი მისი, უკუნ-იქცა იეროსოლჟმთადმი. და წინაშე კარვისა დიდთა აღმასრულებელი მსხუერპლთამ, ასერებდა თჳსთა ყოველთა.

<sup>1</sup> ჩემი AQD. <sup>2</sup> მოაკლინა. <sup>3</sup> წოდებულნი AQD.  
\* III მეფ. 3,1. II ნებრთა 1,3; 1,5. III მეფ. 3,6; 3,10.

137

2)\* ხოლო ამათ დღეთა შინა სჯამ მოვიდა მისდა, ძნიად დასაჯსნელა, რომლისა დასასრულსა პოვნამ სატიკიარ იყო. ხოლო საქმესა, რომლისა ძლით შემთხუეულ იყო ქმნამ სჯისამ, საქიროდ შეეპრაძხე უწყებამ, რამათ მიმთხუეულათს მაშინ მყოფი სიძნელე ბუობისამ საცნაურ იყოს და ესევეთართა საქმეთა შუეაქმნილი მიმღებლობდენ, ვითარ ხატისაგან ზეფისა გონიერები-საგან აღვილად განჩინებისა შეძლებასა / ძიებულთათს. ორნი დედაკაცი, მეძვენი ცხოვრებითა, მისა მიმართ მივიდეს, რომელთაგან უსამართლოდ<sup>1</sup> ვნებად<sup>2</sup> მეჭუელთაგანან პირველად იწყო სიტყუად: „მკვად ვარ ვიდრემე, თქუა, ო მეუფეო<sup>3</sup>, ამას თანა ერთსა სახლსა შინა. ხოლო შეგუემთხუა<sup>4</sup> ჩუენ მარობლთავე ერთსა დღესა შინა, მასვე უამსა შინა, შობამ წულთა ყრმათამ. და მესამე რამ დღე წარკდა, ზედმიძინებულმან ყრმისა მისისამან იგი ვიდრე მოაკუდი-ნან<sup>5</sup>, ხოლო მტკრთველმან ჩემისამან მუკლთაგან, თავისა თვისადმი გარდაილო და მკუდარი, მეძინა რამ მე, მკლავთა ჩემთა ზედა დაღვა. და განთიად უკუე, ძიებუსა მიმცემელმან ყრმისამან, ჩემი ვიდრემე არა ვბოვე, ხოლო ამისა მკუდრად ვხედვდ ჩემ თანა მდებარესა, რამეთუ, მტიციედ განმხილველმან, ვიცან. რომლისათს ვითხოვ ძესა ჩემსა და არა მიმყვანებელი მოვივლტვი, მეუფეო, შენ მიერსა შეწვენისა მიმართ, რამეთუ მხოლოდყოფისათს ჩუენისა და არცა ერთისაგან შიშნეულობისათს მხილველად შემძლებელისა, შეურაცხისყოფელი ძლიერად გარდაჰკვდების და აღგრების!“<sup>6</sup>.

ესენი რამ თქუნა, მეფემან ჰკითხნა სხუასა, თუ რასა შემძლებელ არს ნაცვალსიტყუაობად თქუმულთა მიმართ. ხოლო იგი უფარ-ჰყოფდა ამისა ქმნასა და ყრმისა უკუე მისისა სიცოცხლესა იტყოდა, ხოლო ნაცვალ-მოაჭულისასა— მოკუდინებასა<sup>7</sup>. და ვინამთგან უკუე არცა ერთი ვინ გულისკმა-ჰყოფდა მსჯავრსა, არამედ, ვითარ ივავსა ზედა, პოვნისა მისისათს ყოველი ბუნებითა ზრმა იცუნეს, მხოლომან მეფემან გულისკმა-ყო ესევეთართა რამემე: მბრძანებელმან მოღებად მკუდარსა და ცოცხალსა, მოუწოდა ვისამე სხუელის-მცველთაგანსა და აღმოწოდელსა მახვლისასა უბრძანა მარობლსავე ყრმათასა ორად საშუეალ<sup>7</sup> განკუეთამ, რამათ მარობლთავე მიიღონ განნახევრებით, ცოცხლისა და აღსრულებულისადაცა. ამას ზედა ყოველი ვიდრემე ერი ჰგმობდა, ვითარ ყრმისა, მეფესა. ხოლო საშუეალ ამისა, მთხოველმან ვიდრემე და ჰეშმარტიმან დედამან კმა-ყო ამისი არა ქმნამ, არამედ მიცემა ყრმისამ სხუსადმი, ვითარ მისისამ, რამეთუ კმა-ეყოს სიცოცხლე მისი და ხედვამ მხოლოდ, დადაცათუ უცხოე საგონებელ იყოს. ხოლო სხუამ შზადმქონებელ იყო განკუეთილსა ყრმისა ხილვასა და ამას თანა ტანჯვასაცა მისსა ევეღრებოდა. და მეფემან უკუემ-მცნობელმან კმასა ორთასავე ჰეშმარტისაგან ქმნილთა, საჯა ყრმამ მკმობელი-სად დედად-ყოფისათს მისისა ჰეშმარტიად. ხოლო სხუსა სიბოროტე დასაჯა, თანად თვისსა მომკუდინებელი და მოყუარისასა წარწყმედულად მოსწრაფისამ ხილვად. ესე დიდად სახედ და სასწაულად მეფისა სიბრძნისა და გონიერებისად საეჭუელი იყო სიმრავლისა. და მიერ დღითგან, ვითარ საღმრთოესა ბუნებისა მქონებელსა, ხედვიდეს მას.

3)\* ხოლო მკედართმთავარნი და წინამძღუარნი ყოვლისა სოფლისანი იყვნეს მისა ესენო: ვფრემის ვიდრემე სამკუდრებელისა — ურის, ხოლო ვითლე-

<sup>1</sup> უსამართლოე AQ. <sup>2</sup> ვნებულად S. [მეუფეო]+ამათ AQ. <sup>3</sup> შეგემთხუეა AQ. <sup>4</sup> მოაკუდინებასა. <sup>5</sup> მოკუდინებასა. <sup>6</sup> საშუეალ A.  
<sup>7</sup> III მეფ. 3,16; 3,24. <sup>8</sup> ძრძობითი პარაქმის ნჲჲ (=მტიციედ დგას თავის უარზე).  
 \* III მეფ. 4,7.

ემიტოდომს ადგილით სამთავრომსა იყო დიოკლიროსს, და დრონნი უკუე და არავიამ ზღვსპირისაჲ აქუნდა ადავოსს, ამას ზედა ქორწინებულსა სალომონომს ასულისად. ხოლო დიდი ველი ყო ქუეშე ვანასს, აქემამს ყრმისა და ამას თანა აქუნდა ვიდრე იორდანედმდე ყოველი. და ლალადიტსა უკუე და ლავლანიტსა ვიდრე ლივანომს მთადმდე და ქალაქთა სამეოცთა, დიდთა და ძლიერთა მქონებელი მის ქუეშე, დავარის განაგებდა. ხოლო აქინდაოსს ლალილეამსა ყოველისა<sup>1</sup>, ვიდრე სიღონადმდე, ზედამხედველ იყო, თანამკვდრი და ესეცა სალომონომს ასულისა, სახელით ვასიმასა.

და მახლობელი უკუე ზღვსპირისაჲ აქუნდა/ვანაკიტისს, ხოლო საფატის—<sup>v\*</sup> მთისა იტავეკრომსა. და კარმილომსა და ქუემო კერძომსა ლალილეამსა ვიდრე იორდანოდ მდინარედმდე სოფელსა ყოველსა გარეშემომწერელ იყო. და სუმემს უკუე ვენიამიტოდომს სამკვდრებელსა კელთმდებელ იყო, ხოლო დავარის აქუნდა წილ იორდანომსა ქუეყანაჲ და ამათ ზედა კუალად ერთთ მთავარი განჩინელი იყო. ხოლო საკურველ აღმატებამ მიიღო ერმან ევრაელთამან და იუდაას ნათესავისამან, რამეთუ მუშაკობისა მიმართ მიეჭეცა და ქუეყანისა ზედმოურნეობისა. და მშვდობისა მიმღებელნი და ბრძოლათა და შფოთთაგან არა დაბნეულნი და ამას თანა სასურველისა თავისუფლებიდან დიდად აღსებულნი, აღორძინებისა მიმართ თუსთამსა და ღირსთა უმრავლესისათა ქმნად მოაწრაფე იყვნეს თითოეულნი.

4) \* ხოლო იყვნეს მეფისა და სხუანიცა მთავარნი, რომელი სურთა ნათესავთაგან და სხუათა, რომელი მიიწეოდა ევფრატით მდინარით ვიდრე ეგვიპტედმდე, იყვნეს შენკრებელ მისსა ხარკსა წარმართთაგან. ხოლო მოიღებდეს და ტრაპეზსაცა ზედა და სერსა მეფისასა სემინდისა ვიდრემე საწყაულთა ოცდაათთა და ფქვილისათა — სამეოცთა, და ჭამებულთა კართა ათთა და ფურთათა — ოცთა, ხოლო სუქებულთა კრავთა — ასთა. და ამათ ყოველთა, გარეშე ნადირთამსა, ირემთამსა ვიტყუ და კამბეშთამსა და მფრინველთა და თევზთამსა, მოიღებოდეს დღითი-დღე მეფისა სხუა ნათესავთაგან. ხოლო ესოდენ სიმრავლე იყო ეტლთაჲ სალომონისა, ვიდრე ოთხნი ბევრნი იყვნეს ბაგათანი ქუეშეულღვილთა ცხენთათვის. ხოლო გარეშე ამათსა იყვნეს ცხენთ აღმსხმელნი ორ ათასნი და ბევრნი, რომელთაგან ნახევარნი ვიდრემე მდგომარე იყვნეს წინაშე იეროსოლკმათა შინა, ხოლო ნეშტნი, სამეფოთა და დაბათა შინა განზნეულნი, მათ შინა დადგრომილ იყვნეს. და იგივე უკუე მთავარი, სამეფოსა წარსაგებელსა რწმუნებული, ცხენთაცა მიანიჭებდა საკმართა, მიმღებელი სადაცა მყოფობდეს მღეფე.

5) \* ხოლო ესოდენ მიანიჭა ღმერთმან სალომონს გონიერებამ და სიბრძნე, ვიდრედა სძლედა ძველთაცა კაცთა და ეგვიპტელნი, რომელნი ყოველთა აღმატებად ითქუმიან გონიერებითა, თანაშესწორებულნი არა მცირედ მოაკლდებოდეს, არამედ ფრად შორს დაშთებოდეს მეფისა გონიერებისაგან მხილებულნი. ხოლო ზესთაღსრულ და აღმატებულ იყო სიბრძნითა მას ყაჟსა შინა დიდებასაცა მქონებელთაგან ევრაელთა შორის მარჯუეობისათვის, რომელთა სახელებსა არა თანა-წარვკვდე, ხოლო იყვნეს ათანოს და ამანოს<sup>3</sup>. \* შეაწყენა

<sup>1</sup> უკუე ა QD.

\* 137 v-ს დასაწყისში მეორდება 137 r-ს ბოლო რამდენიმე ხაზი, კერძოდ: „ადავოს... ზღვსპირისა აქუნდა“. <sup>1</sup> III მეფ. 4,21. <sup>2</sup> III მეფ. 4,39; 4,32. <sup>3</sup> ამანოსი + ἡμίλειος καὶ Ἀμμανός ἡμίλειος ἡμίλειος ἡμίλειος, ხალკოს და დარდანოს, ამოხსნი ყრმანი S.

138

უკუე და წიგნნიცა გალობათათს და ქებათა ხუთნი ათასთა თანა და იგავთა და სახეთათს — წიგნნი სამ ათასნი, რამეთუ თითოეულისა სახისათს ხეთამ-სა იგავი თქუა, უსოპოთგან ვიდრე ნაძუთადმდე და ამითვე სახითა თქუა პირ-ულტყუთათს<sup>1</sup> და მფრინველთა / და ყოველთა ცხოველთაჲსა და თევზთაჲსა და შაერთა, რამეთუ არცა ერთისა ბუნებისაგან უმეტარ-იქმნა, არცა თანა-წარჰკდა ვანოუძიებელად, არამედ ყოველთა შინა ისიბრძინსმოყუარა და კელოვნებაჲ მათ შინათა განწყისებათაჲ ზედმიწევნით ახუენა. ხოლო მიანბა მას ღმერთმან სწავლად და კელოვნებაჲცა ძენად ეშმაკთა, სარგებელისათს და კურნებისა კაცთაჲსა, და ზედდაკობანი უკუე, შემაწყობელმან, დაუტევნა და გუარნი ფუცუბლანნი, რომელთა მიერ რუგეშინის-ეცემის სნეულებათა, რომელთა მიერ დაქსნარლთა ეშმაკთა, ვითარ არღა უკუნქეველთაგან, განსდევნიან. და ესე კურ-ნებაჲ ჩუენ შორის ვიდრე აქამოდდე ფრიად შემძლებელ არს, რამეთუ მოთხ-რობა ვყუა ვისთვისმე ელეაზაროჲს, თანმონათესვეთაგანისა, უესპასიანოჲს მუნ ყოჯასა და ძეთა მისთა და ათასთმთავართასა და სხუასა მკედრებთა სიმრავლი-საჲსა, ეშმაკთა მიერ პურობილთა, განმსნელად ესე. ხოლო სახე კურნებისაჲ ე-სევეთარი იყო: თანმიმღებელი ცხურთა ეშმაკეულისათა თანა ბეკედსა, მკონე-ბელსა ქუეშე კერძო საბეკდავისა ძირსა, რომელთაგან უჩუენნა სალომონ, ეს-რეთ მუნოსელი და ცხურთაგან გამოიყვანებდა ეშმაკსა. და მეყუსეულად დაე-ცის რაჲ კაცი არღა მერმეცა უკუნქეველად, მის მიერთა აფუცებდა სალომონოჲს მომკაუნებელსა, ზედდაკობათა, რომელნი მან შეაწყენა, მეტყუელი. ხოლო ელე-ზაროს, მნებებელი რწმუნებად და წარმოდგინებად თანდამთხუელთა, ვითარმედ ესე ძალი აქუს, დასდგმიდის მცირედ წინა კერძო ანუ ჭიქსა, ალ-სავსეს წყლითა, გინა ფერკთ-საბანელსა, და უბრძანებდის გამოსრულსა კაცი-საგან ამითსა უკუნქევესა და ცნობად მინიჭებასა მხედველთასა, ვითარმედ დაუტევებიეს კაცი. ხოლო ესე რაჲ იქმნა, ცხად სალომონოჲს გონიერებაჲ და სიბრ-უნე ჯაიდგინა, რომლისათს ამათ თქუემად ვიძიულენით, რამათა ცნან ყო-ველთა მისი დიდბუნებაობაჲ და ღმრთისმოყუარებაჲ და რამათა არავის მზის-ქუეოაგანსა<sup>2</sup> დაეფაროს ყოვლისა სახისათს გარდამატებულებაჲ მეფისა სააწიებისაჲ.

ბ)\* ხოლო ტურელთა მეფემან იროზის, მსმენელმან, ვითარმედ სალომონ ეპონაცვალა შამისა მეფობასა, განიშუა, რამეთუ მოყუარე იყო დაეიდისი. და წარმავლენელმან მისა მიმართ, მოიკითხა იგი და თან-მხიარულობდა მოწვეულ-თა კეთილთათს. ხოლო სალომონ წარავლინა მისა მიმართ, მაუწყებელი ამისნა: „მეფე სალომონ ირომოსს მეფესა, უწყოდდე! მამა ჩემი, მნებებელი შემზულებად ღმრთისათს. ტაძართა, ბრძოლათა მიერ და ზედამსზედათა მკედ-რობათა დაყენებული, რამეთუ არა დასცხრა პირველად, მტერთა დამამკობელი, უწინარეს ვიდრე არა ყოველნი ხარკისა ქუეშე ყენა იგინი. ხოლო მე მადლი უწყურ ღმრთისაჲ მოწვეულისა მშედობისათს და ამისათს, კეთილმოცალდე, აღშენებად სახლსა მნებებელ ვარ ღმრთისა, და რამეთუ ჩემ მიერ ამისი ქმნაჲ წინაწარ-ტხრა ღმერთმან მამასა ჩემსა, რომლისათს გევედრები შენ ვითემე წარვლინებად ჩემთა თანა ლივანოდ მთად მომკეთებელთა ძელისათა, რამეთუ

<sup>1</sup> ბრულტყუთათს. <sup>2</sup> მზის ქუეოაგანსა ბპო ებო მკლიო მკ.

• III ნეფ. 5, 1.



მოკუეთისა მიმართ ხეთაჲ უკელოენესად მქონებელ არიან ჩუენთასა სიღონელნი. ხოლო სასყიდელი, რომელიცა განასაზღვრო, მე ხისმკუეთელთა მივანიკო“.

7)\* წარმითხველმან უკუე ეპისტოლისა ირომოს და წარვლენილთა ზედა განმხიარულებულმან, ნაცვალ-მიუწერნა / ესენი სალომონოსს: „მეფე ირომოს მეფესა სალომონოსსი ღმრთისა ვიდრეჲე კურთხევაჲ ჯერ-არს, რამეთუ შენ მამული ზოგცა მთაერობაჲ, მამადსა ბრძენსა და ყოელისა სათნოებისა მქონებულსა. ხოლო მე, ამათუს მხიარულმან, ვიმოქმედნე მცნებულნი, რამეთუ მომკუეთელმან მრავალთა და დიდთა ხეთამან, ნაძესა და კვპარისსომასაგან, ჩემთა მიერ შთაველინნე ზღუად და უბრძანო ჩემთა, ტივისა შემკრველთა, რომელსაცა ადგილსა ინებო სოფლისა შენისასა, წარსრულთა განლებაჲ და შენდგომად შენთა მიიღონ იეროსოლუჲმად. ხოლო ჩუენ, რამთა ზოგუანიკო შენცა ნაცვალ-ანათსა იფქლი, იზრუნვე, რომელსა მოქენე ვართ მკვდრობისათუს კვალასა შინა“.

8) ხოლო დადგრომილ არიან ვიდრე დღენდელადნდე ებისტოლეთა ამათ ნაცვალ-გარდაწერილნი, არა ჩუენთა წიგნთა შინა მხოლოდ დაშთომილნი, არამედ და ტურელთაცა შორას, რომლისა ძლით, უკუეთუ ვინმე მნებებელ იყოს ჭეშმარიტებით სწავლასა, მოქენემან ტურელთა წერილთმეველთა პოენესა ჩუენ მიერ უქუმულთა თანაცმად მათ მიერნი. ესენი ვიდრე უკუე ვთქუენ, მნებებელმან უწყებად მიმთხუელთათუს, ვითარმედ არარას უმეტეს გარეშე ჭეშმარიტისა ვიტყუო, არცა დასარწმუნებელთა რომელთამე მიერ და ლქინისა მიმართ და განცხრობისა მიმყვანებელთა მომღებელნი მოთხრობასანი მოსწრაფებით ლტოლვად გამოიგებისაგან, ხოლო დარწმუნებად მეყუესეულად ვმოქენებოთ, ვითარმცა შენდობილ იყო ჩუენდა უბრალო-ყოფაჲ ზედალღომილთა მოქმედებასა ჯეროენისასა, არამედ არცა ერთისა შეწყნარებისა მიმთხუევად ვევედრებით, უკუეთუ არა აღმოჩენითა და ნიშთა ძლიერთა მიერ შემძლებელ ვიყუენთ ცხად-ყოფასა ჭეშმარიტისასა.

9)!\* ხოლო მეფემან სალომონ, ვითარ მიიხუნა წერილნი ტურელთა მეფისა მიერნი, თან გულსმოდგინებაჲ მისი და სიყუარული აქო და რომელთათუს. ვედრებულ იყო, ამათ მიერ ნაცვალ-აგონ მას. იფქლისათა ვიდრეჲე წარუვლენდა! მას წლითი-წლად ორთა ბევრთა კოროსთა, სახე საწყაულსაჲ, და ესოდენთავე ზეთისა ვადოსთა, ხოლო ვადოსი შემძლებელ არს შთატეკად საწყაოთა სამეოცდაათორმეტთა. და ამათვე საწყაულთა დენითა მიანიკებდის. და ირომოსს ვიდრეჲე სიყუარული და სალომონომასი ამათგან მერმეცა უმეტეს აღორძნდა.

ხოლო მეფემან უბრძანა ყოელსა ერსა ხარკი სამთა ბევრთა ჭეშმარიტად მოქმედთაჲ, რომელთა მიერ მოქმედებაჲ უჭირო-ყო, გონიერებით განმყოფელმან მისმან, რამეთუ ბევრთა, მკუეთელთა ლივანომასა მთასა ზედა, უბრძანა

1 წარუენდა A.  
\* III მეფ. 5,7. 13 III მეფ. 5,11; 5,13.

ორთა<sup>1</sup> თუეთა შინა განსუენებაჲ, წარსრულთა სახით თესად, ვიდრემდის ორნი ბევრნი საქმესა მთასა ზედა აღასრულებდენ განსაზღვრებულსა ქაშსა შინა. და შემდგომად ესრეთ შეემთხუეოდა პირველთა ბევრთა მეოთხესა თუესა შინა წარსლვად საქმისა მიმართ. ხოლო იყო ზედამდგომელ ამის ხარკისა აღორამოს. და იყენების<sup>2</sup> უკუე მოხარკეთაგან, რომელნი დაუტყენა დავიდის, მტურთველნი ქვისა და სხუსა ნიეთისანი შუდნი ბევრნი, ხოლო ქვისმკუეთელნი — რვანი ბევრნი. და ამათნი უკუე ზედამდგომელნი — სამ ათასნი და სამასნი. და ებრძანა ქვათა ვიდრემე მოკუეთათ მათ ზიერ ღიდთა, საძირკუელად ტაძრისა. და შემაწყობელნი პირველად და შემკრველნი მთასა ზედა, ესრეთ<sup>3</sup> შთამოიღებდენ ქალაქად. ხოლო იქმნებოდეს ესენი არა მამუნებუ/ლთა მიერ მხოლოდ ადგილის შინათა, არამედ და კელოვანთაცა მიერ, რომელნი ირომოს წარუვლინნა.

139

### თ. 3

1)\* ხოლო სალომონ იწყო შენებად<sup>4</sup> ტაძრისასა აწდა მეოთხესა წელსა მეფობისასა მქონებულმან, თუესა მეორესა, რომელსა მაკედონნი ვიდრემე არტემისიოდ უწოდენ, ხოლო ევრაელნი — იარ, შემდგომად წელთა ხუთასთა და ოთხმოცდაათთა და ორთა ისრაილიტთა ეგვპტით გამოსლვისათა, ხოლო შემდგომად ათასთა და ოცთა წელთა ავრამოსს შუევამდინარით ხანანიად გარდასლვისათა, და შემდგომად წელითრლუნისა — ათასთა და ოთხასთა და ორმოცთა. ხოლო პირველად ქმნილისა კაცისა, ადამოასითგან, ვიდრე ტაძარსა აღაშენებდა სალომონ, გარდავიდეს ყოველნი წელნი სამ ათასნი და ასნი და ორნი<sup>5</sup>. ხოლო რომელსა ქაშსა იწყო შენებად ტაძარმან, წელიწადი ტუროსს შინა მეფობისაჲ მეთერთმეტე<sup>6</sup> წარმოდგომილ იყო ირომოსსა, და ტუროსს უკუე შენებითგან ვიდრე ტაძრისა შენებითგან იქმნა ქაში წელთა ორმოც და ორასთაჲ.

2)\*<sup>1</sup> დასნნა ვიდრემე უკუე ტაძრისა საფუძველნი მდგომან დიდდამი სიღრმედ ქუეყანისა, ნიეთსა ძლოერისა ქვათაგან და ქაშისადმი დადგრომად შემძლებელისა, რომელთა, მიწისა თანშეერთებულთა, ეგულუბოდა იატაკ და სიმტყიცე-ქმნაჲ ზედალშენებადისა შემზადებულებისაჲ და ქუეშე კერძოსა ძლიერებისათჳს ტურთვად უპირველად საიდიება ზედდადებულთასა და შუენიერებასა მრავალსახესა, ვიდრელა სიმძიმესა, რომელსა ეგულუბოდა და არა უდარეს სხუათასა ყოფად, რაოდენნი შოგონებულ იყვნეს სიმაღლისა მიმართ და სიდიდისა შუენიერებისათჳს და სიკეთისა და დიდმოქმედებისა. ხოლო აღიყვანეს იგი ვიდრე<sup>2</sup> თეთრისა<sup>7</sup> ქვისაგან ქმნილი. სიმაღლე ვიდრემე უკუე იყო სამეოცთა წყრთათაჲ და ამათი ვიდრემე სივრცე, ხოლო სიფართე — ოცთაჲ. და ამას ზედა უკუე სხუად იყო აღმართებულ, სწორი საზომითა, ვიდრელა იყო ყოველი სიმაღლე ტაძრისაჲ წყრთათა ოცთა და ასთაჲ. და მხედველ იყო აღმოსავლეთითკვე. ხოლო შტოჲ აღმართეს წინა კერძო მისა წყრთათა ოცთაჲ სიერცით, სივრცისა მიმართ ტაძრისა<sup>8</sup> განწესებული, და სიფართესა მქონებულ

<sup>1</sup> ურთა. <sup>2</sup> იყენების AQ. <sup>3</sup> ესრეთ. <sup>4</sup> შენებასა AQD. <sup>5</sup> ურნი. <sup>6</sup> მეთერთმეტე AQ. <sup>7</sup> თეთრისადი AQ. <sup>8</sup> ტაძრისა]+მიმართ ტაძრისა A.

\* III მეფ. 6,1. <sup>1\*</sup> III მეფ. 5,17; 6,2; 6,5. <sup>2\*</sup> ვიდრე] + რქ ძიძიქნ მ<sub>64</sub> (= სასურავამდე). ვიდრე]—S.

იყო წყრთათა ათთასა. ხოლო გარემომს ტაძრისა აღაშენნა ოცდაათნი მცირენი სახლნი, რომელთა ეგულებოდა შეცემა ყოვლისაჲ მახლობელობისათჳს ურთიერთს და სიმრავლისა გარემომს მოდგომილთა. და ამას თანა შესავალნიცა მათნი ურთიერთარსთაგან შემზადნა. ხოლო თითოეულსა ამთ სახლთაგანსა სიფართე ვიდრემე აქუნდა ხუთთა წყრთათაჲ და სივრცე ესოდენივე, ხოლო სიმაღლე — ოცთაჲ. და აღშენებულ იყვნეს ზუნა კერძო ამათა სხუანი სახლნი და კუალად ამთ ზედა სხუანი, სწორნი საზომითა და რიყხუთა, ვიდრეღა ყოველსა ჩიმაღლესა, მსგავსად ტაძრისა, მიიღებდეს იგინი, ქუეშე კერძო მყოფისა, რამეთუ ზედა კერძოჲ არა მოზღუდვილ იყო. ხოლო სართული დაითულ იყო მათად ჩაძესაგან. და სახლთა ვიდრემე სართული თითოეული ესე იყო, თათოეულისა მახლობელთა მიმართ არა შემაერთებელი; ხოლო სხუათაჲ ზოგადი იყო სართული, ურთიერთარს აღშენებულს დიდთა დირეთა მიერ და მიწვენულთა ვიდრე ყოველთადმდე, ვიდრეღა საშუალნიცა ზღუდენი, ამთ ძელთა მიერ პყრობილნი, უმტკიცეს იქმნებოდეს ამის ძლით. ხოლო სართულნი, ქუეშე კერძო დირეთაჲ მყოფნი, მასვე ნიეთსა მქონებელ იყვნეს ყოველსავე, ხუეწილსა / ფიცრვათა წილ და აღწებვათა ოქროთა. ზღუდეთა მპყრობელმან ფიცართა მიერ ნაძესათა, ოქროთა განრჩუნნა, ვიდრეღა ბრწყინვიდა ყოველი ტაძარი და განანათლებდის სახედველთა შემავალთაჲ ბრწყინვალეობისაგან ოქროთა, ყოველგნით მოღებულისა. ხოლო ყოველი შენებულუბაჲ ტაძრისაჲ მრავლითა კელოვნებითა იქმნა ქვათაგან, ძნიად საყუეთელთა და შეწყობილთა მოზავეებით ფრიად და სწორებით, ვიდრეღა არცა წერაქუსა, არცა სხუსა რომლისავე ქურჭლისა სამუშაოთაჲ საქმე ეჩუენებოდა მხილველთა. არამედ გარეშე ამათისა კუმევისა, ყოველი ნიეთი მოზავებულ იყო სწორებით, ვიდრეღა თუსაგანი მოზავებულუბაჲ მისი საგონებელ იყო უფროსს, ვიდრე ქურჭელთა იძულებისაგან. ხოლო იველოვნა მეფემან აღსავალი — ზედაჲსა სახლისადმი შინაგან სიფართესა ზღუდისასაჲ, რამეთუ არა აქუნდა კარი დიდი აღმოსავალით კერძო, ვითარი აქუნდა ქუეშესა სახლსა, არამედ გუერდთაჲთ იყვნეს შესავალნი მცირეთა კართა მიერ ფარულად. და შეიცვან ტაძარი შინაგან და გარეშე ძელთა მიერ ნაძესათა, შეკრულთა ჭაჭუთა სხვლითა, რათა ნაცელად სიმაგრისა და ძალისა ესე იყოს.

3)\* და განმყოფელმან სახლისამან ორად, შინაგანი ვიდრემე სახლი ქმნა შეუვალ-ყოფად, რომელი იყო ოცთა წყრთათაჲ, ხოლო ორმეოცთა წყრთათაჲ — წმიდად ტაძრად განაჩინა. და განმკუეთელმან საშუვალისა ზღუდისამან, კარნი ნაძესანი შეაბნა, ოქროთა ფრიადისა მათ ზედა მოქმედმან და კელოვნებისა მრავალსახისამან. და გარდაჰფინა ამთ ზედა ნაქსოვნი მრავალუუვილოვანნი<sup>1</sup>, ვაკინთოთსა და პორფერისა და მეწამულისაგან ქმნილნი არა ესოდენ მხოლოდ, არამედ ვესროსაგანცა ბრწყინვალისა და ლბილისა. ხოლო ქმნა შეუვალისათჳს ოცთა წყრთათა სიფართე და ამათი სივრცე და ორნი ქეროვიმნი, ყოვლად ოქროსანი, თითოეული სიმაღლით<sup>2</sup> ხუთთა წყრთათაჲ. ხოლო ორნი იყვნეს თითოეულისა ფრთენი, ხუთთადმი წყრთათა განმარტებულნი, რომლისათჳს არა შორს დაადგინნა იგინი ურთიერთარსისაგან, რათა ფრთითა

1 არცა/არცა A. 2 ზღუდისა. 3 ყოველოვანნი. 4 სიმაღლით/სიმაღლით A.  
\* III მეფ. 6,16. I ნეშტა 3,14. III მეფ. 6,23.

ერთითა შეეხებოდინ ზურგიტ კერძო\* მდებარესა ზღუდესა შეუვალთასა, ხოლო სხვათა — ვორეამთ, კერძოსა<sup>1</sup>, და სხუანი უკუე ფრთენი მათნი, შემაერთებელნი, იყვნენ მფარველ კილოზნისა, საშუეალ მათსა დადგომილისა. ხოლო ქეროვიმნთა მსგავსებასა არავინ შემძლებელ არს თქუმად, ვითარნი იყვნეს. და მოჰქინა ტაძრისა იატაკი ოქრომთაგან შედილთა, ხოლო დასხნა და ბჭესაცა ტაძრისასა კარნი, სიმაღლით ზღუდისა<sup>2</sup> შესწორებულნი, სიფართესა მქონებელნი ოცთა წყრთათანი. და ესენი აღწებნა ოქრომთა. და შემოკრებულად ითქუენინ: არა დაუტევა კერძომ ტაძრისად შინაგან და არცა გარეშე, რომელი არა ოქრომ იყო. ხოლო გარდაჰვინა და ამათ კართა ზედა, მსგავსად შინაგან გარდაბურვილთაჲსა. და ბჭესა უკუე, წინა ტაძრისა მყოფსა, ამათგანი არარაჲ აქუნდა.

4)<sup>2</sup>\* ხოლო სალომონ მოუწოდა ტკრომთ ირომომთგან ვიდრე კელოვანა ვასმე, ქირომოსს სახელით, დედისაგან ვიდრევე მყოფსა ნეფთალიტილომს ნათესავით, რამეთუ ამას ნათესავისაგან იყო, ხოლო მამისა — ურიასგან, ნათესავით ისრაილიტისა<sup>3</sup>. ესე ვიდრე ყოველსა საქმესა მქონებელ იყო ზედმიწევნით, ხოლო უფროსლად კელოვან იყო მოქმედებად ოქროსა და ვეცხლსა/ და სპილენძსა, რომლისა მიერ ყოველნი, ნებისაებრ მეფისა, ტაძრისა ძლითნი იკელოვნეს. შეჰმზადნა უკუე ამან ქირომოს და სუეტნიცა ორნი სპილენძისანი, სიმსხოჲ ვიდრევე შინაგან ოთხთა თითთაჲ, ხოლო სიმაღლე სუეტთაჲ იყო რვათა და ათთა წყრთათაჲ და გარემომს საზომი — ათორმეტთაჲ. ხოლო დნობილი თითოეულსა თავსა ზედა შროშანი მდგომარე იყო, სიმაღლით ხუთთა წყრთადმი აღდგინებული, რომლისა გარემოდებულ იყო ზადე, გამოზიდული სპილენძისაგან და გარემო-შემოთხზილი, დამფარველი შროშანთაჲ. ხოლო ამისა შთამოკიდებულ იყვნეს ორ წესად და ბროწეულნიცა ორასნი. ამათ სუეტთაგანი ერთი ვიდრევე დაადგინა მარჯუენით კერძო სტომასა, მწოდებელმან მისმან სასძლოდ იაქინა<sup>4</sup>, ხოლო მეორე — მარცხენით, სახელისმდებელმან მისმან ვაიზ.

5)<sup>4</sup>\* ხოლო აღადნო ზღუეაცა რეალისაჲ, ნახევარსფეროჲ სახითა და იწოდა სპილენძი მოქმედებული ზღუად სიდიდისათჳს, რამეთუ იყო აბანოჲ ზომით წყრთათა ათთაჲ მტკაველი და ქუეშე კერძო საშუეალსა სიფართისასა<sup>5</sup>. დამტკიცებულ იყო მომრგულეებაჲ, მოქცეული ათად გრებილად, ხოლო იყო საზომით წყრთაჲ და გარემომს მისსა მდგომარე იყვნეს კბონი ათორმეტნი, კერძოთა მიმართ ოთხთა ქართაჲსაჲ მხედველნი, ვიდრედა მათ ზედა მდგომარე იყო ნახევარსფეროჲ, მომრგულეებით შინა კერძო მხედველი. შთაიტივედა ზღუეჲ ვადოთა სამ ათასთა.

(<sup>6</sup>)\* და ქმნნა აბანოთაცა ხარისხნი ათნი სპილენძთაგან ოთხყურთა. ამათი თითოეული სიერციტ იქმნა წყრთათა ხუთთაჲ, სიფართით — ოთხთაჲ, სი-

<sup>1</sup> ზღუდისა. <sup>2</sup> ისრაილიტისა A.

\*  $\alpha\epsilon\alpha\alpha \nu\theta\epsilon\alpha\upsilon \beta\epsilon\gamma$  = სამხრეთით (ი  $\nu\theta\epsilon\alpha\iota$ -ის ნაცვლად თარგმნილია ბ  $\nu\theta\epsilon\alpha\iota$  = ზურგი, უკანა მხარე). S: სამხრეთით კერძო. <sup>1\*</sup>  $\epsilon\zeta \beta\delta \gamma\alpha\epsilon\delta \beta\epsilon\gamma\epsilon\alpha\upsilon \beta\epsilon\gamma$  = ჩრდილოეთით. S: ჩრდილოეთით კერძო. <sup>2\*</sup> III მეფ. 7,13; 7,15. <sup>3\*</sup>  $\alpha\epsilon\lambda\beta\sigma\alpha\epsilon \alpha\delta\theta\epsilon\delta \iota\alpha\chi\epsilon\iota\upsilon \beta\epsilon\gamma$  (იაქინა = მზარეული შექმნილი. „სასძლო“ = საქარწილო სეფა. შესაძლებელია, მთარგმნელმა იაქინის მნიშვნელობა ასოციაციურად „სასძლო“ დაუკავშირა). <sup>4\*</sup> III მეფ. 7,23. <sup>5\*</sup>  $\beta\alpha\iota \pi\alpha\lambda\alpha\iota\sigma\tau\epsilon\alpha\iota\sigma\upsilon \pi\alpha\tau\epsilon\alpha\iota \alpha\epsilon\chi\alpha\upsilon\sigma\epsilon\mu\alpha\iota\sigma\upsilon\epsilon \beta\epsilon\gamma$  (= 7,7 შშ. სოფანს მქონე). <sup>6\*</sup> III მეფ. 7,27. II მეფეთა 4,6.

<sup>0</sup> მხედველნი თითოეულსა ამათისა მიმართ სამნი უკუენა კერძოთა შინაგან.

მადლით — ექუსთაჲ. ხოლო თანშეკრულ იყო მოქმედებული კერძობით ხუე-  
წილი ესრეთ: ოთხნი იყვნეს სუეტნი კედელსა თანა მდგომნი კუთხედნი და  
გუერდთა ხარისხთასა თითოეულისა კერძოაჲგან თესგან მქონებელ იყვნეს  
შეწყობილთა. ხოლო თითოეულსა ადგილსა მთაჲ მქონებელ იყო ხარისხეულად  
შემზადებული, რომელსა ზედა გამოსახულ იყო სადაჲმე ლომი, სადაჲმე კეროჲ  
და არწივი სუეტთა ზედა. მსგავსადჲე ქმნილ იყო გუერდთა ზედა ხუეწილთაჲ-  
სა. ხოლო ყოველი საქმე ოთხთა შთამოკიდებულად ურძის თუალთასა, ვითარ  
მოხუეწილ იყვნეს და გუერდთა თანა ხარისხთასა შეერთებულნი, ვითარ მო-  
სახუებით მდებარე იყვნეს ლერძთა ზედა, ესრეთ უკუე მუონებელ იყვნეს. ხო-  
ლო კიდურთა ზენა კერძო შექკრვიდეს მჯარნი კელთაგან განმარტებთა. რო-  
მელთა ზედა მდებარე იყო მომრგულებული სპირაულლისაებრ, ზედდადებული.  
და აბანოჲ ზედ განისუენებდა კელთა არწივისა და ლომისათა მათ: თანა შეწყო-  
ბილთასა, ვიდრეჲდა თანააღზრდილად საგონებელ იყვნეს ესენი მხედველთაგან.  
ხოლო საშუეველ ამითსა ფინიკი იყვნეს აღმოქრილნი. ესევეთარი ვიდრეჲმე  
შემზადებულებაჲ ათორმეტთა ხარისხთაჲ იყო. ზოლო ამას თანა ქმნდა და ქო-  
თან კავლონიცა\*, ათორმეტნი!† საბანელნი მრგვალი სპილენძისანი, რომელთა  
თითოეული შთაიტევდა ორმეოცთა ხოსითა, რამეთუ სიმაღლე აქუნდა ორმე-  
ოცთა წყრთათაჲ. და ესოდენითაჲე შორს განყენებულ იყვნეს მათდა ურთი-  
ერთარს ბაგენი. ხოლო დადგნა ესე საბანელნი ათთა ხარისხთა ზედა, მუხონო-  
თოდ წოდებულთასა. და ათნი‡ უკუე საბანელნი დაადგინნა მარცხენით კერძო  
ტაძრისა, ხოლო მხედველ იყო, ესე იგი არს კერძოჲ, ვორეჲასა ქარისადმი, და  
ესოდენნი — მარჯუენით ნოტოჲთ კერძოჲ\*, მხედველნი/აღმოსავლეთადმი. და  
ამასჲე კერძოსა ზღუადცა დაადგინა. ხოლო აღმავსებელმან წყლითა „ზღუად-  
ვიდრეჲმე განაჩინა, დაბანად მას შინა კელთა და ფერკთა ტაძრად შემავალთა  
მდდელთასა, ეგულებოდის რაჲ აღსლუვაჲ ვომონისადნი. ხოლო საბანელნი —  
განსაწმედელად შინაგანთა ყოველად-დასაწუეველთა ცხოველთასა და ფერკთა  
მათთასა.

7)† და შეჰმზადა სამსხუერპლომცა სპილენძისაჲ, წყრთათა ოცთაჲ სიე-  
რით და ესოდენითაჲე სიფართით, ხოლო სიმაღლე — ათთაჲ ყოველად დასა-  
წყუეველთათჲს. ხოლო შექმნნა ამისნი და ქურჭელნიცა ყოველნი სპილენძისანი,  
საფერჭულნი და განსაწმედელნი, არა ესე მხოლოდ, არამედ ამათ თანა ქირო-  
მოს და ქუბანიცა და ფუცხენი და ყოველი ქურჭელი შექმნა რვალისაგან,  
ბრწყინვალეებითა და შუენიერებითა ოქროასა მიმსგავსებულისა და ტრაპეზთა  
სიმრავლე დადგა მეფემან, და ერთი დიდი — ოქროასაჲ, რომელთა ზედა  
დასდებდეს პურთა ღმრთისათა. და ამისნი მსგავსნი ბევრნი, თესაგან სხუა სა-  
ხისათჲს ქმნილნი, რომელთა ზედა მდებარე იყვნეს ქურჭელნი, ფიალნი თანად  
და სამსხუერპლონი ოქროასანი ვიდრეჲმე ორნი ბევრნი, ხოლო ვეცხლისანი —  
ოთხნი ბევრნი. და სანთებელნი ვიდრეჲმე ბევრნი შექმნნა მოუსის ბრძანებისა-  
ებრ, რომელთაგან ერთი დადგა ტაძარსა შინა, რაჲთა იწუეოდეს დღითი-დღე  
განწუესებისაებრ სჯულისა. და ტრაპეზი ერთი, რომელსა ზედა მდებარე იყვნეს  
პურნი, ვორეჲათ კერძო ტაძრისა, პირის-პირ სანთებელისა, რამეთუ ესე ნო-

\* *ὑπεροψίους* მ<sub>88</sub> (=თხისი მრგვალი ქურჭელი). † *ძირა* მ<sub>88</sub>. S: ათნი. ‡ *πρὸς* მ<sub>88</sub>.  
S: ხუთნი. † *πρὸς ὑψίον* მ<sub>88</sub> (=სამხრეთით). † II ნეშ. 4,1. III, მუფ. 7,48. II ნეშტ. 4,48.  
III მედ. 7,49. II ნეშ. 4,7.

ტოთ კერძო დაღვა. ხოლო ოქროსა ვომონი საშუალო მათსა მდგომარე იყო. ესე ყოველნი აქუნდეს ორმოცთა წყრთათა სახლსა, წინაშე კრეტსაბმელსა შეუვალისასა, რამეთუ ამას შინა ეგულებოდა დგომამ კილობანსა.

8) ხოლო ღვინისასხმელნი მეფემან რვანი ბევრნი შეკმზადნა. და ფიალნი ოქროსანი — ათნი, ხოლო ვეცხლისანი — ორ ნაწილად. და პინაკნი ოქროსანი, რამთა მოიღებოდეს მას შინა აღსუარული სემინდი ვოპონსა ზედა, ბევრნი რვანი. და ესენივე ორ წილად ვეცხლისანი. ხოლო ჭურჭელნი, რომელთა შინა აღსუარვიდეს სემინდსა ზეთისა თანა — ოქროსანი ვიდრემე ექუსგზდს ბევრნი, ხოლო ვეცხლისანი — ორგზის ესოდენნი. და საწყევონი უკუე, მოსეოასნი მსგავსნი, ინი და ესსარონეს სახელდებულნი, ოქროსანი ვიდრემე ბევრნი, ხოლო ვეცხლისანი — ორგზის ბევრნი. და ეგრეთვე მსგავსად სასაკუმეველნი უკუე ოქროსანი, რომლითა მიიღებდეს საკუმეველსა — ორნი ბევრნი. და ეგრეთვე მსგავსად სასაკუმეველნი სხუანი, რომლითა მიიღებდეს ღიდისა ვომონისაგან ცეცხლსა მკირესა ვოპონსა ზედა ტაძრისა შინა, ხუთნი ბევრნი. ხოლო შესამოსელნი სამღდლონი, მღდელთმთავართა თესსა მკართა თანა, პოდირანი და სამკაულთა და ქვათა — ათასნი. ხოლო მწუერვალი, რომელსა ზედა ღმერთი დაესახა მოვისის, ერთი იყო და დაადგრა ვიდრე დღენდელაღ-დღემდე. და სამღდლონი უკუე შესამოსელნი ვესსონისაგან შეკმზადნა და სარტყელნი, პორფურასაგან თითოეულისათეს — ბევრნი. და ნესტუნი ოცნი ბევრნი, მცნებათაებრ მოსისთა, და ოცნი ბევრნი შესამოსელნი ვესსონისაგან ლევიტელთათეს მგალობელთა. და ორღანონი საპუსიკონი და ქებისა მიმართ მოპოვენებულნი, რომელთა ეწოდებდეს ნავლა და კინნერა. ორღანო მქნარი ელექტროსაგან შეკმზადნა ოთხგზის ბევრნი.

9)\* ესე ყოველნი ხალომონ პატივად ღმრთისა მრავალსახედ და დიდშუენიერებით შეკმზადნა, არცა ერთისა მრიდებულმან, არამედ ყოვლისა პატივისმოყუარებისა მკუმეველმან სამკაულად ტაძრისა, რომელნი დასხნაცა საუნჯეთა შინა ღმრთისათა. ხოლო გარემოს ტაძრისა მოადგა გისსო მვიდრემე მსოფლიოთა უნითა, ხოლო ელლინთა მიერ სახელდებულთ რინგო, ზღუდე მცირე, ესე იგი არს გზისა, სამთა წყრთადმდი / აღმეყანებელმან სიმალისამან, რამთა დააყენებდა მრავალთა შესლვად ტაძრად და მღდელთა უკუე მხოლოდ აღწყებდა განჯსნილობასა მისსა. ხოლო გარეგან ამისა სამღდლო ალაშენა, ოთხკუთხი სახით, სტოთა აღმმართებელმან დიდთა და ვრცელთამან და ბქეთა მაღალთა და განღებულთამან, რომელთა თითოეული თითოეულისა მიმართ ქართასა მხედველ იყო, ოქროსა კართა მიერ დაჭული. ამას შინა ყოველნი, გარდამატებულნი ერისანი სიწმიდითა და დაცვითა სჭულთაათა, შევიდოდეს. ხოლო საკვარველ და სიტყვსა ყოვლისა უზემთაეს ყო და ვითარ სათქუმელ არს, სახედველისაცა გარეგან ამათსა მყოფი სამღდლო, რამეთუ დიდთა მოხრებლთა აღმომავსებელმან, რომელნი აურაცხელ იყვნეს სიღრმითა და არცა უშრომელად ხილვამ შესაძლებელ იყო შთამბედველთათეს, და აღმომავსებელმან სიმალელდმი რვაასთა წყრთათა, იატაკად თხემსა მთისასა შეკმზადა, რო-

1 პლექტროსაგან მგ : ληκρο Β<sub>94</sub>.

\* III მფ. 7,51. II ნმტ. 5,1. III მფ. 7,9.

o სახენი საწყაულთანი.

მელსა ზედა ტაძარი აღშენებულ იყო. და ამისთვის და უშურველად მყოფი გარეგანი სამღდელოა სწორი იყო ტაძრისად, ხოლო გარე-შეზღუდა ესე სტოთა მიერ, ორკეცთა შემზადებულ, და ქვისა თვთ თლილისაგან და სიმაღლითა თან-შემტკიცებულ იყენეს სუეტთა. ხოლო ხართულნი მათნი იყენეს ნაძესა ფიცარ-თაგან ხუეწილნი. და კარნი უკუე ყოველნი შეაბნა ამას ტაძარსა ვეცხლისაგან.

თ. 4

1)\* და საქმენი ვიდრემე ეწენი, სიდიდითა და შეენიერებოთა ნაშენებთადა და ტაძრისა მიმართთა შესაწირაეთათა სალომონ მეფემან შედთა წელთა შინა აღასრულნა და სიპლიდრისა და გულსმოდგინებისა საქმე აჩუნა: ვიდრე-და მხილველმან ჰგონაჲცა ყოველსა ეამსა შემზადებდა ესრეთ, მცირედსა შინა სრულქმნილთაჲ სიდიდისა მიმართ ტაძრისა შესწორებულთაჲ. და მიწერელმან მთავართა მიმართ და მოხუცებულთა ვერაელთაჲსა, უბრძანა ყოველისა ერისა მიყვანებამ იეროსოლჲმად ჩილვად ტაძრისა და რაათა მიიღონ კილობანი ღმრთისაჲ ტაძრად. და მიეთხრა რაჲ ყოველთა იეროსოლჲმად წარსლვამ, მე-შედეგსა თუესა ძნიად შეტრბეს, მსოფლიოთაგან ვიდრემე თურიდ წოდებულსა, ხოლო მაკედონთაგან — კპერვერეტოდ. მოიწია უკუე ამასევე ეამსა და კარვობასაჲცა ეამი, რომელი იყო ვერაელთა შორის დღესასწაული ფრად დიდი და უზემთაფს.

და მტურთველთა უკუე კილობანსა და კარავსა, რომელი მოვსის აღჰმართა, ყოველთა საჲსაუბრებელთა სამსხუერპლომსა მიმართთა ჭურჭელთასა, მიიწიეს ტაძრად. ხოლო წინამავალ იყენეს მსხუერპლთა თანა თვთ მეფე და ყოველი ერი. და ლეეიტელნი, მსხუერპლთა მიერ და მრავალთა საჲსხუერპლოთა სისხლითა წარმრლუნელნი გზისანი და მკუმეველნი აურაცხელსა სიმრაველსა საკუმეველთასა, ვიდრელა გარემომისი ყოველი აერი აღივსებოდა და შორს მყოფთაცა მიმართ მიიწიოდა სულნელებამ და ეუწყებოდა მოსლვამ ღმრთისაჲ, დამკვდრებამ, კაცობრივისა სიტყვსაებრ, ახალ-შენებულსა მისდა და განწმედილსა ადგილსა შინა. და რამეთუ არცა მაქებელნი და არცა მძნობელნი დაშურეს, ვიდრე არა მიიწინეს ტაძრად. ამით ვიდრემე სახითა მი-იყვანეს კილობანი. ხოლო ვითარ შეუვალსა შინა ჰერ-იყო შეყვანებამ მისი, სსხუამ ვიდრემე სიმრავლე განუყენა, ხოლო მღდელთა, მარტოდ მტურთველთა, საშუვალ ორთა ქეროვიმთაჲსა დადგეს. და იგინი უკუე, ფერკთათანშემაწყობელნი, და რამეთუ ესრეთ იყენეს კელოენისა მიერ შემზადებულ, კილობანსა, ვითარ კარაგსა რასამე ქუეშე და კამარასა, მფარველ იყენეს. ხოლო აქუნდეს<sup>2</sup> კილობანსა არარაჲ სსხუამ, გარნა თუ ორნი ქვისა ფიქალნი, რომელნი ათთა სიტყუათა, ღმრთისა მიერ მოვსის მიმართ თქუმულთა / სინეომსა მთასა ზედა და წერილთა მათ შორის, ჰმარხვიდეს. და საჲანთლე უკუე და ტრაპეზი და ვონონი ოქრომსაჲ დადგეს ტაძარსა შინა, წინა კერძო შეუვალისა, მათთავე ადგილთა ზედა, რომელნი და პირველცა აქუნდეს მდებარეთა კარავსა შინა და თითოეულისა დღისა სამსხუერპლოთა მიიღებდეს. ხოლო სამსხუერპლოჲ რვა-ლისაჲ აღჰმართა წინა კერძო ტაძრისა, პირის-პირ კარსა, რაათა განელოს რაჲ, პირის-პირ იყოს მისა და იხილვებოდინ მღდელმოქმედებანი და მსხუერპლთა

1 დღეთა AQ. 2 აქუნდეს] + ხოლო აქუნდეს A.

• III მეფ. 7,1. II ნეშტ. 5,2. III მეფ. 6,3.

მრავალსახეობანი. ხოლო ნეშტთა ყოველთა ჭურჭელთა შემკრებელმან შინაგან ტაძრისა დადგა.

2)\* ხოლო ვინაჲთგან ყოველთავე კიდობნისა ძლითთა შემამკობელნი მღდელნი გამოვიდეს, ანასდაჲთ სიზრქე ღრუბლისაჲ, არა მჭუმუნვარე, არცა ვითარა ჟამსა ჴამორისასა აღსავსე წყმითა შედგების, არამედ განფენილი და შეზავებული, ტაძარსა შინა მიეფინა და თუალნი ვიდრე მღდელთანი ზედ-და-აბნენლნა, ვიდრე არცა ურთიერთარს ზედგადმდე. ხოლო გონებასა ყოველთასა ოცნებაჲ და მეჭუელობაჲ მისცა ვითარ ღმრთისა სამღდელოდ შთამოსლვისაჲ და დამკვდრებისაჲ მას შინა შუებით. და იგინი ვიდრემე აჰას გონებასა ზედა მქონებელ იყვნეს თავთა თჳსთა, ხოლო მეფემან სალომონ, აღდგომილმან, რამეთუ ემთხვა მაშინ მჯდომარე, ყუნა სიტყუანი ღმრთისა მიჰართ, რომელნი ჰგონან შესამსგავსნი საღმრთოჲსა ბუნებისანი და კეთილად თქუჰანა მქონებელ იყო მისა მიმართ. „რამეთუ შენ, თქუა, სახლი ვიდრემე საუკუნოჲ, ო მეუფეო, და ღირსი თავისა თჳსისაჲ შეჰქმენ, ქმნილიცაჲ უწყით და აერიცა, ქუეყანაჲ და ზღუად, რომელთაცა მიერ ყოველთა, არცა ამათი კმაყოფელი, დატევენულ ხარ. ხოლო ესე შევეძნადე! შენდა ტაძარი ზედმხედველობითა სახელით\*, რამათა ამიერ შენდა ლოკვათა მმსხუერპლველნი და კეთილმემღდელენი აღკავლენდეთ აერად და მრწმუნებელ ვიყვნეთ, ვითარმედ აქა ხარ და არა შორს განდგომილ ხარ, არცა თავად თჳსად, რამეთუ ყოველთა ზედმხედველობითა და ყოველთა მსმენელობითა არცა აწ, სადაცა შენდა ჳერ-იყოს დამკვდრებაჲ, დამტევებელ ხარ ყოველთა მახლობელად-ყოფასა, არამედ თითოეულსა მგონებელსა თანა ღამით და დღისით იწყოფები“.

ამათმან მეტყუელმან ღმრთისა მიმართ, მიაქცინა სიტყუანი სიმრავლისა მიმართ, მარუენებელმან მათდა ძალსა ღმრთისასა და წინმოურნეობასა, ვითარმედ დავიდისს, მამასა, აუწყუნა გულვებადთა ძლით ყოველნი, ვითარ მრავალნი დასასრულადცა მიწვენილ არიან აწვე და იქმნენ დანეშტებულნი, და ვითარმედ თვთ იგი მწოდებელ იქმნეს სახელსა არღა ქმნილისად და რაჲ ეგულების სახელისდებად, აუწყოს და ვითარმედ ტაძარი აჰან მეფემან ქმნილმან აღუშენოს მას შემდგომად მამისა აღსრულებისა. რომელთაცა, ყოველთა წინაწარმეტყუელებთაებრ მისისა აღსრულებულად მხედველთა, კურთხევილ ღმრთისა ევედრებოდა და არცა ერთისათჳს უსასო-ქმნად მათგან, რომელნი აღუთქუნა, კეთილბუნდიერობისა მიმართ, ვითარ არა ქმნადისა, არამედ რამათა ირწმუნონ აწ სახილველქმნილთაგან.

3)2\* ამათმან მეტყუელმან ერისა მიმართ მეფემან კუალად მიიხილა ტაძრისა მიმართ და მარჯუენისა ერისადმი აღმპყრობელმან — „საქმეთა მიერ ვიდრემე, თქუა, არა შესაძლებელ არს კაცთა მადლთა ნაცვლისგებაჲ ღმრთისაჲ, რომელთაჲჳს კეთილ-იყო მათ, რამეთუ უმოქენო არს ყოველთაგან საღმრთოჲ და უმჯობეს ესეეთიარისა ნაცვლისგებისა. ხოლო ამისთჳს, რამეთუ სხუთა ცხოველთასა შენ მიერ, მეუფეო, უმჯობეს ვიქმნენით? ამის ძლით კურთხევაჲ შენისა სიდიდისაჲ და მადლობის თქუმად შენდა ჩუენსა სახლსა ზედა

1 შექმნაღე AQ. 2 ვიქმნენო A.

\* III მეფ. 8,10; 8,14. 1\* ებუ ყადუ ჰანდუსიონ 8108 (= შენი სახელობის ტაძარი).

2\* III მეფ. 8,22. II ნეშტ. 6,12.



ქმნილთათვისცა და ევ/რაელთა ერსა. რამეთუ ვინ უმეტეს სხუად სახიერ იქმნებობის განრისხებული და დაადგრების მოწყალედ ჩუენდა, გინა ვის მიერ კმად, რომელი ერისაგან\* გაქუს და კულად მის მიერ აღმოზავალად უწყით? მაღლობასა უკუე ქონებად ამისთვის აღგიარებ შენ, პირველად ვადრემე მამისათუს, რომელი უჩინოვსაგან ესევითარად დიად<sup>1</sup> აღიყვანე, და ამისა შემდგომად — ჩემთვის, ყოველთა ვიდრე ამად დღედმდე რომელნი წინაწარ-მითხრენ, აღმასრულებელსა. გვედრები უკუე ამიერთგან მონიჭებად, რაოდენნი შესაძლებელ ღმრთისა კაცთა შორის მიერ პატივეცემულთა და სახლსა ჩუენსა აღორძინებად სამარადისოდ, ვითარცა აღუთქუ დავიდის, მამისა ჩემსა, ცოცხალსაცა და აღსრულებადსა. ვითარმედ ჩუენ შორის დაადგრეს მეფობად და ნათესავმან მისმან მიიღოს ესე მონაცუალებითა ბევრეულითა. ესენი უკუე კმაცვენ ჩემდა და ყოველთა ჩემთა სათნობად, რომელსა ზედა შენ იხარებ, მიანიჭე. და ამათ თანა გვედრები ნაწილსაცა რომელსამე სულისა შენისასა ტაძარსა შინა დამკვდრებად, რამთა და ქუეყანასაცა ზედა სავონებელ იყოს ჩუენდა ყოფად შენი. რამეთუ შენდა ვიდრემე მცირე სამკვდრებელი და ყოველი ცისადცა და სივრცე ამაჱ შინა მყოფთად, არა თუმცა დამთხუელი ესე ტაძარი, არამედ დაიკუე ვანუფხურელად მბრძოლთაგან. ვითარ თვსხ სამარადისოდ და წინმოურნეობად, ვითარ თვისისა მონაგებისა, გვედრები და უკუეთუ ოდესმე მკოდველი ერი იწყლას შენგან რომლითამე ბორბითა ცოდვისათუს, ქუეყანისა უნაყოფობითა და სენითა განმხრწნელითა ანუ რომლითამე ამათ ვნებათაგან, რომელთა მიერ შენცა გარდამავალთა ჭეროვანთასასა, სწორით<sup>2</sup>, ამისა შემდგომად მოვიდოდის ყოველი შეკრებული ტაძრად, გვედრები შენ, ცხოვნებად მოქენე, მსმენელმკმნელმან მისმან, ვითარ შენგან მყოფმან. შეიწყალე და განსაცდელთაგან იქსენ. ხოლო ამას შენ მიერსა შეწყენსა არა ევრაელთათუს მხოლოდ, მტოჰითა, მოქენე ვარ ქმნასა, არამედ დაღაცათუ დაასარულთაგან ქუეყანისათა ვიეთნიმე მოიწინენ, ანუ საღადთ ვინაჲვე, მოსწრაფენი და მიმთხუევად კეთილისა ვედრებულნი, მიეც მათ, მორჩილქმნილმან, რამეთუ ესრეთ ისწაონ ყოველთა, ვითარმედ შენ ვიდრემე მნებებელ იქმენ ჩუენ მიერ სახლსა შემზადებად შენდა, ხოლო ჩუენ არა გარეგან კაცნი ვართ ბუნებით, არცა უცხოებით მქონებელ ვართ თანმონათესვეთა მიმართ, არამედ ყოველთათუს ზოგადყოფად შენ მიერისა შეწყენისა და კეთილთა მიმთხუევად ვინებეთ<sup>3</sup>.

4) \* მეტყუელმან ამათმან, დაავდო თავი თვისი ქუეყანასა ზედა და მრავალსა ეამსა თაყუანისმცემელმან და აღდგომილმან მიიხუნა მსხუერპლნი ვომონსა ზედა. და აღმავსებელმან უნაკლულოთა სამსხუერპლოთაგან აგრძნა ქემარტიტებით შეწირვად ღმრთისაგან მსხუერპლთად, რამეთუ ცეცხლმან, აერისაგან შთამომსრბულმან და სახედველად ყოველთა ვომონსა ზედა მოწვენულმან, ყოველი მსხუერპლი აღიტაცა და დაწუა. ესევითარი რაჲ საჩინობად იქმნა, ერი ვიდრემე, ამათ მიერ ტაძარსა შინა ღმრთისასა ყოფასა გულკებადსა უწყებად შემრაცხელი და განმხიარულებული, თაყუანის-სცემდა დავრომილი

<sup>1</sup> ესეველი AQ, ესევითარად S. *εις τοιαυτου διαγαγεις δεξια* B<sub>119</sub>.

<sup>2</sup> *et deus* B<sub>119</sub>. <sup>3</sup> *οτις ος ουκ εστιν παρρησιας τι οδυ δειλαι μετρητη* B<sub>116</sub> (= შენ მოვლენები ცოდვილებს და დაჰყი მათ). \* II ნეშტ. 7,1. III მეფ. 8,54.

იატაკსა ზედა. ხოლო მეფემან კურთხევად იწყო და სინრაველსაცა ამისივე ქმნაა განაზრახა, სახის-შქონებელსა აწვე ღმრთისა მიერ მათდა მიმართისა მოწყალე-ქმნისასა. ხოლო რამთა ილოცვიდენ ესევეითართა მარადის მოწევნად მათდა მის მიერ და გონებასა მათსა წმიდად ყოვლისა სიბოროტისაგან დაიცივიდენ სიმრთელესა შინა და კეთილმსახურებასა და მცნებათა დაცეულებით დადგრომასა შინა, რომელნი მოჰსის მიერ მოსცნა მათ ღმერთმან, რამეთუ ესრეთ კეთილბედნიერ იყოს ევრაელთა ნათესავი და ყოვლისა კაცთა ნათესვისა უსანატრელესი. ხოლო ევედრებოდა მოცსენებად, რაოდენთა მიერ მოეგნეს წარმოდგომილნი კეთილნი, დამტკიცებად ქონებად და მოცსენებად მათდა, რომელთა უმრავლესი და უზრუნველს ყენეს, რამთა არა მოღებამ ოდენ ამათი მხოლოდ კეთილმსახურებისა და სიმართლისათჳს შესაჩაბებელ, არამედ და პყრობამცა ამათ მიერვე სამართალ. ხოლო კაცთა მიერ არა ესოდენ დიდ მოგებამ, რომლისავე არა მყოფთაგანისაჲ, ვითარმედ დაცვამ მოლონებულთაჲ და არასა ენებულად კუმევიამ ამათი.

5)\* მეფემან ვიღრემე უკუე, ამათმან მეტყუელმან სიმრავლისა მიმართ, დაქანა შესაგრებელი, აღმასრულებელმან მსხუერპლთამან თავისა თჳსისათჳს და თანად ყოველთა ევრაელთათჳს: კბონი ვიღრემე ამსხუერპლნა ბევრნი და ორ ათასნი, ხოლო ცხოვართა — ბევრნი ათორმეტნი, რამეთუ ტაძარსა მაშინ პირველად აგეჲა მღღელთმოქმედებულთაგან. და იშუებდეს მას შინა ყოველნი ევრაელნი ცოლთა თანა და შვილთა. და ამას თანა მეკარგუობამცა წოდებული დღესასწაული წინაშე ტაძრისა ბრწყინვალედ და დიდ-შუენიერებით ორგზის შუდთა დღეთა / შინა აღასრულა მეფემან, ყოვლისა ერისა თანა მშუებელმან.

6)\* ხოლო ვინამთგან კმასაყოფელად მათდა აქუნდეს ესენი და არცა ერთი ღმრთისა მიმართისა კეთილმსახურებისაგან დაკლებულ იყო, თითოეულნი თავად თჳსად, მეფისაგან განტევებულნი, წარვიდეს, მმადლობელნი მეფისანი მათდა მიმართისა მოურნეობისათჳს და საქმეთათჳს, რომელნი აჩუენნა და ილოცვიდეს ღმრთისა მიმართ მინიჭებასა მათდა მრავალსა ჟამსა შინა სალომონ მეფისასა. ხოლო სლვასა მყოფდეს სიხარულითა და განცხროპითა, ქებათა მეტყუელნი ღმრთისა მიმართ, ვიღრელა მხიარულებისა მიერ ყოველთა უშრომელად სრულ-ყვეს გზად, თჳსთა მიმართ მიმუყანებელი. და იგინი ვიღრემე, კიდობანსა ტაძრად მიმყვანებელნი, სილიდესა და შუენიერებასა მისსა მხილველნი და მსხუერპლთაგან მას შინა და დღესასწაულთა მიმღებელნი, თჳსთა მიმართ ქალაქთა თითოეულნი უკუნ-იქცეს.

ხოლო ჩინებულმან ძილთა შინა მეფისა, გამოჩინებულმან, აუწყა მას ლოკვისა მისისად მსმენელქმნილობამ ღმრთისაჲ და ვითარმედ დაიცივას ტაძარი და მარადის მას შინა დაადგრეს, უკუეთუ შეილნი მისნი და ყოველი სიმრავლე სამართალთა იქმოდინ. ხოლო იგი თუ პირველად დაადგრეს მცნებათა ზედა მამისათა, იტყოდა სიმართლედ და სილიდედ აურაცხელად კეთილბედნიერობნად აღყვანებასა მისსა და მეფობასა მარადის სოფლისასა და იუდაის ნათესვისასა, ნათესვისა მისისაგან მყოფთასა. ხოლო დამტევებელი ქცევათაჲ

და უმეტრებისა მათისა მოქმედი და უცხოთა ღმერთთა მსახურებად გარდაცვალებული, ძირითურთ მოქუეთოს და არცა ნათესვისა რაფე ნაწილი დაუტეოს მას და არცა ისრაილიტთა ერი უვნებელ ყოს, არამედ ბრძოლათა მიერ და ბოროტთა ბევრეულთა უჩინო-ყოს და ქუეყანისაგან, რომელი მამათა მათთა მისცა, განმკდელმან, მიდმომაკლნი უცხოთა ქუეყანასა შინა დაადგინნეს, ხოლო ტაძარი, აწ შენგებული, დასაწუგელად და მისატაკებლად მტერთა მისცეს და აღფხურას ქალაქიცა კელთა მიერ მბრძოლთაჲსა. და ყვნეს ღირს ზღაპრობათა მათ შორისნი ბოროტნი, გაიგონე და მრავლისა ურწმუნოებისა, გარდამატებულებსათეს სიდიდისა, ვიდრეღა მახლობელ მკედრნი, მსმენელნი განსაცდელი-სანი, განკრდებოდან და მიზეზსა მრავლად განზილველ იყვნენ, რომლისათეს ესრეთ საბუნელ იქმნეს ევრაელნი ღმერთისა, პირველად დიდებისა მიმართ და სიდიდისა მის მიერ აღყვანებულნი. დანეშტებულთაგან აღმსარებელთა ისწავებდენ ცოდვათა და მამულთა სჯულთაგან გარდასქლვათა).

ესენი ვიდრემე უკუე, ღმერთისა მიერ თქუმულად მის მიმართ ძილთა შინა, აღწერად არიან.

01. 5

1)\* ხოლო შემდგომად ტაძრისა შემზადებისა წელთა შინა შუდთა, ვითარცა წინაწარ ვთქუთ, სამეფოთა შენებაჲ იწყო, რომელი წელთა შინა სამთა და ათთა ძნიად აღასრულა, რამეთუ არა ამით სახითა სასწრაფო იყო იგი, რომლითა და ტაძარიცა, არამედ ამან ვიდრემე და დიდად მყოფმან და საკურველსა მოქმედებსა და უცხოთა მიმთხუეულმან, მერმეცა და ღმერთისა თანა-შეწყენითა, რომლისათეს იქმნა, პირველთქუმულთა წელთა შინა მიიღო დასასრული. ხოლო საშეფონი, მრავლად უღარეს დაძთხუეულნი ტაძრისა ღირსებინაგან და არცა ნიეთისა და ესევითარისა პატივისმრყოყარებისა შემზადებითა ესოდენსავე ყანსა შინა და მეფედღა სამკედრებელქმნისათეს, არამედ არა ღმერთისა, მიმყოგრებით აღესრულნეს. და ესენი ვიდრემე უკუე ღირსნი სიტყუსანი კეთილბედნურობისაგან ევრაელთა სოფლისა და მეფისა აღმეზნენს, ხოლო ყოვლისა განწესებისა მათისა და შემზადებისა მოთხრობაჲ საქირო არს, რამთა ესრეთ ამისგან აქუნდეს საცნაურებაჲ სიდიდისაჲ მიმთხუეულ მგულბელთა წერილისათა.

2)\* სახლი იყო დიდი და კეთილი, მრავალთა სუეტთა მიერ დამტყიცებულნი, რომელი ბჭობათეს და საქმეთა გამოძიებთა შემზად, შეწყნარებად სიმრავლისა, დატეწად შემოკრებულთა კაცთა და სჯათათეს მოსრულთა, ასთა ვიდრემე წყრათათა სოვრით. ხოლო სიფართით — ორმოცდაათთაჲ და სიმადლით — ოცდაათთაჲ. სუეტთა ვიდრემე მიერ ოთხკუთხთა აღმართებული ნამკსა თანა ყოველთა, ხოლო ფიცრითა დასართულებული<sup>20</sup>, ხოლო სწორწყითლთაგან და კართა სან-ხუეწილთა მტყიცე იყო ერთბაჲდ და განშუენებულ და სხუაჲ უკუე სახლი იყო საშუვალი, ყოვლისა სიფართისა მიმართ დაწესებული, სიფართით წყრათათა ოცდაათთაჲ, სხუასა მქონე / ბელი პირის-პირ, 143

\* III მეფ. 7,1. <sup>10</sup> III მეფ. 7,2; 10,18. <sup>20</sup> *ἀσπεδομένης δὲ Κορινθίας θύρας* (= გადახურული კორინთულად). S: დასართულებული მხვავად კორინთულთა.

<sup>0</sup> შესაკრებლისათეს.

მახვლთა სუეტთა მიერ აღმართებულსა. ხოლო იყო მას შინა საჯდომი შუენიერი, რომელსა შინა მჯდომი მეფე სჯიდის. რომელსა თანა შეერთებულ იყო სხუად სახლი, შემზადებული დედოფლისათჳს და ნეშტნი სამკუდრებელნი, მოქცეობისა და განსუენებისა ძლითნი შემდგომად საქმეთაგან შუებისა, ყოველნი მოფენილნი ფიცართაგან ნაძუთა მიერ მოკუეთილთა.

და ესენი ვიდრემე აღაშენნა ქვათაგან ათ წყრათაა, ხოლო სხუთა, ხერხულითა და მრავალფასისადათა, ზღუდენი შემოსნა, რომელი სამკაულად სამღვდელოდ და სამეფოთა სახლთა განსაშუენებელად ქუეყანასა შინა აღმოითხრების, მომღებელთა მისთა ადგილთა შინა ქებულსა. და მის მიერი ვიდრემე შუენიერებაჲ სამ წესად იყო ნაქუსი, ხოლო ნაწილითა აღმომთხრელთადათა განკვრევებაჲ შინაიკებდა კელოვნებისასა, რომელთა მიერ ქმნილ იყვნეს ხენი და ნერგნი მრავალ-ფერნი, თან ჩრდილოვანნი რტოთაგან და შთამოკიდებულთა მ.თ.ად ფურცელთაგან, ვიდრელა საგონებელ იყო მიდომირგად მათი გარდამატებულეებისათჳს სიცხისა და დაფარვაჲ მათ ქუეთაჲ ქვათაჲ. ხოლო სხუად ვიდრე სართულადმდე ცხებულ იყო და მრავალ-სახედ ქმნილი წამლთა\* მიერ და წერილთა. და შეკმზადნა ამათ თანა სხუანიცა სახლი განსასუენებელად და სხუანი ვრცელნი და მღებარენი სიკეთესა შინა სამეფოთასა, რომელთა შინა ბრწყინვალე სახლი სერობათათჳს და სასმელთა, ოქროთაჲ აღსავსე იყო და სხუთა უკუე, რაოდენთაჲ ამის მიერ ქონებაჲ ჯერ-იყო, კურკულთაჲ სამსახურებელად მსერებელთაჲ, რომელნიცა ყოველნივე ოქროსაგან შემზადებულ იყვნეს. ძნელ არს აღრიცხუვაჲ მათი და მითხრობაჲ სიდიდესა და მრავალსახეობასა სამეფოთასა, რაოდენნი ვიდრემე იყვნეს ამათგან დიდნი სამკუდრებელნი, ხოლო რაოდენნი—ქუეყანის ქუეშენი და უჩინონი და თანად შუენიერებაჲ აღმართებულთაჲ აგრად და სერტყოვანნი ხედვისა მიმართ განცხრომისა ძლით და სიცხისა განცხრომით განლტოლვისა და საფარველად-ყოფისა სხეულთაჲ. ხოლო შეთაგებულად ითქუენინ ყოველი შენებაჲ ქვისაგან სპეტაკისა და ნაძვისა და ოქროსა და ვეცხლისა ქმნა ყოველი. და სართულნი და ზღუდენი განაყენნა ქვათაგან, ოქროსა შინა დამსკუალულთა და ნითვე სახითა, ვითარ და ტაძარიცა ღმრთისაჲ, ამათ მიერ განაბრწყინვა. ხოლო შექმნა და პილოჲ ძელისაგანცა საყდარი დიდი, შემზადებით აღსავალთა, ხარისხთა ექუსთა მქონებელი. და თითოეულსა ამათსა თითოეულისა კერძოთაგან ორნი ლომნი ზედმდგომარე იყვნეს და ესეოდენნი სხუანი ზედა კერძო მდგომარეობდის. ხოლო ადგილი საჯდომი საყდრისაჲ კელნი იყვნეს, შემწყყარებელნი მეფისანი. და დამტკიცებულ იყვნეს კბოასა თავსა შინა, უკუანა კერძოთა მისთაჲ მხედველისა. ხოლო ყოველი ოქროთა შეკრულ იყო.

3) \* ესენი სალომონ ოც წელ შემზადნა. და ვინაითგან ფრიადი ვიდრემე ოქროჲ, ხოლო უმრავლესი ვეცხლი ტურელთა მეფემან ირომოს მოართუა მას შენებისა მიმართ, ნაცვალ-შინაიჭნა ამაჲცა დიდნი ძლუენნი ირომოსს, იფქლსა წლითი-წლად წარმავლენელმან მისა მიმართ და ღუნოსა და ზეთსა, რომელთა უფროსდა მოქენე იყო ჰალაკსა შინა მკვდრობისა ძლით, ვითარცა წინაწარეთქუთ. და ამათ თანა ქალაქნი ღალილეაჲსნი, ოცნი ვიდრემე რიცხუთ, ხოლო

1 ქუეთა. 2 ოქროსათა. 3 მისთა/+მისთა A.

\* χρῆμασι 8127 = საღებავით. 1\* III მეფ. 9, 10.

არა შორს მდებარენი ტურომსაგან, მიანიჭნა მას, რომელთაცა შინა მიღმომავალსა და მომხედველსა ირომოს არა სთნდა ნიჭი და წარმავლენელი სალომონოს მიმართ, ეტყოდა არა მოქნებობასა ქალაქთასა. და მიეჩითგან იწოდნეს ესენი ზავალონ ქუეყანად, რამეთუ, გაპოთარგმანებული ზავალონ ფინიკიელთა ენისაებრ, არა თნებასა მოასწავებს.

და მოსიბრძნენი და სიტყუენი იგავოანნი წარავლინნა სალომონოს მიმართ ტყრელთა მეფემან, მეედრებელმან, რამთა ესენი განუტყაზნეს მას და ულონოებისაგან მათ შინა ძიებულთაჲსა განათავისუფლოს. ხოლო ამას, ბრძანად და გონიერად მყოფსა, არცა ერთი ამათგან ევლტო, არამედ გონებითა ყოველთა მძლეველმან და გულისკმისყოფელმან მოგონებისა მათისამან, განანათლნა. ხოლო მოიკსენებს ამათ ორთა მეფეთასა / და მენანდროცა, გარდა-  
 მთარგმნელი ფინიკიელთა ენისაგან მთავრობათა ტყრელთასა<sup>1</sup> ელლინთა კმად, მეტყუელი ესრეთ:

„ხოლო აღსრულდა რამ ავივალოს<sup>1</sup>, მითუალა მისგან მეფობაჲ ძემან ირომოს, რომელიცა, ცხორებული წელთა ორმოცდაათსაჲმეტთა, მეფობდა ოცდაათთა და ოთხთა<sup>2</sup>. ამან აღადნო ვრცელი სუეტი ოქროსაჲ და დროხთა შინა შეწირა და ამას თანა ნივთი ძელთაჲ, წარსრულმან, მოკჳეთა მთისაგან, სახელდებულისა ლივანოდ, სამღდელთა სართულთათჳს. დამამკობელმან ძუელთა სამღდელთამან ტაძარი აღაშენა ირაკლეოზისი და ასტარტისი და პირველად ამან ქმნა აღმართებდა ტაძარსა ირაკლეოზისსა პერიტიოზსა თუეჲსა შინა. თანად ამკელთა ზედა აღიმკედრა, არა მიმცემელთა მისდა ხარკთასა და დამმორჩილებელი კუალად უკუნ-იქცა თავად თჳსად. ამისა ზე იყო ავღიმოს, ყრმაჲ კაბუქი, რომელი მარადის სძლედა იგავთა, რომელთა უბრძანებდის სალომონ, იეროსოლჳმათა მეფე<sup>3</sup>. ხოლო მოიკსენებს დიოსცა, მეტყუელი ესრეთ:

„ავივალოს რამ აღსრულდა, ძე მისი ირომოს განმეფნა. ესე აღმოსავლეთით მიმართ კერძოთა თანა ქალაქისათა დაემკედრა<sup>2</sup> და ოლჳმობოზს დიოზს სამღდელ<sup>2</sup>, თჳსგან აღმმართებელმან საშუვალ მყოფი აღგლი, შეაერთა ქალაქსა და ოქროსა აღნაღებთა მიერ შეამკო. და აღსრულმან ლივანოდ, მოკჳეთნა ხენი აღშენებოსათჳს სამღდელთაჲსა. ხოლო სალომონოსგან, მძლეერისა იეროსოლჳმათასა, წარვლენასა იტყჳს ირომოს მიმართ იგავთასა და მის მიერ აღქსნათა მიღებად ვედრებასა და რამთა არა შემძლებელმან განჩიებად, აღმკსნელსა საკმარნი მისცნეს. ხოლო ირომოს, აღმსაარებელმან და არა შემძლებელმან აღქსნად იგავთა, მრავალნი საკმართაგან ზღვევისა მიმართ აღლოენა. და შემდგომად ავღიმოს ვინმე, მამაკაცმან ტყრელმან, წინადანსხმულნა აჳქსნნა და სხუანი წინა-უყვნა ამან, რომელთა არა აღმკსნელმან სალომონ მრავალნი ირომოსს ნაცვალ-აგნა საკმარნი<sup>3</sup>. დიოს ვიდრემე ესრეთ თჳუა.

1 აველოს AQ. Ἰβιδίου 8<sub>144</sub>. 2 სამღდელთა. 3 შეაერთო AQ.

<sup>1</sup> τὰ Τυρίων ἀρχαία 8<sub>144</sub>. (ტყრელთა სიძველეებ, მატანე). <sup>2</sup> ὡς Ἐυβέρωτος τὸν τὴν εἰς Χρυσόθεν κλίμα 8<sub>145</sub>. S: ამან სამეფოდ თჳსად შეერთებულ ჳყო, ესრეთ წოდებულ დიდი ევო და აღმართა სუეტი ოქროსაჲსა. D=AQ. <sup>3</sup> დაემკედრა|+მთეს ეს პრინ: ἄνα ἰσίδας μάρτυ τῆς πόλεως περιστέχασα καὶ μαιζῶν τὸ ἄστυ ἐπιόησεν 8<sub>147</sub> = ეს იყო ის, ვინც ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილს მიწყაროებუ მიუერთა და ამით ის გააღიდა).

## 01. 6

1)\* ხოლო ვინაიდან ხედვიდა მეფე ზღუდეთა იეროსოლუმათასა, მოქენეთა გოდოლთასა სიმტკიცისა მიმართ და სხვსა სიმაგრისა, რამეთუ ღირსებინა მიმართა ქალაქისა მცირედ შეპრაცხდა ზღუდეთა, რომლისათვისცა ზედ-შეპშუდა და გოდოლთა მიერ დიდთა აღმატებულ-ყვნა ესენი. ხოლო აღაშენნა ქალაქნიცა, დიდთა თანა შერაცხილნი, დორთა და მაგედოა. და მესამე ლაზარია<sup>1</sup>, პალესტინელთა სოფელსა შინა მყოფი, რომელიცა ფარაოთის, ეგვიპტელთა მეფეჲს, აღმკვდრებულმან და მოკრებულმან, იყრა ძლიერებით. და მოსრეულმან ყოველთა მას შინა დამკვდრებულთამან, დაამკუა და ავისა შემდგომად ნიჲჲსად მისცა ასულსა თქსსა, სალომონოჲს ქორწინებულსა, რომლისათვისცა აღჲმართა იგი ჩეფემან, მტკიცედ მყოფი ბუნებით და ბრძოლათა მიმართ დაჲამთა ცვალებისა საკმარ-ყოფად შემძლებელი. ხოლო არა შორს მისგან სხუანი აღაშენნა ორნი ქალაქნი: ვიტხორა ერთისა სახელი, ხოლო სხვსაჲ — ვათელ იწოდებოდა. და ამას თანა შეპნაღანა სხუანიცა, განსუენებინა მიმართ და შუებისა მარჯუდ მქონებელნი კეთილშეზავებისათვისცა აურთაჲსა, კეთილდადებულნი შუენიერებათათვის<sup>2</sup> და ცუთაროვანი წყაროთა მიერ წყალთაჲსა. ხოლო წარსრულმან უდაბნოსა ზედა ზენა კერძოსა სვრიაჲსსა და დამპყრობელმან მისმან, აღაშენა მუნ ქალაქი დიდი, ორთა დღეთა გზითა განშორებულნი ზენა კერძოსა სვრიაჲსაგან<sup>3</sup>, ხოლო ეფერატისაგან — ერთითა და დიდისა ვაკელოვნისაგან — ექუსთაჲ დღეთა სივრცითა. ხოლო მიზეზი ქალაქისაჲ ესრეთ შორს განყენებისაჲ დამკვდრებულთა კერძოთაგან სვრიაჲსათა — არასადა ყოფაჲ წყლისაჲ უქუენაჲსა კერძოსა ქუეყანისაჲ, ხოლო წყაროთა მას აღგილსა შინა მხოლოდ პოვნაჲ და ჭურღუმულთაჲ. ამას უკუე ქალაქსა აღაშენებელმან და ზღუდეთა მიერ მტკიცეთა მომზღუდველმან თადამორად სახელ-სდგა<sup>4</sup>. და ესე ვიდრე აქამომდე იწოდების სურთაგან, ხოლო ელინნი პარაპალად სახელ-სდებენ მას.

144

2) სალომონ ვიდრემე უკუე მეფე მას ჟამსა შინა ამით მოქმედ იყო. ხოლო მემძებელთა მიმართ, ვითარმედ ყოველნი ეგვიპტელთა მეფენი მინუოასითგან, მემფის აღაშენებელსა, რომელ უწინარეს წელთა მრავალთა პაპისა ჩუენისა ავრამოს ვიდრე სალომონოსადმდე გარდასლეთა, წელთა უმრავლესთაჲთა ვიდრე / სამასთა და ათასთაჲთა ფარაოთიდ იწოდნეს, შემდგომად საშუალო წარსრულთა ჟამთა მთავრობისა მეფისა ფარაოთისაგან სახელისდებინა მიმღებელნი. საჭიროდ შეეპრაცხე თქუმაჲ, რამთა აღვილო მათგან უმეტრებაჲ და ეყო ცხადი მიზეზი სახელისაჲ: და ფარაო ეგვიპტელთაჲბრ მეფესა მოასწავებს. ხოლო ვპოვნებ მათ, საყრდესა შინა სხვსა სახელისა მკუთხველთა, ვინაიდან მეფე იქმნენ, მომასწავებელისა მიმართ კელმწიფებასა მათსა მამულისა ენი-საებრ გარდაისახებებიან. და რამეთუ აღუქსანდრიაჲსა მეფენი, სხუათა სახელთა მიერ წოდებულნი, რაჲმას მეფობაჲ მიიღეს, პტოლემეოდ. იწოდნეს. პარველისა მეფისაგან. ხოლო რომნი ავტოკრატორნი<sup>5</sup>, შობითგან სხუათა სა-

<sup>1</sup> ლაზარია AQ, ლაზარა S. <sup>2</sup> სვრიაჲს AS. <sup>3</sup> ექუსთა A. <sup>4</sup> სახელ-სდგა A, სახელ-სლდა S.

<sup>5</sup> III მეფ. 9, 15. II ნუმტო. 8, 1. <sup>6</sup> εἰς ἀπειρὸν ἀφυσίς Ἡ. (= სეზონურად იყავებულნი).

<sup>7</sup> თემპყრობელნი.

ხელთა მკუმეველნი, კესარად იწოდნეს, მთავრობისა მიერ მიმცემელისა მათდა პატივისა სახელისასა, არამედ არა რომელნი მამათაგან ეწოდნეს, ამით ზედა დადგრომილნი. რამეთუ ეგვონებ იროდოტოსისა ალიკარნასელსა ამისთვის არა ცხად-ყოფად სახელებთა<sup>1</sup> მათთა, რამეთუ ზოგად ფარათი იწოდებოდეს, ვინამთგან შემდგომად შინეოას, მემფისა აღმაშენებელსა, ოცდაათნი და სამასნი მეფენი იქმნეს ეგვიპტელთანი. და რამეთუ შემდგომად ამათსა აღსარულებისა დედაკაცისა მმეფობისა იტყვს სახელსა, ნიკავლიდ მწოდებელი და ცხად არს, ვითარმედ მამარნი ვიდრევე მეფენი მასვე სახესა სახელსა ქონებად შემძლებელ იყვნეს, ხოლო დედაკაცი არა მერმეცა ეზიარებოდა ამით და ამისთვის აჟუა სახელი მისი, მოქენე ბუნებისა. ხოლო მე და ადგილისათაჲ ჩუენთა წიგნთა შინა ეპოვე, ვითარმედ შემდგომად ფარათის, სალომონოას სიმამრისა<sup>2</sup>, არაეინ ამით სახელითა მეფე ეგვიპტელთა იწოდა და ვითარმედ უკუანამსკნელ მოვიდა სალომონოას მიმართ პირველთქუელი დედაკაცი, მმეფობი ეგვიპტისა და ეთიოპიასა. და ამისათვის ვიდრევე უკუე შემდგომად არამრავლისა ცხად-ვეყოთ, ხოლო ამათი მოვიცენე, რამთა წარმოვადგინებ წიგნნი ჩუენნი და ეგვიპტელთათვისცა მრავალთა აღმსარებელად.

3)\* და მეფემან უკუე სალომონ არა მერმეცა ხანანულთაგან დამორჩილებულნი, რომელნი ლივანოსა მთასა შინა მქცეველობდეს<sup>3</sup> ვიდრე ქალაქთაღმდე, ამათისა კელისქუეშე მყოფელისამან ხარკნი უბრძანნა მათ და მსახურებისათვის მისისა და მონებრივთა კელთაგან პურობისა და მუშაკობისა მიმართ წლითი-წლად მათგან გამოირჩევედა, რამეთუ ევრაელთაგან არაეინ ჰმსახურებდა, არცა ჭერ-იყო, ვინამთგან ღმერთსა მრავალნი ნათესავენი მიეცნეს მათდა კელისქუეშედ, ჭერ-იყო უკუე ამათგან მოქმედებამ მუშაკობისა, ამათგან მიყვანებოთ ამის სახისა მიმართ. არამედ ყოველნი იყვნეს საქურველთა შინა, ეტლთა ზედა და ცხენთა აღმკედრებულნი უფროასდა, ვიდრე მსახურნი. ხოლო ხანანელთაგან, რომელნი მონებისა მიმართ მიიყვანნა, ამათგან მთავარნი განაჩინნა ხუთასნი და ორმოცდაათნი რიცხვთ, რომელთა ყოველი ზედამხედველობამ მათი მიიღეს მეფისაგან, რამთა ასწავებდენ მათ საქმთა და მოქმედებათა, რომელთა ზედა იყუმევედა მათ.

4)\* ხოლო მეფე ნავთშემყვანებელ<sup>4</sup> იქმნა ეგვიპტისა უბესა შინა, კარცლთა მრავალთა ადგილსა რომელსამე შინა მეწამულისა ზღვსასა, დასიონ-დაველ წოდებულსა, არა შორს ელანისა ქალაქისაგან, რომელსა აწ ვერენიყო ეწოდებოს, რამეთუ ესე სოფელი პირველად იუდეულთა იყო. ხოლო მიემთხვა შესატყვისსა სიქსა ნავთა მიმართ ირომოსს მიერ, ტურელთა მეფისა, რამეთუ მამაკაცი, ნავისმმართნი და ზღვსათა მეცნიერნი, კმასაყოფელნი წარუვლინნა მას, რომელთაცა<sup>5</sup>, წარსრულთა თქსთა განმგებელთა თანა ბუელად ვიდრევე სოფირად, ხოლო აწ ოქროსა ქუეყანად წოდებულად, არს უკუე ესე ინდოე-

<sup>1</sup> სახელებთა AQ. <sup>2</sup> ფარათის, სალომონოას სიმამრისა|სალომონო ფარათის სიმამრისა. AQ. <sup>3</sup> მეცეველობდეს A. <sup>4</sup> ნავთშემყვანებელ QS. D=A. 'Ναυπηγετης Β, 122. (=ნავთშემყვანებელ). <sup>5</sup> ოსს AQ.

\* III მეფ. 9, 20. II ნეშტ. 8. 7. \* III მეფ. 9. 26. II ნეშტ 8. 17.

o ევრაელთაგან.

თისაჲ, უბრძანა<sup>1</sup> ოქროსა მოღებამ მისდა. და შემკრებელნი ვითარ ოთხასთა ტალანტანნი, კუალად უკუნ-იქცეს მეფისა მიმართ.

5)\* ხოლო დედაჯაცი, მმეფობი ქუეყანისა ეგვიპტისაჲ და ეთიოპიასაჲ, სიბრძნითა განშუენებული<sup>1</sup> და სხუათა მიერ საკვრველი<sup>2</sup>, მსმენელი სათნოებასა და სიბრძნესა სალომონისასა, სურვალითა ხილვისა მისისაჲთა და დლითი-დღე მუნ შინა თქუმულთაჲთა თავისა მიერ თვისისა მიიყვანა, რამეთუ ირწმუნოს გამოცდილებისა მიერ და არა სასმენელისა, რომლისაჲ ჯერ-არს და ცრუსაჲცა მკუქველობასა შინა დადებამ და კუალად გარდარწმუნებამ, რამეთუ ყოველი ნებებით მოთხრობილთა შინა მღებარე არს, რომლისათჳს მისა მიმართ მოსლვამ აგრძნა, უმეტეს და სიბრძნისა მისისა გამოცდილებასა მიღებად მნებებელი, თუთ მიმართებული და აღჰსნად უღონოებასა გონებისასა მოქენე.

მევიდა იეროსოლმად შემზადებასა თანა მრავლისა დიდებისა და სიმდიდრისა, რამეთუ მიიყვანებდა აქლემთა, აღტრათულთა ოქროითა და ნელსაკებლითა / და ქვითა მრავალფასისაჲთა. ხოლო იგი, მიწვევნილი, ვითარ შეიწყნარა მეფემან მხიარულებით, სხუათაჲცა შინა პატვიისმოყუარე იყო მისა მიმართ და წინადსახულთაჲცა მოსიბრძნეათა აღვილად, გონიერებითა წვენილი, მეყუსეულად, გარეშე მოლოდებისა, აღჰსანიდის. ხოლო იგი განკვრდებოდა ვიდრეჲე სიბრძნესა ზედა სალომონოზასა, ესრეთ გარდამატებულსა და სმენილისაგანცა უმჯობესად მსწავლელი. ხოლო უფროსდა განკვრდებოდა სამეფოთა ზედა, რუენიერებისათჳს და სიდიდისა და არა უდარეს განწესებისათჳს შენებათაჲსა და რამეთუ ამას შინა მრავალსა ხედვიდა მეფისა გონიერებასა. და უფროსდა განაკვრდებდა მას სახლი, დრკმითა ლივანოზად წოდებული და დლითი-დღედი მრავალსახეობამ სერობათამ და შემზადებულებამ მისთამ და მსახურებამ და მსახურთა შესამოსელი და კელოვნებით განგებამ შუენიერებისა მათისაჲ, ხოლო არა უდარეს და დლითი-დღედნი აღსრულებულნი მსხუერპლნი ღმრთისათჳს და მოურნეობამ მათდა მიმართი მღდელთა და ლევიტელთაჲ. ამათი ნჯდველი დლითი-დღე ზესთ-განკვრდებოდა და დაპყრობად არა შემძლებელმან საკვრველებასა ხილულთასა ცხად-ყო თავი თჳსი განკვრეებით მღებარე, რამეთუ იძუელა მეფისა მიმართ სიტყუათა თქუმად, რომელთაშიერ იმხილა ფრად ძლეული გონებითა პირველთქუმულთაგან. „რამეთუ ყოველნი ვიდრეჲე, თქუა, ო მეფე, სასმენელისა მიმართ მეცნიერებად მოსრულნი, ურწმუნოებით მოიწვიან. ხოლო შენთა კეთილთაჲ, რომელნი შენ გაქუან თჳსაგან, ვიტყჳ უკუე სიბრძნესა და გონიერებასა და რომელთა მეფობამ მოგცემს შენ, არასადმე ცრუჲ განთქუმილებამ მოვიდა ჩუენდა მომართ, არამედ მყოფმან ჰუმარიტად, ფრიად უდარესად აღმოაჩინა კეთილბედნიერობამ ამისგან, რომელსა ვხედავ აწ მოწვეწული, რამეთუ სასმენელთა მხოლოთა ვიდრეჲე რწმუნებად კელ-ჰყოფდა, ხოლო ღირსებასა საქმეთასა არა ესრეთ საცნაურჰყოფდა, ვითარ ჰახედველი და მათ შორის ყოფამ დაადგინებს ამას. მე უკუე, არცა მითხრობილთა მრწმუნებულმან სიმრავლისათჳს, რომელნი მესმოდეს, ფრად უმრავლესნი ამათგან ვეხილენ და სანატრელად ყოფასა ევრაველთა

<sup>1</sup> განშუენებულსა AQ, განშუენებული S, განშუენებასა D. <sup>2</sup> საკვრველსა AQSD. ყუთაიხა თივილი ბიბლიოთეკაჲნი და ἔλλαθαι ἄσπασθαι ἄσπას

• III მეფ. 10.1. II ნეშტ. 9.1.

• ხანანელთაგან.



ერისასა ვსჯი, თანად მონათა შენთა და მოყუარეთასა, რომელნი დღითი-დღე შენისა ზილვისაგან იშუებენ და სიბრძნესა მსმენელ არიან. აჟურთხოვ ვინმე ღმერთი, შემყუარებელი ამის ჭოფლისა და მას შინა დამკვდრებულთაჲ ეს-რეთ, რამეთუ მეფე-გყო შენი!»

6)\* ხოლო წარმოვადგინო და სიტყუათაცა მიერ, ვითარ ქმნა იგი მეფემან. მერმეცა და ნიჭთა მიერ გონებამ მისი ცხად-ყო, რამეთუ ოცნი ტალანტნი ოქროსანი მისცნა მას და თანად სიმრავლე სულნელებათაჲ აღურიცხუველი და ჭკობა მრავალფასისაჲ. ხოლო იტყუან, ვითარმედ და ვალსამოხსანცა ძირი გუაქუს მოცემული დედაცაისაგან, რომელსა მერმეცა აწ ჩუენი ქუეყანაჲ აღმოაქუნებს. ნაცვალ-ანიჭნა უკუე მას და სოლომონცა მრავალთა კეთილთა ბიერ და უფრომალა, რომელთაცა სურვილით გამოირჩედა, რამეთუ არა იყო, რომელი, მიღებად მოქენესა, არა მიანიჭა, არამედ უპალიადეს წინამიმცემელი, რომელთა ზედა თუთ მშუებელ იყო თჳსითა წინააღრჩევითა, რომელთასა იგი მიმთხუეესა ევედრებოდა. ამათ მიერ დიდგონიერებასა თჳსსა აჩუენებდა.

და ეგვტვლთა ვიდრე და ეთიოპიასა დედოფალი, მიმთხუეული წინაწარ-თქმულთაჲ და გარდამცემელი კუალად მეფისაჲ, მისთაგან სახიდ თჳსად უკუნ-იქცა.

თ. 7

1)\* ხოლო ამას ვიდრე ეამსა მოღებულ იქმნა მეფისა ოქროსად წოდებულისა ქუეყანისაგან ქვაჲ მრავალფასისაჲ და ძელნი ნაძუთაგან. და ძელნი უკუე დასამკვდრებელად ტაძრისა და სამეფოთა იკუმინა და სამუსიკო სახიობათა მიმართ შესამზადებელად, ქნართა მიმართ და ორღანოთა, რამთა აქებდენ ლევიტელნი ღმერთსა. ხოლო ყოველთა, ოდესევე მოღებულთა მისა მიმართ, მას დღესა შინა მოხუბულნი, სიდიდითა და შუენიერებითა აღმატებულ იყვნეს. გარნა ნუვიზ ჰგონებს, ვითარმედ ძელნი ნაძესანი მსგავსნი არიან სახელდებულთა. და ამას სახელისდებასა მიმღებელ არიან გამსყიდელთაგან განკვრევისათჳს მისყიდელთაჲსა, რამეთუ იგინი ვიდრემე სახითა მსგავს არიან ლედესათა, უსპეტაკეს უკუე არიან და უმეტეს ბრწყინვალე. ესე უკუე ვიდრემე, რამთა არავინ უმეტერბდეს განყოფილებასა, არცა ბუნებასა ქემშარიტისა ნაძესასა, ეინაბთგან მოვიკსენეთ ამისი სავმარებისათჳს მეფისა. კეთილუამიერად და კაცთმოყუარედ შეჳრაცხელთა ცხადყოფასა ამისსა ვთქვთ.

2)\* ხოლო საწონი ოქროსაჲ, რომელი შოილეს მისდა, ტალანტნი ექუსას და სამეციცდაქუსნი და არა თანა-ალირაცხა ვაჭართა მიერ მოსყიდული და არცა ნიჭნი, რომელნი არავიასა ადგილთმთავართა და მეფეთა წა/რუელინნეს მას. ხოლო აღადნო ოქროჲ შესამზადებელად ორასთა ფართათჳს და თითოეული მქონებელ იყო ექუსასთა სიკლოსთა. და ქმნნა ჰოროლნიცა სამასნი და მქონებელ იყო თითოეული მნათა ოქროსათა ჯამთა. და დასხნა იგინი, მომღებელმან, სახლად, დრემონ ლივანოხსად წოდებულად. არა ესე მხოლოდ, არამედ

145

\* III მეფ. 10,10. II ნეშტ. 9,9. 1\* III მეფ. 10,11. II ნეშტ. 9,10. 2\* III მეფ. 10,14. II ნეშტ. 9,13.

და საბურველნიცა\* ოქროსაგან და ქვისა შემპზანდა სერობისა მიმართ, რათა უფროსდა იყო კელოვნებისმოყუარე. და სხუადცა სიმრავლე კურკველთა ყოველი ოქროსაგან იველოვნა, რამეთუ არაჲა იყო, რომელიმცა ვეცხლითა ვისაჲ მოეყიდა, გინა კჳალად განეყიდა. რამეთუ მრავალნი იყვნეს ნაენი, რომელთაცა ტარისხად სახელდებულსა ზღუასა შინა დამადგინებელმან მეფემან წარუბნა უშნაგანესთა ნათესაეთა მიმართ ყოვლისა სეაჭროსაჲ ბრძანა, რომელნი, განისყიდვოდეს რაჲ, ვეცხლი და ოქროჲ მოიღებოდა მეფისა და ფრიადი პილოჲ და ეთიოპნი და პითიკნი\*. ხოლო სლვასა, წარსრულნი და აღმონავალნი, სამთა წელთა შინა სრულჰყოფდეს.

3)2\* და განთქმულებდა უკუე ბრწყინვალე ყოველსა გარემოსსა ქუეყანასა მიდმოჰვლიდა. და მკობელი სალომონოს სათნოებისა და სიბრძნისაჲ, ვიდრეღა ყოველთაჲთ წადიერ იყვნეს მეფენი სახედველად მისდა მოწივენასა, გარდამატებულებისათჳს თქმულთაჲსა ურწმუნონი და ნიჭთა დიდთა მიერ აჩუენებდეს მისა მიმართსა ეოსწრაფებასა. რამეთუ წარმოუვლინებდეს მას კურკველთა ოქროსა და ვეცხლისათა და პორფურასა შესამოსელთა და სულნელთა მრავალთა და ეტლთა და ცხენთა და ნეტურთეთა ჯორთა, რაოდენთა გამოარჩევდეს ძლიერებისათჳს და შუენიერებისა სახედველსა მეფისასა კეთილდადებად. ვიდრეღა მისდა მყოფთა თანა პირველად ეტლთა და ცხენთა თანაშეერთებითა წარკეშულთაჲთა იქმნა ეტლთა ვიდრემე რაცხვ ოთხასთაგან უმეტესა, რამეთუ იყვნეს მისა პირველად ათასნი, ხოლო ცხენთაჲ ორ ათასი, რამეთუ იყვნეს მისა ორნი ბევრნი. ხოლო კმნილი იყვნეს ესენი შუენიერებისა მიმართ და სიკეთისა და სიმალით მორბელებისა, ვიდრეღა არცა უშუენიერესნი იპოებდეს. მათგან, არცა უმაღლესნი, არამედ უმაღლეს ყოველთაგან სახილველ იყვნეს და შეუსწორებელ იყო მორბელებად მათი. ხოლო განაშუენებდეს მათ ზედა აღნავალნიცა სიკბაუტითა ვიდრემე შუენიერთა პირველად ყუავილოანნი და სიმაღლით უკუე საჩინოდ მყოფნი და სხუათაგან მრავლად ზემთა აღმატებულნი, ვრცელთა ვიდრემე შთამომტევებელნი თმათანი და შემოსელნი სამოსელთანი ტურელისა პორფურასაგან. ხოლო ნამწულილთა ოქროსათა დლითი-დლე აფრქუევდეს თმათა მათთა ზედა, ვიდრეღა ელვარეობდეს თავნი მათნი ბრწყინვალეობისაგან ოქროსა, მზისა მიმართ მიდრეცილისა. და ესენი რაჲ უკუე. აღჭურვილნი და მშვლდთა შთამომკიდებელნი, გარემოსს მისა მყოფ იყვნინ: ეტლსა ზედა აღსრულსა მეფესა და სპეტაკისა სამოსელისა შემოსელსა, დლითი-დლე ჩუეულებად აქუნდის გარეგან განსლვად. ხოლო იყო აღგილი რომელიმე ორითა საბლითა3\* იეროსოლჳმთაგან, რომელსა ეწოდების მენილატ4\*, სამოთხეთაგან და მდინარეთა, მცენარეთა მდინარეობისა შუენიერად ერთბაჲად და მდიდრად მყოფი. ამისა მიმართ უკუე განსლვათა მოქმედ იყო წადიერებით.

4)5\* ხოლო საღმრთოსა ყოველთათჳს მკუმეველმან მოურნეობასა და მოსწრაფებასა და ფრიად შუენიერებისმოყუარემან არცა გზათაჲ უგულებ-

1 უფროსდა/ + ლა A. 2 მშვლდთა A. 3 შემოსელსა A.

4 რა დაჲმარაჲ 8188 (=ფილები). S: საჭურველნიცა. D=AQ. 10 πλῆθος 8181 (=მაიმუნები). 11 III მეფ. 10,23. II ნუმტ. 9,22. 12 ὅσοι σχολίου 8188 (δ, ἡ σχολιοσ=1 თოკი; 2) სივრცის ერთეული=5,5 კმ. იფლისხემა მეორე მნიშვნელობა). 13 μὲν Ἰσραὴλ 8188. S: თანაჲ. D=AQ. 14 III მეფ. 10,26. II ნუმტ. 9,25.

ბელს-ყო, არამედ და ამათგანნიცა, იეროსოლჳმად მიმყენებელნი, სამეფოდ მყოფნი, ქეთა მოჰფინნა შავითა, თანად რაჲთა ადვილ იყოს მავალთათჳს და რაჲთა ცხად-ჰყოფდეს პატრქსა სიმლიდრისა და მთავრობრასა. და განმყოფელ-მან ეტლთამან და განმაწესებელმან, რაჲთა თითოეულსა ქალაქსა შინა განსაზღვრებით იყო. რიცხუ ამათი, მან ვიდრემე თავისა თჳსისა თანა მკირედნი დაჰმარხნა და ამით უკუე ქალაქთა ეტლთად სახელს-სდევ. ხოლო ვეცხლისა ესოდენისა სიმრავლე ქმნა მეფემან იეროსოლჳმათა შინა, რაოდენ იყო და ქეთათაცა, და ფიქუსა ძელთად, რომელნი არა იყვნეს პირველად, ვიდრეღა და ხეთაგანცა ლელუს-ულელთაჲსა აღიგნნეს ველნი იუდეაჲსანი. ხოლო უბრძანა და ვაჰართაცა, ეგვბით მომღებელთა, მისყიდაჲ მისდა ეტლსა ვიდრემე ორთა თანა ცხენთა ექუსას ღრახმად ვეცხლისად. და იგი უკუე სურიაჲსა / მეფეთა და წიად იორდანისათა წარუვლენდა.

5)\* ხოლო უდიდებულესქმნილი ყოველთა მეფეთაგან და ღმრთისმოყუარე და სიბრძნითა და სიმლიდრითა გარდამატებული პირველ მისსა მთავრობასა ევრაელთასა მქონებელთაგან, არა დაადგრა ამათ ზედა ვიდრე აღსასრულამდე, არამედ დამტევებელმან მამულთა სჯულთა დაცვისამან არა მსგავსითა მათდა, რომელნი წინაწარ-თქუენით, დასასრულითა დააქცია ცხოვრებაჲ თჳსი. ხოლო დედაკაცთა მიმართ აღბორჯებული და აფროდისიობათა<sup>1</sup> უზომოდ, არა კმა-იყოფდა ქუეყანის შინათა მხოლოდ, არამედ მრავალთა და უცხოთა დედაკაც-თაცა ქორწინებული, სიღონელთა და ტურელთა და ამმანჩიდთა და იღუპელთა, გარდაჰვდა ვიდრემე მოჴსის სჯულთა, რომელმან უარყო დამკვდრებაჲ არა ერთმონათესევეთა თანა. ხოლო მათთა იწყო მსახურებაჲ ღმერთთაჲ, დედაკაც-თათჳს და მათდა მიმართისა ტრფიალებისა მიმნიჭებელმან, ვინაჲთგან ამისმან მეცნიერმან სჯულისმდებელმან წინაწარ-თქუა არა ქორწინებაჲ უცხო მსოფ-ლიოთაჲ, რაჲთა არა უცხოთა ჩუეჯულებათა თანაღწმასნილნი განზღვენ მამულ-თაგან და რაჲთა არა მათ თანა ჰმსახურონ, ღმერთთა თჳსისა დამტევებელთა. არამედ ამათ ვიდრემე უგულუბელს-ყო, შთავრდომილმან გემოვნებად უსიტყოდ სალომონ, მიმყენებელმან ცოლთამან ასულთა მთავართა და საჩინოთა-სა, შვდასთა რიცხვთ და ხარკთა სამასთასა და ამით თანა ასულსაცა ეგვბტელთა მეფისასა. და მეყუსეულად ვიდრემე იძლეოდა მათ მიერ<sup>1</sup>, ვიდრე მიმსგავსე-ბადმდევთ მათ მიერთა და იიბულებოდა მინიჭებად მათდა სახესა მოწლოებისა და სიყუარულისასა, მიმსგავსებული ცხოვრებითა, ვითარ მამული იყო მათდა. ხოლო წარუდებოდა რაჲ ჰასაკი და გონებაჲ უძღურ იქმნებოდა უამისათჳს პყრობად ვსენებასა მსოფლიოთა მოქალაქობათასა, მერმეცა უფროსსა ვილ-რემე ღმრთისაჲ უგულუბელს-ყო, ხოლო ქორწინებათა ზედღართულთა პატრი-ვისტემელ იყო. და ამით მიერ მცოდველობაჲ შეემთხუა მას და შეტომაჲ დაცვისა მიერ სჯულიერთაჲსა, ოდეს მსგავსებანი რვალისა კუროთანი შე-ჰმზაუნა, ზღუასა ქუეშე მყოფთანი შესაწირავად და ლომთანი გარემოსსა საყ-დარსა თჳსსა, რამეთუ არცა ამათი მოქმედებაჲ ჯარ-იყო. ხოლო კეთილსა მქო-ნებელ და საკუთარსა იგავსა სათნოებისასა მამასა და დიდებასა მისსა. რომ-ლისა დატევებაჲ შეემთხუა მას, არა მიმსგავსებულსა მისდა ღმრთისა მიმართი-თა კეთილმსახურებითა და ამას თანა ორგზის ღამოჩინებით: მისდა ღმრთისაჲთა

<sup>1</sup> მიერ/—AQ. შით S, პრტვ აბრეუ მ<sub>104</sub>.

\* III მეფ. 11,1. <sup>1</sup> წნუ ძფობთქნა მ<sub>101</sub> (=სასიყვარულო გართობანი).

ზედამხედველობათათეს იქუნეულობისათა მწუხარე იყო, ყოველსავე მოთმენად თავსმდებელი, ვიდრე ესევეითარისა პატივისაგან დაკლებული მონებისა თანა და შიშთა ცხორებად.

წარავლინებდა უკუე კლეოპატრას მიმართ, რომელთა შინა იყო მრავლად მგოდებელი და მვედრებელი შეწევნად მისა ძალისაებრ. ხოლო მან უბრძანა, რაჲთა ფარულად ეგვპტეს მივიდეს ყრმისა თანა მისისა მისა მიმართ. სთნდეს ესენი და მოიკვლოვნა ესევეითარნი: ორთა ლარნაკთა, ვითარ განსაღებულად მკუდართა შემზადებელი, ამათ შინა შთავიდა თვთ და ძეცა მისი. და ბრძანა მონათა, ამის საქმისა მეცნიერთა, ლამით განლებად მათი. ხოლო იყო მათდა მიერთთგან ზლუად მიმართ გზად და ნავი შემზადებული, რომლითა წარცურებდა ეგულებოდა ეგვპტეს. ესენი სავეგონს, მოყუარესა მისსა, ესოპოს, მონამან ალექსანდრამსმან მიუთხრნა, შვერდომილმან უწყებად მისა, ვითარ მეცნიერისა.

ხოლო ამისმან მსწავლელმან სავეგონ, და რამეთუ მტერი იყო იროდისი სავეგონ პირველად, ვინაჲთგან ერთად საგონებელ იყო ესე, რომელთა ზედგანიზრახეს მოწყალვად ანტიპატრომსა, სიძულელსა შეცვალეზად ჰგონა მოთხრობისა სიყუარულისათვის და აუწყა მეფესა ალექსანდრამს განზრახვად. ხოლო მან, ვიდრე კელყოფადმდე წარსლვისა დამტევებელმან, განლტოლვასა ზედა მპოვენელმან იპყრა იგი. და ნაცოდები ვიდრემე შეუნდო, ხოლო ბორტის-ყოფად არცა ერთი იკადრა, დალაკათუ ფრიად მნებებელ იყო, რამეთუ მოშიშ იყო კლეოპატრამსგან, უკუეთუ მიიღოს მიზეზი მისა მიმართისა სიძულელისა. და მაჩუენებელი დიდსულობისა, ფრიად სიმშვდით შემნდობელ ექმნა მათ, გარნა ყოვლითურთ/მნებებელ იყო. რაჲთა შორს-ქმნას ყრმად. არამედ არა მალიად სათონ-უჩნდა ამისი ქმნად ქმნულთა ზედა, რაჲთა დაფარულ იქმნეს ესევეითართა მოქმედი.

3. და ვინაჲთგან წარმოდგა მეკარეეობად, ხოლო ესე დღესასწაული არს ჩუენ შორის ფრიად შეკრძალული, ამათ დღეთა შინა იქმნა და მხიარულებათა შინა იყო თვთ იგი იროდი და ნეშტი ნათესავი. ხოლო ეგრეთვე აღძრა იგი ესევეითართა მიერ მოსწრაფებად წინააღრჩევისა თვისსა მიმართ ცხადად, აღმაბორგებელმან მისმან შურმან, რამეთუ ყრმად არისტოველოს, ათშვდმეტისა წლისად ქმნილი, ვინაჲთგან სჯულისაებრ აღვიდა ვომონსა ზედა შეწირვად მსხუერპლთა, სამკაულსა მქონებელი მდღელთმთავართასა და მსახურებისათა სრულმყოფელი, შეენიერებოდა უშუენიერესი და სიდიდითა უმეტეს აღსრული მასაკისაგან და ნათესავობითისა პატივისათვის უმეტეს საჩინოდ სახესა შინა, აღძრვაჲ სიყუარულისად ექმნა მისა მიმართ სიმრავლესა და არისტოველომს მიერ, პაპისა მისისა, მოქმედებულთა კსენებად ცხადი წარმოდგა. და ძლეულნი მციარედ-მციარედ იმხილებოდეს სიყუარულთაგან, მოხარულნი ერთბამად და შემრღუეულნი და კმათა საქებელთა მისა მიმართ განუტევებდეს ლოცვისა შეერთებულთა, ვიდრედა საჩინო-ექმნა სიყუარული ერთად და უკადნიერესად აღსაარებაჲ, ვითარ სამეფოთა შინა თნებისად კეთილთათვის, რომელნი შეემთხვნეს მათ. ამათ მიერ აგრძნა იროდი ყოველსა წინააღრჩევისა თვისსა გამოცხადებაჲ, რომელი აქუნდა ყრმისა მიმართ. და ვინაჲთგან წარკდა დღესასწაული, ისერებდეს იერისხუტოს შინა, შეწყნარებულნი ალექსანდ-

ძილთა შინა, რომელი მიმსგავსებდას ამისასა განაზრახებდა, უდიდებოდ მოკულდა. მოვიდა უკუე მეყუსუელად წინაწარმეტყუელი, ღმრთისა მიერ წარმოვლინებული, არცა დაფარვად უსჯულოებათა ზედა მისი მეტყუელი, არცა მრავლად მხიარულებასა ქონებად მოქმედებულთა ზედა მაქადებელი. არამედ ცოცხალსა ვიდრემე არა მიეღოს მეფობად, ვინათგან მამასა დავიდის აღუთქუა ღმერთმან მონაცვალე-ქმნა მისდა ამისი, ხოლო აღსრულდა რაჲ, ძესა მისსა უყვენს ესენი, არა ყოველსა ერსა განმაყენებელმან მისგან: თანი ვიდრემე უკუე ნათესავნი მისცნეს მონასა მისსა, ხოლო ორნი დაუტევენს შვილის-შვილსა დავიდისსა მისთვის მხოლოდ, რამეთუ ღმერთი შეიყუარა და ქალაქისათვის იეროსოლჳმასა, რომელსა შინა ტაძრისა შენებაჲ ინება.

6)\* ამათი მსმენელი სალომონ ტკივნეულ. იქმნა და ფრიალ შეიმრღვა, ვინათგან ერთბამად ყოველნი მისნი კეთილნი, რომელთა ზედა საშურველ იყო გარდაცვალებად, მიიწეოდეს ბოროტად. არა მრავალი წარცაჲ ესამი, ვინათგან მიუთხრნა წინაწარმეტყუელმან შემთხუევადნი და მბრძოლი მეყუსუელად მას ზედა აღადგინა ღმერთმან, აღერათის სახელით, მიზეზსა მტერობისასა ესევეითარსა მიმღებელი:

ყრმად იყო ესე, იღუმელი სახელით, ნათესავით სამეფოთა თესლთაგან. ხოლო დამკობდა რაჲ იღუმეასა იოავოს, დავიდის მკედართმეყენებელი, და ყოველთა ჰასაკის შინათა და საქურველთა აღღუბად შემძლებელთა განხრწინდა თუეთა შინა ექუსთა, ლტოლვილი მივიდა ფარაოთის მიმართ, ეგვიპტელთა მეფისა. ხოლო მან ჰიყუარულით შეიწყნარა იგი და თანად სახლი მისცა მას და აღვილი საზრდელისათვის. და იქმნა რაჲ ჰასაკსა შინა, ფრიალ შეიყუარა, ვიდრელა და ცოლისაჲ მისისა დაჲ მისცა მას ქორწინებად, სახელით თაფინი, რომლისაგან ქმნილი მისდა ძე მეფისა ყრმათა თანა აღიზარდა.

146 მსმენელი უკუე დავიდის სიკუდილისაჲ ეგვიპტეს შინა და იოავოსი, მორსული ევედრებოდა ფარაოთის, რაჲთა / უბრძანოს მას წარსლვაჲ მამულად თესად. ხოლო მეფე ჰკითხვიდა, რომლისაგან ნაკლულევიანად მყოფი, გინა რაჲსა მვენებელი მოსწრაფე არს დატეგებისა მისისაჲ. და მრავალგზის მოქენე და მვედრებელი მამინ ვიდრემე არა ფანიტევა. ხოლო მას ესამსა, რომელსა შინა აწლა სალომონოჲს საქმენი ბოროტად ქონებასა დამწყებელ იყვენს პირველთქუელთათვის უსჯულოებათა და მათ ძლით განარისხებისათვის ღმრთისა, განტეგებული ფარაოთისგან აღერეოს მივიდა იღუმეად. და არა შემძლებელი განყენებისა მისისა სალომონოჲსგან, რამეთუ პერობილ იყო სამცველოთა მიერ მრავალთა და არა თავისუფალ იყო ამით ძლით, არცა აღვილ<sup>1</sup> იყო მიღებად, წარსრული მიერ სურიალ<sup>2</sup> მიიწია. ხოლო მუნ რააზოჲს ვისმე სახელით მიმთხუეული, განლტოლვილისაჲ აღრაზაროჲსგან, მეფისა სოფინისა, მეუფედ მყოფისაჲ, ავაზაკად სოფლისა მყოფსა სიყუარულით შეერთა, მქონებელსა გარემოჲს საავაზაკოჲსა სიმრავლისასა. და აღსრული სურიალ და მპერობელი მისი, მეფედ განიჩინა მის ზედა და მიტაცებასა ისრაილიტთა ქუეყანისასა მყოფდა ბოროტად და მიიტაცებდა მერმეცა სალომონოჲს სიცოცხლესა შინა. და ამისი ვიდრემე ვენებაჲ აღეროჲსგან შეემთხუეოდა ევრაველთა.

<sup>1</sup> ივილ AQ. <sup>2</sup> სურიალ A.

\* III მეფ. 11,4.

7)\* ხოლო ზედა-აღუღა სალომონს და თანმონათესვეთაგანიცა ვინმე, იეროამოს, ძე ნავატეოასი, წინაწარმეტყუელებისაებრ ძუელ ოდესმე ქმნილი-სა მისდა საქმეთა ზედა მსასოებელი, რამეთუ ყრმად მამისა მიერ დატევებუ-ლი და დედისა თანა წურთილი, ვითარ იხილა იგი სალომონ, ბუნებით მკნედ მყოფი, ზედმოურნედ ზღუდეთა შენებისა დაადგინა, რაჟამს იეროსოლჳმათა სიმრგულუ ჟარე-მოავლო. და ესრეთ მოურნე ექმნა საქმეთა, ვიდრეა მეფე ემადლიერა მას და პატივად მკედართმთავრობაჲ იოსიპოას ნათუაჲგა ზედა-პისცა მას. ხოლო წარსრულსა მას ეამსა იეროსოლჳმათაგან, იეროვამონს<sup>1</sup> შეემთხვა წინაწარმეტყუელი ქალაქისაგან სილაჲსა, აქია სახელით. და მომკითხ-ველმან მისმან მიიყვანა გზისაგან მცირედ მიდრეკილად აღგარსა რომელსამე, სადა არავინ იყო სხუაჲ. და განმპოობელმან ათორბუტად ნაწილად, ნაკუეთად შესამოსლისამან, რომელი გარემოდებულ იყო მისდა, უბრძანა იეროვამონს მიღებაჲ ათთაჲ, მეტყუელმან, ვითარმედ ამთ მნებებულ არს ღმერთი და ვანმხეთქელი<sup>2</sup> სალომონოას მეფობისაჲ, მთავრობისაჲ, ყრმასა ვიდრემე ამისსა დაეიდის ქიმართ ქმნილისა აღთქუმისათჳს ორთა ნათესავთა მისცემს, „ხოლო შენ — ათთა, რამეთუ სალომონ ცოლა მისა მიმართ და ცოლთა და ღმერთთა მისთა მისცა თავი თჳსი. მეცნიერი უკუე მიზეზსა, რომლისათჳს გარდაცვალა ღმერთმან ვანზრახება მისი სალომონოასგან, მოსწრაფე იყავ, რაჲთა მართალ იყო და დაიცვენ სჯულნი, ვინაჲთგან წინაჲდებარე არს შენდა კეთილმასხუ-რებისათჳს და ღმრთისა მიმართისა პატივისა ლუაწლი უდიდესი ყოველთაჲ და ესევეთარ იქმნე, ვითარსა მეცნიერ ხარ ქმნაღ<sup>3</sup>“.

8)<sup>2</sup> აღზუავებული უკუე წინაწარმეტყუელისა სიტყუათა მიერ იეროვო-ამოს, ბუნებით მჭურვალედ ქაბუკად მყოფი და დიდთა გულისმთქუმელი საქ-მეთაჲ, არღა მერაჲცა დაწყნარებულ იყო და მკედართმთავრობასა შინა ქმნი-ლი და მომკსნებელი აქიას მიერ უწყებულთაჲ, მეყუსეულად მოსწრაფე იყო რწმუნებად ერისა, რაჲთა განეყენნენ სალომონოასგან და აშფოთებდა მთავრობასა მისა მიმართ. ხოლო მსწავლელი გონებისა და ზედგანზრახვისა მისისაჲ, სალომონ ეძიებდა, მპყრობელი, მოკუდინებასა მისსა. და იეროვო-მონს უკუე, მსწრობელი ცნობად ამას, სუსაკოას მიმართ, ეგაპტელთა მეფისა, ივლტრად და ვიდრე სალომონოას აღსრულებადმდე მუნ დადგრომილმან მა-შინ არარაჲსა ვნებაჲ მისგან შეიძინა და დამარხებაჲ მისდა მეფობისაჲ.

ხოლო მოკუდა სალომონ აწლა სიბერესა შინა მყოფი, მმეფობი წელთა ოთხმეოცთა, ხოლო ცხოვრებული ოთხმეოცდაათთა და ოთხთა. და დაეფლა უკუე იეროსოლჳმათა შინა, გარდამეტებული კეთილბედნიერობითა და სიმ-ღირითა და გონიერებითა ყოველთა მეფექმნილთა, გარეშე რაოდენნი სი-ბერესა შინა ცოლთა მიერ შეყუსარებულმან იუსჯულოვნა, რომელთათჳს და ბოროტთათჳსცა, რომელნი მათ მიერ შეემთხვნეს ევრადელთა, კეთილუამერად ეჭგონეთ უწყებაჲ.

თ. 8

1) ხოლო შემდგომად სალომონოას აღსრულებისა მიითუალა რაჲ მე-ფობაჲ მისი ძემან როვოამოს, რომელი დედაკაცისაგან ამმანიტილისა ქმნილ

<sup>1</sup> იეროვამონს A. <sup>2</sup> განმპოობელი A.

\* III მეფ. 11,26. <sup>3</sup> ქმნაღ+Δαυ(ძეუ) 208 (=დაეთოს ზიერ). <sup>2</sup> III მეფ. 11,40; 11,42.

უდიდეს სიტყვსა ზეშთა<sup>1</sup> აქუნდა სხუთა<sup>2</sup> დედაკაცთასა და უმრავლესი მიზეზი არა სახარულევანად ყოფა მეფისა მიმართ, არცა შუებით ცხორებისა ამიერ იქმნა, რამეთუ მარადის ჩუეულო<sup>3</sup> ტრფიალებისა ძლით და არა რომელსამე ბოროტსა მომლოდე მის მიერ, კადნიერებასა<sup>4</sup> უზომოსა მქონებელ იყო. ხოლო მწუხარე ჰყოფდეს<sup>5</sup> მას და სახლისა ძლითნიცა და მათ ყოველთა თქუმასა მისა მიმართ მნებებელ იყო, რაოდენნი<sup>6</sup> ევნებოდეს და უკუანადასკენელ<sup>7</sup> მტერობისა მისისა მიმართ აღძრნა<sup>8</sup> და და დედა, მეფეცა, რომლისა მიერ მხოლოსა<sup>9</sup> ვნებასა რომლისავე ბოროტისასა<sup>10</sup> არა ირწმუნებდა.

7. ხოლო მოიკუდინა რაჲ ესე, მაშინ უფროასლა აღეგზნა<sup>11</sup> გულისთქუმა მეფისა და ესრეთ<sup>12</sup> მქონებელ იყო<sup>13</sup>, ვითარ და უწინარესცა ცხად-გვქმნიეს<sup>14</sup>, რამეთუ არა უვნებელ იყო მისა<sup>15</sup> მიმართ ტრფიალებზე, ვითარ ჩუეულებისათა შინა, არამედ და უწინარესცა მქონებელ იყო ტრფიალებასა<sup>16</sup> და ჩუეულებითა შეერთებისათა არა იძლეოდა<sup>17</sup> უდიდესქმნილი მარადის ტრფიალებზეა და ნაშინ ვიდრემე უკუე უფროასლა ჰკონებდა უსამართლოებით ქმნასა მარიამის წარწყმედისასა და მრავალგზის აღმოწოდებანი<sup>18</sup> იყვნეს<sup>19</sup> მისნი და მრავალგზის ტყუეობაჲ უშუერი. ხოლო მოიგონებდა, უკუეთუ რაჲმე შესაძლებელ იყვს/ნუგეშინისსაცემლად, მოსუშურობდა<sup>20</sup> და აღრევათა დედაკაცთა მიმართ მომლონებელი<sup>21</sup> და ამთავანსა არა რომელსა კმა-ყოფდა. ხოლო განსაგებელთაგან სამეფოსათა იქმნიდა და ესეოდენ<sup>22</sup> იძლეოდა ვნებისაგან, ვიდრედა და ოდესმე მოწოდებდა<sup>23</sup> მარიამისა უბრძანებდა მსახურთა, ვითარ<sup>24</sup> ცოცხალისა მერმეცა და სმენად შემძლებელისასა. ესრეთ რაჲ მქონებელ იყო მეფე, განმხრწნელი სენი მოიწია, რომელმან უმრავლესნი სიმრავლისაგან და უპატიოსნესი მოყუარეთა მისთანი განხრწნა და აქუნდა ყოველთა იქვ, ვითარმედ რისხვსაგან ღმრფისაჲ მოიწია ესე მარიამის ზედა ქმნილისა<sup>25</sup> უსჯულოებისათვს. ამან<sup>26</sup> საქმემან უმძევარედ დადებულ-ყო<sup>27</sup> მეფე და უკუანადასკენელ<sup>28</sup> უდაბნოდ და განმცემელი<sup>29</sup> თავისა<sup>30</sup> ცხისისა და მიზეზთა ნადირობისათა მათ შინა მრონიე და მწუხარე, ვერ შემძლებელ იქმნა უმრავლესთა დღეთა გარდავლად, არამედ შთავარდა სენსა მძევარესა, რამეთუ შემწყველობაჲ<sup>31</sup> იყო და ვნებად<sup>32</sup> და<sup>33</sup> გონებთა შეცვალებზეა<sup>34</sup>. ხოლო სამკურნალოთაგანნი არცა ერთი მარგებელ ექმნებოდეს. არამედ წინააღმდგომთა უკუანადასკენელ<sup>35</sup> სასოწარკვეთილებზეა<sup>36</sup> მოიყვანნეს<sup>37</sup>. ხოლო რაოდენნი<sup>38</sup> გარემოს მისსა მკურნალნი იყვნეს<sup>39</sup>, რაოდენთა<sup>40</sup> ესენი მოიღებდეს წამალთა, არა ერჩდა მათ ესენი და სხუებრ არა<sup>41</sup> მქონებელ იყო მეფე, გარნათუ მაიძულებელისა სენისაგარ მათისა<sup>42</sup> ცხორებდა და რაოდენთა<sup>40</sup> იგი მნებებელ იყო, მინიჭება<sup>43</sup> სათნო-უჩნდა მათ, უსასობა-

1 ზესთა QS. 2 სხუათა AQ. 3 ჩუალველი AQ. 4 კადნიერებასა AQ. 5 მწუხარე-ყოფდეს A. 6 რაოდენნი AQ. 7 უკანასკნელ Q. 8 აღძრნა A. 9 მხოლოცა A. 10 ბოროტისა AQ. 11 აღეგზნა A. 12 აესრეთ A. 13 მქონებელ იყო A. 14 ცხად-გვქმნიეს A. 15 მისსა A. 16 ტრფიალებასა Q. 17 იძლეოდა AQ. 18 აღმოწოდებანი Q. 19, ყუნეს S. 20 მოსუშურობდა Q, მოსმურობდა S. 21 მომლონებელი A. 22 აესოდენ A, ესოდენ S. 23 მოწოდებდა A. 24 მიმართ AD. 25 ქმნილისა AQ. 26 მან AQ. 27 დადებულ-ყოფ AQ. 28 უკანასკნელ QS. 29 განმცემელ AS. 30 თავისა A. 31 შემწყველობა S. 32 ავნებდა A. 33 და A. 34 შეცვალებდა S. 35 უკანასკნელ S. 36 სასოწარკვეთილებდა A, სასოწარკვეთილებდა Q. 37 მოიყვანეს S. 38 რაოდენნი AQ. 39 იყვნეს S. 40 რაოდენთა AQ. 41 არა[უჩნდა] AQ. 42 მათისა[—]Q. 43 მინიჭება A.

v იყო ზისდა, ნოზმასა სახელით, მეყუსეულად წარმავლინებულთა ეგვბედელ, მთავართა ერისათა მოუწოდეს იეროვამოსს. და მიიწია რაჲ მათდა მიმართ სიციმად ქალაქად. როვოამოსცა ამისსა მიმართ / მივიდა, რამეთუ თნებულ იყო, რაჲთა მუნ შეკრებილთა ისრაილიტთა განაჩინონ იგი მეფედ. და მისრულნი უკუე მისა მთავარნი ერისანი და იეროვამოსს ევედრებოდეს, მეტყუელნი, რაჲთა ბიუტეოს მათ რომლისა რაჲვე მსახურებისაგან და უსახიერეს იქმნენ მამისა, რამეთუ მძიმესა უღელსა მის ქუეშე მოთმინებოდეს იგინი. და ესენიცა უმეტეს კეთილგონება იქმნენ მისა მიმართ და შეიყუარონ მისა მიმართ მსახურებაჲ სიმშვიდისათვის უფროს, ვიდრეა შიშისა. ხოლო მან შემდგომად სამთა დღეთა, ჰრქუა, მიუგონ მათ, რომელთათვის ევედრებიან. საეპუელ იქმნა ვიდრემე მეყუსეულად არა მამინვე წამისყოფელი მათდა სახარულეენათაჲ, რაჲნოუ მზაყოფად ევედრებოდეს სახიერებასა და კაცთმოყუარებასა და ამას ახალ ქმნასა შინა\*. ხოლო საგონებელ იყო ეგრეთვე და განზრახვაცა და კეთილსა სასოებასა მქონებელ იყენეს არა მეყუსეულად უკუნთქუმი-სათვის.

2)1\* და მომწოდებელი მამისა მოყუარეთაჲ, განიზრახვიდა მათთვის, რომლისა სიტყვისგებისა ჯერ-არს ქმნაჲ მათდა მიმართ, ხოლო იგინი, ვითართაჲ ჯერ-იყო მოყუარეთაგან და მეცნიერთა ბუნებასა სიპრავლისაჲ, განზრახებდეს მას სიყუარულით ზრახვასა ერისა მიმართ და ზოგადობით უფროსდა, ვიდრე მეფობისა ძლით სიდიდით, რამეთუ ესრეთ იპყრას გული სიყუარულით, ვინაჲთგან ქუეშდამორჩილებულნი ბუნებით მოყუარე არიან მშუდსა და მცირედლა თანასწორობასა მეფეთასა. ხოლო მან ესრეთ კეთილი და უმჯობესი განზრახვად გარე-მიაქცია, ნუუკუე ვიდრემე ყოვლისა მიმართ, ხოლო უკუეთუ არა მამინ მყოფისა ეამისა მიმართ, რაჲამს ეგულეობდა მეფე-ქმნაჲ, ეპკონებ ღმრთისა მიმართ ქმნილობითა და უმჯობესსა დასაქითა მისგან. და მომწოდებელი ყრმაჲთა თანაღზრდილთაჲ და მოხუცებულთა განზრახვასა მეტყუელი მათდა, რაჲ ჯერ-არს ყოფად, უბრძანებდა მათ სიტყუად. ხოლო მათ, რამეთუ არცა სიჰბუჲკე, არცა ღმერთი უტევებდა განგონებალ უმჯობესთა, განზრახეს სიტყვისგებაჲ ერისა მიმართ, ვითარმედ უმცირესი თითი მისი უმსხო მამისა წელთა არს და უკუეთუ ფრიად მრისხანესა მიემთხვნეს მას, მრავლად უფროსდა მისგან მიიღონ გამოკდილებად სიძნელისაჲ და უკუეთუ საწერტელით ასწავლიდა მათ იგი, ღრიაკალთა მიერ მომლოდუ იყენენ მისგან ქმნასა ამისსა. ამათ ზედა მხიარულქმნილმან მეფემან და მეტყუელმან, ვითარმედ ესე სიტყვისგებაჲ შუენის ღირსებასა მთავრობისასა, ვითარ მოკრბა სიპრავლედ მსმენადი მესამესა დღეთასა და მხიარულ იყო ყოველი ერი და მოსწორაფე სმენად, რასამე იტყვს მეფე, ხოლო მეტყუელი რომელსამე და კაცთმოყუარებისაჲ, ყრმაჲთა განზრახვად, დამტევებულმან მოყუარეთასა, ბიუტეო მათ. და ესენი უკუე იქმნებოდეს განზრახვისაგებ ღმრთისა, რაჲთა მიიღონ მათ დასასრული, რომელნი იწინაწარმეტყუელნა აქისა.

3)2\* ხოლო წყლულნი სიტყუათა მიერ, ვითარ საქმეთაგან, და ტკივნეულნი, ვითარ გამოკდილებასა შინა თქუმულთასა ქმნილნი, განრისხნეს და დიდად

\* αὐτὸς αὐτῶν ἔν τῳ δὲ 214 (=ჰბუბობისა). 1\* III მეფ. 12,16. II ნეშტ. 10,16. 2\* III მეფ. 12,16. II ნეშტ. 10,16.



მკმობელთა ყოველთა თქუეს არღა მერმეცა არცა ერთისა ნათესავობისა ყოფნად დავიდის მიმართ და მისგან მყოფთა მიერ დღითგან. ხოლო ტაძრისა მხოლოდ მიტევებასა მისდა მეტყუელთა, რომელი პაპჰამან მისმან შეჰჰზადა, დატევებად აქადეს. და ესრეთ მქონებელ იყენეს სიმწარით და რისხვად დაიმარხეს, ვიდრეუა ხარკთა ზედადცა მისი წარვლინებული აღორაზოს, რადთა დაამშენეს მიმტევებელნი თქუმულთანი, ვითარმედ თავკედლობით ძნელ იყო მათდა სიჰაბუჯისა მიერ, ამათ სიტყუათა მიერ დააწყნარენეს, არა თავს-იღვეს, არაჰედ, ჭკათა მიერ მცემელთა მისთა, მოაკუდინეს<sup>1</sup>. ამისი მხილველი როვოამოს და თესად შემრაცხელი გუემულეებასა კებათაგან, რომელთა მიერ მსახური მისი მოაკუდინა<sup>2</sup> სიმრავლემან, შეშინებული, ნუსადა საქმით მენებელ იქმნეს ბოროტსა, აღსრული მეყუსულად ეტლსა ზედა, იელტოდა იეროსოლკმათადმი. და იუდაემ ვიდრემე ტომმან და ეენიაზიტისმან კელთდასხმულ-ყო იგი მეფედ, ხოლო სხუამან სიმრავლემან, მიერ დღითგან დავიდის ყრმათაგან განდგომილმან, იეროვოამოს განაჩინა უფალად საქმეთა. და როვოამოს უკუე, სალომონოს ყრამად, მოქმედი შესაკრებელისაჲ ორთა ნათესავთაგან, რომელნი აქუნდეს მორჩილად, მოსწრაფე იყო, მიმეყანებელი მათგან მკედრობასა რებათა და ათთა ბევრთა რჩეულთასა, განსლვად იეროვოამოსს ზედა და ერსა მისსა, რადთა მბრძოლმან აძილლოს მონებაჲ მისი. ხოლო დაყენებული ღმრთისაგან წინაწარმეტყუელისა მიერ ქმნასა მკედრობისასა, რამეთუ ეტყოდა — „ესევითარად არა სამართალ არს ბრძოლად თანმონათესევთა მიმართ და ამათ თანა ღმრთისა წინააღრჩევითა განდგომილკმნილობასა შინა სიმრავლისასა“ — არა განვიდა. ხოლო მოთხრობა-ვეყო პირველად რაოდენნი იეროვოამოს, ისრაილიტთა შეფემან, იმოქმედნა. და შემდგომად ამათსა მქონებელნი როვოამოსს მიერ, ორთა ნათესავთა მეფისა ქმნილნი, ცხად-ვეყვნეთ, რამეთუ ესრეთ დაცეულ იქმნეს ვიდრე ყოვლისაღმი კეთილგანწყნებაჲ მოთხრობისაჲ.

147

4)\* იეროამოს უკუე, აღმაშენებელსა სამეფოისასა სიკიმას ქალაქსა შინა, ამას შინა აქუნდა მტევეელობად. და აღაშენა ქალაქიცა, ფანოილად წოდებულნი. ხოლო შემდგომად არა მრავლისა, ეგულეობდა რად წარმოდგომად დღესასწაულსა მეკარვეობისასა, გულისმსიტყუელმან, ვითარმედ უკუეთუ უბრძანოს სიმრავლესა წარსრულსა თაყუანის-ცემად ღმრთისაჲ იეროსოლკმად, შეჰნანებელმან საღმე და შეშინებულმან ნანდვლ ტაძრისაგან ღმრთისა და მის შინადა მსახურებისა, დაუტევოს ვიდრემე იგი და შეუდგეს პირველსა მეფესა. და ესე თუ იქმნეს, დაპირებულ იქმნეს იგი განკუებად სულსა, მოიკელოვნა რადეჲ ესევითარი:

ორთა ოქროსა დიაკეულთა მოქმედმან და აღმაშენებელმან ესეოდენთაჲე მცირეთა ტაძართამან, ერთი ვიდრემე ვეთილის ქალაქსა შინა და სხუად — დანის შინა, ხოლო არს ესე მახლობელად წყაროთა მცირისა იორდანისათა, აღჰმართნა დიაკეულნი თითოეულსა შინა ტაძართასა თქუმულთა ქალაქსა შინად. და მოშწოდებელმან ათთა ნათესავთამან, რომელთა ზედა მთავრობდა იგი, ერისმეტყუელა ამათ სიტყუათა მოქმედმან:

„მამაკაცო ერთ ნათესავნო! ვჰგონებდ, ვითარმედ უწყით თქუენცა ესე, რამეთუ ყოველსა ადგილსა აქუს ღმერთი და არა არს ერთი განჩინებული ად-

1 მოაკდინეს. 2 მოაკდინა.  
• III მგჱ. 12,25.

გალი, რომელსა შინა იყოს, არამედ ყოველგან ესმის და მსახურთა ზედ-ხედავს. რომლისათვის არა მგულავს თქუენ, მოსწრაფებით წარსრულთაჲ აჲ თაყუანანსა ცემისათვის იეროსოლჴმად, მტერთა ქალაქისა მიმართ, ესრეთ შორსა გზასა. კაცჴან შეჴმზად ტაძარი, ხოლო შეეჴმნენ მეცა ორნი ოქროსა დიაკეულნი, თანშოსახელნი ღმრთისანი, და ერთისა ვიდრემე ყოფაჲ ვეთილის ქალაქსა შინა დაეამტყიე, ხოლო სხჴსა — დანის, რაჲთა თქუენგანნი, მახლობელად ამით ქალაქთასა მდებარენი, წარსრულნი მითდა მიმართ თაყუანის-ცემედენ ღმერთსა. ხოლო განვაჩინენ თქუენდა მღღელნიცა ვითემე თქუენგან და ლევიტელნი, რაჲთა არა გაჴუნდეს საჴმარებაჲ ლევიტიდოჲს ნათესვისაჲ და აარონოჲს ძღთაჲ, არამედ მნებებელი თქუენგან მღღელ-ყოფისაჲ შესწირევდინ ღმრთისა ებოსა და ვერძსა, რომელთა ქმნასა იტყჴან პირველისა-ცა მღღელისა აარონოჲსგან“.

ამათჴან მეტყუელჴან შეაცთუნა ერი და, მამულისა მსახურებისაგან განყენებულნი, ყვნა იგინი გარდამავალ სჴულთა. ესე დასაბამად ბოროტთა ეჴმნა ევრაელთა და ტყუეობასა შთაფრდომა, ბრძოლისა მიერ პყრობილთა სხჴა ნათჴაუთაჴან, არამედ ესენი ვიდრემე აღდგოლა თჴსა ცხად-ყვენეთ.

5)\* ხოლო წარმოდგა რაჲ დღესასწაული თუესა შინა, და ამანცა, მნებებელჴან აღსრულებად ამას ვეთილის შინა, ვითარ დღესასწაულობდეს ორნი ტომნი იეროსოლჴმთა შინა, აღაშენნა ვიდრემე სასახურებლოჲ წინაშე დიაკეულისა. ხოლო თჴთ, მღღელთმთავარქმნილი, აღვიდოდა ვოჴონსა ზედა თჴსთა თანა მღღელთა. და ეგულებოდა რაჲ ზედმიღებაჲ მსხურებლთაჲ და ყოვლად დასაწუველთაჲ, სახედველად ყოვლისა ერისა მოიწია მისა მიმართ იეროსოლჴმთაგან წინაწარმეტყუელი, იადონ სახელით, ღმრთისა მიერ წარმოვლინებული, რომელჴანცა, დადგომილჴან საშუვალ სიმრავლისა, სასჴენელად მეფისა თქუნა ესენი, სამსხურებლოჲსა მიმართ მყოფელჴან სიტყუითაჴან:

„ეჴმერთი წინაწარ-იტყჴს ქმნასა ვისსამე დავიდის ნათესვისაგან, იოსიას სახელით, რომელჴან შენ ზედა ამსხურებლნეს ცრუნი მღღელნი, მას ჟამსა შინა ქმნადნი, და ძუალნი ამით ერის მკთართა და შემაცთუნებელთა და უღმრთოთანი შენ ზედა დაწუნეს. რაჲთა ვიდრემე უჴუე ირწმუნონ ამთა ამისი ესრეთ ქონებაჲ, სასწაული წინაწარ-უთხრა მათ ქმნად: განიპოს სამსხურებლოჲ მეყუსეულად და ყოველი მას ზედაჲ ცმელი სამსხურებლთაჲ ქუეყანასა ზედა დაითხოს“.

ესენი რაჲ თქუნა წინაწარმეტყუელჴან, განრისხებულჴან იეროვოამოს განჴმარტა ჴელი, მბრძანებელჴან პყრობისა მისიანამან. ხოლო განმარტებული ჴელი მეყუსეულად დაიჴნა და არა შემძლებელ იყო თავად თჴსად მიღებად ამას, არამედ დაბუშებულად და მკუდრად აჴუნდა / შთამოჴიდებული. განიპო და სამსხურებლოჲსა-ცა და შთავარდა ყოველი მისგან, ვითარ წინაწარ-თქუა წინაწარმეტყუელჴან.

და ისწავა რაჲ ჴეშმარტებაჲ კაცისაჲ და საღმრთოსა წინაწარმეცნიერებლსა ჴონებაჲ, ევედრა მას, რაჲთა მოჴენე იჴმნეს ღმრთისა და განაცხოველოს მარჴუნე მისი. და იგი ვიდრემე ევედრა ამას მინიჴებად მისდა, ხოლო ჴელ-

1 ამით AQ.

\* III მეფ. 12,32.

მან მიიღო კულად გებაჲ ბუნებითი. მხიარული მას ზედა ევეღრკობდა წინაწარმეტყუელსა სერობად მისდა თანა. და იადონ უკუე თქუა არა თავსდებად შესლვასა მისა მიმართ, არცა გემებასა პურისა და წყლისასა მას ქალაქსა შინა, რამეთუ ესე ღმერთმან უკუნ-თქუა მისდა, და გზასა, რომელსა მივიდა, რაჲთა არა მის მიერ ქმნას უკუნ-ქცევაჲ, არამედ სხესა მიერ. და მის ზედა ვიდრემე განკვრეებელ იყო მეფე კრძალულუბნათესს, ხოლო თვთ შინა შინა გარდაცვალებასა მისგან საქმეთასა, პირველთქუმულთა მიერ არაკთამსა გულისმსიტყუველი.

## 01. 9

1)\* ხოლო იყო ვინმე ქალაქსა შინა მოსუცებული ბოროტი, ცრუ წინაწარმეტყუელი, რომელი აქუნდა პატივით იეროვოამოსს, ცთუნებულსა მის მიერ, სახარულევანთა მისდა მერტყუელისა. ესე მაშინ ვიდრემე მეცხედრე იყო უძლოურებისათჳს სიბერისა მიერ. ხოლო ყრმათა აუწყეს რაჲ მას მოსკრელი-სათჳს წინაწარმეტყუელისა იეროსოლჳმათაგან და სასწაულთათჳს ქმნილთა და ვითარამედ დაქსნილი მისი მარჯუნენ იეროვოამოსს! ლოცვითა მისითა კულად ცხოველი მიიღო, შეშინებულმან, ნუსადა უმჯობეს იქმნეს მისა უცხოჲ მეფისა წინაშე და უმეტესი მიიღოს პატივი, უბრძანა ყრმათა, მეყუ-ეულად დამფენელთა კარაულისათა, მზად შემზადებაჲ მისი და წარსლვისა მიმართ. ხოლო იგინი მოსწრაფე იქმნნეს ქმნად, რომელსა ბრძანებულ იყვნეს და მან უკუე, ზედალსრულმან, დევნა-უყო წინაწარმეტყუელსა. და მპოვნელმან განმსუენებულად ხესა რტოვანსა ქუეშე მუხამსა დიდისასა და აჩრდილსა მქონებელსა, პირველად მოიკითხა, ამისა შემდგომად აბრალებდა, არა შესრულსა მისა მიმართ და უცხოზადთასა არა მიმღებელსა. ხოლო მან თქუა დაყენებაჲ ღმრთისაგან გეგებაჲ ვის თანაცა მის სოფლისა შინათასა. და მან უკუე — არამედ არა ჩემ მიერცა, თქუა, უარ-ყო ღმერთმან ნანდვლვე დადგმაჲ ტაბლისაჲ, რამეთუ წინაწარმეტყუელი ვარ მეცა და მისვე მსახურებისა ზიარი შენდა მისა მიმართ. და მოვედ აწ მე, მიერ წარმოვლინებული, რაჲთა მიგიყვანო შენ სახიდ ჩემდა სერობისა ძლით“.

ხოლო იგი, ცრუვებულისა მრწუმენებელი, უკუნ-იქცა უკუე. ისერებდეს რაჲ და პატივის-მოყუარებოდეს, გამოუჩნდა ღმერთი იადონს და გარდამავალსა მცუნებათა მისთასა სასჯელსა მიგებად ეტყოდა და ვითარსა განუცხალებდა, რამეთუ წარსრულსა გზასა ზედა ლომი შეამთხვოს მას, ეტყოდა, რომლისა მიერ განსერწვნეს და მამულთა საფლავთა შინა ვერ მიემთხვოს დაფლვასა. ხოლო ესე იქმნა, ვკვონებ, განზრახვისაებრ მისისა, რაჲთა არა ერჩდეს სიტყუეთა იადონისთა იეროვოამოსს, იმხილოს რაჲ იგი ცრუდ. წარსრულსა უკუე კულად იადონს იეროსოლჳმად შეემთხვა ლომი და, შთამომღებელმან მისმან პირუტყუსაგან, მოაკლდინა<sup>2</sup>. და კარაულსა ვიდრემე ყოვლითურთ არაჲ ავნო, არამედ მჯდომარე სცივდა მასცა და წინაწარმეტყუელისა სხეულსაცა, ვიდრემდის არა ვიეთმე მოგზაურთა, მისრულთა ქალაქად, მიუთხრეს ცრუ წინაწარმეტყუელსა. ხოლო მან, ძეთა წარმავლინებელმან, მიიღო სხეული ქალაქად და მრავალწარსაგებელსა დაფლვასა აღირსა, მამცენებელმან ყრმათამან და

1 იერომოს AQ. 2 მოაკლდინა.

\* III მეფ. 13,11; 13,19.

ამასცა მას თანა დაფლავად, მოკუდუს რაჲ, ყოველთა კემზარიტად ყოფასა მეტყუელმან, რაოდენნი იწინაწარმეტყუელნა ქალაქისა მის მიმართ და სამსხუერპლოასა და მღდელთათვის და ცრუ წინაწარმეტყუელთა. ხოლო იგი არა ივირის შემდგომად აღსრულებისა მის თანა დაფლული, არა გამოცნობისათვის ძელთაჲსაჲ. დაჲფლველი უკუე წინაწარმეტყუელისაჲ და ამას ძეთა მამცნებელი, ბოროტად მყოფი უღმრთოჲ, მივიდა იეროვოამოს<sup>1</sup> მიმართ. „და რაჲსათვის სამე აღშფოთენ, ჰრქუა, უგუნურისა სიტყუათაჲჲან?“ ხოლო ვითარ სამსხუერპლოასა ძლით და კელისა მისისაჲ მიუთხრა მას მეფემან, საღმრთოდ კემზარიტად და წინაწარმეტყუელად რჩეულად მწოდებელმან მისმან, იწყო ამის თხებისა მისისა უკუნსიტყუვად, ბოროტისმოკმედთა და დასარწმუნებელთა მკუმეველმან სიტყუათაჲმან ქმნილთა, რაჲთა ავნოს კემზარიტებასა მათსა. რამეთუ კელ-ჰყოფდა დარწმუნებასა მათსა, ვითარმედ შრომისა მიერ კელი მისი დაბუშუებულ იქმნა, მტკრთველი მსხუერპლოთაჲ, და შემდგომად, განსუენებისა მიმთხუელი, კუალად ბუნებისაჲე მიმართ აღმოვიდა. ხოლო სამსხუერპლოჲ, ახალი და შემწყწარებელი / მსხუერპლოთა მრავალთა და დიდთაჲ, ვანიო და დაეცა სიმძიმისათვის ზედდადებულთაჲსა. ხოლო აუწყებდა მას და სიკუდილსაჲე ამათ სასწულთა წინაწარმეტყუელისასა, ვითარმედ ლომისა მიერ წარწყმდა და ვითარმედ ესრეთ არარაჲ აქუნდა, არცა თქუა რაჲევე წინაწარმეტყუელსაჲ. ამათმან მეტყუელმან არწმუნა<sup>2</sup> მეფესა და გონებასა მისსა, სრულიად მიმაქცეველმან ღმრთისაგან და ღირსთა საქმეთაგან და მართალთა და უსახურთა საქმეთა მიმართ წარჰმართა. ხოლო ესოდენ გინებაჲცა და უსჯულოება ღმრთისა მიმართ, ვიდრეღა არცა ერთი სხუაჲ დღითიდღე იძიებოდა, გარნა თუ რაჲ<sup>3</sup> ახალი და უსაძავლესი აწ კადრებულთაჲ იმოქმედოს.

და იეროვოამოს ძლითნი ვიდრემე აწ ამათ მიერ ცხად-ყვენენ ჩუენ მიერ.

## თ. 10

1)\* ხოლო სალომონოჲს ძემან როვოამოს, ორთა ნათესავთა მეფემან, ვითარ წინაწარ-ვთქუთ, აღაშენნა ქალაქნი ძლიერნი და დიდნი: ვითლევი და იტამე და თეკოე და ვითსურა და სოხო და ოდოლამ და იბან და მარსა და ზიფან და აღორემ და ლაქის და ზიკა და სარამ და ილომ და ქევერონაჲ. ესენი ვიდრემე ოუდაჲს ნაწილსა შინა პირველნი აღაშენნა, ხოლო შემჰზადანა და სხუანიცა დიდნი ვენიამიტიდოს ნაწილსა შინა. და შემზღუდველმან სამლოკველონი დაადგინნა ყოველთა შინა და მთავარნი, თანად იფქლი ფრიადი და ღვროჲ და ზეთი და სხუანი საზრდელისა მიმართნი თითოეულსა ქალაქთასა შინა მრავლად დაიუნჯნა და ამათ თანა ფარნი მრავალნი და ჰოროლნი ბევრნი. ხოლო მივიდეს მისა მიმართ იეროსოლკმად ყოველთა ოსრაილიტთა შორის მყოფნი მღდელნი და ლევიტნი. და უკუეთუ ვინმე სხუანი სიმრავლისაგან იყვნეს კეთილნი და მართალნი, დაუტეობდეს ქალაქთა მათთა, რაჲთა ჰმსახურებდენ იეროსოლკმათა შინა ღმერთსა, რაჲთა არა შუებით მქონებელ იყვენეს თაყუანისცემად იძულებულნი დიაკელთანი, რომელნი იეროვოამოს შემჰზად-

<sup>1</sup> იეროვოამოს. <sup>2</sup> არწმუნა. <sup>3</sup> და/+და. <sup>4</sup> რაჲ]+სახელი AQS.

\* II ნეშტ. 11,5; 11,8.

ნა. და აღაორძინეს როვოამოჲს მეფობაჲ სამთა წელთა შინა. ხოლო ქორწინებულმან რომლისამე ნათესვისამან და სამთა ყრმათა მისგან მოქმედმან მიიყვანა უკუანაძსკენელ და ავესსალომოჲს ასულისგანცა, თამარაჲსა, კმნილი, მიხან სახელით, და ესეცა ნათესავად მყოფი. და ყრმაჲ წულ იქმნა ამისგან მისდა, რომელსა ავიად სახელსდგე. ხოლო ექმნნეს შვილნი და სხუათაგანცა მრავალთა ცოლთა, გარნა უმჯობეს ყოველთასა უყუარდა მიხან. და აქუნდეს ვიდრემე სკულიერად შეუღლებილნი მისდა ცოლნი რვანი და ათნი, ხოლო ხარკნი — ოცდაათნი. და ძენი ვიდრემე იქმნნეს მისდა რვანი და ოცნი და ასულნი — სამეოცნი. ხოლო მონაცვალედ მეფობისა განაჩინა მიხანისგან მყოფი, ავიას, და საუნჯენი და ძლიერნი ქალაქნი ამას არწმუნნა.

2)\* ხოლო მიზეზ, ვკვონებ, მრავალგზის ბოროტთა და უსჯულოებისა ექმნების კაცთა სიდიდე საქმეთაჲ და უმჯობესისა მიმართ მიდრეკაჲ მათი. რამეთუ მეფობასა ესრეთ აღორძინებულსა მხედველი როვოამოს უსამართლოთა მიმართ და უსახურთა მიდრეკა საქმეთა და ღმრთისა მსახურებაჲ შეურაცხ-ყო, ვიდრელა და ჟრცა მის ქუეშე მიემსჯავსა უსჯულოებითა. რამეთუ თან-განისხრწნებიან ჩუეულებანი მთავრებულთანი ქცევისა მიერ მმთავრობთაჲსა და ვითარ სამხილებელად უძღებებისა მათისა კრძალულებასა მათსა დამტვივებლნი, ვითარ სათნოებასა სიბოროტეთა მათთა შეუღდებთან, რამეთუ არა შესაძლებელ არს მოთმინებით შეწყნარებაჲ საქმესა მეფეთასა, უკუეთუ არა მათვე მოქმედ იყვნენ იგინიცა. ესე უკუე შეემთხუეოდა და როვოამოს ქუეშეცა დაწესებულთა, რამეთუ უსახურებაჲ რაჲ იგი და უსჯულოებაჲ, მოსწრაფე იყვნეს, რაჲთა არა ეკუთენენ მეფესა, მნებებელნი გამოცდილად ყოფისანი. ხოლო სასჯელსა მიკდად მისა მიმართთა გინებაათავს ზედ-მოუვლინა ღმერთმან ეგვტელთა მეფე სუსაკოს, რომლისათვის შეცთუნებულმან იროლოტოს საქმენი მისნი სესოსტრისს შეათხზნა.

რამეთუ ამან სუსაკოს მხებუთესა წელსა როვოამოს მეფობისასა აღიმკედრა! მრავალთა ბევრეულთა თანა, რამეთუ შეუღდგეს მას ათასნი და ორასნი ეტლნი რიცხვთ, ხოლო ცხენოსანნი — ექუსნი ბევრნი და ქუეითნი — ბევრნი ორმოცნი. და უმრავლესნი ამათ ლივეკლნი მიიყვანნეს და ეთიოპნი.

მიწვენილმან უკუე ქუეყანასა ევრავლთასა, იპყრნა ძლიერნი როვოამოს სამეფოჲსა ქალაქისანი უბრძოლველად და ამათი განმამტკიცებელი<sup>2</sup> უკუანაძსკენელი მივიდა იეროსოლჲჲმთა ზედა.

3)1\* განმტკიცებულ იყო როვოამოს და სისრავლე მათ შინა აღმკედრებ-<sup>v</sup>სათვის სუსაკოსსა და ევედრებოდეს ღმერთსა მიცემად ძლევასა და ცხორებასა, არამედ არა არწმუნეს ღმერთსა დაწესებაჲ მათ თანა. ხოლო სამეფა წინაწარმეტყუელმან ჰრქუა მათ, ვითარმედ აქადებს მათ ღმერთი დატევენასა, ვითარ და მათცა დაუტევეს მსახურებაჲ მისი. ამათნი მსმენელნი მეყუსეულად დაეცნეს სულითა<sup>4</sup> და არაღა შერშეცა ცხორებასა მხედველთა აღსაარებად მიმართეს ყოველთა, ვითარმედ მართლიად უგულუბელს-ყვნა იგინი ღმერთმან, ვინაჲთგან უსჯულოება ქმნნეს<sup>5</sup> მისა მიმართ და შეამრღვენეს სკულიერნი. ხოლო ესრეთ მდებარეთა ზედა მომხედველმან ღმერთმან, აღმსაარებულთა

1 აღმკედრებს AQ. 2 განმამტკიცებელი AQ. 3 წყ-ელ-წ-ნ-თ-ქუა AQD. 4 სულა AQS.

5 იქმნეს AQ.

\* II ნეშტ. 12,1. III მეფ. 14,22. II ნეშტ. 12,2. III მეფ. 14,25. 1\* II ნეშტ. 12,5.

ცოდვითა მათთანა, თქუა წინაწარმეტყუელისა მიმართ არა წარწყმედა მათი, გარნა ქნა ვიდრემე კვლისქუელ ეგვპტელთა, რამთა ისწავონ, უკუეთუ კაცისა მსაუბრება უადვილეს არს, გინა თუ ღმრთისაჲ. ხოლო სუსაკოს, მიმღებელი ქალაქისაჲ უბრძოლელად, ვინამთგან შეიწყნარა იგი როვოამოს შიშისა ძლით, არა დაადგრა ქმნილთა აღთქუმათა ზედა, არამედ განფხურა სამღელუროჲ და საუნჯენი ღმრთისანი და სამეფონი დააცალიერნა, ოქროსა და კაღლისა ბევრეულთა ურიცხუთა მტკრთველმან და ყოვლითურთ არარაჲსა დაშტეუბელმან. ხოლო მიიქუნა და ოქროსა ფარნიცა და ჰოროლნი, რომელნი შექნადნა სალომონ ნეფემან, და არა უტევნა არცა ოქროსა კაბარკინი, რომელნი დაედის შეწირნა ღმრთისა, მიმღებელმან სოფნისა მეფისაგან. და ამის ნიგბელი უკუნ-იქცა სახიდ თვსად.

ხოლო მოაქსენებს ამის მკედრობისასა და ალიკარნასელიცა იროდოტოს, მხოლოდ მეფისა ოდენ სახელისაგან შეცთუნებული და ვითარმედ მრავალთა ნათესავთა ზედა მივიდა და პალესტინისა სურიაჲ დაიმონა, უბრძოლელად მიყვანებულმან მას შინათა კაცთამან. ხოლო ცხად არს, ვითარმედ ნათესვისა ჩუენისა ცხად-ყოფასა მნებებელ არს პყრობილად ეგვპტელისა მიმართ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ ძეგლნი დაუტევნა უბრძოლელად. თავთა თვსთა მიმკეპლთანი, სარცხენელსა დედაკაცთასა ზედამსახველმან, ხოლო როვოამოს ნისცა მას, მეფემან ჩუენმან, უბრძოლელად ქალაქი. იტყვს უკუე და ეთოპთასაცა ეგვპტელთაგან სწავლად დაკუეთასა საკდემელთასა, რამეთუ ფენიკელნი და სურნი პალესტინეს შინა აღიარებენ ეგვპტელთაგან სწავლასა. ცხად-არს უკუე, ვითარმედ არავინ სხუანი წინა-დაიკუეთენ პალესტინეს შინა, გარნა თუ ჩუენ მხოლოდ. არამედ ამათვს ვიდრემე თითოეულნი იტყოდენ, რომელი რაჲ სათნო არს მათდა.

4)\* ხოლო წარვიდა რაჲ სუსაკოს<sup>1</sup>, როვოამოს მეფემან, ნაცვლად ოქროსა ფართა და ჰოროლთა რვალისათა მოქმედმან მითვე რიცხვთა, მისცნა მცველთა საქმეთა და ნაცვლად მკედრობისა საჩინოჲსა და საქმეთა შინა ბრწყინვალედ ქევეისა, მეუობდა დაწყნარებულებითა მრავლითა და შიშითა, ყოველსა ეჲსა მტერად მყოფი იეროვოამოსი. ხოლო აღსრულდა ცხორებული წელთა ორბეოცდა და ათთა და შუდთა და მმეფობი ამათგან შუდთა და ათთა, ქევეითა მამაკაცი ზუავი<sup>2</sup> და უგუნური და არა მორჩილებისა ძლით მამისა მისისა მოყურანთაჲსა მთავრობასა წარწყმედელი. ხოლო დაეფლა იეროსოლვმას, ლარნაკთა შინა მეფეთასა. და მეფობაჲ უკუე მისი მითუალა ძემან ავისა, მერვესა აწლა და მეათესა წელსა იეროვოამოს ათთა ნათესავთა მეფობისასა. და ამათ ვიდრემე ესევეითარი აქუნდა დასასრული. ხოლო იეროვოამოს ძლითთა შემდგომად ამათსა გუაქუს<sup>3</sup> წარმოთქუმად, ვითარ დაამკუა ცხორებაჲ, რამეთუ ესე არა მოაკლებდა, არცა დაწყნარებულ იყო მაგინებელი ღმრთისა მიმართ, არამედ დღითი-დღე მაღალთა მათთა ზედა ვოპონთ: აღმმართველ იყო და მდდელთა სიმრავლისაგან განმჩინებელ.

## 01. 11

1)\* ამათ უკუე უსჯულოებათა და ამათ ძლითსა სასჯელსა არა მიმყოვრებულად ეგულებოდა ღმერთსა თავად მისად და ყოვლისა ნათესვისა მისისად

<sup>1</sup> სოსაკოს A. <sup>2</sup> გაქუს A.

\* II ნესტ. 12,10. III მეფ. 14,27. <sup>1\*</sup> III მეფ. 14,1.

მიქეევამ. რამეთუ უძღურებდა რად მისდა მას ეამსა ყრმად, რომელსა ავი-  
მად უწოდდეს, უბრძანა ცოლსა მისსა სამოსელსა უკუნდებამ და სახისა  
მსოფლიოსსა მიმღებელსა წარსლევამ აქამსა მიმართ წინაწარმეტყუელსა. და  
რამეთუ არს, ეტყოდა, მამაკაცი საკრეველი გულვებდალთათვს წინაწარ/თქუმაღ  
და ვითარმედ მეფობისაჟსცა ამან აუწყა მას. და მიწვენილსა უბრძანა ყრმი-  
საოვს გამოკითხვამ, ვითარ უცხოთა, უკუეთუ განევლტოს<sup>1</sup> სნეულებასა. ხო-  
ლო იგი, სხუად<sup>2</sup> გარდასახებული, ვითარცა უბრძანა მას მამაკაცმან, მივიდა  
სილო ქალაქად, რამეთუ მუნ მყოფ იყო აქიას. და ეგულებოდა რად შესლევამ  
საქლად მისსა, მოუძღურებელისასა სიბერისაგან, გამორჩინებულმან ღმერთმან  
მრჩობლინეე აუწყა მას, თანად იეროვამომს ცოლისა მისა მიმართ მისლ-  
ევამ და თუ რად ჭერ-არს საიტყვსებად, რაჰელთათვს მივიდა. ხოლო მიიწია  
რად დედაკაცი სახლად. ვითარ მსოფლიომ და უცხოთა, ემა-ყო: „შემოვედ,  
ცოლო იეროვამომს. რად ჰვარავ თავსა თჳსაჲ რამეთუ ღმერთსა არა  
დაეფარვი, რომელმანცა, გამორჩინებულმან, მაუწყა მე მოსლევამ შენი და მი-  
ბრძანა, რომელნი სიტყუანი ვყვნე“. და წარსრულსა უკუე ქმრისა მიმართ ამ-  
ცნო ამათი თქუამდ მისა მიმართ: „ვინადთგან დიდ გყავ შენ სიკვირისაგან და  
არა მყოფისა და მეფობასა გამომხეტელმან დავიდის ნათესვისაგან შენ  
მოგეც ესე, ხოლო შენ ამათი არა მოაჯანენ და მახებრებისა ჩემისა დამტე-  
ვებელმან და აღდნობილთა ღმერთთა შემზადებულმან მათ : ბიკ-ეც, ცარ-  
თვე მოგისპო შენ ქუალად და ყოველი ნათესავი შენი აღგვოყო და ძალთა  
და მფრანველთა ვყო საკველ-ქმნამ. რამეთუ მეფე ვინმე აღდგეს ჩემ მიერ  
ერისა ყოვლისა, რომელმან არცა ერთი დაუტუო იეროვამომს ნათესვისა-  
გან. ხოლო მიეგოს სასაქელი სიმრავლესაცა, განვრდომილსა კეთილისა ქუეყ-  
ნისაგან, ხოლო განთესულსა წიად ევფრატისა აღგილადმი, რამეთუ მეფისა  
უსახებრებათა და უსაქლოებათა შეუდგა და მის მიერ ქმნილთა თაყუანის-  
სცემდა ღმერთთა, სიწმიდესა ჩემსა დამტევებელი. ხოლო შენ, დედაკაცი,  
ამათი მიმთხრობელი მოსწრაფე ექმენ ქმრისა მიმართ. და ძე შენი უკუე  
ჰპოო მკუდარი, რამეთუ მიხვდე რად შენ ქალაქად, დაუტეოს იგი ცხორება-  
მან. ხოლო დაეფლას გოდებელი: ყოვლისა მიერ სიმრავლისა, ზოგადითა პა-  
ტივეკემული გლოვითა, და რამეთუ ესე მხოლოდ იყო იეროვამომს ნათე-  
სვისაგან კეთილი“. ესენი რად იწინაწარმეტყუელსა მან, მსრბოლი დედაკაცი  
და შეშფოთებული და სიკუდილისა ძლით პირველთქუელისა ყრმისა ტყივნე-  
ული, მგოდებელი გზასა ზედა და გულვებდალსა აღსასრულსა ზედა ყრმისასა,  
განჭირალი, საწყალობელი სრბისათვს მოსწრაფე იყო უვერაგოთა ბორბოტ-  
თ: მიერ. და მოსწრაფებასა მალიადსა მკუმეველ იყო ძისა მისისათვს, რამეთუ  
ეგულებოდა, მოსწრაფესა, მალიად ხილვამ მისი, მკუდრისაჲ. ხოლო უსაჰი-  
როეს იყო ქმრისათვს. და მოწვეულმან იგი ვიღრემე პოვა აღმოსულეული<sup>3</sup>,  
ხოლო მეფესა ყოველინეე მიუთხრან

2)1\* არამედ იეროვამომს არცა ერთისაჲ ამათგანისაჲ იზრუნა და, მრავ-  
ლისა მკედრობისა შემკრებელმან როვამომს ყრმისა ზედა, ავიას, ორთა ნა-  
თესავთა მეფობასა მამისაგან მიმთუალველსა, აღეკვედრა ბრძოლად, რამეთუ

1 განველტოს AQ. 2 სხუ AQ.  
\* აღმოსულეული) + ελεεθ ο πατριεης ενος ματα (=როგორც მას უთხრა წინაწარმეტ-  
ყუელმა). 1\* II ნეშტ. 13,2; 13,4.

შეურაცხ-პყოფდა მას ჰასაკისათვის. ხოლო იგი, მსმენელი იეროვამოფსის-მისლვასა მისა მიმართ, არა შეშინდა, არამედ ზუშთაქმნილი სასოებისაჲ სიჟა-ბუცისაჲ გონიერებითა და უმაღლესყოფი სასოებასა მბრძოლისასა, გამომრჩეველი მკედრობასა ორთა ნათესავთაგან შეემთხვა იეროვამოსს ადგილსა. რომელსაჲ მთად, სამართა წოდებულსა. და დაბანაკებული მახლობელად მისსა, ბრძოლისა მიმართთა შეჰმზადებდა. ხოლო იყო ძალი მისი ბევრნი ორჟე-ოცნი და როვამოფსი უკუე მკედრობაჲ ორი ნაწილი მისი. ხოლო ვითარ-მკედრობანი საქმეთა მიმართ და ძვრისხილვათაგან ნაცვალ-განწყობოდეს და შებმა-ყოფაჲ ეგულებოდა, დადგომილმან მალალსა რომელსაჲ ადგილსა ზედა-ავიას და კელითა დამხრელმან სიმალლისა სიმრავლისა და იეროვამოფსმან, აღირსა სმენასა მისგან პირველად დაწყინარებაჲ. ხოლო იქმნა რაჲ დუმილი, აწყო სიტყუად:

„რამეთუ მთავრობაჲ ვიდრე ამან დავიდის და შვილთა მისთა წამს-უყო-ჟამსა, არცა თქუენ უმეცარ ხართ. ხოლო მიკვრს, ვითარმედ განვრდომილნი და განდგომილნი მამისა ჩემისაგან, მონასა იეროვამოსს! შეუდევით და მის-თანა მყოფ ხართ აწ, მბრძოლადნი ღმრთისა მიერ გამორჩეულთანი მეფობად და ქუეყანასა მიმღებლადნი ჩემდა მყოფსა, რამეთუ ესე ვიდრე აქამომდე იეროვამოსს უსამართლოებით აქუს. არამედ ეკვონებ არა მრავალსა ჟამსა. v შეუბასა მისსა ამისგან, გარნა, მიმცემელი ღმრთისაჲ მსჯავრსა / წარსრულის-თჳცა, დასცხრეს უსჯულოებისა და გინებათაგან, რომელთაგან არა მოაკლო-მისა მიმართ მაგინებელმან და ქმნასა ამათსა მარწმუნებელმან თქუენჴან, რომელთაჲცა, არცა ერთსა უსამართლოებულთა მამისა ჩემისაგან, გარნა თუ რამეთუ არა სიტკბოებით ეზრახა შესაყრებელსა კაცთა ბოროტთა განზრახ-ვისა მრწმუნებელი, დაუტევეთ ვიდრემე იგი, ვითარ საგონებელ იყო რისხვით, ხოლო ქეშმარიტებით თავნი თვისნი ღმრთისაგან და მისთა სჯულთაგან განა-შორენით. და თანად შენდობაჲ კეთილად გაქუნდა თქუენ არა სიტყუათათჳს. ძნელთა მხოლოდ მაჰაკაცისა ქაბუცისათა და მთავრობასა გამოუცდელისათა, არამედ და უკუეთუმცა რომლისაჲე მიმართ ძვრისსაქმეთასა განეყვანა იგი სი-ქაბუცესა და უსწავლევლობასა მოქმედებულთასა თანად სალომონოფსთჳს, მა-მისა, და მის მიერთა კეთილმოქმედებათათჳს, რამეთუ საჯმენელ შვილთა ცოდ-ვისა ჭერ-არს ქმნაჲ კეთილგონიერებასა მამათასა. ხოლო თქუენ არარაჲ ამთ-განი გულისკმა-ყავთ არცა მაშინ, არცა აწ, არამედ მოხუედით ჩუენ ზედა მკედრობაჲ ესეოდენი. ვისდა მინდობილი ძლევისათჳს, გარნა თუ ოქროსა-დიაკეულთად და მათა ზედა მყოფთა ვოჴონთად, რომელინი ჰახე უღმრთოე-ბისა თქუენისა არიან, არამედ არა მსახურებისა, ანუ სიმრავლე კეთილსასიგება-ჯყოფს თქუენ ზესთა აღმატებული მკედრობისაჲ? არამედ არარაჲ ძალი ბევ-რეულთა ათთა მკედრობისაჲ უსამართლოებათა თანა მბრძოლისაჲ, რამეთუ ერთსა მხოლოსა მართალსა და ღმრთისა მიმართ კეთილმსახურსა შეემთხუე-ვის წინამდებარედ მტეიციე სასოებაჲ ძლევაჲ წინააღმდეგომთა, რომელი არს ჩუენ თანა, დამლოცველთა დასაბამითგან სჯულიერთასა და თვისსა ღმრთის-მსახურთა, რომელი არა კელთა შექმნეს განვრწნადისაჲ ნივთისაგან. არცა მო-გონებამან ბოროტისა მეფისამან საცთურად ერთა შეჰმზადა, არამედ ვითარ-საქმე არს მისი, დასაბამი და სასრული ყოველთაჲ. განგაზრახებ უკუე თქუენ მერმე და აწცა შენანებასა და მიღებასა უმჯობესისა, გულისსიტყუასა ბრძო-



ლისაგან დაცხრომილთა და ცნობასა მამულთა და თქუნესა ესევეითარადმი სი-  
დიდედ აღჰყვანებელობასა“.

3)\* ესენი ვიდრემე ავიას თქუნა სიმრავლისა შიმართ და მერმეცა, მე-  
ტყუელებდა რაჲ იგი, ფარულად ვინმე მკედართაგან წარავლინნა იეროვო-  
მოს, მომრგულებულნი<sup>1</sup>\* ავიასნი რომელთამე უჩინოთა მკედრობისა კერძო-  
თაგან. ხოლო საშუვალ რაჲ მბრძოლთა პყრობილ იქმნა, მკედრობაჲ ვიდრემე  
შოშნეულ იქმნა და სულითა შეიძმუსრა, ხოლო ავიას განაჰვნობდა და სასოე-  
ბასა ქონებად ღმრთისა მიმართ ევედრებოდა, რამეთუ ესე არა შეიზღუდვის  
მბრძოლთაგან. ხოლო მათ, ყოველთა ერთბამად მომწოდებელთა ღმრთისა მი-  
ერისა შეწვევისათა, მღდელთაგან უწყებულთა ნესტვთა მკომბელთა მიიმარ-  
თეს მბრძოლთა ზედა. და მათნი ვიდრემე ზუაობანი შემუსრნა ღმერთმან და  
ძლიერებანი მათნი დაჰკენნა, ხოლო ავიას მკედრობაჲ უზეშთაეს-ყო, რა-  
მეთუ რაოდენი არა ოდეს მოკსენებულ არს ქმნად სრვაჲ ბრძოლასა შინა,  
ესოდენსა ძალსა როვოამოსგან მომაკუდინებელნი საკვრველსა და განთქუმულ-  
სა ძლევისა ღირს იქმნეს მიღებად ღმრთისაგან, რამეთუ ორმეოცდაათნი ბევრ-  
ნი დასკენს მბრძოლთაგან და ქალაქნი მათნი მტკიცენი მიიტაცენეს მბრძოლ-  
თა, მპყრობელთა ძლიერებით, თანად ვეთილი და ადგილთსამთავროჲ მისი.  
და იეროვოამოს ვიდრემე არღა მერმეცა შემდგომად ამის ძლეულებისა შემ-  
ძლებელ იყო, რაოდენსა ჟამსა ცოცხალ იყო ავიას. ხოლო აღსრულდა ესე  
მცირედსა ჟამსა ცხოვრებული შემდგომად ძლევისა, მმეფობი წელთა სამთა-  
და დაეფლა ვიდრემე იეროსოლჴმთა შინა, ლარნაკსა შინა მამათასა. ხოლო  
დაუტევნა ძენი ვიდრემე ორნი და ოცნი და ასულნი ექუს და ათნი. ყოველ-  
ნი ესე ცოლთაგან ათოთხმეტთა შეილ-ისხნა<sup>1</sup>. და მეფობაჲ უკუე მისი მიითუ-  
ალა ძემან ასანოს. და სახელი ამის ჴაბუჯისა დედისაჲ მახაჲ. ამისსა მპყრო-  
ბელობასა შინა მშჴდობაჲ აქუნდა ისრაილიტთა სოფელსა წელთა შინა ათთა.

4)\* და ავიასთჴს ვიდრემე, როვოამოს სოლომონოსისასა ესე, ესრეთ  
მიძლებელ ვართ. ხოლო აღსრულდა იეროვოამოსცა, ათთა ნათესაეთა მეფე,  
მმთავრობი წელთა ორთა და ოცთაჲ. და ემონაცვალა მას ყრმაჲ ნადავოს,  
აწლა მეორედ წარსრულობასა შინა წლისასა ასანოჲს მეფობისასა. ხოლო  
მთავრობდა იეროვოამოს ყრმაჲ წელთა ორთა, მსგავსი მამისაჲ უსჯულოები-  
თა და სიბოროტითა. და ამათ უკუე ორთა წელთა შორის აღმკედრებული  
ღავათონ ქალაქისა ზედა, რომელი იყო პალესტინელითა, ქალაქის ოკრებით  
მიღებისა მისისათჴს დადგრომილ იყო. ხოლო ზედგანზრახული მუნ რომლისა-  
მე მოყუარისა მიერ, ვოოსამოსა სახელით, ილომს /ყრმისა, მოიკლა, რო-  
მელმანცა, შემდგომად აღსრულებისა მისისა მეფობასა მიძლებელმან, ყოველ<sup>2</sup>\*  
იეროვოამოჲ<sup>2</sup> ნათესაეთა, მომკუდართა, ძალთა ნიერ განხეთქაჲ და აღლე-  
ვაჲ, ხოლო აგარაკის შინათჴს—მფრინველთა მიერ. სახლმან ვიდრემე უკუე  
იეროვოამოჲსმან უღმრთოების მისისა და უსჯულოებათაჲ ღირსი მისცა სას-  
ქელი.

150

<sup>1</sup> შეილის-ისხნა AQ. <sup>2</sup> იეროვოამოს AQ.

\* II ნეშტ. 13,13; 14,1. III მეფ. 14,10. <sup>1</sup>\* παρὰ τὸν ἄριστον ἐξ ἑσθλῶν (=გარაშემობრტყემლ-  
ნი). <sup>2</sup>\* III მეფ. 15,25. <sup>3</sup>\* ყოველი+ჴმთავრ მცდმისეჲ και ოსამიჲ ἄλλὰ δὲ ἑστὸν τοῖσιν ἀποφθ-  
νέσκειν τοὺς μὲν ἐν τῇ πόλει B<sub>289</sub> (=იეროვოამოს მოდგმის ყველა წევრი დახოცა და ისე მოხდა.  
როგორც იფინასწარმეტყველა ღმერთმა. ქალაქში...).

07. 12

1)\* ხოლო იეროსოლჴმათა მეფე ასანოს იყო ქცევითა რჩეული და ღმრთისა მიმართ მხედველი და არცა ერთსა მოქმედი, არცა მომგონებელი, რომელი არა კეთილმსახურებისა მიმართ და სჯულთა დაცვისა მქონებელი იყო აღსლვასა. და წარპმართა მეფობაჲ მისი, მომკუთებულმან, უკუეთუ რაჲ ბოროტი მას შინა და განწმედილმან ყოვლისა ბიწისაგან. ხოლო მკედრობაჲ აქუნდა რჩეულთა მამაკაცთაჲ, რომელნი აღკურვილ იყვნეს ფართთა და ჰორლებითა, იუდას ვიდრემე ნათესვისგან ოცდაათნი ბევრნი, ხოლო ვენიამიტნი ილისაგან, ფართთა შემოსილნი და მშკლდებითა, ბევრნი ხუთნი და ოცნი.

ხოლო აწლა მეთესა რაჲ წელსა მეფობლა ესე, აღიმკედრა დიდითა ძალთა მის ზედა ზარეოს, ეთიოპიისა მეფემან, ოთხმეოცდაათთა ქუეითთა<sup>1</sup> ბეკრეულითა, ხოლო ათთა<sup>2</sup> ცხენოსანთაჲთა და სამასითა ეტლითა. და ვიდრე ქალაქადმდე მარისამსა მიიწია იგი თვისისა ძალისა თანა, ხოლო არს ესე იუდაას ნათესვისაჲ, და შევეთხვა მას ასანოს. და წინაგანაწყობულმან მისდა მკედრობასა ღელესა რომელსამე შინა, საფათად წოდებულსა, არა შორს ქალაქისაგან, ვითარ იხილა ეთიოპელთა სიმრავლე, მკმობელმან<sup>3</sup> ძლევაჲ ითხოვა ღმრთიანაგან და პყრობად მრავალთა ბეკრეულთა მბრძოლთასა, რამეთუ არა სხუა ვისგანმე სიმკნესა იტყოდა, გარნა თუ მისისა შეწეგნაგან, შემძლბელისა და მცირეთაგანცა უილიერეს მრავალთა მოქმედებად და უძლურთაცა — შესთმქონებელთაგან, შემთხუევად ბრძოლისა მიმართ ზარეოჲსა.

2)<sup>2</sup> ამათ რაჲ იტყოდა ასანოს, ძლევაჲ აუწყა ღმერთმან. და შემაწყობელმან სიხარულითა წინაწარბქუმულთაჲთა ღმრთისაგან, მრავალნი მოაკუდინნა<sup>3</sup> ეთიოპელთაგან და მიდრეკილთა ლტოლვად სდეგნიდა ვიდრე გერარტიდოჲს სოფლადმდე. ხოლო დამტევებელთა სრვისათა, დატაცებად ქალაქთა მიმართეს, რამეთუ პყრობილ იყო გერაროჲ. და ბანაკისა მათისაგან მრავალი მიიღეს ოქროჲ და ვეცხლი ფრიადი და ნატყუენავი წარიღეს მრავალი და აქუნნი და კარაულნი და საცხოვართა სიმრავლე.

ასანოჲს ვიდრემე უკუე და მის თანა მკედრობაჲ, ღმრთისა მიერ საძლეულსა და სარგებელსა მიმღებელნი, უკუნ-იქცეს იეროსოლჴმად. და მიწევნილი მათდა<sup>4</sup>, გზასა ზედა შეემთხვა წინაწარმეტყუელი, აზარიას სახელით. ანან, დაპყრობად მბრძანებელმან ნოგზაურობისაგან, იწყო სიტყუად მათდა მიმართ, ვითარმედ: ანას ძლევისა მიმთხოველ არიან ღმრთისაგან, რამეთუ მართლიად და ღირსად თავნი თვისნი მიანიბუნეს და ყოველითურთ განზრახვისა შინა ღმრთისასა იქმნეს. და დადგრომილთა ვიდრე უკუე ეტყოდა მათ მარადს ძლევაჲ მტერთასა და მონიკებასა ღმრთისა მიერ ცხორებასა კეთილბედნიერობით, ხოლო დამტევებელთა კეთილმსახურებისა — წინაღმდგომთა ამათთა შემთხუევასა. „და იქმნეს ესე იგი, რომელსა შინა არავენი იყოს ქემწორი. არცა იპოოს წინაწარმეტყუელი შორის თქუენისა, არცა მდღელი, მეტყუელი სამართალთაჲ. არამედ და ქალაქნიცა უმკდრო იქმნენ და ნათესავი ყოველსა ქუეყანასა შინა ვანითვისოს, მიღმომავალსა ცხორებასა და შე-

<sup>1</sup> ქუითთა. <sup>2</sup> მკმობელად. <sup>3</sup> მოაკუდინნა.

\* II ნუმრ. 14, 2. <sup>1</sup> *μυριάδων* 8,992 (= 10 000). <sup>2</sup> II ნუმრ. 14, 2. <sup>3</sup> *παράγειοις* 8,992 *ბმ* *αἰσίοις* 8,998 (= მიწევულთა მისდა).

კთომილსა მცხოვრებელი“. და განაზრახებდა მათ, ჟამისა მქონებელთა, რაათა კეტილ იქმნენ.

და მრავალსა მოურნეობასა ჰყოფდეს ზოგად ყოველნი და თვსაგან სამართლისაჲსა. ხოლო წარავლინნა მეფემან და სოფლისაჲცა მიმართ ზედმოურნენი სჭულიერთანი.

3)\*. და ასანოას ვიდრემე ორთა ნათესავთა მეფისა ძლითნი ამათ შინა იყვნეს. ხოლო აღვალ ვოოსამისა, მეფესა ზედა ისრაილიტთა სიმრავლისაჲსა, რომელმან მოაკლდინა<sup>1</sup> იეროვოამოას ძეჲ ნადავოს და დაიპყრა მთავრობაჲ, რამეთუ აჲან, თარსილი ქალაქსა შინა მყოფმან და ამას სამკვდრებელად მოქმედმან, ოენი ვიდრემე<sup>2</sup> იმეფნა წელნი და ოთხნი. ხოლო ბოროტ და უღმრთომან უმეტეს იეროვოამოასსა და ძისა მისისაჲსა, მრავლად უბოროტეს-ყო და სიმრავლესა და ღმერთი გინებულ-იქმნა, რომელმანცა წარავლინა მისა გიმოს წინაწარმეტყუელი და პრქუა განზრწნაჲ ყოვლისა ნათესვისა / მისისა და ამათვე ბოროტთა მიერ წარწყმედაჲ სახლისა მისისაჲ, რომელთა შინა და იეროვოამოსცა შთაგდო, რამეთუ მეფედ მის მიერ დადგინებულმან არა ნა-  
ც-ლ-ა-გო კეტილმოქმედებაჲ მართლიად და ღმრთისმსახურებით წინადადგომილმან ერისამან, რომელნი პირველად მათდა კეტილ არიან, ესევეთარად მყოფთა და შემდგომად ღმრთისაჲცა საყუარელ, არამედ ბოროტსა იეროვოამოსს მიემსგავსა და შემდგომად სულისა მისისა წარწყმედისა აჲან ცოცხალი სიბოროტე მისი აჩუენა. გამოცდილებაჲ უკუე ჟეროვნად აქუნდეს მსგავსისა განსაცდელისაჲ, ეტყოდა მას, მსგავს მისდა ქმნილსა.

ხოლო ვოოსამის, წინაწარმემენელი გულეებადთა შემთხუევად<sup>3</sup> მისდა ბოროტთა ყოვლისა ნათესვისა თანა კადრებულთათჳს, არცალა მიერთგან დაწყნარებულ იქმნა, რაათა არა უფროხსდა ბოროტად საგონებელი მოკუდეს და პირველ გარდასრულთათჳს მერმეცა უფროხსდა მაშინ შენანებისა ძლით შენდობაჲსა მიეშთხვოს ღმრთისა მიერ, არამედ ვითარ წინამდებარეთა კეთილთათჳს მათდა, რაჲჲს ვიეთნიმე მოსწრაფე იყვნენ რომლისამე მიმართ, არა დასცნებინან ამისა მამართ მშრომელნი, ესრეთ და ვოოსამისცა, შემდგომად თქუმისა გულეებადთაჲსა მისდა წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარ კეთილთათჳს, ღიდთა ბოროტთა ზედა უძკრეს იქმნა აღსაფხურელად ნათესვისა და წარსაწყმედელად სახლისა, არამედ ვითარ მოლუაწე სიბოროტისაჲ, ამისსა მიმართთა შრომათა ზედ-დასძენდა. და დასასრულად, მკედრობასა მიმყვანებელი, კუალად მივიდა ქალაქსა რომელსამე ზედა, არა უჩინოთაგან მყოფსა, არამათონსა სახელით, სტადიონითა ორმეოკითა განზოვრებულსა იეროსოლვმთაგან. და მპყრობელმან მისმან განაძლიერა, გულისმსიტიყუველმან ერისა დატევებისამან მას შინა, რაათა მიერ მიმართებულნი ძვრხილულ ჰყოფდენ მეფობასა ასანოასსა.

4)\* ხოლო ასანოს, შეშინებულმან კელყოფადთაგან მბრძოლისათა და გულისმსიტიყუველმან, ვითარმედ მრავალნი ბოროტნი ქმნნეს ყოვლისა მიმართ მის ქუეშისა სამეფოჲსა არამათონის შინა დატევებულმან მკედრობამან, წარავლინნა მოხუცებულნი დამასკინელთა მეფისა ძიმართ და ოქროჲ და ვე-

<sup>1</sup> მოაკლდინა. <sup>2</sup> ე.ე. <sup>3</sup> შემთხუევად A.

\* III მეფ. 15,33; 15,17. II ნეშტ. 16,1. 1\* III მეფ. 15,18. II ნეშტ. 16,2.

ცხლი, მიმწოდებელმან თანაშეწევნად და მოპაკენებელმან, ვითარმედ მამული სიყუარული არს მათდა ურთიერთარს. ხოლო მან საქმართა სიმრავლე მზიარულებით შეიწყნარა და თანაშეწევნად ქმნა მისა მიმართ, დამკნენლმან ვოოსამის მიმართისა სიყუარულისაჲმან და, წარმავლინებულმან მეფობისა მისისა ქუეშე მყოფთა ქალაქთა მიმართ მთავართაჲმან, თვისსა ძალისაგან უბრძანა ბოროტის-ყოფად მათი, ხოლო მათ რომელნიმე დაწუნეს და სხუანი მიიტაცენს წარსრულთა, იონათისად სახელდებული და დანა და აველლანი და სსუანი ქალაქნი. ამათი მსმენელი ისრაილიტთა მეფე შენებისა ვიდრემე და განმტკიცებისაგან არამათონისა დასცხრა და მოსწრაფებით, ვითარ მგულბელი შეწევნად თვსთა ბოროტ-ყოფილთაჲ, უკუნ-იქცა. ხოლო ასანოს მის მიერ შემზადებულისა ნივთისაგან აღშენებთა ძლით ქალაქნი აღჰმართა ადგილსა მას შინა ორნი ძლიერნი, რამეთუ ერთსა ვიდრემე ღავა ეწოდებოდა, ხოლო სსუასა — მასტაფას. და შემდგომად ამათსა არა აქუნდა ჟამი ვოოსამისსა ასანოას ზედა აღმკვდრებისაჲ, რამეთუ განიხრწნა თანამდებისაგან და დაფულა არსი ქალაქსა შინა. ხოლო მიიღო მთავრობაჲ მისი ყრმამან ილანოს. ესე, მმთავრობი ორთა წელთა შინა, აღსრულდა, მოკუდინებული ზედგანზრახვითა ზამარაჲსითა, ნახევარსა ნაწილსა ზედა ცხენთმთავრისაჲთა, რამეთუ იშუებდა რაჲ იგი განმგებელსა თანა მისსა, ოლსას სახელით, მარწმუნებელმან ზედამისრბოლვად ვიეთმე მის ქუეშეთა მკედართაჲმან, მოკლა მათ მიერ, განმარტობული გარემოჲსთა მისთა აღჭურვილთა და მთავართაგან, რამეთუ ესე ყოველნი ოკრებად ღავათონისა წარსრულ იყენეს რომელი იყო პალესტინელთაჲ.

1510

5)\* და მომაკუდინებელი ილავანოასი ცხენთმთავარი ზარის თვთ მეფე იქმნა და ყოველი ვოოსამის ნათესაჲი, წინაწარმეტყუელებთაჲებრ, განხრწნა, რამეთუ მითვე სახითა შეემთხვა სა/ხლსა მისსა ძირითურთ წარწყმედამ უსჯულოებთაჲთვს, რომლითა და იეროვამოჲსიცა განხრწნილად დავერეთ. ხოლო მოკრებელმან ღავათონისმან მკედრობამან, ვითარ ისწავნა მუღისა ძლითნი და ვითარჰედ ზამარის, მომკლველსა მისსა, აქუს მეფობაჲ, და ამანცა მთავარი მისი ამარინოსი განაჩინა მეფედ, რომელმანცა ღავათონისაგან წარიყვანა მკედრობაჲ და თერსად მიიწია სამეფოდ და მბრძოლმან ქალაქისამან ძლიერებით იპყრა. ხოლო ზამარის, მხილველი ქალაქისაჲ მოკრებულად, ივლტოდა უშინაგანებისა მიმართ სამეფოთაჲსა და ქუეშეაღმდებელმან მისმან და თან-დაიწუა თავი თვისი, მმეფობამან დღეთა შინა შვდთა. ხოლო განიყო მეყუსეულად ისრაილიტთა ერთი: და რომელთამე მთავანთა თამნეოასი ენება მეფობაჲ, ხოლო სსუათა — ამარინოასი. და მძლველთა ანისისა მეფობისა მალირსებელთა მოაკუდინეს თამნეოსი და მეფე იქმნა ყოველსა ერთსა ამარინოს. ხოლო ოცდამეათესა წელსა ვოოსამის მეფობისასა მთავარ იქმნა ამარინოს წელთა ათორმეტთა, ამთგან ექუსნი ვიდრემე თარსის ქალაქსა შინა და ნეშტნი — მარონიდ სახელდებულსა ქალაქსა შინა, ხოლო ელლინთა მიერ სამარაჲდ წოდებულსა. და ამან უკუე უწოდა მას სომარეოდ მთისა გამო, შთამოტევებულისა მისად, რომელსა ზედა შეჰმზადა სომარე. ხოლო არარაჲ ჰმბატდა პირველ მისსა მმეფობთასა, გარნა თუ უძვრეს-ყოფითა, რამეთუ ყო-

\* III მეფ. 16,11; 16,22.

\* აქცა წაშლილ იყო და იგი ვაკეთეთ ღმრთობთა.

ეცლნი ეძიებდეს, ვითარ განაყენონ ერი ღმრთისაგან. და დღითი-დღედთა უსჯულოებათა მიერ. და ამისთვის ურთიერთარსთაგან ქმნა ღმერთმან მოსრვაჲ მათი და არცა ერთისაგან ნათესვისა დაშოობაჲ. აღსრულდა უკუე ესეცა სამარიას შინა, ხოლო მონაცვალე ექმნა მას ყრმაჲ ახავოს.

6)\* საცნაურ არს უკუე ამთავან, რაოდენი ზედამხედველობაჲ აქუს ღმერთსა კაცობრივთა საქმეთაჲ და ვითარ ვიდრემე უკუე უუუარან კეთილნი და სძაგებს ბოროტთა და ძირითურთ წარსწყმედს, რამეთუ ისრაილიტთა მეფენი<sup>1</sup>, სხუაჲ სხესა ზედა უსჯულოებისათჳს და უსამართლოებისა მცირედსა ეაშსა შინა მრავალნი ბოროტად განხრწნილნი, განხრწნენს და ნათესავიცა მათი. ხოლო იეროსოლჳმთა მეფე და ორთა ნათესავთაჲ, ასანოს, კეთილშეხურებისათჳს და სიმართლისა, გრძელადმი და კეთილბედნიერად სიბერედ მიიწია და ორმეოცთა და ერთსა მმთავრობი წელსა კეთილად მოკულაჲ. ხოლო აღსრულდა რაჲ, მიითუალა მთავრობაჲ ძემან იოსაფატისა, ქმნილმან ცოლსაგან, ავიდაჲსაჲ სახელით. ესე მიმსგავსებულად დავიდისა, პირველისა პაპისა მისისა, სიმჴნითა და კეთილშეხურებითა ყოველთა მამაკაცთა შეპრაცხეს საქმეთა შინა. არამელ აპის ვიდრემე მეფისათჳს არა სასწრაფო არს აწ თქუმაღ.

თ. 13

1)\*<sup>1</sup> ხოლო ახავოს ვიდრემე, ისრაილიტთა მეფე, მკვდრობდა სამარიასა შინა და მთავრობაჲ უკუე იპყრა ვიდრე წელთადმდე ოცთა და ორთა, არცა ერთისა განმთავრებელმან პირველთა მისთა მეფეთასა, გარნა თუ რაოდენნი უძკრეს გარდამატებულებითა სიბოროტისაჲთა მოიგონნა, მიმსგავსებულმან ყოველთა შინა სიბოროტეთა მათთა და ღმრთისა მიმართსა გინებასა და უფროჲსდა იეროვამოჲსსა მოშურნემან უსჯულოებასა. და რამეთუ ამანცა დიაკეულთა, მის მიერ შემზადებულთა, თაყუანისსცა და ამათ თანა სხუანიცა უახლესნი მოიკვლოვნა. ხოლო ექორწინა ცოლსა, ასულსა ვიდრემე ითოვალ-ოჲსსა, ტვრელთა და სიდონელთა მეფისასა, ხოლო სახელით იეზაველას, რომლისაგან მისთვისთა ღმერთთა თაყუანისცემად ისწავა. ხოლო იყო დედაკაცი ესე უკდემელ და მკადრე და ესოდენად უღმრთოებად და სიბოროტილად შთავარდა, ვიდრელა და ტამარიცა ღმერთსა ტვრელთასა, რომელსა ვილიდ სახელსდებენ, აღუშენა და სერტყოვანი ყოველთა ხეთაგან დაჰნერგა. ხოლო დაადგინნა მდღელნი და ცრუწინაწარმეტყუელნი ამის ღმრთისათჳს. და თვთ მას მეფესაცა მრავალნი გარემოჲს მისსა ესეკვითარნი აქუნდეს, უგუნურებითა და სიბოროტითა ყოველთა პირველ მისსა მყოფთასა ზესთალსრულსა.

2)\*<sup>2</sup> ხოლო წინაწარმეტყუელი ვინმე დიდისა ღმრთისაჲ, ქალაქისა თეს-ვონისაგან, ღალადიტისა სოფლით, მოსრული ახავოჲსსა წინაწართქუემასა მისსა მიმართ ღმრთისაჲ ეტყოდა არა წკმად მათ/წელთა შინა, არცა ცუარსა შთამოტევებად ქუეყანასა ზედა გარეშე გამოჩინებისა მისისა. და ამათ ზედა მფუტავი წარვიდა ნოტოჲსა<sup>3</sup> მიმართთა კერძოთა და მუნ იქცეოდა ჴევსა

1 მეფენ. 2 მოკლა. 3 სავდასა A.Q.D. ყუანად: \*Aβιθδς 8<sub>118</sub>  
 \* III მეფ. 15,24. II ნეშ. 16,13. 1<sup>o</sup> III მეფ. 15,29. 2<sup>o</sup> III მეფ. 17,1; 17,10. 3<sup>o</sup> πρδς  
 πρδς μδρη 8<sub>118</sub> (=სამხრეთით).

რომელსაღე შინა, რომლისაგან და სასუმელიცა აქუნდა, რამეთუ საზრდელსა ვიდრეღე დღითი-დღე მოართემიდეს მას ყორანნი. ხოლო განკმა რად მდინარე უწვმროებისათვის, სარეფთა ქალაქად მიიწია ბრძანებისაებრ ღმრთისა, არა შორს სიდონისაგან და ტკროსსა, რამეთუ საშუვალ ჰდებარე არს, ვინაფთგან პოვოს მუნ დედაკაცი ქურივი, რომელმან მიანიჭნეს მას საზრდელნი. და არა შორს მყოფმან ბვისაგან იხილა დედაკაცი მკოლოვი, შემკრებელი შემისაჲ. ხოლო ღმერთმან აუწყა ამისი ყოფაჲ, რომელსა ეგულების გამოზრდაჲ მისი. და პისრულმან მისსა მიმართ, მოიკითხა იგი და ევედრა მოღებად წყალსა, რაფთა სუას. და წარვიდოდა რად, მოწოდებელმან, პურისაჲცა მოღებაჲ უბრძანა მისთვის. ხოლო იგი ფუცვიდა შინაგან არა ქონებად. გარნა თუ ერთსა მჯილსა ფქვილისასა და მკირესა ზეთსა, ხოლო აწ წარავალს შემკრებელი შემათაჲ, რაფთა, აღმსურელმან, ქმნეს მის და შვილთა მისთათვის პური, რომლიცა შემცოდომად წარწყმდენ, სიყმილითა აღლეულნი, არდა მერმეცა ერთისა რაფე ყოფითა. „არამედ მინდობილი, ეტყოდა, წარვედ და უმჯობესთა მომლოდე და მოქმედმან მკირესა, პირველად მე მომართუ, რამეთუ წინაწარგეტყუ შენ არა ოდეს მოღებად ფქვილსა პურქლისა მისგან, არცა ზეთსა კეცისაგანი, ვიდრეჲდის არა წვმოს ღმერთმან“. ესენი რად თქუნა წინაწარმეტყუელმან, მიწვენილმან სახიდ თვსად ქმნა მისა მიმართ თქუმულნი. და თვთ მასცა აქუნდა და შვილისაჲცა მისცა გაჰოსაზრდელი და წინაწარმეტყუელსა. ხოლო არა მოაკლდა მათ ამათგანი არცა ერთი, ვიდრემდის არა დასცბრა განკმელობაჲ.

მოიკენებეს უკუე ამის უწვმროებისასა შენანდროსცა, ითოვალომს, ტკრელთა მეფისა, საქმეთა შინა მეტყუელი ესრეთ: „ხოლო უწვმროებაჲ იქმნა ამის ზე კპერვერეტომს თვსაგან ვიდრე მომავლისა წლისა კპერვერეტომსადმდე. ხოლო ვინაფთგან ვედრებაჲ ქმნა ამან, მეხსტბანნი კმასაყოფელნი შთამოიტევენს. ამან ქალაქი ვოტრკ აღაშენა ფნვიკის შინა და ავქსანი ლიევას შინა“. და ესენი ვიდრემე ცხად-ყენა<sup>1</sup> ახაომს ზე ქმნილისა უწვმროებისათვის, რამეთუ ამას ეჲმსა და ითოვალოსცა მეფობდა ტკრელთა ზედა, ვითარცა აღწერა მენანდროს.

3) ხოლო დედაკაცი, რომლისათვის უწინარეს ამისა ვთქუთ, მზრდელი წინაწარმეტყუელისაჲ, ვინაფთგან ყრმაჲ მისი შთაჲარდა სენსა, ვიდრელა და სულიცა განუტევა და მკულრად საგონებელ იქმნა, მგოდებელი და კელითა მწყლველი თავისაჲ და კმათა, რომელთა მიერ განსტქემიდა, ვნებასა განმტევებელი მისა მიმართ აბრალებდა მისლვასა წინაწარმეტყუელსა, ვითარ მამზილებულსა ცოდვათა მისთასა და ამის ძლით ყრმისა აღსრულებასა. ხოლო იგი უბრძანებდა უშიშობებად და ძეგა მისსა მისცემდა, ვინაფთგან ცხოველი უკუნსცეს იგი. და ვინაფთგან უკუე მისცა, აღიყვანა იგი საბლად, რომელსა შინა გუჲფ იყო და დამდებელმან ცხედარსა ზედა კმა-ყო ღმრთისა მიმართ, ვითარმეღ არა კეთილად ნაცვალ-აგო შემწყნარებელსა და მზრდელსა, შვილისა მისისაჲ მიმდებელმან. ევედრებოდა უკუე შევლინებად ყრმისა მიმართ სულსა და მინიჭებად მისდა ცხორებასა. ხოლო ღმერთმან, შემწყნარებელმან დედისამან და წინაწარმეტყუელისაჲცა მინიჭებად მნიებებელმან, რაფთა არა საგონე-

<sup>1</sup> ცხ-ყენა A.

<sup>2</sup> III მეფ. 17,17.

ბელ-იქმნეს დედაკაცისა ბორტისა ძლით მისლვამ. გარეშე ყოვლისა სასოე-  
ბისა განაცხრეულა. ხოლო იგი ჰმადლობდა წინაწარმეტყუელსა და მაშინ  
ცხადად იტყოდა მეცნიერებასა, ვითარმედ ლმერთა ზრახავს მის თანა.

4)\* და მცირედი რამ უკუე ეამი წარკდა, ჰიიწა ახაეოსს მიმართ მეფისა  
განზრახვისაებრ ღმრთისა, რამთა აუწყოს მას მოსლვადი წკმამ. ხოლო სიყმი-  
ლსა ებყრა ყოველი ქუეყანამ და ფრიალი უღონობამ იყო საჰიროთამ, ვად-  
რელა არა კაცნი მხოლოდ ნაკლულევან იყვნეს ამათგან, არამედ და არცა  
ქუეყანამ აღმოაცენებდა უწმროებისათს, რადენი ცხენთა და პირუტყუთა  
სხუთა საზრდელად საკმარ არიან. მონწოდებელმან უკუე მეფემან ზედმოურ-  
ნესა სამწყსოთა მისთასა, ოვედიას, თქუა მისა მამართ: „წარსლვამ მნებაჲს  
წყაროთა ჰიპართ და კევთა მდინარეთასა, რამთა უკუეთუ სადმე მათ შორას  
იპოვო წჳუნავილი, მომლებულთა მისთა აქუნდეს იგი საზრდელად პირუტყ-  
უთათს“. ვინამთგან წარვლინებულთა ყოვლისა ქუეყანისა მიმართ, მეძე-  
ბელთა წინაწარმეტყუელისა ილიამსთა, არა პოვეს იგი, ხოლო უკუანამედ-  
გომამ ნიი უბრძანა. და ვითარ უკუე სთნდა მათ წარსლვამ, განმყოფელნი  
გზათანი! ოვედიას და მეფე წარვიდეს სხუამ სხუთა გზათა. შემთხუელ იყო,  
რომელსა ეამსა იეზაველა დედოფალმან მოაკლდინა<sup>2</sup> წინაწარმეტყუელნი,  
ასთა წინაწარმეტყუელთა დამალვამ ქუეყანასა ქუეშე ქუბათა შინა და ზრდამ  
მათი, პურისა მიმცემელსა მხოლოდ და წყლისასა.

152

და განმართებულსა მეფისაგან ოვედიასს შეეძახვა წინაწარმეტყუელი  
ილია და იკითხვიდა მისგან, ვინ არს. და ისწავა რამ, თაყუანის-სცა მას.  
ხოლო იგი მეფისა მიმართ წარსლვად უბრძანებდა და სიტყუად, ვითარმედ  
მოვალს მისა ჰიპართ. და იგი უკუე ეტყოდა, რომელსა ბორტისა მენებელი  
მისგან ჰქობებელსა მიმართ მოკლდინებდა და ქუეყანასა განმბილველია წა-  
რავლენს<sup>3</sup> მას, ანუ უმეცარ არს იგი ამას, რამეთუ არცა ერთი ადგილი დაუ-  
ტევებიეს, რომლისა მიმართ არა წარავლინა მოწყვანებელნი სიკუდილად,  
უკუეთუ იპყრან იგი? და რამეთუ მოშიშ არს ვინა მიმართ, ეტყოდა, ნუსადა  
ღმერთი თუ გამოუჩნდეს მას, კუალად სხუად ადგილად წარვიდეს. და ამისა  
შემდგომად. ვერ მიმთხუელმან<sup>4</sup> მისდა მეფემან, წარმავლინებელმან და არა  
შემსლებელმან პოვნად რომელსა ქუეყანასა იმყოფების, მოაკლდინოს. მოურ-  
ნეობად უკუე ცხობებია შაისა ევედრებოდა, თანკელოვანთა მის ძლითათ-  
თს მოსწრაფებასა მეტყუელი, ვინამთგან აცხოვნებს ასთა წინაწარმეტყუელ-  
თა, სხუთა ყოველთა იეზაველამ მიერ მოკლდინებასა, და აქუან იგინი ჯა-  
ფარულთა და ზრდილნი მის მიერ.

ხოლო მან, არარამს მოშიშსა, წარსლვამ უბრძანა მეფისა მიმართ, მიმ-  
ცემელმან მისდა ფიცთა მტკიცეთამან, ვითარმედ შემდგომად მან დღესა შინა  
გამოუჩნდეს ახავოს.

5)1\* ხოლო აუწყა რამ მეფესა ოვედიას ილიამის მოსლვამ<sup>5</sup>, შეემთხვა<sup>6</sup>  
ახავოს და ჰკითხვიდა რისხვით, უკუეთუ იგი არსა ევრელთა ერისა ბორ-  
ტისყოფელი და მიზეზ უნაყოფოებისა ქმნილი ქუეყანისად. ხოლო მან, არცა

1 გზათანი/ქოლის AQ. 2 მოაკლდინა. 3 წარავლენ. 4 შემთხუელმან. 5 მოაკლდინოს.  
6 მოსლვა.]—AQD. 7 შეემთხვაეოს A.  
\* III მეფ. 10,1. 1\* III მეფ. 16,16.

ერთითა მლიქნელმან, მისი თქუა ყოველთა ბოროტთა მოქმედებაჲ და ნათესეისა მისისაჲ, რომელთა მოიყვანნეს უცხონი ღმერთნი ქუეყანასა შინა და ამათ ჰმსახურებენ, ხოლო თუხი მათი, რომელი მხოლოჲ არს ღმერთი, დაუტყვეს და არცა ერთსა ზრუნვასა მქონებელ არიან მისთვის.

და მაშინ ვიდრემე, წარსრულსა, უბრძანა ყოელისა ერისაჲ კარმილოდ მთად, მისა მიმართ, შეკრებაჲ და წინაწარმეტყუელთაცა მისთაჲ და ცოლსა მისისათაჲ, შეტყუელმან რიცხსაცა, რაოდენნი იყვნეს, და წინაწარმეტყუელთა სერტყოვანთასა, სიმრავლით ვითარ ოთხასად მყოფთა. ხოლო ვითარ მორბიოდეს ყოველნი პირველთქუმულსა მთასა ახავოესგან მოწოდებულნი, მღვობარემან საშუვალ მათსა, წინაწარმეტყუელმან ილია თქუა: „ვიდრემდის განწყოფელნი თავთა თუსთანი გონებითა და თნებთჲ ესრეთ მცხორებელ იყვნეთ? და მექუელნი უკუე ვიდრე თუსისა ღმრთისანი ჰქმშარიტად და მხოლოდ, შეუღევთ ამას და მცნებათა მისთა, ხოლო ამათნი არა მრწმუნებელნი, არამედ უცხოთა ღმერთთათჳს მექუელნი, ვითარ ჟერ-არს მსახურებაჲ მათი, შეუღევთ მათ“ — განაზრახებდა.

და ვინამთგან უკუე სიმრავლე ამათ მიმართ არარას. სიტყუა-უგებდა, ევეღრა ილია განცდისა ძლით ძალსა უცხოთა ღმერთთასა. და თუსისა მხოლოდ მყოფი წინაწარმეტყუელად, ხოლო მათსა ოთხასთა ქონებასა, რამთა მიიღოს მან ზუარაკი და ამისმან მმსხუერპლველმან დადვას შეშათა ზედა ცეცხლისა, არა აღმაგზნებელმან ქუეშე კერძო. და მათცა, რამთა ესენივე იმოქმედნენ და ევედრნენ თუსთა ღმერთთა და აღნთებად შეშათა. რამეთუ ესე რაჲ იქმნეს, ისწავოთ<sup>1</sup> მაშინ ჰქმშარიტი ბუნებჲ ღმრთისაჲ. ხოლო სათნო იჩინა რაჲ ესე განზრახვჲ, უბრძანა ილია წინაწარმეტყუელთა, რამთა, გამომრჩეველთა ზუარაკთასა, პირველად ამსხუერპლონ და უწოდონ პირველთა მათთა. ხოლო ვინამთგან არარაჲ სარგებელ ექმნებოდა მათ ლოცვისა და მოწოდებისაგან წინაწარმეტყუელთა მმსხუერპლველთა, მბასრობელი მათი ილია დიდითა კმითა მოწოდებასა ღმერთთასა უბრძანებდა მათ, რამეთუ ანუ შორს სადმე მყოფ არიან იგინი. ანუ მძინარე არიან. ხოლო იგინი განთიადითგან ვიდრე განყოფილებადმდე დღისა მოქმედ იყვნეს ამას და დასჭრიდეს თავთა მათთა მახვლითა და ლახურებითა მამულისა წესისაჲბრ. ამან, მგულებელმან აღსრულებად მსხუერპლსა, უბრძანა რომელთამე წარსლვჲ, ხოლო სხუათა, მახლობელად მისრულთა, ცვაჲ მისი, რამთა არა ცეცხლი ფარულად / შეშათა ქუეშე დადვას. და ვინამთგან მოვიდა ერი, მიმღებელმან ათორმეტთა ქვათამან ნათესვისაებრ ევრავლთა ერისაჲ, აღკმართა მათგან სამსხუერპლოდ და გარემოჲს მისსა ლარნაქნი მოსთხარნა ღრმანი. და დამდებელმან ნახეთქთამან ვომონსა ზედა და ამათ ზედა დამდებელმან მსხუერპლთამან, ბრძანა ოთხთა საწყაულთაჲ, წყაროჲსა წყალთაგან აღესებულთაჲ, დააკურებაჲ სამსხუერპლოსა ზედა, ვიდრე არა ზუსთა აღვიდეს მისსა და ლარნაკოვანი ყოველი აღივსოს წყლითა, წყაროსგან აღმომდინარისა. ამათმან მოქმედმან იწყო ლოცვად ღმრთისა მიმართ და მოწოდებად მისსა, რამთა საჩინო იქმნეს შეტუნებულისა ერისა აწვე მრავალსა ეამსა ძალი მისი. და ამათ რაჲ იტყოდა, მეყუსეულად ცეცხლი ცისაგან ვომონსა ზედა დაეცა სახედველად სიმრავლისა და მსხუერპლრ აღლია, ვიდრემდის დეიწუა წყალიცა და ავლ იქმნა ადგილი.

<sup>1</sup> იყვნეთ/ისწავლი A.Q.D. <sup>2</sup> იწავით A. <sup>3</sup> დაკურებაჲ.



6)\* ხოლო ისრაილიტნი, ამის მხილველნი; დაეცნეს<sup>1</sup> ქუეყანასა ზედა და თაყუანის-სცემდეს, ერთად ღმრთად და დიდად და ქეშპარიტად მხოლოვსა მწოდებელნი, ხოლო სხუთა — სახელთა მოქმედებულთა ბოროტისა და უგონებოვსა თნებისაგან. და მპყრობელთა წინაწარმეტყუელთა მათთასა, მოაკუდინნეს ილიაჲს განზრახვითა. და მეფესაცა უკუე ჰრქუე წარსლვად სერობად, არცა ერთისა მერმეცა მზრუნველსა, რამეთუ შემდგომად მცირედისა იხილოს ღმერთი, წვმასა შთაპოპტევებელი. და ახავოს ვიდრემე წარვიდა, ხოლო ილია, მწუერვალსა ზედა მათსა კარმილოვსასა აღსრულმან და მღებარემან ქუეყანასა ზედა, დაამტკიცა თავი მუკლთა თანა, ხოლო მსახურსა უბრძანა, წარსრულსა რომელსამე მწუერვალსა ზედა, ზლუად მიმართ ხედვად და უკუეთუ იხილოს ღრუბელი, აღდგომილი სადაჲთვე, რაჲთა აუწყოს მას, რამეთუ ვიდრემე მიერადმდე წმიდა-ყოფად შეემთხუეოდა აერსაჲ, ხოლო მან, აღსრულმან და მრავალგზის არარაჲს ხილვად მეტყუელმან, მეშვდედ წარსრულმან ხილვად რომლისამე აერისაგან განშავებულად თქუა, არა უმეტესისაჲ კაცისა კუალისაგან. და ილია უკუე, ამათმან მსმენელმან, წარავლინა ახავოვს მიმართ, მბრძანებელმან მისდა ქალაქად წარსლევისამან ვიდრე წვმისა შთამორტევებადმდე. და იგი ვიდრემე გირაერა ქალაქად მიიწია. ხოლო შემდგომად არა მრავლისა დაბნელდა აერი და ღრუბლითა დაიფარა და ქარი ფიცხელი მოიწია და ფრიადი. წვმაჲ. და წინაწარმეტყუელი უკუე, ღმრთივე მორბედქმნილი ეტლსა თანა მეფისაჲ. ვიდრე ისრაილზაროჲს ქალაქადმდე რბიოდა.

7)† ხოლო იეზაველა, ახავოვს ცოლმან, ილიას მიერ ქანილთა სასწაულთა მსწავლელმან და ვითარბედ წინაწარმეტყუელნიცა მათნი მოაკუდინნა, განრისხებულმან წარავლინნა მისსა მიმართ მიმთხრობელნი, მაქადებელმან მათ მიერ მოკუდინებასა მისსა, ვითარ და მანცა წინაწარმეტყუელი მისნი წარწყმიდნა. ხოლო ილია, შეშინებული, იელტოდა ქალაქისა მიმართ, ვერსუევედ სახელდებულისა, დასასრულსა უკუე იუდაჲს ნათესვისა მიერ ქონებულთაგან არს სოფელი ესე იდგეჲასაჲ ქუეყანასა შინა. და დამტეგებელი უკუე მუნ მსახურისაჲ უდაბნოდ წარვიდა, მლოცველი მოსიკუდილ-ყოფისაჲ, რამეთუ არა ჯერ-არს უმგობეს-ყოფად მამათაჲ, რაჲთამცა შემდგომად სიკუდილისა მათისა იგი წადიერ იყო სიციცხლედ. ხოლო მიეძინა<sup>2</sup> რაჲ ხესა რომელსამე ქუეშე, აღადგინა ვინმე იგი. და აღდგომილმან პოვა წინამდებარედ მისდა საზრდელი. და მკამელი უკუე და შემკრებელი ამის საზრდელისაგან ძალსა, წოდებულად სინეოვსა მთად მიიწია, სადა მოვსის სჯულთა მიღებად ითქუმის ღმრთისაგან.

და მპოვნელმან მას ზედა ქუაბსა რომელსამე ღრმასა, შევიდა მას შინა და მყოფ იყო, მას შინა მოქმედი დამკვრებისაჲ. ხოლო ჰკითხვიდა ვინმე მას ჯმად უჩინობით, რაჲსათვის დამტეგებელი ქალაქისაჲ მოვიდა მუნ. ხოლო იგი ეტყოდა, რამეთუ მოაკუდინნა<sup>3</sup> წინაწარმეტყუელი უცხოთა ღმერთთანი და არწმუნა კრსა, ვითარბედ იგი არს მხოლოდ ღმერთი, რომელსა დასაბამითგან ჰმსახურებდეს. ამისთვის იძიებოდა დასასჯელად ცოლისა მიერ მეფისა. ხოლო მომავალსა დღესა კუალად მსმენელმან განვლად ეთერსა ქუეშე, რამეთუ ესრეთ ცნას: რაჲ ჯერ-არს ყოფად, იგანიდა ქუაბისაგან შემდგომსა დღისა და ძრვად ქსმა და

<sup>1</sup> დაენეს A. <sup>2</sup> ვარსა AQ, ჰერსა S. <sup>3</sup> მოკლინებასა. <sup>4</sup> მეძინა A. <sup>5</sup> მოაკუდინნა.

\* III მეფ. 18,39. † მეფ. 19,1.

153 ბრწყინვალე ნათელი ცეცხლისა იხილა. და დაწყნარებდა რა იქმნა, კმა საღ-  
მართოა არა აღშფოთებასა უბრძანებდა მას ქმნილთა ზედა, რამეთუ არავინ  
მტერთაგანმან იპყრას იგი. და თანად უბრძანა მას, რაათა წა/რსრულმან სახიდ  
თვსად განაჩინოს მეფედ ერისა ინუს, ნემესეოსს ყრმად, ხოლო დამასკოს მყო-  
ფი აზაილოს — სურთა და ნაცვლად მისსა წინაწარმეტყუელი ელისსეოს  
იქმნეს მის მიერ, ქალაქისაგან აველაჲსა. ხოლო განხრწნეს უღმრთონი ვანი  
რომელნიმე აზაილოს, ხოლო სხუანი — ინუს.

და ილია უკუე, ამათი მსმენელი, უკუნ-იქცა ევრაელთა ქუეყანად. და  
მპოენელმან საფატომს ყრმისა, ელისსეოსმან, მცნველად<sup>1</sup> და მის თანა სხუათა  
ვიეთმე, ბოლტველთა ათორმეტთა უღლეულთასა, მისრულმან მიუგდო მათ  
თვისი შეამოსელი. ხოლო ელისსეოს მეყუსეულად იწყო წინაწარმეტყუელე-  
ბად და, დამტევებელი ჯართაჲ, შეუდგა ილიას. ხოლო ევედრა, რაათა შეუნ-  
დოს მას მოკითხვად შშობელთაჲ და უბრძანა ამისი ქმნად. და იგი უკუე. მკმნე-  
ლი მათგან, შეუდგა და იყო ყოველსა ესმსა ცხორებასა შინა ილიაჲსა მოწა-  
ფე და მსახურ. და წინაწარმეტყუელისა ძლიანი ვიდრე ესევეთარნი იყვნეს.

მ)\* ხოლო ნავოთეოს ვინმე, რზაროს ქალაქისაგან, მახლობელ იყო მე-  
ფისა აგარაკითა. და ევედრებოდა მას მიცემად მისდა ფასსა, რაოდენსაცა  
მნებებელ არს, მახლობელად მისთა აგარაკთა მყოფსა აგარაკისათვის, რაათა,  
შემაერთებელმან, ქმნას იგი ერთად ადგილად. ხოლო უკუეთუ არა ჰნებავს,  
საკჳართა მიღებად უბრძანა, გამოორჩევაჲ რომელსამე აგარაკთა ნისთავანსა.  
ხოლო მან — „ესე ვიდრემე, თქუა, არა ვქმნა, არამედ ქუეყანასა ვანაყოფი-  
რებდე, რომელი დავიმკვდრე მამისაგან“. და შეფემან უკუე: „შუქმუნვებულმან  
ვითარ ვინებისათვის, რამეთუ არა მიიხუნა უცხონი, არცა საზრდელი მიიღო  
და არცა სასუმელი. ხოლო ვინაჲთგან ცოლმან მისმან, იეზაველა, ჰკითხა მას,  
რასათვის მწუხარე არს და არცა იბანებოს, არცა საზრდელი დაეგების მას,  
არცა სერი, მიუთხრა მას ნავუთეოსს უგბილობად და ვითარმედ მტუმეველი  
მშვდთა სიტყუათა მისა მიმართ და მეფობრივისა კელმწიფებისა უღარესთაჲ,  
იგინა, არა მიმთხუელი, რომელთათვის ევედრებოდა. ხოლო იგი არა სულ-  
მეკრეობად ამათთვის ევედრებოდა, არამედ დაცხრომად მწუხარებისაგან და  
ჩუეულებითისა მოურნეობისა მიმართ სხეულისაჲსა მიქცევად, რამეთუ მან  
თვთ იგულოს ნათეოსს სასჯელისათვის. და მეყუსეულად წარავლინა წერილ-  
ნი ზესთმქონებელთა მიმართ ისრაილიტთაჲსა ახაოჲს სახელით, მარხვად მბრძა-  
ნებელმან და ქმნად შესაკრებელსა და დაჯდომად ზენა კერძო მათსა ნავოთეოსს,  
რამეთუ იგი ნათესაისაგან საჩინოსსა, და შემზადებად სამთა კაღნიერთა ვიეთ-  
მე, რომელთა წამონ ძენად მისა. ვითარმედ მგმობელ არს ღმრთისა და მეფისა  
და ესრეთ დაქოლვილსა ამით სახითა მოკუდინებად. და ნავუთეოსს ვიდრემე,  
ვითარცა მიეწერა დედოფალსა, ესრეთ დაწამებული გმობად ღმრთისა და ახა-  
ვოჲს, დაქვეებული სიმრავლისა მიერ, მოკუდაჲ. ხოლო ამათი მსმენელი იეზა-  
ველა შევიდა მეფისა მიმართ და დამკვდრებმსა ნავუთეოსს სავენჯოჲსაჲსა  
უფასოდ უბრძანებდა. და ახაოს უკუე<sup>2</sup> განიშუა ქმნილთა ზედა და, აღვლდომი-  
ნი ცხედრისაგან, წარვიდა მოხილვად სავენჯესა ნავუთეოსსა. ხოლო ღმრთ-  
მან, განრისხებულმან, წარავლინა წინაწარმეტყუელი ილია ნავუთეოსს ადგი-

<sup>1</sup> მკნელ A, მქუნელ S. <sup>2</sup> მოკდინებად. <sup>3</sup> უკუე.

• III მეფ. 21,1; 21,13.

ლად შენთხუეად ახავომა და თქუჲმად მისა მიმართ ქმნილთათეს, ვითარმედ მომაკუდინებელმან<sup>1</sup> კეშმარიტისა მეუფისამან დაიმკვდრა მან ადგილი მისი უსამართლოდ. ხოლო ვითარ მივიდა მისა მიმართ, თქუა მეფემან, ვითარმედ მნებებელ არს სიტყუსგებად მისდა, რამეთუ ბოროტ იყო ცოდვასა ზედა ჰყრობაჲ მის მიერ. მასვე ადგოლსა, ჰკრქუა, რომელსა შინა ნაუთუოჲს, მკუდარსა, ძალთა მიერ აღლევად შეეშთხუა, ჰისხლი ვისი და ცოლისა მისისაჲ დაითხოის და ყოველი ნათესაჲი მისი წარწყმდეს, ესევეითართა უსახურთა მკადრებელისაჲ და გარეგან მამულთა სჯულთა მოქალაქესა მომაკუდინებელისაჲ<sup>2</sup>. ხოლო ახავომა მწუხარებდა მოქმედებულთაჲ შევიდა და სინანული. და ძაძასა შემოსელი, უკანურითა ფერკითა მგაელობდა, არა შეხებული საზრდელისაჲ და თანად აღმსაარებელი ნაცოდვებთაჲ და ღმრთისა ესრეთ მოწყალემყოფელი. ხოლო მან სიცოცხლესა ვიდრემე შინა მისსა თქუა წინაწარმეტყუელისა მიმართ დაცადებად ნათესავისა მისისა დასჯაჲ, ვინამთგან ნაკადრებთა ზედა შეინანა, ხოლო აღმარულოს ქადებდა ახავომა ძესა ზედა. და წინაწარმეტყუელმან ვიდრემე აუწყნა ესენი მეფესა.

07. 14

1)\* ხოლო ახავომა ძლითნი ესევეითარნი რაჲ იყენეს, ამას ვიდრე ეჲმსა ადადომაჲ ძეჲან / და წინაწარმეტყუელმან ვიდრემე, მეფემან სურთა და დამასკოჲსამან. ძალსა ყოვლისა სოფლისაგან მიმეჲანებელმან და თანშემწედ მოქმედმან<sup>3</sup> წიად ეფერატსა ოცდაათთა და ორთა მეფეთამან, განიმკედრა ახავომა ზედა. ხოლო იგი, ვინამთგან არა მსგავს იყო მისა მკედრობითა, ბრძოლისა მიმართ ვიდრემე არა განეწყო, არამედ ყოვლისა სოფლისა შინანი ძლიერთა ქალაქთა შინა დაჰკრძალნა. და თვთ ვიდრემე დაადგრა საჰაროჲს შინა, რამეთუ ზღუდენი ძლიერნი ნოღგომოლ იყენეს მისდა და სხუათათესცა მნად საჰყრობელ<sup>4</sup> იყო. ხოლო სური, ერთბამად მიმღებელი ძალისაჲ, მივიდა სამარიაჲსა ზედა და გარემოჲს მისსა დამაყენებელი მკედრობისაჲ აოკრებდა. და ქადაგთა წარმავლენელი ახავომა მიმართ აღირსებდა მოხუცებულთა შეწყნარებასა მისა მიმართ, რომელთა მიერ აუწყოს მას, რასა მნებებელ არს. ხოლო ვინამთგან ისრაილიტთა მეფემან მივლინებდა უბრძანა, მისრულნი მოხუცებულნი ეტყოდეს, მცნებისაებრ მეფისა, ახავომა სიმდიდრესა და შვილთა მისთა და ცოლთასა ადადოასთეს ყოფასა. ხოლო უკუეთუ აღიაროს და შეუხლას მას მიღებად ამათგან, რაოდენთა მნებებელ იყოს, წარიყვანოს მკედრობაჲ და დასცხრეს მოოკრებისა მისისაგან. ხოლო ახავოს<sup>5</sup> უბრძანა მოხუცებულთა, წარსრულთა, სიტყუად მეფისა მათისა, ვითარმედ თვთ იგი და მისნი ყოველნი მონაგებნი მისნი არიან. ესენი რაჲ მიუთხრნეს, კუალად წარავლინნა მისა მიმართ, აღმსაარებელისა ყოველთა მისთასა მისთეს ყოფასა მაღირსებელმან, რადათა შეიწყნარნეს მის მიერ წარვლინებულნი მონანი მომავალსა დღესა, რომელთაცა გამოიძიენენ სამეფონი და მოყუარეთა და ნათესაეთა სახლნი. და უბრძანა მიცემად ყოველი, რაოდენი პოვონ მათ შორის უჰყობესი, „ხოლო რომელნი არა სთნდეს, შენ დაგიტყენენ“.

<sup>1</sup> მომაკუდინებელმან. <sup>2</sup> მომაკუდინებელისა. <sup>3</sup> დასაჲ AQ. <sup>4</sup> მოქმედნი AQ. <sup>5</sup> საჰყრობელი A. <sup>6</sup> ახავუს.

\* III მეფ. 20, 1.

და ახავოს უკუე, განკვრებულმან მეორესა ზედა ვედრებასა ჯვრთა მეფისასა, მომწოდებელმან შესაყრებელად სიბრავლისამან, თქუა, ვითარმედ იგი ვიღრემე მზადმქონებელ იყო ცხორებისათვის მათისა და მშვიდობისა ცოლთა თჳსთა და შვილთა მიცემად მბრძოლისა და ყოველსა მონაგებსა მიტეუებად, „რამეთუ ამათმან შეძიებულმან ჯვრმან მომიცნო პირველად, ხოლო აწ მაღირსა მონათა წარმოვლინებამ და სახლსა ყოველთასა განხილვამ და არცა ერთსა დატეუებამ მათ შინა უმგობესთამ მონაგებთაგან, მიზეზსა ბრძოლისასა მიღებულ მნებებელმან, მეცნიერმან, ვითარმედ ჩემთაგან არა რომელსა ეპრიდო თქუენთვის, ხოლო მიზეზსა ბრძოლისასა თქუენ ძლეთათვის მოქმედ არს, ექმნე უკუე თქუენდა სათნონი“.

ხოლო სიმრავლე არცა ერთსა მსმენელ იყო მის ძლითათვის, არამედ შეურაცხ-ყოფად და ბრძოლად მზადმქონებელ იყვნეს. მოხუცებულთა უკუე, მიმართ წარსრულთა, მიმგებელმან თქუა, ვითარმედ პირველ ვიღრემე ღირსებულთა ზედა და აწცა დადგროვილ არს მოქალაქეთა სიმტკიცისა ძლით, ხოლო მეორისა ღირსებისა მიმართ არა მორჩილ არს. და ესრეთ განუტეუნა იგინი.

2)\* და ადადოს<sup>1</sup> უკუე, მსმენელმან ამათმან და განძნებულმან, მესამედ წარავლინა ახავოას მიმართ მოხუცებულნი, მაქაღებელმან, ვითარმედ უმაღლესი ზღუდითაგან, რომელთა მიერ შეურაცხ-ჰყოფს, მტუერი ადადგინოს მათ ზედა მკედრობამან მისმან, თითოეულსა მჯილსა ქუეყანისაგან მიმღებელმან. და უჩუენებდა მას სიმრავლესა ძალისა მისისასა და ზარვანჯილ ჰყოფდა. ხოლო ახავოს მიუგო: „არა ჯერ-არს მოქალულობამ აღქურვილისამ, არამედ ბრძოლასა შინა უმგობესქმნილსამა“. და მიწვენილთა მოხუცებულთა და მსერებულად ჰპოვნელთა მეფისათა ოცდაათთა და ორთა თანა შეფეთა თან-მბრძოლთა, აუწყეს მას სიტყვაგებამ<sup>2</sup>. ხოლო მან მეყუსეულად ბრძანა ესე და მოხანდაყებამ ქალაქისამ და მტუერსა გარემოდებამ და არცა ერთსა სახესა დატეუებამ ოქრებისამ. ხოლო ესენი რამ იქმნებოდეს, იყო ახავოს შიშსა შინა დიდსა და ძნელსა ყოვლისა ერთსა თანა, გარნა განმწნობილ იქმნა და შიში განუტევა წინაწარმეტყუელისა ესამე მიერ, მისა მიმართ მიწვენილსა და მეტყუელისა, ვითარმედ „ღმერთი აღვითქუამს ესოდენთა ბევრეულთა მბრძოლთასა<sup>3</sup> კელისქუეშე ქმნად შენდა“. ხოლო მკითხველსა, ვით მიერ იქმნეს ძლევა, მიუგო ყრმათა მიერ მთავართაჲსა. ხოლო იპოვნეს ორასნი და ვითარ ოცდაათნი და ორნი. და მწავლელმან ჯვრსა სერობად მიმართ და განსუენებულ მიდრეკილსა, განმღებელმან ბუეთამან განავლინა ყრმანი. ხოლო მსტ/უართა მიუთხრნეს რამ ესე ადადოს, წარავლინა ვიეთინი შემთხუევადნი, მამცნებელმან, უკუეთუ ვიღრემე ბრძოლად მოსრულ იყვნენ, რათა შემკრეულთა მათა მიიყვანენ მისსა მიმართ, ხოლო უკუეთუ მშვიდობისათვის, რათა ესეუდ იმოქმედონ. აქუნდა უკუე სხუაჲცა მკედრობამ მზად ზღუდელთა შინაგან ახავოსს. ხოლო ძენი მთავართანი, მბრძოლნი მკველთანი, მრავალთა მათგანთა მომსრეულ იქმნეს და სხუათა ვიღრემე ბანაკადმდე სდევნიდეს. ხოლო იხილნა რამ ესენი მძლეველნი<sup>4</sup>, ისრაილიტთა მეფემან განუტევა და სხუაჲცა მკედრობამ ყოველი. და მან უკუე, ანასდაი<sup>5</sup> ზედდაუკუელმან,

154

<sup>1</sup> იდოს AQ. <sup>2</sup> სიტყვაგება /+და AQD. <sup>3</sup> მბრძოლთასა. <sup>4</sup> მძლეველმან.

<sup>5</sup> III მეფ. 20,10; 20,19.

სძლო მათ, რამეთუ არა მიძლოდუ იყენეს ზედგანსლევასა მათსა და ამისთვის ში-  
შუელთა და მომთრვალებთა ზედ-დაესხნეს, ვიდრელა საქურველნიცა, მღტოლ-  
ველთა ბანაკოვანთაგან, დაუტევენეს. და ცხონდა მეფე ძნიალდა, ცხენსა ზედა  
მოქმედი ლტოლუბაჲ. ხოლო ახავოსს ფრიადი გზაჲ წარველო, მღევნელმან  
სკრთამან. და მოწირველმან მათმან და მიმტაცებელი ბანაკისა შინათაჲ, ხოლო  
სიმდიდრე იყო არა მცირელი, არამედ ოქროსა სიმრავლე და ვეცხლისაჲ  
თანად, და ეტლთა ადადოხთა და ცხენთა მიმყვანებელი, უკუნ-იქცა ქალაქად.  
ხოლო წინაწარმეტყუელმან შეწინაუდებამ ამცნო და შხად-ქონებამ ძალიაჲ,  
ეინათგან მომავალსა წელსა კუალად აღმქედრებად იყო მას ზედა სკრი. და  
ახავოს ვიდრე ამით შინა იყო.

3)\* ხოლო ადადოს, ცხოვნებული ბრძოლისაგან რაოდენისა თანა შემძლე-  
ბელ იქმნა მკედრობისა, განიზრახვიდა მოყუარეთა თანა მისთა, ვითარ განიქყ-  
დროს ისრაილიტთა ზედა. ხოლო იგინი მათთა ვიდრემე ზედა არა მისცემდეს  
განზრახვისა ბრძოლად მათდა, რამეთუ ღმერთი მათი ესევეითართა ადგილთა  
შინა შემძლებელ არს და ამის ძლით იძლია აწ იგი. ხოლო ძლევეად ეტყოდეს  
ველსა შინა მოქმედთა ბრძოლისათა. და ამას თანა განზრახებდეს მეფეთა ვილ-  
რემე განტეგებასა თვისთა მიმართ, რომელნი მოიყვანნა თანამემწედ და მკედ-  
რობისა უკუე მათისა პყრობასა დგა ნაცვლად მათსა სატრაპთა დადგინებასა,  
მათ წილ, რომელნი წარწყმდეს, შეკრებასა ძალისასა სოფლისა მათისაგან და  
ცხენთა და ეტლთა. სთნდა უკუე ამათი კეთილად თქუმაჲ და ესრეთ შეამკო  
ძალი მისი.

4)\* ხოლო იწყო რაჲ ეარმან, მიწყვანებელმან ნეტდრობისამან მიიყვანა  
ევრაელთა ზედა. და მიწვენულმან მახლობელად ქალაქსა როშელსაჲ, აფეკა  
უკუე უწოდენ მას. დიდსა ველსა შინა დაიბანაკა. ხოლო ახავოს, შექთხუელი  
მისდა ძალისა თანა. პირის-პირ დაბანაკებულ იქმნა. და მკედრობამ უკუე მისი  
ფრიად ნკირე იყო. მბრძოლთა მიმართ თანშესწორებულნი. ხოლო წინაწარმე-  
ტყუელი კუალად მივიდა მისა მიმართ და ძლევასა მიცემაჲ მისდა ღმერთისა  
მიერ თქუა, რაჲთა აწუენოს ძალი თვისი არა მხოლოდ მათთა ზედა, არამედ და  
ველთაცა შინა მყოფად, რომელი არა ყოფად ჰგონეს სკრთა. შუდთა ვილრემე  
დღეთა შინა, დაბანაკებულნი. დაწყნარებულ იყვნეს, ხოლო უკუენამსკენელსა  
ამათსა, განთიად, ღოსრულნი მბრძოლთა ბანაკისაგან, განწყვენეს ბრძოლად. და  
ახავოსა განიყვანა ძალი თვისი. და განწყობილმან, ძლიერი რაჲ ბრძოლაჲ იქმ-  
ნა, ვიდრეიკნა მბრძოლნი ლტოლვად და მღევნელი ზედდადებულ იყო მომსრვე-  
ლი. ხოლო იგინი და ეტლთაცა მიერ და ურთიერთარს წარწყმდებოდეს და მკო-  
რედთა შეუძლეს მილტოლვამ ქალაქისა მიმართ მათისა, აფეკასა. ხოლო მო-  
კუდეს და იგინიცა, მყოფნი ორ ბევრად და შუღ<sup>1</sup> ათასად, ზღუდეთა დაკეცნითა  
მათ ზედა. ხოლო განიზრწნეს ამას ბრძოლასა შინა სხუანი ბევრნი ათნი.  
ხოლო მეფე სკრთაჲ ადადოს, ლტოლვილი რომლისამე მონათაგან სარწმუნო-  
სათა, მიწისქუეშესა სახლსა შინა დაიმალა. ხოლო მათ ჰრქუეს მას. ვითარმედ  
კაცთმოყუარე და მოწყალე არიან ისრაილიტთა მეფენი და შემძლებელ იქმნენ,  
ჩუეულებითა სახესა ვედრებისაჲ მკუემეველნი, ცხორებასა მათსა მიღებად  
ახავოსგან, უკუეთუ შეუნდოს მათ წარსლვამ მისა მიმართ. ხოლო მან განე-

<sup>1</sup> შუღა A.

\* III მეფ. 20,33. <sup>1</sup> III მეფ. 20,26.

ტუნა. და იგინი უკუე, ძაძათა შემოსელნი და საბელთა გარემოას თავთა მომ-  
დებელნი, რამეთუ ძუელად / ესრეთ მოქენე იყენიან სურნი, ახავოას მიმართ  
მიიწინეს და მოქენეობასა ეტყოდეს ადადოასსა, რაათა აცხოვნოს იგი, მარა-  
ღის მონა-ქმნად მისდა მადლოსა წილ. ხოლო ჰან მხიარულ-ქმნაჲ თქუა სიცოცხ-  
ლია მისისათვის და არა რომელსა ვნებისათვის ბრძოლასა შინა და სიყუარული  
აღუთქუა, რომელი ვინ მიანიჭის ძმასა. ხოლო ფიცთა მიმღებელნი მისგან არა  
რომლისა ვნებისათვის, გამოჩნდეს თუ, წარსრულნი, მიმყვანებელ იქმნენ სახ-  
ლიანგან, რომელსა შინა დაფარულ იყო. ხოლო ეტლსა ზედა მჭლომარქსა თა-  
ყუანის-სცამას. და ახაოს უკუე, მიმცემელმან მისდა მარჯუნისამან, აღიყვანა  
ეტლსა ზედა და, ამბორისყოფელმან, უშიშოებაჲ უბრძანა და არცა ერთა  
უჭერთაგანაჲ ვოლოდებაჲ. ხოლო ადადოს ქმადლობდა და ყოველსა შინა ეამ-  
სა ცხორებისასა მოკსენებასა კეთილმოქმედებისასა აუფარებდა და ქალაქთა  
ისრაილიტთასა, რომელნი მიიხუნეს პირველ მისსა მეფეთა, უკუნცემასა აღუთ-  
ქუენდა და დამსკოასა მიტევებასა, რაათა განვიდოდეს მისა მიმართ, ვითარ  
და მამათაცა მისთა აქუნდა სამარიაჲს მიერთა ჰისი ქმნაჲ. ხოლო იქმნენ რაჲ  
მათდა ფიცნი და აღუქუმანი, მრავალთა მიმნიკებელმან მისდა ახავოს წარაე-  
ლინა თვისსა სამეფოასა მიმართ. ადადოას ვიდრემე, სურთა მეფესა, მკედრობი-  
სასა ძლითთა ახავოას მიმართ და ისრაილიტთა, ესევეთარი აქუნდა დასასრუ-  
ლი.

5)\* ხოლო წინაწარმეტყუელმან ვინმე, სახელით მიქეას, მისრულმან ერ-  
თისა ისრაილიტთაგანისა მიმართ, უბრძანა მას თავსა ზედა წყლვად, რამეთუ  
ამის მოქმედ იქმნეს განზრახვისაებრ ღმრთისა. ხოლო ვინაჲთგან არა ირწმუნა,  
უთნრა მას, ურჩქმნილსა ღმრთისა ბრძანებათასა, ლომისა შემთხუეულსა გან-  
ზრწნილობაჲ. და ვინაჲთგან უკუე ეყო მას კაცსა, მივიდა კუალად სხვისა წი-  
ნაწარმეტყუელი, ამასვე მბრძანებელი. ხოლო მან წყლა იგი და შემუსრა თავი  
მისი. და წინაწარმეტყუელი უკუე, შემკრველი თავისაჲ, მივიდა მეფისა, მე-  
ტყუელი, ვითარმედ მის თანა აღმკედრებულ იყო და მითუელა დააკველად  
ვინმე ტყუეთაგანი წესთმთავრისაგან, ხოლო აწ, ვინაჲთგან იელტოდა იგი, და-  
პირვებულ იქმნების მომცემელსა მიერ სიკუდილად.

ხოლო ახავოს, სამართალ არს, თქუა, მოსიკუდილ-ყოფაჲ მისი. და გან-  
მკანელი თავისაჲ. საცნაურ იქმნა მიქეაჲს წინაწარმეტყუელი. ხოლო იკუმიჲ  
მოსიბრძნვად მის მიმართ ქმნილითა გულევბადთა სიტყუათათჳს, რამეთუ თქუა,  
ვითარმედ ნაკვალ-აგოს მას, დამტევებელსა განლტოლვად სასჯელოსაგან ადა-  
დოს, მგმობელსა მისა მიმართ. და ქმნას ჰის მიერ მოკუდინებაჲ მისი და ერისა  
მისსა მკედრობისა მისისაგან. ხოლო ახავოს, განზრახვებულმან წინაწარმეტყუე-  
ლსა მიმართ. მისი ვიდრემე დაკრძალულობდა და დაცვად ბრძანა. ხოლო თჳთ,  
შეძრულელი მიქეაჲს სიტყუათა ზედა, წარვიდა სახიდ თვისად.

## 07. 15

11)\* და ახავოს ვიდრემე ამაჲ შინა იყო. ხოლო აღვალ მე იოსაფატის<sup>2</sup> მი-  
მართ, მეფისა იეროსოლემათაჲსა, რომელმან აღაორძინა მეფობაჲ და ძალნი  
დაადგინნა მის ქუეშეთა ქალაქთა შინა. არა უდარეს დატევებულთა ავიჲს მიყო,

<sup>1</sup> ბუღაძე-ქარ. A. <sup>2</sup> აღუქმიდა. <sup>3</sup> იოსაფატის AQ.

\* III ბუგ. 27.35. <sup>10</sup> II ნუნტ. 17.1.

პაპისა, და ეფრემოას სამკვდრებელსა შინა, იეროვამოას ათთა ნათესავთა მეფობისა ზე, სამცველონი დააყენნა. არამედ აქუნდა სახიერად და თანაშემწედ ღმერთი, მართლად მყოფსა და კეთილმსახურად, და დლითი-დღე კეთილმოქმედებითა სიტკობებასა და სახიერებასა ითხოვდა ღმრთისაგან. ხოლო პატრივსკემდეს მას გარემოასნი მეფენი ნიჟთა მიერ, ვიდრედა სიმდიდრე მისი იქმნა<sup>1</sup> ღრმად და დიდებამ მიიღო ფრიადი.

2)\* და შესამესა უკუე წელსა მეფობისა მისისასა, მომწოდებელმან მთავართა და მღვდელთა სოფლისათა უბრძანა, რაათა გარემომვლელთა სოფლისათა ყოველსა ერსა მის ქუეშეთა ქალაქითი-ქალაქად ასწავენენ მოვსის სჯულნი, დაცვად იგინი და მსახურებისათვის ღმრთისა მოსწრაფებად. და განიხარა ყოველმან სიმრავლემან ესრეთ, ვიდრედა არარად სხუად საპატიოდ იყო მათდა, არცა საყუარელ. ვითარ დაცვად სჯულთადა.

ხოლო მახლობელია ადგილისანი მქონებელ იყენენ იოსაფატოას მიმართ სიყუარულსა და მშველობასა მოიღებდეს მისდა. ხოლო პალესტინელი განწესებულთა ხარკთა მოართუმიდეს მას და არაენი მოსცემდეს წლითი-წლად კრავთა სამეოცთა და სამასთა და თიკანთა ესოდენთავე. და ქალაქნი დიდნი განაძლიერენს და თანად კეთილნი / გოდოლნი და ძალი მკვედრობისად და საჭურველნი მბრძოლთა მიმართნი შემზადებულ იყენეს. ხოლო იყო იუდაას ნათესვისაგან მკვედრობად აღჭურვილთად ბევრნი ოცდაათნი, რომელთა ცდენოს აქუნდა მთავრობად, ხოლო იოანისნი — ბევრთა ოცთად და ამავე უკუე მთავარსა და ვენიამიტიდის ნათესვისაგანცა აქუნდა მშველდოსანთად ოცი ბევრი. ხოლო სხუამან მთავარმან, სახელით ზოვატოსს, ბევრი აღჭურვილთად, რვა და ათი სიმრავლით, მეფესა მიანიჟა, გარეშე მათსა, რომელნი ძლიერთა ქალაქთადმი წარავლენნა.

155

3)1\* ხოლო მიიყენა ყრმისა იორამოას ასული ახავოას, ნათესავთა მეფისა<sup>2</sup>, ოთლია სახელით. და წარსრული შემდგომად ჟამისა რომლისამე სამარიად<sup>2</sup>, სიყუარულით შეიწყნარა ახავოს და შედგომილსა მკვედრობასა სადგურყო ბრწყინვალედ. იფქლისა და ღვინისა და კორცთა უმურველობითა. და თანად ევედრა. რაათა თანაემბრძოლოს ასურთა მეფისა მიმართ და ღალადონსა შინა ქალაქი მიიღოს, რამეთუ მაშისა მისისად მყოფი პირველად, მიეღო ესე მამასა მისსა. ხოლო იოსაფატის აღუთქუა შეწყენად და რამეთუ იყო მისდა ძალი არა უმცირესი ახავოასსა, ვიტყვ. მოუწოდა ძალსა მისსა იეროსოლუმთაგან<sup>4</sup> სამარიად. და განსრულნი გარეგან ქალაქისა ორნივე მეფენი, მსხდომარენი თვსა საყდარსა ზედა, თათოეულნი თვსთა მკვედართა საჭურველსა განუყოფდეს. ხოლო იოსაფატის ბრძანა, ვითარმედ უკუეთუ არიან ვიეთნიმე წინაწარმეტყუელნი, მოწოდებად და გამოკოთხვად მათგან სლვისათვის სკრსა ზედა და უკუეთუ განაზრახებენ მას ჟამსა შინა ქმნასა მკვედრობისა მათისასა. და რამეთუ მაშინ მშველობად და სიყუარული იყო ახავოასი სკრისა მიმართ დასამნი წელნი გარდასრულ იყვნეს ვიდრე მათ ღვდამდე, ვინათგან, ტყუედ მიმკვირვებულსა განუტევა იგი.

<sup>1</sup> იქმნა<sup>1</sup> ღრმად. A. <sup>2</sup> იუდაიდ A Q D, სამარიად S, Σαμαρειαν B. <sup>3</sup> აღუთქუა<sup>3</sup> ღრმად. <sup>4</sup> იეროსოლუმთაგან. <sup>5</sup> ნელ.  
<sup>6</sup> II ნებ. 17.7. <sup>7</sup> III ნებ. 22.2. II ნებ. 18.1. III ნებ. 22.1. <sup>8</sup> ათთა ნათესავთა მეფისთ S. <sup>9</sup> თმ ნავ ბნავ ფსლმუ ჩათმლავ B. D=AQ.

4)\* ხოლო ახავოს, მომწოდებელმან წინაწარმეტყუელთა მისთა, ვითარ  
ოთხასად მყოფთა რიცხვთ, უბრძანა კითხვამ ღმრთისაგან, უკუეთუ მისცემს  
მას ძლევასა, აღმკვდრებულსა ადადოს ზედა, და მკვდრობასა ქალაქისასა, რომ-  
ლისა ძლით ეგულები განღებამ ბრძოლისაჲ. და წინაწარმეტყუელნი უკუე გან-  
აზრახებულს განმკვდრებასა, რამეთუ სძლოს სურსა და მიიყვანოს იგა ჯელის-  
ქუეშელ, ვითარცა და პირველ. ხოლო იოსაფატის, გულისკმისყოფელმან სი-  
ტყუათაგან, ვითარმედ ცრუ წინაწარმეტყუელნი არიან, იქითხვიდა ახავომსგან,  
უკუეთუ და სხუამცა წინაწარმეტყუელი არსა ღმრთისაჲ, რამთა უქეშმარიტე-  
ნად ვისწავთ გულვებდათავს. ხოლო ახავოს ვიდრემე ყოფამ თქუა, გარნა  
„საძაველ ბოროტთა წინაწარმეტყუელებისა ძლით და წინაწარმეტყუელისა, ვითარ-  
მედ მოკვდულ! მე, ძლეული სურთა მეფისა მიერ. და ამისთვის საპყრობილესა  
შინა მაქუს<sup>2</sup> აწ იგი. ეწოდების უკუე მიქეა, ძელ მყოფი ოველეოასი<sup>3</sup>“. ხოლო  
იოსაფატის ვინაფთგან ბრძანა მოყვანებამ მისი, წარმავლენელმან ყუერული-  
სამან მოიყვანა მიქეა. ხოლო გზასა ზედა ცხად-უყო მას ყუერულმან ყოველთა  
სხუათა წინაწარმეტყუელთა ძლევასა წინაწარ-მეტყუამ მეფისათვის. და მან  
უკუე არა შესაძლებელ მისა თქუა განცრუებამ ღმრთისაჲ, არამედ თქუამ,  
რომელიცა რამ ვიდრე მან მეფისათვის უთხრას მას. ხოლო ვითარ მიიწია ახა-  
ვომს მიმართ, აფუცებდა მას ესე ჭეშმარიტსა სიტყუად მისდა. და მან უკუე  
პრჭუა მას, ვითარმედ „მიიხუნენა ღმერთმან ისრაილიტნი, ლტოლვილნი და დევ-  
ნულნი სურთა მიერ და განბნეულნი მათგან მათთა მიმართ, ვითარ სამწყსონი  
ოკერნი მწყეპსთაგან“. და თანად იტყოდა სასწულად რომელთასა ვიდრემე  
მშვდობით უტუნქეცეასა თვსთა მიმართ, ხოლო დაცემასა მის მხოლომსასა  
ბრძოლასა შინა. ესენი რამ თქუნა მიქეა, იოსაფატის მიმართ. ახავოს — „არა-  
მედ მე მცირედ უწინარეს ცხად-გიყავ<sup>4</sup> კაცისა ამის ჩემდა მომართი საყუარე-  
ლი და ვითარმედ უძერესნიცა მიწინაწარმეტყუელნა“.

ხოლო მიქეა თქუა, ვითარმედ ვითარ ჭერ-იყო, ყოველნი ესპნეს წინაწარ-  
მეტყუელნი ღმრთისა მიერ. და ვითარმედ განაზრახონ ცრუ წინაწარმეტყუელთა.  
ქმნამ ბრძოლისაჲ სასოებითა ძლევისაჲთა და ვითარმედ ჭერ-არს დაცემამ მისი  
მბრძოლისაჲ. და ახავოს ვიდრემე გონებასა შინა იყო, ხოლო სედეკია, ვინმე  
ცრუ წინაწარმეტყუელთაგანი, მისრული მიქეამსა ვიდრემე, განაზრახებდა  
ურჩებასა, რამეთუ არცა ერთსა ჭეშმარიტსა იტყვს მისა მიმართ. ხოლო სასწა-  
ულად იკუმევედა მათ, რომელნი / ილია იწინაწარმეტყუელნა, ამისგან უმჯობეს-  
მან გულვებდათა<sup>4</sup> გულისკმის-ყოფად, და რამეთუ იტყოდა ამისსა წინაწარმე-  
ტყუელებასა ეზრა ქალაქსა შინა, ნავოთეოფს აგარაქსა შინა, სისხლსა მისსა  
ძალთაგან აღწობოვასა, ვითარ და ნავოთეოფსიცა აღწბეს, რომელი მის ძლით  
დაიქევა სიმრავლასა მიერ.

„ცხად არა უკუე, ვითარმედ ტყუვის ესე, წინაწარმეტყუელისა უმჯობესი-  
სა წინააღდგომთა მეტყუელი, სამთა დღეთა შინა მოკუდინებასა დამამტიციე-  
ბელი. ხოლო საცნაურ იქმნეს მეყუსეულად, უკუეთუ არს ჭეშმარიტი და სა-  
ღმრთოესა ძალისაჲ აქუს ძალი, რამეთუ ყურთაღმკვდრულმან ჩემ მიერ ივნოს  
ჯელსა ჩემსა, ვითარცა იადოს განაქმო მარჯუენე იეროვამოს მეფისაჲ. პყრო-  
ბად მნებებელისაჲ, რამეთუ გასმიეს სადმე ვკგონებ, ესე ქმნილად ნანდულ“.

1 მოკვდელ. 2 მაქოს. 3 იყ<sup>3</sup> AQ. 4 გულვებდათა/ გულვებდათა A.

• III მეფ. 22,6. II ნებტ. 18,5. III მეფ. 22,15. II ნებტ. 18,14.



ხოლო ვითარ წყლა ამან მიქვა და არა ერთისა ვნებამ შეუმთხვა, ახავოს, განკნობილი, გულსმოდგინე იყო მიყვანებად მკედრობასა სვრსა ზედა, რამეთუ სძლევდა მას თანამდები და უსარწმუნოეს ჰეშმარტიისა ჰყოფდა ცრუ წინაწარმეტყუელთა, რაათა მიიღოს დასაბამი აღსასრულისაჲ.

ხოლო სედექიას, რკინისა რქათა მოქმედმან, თქუა ახავოს მიმართ, ვითარმედ ღმერთი აუწყებს მათ მიერ დაჰკობასა ყოვლისა სვრიაჲსაჲ, და მიქვა უკუე—სედექიას: „შემდგომად არა მრავალთა დღეთა სადგურსა შინა ფარული სადგურად გარდაიცვალებოდი, მეძიებელი განტოლოვად ცრუ წინაწარმეტყუელებისა სასაყელსა“. ხოლო მეფემან ბრძანა წარყვანებამ ახავონის მიმართ, ქალაქის მთავრისა და შეკრძალვამ და რაათა მიაცემდენ მას არას უმეტესსა წყლისა და პურისაგან.

5)\* და ახავოს ვიღრემე და იოსაფატის, იეროსოლჴმათა მეფე. მიმყდნებელნი ძალთანი მივიდეს არამათინ, ქალაქად ღალადიტისა. ხოლო სვრთა მეფემან, მსმენელმან აღმკედრებისა მათისამან, განიყვანა მათ ზედა მკედრობამ მისი და არა შორს არამათინისაგან დაიბანაჲ. და განიზრახეს ახავოს და იოსაფატის უკუნდებამ სამეფოჲსა სახისაჲ, ხოლო იეროსოლჴმათა მეფე, რაათა მქონებელ შესამოსლისაჲ, დადგეს განწყობილებასა შინა განმცდელი მიქვას თქუმულთაჲ. ხოლო პოვა იგი თანამდებმან გარეშე სახისაჲცა, რამეთუ ადაღოს, სვრთა მეფემან, ამცნო მკედრობამა მთავართა არა რომელსა სხუათაგან მოკუდინებად<sup>1</sup>, გარნა მხოლოსა ისრაილიტთა მეფისა. და სვრთა უკუე წყობამ რამ იქმნა, მხილველთა იოსაფატისთა, მდგომარედ წინაშე განწყესებულისა, და ჰეჭუელთა ახავოსსა ყოფისათა, მიიძართეს მას ზედა. და გარემოდგომილთა, ვითარ მახლობელად მყოფთა, აგრძნეს არა ყოფამ მისი, უკუნ-იქცეს ყოველნი. ხოლო განთიადითგან ვიღრე მიმწუხრადმდე მბრძოლთა და მძლეველთა არცა ერთი მოაკუდინეს მცნებისაებრ მეფისა, მეძიებელთა ახავოსსთა მხოლოდ მოკუდინებად და არა შემძლებელთა პოვნად. ხოლო ყრმამან ვინმე სამეფომან ადაღოჲსმან, სახელით აწანოს, მტყორცებელმან ისარსა მბრძოლთა მიმართ, წყლა მეფე ახავოსსა საშუვალ მკერდისა და ნესტუა. ხოლო შემთხუეულისაჲ არა კეთილ ჰგონა საცნაურ-ქმნამ მკედრობთა მიმართ, რაათა არა იძლიოს, შეშინებელი, და უბრძანა მეეტლესა, რაათა უკუნმაქცეველმან ეტლისამან განიყვანოს ბრძოლისაგან, რამეთუ ბოროტად იყო წყულუ<sup>2</sup> და მძიმედ. ხოლო საღმობიერი დგა ეტლსა ზედა ვიღრე მზისა შთალეადმდე და, ლულმოკლექმნილი, მოკუდა.

6)1\* და სვრთა უკუე მკედრობამ, ღამე რამ იქმნა, უკუნ-იქცა ბანაჲად. ხოლო ვინაჲთგან ცხად-ყო მკედართმოქადაგემან, ვითარმედ მოკუდა ახავოს, წარვიდეს თუსთა მიმართ, მიმღებელმან ახავოსსა მკუდარისა საპარიად და მუნ დაჰმარხეს. და ეტლი უკუე განბანეს ეზირაჲს წყაროსა შინა, ხოლო იყო შესუარულ სისხლითა წყლულისაგან მეფისა. და ცნეს ჰეშმარტიებამ ილიაჲს წინაწარმეტყუელებისაჲ, რამეთუ ძაღლთა აღწბეს სისხლი მისი, ხოლო მეფენი, წყაროსა შინა მიერთაგან მბანელნი, მოქმედებდეს აჰას. მოკუდა რამათონს შინა მიქვას წინაწარმეტყუელებისაებრ.

<sup>1</sup> მოკუდინებად. <sup>2</sup> წყულუ/+იყო A.Q.D.

\* III მეფ. 22,29. II ნეშტ. 18,28. 1\* III მეფ. 22,36.

156<sup>0</sup> ხოლო ვინაიდან შემთხვა ესე ახავოსს ორთა წინაწარმეტყუელთა თქუმულისაებრ, ჭერ-არს დიდად შერაცხვამ ღმრთისამ და პატივისცემა მისი ყოველგან და მსახურებამ. და არა/სახარულევანთა და ნებისაებრ უსარწმუნოეს მკუელოპამ ჭეშმარიტისაგან, არამედ გულისკმის-ყოფამ, ვითარმედ წინაწარმეტყუელებისა და ესევეითართა წინაწარმეტყუელებისაგან არარამ უმჯობეს არს, მიანიჭებდეს რამ ესრეთ ღმერთი, რომლისაგან ჭერ-არს განკრძალვამ და შერაცხვამ. კუალად შემთხუეულთათვის მეფისათა გულისმსიტყუელთა, ვითარმედ შოიწია ძალი თანამდებისამ, ვინაიდან არცა წინაწარმეტყუელებისაგანსალტოლველ არს. არამედ შეაცთუნებს სულებსა კაცთასა, მლიქნელი კეთილთა სასოებათა მიერ, რომელთა მიერ მიდ-მოაქცევს, სადაამთვე ღონე იქმნეს ძლევასა მათსა. ცხად-არს უკუე და ახავოსცა, ამის მიერ გონებითა შეცთუნებული მოკუდინებამ, ვითარ ურწმუნოქმნილი მეტყუელთა მიმართ ძლეულებისათა. ხოლო ნწინაწარმეტყუელებულთა მიმართ სახარულევანთასა მრწმუნებელი.

ამას ვიდრემე უკუე ყრმამ ოხოზიას ემონაცლალ.

---

<sup>0</sup> აქაცა შეეშალა დიდად და ჩუენვე გავაკეთეთ ღმრთითა. ამა ესერა, წინაშე თულთა თქუენთა არს.

მსანი არიან მიცხრება შინა იოსიოგოგ მოთხროგათასა  
იუდაებრივისა სიტუადასაგამოგინასა

1) ვითარმედ აღმკედრებულმან ახაკოას ყრმამან მოავიტთა ზედა, იორამოს, სძლო მათ.

2) კუალად თანმოსახელემან მისმან იორამოს, მეფემან იეროსოლჳმათამან, ყოვლისა მთავრობისა მიმღებელმან, თანად ძმანი და მამეულნი მოყუარენი მოაკუდინნა!

3) ვითარმედ იღუმიაა განადგა და აღმკედრეს მის ზედა არავთა და თანად ძალი მისი ყოველი განიხრწნა და ყრმანი მისნი, გარეშე ერთისა, ჩივლად მყოფისა. და ამით თანა თვთ, უსახლრქმნილმან, ბოროტად დააქცია ცხორებამ.

4) აღმკედრებამ სურთა და დამსკელთა მეფისა ისრაილიტთა მეფესა ზედა იორამოსს. და ვითარ ესე, მოოგრებული სამარისა შინა, საყვრველად განეულტო ძკრისხილვისაგან.

5) კუალად ესე იორამოს მოკულდა, იიუს მიერ მოკუდინებულმ, ცხენთ-მთავრისა, და ნათესავი მისი და იეროსოლჳმათა მეფე იახოზია.

6) კუალად შემდგომად აღსრულებისა ამისისა იიუს განმეფნა ისრაილიტთა, სამარისა შინა მოქცევი, და ყრმანი მისნი თხთხა ნათესავთადმდე.

7) კუალად დედაკაცი ვინმე, ლოთოლია, იეროსოლჳმათა შინა მეფე იქმნა წელთა ზუთთა. და მომკუდინებელმან მისმან მღღელთმთავარმან იადას იახოზიამს ყრმამ, იოასი, განაჩინა.

8) აზაილოს<sup>1</sup>, დამსკინელთა მეფისა, ისრაილიტთა ზედა აღმკედრებამ, და ვითარმედ მრავალნი ბოროტნი ქმნნა სოფელსა მათსა შინა და სამარიტელთა ქალაქსა. და კუალად შემდგომად მკირედისა ჟამისა უკუანამსკენელ აღმკედრებული იეროსოლჳმათა ზედა და მრავალთა საკმართა მიმღებელი მეფისა მათისაგან, დამსკოდ უკუნ-იქცა.

9) კუალად ამასია<sup>2</sup>, იეროსოლჳმათა მეფემან, აღმკედრებულმან იღუმელთა ზედა და ამალიკიტთა, სძლო.

10) კუალად ესევე, მბრძოლი იეროსოლჳმათა მეფისა, იოასოასი, იძლია ვიდრემე, ხოლო პყრობილი ტყუელ და მრავალთა ძაქმართა მიპყემელი, განიტევა კუალად თესსა ვიდრემე<sup>3</sup> სამეფოსა და ვითარმედ ყრმამან მისმან, იახოზია, გარემოასნი ნათესავნი კელთ-ისხნა.

11) აღმკედრებამ იეროსოლჳმელთა მეფისა, იეროვოამოასი, სკრიამა ზედა და ძლევა.

12) ასურთა მეფე<sup>4</sup>, აღმკედრებული სამარისა ზედა და მრავალთა საკმართა მიმკდელი ფაქეამსგან, მეფისა მათისა, სახიდ თესად უკუნ-იქცა.

1 მოაკუდინნა. 2 მოკუდინებული. 3 მომკედრებულმან. 4 ფალოს AQD, 'Ατζαξοσ Α, VI, გვ. 486. 5 ამარია AQD, 'Αμασια Α, VI, გვ. 486. 6 ვე. 7 მეფეთა AQD.

13) კულად აღმკვდრებულმან რაასინ, დამასკოესა მეფემან, იეროსოლჳმთა ზედა, აიძულა ახაზის მეფესა წარვლინებამ საკმართამ მეფისა მიმართ ასურთამესა და ამით მიერ რწმუნებამ მისი დამასკოსა ზედა აღმკვდრებამ.

14) კულად ძლიერებით მიიღო ასურთა მეფემან დამასკო და განხრწნა ვიდრემე<sup>1</sup> მეფე მათი, ხოლო კაცთა მიდად გარდამცვალებულმან სხუანი ნათესაჲნი დაამკვდრნა დამასკოს შინა.

15) კულად სალმანასორ, ასურთა მეფემან, აღმკვდრებულმან სამარიასა ზედა და ხუთთა წელთა მოკრებულმან მას შინა, ისრაილიტთა მეფე ოსი დაადგინა წინაშე ქალაქისა და მოაკუდინა<sup>2</sup>.

16) კულად ასსურმან, ისრაილიტთა ითთა ნათესავთა მიდად გარდამამკვდრებულმან, პერსიდათ ხუთეთთა ნათესავი ქუეყანად მათდა გარდამოცვალა, რომელთა ელინნი სამარიდ უწოდენ.

მოაქუს წიგნსა ამას ჟამი წელთა ასორმეოცდაათამ და თუეთა შვედამ.

## თ. 1.

v 1)\* იოსაფატის მეფე ვითარ მოიწია იეროსოლჳმად / თანამბრძოლებისაგან ახავოჲსა, მეფისა ისრაილიტთამესა, რომელი აღიღოჲს, სურთა მეფისა მბრძოლსა მიანიქა, ვითარცა წინაშარა-ვთქუთ, იიუს<sup>2</sup> წინაწარმეტყუელი, შემთბუეული, აბრალებდა ახავოჲს მიმართისა შეწევისათჳს, კაცისა უსახურისა და ბოროტისა, რამეთუ ღმერთი ამას ზედა არა მხიარულებით მყოფობდა, ხოლო იცნნა იგი, ეტყოდა, და თანად მცოდველი, თვისსა ბუნებისათჳს საბიერად მყოფისა, მბრძოლთაგან. მაშინ ვიდრემე მადლობათა მიმართ და მსხუერპლვითა ღმრთისათა მიდრკა მეფე. ხოლო ამითცა შემდგომად წარემართა და გარემოჲს ვიდრთა მომრგულებით ყოველისა სოფლისა, რომელსა ზედა მთავრობდა იგი და ასწავებდა სჯულიერთა, მოვისს მიერ ღმრთისაგან მოცემულთა და კეთილმსახურებასა მისა მიმართსა. და მსაჭულთა განმაჩინებულმან თითოეულსა ქალაქსა შინა მის ქუეშისა მეფობისასა, უბრძანა არცა ერთისა ესრეთ ზრუნვამ, ვითარ მართლიად სჯამ ერთამ და რამთა არა საგონებელ იყენენ ქმნად რომელსაჲმ ნიქთათჳს, არცა ღირსებრათჳს. ზეშთაღმატებულთამესა სიმდიდრისათჳს, გინა ნათესავისა, არამედ მიანიქებდეს ყოველთა სწორებით, მეცნიერნი, ვითარმედ დაფარულად ქმნილთაგანცა თითოეულსა ხუდაეს ღმერთი. ამათი მასწავლებელი თითოეულსა ქალაქსა შინა ორთა ნათესავთასა, უკუნ-იქცა იეროსოლჳმად. ხოლო დაადგინნა ამასცა შინა მსჯელნი მდღელთაგან და ლევიტელთა და პირველობასა სიმრავლესასა მომდებელთა და განაზრახა გულსმოდგინებით დამართლიად ქმნამ ყოველთა სჯამთამ. ხოლო უკუეთუ განყოფილებასა უზეშთაესთათჳს მქონებელთა ვიეთმე თანმონათესვეთა წარავლინენ მათდა მიმართ სხუათა ქალაქთაგან, რამთა ამით მიერ უმრავლესისა თანა მოსწრაჳებისა განხილვოდეს მართლიად საქმეთათჳს, რამეთუ ამას ქალაქსა, რომელსა შინა ტაძარი ღმრთისამ არს და სამკვდრებელ აქუს მეფესა, უფროჲსდა ჭერ-არს სჯამთა წრფელთა და მართალთა ყოფამ. და მთავარნი განაჩინნა მათ ზედა — ამასეა მდღელი და ზავადა, მრჩობლნივე იუდაჲს ნათესვისაგან.

და მეფემან ვიდრემე<sup>3</sup> ამით საბითა განაწესნა.

<sup>1</sup> ქე. <sup>2</sup> მოაკუდინა. <sup>3</sup> ოსუს AQD. იიუს S. 'Iუთმც 9. <sup>4</sup> სწრებად AQ, საბიერებად S.

<sup>5</sup> ქე.

• II ნებტ. 19,1.

2)\* ხოლო ამასვე ეამსა აღიმკედრეს მის ზედა მოაგებთა და ამმანიტთა, მიმყენებელთა მათ თანა არავთაგანცა დიდსა ნაწილსა. და დაიბზანკეს მახლობელად იტადა ქალაქისა, რომელი მდებარე არს ასფალტიდისა ტბასა თანა, სამასითა სტადიონითა განშორებულსა იეროსოლჳმთაგან. ხოლო იშვების მას შინა ფვნიქს შუენიერი და სძე ვალსამოა. ხოლო ესმარა იოსაფატის, ვითარმედ ტბისათვს განმვლელნი მბრძოლნი აწვე შევიდუნ მეფობისა მისისა ქუეშესა სოფელსა შინა, შეშინებულმან შესაყრებელად მიიყვანა სამღდელოსა სიმრავლე იეროსოლჳმელთაჲ. და მდგომარე პირისპირ ტაძრისა ილოცვიდა და მოუწოდდა ღმერთსა მინიჭებად მისდა ძალსა და ძლიერებასა, რათა შურ-იგოს ზედაღმკედრებულთაგან და რამეთუ ამას მოქენებდეს აღმაშენებლნი ტაძრისა მისისანი, რათა პბრძოლის მბრძოლთა მის ქალაქისათა, დასაჯნეს მკადრენი მის ზედა მოსლვისანი, რომელნიცა მის მიერ მოცემულსა ქუეყანასა სამკვდრებელად მიწვეულ არიან მიღებად მათგან. ამათი მლოცველი ცრემლოდა და თანად ყოველი სინარელე, ერთბამად ცოლთა თანა და შვილთა, ევედრებოდა. ხოლო ინაზილოს ვინე წინაწარმეტყუელმან, მისრულმან სამუველ შესაყრებელისა, კმაყო, მეტყუელმან თანად სიმრავლისა მიმართ და მეფისა, ვითარმედ შეისმინა ღმერთმან ლოცვათაჲ და ბრძოლაჲ მტერთა მათთაჲ აღუთქუა. ხოლო უბრძანა, რათა მომავალსა დღესა, განმყვანებელი მკედრობისაჲ, შემთხვოს მბრძოლთა, რამეთუ პოენეს იგინი სამუველ იეროსოლჳმთა და ედნადისა აღსავალისა, წოდებული მწუერვალად<sup>1</sup>. ხოლო არა პბრძოდენ მათ, არამედ მხოლოდ მდგომარენი ხედვიდენ, ვითარ პბრძოდის მათ ღმერთი. ესენი რაჲ თქუნა წინაწარმეტყუელმან, მეფე ვიდრემე<sup>2</sup> და სიზრავლე, დაკრდონილი პირსა ზედა, ჰმადლობდეს ღმერთსა და თაყუანისსცემდეს, ხოლო ლევიტელნი ორღანოთა მიერ მაქებელ იყვნეს.

3)2\* და თანად უკუე მოწევნასა დღისასა მოწვენულმან მეფემან უდაბნოდ, ქუენა კერძო თყვალსა / ქალაქისა, თქუა სიმრავლისა მიმართ, ვითარმედ ჭერარს რწმუნებაჲ წინაწარმეტყუელისა მიერ თქუმულთაჲ და არა განწყობაჲ მათი ბრძოლისა მიმართ, არამედ მდგომარენი მღდელნი ნესტუებითა<sup>3</sup> და ლევიტელნი საქებელითა ჰმადლობდენ, ვითარ აწვე მქსნელსა სოფლისა ჩუენისასა პბრძოლთაგან. ხოლო სთნდა განზრახვაჲ მეფისაჲ და რომელნი განაზრახნა, ამათ მოქმედებდეს. ხოლო ღმერთმან შიშსა შინა და შფოთსა შთაყარნა ამმანიტელნი და იგინი უკუე ურთიერთარს მოსრვიდეს, მბრძოლ-ყოფისა მათსა მექუელნი, ვიდრელა ესოდენისა მკედრობისაგან არცა ერთი განერა. ხოლო იოსაფატის, მიმხედველმან კევისა მიმართ, რომელსა შინა შემთხუეულ იყო დაბანაკებაჲ მბრძოლთაჲ და აღსავსედ მკუდართაგან მხილველმან, განიშუა ვიდრემე საკვრველსა ზედა ღმერთისა შეწევნასა, რამეთუ არა დამაშურალთა ამათ მოსცა ძლევაჲ. ხოლო უბრძანა მკედრობასა დატაცებაჲ მტერთა ბანაკისაჲ და განძარცუვაჲ მკუდართაჲ. და იგინი ვიდრემე, სამთა დღეთა შინა მძარცუველნი, დაშურეს, ესოდენი იყო სიმრავლე მათი, რომელნი მოისრნეს. ხოლო მეოთხესა დღესა შეყრებილმან ყოველმან სიმრავლე მან ღელესა რომელსამე შინა და კევნაროვანსა ადგილსა, ღმრთისა ძალი და თანამბრძოლობაჲ აკურთხეს; რომლისა მიერ და სახელისდებნაჲ აქუნდა ადგილსა — „ღელე კურთხევისაჲ“.

157

1 ე.ე. 2 ნესტუებითა.  
 \* II ნეშტ. 20,1. 1\* ბ' B'გოქნი: 9<sub>11</sub> (i) ბგოქნი=გამომწერილო, ამობურცულო). 2\* II ნეშტ. 20,20.

4)\* და მიერ უკუე იეროსოლვზად მიმყვანებელი მკედრობისაჲ მეფე შუე-ბათა მიერ და მსხუერპლვათა მიდრკა ზრავალთა დღეთა. ხოლო შუემდგომად მბრძოლთა მისთა განხრწნისა ესმა რაჲ ესე სხუა ნათესავთა წარმართთა, ხოლო ყოველნი ესე შეშინებულ იქმნნეს მისგან, რამეთუ ცხადად თანამბრძოლ ექმნა მას ღმერთი. და იოსაფატის ვიდრემე მიერითგან ბრწყინვალისა თანადებისა მოქცეობდა სიმაართლისა ძლით და ღმრთისა მიმართ კეთილმსახურებისა. ხოლო იყო მოყუარე ახავოჲს ყრმისაცა, მეფისა ისრაილიტთაჲსა, რომლისაცა თანამზიარებელი შემზადებისათჳს ნივთთა წავთაჲსა, ზღუჲსა შინა<sup>1</sup> მაჲალთა და თრავისა მიერთა საეპროთაჲსა. ვერ მიემთხვა მოგებულსა. რამეთუ სიდიდისა მიერ წარწყმდეს ვარტლნი და არღა მერმეცა ამისთჳს მოურნე იყო წავსა. და იოსაფატის ძლითთა ვიდრემე, იეროსოლვზამაჲსა მეფისათა, ესრეთ აქუნდეს.

## მ. 2

1)<sup>2</sup>\* ხოლო ახავოჲს ყრმაჲ, ოხოზია, მეფე იქმნა ასრაილიტთა, სამარიას შინა მოქმედი მკედრობისაჲ. ბოროტად მყოფი და ყოველთა შინა მსგავსი მრჩობლთაჲე მშობელთაჲ და იეროვოამოსი, პირველად უსჯულო-ქმნისაჲ და დამწყებელისაჲ შეტუენებად ერსა. ხოლო აქუნდა რაჲ აწღა წელი მეორე მეფობისაჲ, განდგა მისგან მეფე მოავიტთაჲ და ხარტთა, რომელთა უწინარეს აღუსრულებდა მამჲსა მისსა, ახავოჲს, მიჰკემელი, დასცხრა.

ხოლო შეემთხვა ოხოზიას, შთამომავალსა სართელისაგან სახლისა მისისა, შთამოვრდომაჲ და უძღურ-ქმნაჲ და წარვლენაჲ აკკარონთა ღმრთისა მიმართ, მჲაჲსა, რამეთუ ესე იყო სახელი ღმრთისაჲ, კითხვად ცხორებისათჳს. ხოლო ევრავლთა ღმერთმან, გამოჩინებულმან ილიაჲს წინაწარმეტყუელისაჲ, უბრძანა მას შემთხუეჲჲაჲ წარვლინებულთა მოციქულთაჲ და კითხვაჲ მათგან, უკუეთუ ერსა ისრაილიტთაჲსა არა აქუსა ღმერთი, რამეთუ წარავლენს მეფე უცხოჲსა მიმართ, მათგან ცხორებისათჳს მკითხველთა. და თანად ბრძანებად მათდა, რაჲთა უკუნ-იქცენ და უთხრან მეფესა, ვითარმედ არა განეეღტვოს ჯენსა. ხოლო ილია ქმნა, ვითარცა უბრძანა ღმერთმან. და მიმთხრობელნი უკუე, მსმენელნი მის მიერთანი, უკუნ-იქცეს მეფისა მიმართ. ხოლო იგი ვინამთგან განაკრევებულ იყო მალიად აღმოსლვისათჳს და მიზეზსა იკითხვიდა, მიუგეს, ვითარმედ: „მეგუემთხვა ვინმე ჩუეჲ კაცი, დაგუაყენნა წამართ სლვისაგან, ხოლო უკუნქცეულთა გუამცნო თხრობაჲ შენდა მცნებისაებრ ისრაილიტთა ღმრთისა, ვითარმედ უბოროტეს იქმნეს სენი“. ხოლო მეფემან უბრძანა უწყებაჲ ამათისა მისდა ჰეტყუელისაჲ. და იგინი უკუე იტყოდეს, ვითარმედ კაცი ფაჩუნიერი და სარტყელსა გარემომდებელი ტყავისაჲსა. ხოლო ამათ მიერ უწყებულისაგან ილიაჲს ყოფად გულსიქმისყოფელმან ამათგან, ორმოცდამათთა აღჭურვილთა და წესთმთავრისა წარამავლენელმან მის ზედა უბრძანა მიყვანებაჲ მისა მიმართ. ხოლო წარვლინებულნი წესთმთავარი, მკოველი ილიაჲსი, / მკდრომარე თხემსა ზედა მთისაჲსა, შთამოსრულსა უბრძანებდა წარსლვისა მეფისა მიმართ, რამეთუ ამას ბრძანებს იგი, ხოლო უკუეთუ არა ანებოს უნებლიეთ, იტლებად. და მან უკუე განციდი-

<sup>1</sup> და/4 იეროსოლვზამ A.Q.D.

\* II ნუმბ. 20, 27. <sup>10</sup> \* 16 წ. მძვ. 9, 11 (მეფე ზღვისკენ). <sup>20</sup> III მეფ. 22, 52. IV მეფ. 1, 1.

ლებსათვის, ვითარმედ ქეშმარიტი წინაწარმეტყუელი არს, თქუა ლოცვაჲ, რაჲთა ცეცხლმან, ზეცით შთამოვროდომილმან, წარწყმიდეს მკედარნიცა და იგი და ილოცა. და მეხმან შთამოვროდომილმან განხრწნა წესთმთავარი და მის თანანი.

ხოლო წარწყმედაჲ რაჲ ამათი ეუწყა მეფესა, განრისხებულმან სხუაჲ წარავლინა წესთმთავარი ილიაჲს ზედა, აღჭურვილთა თანა ესოდენთა, რაოდენნი და პირველსაცა ზედა წარავლინნა. და ამანცა უკუე აქადა წინაწარმეტყუელისა, იძულებით პურობილისა, მიყვანება მისი, უკუეთუ არა ნებსით შთამოვიდეს. და მლოცველმან ძენად და ამისსაცა ცეცხლითა მოაკლდინა! და უწინარესი მისგან წესთმთავარი. ხოლო ამათთვისცა მსწავლელმან მეფემან მესამე წარავლინა. ხოლო ამან, გონიერად მყოფმან და ფრიად მშუღმან ჩუეულებითა, მისრულმან აღგილსა მას, რომელსა ზედა შეემთხუერდა ყოფიად ილიას, ვინიერებითა თქუა მისა მიმართ — „მეცნიერ ხარ უკუე, ეტყოდა, რამეთუ არა მნებებელი, საძეფოჲსა ბრძანებნისა მსახური, მოვედ შენდა მომართ და პირველ მისსაცა წარვლინებულნი არა ნებსით, არაჲდ მითვე მიზეზითა მივიდეს“. შეწყნარებად უკუე ევედრებოდა მას და მის თანა მყოფთა აღჭურვილთათჳცა, შთამოსრულსა შედგომად მეფისა მიმართ. ხოლო ილია, შემწყნარებელი სიმარჯუნსა სიტყუათასა და გონიერებასა ჩუეულებისასა, შთამოსრული, შეუდგა. და მიწვეულმან მეფისა მიმართ უწინაწარმეტყუელია მას და ღმრთისა მიერ ცხად-ყოფასა ეტყოდა: „ვინაჲთგან შეურაცხ-ჰყავ იგი, ვითარ არა ცხადად ღმრთად მყოფი და სნეულებისათვის წინაწარმეტყუელად ქეშმარიტისა არა შემძლებელი, ხოლო აკყარონთა ღმრთისა მიმართ წარავლინე მის მიერ კახვად, ვითარ იყოჲ შენდნ დასასრული სნეულებისაჲ, უწყოდე, რამეთუ მოჰკუდე“.

2)\* და იგი ვიდრეჲ, მკირედა რაჲ ეამი წარქდა, ვითარცა წინაწარუთხრა ილია, მოკუდა. ხოლო მითუალა მეფობაჲ მისი ძმამან იორამოს. რამეთუ უყრმოდ დაჰქუა ცხოვრებაჲ. და ესე უკუე იორამოს, მსგავსქმნილი მამისა ახავოასი სიბოროტიოა, მეფობდა წელთა ათორმეტთა, ყოველსა უსჯულოებასა მკუმეველი ღმრთისა მიმართ და უსახურებასა, რამეთუ დამტევებელი მსახურებისა მისი, უცხოთა პატივ-სცემდა. ხოლო იყო და სხუათაცა შინა მზაკუვარი.

და მასვე უკუე ეამსა ილია კაცთაგან უჩინო იქმნა და არავინ აგრძნა ვიდრე დღესამოდე აღსრულებად მისი. ხოლო მოწაფე ელისსეოს დაუტევა, ვითარცა და წინაწარ ცხად-ვეყეთ ილიაჲსთვის ვიდრეჲ და ენოხოჲსა, რომელი იქმნა უწინარეს წვბროებისა, სამდღელოთა წიგნთა შინა წერილ არს, ვითარმედ უჩინო იქმნეს, ხოლო სიკუდილი მათი არავინ უწყის.

01. 3

1)\* ხოლო მიიღო რაჲ მეფობაჲ, იორამოს მოავიტელთა მეფესა ზედა აგრძნა აღმკედრებაჲ, მისანს სახელით, რამეთუ შეემთხვა განდგომაჲ ძმისა მისისაგან, ვითარცა წინაწარ-ვთქვთ, მიმცემელი ახავოასა, მამისა მისისა, ბევრთა ოცთა თანა ცხოვარსა საწმისთა თანა. შემკრებელმან უკუე ოცსსა ძალისამან წარავლინნა და იოსაფატისცა მიმართ, მეედრებულმან მისმან, ვინაჲთგან და-

\* მოაკლდინა.

\* IV მეფ. 1,17; 3,1. \* IV მეფ. 3,4.

158

საბამოთგან მოყუარე იყო მამისა მისისაჲ, რაჲთა თანა-ემბროლოს მას, ბრძოლისა განღებულ გულებელსა მოავიტელთა ზედა, განდგომილთა მეფობისა მისისაგან. ხოლო აჲმან არა მხოლოდ თვთ თავით თვისით აღუთქუა შეწყენაჲ, არამედ და იღუბელთა მეფეცა<sup>1</sup> აიძულა, მის ქუე<sup>2</sup>ე მყოფსა, თანააღმკვდრებაჲ. ხოლო იორამოს, ესევეთართა აღთქუმათა მომღებელი იოსაფატისაგან თანამბრძოლებისათვის, მიმყვანებელი თვისისა მკედრობისაჲ მივიდა იეროსოლუკამად და შეწყყნარებულ იქმნა იეროსოლუკმათა მეფისაგან ბრწყინვალედ. და სათნო-უჩინა უდაბნოთ იღუმეაჲსა თქუმაჲ მოგზაურობისაჲ მბრძოლთა ზედა, რამეთუ არა საეკუეელ იქმნენ ამის მიერ ყოფად ზედამისლვასა. და წარემართნეს საჲნი მეფენი — იეროსოლუკმათაგან თვთ მათი და ისრაილიტთაჲ და იღუმეაჲსაჲ. და მომრგულლებულნი შვდთა დღეთა გზასა ულორობასა წყლისასა პირუტყუთათეს<sup>3</sup> და მკედრობისა შთავარდეს, ვინაჲთგან შესცთეს წინამძღუარნი მათნი გზათაგან, ვიდრეღა მოშიმ იყვენეს ყოველნი, უფროჲსღა იორამოს. და მწუხარებისა მიერ / კმა-ყო ღმრთისა მიმართ, რომლისა ბოროტისათვის მებრალბელი მიიყვანებეს<sup>3</sup> საჲთა მეფეთა, უბრძოლელი მათი, მოავიტელთა მეფისა. ხოლო განაჲწვნობდა მჲ იოსაფატი, მართლიად მყოფი, და წარმავლენელმან მკედრობისა მიმართ ბრძანა სწავლად, ზუსადა ვინ წინაწარმეტყუელთაგან ღმრთისათაჲ მისრულ იყოს მის თანა, რაჲთა მის მიერ ვისწავით ღმრთისაგან, რაჲ ჯერ-არს ყოფად ჩუენდა. ხოლო მონამან რომელმანმე იორამოჲსმან თქუა ხილგაჲ მუნ ილიაჲს მოწაფისა, ელისსესი, საფატოჲს ყრმისაჲ. და ესრეთ მისა მიმართ წარვიდეს საჲნი მეფენი, იოსაფატის განზრახვითა. და მივიდა რაჲ კარვად წინაწარმეტყუელისა, ხოლო იყო დაკარგებულ გარე-შე ბანაკისა, ჰკითხვიდეს გულგებადსა მკედრობისა ზედა და უფროჲსღა იორამოს. და იგი უკუე — „ნუ შემაურეებ, ფტყოდა, არამედ ესოდენ წინაწარმეტყუელთა მიმართ ვიდოდე მამისა და დედისა შენისათა, რამეთუ იგინი უქეშმარიტეს არიან“. და იორამოს უკუე ევედრებოდა წინაწარმეტყუელებად და ცხოვნებად მათდა. ხოლო მან ფუცა ღმრთისა მიმართ არა სიტყუკვებაჲ მისი, გარნა თუ იოსაფატისთვის, ღირსად მყოფისა და მართლისა. და მოყვანებულ იქმნა რაჲ კაცი ვინმე, ფალობად მეცნიერი, რამეთუ ითხოვა მან და მგალობლისა მიმართ საღმრთოქმნილმან უბრძანა მეფეთა მრაველთა აღმოთხრაჲ ენარკუთაჲ ევესა მას შინა, რამეთუ რაკა ღრუბლისა და არცა ნიავისა ქმნილობითა, არცა წყმისა შთამოტეობითა იხილოთ მღინარე აღსავსე წყლითა, ვიდრეღა და მკედრობაჲცა და პირუტყუნი თქუენნი ცხოვნდენ მღინარისაგან. ხოლო იყოს თქუენდა არა მხოლოდ ღმრთისაგან, და არამედ და მტერთაცა სძლოთ. და უმჯობესნი და უძლიერესნი ქალაქნი მიიხუნეთ მოავიტელთაგან და ხენი ვიდრემე მათნი მშენი\* მოჰკუთენეთ და სოფელი მოაოჯროთ, წყარონი ჲა მღინარენი აღმოაგნეთ\*.

2)1\* ესენი რაჲ თქუნა წინაწარმეტყუელმან, მომავალსა დღესა, ვიდრე მზისა აღმოსლვადმდე, ნალურაევი ფრიადი შთამოიღინა, რამეთუ საჲთა დღეთა გზასა იღუმისა შინა მრავლად წვმაჲ იქმნა ღმრთისაგან, ვიდრეღა პოვა სიმრავლემან და კარაულთა სასუმელი უშურველი.

1 მეფეთაცა A.Q.D. 2 პირუტყუთათ. 3 მიიყვანების.

\* იუჲრ 9<sub>3</sub> (= 1) აღმამანის მიერ მოვლილი; 2) მშვიდი, წყნარი. ამ კონტექსტში იგულისხმება პირელი მნიშვნელობა. მშენი]—S. D=AQ. 1\* IV მეფ. 3,20; 3,26. II ნუშტ. 21,1. 20,31.



ხოლო ვითარ ესმა მოავიტელთა სამთა მეფეთა მათ ზედა მისლვად და უღაბნოთ ზეღამოსლვასა მოქმედებაჲ, მეფემან მათჲან, მეყუსეულად შემკრებელმან მკედრობისაჲან, უბრძანა მათათა ზედა დაღვობაჲ მკედრობასა, რადთა-არა დაუფარნენ მათ სოფელსა მათსა შესრულნი მბრძოლნი. ხოლო აღმო-ბრწყინებებსა თანა მზისასა მხილველთა ნალუარეთა შინაჲსა წყლისათა, და რამეთუ არა შორს იყო მოავიტისაგან, მიმსგავსებულად ფერთა სისხლსა, რამეთუ მაშინ უფროჲსდა ბრწყინვალეებისა მიერ მზისა მეწამულ იყო წყალი, ცუდი მექუელობაჲ მიიღეს მბრძოლთა, ვითარ თავთა თჳსთა მომაკუდინებელთაჲ წყურილისაგან და ვითარმედ მდინარე სისხლისა მათისაჲ მდინარეთჲს. ესრეთ უკუე ქონებასა მექუელნი ევედრნეს მეფესა დატაცებისა მიმართ მბრძოლთაჲსა წარვლინებასა მათსა. და ყოველნი უკუე მიმართებულნი მზაქმნილისა მიმართ წარწყმედისა მივოდეს ბანაჲისა მიმართ მტერთაჲსა, ვითარ წარწყმედულთადმი. და აჰაო იქჲნა ვიდრემე მათდა სასოებაჲ ესე: ხოლო გარემოდგომილნი მბრძოლთაგან რომელნიმე მათგანნი დაიჭირნეს და სხუანი უკუე განიბნიველეს, თჳსად სოფლად მილტოლივონ. ხოლო მიწევნულთა მეფეთა მოავიტელთა ქუეყანად ქალაქნი მას შინანი დაამკუნეს და აგარაკნი მათნი მიიტაცნეს და უჩინო-ყვნეს<sup>1</sup> და აღმოავსნეს<sup>2</sup> მდინარეთა ქვათა და უმჯობესნი ხუთანი მოჰკუეთნეს და წყარონი წყალთანი აღმოავსნეს და ზღუდენი ვიდრე იატაკადმდე დაამკუნეს. ხოლო მეფემან მოავიტელთამან, დევნულმან ოკრებასა შინა და ქალაქისა მხილველმან. დაჰირვებასა პერობად ძლიერებით, მიმართა ექუსასთა<sup>3</sup> თანა, განსრულჲან განმკედრებად საწუვალ ბანაჲისა მბრძოლთაჲსა, რომელსა კერძოსა ჰკონებდა მცველთა მისთა დაქსანასა. და მეცადინე<sup>4</sup> არა შემძლებელ იქჲნა ღტოლვად, რამეთუ მიემთხვა გულსმოდგინებით დაცუულსა აღვილსა, ხოლო უკუნქცეულმან ქალაქად საქმე სასოწარკუთითლებისაჲ და ბოროტსა იბულებისაჲ იმოქმედა: ძესა პირმშოსა, რომელსა შემდგომად მისსა მეფე ქმნად ეგულებოდა, / აღმყვანებელმან ზღუდესა ზედა, რადთა ცხად იქმნეს ყოველთა მბრძოლთა, ამსხუერპლა იგი ღმერთსა ყოვლად დასაუფელად. ხოლო მეფეთა, მხილველთა მისთა, შეიწყნარეს იგი ღირსათჳს და მკნებელთა კაცობრივსა რასმე და საწყალობელსა, დაჰქსნეს მოოკრებაჲ და თითოეული სახიდ თჳსად უკუნ-იქცა.

და იოსაფატის უკუე, მიწევნული იეროსოლჲმათა, დამშვდებით მცხოვრებელი მცირედსა ჟამსა, ცხოვნებული შემდგომად მის ძლევისა, მოკულდა, ცხოვნებული ვიდრემე რიცხუსა წელთა საჲეოცთასა, ხოლო ამათგან მმეფობი ხუთთა და ოცთა. და დაფლვაჲა უკუე მიემთხვა იეროსოლჲმათა შინა ღიდშუენიერებით, რამეთუ იყო მიმსგავსებული დავიდის საქმეთაჲ.

07. 4

1) <sup>1</sup> და დაუტყენა ყრმანიცა კმასაყოფელნი, ხოლო მონაცვალედ განაჩინა უპირმშოვისი იორამოს, რამეთუ ესევე აქუნდა სახელი დედისა<sup>2</sup> ვიდრემე ძმისაჲ, ხოლო ისრაილიტთა მეფისაჲ და ახავოჲს ყრმისაჲ. ხოლო მიწევნულსა მოავიტისაგან ისრაილიტთა მეფესა სამარაად, აქუნდა მის თან-წინაწარმეტყ-

<sup>1</sup> ყვენეს A. <sup>2</sup> აღმოავსნეს/აღმოავსებდეს AQD. <sup>3</sup> მეცადინე AQD, მეცადინ S. <sup>4</sup> დიდსა AQ. *μυρῶν* A, VI, გვ. 26.  
<sup>5</sup> *ἐξελθοσθεναι* 9<sub>42</sub> (=700). <sup>6</sup> II ნეშტ. 21,1.

უელი ელისსეოს, რომლისა საქმეთა მეგულების მოთხრობაჲ, ხოლო ბრწყინვალე არიან და მოთხრობისა ღირსნი, ვითარცა საღმრთოთა წიგნთა შინა ვცნათ.

2)\* იტყუან, ვითარმედ მივიდა უკუე ოვედიოჲს; ცოლი ახავოჲს განმგებლისაჲ და უთხრა, ვითარმედ „არა უპყუარ ხარ, ვითარ ქმარმან ჩემმან აცხოვნნა წინაწარმეტყუელნი, მოსრვიდა რაჲ ახავოჲს ცოლი იგზაველა“, რამეთუ ასთა დამალულთასა მის მიერ ზრდსა იტყუდა, მვასხებელისა. ხოლო აწ, შეპდგომად ქმრისა მისისა აღსრულებისა, მიიყვანებთან მოვასხეთაგან და შევილიცა მისნი მონებად. ევედრებოდა უკუე, ამის მოქმედებისა ძლით ქმრისა მიერ, რაჲთა შეიწყალოს და მიანიჭოს შეწყევნაჲ რომელივე. ხოლო იგი ვინაჲთგან ჰკითხვიდა, რაჲ აქუს სახლსა შინა, სხუად ვიდრემე უკუე არცა ერთი პრჭუა, გარნა ფრიად მცირედი ზეთი კეცსა შინა. ხოლო წინაწარმეტყუელმან წარსრულსა უბრძანა ჰურჰელთა ახალთა ჯემევაჲ მრავალთა მანლობელთაგან და რაჲთა ყართა დაჰქვევლმან სახლასათა ყოველთა მიმართ გარდაჰახას ზეთი, რამეთუ ღმერთმან აღაჯანეს იგინი. ხოლო დედაკაციმან ბრძანებულნი ქმნნა და შევილთა უბრძანა თითოეულსა ჰურჰელთაგან მიღებაჲ. და ვინაჲთგან ყოველნი აღივსნეს და არცა ერთი იყო ცალთერ, მისრულმან წინაწარმეტყუელისა მიმართ მიუთხრნა ესენი. ხოლო მან განაზრახა, რაჲთა წარსრულმან უკუნ-სცეს ზეთი და მოვასხეთა მისცნეს თანამდებნი, იქმნნეს უკუე და უმეტესიცა რაჲვე ფასისაგან ზეთისა, რომელი იქუმიოჲს გამოსაზრდელად შევილთათეს. და ელისსეოს ვიდრემე ესრეთ იქსნა თანამდებთაგან დედაკაცი და მოვასხეთ მიერისა გინებისაგან! განათავისუფლა.

3)1\* ხოლო ელისსეოს მსწრაფლ წარავლენა იორამოჲს მიძართ, განმაზრახებელმან დაცვად აღვილსა მას, რამეთუ არიან ვიეთნიმე სურთაგან მას შინა და უმზირიან მუნ მოსლვასა მოკლვასა მისსა. და ჰეფუ ვიდრემე არა განვიდა ნადირობად, მრწმუნებელი წინაწარმეტყუელისაჲ. ხოლო ადერ, მიმთხუეული განზრახვისაჲ ვითარ თესთა მიერ განცხადებისათეს, მზირსა მიმართ განრისხნებოდა და მომწოდებელი მათი, შინაგანმცემელად ეტყოდა გამოუთქუმელთა მისთა და სიკუდილისა აქადებდა ცხად-ქმნისათეს კელ-ყოფასა მბრძოლისა მიმართ, რომელი მხოლოთა არწმუნა. ხოლო მუნ მდგომარეთაგანმან ვინმე თქუა: „ნუ ცუდ ჰქმუელობ, ნუცა გგონიოს, ვითარმედ მტრისა მიმართ შენისა თქუა ვინმე წარვლენაჲ მომკლველთა მისთაჲ, არამედ უწყოდე, ვითარმედ ელისსეოს არს წინაწარმეტყუელი, ყოველთა მათუწყებელი მისდა და ცხადმყოფელი მის მიერ განზრახულთაჲ“. და წარმავლენელმან ბრძანა სწავლად, რომელსა ქალაქსა შინა იქცევს ელისსეოს. ხოლო წარვლენებულნი მოვირდეს და უთხრეს მას დოთაინს შინა ყოფაჲ. წარავლინნა უკუე ადერ ქალაქსა ზედა ძალი მრავალი ცხენოსანთა და ეტლოსანთაჲ, რაჲთა მიიყვანონ ელისსეოს. ხოლო მათ ღამე. ქალაქსა ყოველსა მრგულიად გარემომცველთა; აქუნდა სამლოცველოსა შინა. და განთიად უკუე, ესე რაჲ ისწავა მსახურმან წინაწარმეტყუელისამან და ეძიებენ მბრძოლნი შეპყრობად ელისსეოს, აუწყა მას შფოთითა და ჯუჰვივითა მბრძოლმან მისა მიმართ. ხოლო იგი განამკნობდა მსა-

1 განებისაგან!+განთესულთა. και ης δια συμ θεμετερον εμπεδωσ ηλυστηραιοσ 9,6  
2 გ'მოუთქმ'ლთა.

\* II ნუმტ. 4,1. 10 IV მეფ. 6,9; 6,14.

ხურსა, რაათა არა შეშინებულ იქმნეს და, ღმრთისა შემწედ მქონებელი, უშიშ იყოს<sup>1</sup>. და ევედრებოდა ჩუენებად ძილსა მისსა და მოსლესა, ვითარ შესაძლებელ არს, რაათა მსახურბან მოსმან მიიღოს კეთილსაჩოებანი სიძვენე. რამეთუ ღმერთი მორჩილ ექმნა ლოცვათა წინაწარმეტყუელისათა და სიმრავლესა ფტლთა და ცხენოსანთასა, გარემოას ელისსეოასსა, ხილუად მიანიჭა მსახურსა, ვიდრელა უშიშო იქმნა იგი და განმწნდა იგი, ხილულისა მიერ თანამბრძოლად საექუელისა. ხოლო ელისსეოს, შემდგომად ამათსა, და მბრძოლთაცა თულუბსა დაბნელებად ევედრებოდა ღმერთსა და სიძნელესა მიფენად მათ ზედა, რომლისა მიერ უმეტრებად მისი ეგულუბოდა. ხოლო იქმნა რაჲ და ესეცა, შესრულმან საშუვალ მტრთა ჰკითხა, ვისა გეძიებელნი მოვიდეს. ხოლო მათ მოუგეს, ვითარმედ — ელისსეოას წინაწარმეტყუელისანი. და იგი უკუე მაკემასა აღუთქუმიდა, უკუეთუ ქალაქად მიმართ, რომელსა შინა არს, შეუდგენ მას. და ესენი ვიდრემე შეუდგეს წინაწარმეტყუელსა მოსწრაფებით, წინამძღუარქმნილსა მათდა, დაბნელებელნი გონებითა და სახედველითა ღმრთისა მიერ. ხოლო ელისსეოას, მიმყვანებელმან მათმან სამარიად, უბრძანა იორამოსს, მეფესა, დაქშუად ბქეთაჲ და გარემოას სურთა დადგინებაჲ ძალისა მისისაჲ. და ევედრა ღმერთსა განწმელად სახედველუბსა მბრძოლთაჲ და სიძნელესა მათსა განდევნად. ხოლო იგინი, სიბნელოსა მისგან განტეეებულნი, ხედვიდეს თავთა თქსთა მყოფთა საშუვალ მტრთა. ხოლო შიშა რაჲ ბოროტსა შინა და ულონოებასა მდებარე იყენეს სურნა, ვითარ ჯეროყო ესრეთ საღმრთოსა ზედა დადებულსა საქმესა. და მეფე იორამოს იკითხვიდა წინაწარმეტყუელისაგან, უკუეთუ ბრძანებს განლაჟურებაჲ მათსა. ამისისა ქმნისაგან ვიდრემე დააყენა ელისსეოს, რამეთუ აქელით ბრძოლისაჲთა პყრობილთაჲ სამართალ არს მოკუდინებაჲ, ეტყოდა, ხოლო ამით არარაჲ ბოროტი ქმნეს სოფელსა მისსა შინა, არამედ საღმრთოთაჲ ძალითა, ჟემეარნი, მივიდეს მათდა მიმართ. და თანად განაზრახებდა, რაათა უცხოებმასთა მიმცემელმან მათდა ტრაგეზისაგან განუტევენეს უვნებელნი.

და იორამოს ვიდრემე უკუე, მრწმუნებელმან წინაწარმეტყუელისამან, მასერებელმან ფრიად ბრწყინვალედ და პატივისმოყუარეობით სურთამან, განუტეენა ადგილსა მიმართ მეფისა მათისა.

4)\* ხოლო ესენი მიიწინეს რაჲ და მიუთხრნეს მას შემთხუეულნი, განკრეებულმან ადეროს უცხოსა ზედა და ისრაილიტთა ღმრთის დამორჩინებაჲსა და ძალსა და წინაწარმეტყუელსა, რომლისა თანა იყო ესრეთ საღმრთოო ცხადად, ფარულად ვიდრემე არღა მერმეცა აგარძო კელყოფად ისრაილიტთა მეფისა მიმართ, შეშინებულმან ელისსეოასგან, ხოლო ცხად ბრძოლად საჭა, სიმრავლისათვის მვედრობათაჲსა და ძალისა უზეშთავს ქმნად მეკუელმან მბრძოლთამან.

და აღიმკედრა დიდისა ძალისა თანა იორამოსს ზედა, რომელმანცა, არა ღირსად შემრაცხელმან თავისა თვისისამან ბრძოლად სურთა, შეიწყუღია თავი თქსი სამარიასა შინა, მინდობილმან სიმტყიცესა ზღუდეთასა. ხოლო ადერ, გულმსიტყუეელი პყრობასა ქალაქისასა, დადაცათუ მანქანებათა მიერ არა სძლოს სამარიტელთა, არამედ სიყმილისა მიერ და ნაკულუეგანებისა საჯანარ-

<sup>1</sup> იყო AQ. \* მოკუდინებაჲ.

\* IV მუგ. 6,23; 6,25; 6,26; 6,31.

თავსა, გარემოდგომილი აოკრებდა ქალაქსა. ხოლო ესოდენ მოაკლდა იორამოსს ღონიერობაჲ საქაროთაჲ, ვიდრეღა გარდამატებულეზისათჳს ნაკლულე-ვანებრსა განისყიდა სამარიაჲ შინა ჰედლილად ვიდრემე ვეცხლისად ოთხმეოცად თავი ვირისაჲ, ხოლო ხუთად ჰედლილად ვეცხლისად საწყავი ერთი ტრედ-თა სკორისაჲ ნაცვლად მარითა ისყიდებოდა ვერაელთაგან. ხოლო იყო შიშსა შინა, რამთა არავინ სიყმილისა ძლით განსცეს ქალაქი მტერთა მიმართ. და ორამოსს უკუე დღითი-დღე ვიდოდა ზღუდეთა ზედა და მოიხილვიდა მცველ-თა. ნუჲადა ვინ მათგანი იყოს შინაგან, მხილველმიღებულნი ზედმოხილვისა და ზრუნვასა და ესევეითარსა რომელსავე განმზრახველ საქმესა და უკუეთუ ესე-ვითარსა განზრახვასა ვინმე აწვე მიმღებელ იქმნა. ხოლო ვინაფთგან კმა-ყო დედაკაცჲ ვინმე: „მეუფეო უფალო, შემიწყალე“, მეჰუელმან მისჲანი, ვი-თარჲედ ეგულეზის რასამე თხოვაჲ მისგან საზრდელთაგანსა, განრიხებულმან სწყევა მას ღმრთისა მიმართ და არცა კალთა და არცა/საწნეხელთა ყოფასა მის-და ეტყოდა, სადაფთ მიანიჭოს რაფე მას, მოჰენესა. ხოლო მან არცა ერთისა ამათგანისა საცმარებაჲ თქუა. არცა იძულებაჲ საზრდელისა ძლით, არამედ სჯასა ევდრებოდა სხჲსა დედაკაცისა მიმართ. და მეფემან უკუე უბრძანა თქუ-და და ცხად-ყოფად, რომელთაჲცს მეძიებელ არს. ხოლო მან — აღთქუმანი, თქუა, ექმნენ სხჲსა თანა დედაკაცისა, მახლობელისა მისდა<sup>2</sup> და მოყუარედ მყოფისა, რამთა ვინაფთგან სიყუდილად<sup>3</sup> სიყმილისა და ნაკლულევანებისათჳს უღონო იყვენ<sup>4</sup>, დაკლველთა შვილთასა, ხოლო იყო მრჩობლთავე წული ყრჲაჲ, „ოთოფელისა დღესა ვზრდნეთ მრჩობლნივე ურთიერთას. და მე, თქუა, პირულად ჩემი დავკალ და წარსრულსა დღესა ჩემითა ვაზარდნით მრჩობლნივე. ხოლო იგი არა მნებებელ არს ამათსა ქმნასა, არამედ გარდა-ჰკლვის აღთქუმასა და ძე თჳსი უჩინო-ქმნა“.

ამათი მსმენელი ფრიად შეწუხნა<sup>5</sup> იორამოს და გარემომხეთქელმან სა-მოსლი-ჲან და ბოროტად მკობელმან, ამისა შემდგომად რძინეთა წინაწარ-მეტყუელისა ელისსეოჲს მიერთა აღესებულმან, მიიმართა მოკუდინებად<sup>6</sup> მისა ამისთჳს, რამეთუ არა ევედრების ღმერთსა ღონესა და ლტოლვისა გარემომ-ცველთა ბოროტთაგან მიცემად მათდა. და თანად მოჰკუეთელი თავისა მისი-საჲ მეყუსეულად წარაელინა. და იგი ვიდრემე მოკლვად წინაწარმეტყუელისა მოსწრაფე იყო. ხოლო ელისსეოჲს არა დაეფარა რისხვაჲ მეფისაჲ, არამედ მგდომარემან სახლსა შინა მისსა მოწაფეთა თანა აღუწყა მათ, ვითარმედ იორა-მოს, მკლველისა ძესა, წარმოუვლენან მიმღებელნი მისგან თავისა მისისანი. „არამედ თქუენ, ჰრქუა, რაჲამს ამას ბრძანებულნი მოიწიოს, განკრძალულთა შემოსლვად მგულეზელი დაამკლვეთ კარსა და იხყართ, რამეთუ შეუდგეს მას ჩემდა მომართ მომავალი მეფე, შენანებელი“

ხოლო მათ ქმნეს ბრძანებულნი, ვითარ მოიწია წარმოვლინებულნი მეფისა მიერ მოკლვად ელისსეოსსა. ხოლო იორამოს, შენანებელმან წინაწარმეტყუე-ლისა მიმართსა რისხვასა და შეშინებულმან, ნუსადა უსწრას მოკლვად მისა ამას ბრძანებულმან, ისწრაფა დაყენებაჲ კლვისაგან და ცხოვნებაჲ წინაწარმე-ტყუელისაჲ. ხოლო მიწენული მისა მიმართ აბრალებდა, რამეთუ არა ითხოვს ღმრთისა მიერ ქსნასა მათსა მოწენულთა ბოროტთაგან, არამედ მათ მიერ გან-ხრწნილთა უჯულებელს-ჰყოფს. და ელისეოს უკუე მომავალსა დღესა აღუთ-

1 ნესმენ AQ. 2 ჩ'და AQD. 3 სკილი. 4 შეაწუხა AQD. 5 მოკუდინებად.

ქუმიდა<sup>1</sup>, მასვე ეახსა, რომელსა მცფე მიიწია მისა მიჰართ, ქმნა მრავალს იეფობასა საზრდელისასა და განსყიდა ვიდრეზე უბანსა შინა სიკლოდ ერთად ორთა სატათა\* ქრთილისათა, ხოლო მოსყიდა სეზინდალსა სატასა ერთსა სიკლოდ. ამათ იორამოს და მის თანა მყოფნი სიხარულად ვიდრეიგნეს, რამეთუ არა მცონარე იყვნეს რწმუნებად წინაწარმეტყუელისაგან კეშმარიტებათათჳს პირველმემთხუეულთაჲსა, არამედ და ნაკულევენებასაცა მის დღისასა და კირვეულებასაცა მოლოდებადი სასოებაჲ სუბუქ მყოფდა მათდა. ხოლო მუსამისა ნაწილისა მთავარმან, მეფისა მოყუარედ მყოფმან და მამინ მომღებელჰან მისმან ზედმიყრდნობილად, „ურწმუნოთა, თქუა, იტყუ, ო წინაწარმეტყუელო! და ვითარ შეუძლებელ არს გარდამოთხევაჲ ღმრთისაჲ ზეცით შთამოსასხმელთა ქრთილისა გინა სემინდისათა, ესრეთ უღონო არს და აწ შენ მიერ თქუმულთაცა ქმნაჲ“.

და წინაწარმეტყუელმან მისა მიმართ — „ესე ვიდრევე იხილნეს აჰას და სასრულსა მიმღებელნი, ხოლო არა მიიღო არცა ერთისაგან ყოფადთაჲსა“.

5) \* იქმნეს უკუე ესრე სახედ ელისსეოჲს მიერ თქუმულნი: სჯული იყო სამარიას შინა—კეთრსა მქონებელნი და არაწმინდანი ესევეითართაგან სხეულითა გარეგან ქალაქისა დაადგრებოდნენ. მაჰაკაცინი უკუე რიცხვთ ოთხნი ამის მიზნისათჳს წინაშე ბჭეთა დადგრომილ იყვნეს. და არაღა მერმეცა გარდამატებულებისათჳს სიყმილისა მისცემდეს მათ საზრდელსა, ხოლო ქალაქად შესლვასა დაყენებულ იყვნეს სჯულისაგან და უკუეთუ უბრძანოს მათ შესლვაჲ, განიხრწნენ ბოროტად სიყმილისა მიერ. და ამასვე ვენებად გულის-სიტყუელობდეს, უკუეთუ დაადგრენ მიერ. უღონობისათჳს საზრდელისა მიცემაჲ თაგთა თჳსთა საჯეს მბრძოლთა მიჰართ, ვითარმედ უკუეთუ ერიდნენ მათ, ცხონდენ, და უკუეთუ მოიხრწნენ, კეთილად მოკულენ. აჰას განზრახვასა და მამტიციებელნი ღამით მიიწინეს ბანაკისა მიმართ მბრძოლთასა. ხოლო აწღა იწყო ღმერთმან შეშინებად და შეშფოთებად სჯრთა და მი/ვლინებად კმისა ეტლთა ბგერისასა სასმენელთა მიმართ მათთა, ვითარ ზედმომაველისა მკედრობისაგან. და ამას მახლობელად მათა მიიღებდა მექუელობაჲ. ამისთჳს ესრე სახედ მის მიერ დაისხნეს, ვიდრეღა კარავთა დამტევებელნი მირბიოდეს ადეროჲს მიმართ, მეტყუელნი იორამოს, მეფე ისრაილიტთაჲ, მომზიდებელი თანმბრძოლთაჲ, მეფესა ეგვპტელთასა და კუნძულთასა მათ ზეღა მიიყვანებს, რამეთუ მათ, მომავალთაჲ, გუესმის ბგერაჲ. ამათ მეტყუელთაჲ ყურადღილო ადეროჲს და რამეთუ აჰასაცა კმა ეცემოდა სასმენელთა, მსგავსად სიმრავლისა, და მრავლია თანა უწყესობისა და შჯოთისა, დამტევებელნი ბანაკსა შინა ცხენთა და კარაულთანი და სიმღერისანი, მიმართებულ იქმნეს ლტოლვად. ხოლო კეთროვანნი, საჰარიამთ წარსრულნი ბანაკისა მიმართ სჯრთაჲსა, რომელთაჲ მეორედ უწყინარეს მოვიტყენეთ, ვითარ მიიწინეს მახლობელად ბანაკისა, ფრიადსა დაწყინარებასა და უქმოებასა ზედვიდეს. და შესრულნი შინა კერძო, მიმართებულნი ერთსა კარვისა მიმართ, არცა ერთსა ზედვიდეს. და მჰამელთა და მსუმელთა იტკრთნეს შესამოსლებნი და ფრიადი ოქროჲ გარეგან ქალაქისა დაფარეს. და ამისა შემდგომად, სხვისა კარვისა მიმართ

160

<sup>1</sup> აღუთქმდა.

\* მძიჲ 9<sub>11</sub> (= ფსევტ ნრეთერებათა წონის ცრთულუ). <sup>10</sup> IV მეფ. 7,3; 7,7; 7,10;

წარსულთა, კულად მის შინაწილსა მსგავსადვე განიხუნეს და ესე ქმნეს ოთხ-გზის და ყოვლითურთ არცა ერთი ვინ შეეძებნა, მათ, რომლისა ძლით, მბრძოლთა შექუელნი წარსლვისანი, აბრალებდეს თავთა თვისთა, რამეთუ არა აუწყენეს ესენი იორამოსს და მოქალაქეთა. ესრეთ ვიდრემე, მისრულნი სამა-რიაჲსა ზღუდისა მიმართ და კმაყოფილნი მცველთა მიმართ, აუწყებდეს მათ მბრძოლთა ძლითთა. ხოლო მათ ესენი მიუთხრნეს მცველთა მეფისათა, რომელთა მიერ იორამოსს მიუწოდა მოყუარეთა და მთავართა, რომელთა მიერ, ბოვიდეს რაჲ, მზაკვარებასა და მოგვრავებასა მოპოვნებად იტყვის სურთა მე-ფისაჲგან წარსლვისა მიერ: „ვინამთჳან სასოწარკვეთილ იქმნა ჩუენსა სიყმი-ლისა მიერ განხრწნასა, რაჲთა, ვითარ ლტოლვილთა ზედა განსლვასა ჩუენსა დატაცებად ბანაჲსა, მეყუსეულად ზედა-მოგვიდეს ჩუენ და მოგუაყუდინენს, ხოლო ქალაქი შიდილს უბრძოლველად. რომლისა ძლით განგაზრახებ თქუენ, რაჲთა კრძალულებით გაქუნდეს თქუენ ესე და არასადა წარხვდეთ, შეურა-ცხისყოფილნი მბრძოლთანი წარსლვისა ძლით“. ხოლო მიუგო ვინმე, ვითარ-მედ ძძუელად და რჩეულად და გონიერად გულისკმა-პყვენ ესენი და თანად განაზრახებდა წარვინებდა ორთა მკედართა, განმხილველთა ყოვლისათა ვიდრე იორდანეოდმდე, რაჲთა, უკუეთუ მშირთა მბრძოლთაგან განიხრწნენ, იქმნენ მცველ მკედრობისა, არა რომელსა ესევეითარსა ვნებად განუხილველად განსრულისა. „ხოლო შეპრაცხენ, თქუა, მკედარნი სიყმილისა მიერ მომკუ-დართა თანა, უკუეთუ მბრძოლთა მიერ პურობილნი წარწყმდენ“.

და სათნო-უნინა განზრახვაჲ ესე და განმხილველნი წარავლინნა. ხოლო მათ ცალიერი ვიდრემე მბრძოლთაგან გზად წარვლეს და იფქლთა და საჭურ-ველთაგან აღსაესე პოვეს, რომელნიცა დამაბნეველთა დაუტევენეს, რაჲთა სუ-ბუქ იყვნენ შალიად ლტოლვისა მიმართ. ამათჳან მსმენელმან მეფემან დატა-ციებისა მიმართ ბანაჲსი შინათაჲსა განუტევა სიძრავლე, ხოლო არა უნდოსა რასჲ და მცირესა სარგებელსა მიემთხვნეს, არამედ ფრიალსა ვიდრემე ოქრო-სა და მრავალსა ვეცხლსა და სამწყსოთა მრავალსახეთა პირუტყუთასა მიიღებ-დეს, და ამას თანა, ბევრეულთა იფქლისათა მიმთხუეულნი და ქრთილისათა, რაოდენთა არცა ჩუენებასა შინა სასობდეს, პირველთა ვიდრემე ბოროტთაგან განთავისუფლდეს და იფგობაჲ აქუნდა მოსყიდად ორთა ვიდრემე სატათა ქრთილისათა სიკლოდ, ხოლო სემინდისასა—ერთსა სიკლოდ ელისსეომს წინა-წარმეტყუელებსაგებრ. შემძღებელ არს უკუე აღდებდა სატომ მოლსა და ნა-ხევარსა იტალურსა. ხოლო ამათ კეთილთაგან მხოლოდ დაკლბულ იქმნა შე-სამოსა ნაწილისა მთავარი, რამეთუ დადგინებულსა მეფისა მიერ ბქესა ზედა, იპყრობდეს სიმრავლესა ფრიალსა მიმართებისაგან და არა ძკრ-ხილულობდენ ურთიერთარს კენებულნი და დათრგუნვილნი წარწყმედად. ესე მას ენოა და ესევეითართა სახითა მოკლდა წინაწარმეტყუელებსაგებრ ელისსეომს აღსას/-რულსა მისისათჳს, ოდეს მის მიერ თქუმულთა გულვებადისა კეთილდონიერ-ობისათჳს საქმართაჲსა მხოლოდ ამან ყოველთაგან არა ირწყუნა.

6) ხოლო მეფე სურთად აღეროს, ცხოვნებული დამასკოდში და მსწა-ვლედი, ვითარმედ საღმრთომან შთაყარნა იგი და მკედრობაჲ მისი ყოველთა შიშსა და ესევეითარსა მას შეფოთსა შინა, არამედ არა ზადამო-ლვისაგან მბრ-

1 შეეძებნა AQ. 2 წარწყმედენ AQD. 3 პირუტყუთასა. 4 იფქლისათათა A. 5 ამ-თ.

\* IV მეფ. 8,7; 8,10.

ძოლთაჲსა იქმნა, ფრიად შეკუმუნევებული მტრად ქონებისათჳს ღმრთისა, სენსა შინა შთავარდა. ხოლო მას ეჲმსა, განვიდა რაჲ დამასკოდ ელისსეოჲს წინა-წარმეტყუელი, ამის მსწავლეღმან ადეროს უსარწმუნოესი მონათაგან, აზაილოს, წარავლინა შემთხუეფად მისდა და ძლუენთა მიღებად და უბრძანა კითხვაჲ სნეულებისათჳს და უკუეთუ განეველტოს მის მიერსა დაჭირვებასა. ხოლო აზაილოს ორმოცთა თანა აქლემთა რიცხვთ, რომელნი მოიღებდეს ძლუენთა, უმჯობესთა და უპატიოსნესთა დამასკოსა შინა ქმნილთაგან და მყოფთა სამეფოსა შინა, შემთხუეფული ელისსეოჲსა და მომკითხველი მისი გონიერებით, ეტყოდა ადეროჲს მეფისა მიერ წარვლინებასა მისა მიმართ და ძლუენთა მიღებასა და კითხვასა სნეულებისათჳს და უკუეთუ აღსუბუქნეს მისგან. ხოლო წინაწარმეტყუელმან ვიდრემე უბრძანა აზაილოსს არა რომელსა ბოროტსა მითხრობაჲ მეფისაჲ, ხოლო ეტყოდა მას, ვითარმედ მოკუდეს. და მონაჲ ვიდრემე! მეფისაჲ მკუმუნევერე იყო ამათჳს მსმენელი, ხოლო ელისსეოჲს ტიროდა და მრავალთა ცრემლითა მიერ განიზანებოდა, წინაწარმხუეფელი მათი, რომელთა ბოროტთა ვნებაჲ ეგულვებოდა ერსა შემდგომად ადეროჲს აღსრულებისა. ხოლო ვინაჲთგან ჰკითხვიდა მას<sup>2</sup> აზაილოსს მიზეზსა შემთხუევისასა, „ტრი, თქუა, მწყალობელი ისრაილიტთა ჰიმრავლისაჲ ბოროტთათჳს, რომელნი ევნენ შენ მიერ, რამეთუ მომაკუდინებელმან რჩეულთა მათთამან და ძლიერნიცა ქალაქნი დასწუნე და ყრჳანი ვიდრემე წარწყვილნე, შემახუთქებელმან კლდეთადმი, ხოლო მუტელქუმულნი განაპნე დედაკაცნი“: და აზაილოსს უკუე რქყოდა — “და რომლისა ძალისა ჩემდა ყოფაჲ ესევეითარისაჲ შემთხუეულ არს, რაჲთამცა ესე ვიმოქმედნე?” „ღმერთმან, ჰრქუა, მათწყა მე ესე, ვითარმედ სკრიაჲსა გეგულეების მეფე-ქმნაჲ“.

აზაილოსს ვიდრემე უკუე, მიწვენულმან ადეროჲს მიმართ, მას ვიდრემე უმჯობეს-ქმნაჲ სენსისაგან შიუთხრა. ხოლო მომავალსა დღესა, ბადესა გარდამფენელმან მას ზედა დალტოლვილსა, იგი ვიდრემე, მიდმოქცეული, განხრწნა, ხოლო მთავრობაჲ თუთ მიიღო. გონიერად მამაკაცად მყოფმან და ფრიადსა სიყუარულსა მქონებელმან სურთა მიერ და ერისა დამასკინელთაჲსა, რომლისათჳს ვიდრე აქამომდე თუთ ადეროს და აზაილოსს, შემდგომად მისა მთავარქმნილი, ვითარ ღმერთნი, პატივ-იციემებინ კეთილმოქმედებათათჳს და აღშენებათა ტაძართასა, რომელთა მიერ დამასკინელთა შეამკვეს ქალაქი. ხოლო დღესასწაულობენ ესენი დღით-დღე პატივისათჳს მეფეთაჲსა და პატივ-სცემენ დასაბამობასა მათსა, არამეტყუენი, ვითარმედ ახალნი არიან და არა აქუან ამათ მეფეთა წყლნი ათასნი და ასნი.

ხოლო იორამოსს, მეფესა ისრაილიტთასა, ესმა რაჲ აღსრულებაჲ ადერი-სი, განტევებულ იქმნა შიშისაგან და ზრუნვისა.

107. 5

1)\* და იორამოსს უკუე, იეროსოლუბათა მეფემან, და რამეთუ ამოიციჲ ესევეითარი იყო სახელი, ვითარცა წინაწარ-უთქუთ, მიმღებელმან მეფობისამან მეყუსეულად მიიმართა კლეისა მიმართ ძმთა მისთაჲსა და მამეულთა მოყუარეთაჲსა, რომელნი და მთავარნიცა იყვნეს, დასაბამსა და ჩუენებასა

<sup>1</sup> ენ AQ. \* შთ. \* მომაკუდინებელმან.

<sup>2</sup> IV მეფ. 8,16. II ნეშტ. 21,1. IV მეფ. 8,20. II ნეშტ. 21,8.

სობორიტისასა ანიერ მოქმედმან. და არაბათ განეყოფოდა ერისა მეფეთა, რომელთა პირველად იუსჯულოეს მამულთა მიმართ წესთა ევრაელთაჲსა და ღმრთისა მიმართისა მსახურებისა. ხოლო ასწავა მას, და სხუათაცა შინა ბოროტად მყოფსა, უცხოთაცა ღმერთთა თაყუანისცეჲმად ღოთოლია, ასულმან ახავოანმან, მის თანამკვდრმან. და ღმერთსა ვიდრემე დავიდის მიმართისა აღთქუმისათჳს არა ენება ნათესავისა მისისა უჩინო-ქმნამ, ხოლო იორამოს არა მოაკლებდა, თათოგულსა დღესა განმეახლებელი უღმრთოებისათჳს მიმართ და განხრწნისა მამულთა წესთაჲსა.

161

და მას უკუე უამსა / განუდგენი მას იღუმელნი და პირველი ვიდრემე მეფე მოაკუდინენ<sup>2</sup>, რომელი მორჩილ იყო მამისა მისისა და რომელი სათნოუჩნდა მათ, ესე დააღვინეს. ხოლო იორამოს<sup>3</sup> გარემოხსთა მისთა მკედართა და ეტლთა თანა იღუმედ მიიწია ღამე და გარემოხსნი სამეფოსა მისისანი განხრწნა და შორს არასადა წარვიდა. ხოლო სარგებელ ექმნა არცა ერთი ამისსა მოქმედსა, რამეთუ ყოველნი განდგეს მისგან და დამკვდრებულნიცა სოფელსა შინა, ლავენად წოდებულსა. ხოლო ესოდენ ბორგნულ იყო, ვიდრედა აიძულებდაცა ერსა, მალათა მათა ზედა აღსრულსა, თაყუანისცემად უცხოთა ღმერთთა.

2)\* ამათმან უკუე მოქმედმან და სრულიად განმდევნელმან გონებისაგან მამულთა სჯულთამან, მიიღო ილიას მიერ, წინაწარმეტყუელისა, ეპისტოლე, რომელსა<sup>4</sup> შინა აუწყებდა დიდსა შურისგებასა მიგებასა მიღებად. მისგან ღმრთისა, რამეთუ თჳსთა ვიდრემე მამათა არა მსგავს იქმნა, არამედ უსჯულოებათა იწრაილოტთა მეფეთაჲსა შეუდგა და აიძულაცა იუდაჲსა და მოქალაქეთა იეროსოლჳმათასა დატყეებად მსახურებასა თჳსისა ღმრთისასა და კერპთა პატივისცემად. და ახავოსცა აიძულა ისრაილიტთა, და თანად რამეთუ ძმანი მოაკუდინენ<sup>2</sup> და კეთილნი მამაკაცი და მართალნი მოსრნა. შურისგებისათჳს ამათისა, რომელსა ეკულებოდა ნაცვლიაგებაჲ, აუწყებდა წერილთა შინა წინაწარმეტყუელი მოსრვასა ერისასა და წარწყმედასა თვთ მის, მეფისა. ცოლთა და შვილთასა. და ვითარმედ მოკუდეს სნეულებითა მუცლისადათა მრავლად ტანჯული და ნაწლავნი მისნი, გარდამატებულებათა შინაგანთა ხრწნისადათა, განითხინენ, ვიდრედა თვთ ხედვიდეს განსაცდელსა მისსა და არა შემძლებელი შეწევნად შემდგომად ესრეთ მოკუდეს. და ესე ვიდრემე აუწყნა ეპისტოლისა მიერ ილია.

3)\* ხოლო შემდგომად არა მრავლისა მკედრობაჲ არავთამ, მახლობელად ეთიოპიისა მკედრთამ და სხუათა ნათესავთამ იორამოსსა სამეფოსა ზედა მოიწინეს და თანად სოფელი განუხურეს და სახლი მეფისაჲ და ამას თანა ძენიცა მისნი მოსრნეს და ცოლნი. ხოლო ერთი ყრმათაგან დაშთა მისდა, განვლტოლვილი მბრძოლთაგან, ოხოზია სახელით. და შემდგომად უკუე ამის განსაცდელისა სნეულქმნილი პირველთქუმულითა სენითა წინაწარმეტყუელისა მიერ მრავლსა უამსა, რამეთუ მიავლინა ღმერთმან მუცლად მისსა რისხვამ, საწყალობელად მოკუდა, ზედამხედველი შინაგან განთხეულთამ. ხოლო შეურაცხ-ყო და მკუდარიცა მისი ერმან, ხოლო გულისმსიტყუელმან, ვითარ

1 გნადგენ A.Q.D. 2 მოაკუდინეს. 3 იორამო ს A.Q.D. 4 რომელსა—A.Q.D. 5 მოაკუდინნა

6 II ნებტ. 21,12. 1\* II ნებტ. 21,16.



ეპგონებ, ესრეთ მოკუდინებული რისხვისაგან ღმრთისა არა ღირს-ყოფად დაფლვასა, რომელი შეჰკავს მეფეთა ჰიმთხუევეად, არცა მამულთა ლარნაკთა შინა დაჰფლეს იგი, არცა სხუასა პატივსა აღირსეს იგი, არამედ ვითარ მსოფლოდ დაჰფლეს, ცხოვნებული ვიდრემე წელთა ორმეოცთა, ხოლო მშეფობი—რვათა. და მთავრობად უკუე მისცა სიმრავლემან იეროსოლჳმთამან ყრმასა მისსა ოხოზიას.

თ. 6

1)\* ხოლო იორამოს, ძსრაილიტთა მეფეჲმან, შემდგომად აღეროას აღსრულებთა მსასოგებლმან არამოთ, ქალაქისა დალაადიტისასა მიღებად სკრთაგანს, აღიმკედრა მას ზედა დიდისა თანა შემზადებთსა. და ბრძოლასა უკუე შინა იწყლა სკრთაგანისა ვისმე მიერ არა მძიმედ და წარვიდა თეზარი ქალაქად, განკურნებად მას შინა. წყლულსა. და მკედრობად ყოველი დაუტევა არამოთს შინა და მთავრად ამასის ყრმად, იოუს, რამეთუ აწვე ეპყრა იგი ძლიერებით. ხოლო წინამდებარე იყუ მისა შემდგომად ვანკურნებისა ბრძოლად სკრთად. და ელისსეოს უკუე წინაწარმეტყუელმან, მიმცემელმან ერთსა მოწაფეთაგანისად წჳიდა ზეთსა, არამოთად წარავლინა, ცხებად იიუაჲსა და თხრობად, ვითარმედ ღმერთსა სთნავს იგი მეფედ. და აჲათ თანა, სხუათაცა თქუემად და მამცნებელად, უბრძანა სახითა ლტოლვისაჲთა ქმნად მოგზაურობისაჲ, რაჲთა დაეფაროს ყოველთა მიერ წარსრული. ხოლო ამან, მიწევნულჲმან ქალაქად, პოვა ვიდრემე<sup>v</sup> იოუს მჭდომარე საშუვალ მთავართა მკედრობისათა, ვითარცა ელისსეოს წინაწარუთხრა მას. და მიწევნულმან ჰრქუა, ვითარმედ „მეგულეების რომელთათჳსმე სიტყჳსგებაჲ შენ თანა“. ხოლო იგი აღდგა რაჲ და შეუდგა საუნჯედში, მიჰღებულმან ზეთისამან ქაბლქმან დაასხა თავსა მისსა და ღმერთი, ჰრქუა, მეფედ კელთდასხმულ ჰყოფს მას, წარსაწყემდელად ახავოას ნათესავისა და რაჲთა საჯოს სისხლი წინაწარმეტყუელთაჲ, იეზაეელაჲს მიერ უსჯულოდ ნოკუდინებულთაჲ, რაჲთა სახლი ამათი შითვე სახითა უჩინო-იქმნეს ძირითურთ უსჯულოებისა მათისა, რომლითა იეროკოამოჲსი, ნავატეოჲსი ყრმისაჲ და ამასაჲსი და არა დაშთეს თუელი ახავოას ნათესავისაჲ. და ვიდრემე ამათი მეტყუელი განბიოდა საუნჯისაგან, მოსწრაფე არცა ერთისა მკედრობათაგანსა მიერ ხილვად.

2)\* ხოლო იოუს, გაშოსრული, მიიწია ადგილსა ზედა და ამისა შემდგომად დაჯდა მთავართა თანა. ხოლო იგინი ჰკითხვიდეს და თქუემად მათდა ევედრებოდეს, რომლისა ძლით შიოწია მისა მიმართ ქაბლქი და ამას თანა ბორგნულობასა მისსა იტყოდეს. და მან უკუე — „არამედ მართლიად ამსგავსეთ, თქუა, და რამეთუ სიტყუისანი ბორგნულებით თქუნა და ქმნნა“. ხოლო მოსწრაფე იქმნნეს რაჲ სმენად და ევედრებოდეს, თქუა მის მიერ თქუმად, ვითარმედ ღმერთსა იგი სთნავს მეფედ ღმრავლისა. ესენი რაჲ თქუნა, თითოეული, განმძარცუელი თავისა თვისისაჲ, დაუფენდის საპოსელსა მისსა და დამნეტუველნი რქათანი აუწყებდეს ითუმს მეფედ-ყოფასა. ხოლო ამას, შემგრებელსა ღმრავლისასა, ეგულებოდა მიმართებაჲ იორამოს ზედა იეზერელა ქა-

1 სკრთაგან/ჲ-წილი. \* ეჲ AQ.  
 \* IV მეფ. 8,28; 9,1. 1\* IV მეფ. 9,11.

ლაქად, რომელსა შინა, ვითარცა წინაწარ-ვთქუე, იყურნებდა წყლულსა, რომელი მიიღო არამოთის ოკრებასა შინა. შეეძობხვა უკუე და იეროსოლკმათა მეფესაცა, ოხოზიას, წარსლვამ იორამოსს მიმართ, რამეთუ ძე იყო ღისა მისისაჲ, ვითარცა წინაწარ-ვთქუეთ. და მოხილვად მივიდა მისა ნათესავობისათჳს, ვითარაქუს წყლულებისა.

ხოლო იიუს, მნებებელი ანასადამთ ზედადასხმასა იორამოსს თანათასა, ევედრებოდა არცა ერთსა მკედართაგანსა წარსლვად და უწყებად მათ იორამოსს მიმართ, რამეთუ ესე იყო ბრწყინვალე ჩინებამ მისა მიმართისა სიყუარულისაჲ და ესრეთ მღებარეთამ განჩენამ მისი მეფედ.

3)\* ხოლო იგინი, მხიარულნი თქუმულთა ზედა, სცივიდეს ვზათა, რამთა არავინ, იეზრავლად განაპარულმან, მიუთხრას ესე მას შინათა. და იიუსი ვიდრემე. მკედართა რჩეულთა მიმყვანებელი და მჭლომარე ეტლსა ზედა, ვიდროდა იეზრავლადმი.

და მახლობელ იქმნა რამ, მსტუარმან, რომელი მეფესა იორამოსს დაედგინა მოხილვად მიმავალთა ქალაქადმი, მხილველმან იიუჲსმან სიმრავლესა თანა მიმავალად, მოუთხრა იორამოსს მისლვა ცხენთა განწყობილებისაჲ. ხოლო მან მეყუსეულად ბრძანა წარვლინებამ რომლისაჲმე მკედართაგანისაჲ შემთხუეად. მისრული უკუე იიუჲს მიმართ, მკედარი ჰკითხვიდა მკედრობისა შინათათჳს, რამეთუ ამთ იკითხავს მეფე. ხოლო მან, არცა ერთსა ამათგანისა გამოძიებად მეტყუელმან, შედგომამ უბრძანა. ამათმან მხილველმან მსტუარმან მიუთხრა იორამოსს მკედრობისა, სიმრავლესა თანა მომავალთასა შეერთებულსაჲ, მათ თანა მოწევნამ. ხოლო წარავლინა რამ და გეორგეცა მეფემან, ამასვე ქმნამ უბრძანა იიუჲს. და ვითარ ესეცა აუწყა მსტუარმან იორამოსს, დასასრულად თვთ აღსრული ეტლსა ზედა ოხოზიას თანა, იეროსოლკმათა მეფისა, რამეთუ მოწევნულ იყო ნათესავობისათჳს, ვითარცა წინაწარ-ვთქუეთ, მოხილვად მისსა, ვითარაქუს წყლულებისაგან, განვიდა შემთხუეად. ხოლო უმყოვრესადრე და თანად განწყვებით ვიდროდა იიუჲს. და შემთხუეული მისდა იორამოსს აგარაკსა შინა ნავოთეომასსა, ჰკითხვიდა, უკუეთუ კეთილად აქუს ყოველთავე მკედრობისა ძლითთა. ხოლო იიუს გმო იგი მწარედ, ვიდრედა დედასაცა მისსა მწამლველად და მებაჲად უწოდა. და მეფე უკუე, შეშინებული გინებისა მისისაგან და არა რომელსა კეთილსა მის მიერ განზრახვად გულისკნამყოფელი, უკუნქეული, რაოდენ აქუნდა ეტლსა, იგლტოდა, მეტყუელმან ოხოზიას მიმართ, ვითარმედ მზირებით დამზაკვარებულ იქმნეს მათ ზედა. ხოლო იიუს, მეტყორცებელმან მისა მიმართ ისარსა, შთავადო, ვინამთგან ისარი შთავიდა გულად მისსა და იორამოსს ვიდრემე, მეყუსეულად დაცემულმან მეკლთა ზედა, განუტევა სული. ხოლო იიუს უბრძანა ავადაკოსს<sup>2</sup>, მესამისა ნაწილისა მთავარსა, შთავადებამ იორამოსს, მკედრობისა, აგარაკსა შინა ნავოთეომასსა, შემავსენებელმან მისდა ილიას წინაწარმეტყუელებასა, რომელი ახავოს, მაასა მისსა, ნავოთეომას მომაცუდინებულსა, უწინაწარმეტყუელთა, ვითარმედ წარწყმდეს იგი და ნათესავი მისი ადგილსა მას შინა, რამეთუ ესეგინი უკუენა კერძო მსხდომარეთა ახავოს ეტლისათა გუესმნეს, იტყოდა რამ წინაწარმეტყუელი, და ამას ვიდრემე შეეძობხვა ქმნამ წინაწარმეტყუელებისაებრ

<sup>1</sup> იოსუს A. \* ვიდკაროს S. Βαδίαφ 9111, Βαδίαφ Lat. D=AQ.

\* IV მეფ. 9,16; 9,18. II ნებტ. 22,2.

მისისა“. ხოლო დაეცა რაჲ იორამოს, შეშინებულმან ცხოვრებისა მისისათჳს ოხოზია სხჳსა გზისა მიმართ მიდრია ეტლი მიფარულად, მიფარვად იიუხსგან<sup>1</sup> მეჭუელმან. ხოლო მან დევნა უყო, წევნულმან შთასავალსა რომელსამე, მტყორცებელმან, წყლო იგი და იგი უკუე, დამტევებელი ეტლისაჲ და აღსრული ცხენსა ზედა, ივლტოდა იიუხსგან მალადოდ. და მუნ, მკურნებელი, შემდგომად მცირედისა მოკულა წყლულისაგან. და იეროსოლჳმად წარღებული მუნ დაფლვასა მიემთხვა, მეფეჲქმნილი წელსა ერთსა, ხოლო უძვრეს მამისა ქმნილო.

4)\* ხოლო იიუს, შევიდა რაჲ იეზრაელად, შემკობილმან იეზაველა, ლადგრომილმან გოდოლსა ზედა — „კეთილი მონაჲ, თქუა, მომაკუდინებელი<sup>2</sup> მეუფისაჲ“. ხოლო მან, აღმხილველმან მისა მიმართ, იკითხა, ეინ-მე არს იგი. და შთამოსრულსა უბრძანებდა მისა მიმართ მისლვად და დასასრულად ყუერულთა უბრძანა შთაჴოვდებად შირი გოდოლსაგან. ხოლო შთაჴოვებულმან შესუარა ზღუდე სიხსლოთა და, დათრგუნვილი ცხენთა მიერ, ესრეთ მოკულა.

და ესენი რაჲ უკუე იქმნეს, იიუს მიწვენული სამეფოთა მიმართ, მოყუარტთა თანა განუსუენებდა თაესა თჳსსა მოგზაურობისაგან, სხუათა თანა და ტრაჴეზითაჲ. ხოლო უბრძანა მონათა, რაჲთა, აღმღებულთა იეზაველამსთა, დაჴვლან ნათესვისათჳს, რამეთუ იყო მეფეთაგან. ხოლო პოვეს არარაჲ სხეულისა მისისაგან დაფლვად ბრძანებულთა, გარნა თუ მწუერვალნი ასონი და სხუად ყოველი აღლულ იყო ძაღლთა მიერ. ამათი მსმენელი იიუს განკრეგებულ იყო ილიამს წინაწარმეტყუელებასა, ამან იეზერელას შინა წინაწარ-თქუა ამით სახითა წარწყმელად მისი.

5)\* ხოლო იყენეს ახავომს სამეოცდაათნი და იზარდებოდეს საშარას შინა. ხოლო იიუს<sup>3</sup> წარავლინნა ორნი ეპისტოლენი, ერთი ვიდრე ყრმისმყვანებელთა მიმართ და სხუად უკუე—მთავართა მიმართ საშარიაჲსათა, მეტყუელმან: „უმყენსი ახავომს ყრმათა განაჩინეთ მეფედ, რამეთუ სიმრავლე ეტლთა და ცხენოსანთაჲ არა თქუენდა და საჴურველთაჲ და მკედრობისაჲ და ჴალაქთა ძლიერთა მკონებელ ხართ. და ამისნი მოქმედნი ეძიებდით შურისგებასა მეუფისასა“. ხოლო ესე მიწერა, მიღებად მნებებელმან გამოცდილებასა საშარიტელთა გონებმასა. ხოლო წარმკითხველნი უკუე წერილთანი მთავარნი და ყრმათმყვანებელნი შეშინებულ იქმნნეს და გულისმსიტყველთა არცა ერთსა შეძლებად ამისსა მიმართ თქუმად, რომელმან ორთა დიდთა სძლო მეფეთა, ნაცვალ-უწერეს, აღმსაარებელთა მეუფედ ჴონებისა მისისათა და ქმნად, რომელიცა ბრძანოს. ხოლო მან მიწერა ამათ მიმართ, მბრძანებელმან, რაჲთა მორჩილ იყენენ მისა და რაჲთა ახავომს ყრმათა თავებსა მომკუთეთოთა წარავლინნენ მისა მიმართ. ხოლო მთავართა მოუწოდეს მზრდელნი ყრმათანი და უბრძანეს, მომაკუდინებელთა მათთა, დაჴრაჲ თათაჲ მათი და წარვლინებად იიუხს მიმართ. და მათ უკუე, ყოვლითურთ არა მრიდებელთა, იმოქმედეს ესე და შთასხნეს დათხზნილთა რომელთაჲჲ ჴურჴელთა შინა თავნი და წარავლინეს იეზრაელად. ხოლო მიიხუნეს რაჲ ესენი, მიითხრა იიუსს, მსჯერებულსა

<sup>1</sup> იოსუ სგან A. <sup>2</sup> მომაკუდინებელმან. <sup>3</sup> იოსუ A.

<sup>4</sup> IV მეფ. 9,30. <sup>5</sup> IV მეფ. 10,1.

ნოყუარეთა თანა. ვითარჲვე მიიხუნეს ახავომს შვილთა თანა. და ბრძანა წუ-  
ნაშე ბქსა, ორთავე კერძოთა, აღდგინებამ მათგან ბორცვსამ. ხოლო ქმნა რამ  
ღუღ, ნოწუნანსა თანა დღოსსა განვიღა ხილავდ. და მხილველმან იწყო ღიტიუელ  
მღვობარსა ერისა მიმართ, ვითარჲვე მან ვადრემე მეუფესა თვისა ზედა  
აღიქველრა და იგი მოაკედინა, ხოლო ესე ყოველნი არა მან მოსრნა. და მე-  
ცნიერებად და ახავომს ნათესვისათვის ეტყოდა, ვითარმედ ყოველნი წინაწარ-  
მეტყულებთაჲებრ ღმრთისა იქმნნეს და სახლი მისი, ვითარცა ილია წინაწარ-  
თქუა, წარწყმდა. და ამას თანა განხრწნა ისრაილიტთაჲ შორის პოვნილნი  
V ცხინოსანნი ახავომს ნათესვანგან და სამართად წარვიდა. ხოლო გზასა ზედა  
შეუწებთა ღაკუთართა ოხოზიამთა, იეროსოლვმელთა მეფისათა, და ჰკითხვიდა  
მათ, რამსათვის მოიწინეს. ხოლო იგინი ეტყოდეს მოსლვასა მოკითხვად იორა-  
მომს და მეფისა მათისა, ოხოზიამსა, რამეთუ არა უწყოდნეს იგინი მრჩობლ-  
ნივე მის მიერ მოკუდინებულად<sup>1</sup>. ხოლო იიუს დაპყრობილთაჲცა ამათი მოკუ-  
დინებამ<sup>2</sup> ბრძანა, მყოფთაჲ რიცხვთ ორმეოცდაორად.

6)\* და შეემთხვა მას შემდგომად ამათსა მამაკაცი კეთილი და მართალი,  
სახელით იონადავოს, ძუელ ოდესჲე მოყუარეჲმნილი მისდა, რომელმანცა,  
მომკითხველმან მისმან, იწყო ჴებად მისა და განხრახვისაებრ ღმრთისა ყოველ-  
თა მოქმედებისათვის და უჩინო-ქმნისათვის სახლსა ახავომსსა. ხოლო იიუს, აღ-  
სრულსა ეტლსა ზედა, შესლვად მის თანა სამართად ევედრებოდა, მეტყუელი  
ქმნებად მისა, ვითარ არცა ერისა ბოროტისა მრძებელ იქმნეს, არამედ და  
წინაწარმეტყუელნიცა და ცრუ-მღვლელები და შემაცთუნებელნი სიმრავლისანი  
საქნეს. ვითარ დიდისა ღმრთისა მსახურებასა დატევებად მაწავლელნი და  
უცხოთა თაყუანისცემად. ხოლო უმჯობეს არს სახილავთა და უტკბილეს მამა-  
კაცისა კეთილისა და მართლისა ტანჯვად ბოროტთაჲ. ამათი მრწმუნებელი  
იონადავოს, აღსრული ეტლსა ზედა, სამართად მიიწია და გამომეძიებელმან ყო-  
ველთა ახავომს ნათესავთამან იიუს მოაკედინნა. ხოლო მნებებელმან არცა  
ერთსა ცრუ წინაწარმეტყუელთაგან, არცა მღვლეთაგან ახავომს ღმერთთაჲსა  
განტოლვად სასჯელსა, მანქანებით და ზაკულებით იპყრნა იგინი ყოველნი,  
რამეთუ შემკრებელმან ერისამან თქუა, ვითარმედ „მეგულები ორ ნაწილად  
ქმნამ მღვლეთა და წინაწარმეტყუელთაჲ და ღირსთა მონათა მათთაჲ, რომე-  
ლთაჲ ახავომს შემოიღო თაყუანისცემად ღმერთთაჲ, რამეთუ მსხუერპლთა მრავ-  
ალთა პატიოსანთა და დიდთა მგულებობს აღსრულებამ ახავომს ღმერთთა  
მიმართ, ხოლო დაკულებული მღვლეთაგან სიყუდილად იკლვოს“.

და ღმერთსა უკუე ახავომსა ვაალ ეწოდებოდა. ხოლო განმაწესებელმან  
დღესა, რომელსა შინა იტყოდა ქმნასა მსხუერპლთაჲსა, წარავლინა ყოვლისა  
ისრაილიტთა სოფლისა მიმართ, მიმყვანებელნი ვაალის მღვლეთანი. და ბრძა-  
ნა იიუს<sup>3</sup> მიცემად შესამოსელსა ყოველთა მღვლეთათვის. და მიიღეს რამ, შე-  
სრულმან სახლად მოყუარისა იონადავომს თანა ბრძანა ვაჰოძიებამ, ნუსადა  
ვინ მათ შორის სახუა ნათესავი იყოს და უცხოჲ, რამეთუ „არა მნებავსო  
უცხოჲსა ყოფამ მღვლეთა მათთა თანა“. ხოლო მათ თქუეს რამ არცა ერთისა  
უცხოჲსა ყოფამ, იწყეს შეწირვად მსხუერპლთა და გარე-მოადგინნა მათ ოთხ-  
მეოცნი მამაკაცი რიცხვთ, რომელნი უწყოდნა სარწმუნოდ, აღკუტრვილთაგან,

<sup>1</sup> მოკუდინებულად AQ. <sup>2</sup> მოკედინებაჲ. <sup>3</sup> იოსუ A.

\* IV მეფ. 10,15; 10,19.

მბრძანებელმან მათდა მოწყუედალ ცრუ წინაწარმეტყუელთა და აწ შურისგებად მამულთა საქულთათჳს, აწვე მრავალსა ეამსა შეურაცხებნილთა და ამას თანა აქადა<sup>1</sup> ნაცვლად განტოლოვილთაჲსა სულეზსა მათსა მიღებაჲ. ხოლო მათ მამაკაცი ყოველნი მოსრნეს და სახლსა ვაალისსა დამწუველთა განწმედეს ესრეთ უცხოთა სჯულთაგან სამართაჲ.

ესე ვაალ ტვრელთა ღმერთი იყო. ხოლო ახავოს, სიმაგრისა ითოვალთა მომადლებად მნებებელმან. ტვრელთა და სიღონელთა მყოფისა, ტაძარი შეუმზადა მას სამართის შინა და წინაწარმეტყუელნი განუჩინნა და ყოველსა მახერებასა აღიარსა.

ხოლო უჩინო-იქმნა რაჲ ესე ღმერთი, ოქროჲსა დააკეულთა თაყუანისცემაჲ უბრძანა ისრაილიტთა იიუს. ესენი რაჲ იმოქმედნა და მზრუნველ იქმნნა დასაქაჲ უღმრთოთათჳს, ღმერთმან წინაწარმეტყუელისა მიერ წინაწარ-უთხრა მას ოთხთა ნათესავთაღმდეგ მეფობაჲ ყრმათა მისთაჲ ისრაილიტთა ზედა და იიუს ძლითნი ვიდრემე ამათ შინა იყვნეს.

თ. 7.

1)\* ხოლო ღოთოლია, ახავოს ასული, მსხენელი აღმარულებაჲ ძმისა იორამოჲსა და ყრმისა —ხოზიაჲსა და წარწყმედასა მეფეთა ნათესვისასა, მოსწრაფე იყო არცა ერთისა დატევებად დავიდის სახლისაგან, არამედ ყოველსა ნათესავსა უჩინო-ქმნად, რაჲთა არცა ერთი მიერთგან მეფე იქმნეს მისგან. და ესე ვიდრემე. ვითარ ჰკონებდა, იმოქმედა. ხოლო დამთა ძე ერთი ოხოზიაჲსი და ესეჯარითა სახითა განველტო აღსაარულსა: იყო ოხოზიაჲს მამით დაჲ, ოსავეთ სახელით. ამას თანა მკვდრი იყო მღდელთმთავარი იოღანის. ხოლო შესრულმან სამეფოდ და მოკუდინებულთჲ შორის იოასოჲს, რამეთუ ესრეთ ეწოდა ყრმასა, წლისა / ერთისასა, დაფარულად მპოვნელმან შზრდელსა თანა, მიმყვანებელმან მის თანა საუწყესა შინა სარეცელთასაჲ, დაფარულად აღზარდეს მან და მამაკაცმან მისმან, იოღანის, სამღდელთა შინა ექუთა წელთა, რომელთა შინა მეფობდა ღოთოლია იეროსოლუჲმათა ზედა და ორთა ნათესავთა.

163

2)\* ხოლო მემვდესა შინა, მეტყუელმან ზოგად ვიეტმე მიმართ იოღანის, ხუთთა რიცხვთ ასთმთავართა, და მარწმუნებელმან მათმან თანდადებად ღოთოლიაჲს მიმართ, კელყოფილთა, ხოლო მეფობასა ყრმისა დამტკიცებად, მიძლებელმან ფიცთამან, რომელთაგან უშიშობეჲთა თანაშემწეთა დაიმტკიცა, მიერთგან სიმკნე მიიღო ღოთოლიაჲს მიმართთა სასოებათათჳს. ხოლო მამაკაცი, რომელნი მღდელმან იოღანის მოზიარედ საქმისა მიიყვნნა, წარსრულნი ყოვლისა სოფლის მიმართ და მღდელთა და ლევიტელთა შეპყრებულნი და პირველთა ნათესავთასა, მიიწინეს იეროსოლუჲმად, მიმყვანებელნი მღდელთმთავრისა მიმართ. ხოლო მან სიმტკიცე მიიღო მათგან ფიცით, რაჲთა დაიცვან, რომელიცა რაჲვე ისწავონ მისგან გამოუთქუმელი, ღუმილისა ერთბამად და თანაშემწევისა მოქენე. ხოლო ვითარ სიმტკიცე იქმნა მფუცავთაჲ მისა მიმართ თქემად, მიმყვანებელმან რომელსა ზრდიდეს დავიდის ნათესავთაგან, იესე,

<sup>1</sup> აქა. <sup>2</sup> მოკედინებულთა. <sup>3</sup> სარულთასა.

\* IV მეფ. 11,1. II ნეშტ. 22,10. <sup>10</sup> IV მეფ. 11,4. II ნეშტ. 23,1—2. IV მეფ. 11,4. II ნეშტ. 23,3.

თქუა, თქუენდა მეფე სახლისა მისგან, რომლისაა უწყით ღმრთისა მიერ წინა-წარმეტყულებდაა ვიფობად თქუენ ზედა ვიდრე ყოველისა ეამისადმი. ხოლო განგაზრახებ მესამესა ნაწილსა თქუენსა დაცვად ამას სამღდელოსა შინა და მეოთხესა უკუე\* — სამცველოთა ყოველთა ზედა ტაძრისათა დაღვომად. ხოლო შემდგომი მისი მქონებელ იყავნ განდებულისა და სამეფოდ მიყვანებულისა ბჭისა დაცვასა და სხუაჲ სიძრავლე უსაქურველოჲ სამღდელოსა შინა იყავნ და ნუცა ერთსა აღქურვილსა უტეგებენ შესლვად, გარნა თუ მხოლოსა მღდელსა<sup>1</sup>. ხოლო განაწესა ამითა, რამთა კერძოჲ რომელიმე მღდელთაჲ და ლეიტენი იყვენნ გარემოჲს მეფისა, მახულითა აღმოწულილთა მცველნი მისნი, ხოლო მკადრე აღქურვილი შესლვად ტაძარსა შინა მოკუედონ მეყუსეულად, უშიშო იქმნენ დაღვომად სამცველოსა მეფისასა. და იგინი ვიდრემე, მრწმუნებელნი მათნი, რომელნი მღდელთმთავარმან განაზრახნა, საქმით განცხადებდეს მორჩილებასა. ხოლო იოდანის<sup>2</sup>, განმღებელმან საქურველო-სამცველომან ტაძარსა შინა, რომელი შემწხადა დავიდის, განუყო ასთმთავართა ერთბაჲად და მღდელთა და ლეიტელთა ყოველნი, რაოდენნი პოვნა მას შინა, პორაონი და კაბარკინი და სხუაჲცა, რომელი რაჲვე სახე საქურველისაჲ პოვა და აღქურვილნი დაადგენნა გარემოჲს ტაძრისა, შემბერთებელნი კელთა და უსრეთ აღზღუდეს შესავალი არა თაყუანისმცემელთათჳს. და მიმყვანებულთა ყრმისათა საშუვალ, დაადგეს უსრეთ გვრჯენი საქეფოჲ და მცხებელმან ზეთისამან იოდანის განაჩინა მეფედ. ხოლო სიმრავლე, მოხარული და მაქებელი, კმობდა.

3)<sup>1</sup>\* და ღოთოლია უკუე, ამბოხისა და ქებათა მსახენელი გარეშე სასოები-სა. აღშფოთებული<sup>2</sup> ფრიად გონებითა, თვისისა მკედრობისა თანა განრბიოდა სამეფოჲსაგან. და მიწმენული ტაძრად და იგი ვიდრეშე შეიწყნარეს მღდელთა, ხოლო შედგომილნი აღქურვილნი დააყენნეს შესლვად, ამას ბრძანებულთა მღდელთმთავარისა მიერ, გარემოჲს მღგომთა. ხოლო ღოთოლია, მხილველმან ყრმისამან მღგომარედ საყდარსა ზედა და სამეფოსა გვრჯენსა დამდგმულად, გარემომბარველმან და მძენვარედ კმამყოფელმან, მოკუდინებდა<sup>3</sup> ბრძანა ზედ-განწხრახველსა მისისა და მთავრობასა მიღებად მოსწრაფებად. ხოლო იოდანის, მომწოდებელმან ასთმთავართამან, უბრძანა მათ, წარმყვანებულთა ღოთო-ლისთა კევად ნაძოვანთა<sup>4</sup>, მოკუდინებდა<sup>3</sup>, რამეთუ არა ჭერ-არს შეგინებდა საპლდელოთაჲსაჲ, მუნ შეუკლიმებელთა მომაკუდინებულთაგან. ხოლო ბრძანა და უკუეთუ ვინმე შემწეთაგანი მივიდეს, მისიცა მოკუდინებდა<sup>3</sup>. მიმყვანებულთა უკუე ღოთოლიაჲსთა ბრძანებულთა მოკუდინებასა მისსა, მიიყვანეს იგი ქალაქად მეფისა ჭორთა და ცხენთაჲსა<sup>3</sup>. მუნ მოაკუდინეს იგი.

4)<sup>4</sup>\* ხოლო ვითარ ღოთოლიაჲს ძლით ამით სახითა იძლინეს, მიმწოდებელმან იოდანის ტაძრად ერსა და აღქურვილსა, აფუენა იგინი, რამთა კეთილ-

<sup>1</sup> იოდანის. <sup>2</sup> აღფოთებული AQ. <sup>3</sup> მოკუდინებაჲ.

\* *ἄφρα-ὶμ ἔμ εἰς εἰς-ἡν ἔμδω... εἰς ἔμ εἰς-ἡν... 9116 (= ჩარი სამ ნაწილად იყო დაყოლილ. „მეოთხესა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „მეორე მესამედ“). <sup>1</sup>\* IV მეფ. 11,13. II ნეშტ. 22,12. <sup>2</sup>\* *εἰς εἰς εἰς ἔμδω-ἡν εἰς Κεβ-ἡν 9151* (გოგარ. სახელი თარგმნილია). <sup>3</sup>\* *ἔμ εἰς εἰς εἰς ἔμδω-ἡν εἰς Κεβ-ἡν 9158* (= მეფის ქორების ბჭესთან. ქართულ თარგმანში აღიკუ-ნულია *ასწლ* და *პძლც*. ვარდა ამისა, დამატებულა „ცხენთაჲსა“, როგორც არის ბიბლიაში: „ბჭეთა მათ საცხენოსათა სახოსა მეთოსათა“ II ნეშტ. 23,15). S: ბჭედ ქალაქისად. D = AQ. <sup>4</sup>\* IV მეფ. 11,7. II ნეშტ. 23,16; 23,18.*

გონება იყვნენ მეფისა მიმართ და მოურნეობდენ ცხოვრებისა მისისა/თვის და მრავლადმი მთავრობისათვის. და შემდგომად ამისა აიძულა მეფესა სიმტიკიცი-  
 სა მიციქულად, რაათა პატრიარქის ღმერთსა და არა ვარდაპქედეს სჯულთა მოვსის-  
 თა და შემდგომად ამათსა, შემსარბოლთა სახლად ვაალისა, რომელი ღოთოლთა  
 და მამაკაცმან მისმან, იორაჰოს, შეკმზადა საგინებელად ვიდრედა მამულისა  
 ღმრთისა, ხოლო პატრიად ახაეოსსა, დაამქუეს და შაათან, რომელსა აქუნდა  
 მღვდელობაჲ მისი, მთავრდინეს. ხოლო მოურნებაჲ და მცველობაჲ ტაძრსაჲ  
 მღვდელთა და ლევიტელთა უბრძანა იოჯანის, განწესებისაებრ დაეადის მეფე-  
 სა. და უბრძანა მათ ორგზის ღღესა შინა მიღებაჲ განწესებულთა ყოვლად  
 დასაწუეველთა მსხუერპლთაჲ და ყუმეველ განწესებულთა სჯულთაებრ. ხოლო  
 განაჩინა ვიეთნიმე ლევიტელთაგან მეკარედ ტაძრისა დაცვისათჳს ძლით,  
 რაათა არაიენ შეგინებული შევიდოდის მიცილებით.

5)\* და თითოეულსა ამთგან განმაწესებელმან, ასთმთავართა თანა მთა-  
 ვართა და ყოვლისა ერისა სამღვდელთა მიმყუენებელმან წარიყვანა იოასოს  
 სამეფოდ და დასუეს რაჲ იგი სამეფოსა საყდარსა ზედა, აქებდა ყოველი სიმ-  
 რავლე და შუებისა მიმართ მიდრეკილნი მრავალთა დღეთა დღესასწაულობ-  
 დეს. და ქალაქმან ვიდრემე დაწყნარებაჲ მიიღო ღოთოლიას სიკუდილსა  
 ზედა.

ხოლო იყო იოასოჲს, რაჟამს მეფობაჲ მიიღო, წელთა შვდთაჲ და დედან  
 ვიდრემე იყო მისა სახელით ავია, ვირსავეეს ნათესვისაგან. ხოლო ფრიადი  
 იქმნა სჯულიერთა დაცვაჲ და პატივისმოყუარებაჲ ღმრთისმსახურებისათჳს  
 ყოველსა ჟამსა, რომელსა ცხოვრებდა იოჯანის. ხოლო ექორწინა და ცოლთაჲ-  
 ორთა, მიწუნული ჰასაკად, რომელნი მისცნა მღვდელთმთავარმან, რომელთა-  
 გან და ყრმანიჲ იქმნეს მისგან წულნი და ქალნი. იოასოჲს ვიდრემე ძლითნი,  
 რომელი ღოთოლიას ზედგანზრახვას განევლტოდა და მეფობაჲ მიიღო ამთ  
 მიერ, ცხად-ვეყენით.

თ. 8

1)1\* ხოლო აზაილოს, სურთა მეფემან, მბრძოლმან ისრაილიტთა და მე-  
 ფისა შათისა იიუს, განხრწნა წიად იორჯანისა სოფელნი რუვიმიტელთანი,  
 აღმოსავლეთით კერძო, და დადიტელთანი და მანაიტიტანი, ხოლო ამას თანა  
 დალაადიტიცა და გატანიჲ. და დაწუა ყოველი და მიიტაცა და მისრულთა  
 ზედა კვლად მისა იძულებასა შეამთხუევედა მათ, რომელნიცა წარავლინის იიუს  
 ბორბტისმყოფელისა მიმართ სოფელსა მისსა. არამედ საღმრთოთა მიმართ  
 აღზუავებულნი და შეურაცხისმყოფელი ღირსებისაჲ და სჯულთაჲ, მოკუდა,  
 მეფექმნილი ისრაილიტთა ზედა წელთა შვდთა და ოცთა. ხოლო დაეფლა  
 სამარისა შინა, დამტევებელი მონაცვალედ მთავრობისა მისისაჲ ძესა იოახა-  
 ზოსს.

2)2\* ხოლო იოასოს, მეფე იეროსოლჳმთაჲ, წადიერებამან რომელმანმე  
 იპყრა განახლებად ტაძრსა ღმრთისასა. და მოწჳოდებელმან მღვდელთმთავრი-

1 მამულისა. 2 აღზუავებულნი. 3 შეურაცხისმყოფელი QD.  
 \* IV მეფ. 11,19. II ნეშტ. 23,20. 1\* III მეფ. 10,32. IV მეფ. 10,35. 2\* IV მეფ. 12,4.  
 II ნეშტ. 24,4.

სა იოდანისმან, უბრძანა ყოვლთა სოფლისა მიმართ წარვლინებამ ლევიტელთა და მღვდელთაჲ, თხოვდ თითოეულთა თაფისაგან ნახევარ სიკლოსა ვეცხლიანასა ტაძრისა შემზადებისა და განახლებისათვის, ვინამთგან დაიქნა იორამოსს მიმართ და ლოთოლიას<sup>1</sup> და ყრმათა მისთა. ხოლო მღვდელთმთავარმან ესე ვიდრეჲ არა ქმნა, გულისკვისმყოფელჲან, ვითარმედ არავინ მისცეს ვეცხლი. და მესამესა უკუე და მეოცესა წელსა მეფობისაჲა მოუწოდა მას და ლევიტელთა მეფემან და აბრალებდა, ვითარ ურჩქმნილთა ბრძანებულთასა და ბრძანა, რამთა მიერითგან მოურნე იქმნენ შემზადებისათვის ტაძრისა. ხოლო მღვდელთმთავარმან სიბრძნე იყუმიანა შეკრებისათვის საკმართამაჲსა ესევითარი, რომელსა ზედა სიმრავლე მხიარულ იქმნა: შეშისაჲ შემზადა საუნჯე და ყოვლით კერძო დაკერძალა და კურელი ერთი განაღო მას ზედა. ამისა შემდგომად დამღვანელმან სამღვდელთა შინა, მახლობელად ვომონისა, უბრძანა თითოეულთა შთადებამ მას შინა, რაოდენსა მნებებელ იყოს, კურელისა მიერ, შემზადებისათვის ტაძრისა. ამას ზედა ყოველი ერთი მხიარულ იქმნა და ფრიადი ოქროჲ და ვეცხლი, პატივისმოყუარეობით მომღებელთა, შეკრიბეს და წარმოცალიერებდნან საუნჯესა თანადგომითა მეფისაჲთა, აღმრიცხველნი შეკრებულსა, თანად მწიგნობარი და მთავარი ჭურჭელთა-სამცველოთაჲ და შემდგომად მასვე ადგილსა დასდებდეს. და ამას იქმოდეს თითოეულსა დღესა. ხოლო ვითარ კმასაყოფელად / საგონებელ იყო სიმრავლე საკმართაჲ, წარავლინნეს მღვდელთმთავარმან იოდანის და მეფემან იოასოს, მომწოდებელნი სასყიდლოთ დადგინებულთანი ქვისმთელელთა და მაშენებელთანი და მერამეცა ძელინი დიდნი და კეთილისა ნიჭისანი მოიხუნეს. ხოლო შეიბზადა რამ ტაძარი, დაშთომილი ოქროჲ და ვეცხლი, არა მცირედი იყო, საწდეველთა მიმართ და ღვინის საამელთა და საბურველთა\* და ნეშტთა ჭურჭელთა მიმართ იყუმის და მსხურებლთა მიერ მრავალსახეთა ვომონსა განასუქებდეს დღითი-დღე და ესენი ვიდრეჲვე ჭეროვანსა მიეზთხუნეს მოსწრაფებასა, რაოდენსა ჟამსა ცხორებდა იოდანის.

31)\* ხოლო ვითარ აღსრულდა ესე წელთა ვიდრეჲმე ცხორებული და ცხოვრებული ასთა და ოცდაათთა, მართალ და კეთილქმნილი ყოველთა შინა, დაეფლა სამეფოთა ღარნაკთა შინა იეროსოლემას, რაჲეთჲ შიგო დავიდის ნათესავსა მეფობაჲ, მოამლოვრა მეფემან იოასოს მოურნეობაჲ ღმრთისა მიმართ. ხოლო განიხრწნნეს მის თანა და ბარველნიცა სიმრავლისანი, ვიდრელა უსჯულო-იქმნნეს მართალთა მიმართ და განწესებულნი სჯულნი მათ შორის შეურაცხ-იქმნნეს. ხოლო ღმერთმან, განრისხებულმან გარდაქცევასა ზედა მეფასა და სსუათასა, წარავლინა წინაწარმეტყუელნი, რამთა უწამონ მათ მოქმედებულთათვის და დააცხრვენ სიბოროტმა მათისაგან. ხოლო მათ ძლიერი ტრფილბამ და ბოროტი გულისთქუმაჲ ამისი აქუნდა, ვიდრელა არცა მათსა, რომელნი პირველ მათსა შეურაცხისმყოფელნი სჯულიერითა ყოვლით სახლითრთ ტანჯულნი მვნებელ-იქმნნეს, არცა მათ მიერ, რომელთა წინაწარმეტყუელნი ეტყოდეს, რწმუნებულთა შეინანეს და არცა გარდაიცვალნეს მათდა მიმართ, რომელთაგან უსჯულოქმნილნი ვიდრეკეს, არამედ და ზახარიასიცა, იოდანს მღვდელთმთავრისა ძიანა, ქვათა მიერ დაკრებულისაჲ, ბრძანა მეფემან

<sup>1</sup> ლოთოლია A.Q.D.

\* *κλωματα* 9<sub>188</sub> (= ფალა, თასი). 1<sup>o</sup> II ნეშტ. 24, 15.



მოკუდუნებაჲ საწლდელოსა შინა, არა მომკსენებელმან მამისა მისისა კეთილ-  
მოქმედებათამან, არამედ ღმერთმან ვინაჲთვან<sup>1</sup> წინაწარმეტყუელად განაჩინა  
იგი, დაღგომილი საშუვალსა შინა სინჯაღლისა განაზრახებდა მას და თანად  
მეფესა ჭეროვანთა მოქმედებად და წინაწარ-ეტყოდა მათ, ვითარმედ სასჯელი  
დიდი მისცენ, არა მრწმუნებელთა. ხოლო ზახარია, აღსარულებადი, მოწამე და  
მსჯელ ჰყოფდა ღმერთსა მათთვის, რომელნი ევნებოდის, ნაცვლად კეთილისა  
განზრახვისა და ნაცვლად მათთვის, რომელნი მამამან მისმან მიანიჭნა იოასოს,  
მწარედ და ოძულებით წარწყმედილმან.

4)\* მისცა ვიდრემე უკუე მეფემან არა მიჰყოვრებულად მსჯავრი მათთვის,  
რომელნი იუსჯულოვნა, რამეთუ აზილოს, სკრთა მეფემან, მიწვეულმან ქუე-  
ყანასა მისსა და გიტტისა დამანკობელმან, განფხურა და აღიშვედრა მის ზედა  
იეროსოლჳმად. ხოლო იოას, შეშინებულმან, დამაცალიერებელმან ყოველ-  
თა საუნჯეთა ღმრთისათა და ჰეფეთასა და შესაწირავთა შთამომღებელმან,  
წარუდგინა სკრთა, ამით მოჰვაკრებელმან, რაჲთა არა მოიოკროს, არცა და-  
წირვებულ იქნეს ყოველთათვის. ხოლო მან, რწმუნებულმან გარდამატებულე-  
ბისათვის საკმართაჲსა, არა მიიყვანა მკედრობაჲ იეროსოლჳმათა ზედა. სუნა  
ვიდრე ბოოოტსა შთავრდომილი იოასის ზედადასხმითა მისდა მოყუარუთაჲთა,  
რომელნი მსჯელ იყვნეს სიკუდილსა ზახარიაჲს, იოადანის ყრბისასა, ზედ-განი-  
ზრახეს მეფისა და განიხრწნა მათ მიერ. და დაეფლა ვიდრემე იეროსოლჳმათა  
შინა, ხოლო არა ღარანჯსა შინა მშობელთასა, უსჯულმოქმნილი. ცხონდა ვიდ-  
რემე უკუე წელთა შვდთა და ორჰეოცთა და მეფობაჲ მისი მიითულა ყრბა-  
მან ამასია.

5)\* ხოლო მეოცესა და პირველსა წელსა იოასოს მეფობისასა მიითულა  
მთავრობაჲ ისრაილიტთაჲ იოაზას, იოჲს ოემან, საზარიაჲ შინა. და დაიპყრა  
იგი წელთა შვდთა და ათთა, მამისა ვიდრემე არცა ესე მიმსგავსებულ იქნა,  
უსჯულმოქმნილი, ვითარ და პირველნიცა ღმრთისა შეურაცხისყოფელნი.  
ხოლო დაამდაბლა იგი და მოამდღორა ესოღენისა ძალდაგან სკრთა მეფემან  
ბევრეულთა მხოლოდ აღკუტრვილთა და ორმეოცდაათთა მკედართა. და აღმკე-  
დრებულმან მის ზედა ქალაქნი დიდნი და მრავალნი მიუხუნა მას და მკედრო-  
ბაჲ მისი განხრწნა. ხოლო ესე ევნო ისრაილიტთა მეფესა ელისსეოჲს წინა-  
წარმეტყუელებისაებრ, რაჲმს აზილოს წინაწარ-უთხრა მეფობაჲ სკრთა და  
დამასყოელთა, მომაცუდინებელსა მეუფისასა.

ხოლო იყო რაჲ ამათ უღონოთა ბოოოტთა შინა, იოაზის მიივლტოდა  
მოქმენობად და გუდრებად ღმრთისა წანად. აზილოს კელთაგან, მკედრე-  
ბელი და რაჲთა არა უგულუბელს-ყოს მის მიერ ქმნილი. ხოლო ღმერთმან, სი-  
ნანულსაცა ვითარ სათნოებასა მიმთუალველმან და მნებებელმან გასწავლად  
უფროსდა შემძლებელთა და არა სრულიად წარწყმედად, მისცა მას ბრძო-  
ლისა და ჰირთაგან მოკაღებაჲ. ხოლო მშვდობაჲ რაჲ მიიღო სოფელმან, კუა-  
ლად აღისრბო პირველისა წესიერებისა მიმართ და ნაყოფიერ იქნა.

<sup>1</sup> ვნთგნ/4ლ<sup>6</sup> A. = მომაცდინებელსა.

\* IV-მეფ. 12,17. II ნეშტ. 24,23. IV მეფ. 12,20. II ნეშტ. 24,25. 1\* IV მეფ. 13,1.

6)\* და შევდგომად უკუე იოანას აღსრულებისა მიითულა მისგან მთავრობა იოანს. აწლა მემუდესა და ოცდამეათესა წელსა იოანას მეფობისადა იუდაეს ნათესავსა ზედა, მიიღო მთავრობა ამან იოანს ისრაილიტთა საპარიას, შინა, და რამეთუ აჰასცა იგივე სახელისდებამა აქუნდა იეროსოლემთა მეფისაჲ, და იყრა იგი წელთა შინა ათექუსმეტთა. ხოლო კეთილ იყო და არა მსგავსი მამისაჲ ბუნებით.

და მას უკუე ქაშა, ვინამთგან ელისსეოს წინაწარმეტყუელი, სიბერესა შინა მყოფი, სენსა შთაფრდა, მივიდა ისრაილიტთა მეფე მისა მძიმართ მოხილვად. ხოლო მპოვნელმან მისმან უკუნანასკნელთა შინა მყოფად, ტირილად იწყო, ხედვიდა რაჲ იგი და თანად ევედრებოდა და მასად უწოდდა და საჭურველად, რამეთუ მის ძლით არასადა საჭურველ იყენეს საჭურველნი მტერთა მძიმართ, არამედ წინაწარმეტყუელებთა მიერ მისთა უბრძოლელად საძლეველ იყენიან მტერნი. „ხოლო აწ ვიდრემე წარხუალ ცხორებისაგან და დამიტევებ აღჭურვილთა სურთა ზედა და მათ მიერთა ბრძოლათა. არცა ვიდრემე ჩემთა ამიერითგან მტერიე არს ცხორებამ“, ეტყოდა, არამედ კეთილად<sup>1</sup> საგონებელ არს<sup>2</sup> მის თანა განსლვამ ცხორებისაგან და წარსლვამ. ამათსა მგონებელსა მეფესა ნტეგშინისსაცემდა ელისსეოს და მშვლდა მოღებულსა უბრძანა მას მოზიღვამ. ესეუ რამ ქმნა მეფემან, მშვლდა მოღებულმან კელთა. მისთაგან უბრძანა განტევებამ. ხოლო საშნი რამ ისარნი განუტევენა, ამისა შევდგომად განასუენებდა. „უკუეთუმცა, თქუა, უმრავლესნი განგეტევენეს, ძირითურთმცა აღმოგეფხურა სურთა მეფობამ. ხოლო ვინამთგან საშნი მხოლოდ კა-იყენენ, ესოდენთა ბრძოლათა შინა ძძლო მბრძოლმან სურთაშან, რამთა აღგილი, რომელი მიილეს მამისა შინისაგან, უკუ-მოალო“. და მეფე<sup>3</sup> ვიდრემე, ამათი მსმენლო, წარვიდა. ხოლო შემდგომად არა მრავლისა და წინაწარმეტყუელიცა მოკუდა, მამაკაცი განთქუმული<sup>4</sup> სიმართლესა შინა და ცხადად სასწრაფოქმნილი<sup>5</sup> ღმრთისა მიერ, რამეთუ საკვრეელნი და დიდებულნი საქმენი წინაწარმეტყუელისა მიერ არუენნა და კსენებამა ბრწყინვალისა ევრავლთა შორის ღირსქმნილნი. მიემთხვა და დაფლესაცა დიდ-მუენიერსა და ვითარსა მუნამსგავს იყო მიმთხუევედ ესევითარი ღმრთის-მოყუარე. ხოლო შეემთხვა მამინ განცხოველებამ ავანაკთა მძიმართ შთადებულსა საფლავსა შინა ელისსეოსსა, რომელსა მოპაჟუდინებელ იყენეს.

და ელისსეოსს ძლითნი ვიდრემე წინაწარმეტყუელისანი, რაოდენნი ცოცხალმან წინაწარ-თქუნა და ვითარმედ შემდგომად აღსრულებისა მერმეცა ძალი აქუნდა საღმრთოჲ, ცხად-ვყვენით.

7)<sup>2</sup>\* ხოლო აღსრულდა რამ სურთა მეფე აზაილოს, ადაამს მიერ, ძისა მისისა მიიწია მეფობამ, რომლისა მძიმართ შეაწყო ბრძოლამ იოანს, ისრაილიტთა მეფემან. და სამთა ბრძოლათა შინა მძლეველმან მისმან, მიუღო სოფელი ყოველი და რაოდენნი მამამან მისმან აზაილოს ჭალაქნი და დაბანი ისრაილიტთა სამეფოსაგან მიიხუნა. ესე ვიდრემე ელისსეოს წინაწარმეტყუელებისაებრ იქმნა. ხოლო ვინამთგან შეემთხვა და იოანოსცა მოკუდინებამ, იგი ვიდრემე

<sup>1</sup> კეთილად—QS. D=A. <sup>2</sup> არს+საქონებელ არს. <sup>3</sup> მე AQ, მერმე S. <sup>4</sup> განთქუმული.

\* IV მეფ. 13,9; 13,14; 13,20. <sup>1</sup> მოითმამეც 9,122 (=1) აჩქარება 2) ზრუნვა. ამ კონტექსტში იგულისხმება მეორე მნიშვნელობა) \* IV მეფ. 13,24.

სამარიაჲ შინა დავაჲლა, ხოლო მთავრობამ შთავიდა ძისა მისჲსა იერომოქალ-  
მი.

07. 9

1)\* მეორესა უკუე წელსა იოასომს მეფობისასა ისრაილიტათაჲსა, მეფე  
იქმნა აჲსიაჲ იუდაჲს ნათესვისა იეროსოლჲმათა შინა, დედრაგან მყოფი იო-  
დინასი<sup>1</sup> სახელით, ნათესავით პოლიტიდისა<sup>2</sup>. ხოლო საკერველად მოურნე  
იყო მართლმად და აჲსა თანა ჳაბუჲჲდ მყოფი. და მიწე/ვნულმან უკუე საქჲეთა  
ზედა და მთავრობაჲსა, აგრძნა ჳეროვნად პირველად შურსებებაჲ მამისა იო-  
ასოჲსათჲს და ჳედდასმულთა მისდა მოყუარეთა სჲჲა. და ამათმან ვიდრე  
მჲყრობელმან ყოველნი მოაჲუდინნა, ხოლო ყრმათა მათთა არცა ერთი ბორო-  
ტი უყო<sup>3</sup>, მოჲმედმან მოკისს სჲჲულთა განწესებისაებრ და არა საჲა მამათა  
ცოდვისათჲს ტანჯვამ შვილთაჲ. აჲსა შემდგომად შეკრიბა მკედრობამ, ჳასა-  
ჲსა შინა მყოფთაჲ ოციით წლითგანთაჲ, იუდაჲს და ვენიამი<sup>4</sup>თაჲს ნათესავისა-  
გან. და შემკრებელმან ვითარ ოკდაათთა ბევრთაჲს, ამათნი ვიდრეჲჲჲჲჲჲჲჲჲჲ  
ვაჲრნი განაჲინნა, ხოლო წარმავლინებელმან ისრაილიტთა მეფნაჲ მიმართ,  
იოხოვანა მისგან სასყიდლით ათნი ბევრნი აღჲჲურვილთანი ასითა ტალანტითა  
ვეცხლსათაჲ, რამეთუ საჲა აღმკედრებაჲ ნათესავთა ჳედა ამალიკაჲთა და  
იდუშელთა და რავალიტათაჲ. ხოლო განემზადა რამ აღმკედრებისა მიმართ და  
ეგულეობდა განსლვამ, განაზრახა წინაწარმეტყუელმან განტევებაჲ ისრაილიტ-  
თა მკედრობისაჲ, რამეთუ უსახურ არს და წინაწარჲჲ აუწყებს ღმერთისა ძღე-  
ულებასა, მკუჲმეველსა მათსა თანაშემწედ, ხოლო სძლოს<sup>5</sup> მბრძოლთა და მცი-  
რეთაცა მერ მღუწელმან მათდა მიმართ სათნო-ყოფითა ღმერთისაჲთა. და ვი-  
ნამთგან უკუე მკმუნვარჲ იყო მეფე, რამეთუ ესწრო<sup>6</sup> სასყიდელსა მიცეჲად ის-  
რაილიტთა, განაზრახებდა წინაწარმეტყუელი ჲმნად, რომელიცა ღმერთმან  
სათნო-იყოს, ხოლო საჲმარნი ჳინ მიერ ეჲმნნეს მას. და იგინი ვიდრეჲჲჲჲ  
განუ-  
ტევნა, სასყიდლისა მინიკებლად მტყუელმან, ხოლო იგი თჲსისა ძალისა თანა  
წინათჲჲმულთა ნათესავთა ჳედა განემკედრა. და მძღვეელმან მათმან ბრძოლა-  
სა შინა, ბევრეულნი ვიდრეჲჲჲ მოაჲუდინნა და ესოდენნი ცოცხალნი მიიყვანნა,  
რომელნიცა, დიდსა კლდეჲა ჳედა აღჲყვანებელმან, რომელი არს არავიამს  
შინა, მიერ შთაყარნა. ხოლო ჳიდილ ნატყუენავი მრავალი და სიმდიდრე უშურ-  
ველი ნათესავთაგან.

და ამჲსია უკუე რამ ამათ შინა იყო, ისრაილიტთაგან რომელნი განუტევ-  
ნა სასყიდლით დარღვინებულნი, განარისხებულნი ამას ჳედა და გინებად<sup>7</sup> შე-  
მრაცხელნი განტევებისანი, რამეთუ არამცა უსე შემთხუელ იყო, უკუეთუმცა  
არა შეურაცჲჲჲჲჲჲ იყვნეს, მიივიდა მეფობისა მისისა ჳედა და ვიდრე ვითსე-  
მიროთაღმდეგ წარსრულთა, განფხურეს სოფელი და მრავალნი მიიყვანნეს  
ულეუელნი და სამ ათასნი მამაკაცნი მოაჲუდინნეს<sup>8</sup>.

<sup>1</sup> იაზინის A.Q.D. I 2407 9 100. I 2410. Lat. იოადმ IV მეფ. 14,2. <sup>2</sup> ბოროტი იყო A.Q.D.  
<sup>3</sup> სძლოს A.Q.D. <sup>4</sup> ესწრო A.Q. <sup>5</sup> დგინებად. <sup>6</sup> მოაჲყდინნეს.  
<sup>7</sup> IV მეფ. 14,1. II ნესტ. 25,1; 25,5. <sup>8</sup> *αποβλεπων εις τα γυμνασια 9100 (აწარმოშო-  
ბით ამ ქალაქიდან).*

2)\* ზოლო ამასია, ძლევათა და წარმართებათა ზედა აღზევაებულმან, ამათსა ვიდრემე მიზეზ მოსდა ქმნილისა ღმრთისა შეერაცხებად იწყო, ზოლო რომელნი ანალიკიტთა სოვლისაგან მოიყვანნა, ამათ პატივსაცემდა. და წინაწარმეტყუელმან უკუე. წარსრულმან მისა მიმართ, პრქუა, ვითარმედ: „საკვრველ უკუეთუ ამათ შეპრაცხავ ღმრთად, რომელნი თვისთა არა სარგებელ ექნნეს, რომელთა მიერ პატივი-იციემბოდეს, არცა იქნნეს კელთა მათთაგან, არამედ უგულუბილს-ყვანეს ივინი, მრავლად წარწყმედულნი. და თვთ ივინი ტყვე იქმნნეს, რამეთუ მოყვანებულ იქმნნეს იეროსოლუმად ესრე სახედ, ვითათა ვინ მბრძოლთაგანნი მიიყვანნის მომნადირებელმან“. ზოლო მეფე ამით რისხვად აღძრა და უბრძანა წინაწარმეტყუელსა დაწყნარებულსა ქონებად, მაქადვალსა ტანჯვასა მისდა, რამეთუ შაიძულებელ იყოთ. და მან ვიდრემე დადებებამ თქუა, ზოლო არა უგულუბელსყოფასა ეტყოდა ღმრთისა მიერ, რომელთა, განქმბუეხული, კელ-პყოფს. და ამასთა უკუე, არა შემძლებელმან პყრობასა თავისა თქასასა კეთილმოქმედებათა ზედა, რომელთა ღმრთისაგან მიმღებელი მაგინებელ იყო მისა მიმართ, არამედ აღზევაებულმან მიწერა იოასოასა, ორაილიტთა მეფისა, მბრძანებელმან მორჩილებად მძრდა ყოვლისა ერისა თანა. ვითარ და პირველადცა ფრჩედეს მამათა მისთა, დავიდის და სალომონს. ზოლო უკუეთუ არა ინებოს კეთილგონიერებით, იუწყოდუნ ბრძოლით მთადრობისათეს მონაჯულობამ და იოასოს უკუე ნაცვლად მიუწერნა ესენა:

„მეფე იოასოს მეფესა ამასიას: იყო ლევიანოს მთასა შინა კვპარისსოამ ყოვლად დიდი და ეკალი. ამან წარავლინა კვპარისსოამს<sup>2</sup> მიმართ, დამწინდებელმან ასულასა მისისამან ქორწინებად ყრმისა მისისა. ზოლო შემდგომად ამათსა მეტყუელებდა რამ, მკეცმან რომელმანმე, თანაწარმავალმან, დათრგუნა ეკალი. ესე უკუე იყავნ შენდა იგავ, რამათ არა უზეშთავისთა გულისმთქმელ იყო და/ არცა რამეთუ ანალიკიტთა ბრძოლასა მიმთხუეულ იქმენ, ამან ზედა აღზევაებულ იყო, რამათ არა მიიხუეკენ თავისა თვისსა და მეფობასა შენსა ფრხილულობანი“.

3)\* ამითი წარკითხველი ამასია მერმეცა უფროს აღძრა მკედრობისა მიმართ, ვინამთგან ღმერთმან აღძრა იგი, ვითარ ვკვონებ, ამისა მიმართ, რამათა უსჯულოებათა ძლით მისა მიმართთასაცელი მიიღოს. ზოლო ვითარ განვიდა ძალისა მიმართ თანა იოასოამს ზედა და განწყობამ ეგულებოდა ბრძოლისამ, მკედრობამ ამასიამისი, შიშისა მიერ და განკროთპისა ანასადამთისა, ვითარსა ღმერთი, განრისხებული, მიუვლენს, ლტოლვად მიდრკა და პირველ კელთა მიმართ შიკლუდაცა. ზოლო თბინეს რამ შიშისა მათისა, განმარტოებულსა. ამასიას პყრობამ შეემთხვა მბრძოლთა მიერ ტყუედ. და აქადა მას სიკვდილი, უკუეთუ არა არწმუნოს იეროსოლუმელთა, ჟანმღებელთა მისდა ბკუეთასა, შეწყნარება მისი მკედრობასა თანა ქალაქად. და ამასიას ვიდრემე, იძულებინა მიერ და შიშისა ცხოვრებისათეს, ქმნა შეწყნარებამ მბრძოლსამ. ზოლო იგი, განმკუთხელი რომელსამე ზღუდისაგან ვითარ ოთხასთა წყრათათა, ეტლითა შევიდა განკუეთილსა მიერ იეროსოლუმად, ტყუედ მიმყვანებელი ამასიამისი.

<sup>1</sup> მიმართ/+თქუა AQD. <sup>2</sup> კვპარისსოამს AQ.

\* II ნეშტ. 24,14. IV ნეშტ. 14,8. II ნეშტ. 25,17. <sup>1\*</sup> IV ნეშტ. 14,11. II ნეშტ. 25,20. IV ნეშტ. 14,17. II ნეშტ. 25,25.

და ამით სახითა უფალქმნილმან იეროსოლჳმათამან თანად საუნჯენი ღმრთისა-  
ნი მიიხუნა და რაოდენი იყო ამასიამა ოქროს და ვეცხლი სამეფოთა შინა,  
წარმოაცალერა. და ესრეთ განმტევებელი მისი ტყუეობისაგან, წარვიდა სა-  
მარად. ხოლო ესენი იყვნეს იეროსოლჳმელთა წელსა მეთხენსა და მეთათსა  
ამასიამს მეფობისასა, რომელიცა, შემდგომად ამათსა ზედგანზრახული მოყუ-  
არეთაგან, განივლტოდა ვიდრეჲ ლაქისა ქალაქად. ხოლო მოიკლა ზედგანზრ-  
ახველთაგან, წარმაგლანებელთა მუნ მომაკუდინებელთა მისათსა. და სხეუ-  
ლისა ვიდრეჲ მისისა მომღებელთა იეროსოლჳმად, მეფობრივ დაპმარხეს.  
ხოლო დაქცეა ესრეთ ამასია ცხორებაჲ განჭაბუკებისათეს, ღმრთისა მამარ-  
თისა შეურაცხისყოფასა<sup>1</sup>, ცხოვნებული ვიდრეჲმ წელთა ოთხთა და ორმე-  
ოცთა და ათთაჲ, ხოლო მმეფობი ცხრათა და ოცთა და ემონაცვალა მას  
ყრმაჲ, ოხია სახელით.

07. 10

1)\* ხოლო მეხუთესა და მეთათსა წელსა ამასიამს მეფობისასა მეფე იქნა  
ისრაილიტთა ზედა ძე იოანოხსი, იეროვოამოს, სამარისა შინა წელთა ორმოც-  
თა. ესე მეფე ღმრთისა მამართ ვიდრეჲმე მაგინებელ და უსჯულო იქნა ფრად,  
ხოლო ევრთა პატივისცემელი და მრავალთა უმუერთა და უცხოთა საქმეთა  
კელმყოფელი, ბევრელთა ბოროტთა მიზეზ ექმნა ისრაილიტთა.

ამას უწინაწარმეტყუელა იონას ენმე, ვითარმედ ჭერ-არს მისა, სურთა  
მბრძოლისა, დაყრობაჲ ძალისა მათისაჲ და ვრცელყოფაჲ მეფობისა მისისაჲ  
არკტომასა კერძოთათჲ<sup>2</sup> ვიდრეჲმე ამათომასა ქალაქადმდე, ხოლო სამხრითგან  
ვიდრე ამფალტიდისა ტბადმდე, რამეთუ დასაბამად საზღვარნი ხანანეამსნი  
იყვნეს ესენი, ვითარცა მკედართმთავარმან იისუს გარე-შენახლვრა. აღმკედ-  
რებულმან უკუე სურთა ზედა იეროვოამოს დაამკუა ყოველი ქუეყანაჲ მათი,  
ვითარცა იწინაწარმეტყუელა იონას.

2)\*<sup>2</sup> ხოლო საჭიროდ შეეპრაცხე წარმოთქუმაჲ, ქემმარცუბასა საქმეთასაჲ  
გარდამოცემად აღმთქუმელმან, რაოდენნი და ამის წინაწარმეტყუელისათეს  
ეპოვენ ევრატელბრთა წიგნთა შინა აღწერილინი.

რამეთუ ესე ბრძანებელი ღმრთისა მიერ წარსლვად სამეფომასა ნინეომასა-  
სა და ქადაგებად, მიიწიოს რაჲ ქალაქსა მას შინა, ვითარმედ წარწყმიდოს  
მთავრობაჲ, შეშინებული არა წარვიდა, არამედ განევლტო უმერთსა იოპნი  
ქალაქად და ნავსა მკოვნილი და შთასრული, ტარსოდ კილიკიასა აღკურვიდა.  
ხოლო ვინაჲთჲან მოიწია ზამთარი ფიცხელი და კირვეულობაჲ დანთქმასა  
ნავი, მონავენი ენმე და მმართებელი და თუ უფალი ნავისაჲ ლოცვათა  
ჰყოფდეს სამადლობელთა, უკუეთუ განევლტვნენ ზღუასა. ხოლო იონას, დამ-  
თარველი თავისა თვისასა, მდებარე იყო, არცა ერთითა მიმსგავსებელი სხუა-  
თაჲ, რომელთა მოკმედაჲ ზღვიდა. ხოლო ვინაჲთჲან მერმეცა უფროს/და  
აღორძინდებოდა ლელუაჲ და უმძნევარეს იქმნებოდა ქართა მიერ ზღუაჲ,  
გულისქმისყოფელთა, ვითარმედ ჭერ-არს რომლისაჲმ მათ თანა მყოფაჲაჲ-

<sup>1</sup> მომაკუდინებელთა. <sup>2</sup> შეურაცხყოფა A. <sup>3</sup> საქმეთასა/წარმოთქუმაჲ AQ. <sup>4</sup> შეგინებუ-  
ლი. ბ: 1065 920.

<sup>5</sup> IV მეფ. 14,23. <sup>6</sup> τῆς ἀρχῆς 9208 (=ჩრდილოეთით). <sup>7</sup> ὄνα 1,2.

ნისად მიზეზ მათდა ზამთრის-ყოფად, განიზრახეს წილის გლეზით ამისი სწავლად, რომელიცა სადაო იყოს. წილ-იგდეს რად უკუე, ხუდა წინაწარმეტყუელა. ხოლო იგინი კითხვიდეს რად, ვითარმედ სადადთ არს და რაჲსა მოქმედ არს. ნათესავით ვიდრემე ევრაველთად ყოფასა იტყოდა, ხოლო წინაწარმეტყუელად დიდისა ღმრთისა. განზრახებდა უკუე მათ, უკუეთუ მნებებელ არიან ცანტლოლვად წარმოდგომილისა ქირისაგან, შთაგდებასა მისსა სიღრპვესა შინა, რამეთუ მიზეზ ზამთრისა არს მათდა. ხოლო იგინი პირველად ვიდრემე არა მკადრე იყენეს, უსკულოებად მსკელნი უტხოშა კაცისა და ცხორებასა მათდა მრწმუნებელისასა ესრეთ უხად წარსაწყმედელად შთაგდებასა მათსა მიერ. ხოლო დასასრულად, ზესთ მაიძულებელიობითა ბოროტისადათა და ვითარ ესრეთ-ცა<sup>1</sup> მგულებელიობითა ნავისადათა დანთქმად და თანად წინაწარმეტყუელისა მიერ აღძრულთა და შიშისა მიერ ცხორებისა მათისათვის, შთაგდეს იგი ზღუად და ზამთარი ვიდრემე დაწყნარებულ იქმნა. ხოლო ამისთვის სიტყუად არს ვე-შაპისა მიერ შთანთქმად სამთა დღეთა და ესოდენტავე ღამეთა და ევქსინოსს პონტოდმი განდღებად ცეცხლისად და არცა ერთსა მხელელისაგან ვნებულისა, სადა, მვედრებელი ღმრთისად შენდობასა მინიჭებად მისდა ნაციოდებ-თათვის, წარვიდა წინეთას ქალაქად და მდგომარეჲმან სასმენელად ქალაქად, ვითარ ფრად შემდგომად მცირედისა ეამისა დაუტეონ მთავრობად. და ამათი მათწყებელი უკუე-იქცა. ხოლო წარმოვთქვ მოთხრობისა მისისა ძლით, ვითარ ემოვე აღწერილად.

3) ხოლო იეროვამოს მეფე, ყოველსა თანა კეთილბედნიერობისა მქცე-ვი ცხორებასა შინა და მმთავრობი წელთა ორპოცეთა, აღსრულდა და დაეფ-ლი სამარიას შინა, ხოლო მიითუალა მეფობად მისი ძემან ზახარია. და ამითვე სახითაცა ოზიაცა, აპასიაღისი ძე, აწლა მეფობასა ჰეროდესსა წელსა ათთა თანა იეროვამოსს მეფობისათა მეფე იქმნა იეროსოლქმათა შინა ორთა ნათესავ-თა ზუდა, დიდისა ვიდრემე სახელით აქიალასგან მყოფი და ნათესავით ასტი-სა<sup>2</sup>. ხოლო სახიერა იყო და კეთილი ბუნებით, დიდ-გონებად და მოურნეობად საქმეთათვის შრომისმოყუარე. და აღმკვდრებულმან პალესტინელთა ზუდა და მალეველმან ქალაქსა შინა, ქალაქნი მათნი მიიხუნა ძლიერებით, გიტტად და იამნია, და დაამკუნა ზღუდენი მათნი. ხოლო შემდგომად ამის მკედრო-ბისა მიიწია მახლობელთა ზუდა ეგვიპტისათა არავთა და ქალაქსა აღმაშენებელ-მან მქწაჲლასა ზღუასა ზუდა, დაადგინნა მას შინა მკეველნი. და ამისა შემდგო-მად. ამმანიტელთა დამამკობელმან და ხარკთა აღსრულებად განმასაზღვრე-ბელმან მათდა და ყოველთა ვიდრე ეგვიპტისა საზღვართამდე მკყრობელმან, მიერიოთან იეროსოლქმათა ზედმოურნეობასა იწყო ქმნად, რამეთუ რაოდენნი ზღუდეთაგან ეამისა მფერ დაცემულ იყენეს, გინათუ უგლუებელს-ყოფისაგან პირველ მისსა მყოფთა მეფეთასსა, ესენი აღაშენნა და შეჰპზაღნა. და თანად რაოდენნი რყენეს დამკობელი მფერისა მიერ ისრაილიტთასა, ესენი აღაშენნა და შეჰპზაღნა, რაჲმს მამისა მისისა აპასიად ტყუემიმეყენებელი შევიდა ქა-ლაქად. ხოლო ამას თანა აღაშენნა ვოდოლნიცა მრავალნი, ორმოცოდნათა

<sup>1</sup> სადავე AQS.

<sup>2</sup> IV მეფ. 14, 29. 15, 1. II ნებტ. 26, 1; 26, 8. <sup>3</sup> ძვენი ძე - ო ყვირ 9, 10 (ი ძვენი) = მო-ქალაქი).

<sup>4</sup> ურუმენობად საგონებელ ხარ ამათვის, იოსობე.

წყრათათა და ათასნი\*, და სამცველონი აღაშენნა უდაბურთა ადგალთა შინა და მრავალნი ჭურღუმულნი აღმოჰკაფნა წყალთანი. ხოლო იყო ამისა და კარაულთაცა სხუთთა პირუტყუთა<sup>1</sup> ატრაცხელი სიმზავლე, რამეთუ კეთილადმომატუნებელ იყო ადგილი იგი საზრდელთა.

და მუშაებრივად მყოფი ფრად მოურნე იყო ქუეყანისა, ნერგთა მიერ და მრავალსახეთა თესლთა / შემავსებელი მძიხი. ხოლო მკედრობამ რჩეული აქუნდა გარემომას მისსა ბუერთა შუდთა და ოკუდათთამ, რომლისა იყვნეს მთავარნი წესთმთავარნი და ათასთმთავარნი, მკენნი და ძალითა მოუთმენელნი, რიცხვთ ორ ათასნი. ხოლო განაწესა მწყობრად ყოველი მკედრობამ და აღკურა, მახვლსა მიმცემელმან თითოეულისა და ფართა და ჯაქუთა<sup>2</sup> რგალისათა და მშვლდთა და შურდულთა. და ამით თანა მანქანებანი მრავალნი მოოქრებისა მიმართ შეჰმზადნა, ქვეთსასროლნი და პოროლნი და პოროლთსატყორცნი და აღსატაცებელნი და რაოდენნი მსგავსნი ამათნი.

4)1\* ხოლო იქნა რამ ამას განაწესებასა და შემზადებასა შინა, განიხრწნა ვონებითა ზუაობისა მიერ და მომდოვრებულმან სიძლიერისა მიერ უკუღავი და ყოვლისა ეამისა მიმართ კმაყოფიელი ძალი შეურაცხ-ყო, ხოლო ესე არს ღმრთისა მიმართ კეთილმსახურებამ და დაცვამ საულოიერთამ. დღეცა უკუე კეთილბედნიერობისა მიერ და შთავარდა მამისა ცოდვითა მიმართ, რომელთა მიმართ მიიყვანა იგიცა ბრწყინვალეზამან კეთილთამან, არა შემძლებელი კეთილად წინადადგონისა მათისამ. ხოლო ვინაჲთგან წარმოდგა დღე საჩინომ და ყოველი საერომა აღდგასაწაულთა მკონებელი, შემოქალაქი საძლეულომსა შესამოსლისამ შევიდა ტაძრად ღმრთისა, ოქრომსა ვომონსა ზედა. ხოლო აზარი, მღდელთმთავრად მყოფმან, არა შესაძლებელ არს ზედ მსხუერპლევამ, თქუა, არამედ ესე მხოლოდ მიტყუებულ არს ქმნად ააზრონს ნათესავსაგან მყოფთათვის. ხოლო კომბდეს რამ გამოსლვად და არა უსჯულოებამა ქმნად ღმრთისა მიმართ. განრისხებულმან სიკუდილი აქადა მათ, უკუეთუ არა დუმილით მიიღონ. ამისა უკუე შემდგომად ძრვამან შეარყია ქუეყანად და შიძობა დიდად და განიყო ტაძარი და ნათელი მზრამა ბრწყინვალე გაიმობრწყინდა და სახედველსა მეფრასაა შეეხო, ვიდრეღა მას ვიდრე მეყუხუჯელად კუთრი გჯრადეხსა, ხოლო ქალაქისა მახლობელად, ერროგიად წოდებულისა, გამოამთქდა ნახევარი შთისამ დანაგლეითი კერძოთ და, დანგორებელი ოთხთა სტადიონთა, აღმოსავლეთით კერძოთ შთისამთ დადგა, ვიდრეღა დაყენა წარსავალნი და სამოთხენი ჰამეფონი. ხოლო ვინაჲთგან იხილეს სახედველი მეფრისამ მღდელთა მყოობილად კეთროსაგან, იტყუადეს მას განსაცდელსა და უბრძანებდეს განსლვასა ქალაქისაგან, ვითარ შეგონებულსა. ხოლო იგი, სიარკხელისა მიერ ბოროტისა შემთხუეულისა და არა მურხეცა კადნიერებამა ყოფისათვის, ნინდა ბრძანებულსა იქმოდა უხუშთაესისათვის ქმნისა კაკობრივისა ვონებისა და ამის ძლით ღმრთისა მიმართთა უსახურებათათვის, ესრეთ უბადრუქსა და საწყალბედლსა მომთმენელი სასჯელსა. და ეამსა რაოდენამე იქცეოდა გარეგან ქალაქისა, მლოფლიოსა მცხობრებელი ცხობრებამა. და ყრმამან მისმან იოთამოს მიითუალა მთავრობამ. ამისა შემდგომად, მწუხარებობსა მიერ და სულმოკლე-

1 პირუტყუთა. 2 ჯაქუთა.

\* ბერძნული დედნის ძირითად ტექსტში არის 50, MSP ხელნაწერებში—150 (9,122).

ბი.ა ქმნილთაჲსა, მოკულა, წელთა ცხორებულნი რგათა და ჰამეოცთა და ნათ-  
გან მშეფობი ორმეოცდაათორმეტთა. ხოლო დაეფლა მხოლოდ შინაგან მტრ-  
თა წინათა.

### 07. 11

167

1)\* იეროვოამოჲს ყრმაჲ, სახარია, იქმუთა თელია მშეფობი ისრაილტთა  
ზედა. მზაყდარებით მოკლული მოკულა მოყუარისა ვისმე ბიერ, სელისმოჲს  
ვარბუქე სახელით, იავილთა ძისა, რომელმანცა, შემდგომად მისა მეფობისა  
მოქმედებულან, არა უწრაფელისა ეჲმსა, გარეშე ოცდაათთა დღეთაჲსა, იპყრა  
იგი რამეთუ მჭედარმთავარი მანაიშოს, მას ეჲმსა თარსის ქალაქისა შინა  
მყოფი და სახარიაჲს ძლითთა მსმენელი, ყოველსა მჭედრობისა თანა მოვიდა  
სამართალ და შემაწყობელმან ბრძოლისამან მოაუტუნა სელისმონა და მკვერ  
დაჯგინებული თავისა/თვისაჲ, იორ თაფსან ქალაქად მიიწია. ხოლო მას შინა  
მყოფთა, ბქისა მოქლონთა დამკრძალველთაჲ, არა შეიწყნარეს მეფე. და მან  
უქუე, განრისხებულმან, გარემოჲს სოფლისა უჩინო-ყო და ქალაქი ძლოვრად  
მილო მოაქრებელმან. ხოლო ბოროტად მომთმენელმან თავსაჲლთა მიერ მოქ-  
მედებულსა, ნოაქედინა იგი ყოველნი, არცა ჩხვლთა მრავლებლმან, არა დამ-  
ტვეებელმან გარდამატებულმანსა უგბილობისასა და არცა მკეცებრიობისასა.  
რამეთუ რომელნი არცა სხუა ნათესაეთა რომელთამე შესანდობელ არიან ქმნად,  
ქელის-ქუეშე ქმნილთა მიმართ, ესენი ამან იმოქმედნა თანმონათესეეთა მი-  
წართ. ქსეცთართა უქუე სახითა მშეფობი მანაიშოს წელთა ათთა უბოროტეს  
და უუგბილეს მყოფი ყოველთაჲს იყო. ხოლო ვინაჲთგან აღამკველრა მას ზედა  
ფოლოს, ასურთა მეფემან, ლუაწლსა ვიდრემე და ბრძოლასა ასურთასა არა  
შეემთხვა, არამედ მარწმუნებელმან წარსლედ ათასთა ტალანტთა ვეცხლისათა  
მიმღებელისამან, დაჰკნნა ბრძოლაჲ. და თითოეულმან სიმრავლისაგან მო-  
ართუა ესე მანაიშოს, თავისა და თავისათეს ღრახმანი ორმეოცდაათნი. ხოლო  
შემდგომად ამათსა, აღარულეული, დაეფლა სამარიაჲ შინა და დაუტყუა მო-  
ნაცვალედ მეფობისა ძე ფაკეად, რომელიცა, მამისა უგბილობისა<sup>1</sup> შედგომილი,  
რთა წელთა შინა მხოლოდ მთავრობდა. ამისა შემდგომად, ზაკულეებით მო-  
კლული მისაუშურობისა შინა მოყუარეთა თანა, მოკულა, ვინაჲთგან ფაკე უინიშე,  
ყრმაჲ იომელიობისა, რომელი იყო ათასმთავარი, ზედგანმზრახველ<sup>2</sup> იქმნა მისა.  
ხოლო ესეცა ფაკეაჲს, მპყრობელი<sup>3</sup> მთავრობისაჲ წელთა შინა ოცთა, უსახურ  
იყო და უსაჭლო. ხოლო ასურთა მეფემან, თაღლაფასარ სახელით, აღმკვერე-  
ბულმან ისრაილტთა ზედა და დალაღინისა ყოველსა დამამკობელმან და წიად  
იორდანესა სოფლისაგანმან და მახლობელისა მისთა, დალილად წოდებულ-  
სა ქუეყანისმან, და კედისსაჲსა და ასორისამან<sup>4</sup> და მას შინა მკვერთ: ტყუე-  
მყოფელმან, გარდაცვალნა სამეფოდ მისად.

და ასურთა ვიდრემე შეფისათეს ამისთეს ამით მიერ ეხად-იყვნენ ჩუენგან.

2)\* ხოლო იოთამოს, ოზიას ყრმაჲ, მეფე იქმნა იუდაჲს ნათესვისა იერო-  
სოლქვითა შინა, დედისა ვიდრემე ასტინაგან<sup>5</sup> ქმნილი, წოდებულისა იერასიდ.

1 ყმა A. 2 დამკრძალველთა A. 3 ორმეოცდა და ათნი A. 4 უგბლობისა A.Q.D. 5 ზედ-  
განმზრახველ A.Q. 6 მპყრობელი+ფაკეა:სო, 7 ასურთაგან A.Q.F. 8 100000 9 2326.

\* IV მეფ. 15,8; 15,19; 15,22. 10 II ნემშ. 27,1. IV მეფ. 15,32.

0 მოქალაქისაგან.



ესე უკუე მეფე სათნოებ-სა ვიდრეზე არცა ერთისგან დაკლებულ იყო, არანეუ კეთილმსახური ღმრთისა მიმართ, ხოლო კაცთა მართალ იყო და ქალაქის ძლიოთთა მორენე, რამეთუ რაოდენნი შემზადებისა და შემკობისა მოქენე იყენეს, ესენი პატივისმოყუარებით იპოქმუნდა, კაპარათა ვიდრეზე სამღდელოსა შინა აღმზარებელმან და წინა ბჭეთა, ხოლო დაკემულნი ზღუდეთაგან აღმზარებთნა, კოშეთა ყოვლად დიდთა და ძნიად საპყრობელთა აღმზარებელმან. და სხუთათვისცა, რამელი რამვე უგულუბელსქმნილი იყო სამეფოსა შინა, მრავალსა მოურნეობასა აჩუენებდა მათ ზედა. ხოლო აღმკედრებულმან ამმანიტთა ზედა და მძლეველმან მათმან ბრძოლასა შინა, უბრძანა მათ მიცემა მისდა ხარტთა ყოველსა ეჟანა ასთა ტალანტთა და იფქლ-სა საწყყოთა ზეერთა და ესოდენთავე ქრთილისათა. ხოლო აღორძინა ესრე მეფობაჲ, ვიდრედა არა შეურაცსაყოფელ იყო ავი მბრძოლთაგან და თესთაგან უკუე კეთილბუნდრობდა.

3)\* ხოლო იყო ვინმე ამას ეჟსა წინაწარმეტყუელი, ნაუჟას სახელით, რომელი ასკრთა დამკობისათვის და ნინოჲს წინაწარმეტყუელებდა და იტყოდა: „უკრეთ იყოს ნინეჲს საბანელი წყლოსაჲ, შეძრულ ესრეთ და ფრი ყოველი. შეშფოთებულნი, წარვიღეს მლოცველი და მტყუელებდენ ურთიერთას: „დადევით და მოთმინე იქმნენსა და ოქროჲ და ვეცხლი მიიტაცეთ თავთა თესთათვის. ხოლო არავინ იყოს მაცუნებელ, რამეთუ უფრომსლა სულთა მათთა ცხოვნებაჲ ინებონ, ვიდრე მონაგებთაჲ. ვინათგან იქმნეს საშუვალ მათსა კლონაჲ და გლოვაჲ და დაქსნაჲ ასოთაჲ, ხოლო სახედველნი შინისა მიერ სრულიად შავ იქმნენ მათდა, სადა უკუე იყოს სამკვდრებელი ღომთაჲ და დედაჲ ლეკუთაჲ. გეტყვს შენ ღმერთი, ნინეჲ, ვითარმე: „უჩინო გყო შენ და არღა მერმეცა ღომმნი, წარსრულნი შინაგან, უბრძანებდენ სოფელსა“. და ამით თანა და სხუანიცა იწინაწარმეტყუელნა აჟან წინაწარმეტყუელმან ნინეჲსათეს, რომელნი საჭიროდ შეგზარაცხენ თქუმად, ხოლო რამთა არა მაწყინებელ საგონებელ ვიქმნე მიმთხუეულთა, დაუტევენ. იქმნეს უკუე ყოველნი თქუმულნი ნინეჲსათეს შემდგომად წელთა ასთა ხუთთა და ათთა. ამისთვის ვიდრევე უკუე კმასაყოფელად უწყებულ არიან ჩუენ მიერ.

07. 12

11)\* ხოლო იოათამოს გარდაიცვალა, ცხორებული წელთა ერთსა და ორმეოცთა, ხოლო მმეფობი ექუსთა და ათთა, და დაეფლა საპეჯოთა ღარანკთა შინა. და მეფობაჲ უკუე მივიდა ძისა მისისა ახაზისა, რომელი უსჯულო იქმნა ღმრთისა მიმართ და მამულთა სჯულთა გარდასრული ისრაილიტისა მეფეთა მიომსგაჲსა: ვომონთა აღმადგინებელმან იეროსოლემათა შინა და მმსხუერპლველმან მათ ზედა კერათა მიმართ, რომელთა შორის და თვისცა ყოვლადღასაწუღელ ყო ყრმაჲ ხანანელთა წესისაებრ და ამათნი მგავსნი სხუანიცა იპოქმუნდა. ხოლო ვინათგან ესრეთ აღბორებულად მქონებელ იყო, აიძვედრა მის ზედა სკრთა და დამასკინელთა მეფეებან, არაქის და ფაჲკა, ისრაილიტთამან, რამეთუ მოყუარენი იყენეს. და შემაყენებელნი მისნი იეროსოლემად, მრავალსა ეჟანსა მბრძოლეს სიმტიციქმათეს ზღუდეთაჲსა, არცა ერთსა შემძლეებლნი.

<sup>1</sup> ლეკთა .  
 \* ნაუმი 2,8. 1<sup>o</sup> IV მეფ. 15,38. II ნებტ. 27,9. IV მეფ. 16,5. II ნებტ. 28,5.

ხოლო სკრთა მეფემან, მიმღებელმან ქალაქსა ილათომასსა, რომელი იყო მეწამულთ ზღვთ კერძო და მას შინა მკვდრთა მომაკვლინებელმა<sup>1</sup>, დაამკვდრნა სკრნი მუნ. და სამცველოთა შინა მყოფნი და გარემომს იუდაენნი განხრწნნა და ნატყუნანება ფრიადისა მიმღებელი დამასკოდ წარვიდა მკვდრობისა თანა. ხოლო იეროსოლვმთა მეფემან, აგრძნა რამ სკრთა წარსლუვა სახლთა მიმართ თუთა და მეტუელმან, ვითარმედ შემძღებელ არს ბრძოლად ისრაილიტთა მეფისა მიმართ, განიყვანა მის ზედა ძალი თესი და მბრძოლი იძლია განრისხებრავან ღმრთისა, რომელი აქუნდა უსახურებათა მისთათეს, მრავალთა ერთბამად და დიდთა, რამეთუ ათორმეტნი ბევრულნი მას დღესა შინა ისრაილიტთაგან მოძარნეს მისნი, რომელთაცა მკვდართმთავარმან, ზახარის, მოაკვლინა ძე მეფისა ახაზისი ბრძოლასა შინა, ვასიამოს სახელით, და ზედმოურნე მეფობისა ყოვლისა, ერიკამ, და მკვდართმთავარი იუდაის ნათესვისსა ყოვლისა, ელიკამ, ტყუელ მიიყვანა. და ვენიამიტოლმან ნათესვისაგან დედაკაცი და ყრმანი მიიყვანნეს და ფრადსა ნატყუნანისა მიმტაცებელნი წარვიდეს სამარად.

2)\* ხოლო ოდღვას ვინზე სახელით, რომელი მას ეამსა წინაწარმეტყუელი იყო სამარისა შინა, შემთხუელუმან მკვდრობისამან წინაშე ზღუდეთა, დიდთა კმობითა აუწყა მათ ძღვება არა თესისა ძალისათეს, არამედ ფულისწყარობისათეს ღმრთისა, რომელი აქუნდა ახაზომს ზედა მეფისა. და აბრალეზდა, არა კმაყოფილთა კეთილმითხუელუობისათა მისა მიმართ, არამედ მკადრებულთა იუდაის და ვინიამიტოლმან ნათესვისაგან, თანმონათესვედ მყოფთაცა, ტყუეკმნასა. და თანად განაზრახებდა მათ უვნებულად განტყეებასა მათსა თესთა მიმართ, რამეთუ ურწმუნოკმნითა საქველი მისკენ ღმერთსა. ხოლო ისრაილიტთა ერი, შესაკრებლად მისრული, განიხილვი/და ამათესს. და აღდგომილი ვინზე, ვარაქია სახელით, რჩულთაგანი ქალაქისათა და სხუანი შემდგომად მისსა სამნი, იტყოდეს: ვითარმედ არა ჯერ-არს აღკურვილთა შეყვანებაჲ გულაქად, რადთა არა ყოველნი წარვწყმდეთ ღმრთისა მიერ, რამეთუ მხოლოდ კმა-არს მისა მიმართ მცოდველობაჲ ჩუენი, ვითარცა წინაწარმეტყუელნი იტყვიან და არა უახლესთა ამისთა უსჯულოებათა მოკვედებაჲ“.

ამათსა უკუე ყურადმღებელთა მკვდართა მიუტევენს მათ კმნად, რომელიცა უმჯობესად საგონებელ იყო. მიიყვანეს რამ უკუე პირველთქულთა მამაკაცთა, ტყუენი განბანნეს და მოურნეობასა აღიარნეს და მტეშელთა წარსაგებელთასა თესთა მიმართ განუტევენს<sup>2</sup>. ხოლო არა უდარეს და ოთხნიცა წარვიდეს მათ თანა და, ვიჯრე იეროსუნტოლმედ წარმავლუნელნი, უკუნ-იქცეს სამარათსა ქუეყანად.

3)\* ხოლო ახაეოზ, მეფე ამათი, მენებელი ისრაილიტთაგან, წარმავლინებული ასკრთა მცვისა მიმართ, თალაფალასსარომსა, ევეღრებოდა შეწვენასა მისგან მინიკებად მისდა ბრძოლისა მიმართ ისრაილიტთასა და სკრთა და დამასკინელთასა, საქმართა მრავალთა მიცემად აღმთქუმელი<sup>3</sup> და წარუვლინნა მას ბრწყინვალენიცა ძლეუნი. ხოლო მივიდეს რამ მედრებელნი მისა მიმართ, წარმოვიდა შეწვენად ახაეომსა და აღმკვდრებელმან სკრთა ზედა განდხურა ქუეყანად მათი და დამასკოა ძლიერებით. იპყრა და მეფე არასინ მოაკვდინა<sup>4</sup>

<sup>1</sup> მომაკვლენებელნი. <sup>2</sup> ვნუტენებლნი A.Q.D. <sup>3</sup> აღმთქუმელი. <sup>4</sup> მოაკვდინა.

\* II ნუმრ. 28,9. <sup>10</sup> IV მეფ. 16,7; 16,10.

და დამსკინელნი გარდაამკვდრნა ზენაჲსა მილიასა შინა და ასკრთა ნათესავისა-  
გან რომელთანე გარდამკვალუბელმან დაამკვდრნა დამსკინელთა ქუეყანასა  
შინა და ბოროტისმყოფელმან ძარაილიტთა სოფლისაგან მრავალნი ტყუედ მი-  
იყვანნა. ესოდენნი რაჲ იმოქმედნა მან სკრთა მიმართ, მეფე, მიმღებელი ოქ-  
რომსა და ვეცხლოსაჲ, რაოდენი იყო სამეფოთა საუნჯეთა შინა და ტაძარსა  
ღმრთისასა და რომელი რაჲ იყო უმჯობესი შესაწირაჲი, ამითი მტკრთველი და  
მქონებელი, მივიდა დამსკოლ და მისცა ასკრთა მეფესა აღთქუმათაჲბრ და  
ყოველთათჳს მალსა ქონებად აღმსარებელი უჯუნ-იქცა იეროსოლუმად.  
ხოლო იყო ესრეთ უგუნურ და უმჯობესისათჳს უგულსკმო<sup>1</sup> ესე<sup>2</sup> ვიდრემე  
მეფე, ვიდრელა არცა ბრძოლისა სკრთა მიერ დაქცხრა თაყუანისცემად ღმერთ-  
თა მათთა, არამედ დადგრომილ იყო, პატივისმცემელი მათი, ვითარ მიმნიკე-  
ბელთაჲ მისთა ძლევისა. ხოლო ძლეულმან კუალად იწყო მსახურებად ასკრა-  
მსა ღმერთთა და ყოველთა პატივისმცემელ იყო უფრომს, ვიდრე მამეულისა  
და ჰემმართისა ღმრთისა, რომელიცა მიზეზ იყო მისდა ძლეულებისა, განრის-  
ხებული. ხოლო ესოდენ უგულუმედს-ყოფისა და შეურაცხებისა მიიწია, ვიდრე-  
ლა და სრულიად დაჰქმა ტაძარი და განწესებულთა მსხუერპლთა შეწირვაჲ  
დააყენა და განძარცუა იგი აღნაღებთა. ამათი მავინებელი ღმრთისა მიმართ  
აღსრულდა წელთა ვიდრემე ცხობრებული იქუსთა და ოცდაათთა, ამათგან  
მმეფობი იქუსთა და ათთა, ძისა ეზეკიასისი მონაცუალედ დამტევებელი.

თ. 13

1)\* ხოლო მოკულა ამასვე ეამსა ისრაილიტთაცა მეფე<sup>3</sup>, ზედგანზრახული  
მოყუარისა ვისმე მიერ, ოსიომს სახელით, რომელიცა, მპყრობელი მეფობისაჲ  
ცხრათა წელთა, ბოროტი იყო თანად და ღმრთისა ძლითთა შეურაცხისყოფე-  
ლი. ხოლო აღიმგედრა მას ზედა ასკრთა მეფემან, საღმანასა და მძლეულმან  
მისმან, რამეთუ ღმერთი არა აქუნდა / მოწყალედ და თანაშემწედ, ყო იგი  
მორჩილ მისა და ზარკთა განწესებულთა მიეცემა მისდა უბრძანა.

ხოლო მეფობისა წელსა ოზიამს მეფობისასა მეფე იქმნა ეზეკია იერო-  
სოლუმათა შინა, ახზომს ყრვაჲ და ავიამსი, მოქალაქისაჲ ნათესავით. ხოლო  
იყო ბუნებაჲ მისი კეთილი და მართალი და ღმრთისმსახური. არარაჲ სხუაჲ  
მეფობად მიწინდულმან, არცა უსაქრ-ოესი, არცა უმჯობესი მანდა და მთავრე-  
ბულთათჳს ჰგონა უფრომს ღმრთისმსახურებისა. არამედ მოწოდებულმან იერი-  
სამან და მღდელთა და ლევიტელთამან, იმეტყუელა მათ შორის. მეტყუელ-  
მან: „არა უმეტარ ხართ ვიდრემე, ვითარამედ ცოდვითათჳს მაშინა ჩემისათა  
გარდასლვისა ძლით ღმრთისა მიმართ ჯეროვანისა პატივისაჲთა, მრავალთა  
მიემთხუენით და დიდთა ბოროტთა, განხრწნილნი მიერ განებითა და რწმუნე-  
ბულნი თაყუანისცემად მათდა, რომელდასა იგი ღმრთად-ყოფასა ჰგონებდა<sup>4</sup>.  
ხოლო განგაზრახებ თქუნენ, საქმით მსწავლელთა, ვითარამედ ბოროტ არს უსაქუ-  
ლოებაჲ, ამის ვიდრემე უკუე დაგეწყებაჲ ნიიღეთ და განიწმიდენით თავნი  
თქუნენნი პირველთა გინებათაგან და მღდელთა და ლევიტელთა შემოკრებულე-  
ბითა განაღდეთ ტაძარი და განწმიდონ რაჲ ჩუეულებითთა მსხუერპლთა მიერ,

<sup>1</sup> უკლკო A. <sup>2</sup> ესემე AQD. <sup>3</sup> მეფეთყაჲ S.  $\psi$  xii/c 2. <sup>4</sup> D=AQ. <sup>5</sup> ლევიტელ-  
თამან<sup>5</sup> იერის AQD. <sup>6</sup> ჰგონებად AQD.  
<sup>7</sup> IV მეფ. 15,30; 17,1; 18,1; II ნებტ. 27,1.

დასაბამისა და მიმუდღისა პატივისა მიმართ აღწოდებულ იქმნენით, რამეთუ ესრეთ მოწყალე ვყოთ ღმერთი, დამტყუებელი ჩისხვისაჲ“.

2)\* ესენი რაჲ თქუნა მეფემან. განაღეს მღვდელთა ტაძარი და განმღებელთა შუქნადუნს შურჭელნი ღმრთისანი და შეგინებულთა განმკდელნი ჩუელდებოთა მსახურპლთა შემწირველ იქმნეს ღმრთისა. ხოლო მეფემან, წარმავლენელმან მის ქუემესა სოფლისა მიმართ, მიუწოდა ერსა იეროსოლემად აღსრულებრათჳს უფუფარებრისა დღესასწაულსა, რამეთუ მრავალსა უამსა დატვირთულ იყო უსჯულოებათჳს პირველთქუულთა მუფუთამსა. ხოლო წარავლინნა და ისრაილიტთაცა მიმართ, განმაზრახებელმან მათმან, რაჲთა დამტყუებულნი აჲ მყოფისა ცხოვრებისანი პირველთაჲე ჩუელულებჳსა მიმართ აღვიდენ და ღმრთისმსახურებისა, რამეთუ განაზრახებდა მათ, რაჲთა მიწვეულთა იეროსოლემად აღასრულონ დღესასწაული უფუფარებათაჲ და დღესასწაულოზუნ მათ თანა. ხოლო ამას, იტყოდა, განმაზრახებელი არა რაჲთა შორილ იყვნენ მისსა, უკუეთუ არა ინებონ, არამედ უმჭობებისა მათისათჳს, რაჲთა სანატრულ იყვენ.

ხოლო ისრაილიტთა, იოწინეს რაჲ მათდა მიმართ მოტყუებულნი და ატყუნეს მათ თჳსისა მეფისა მიერნი, არა მხოლოდ არა ირწმუნნეს, არამედ და მოტყუებულნიცა, ვითარ უფუნური, განციკნნეს. და წინაწარმეტყუელთაცა, მსგავსად ვიდრე განმაზრახებელთა და მეტყუელთა წინაწარ, რომელნი ეგნენ მათ, არა გარდაცვალებულთა კეთილმსახურებისა მიმართ ღმრთისა, პნურწყვიდეს. დასასრულად, მპყრობელთა მათთა, მოაკლდინნეს. და არა კმაიყოფდეს ამით მხოლოდ უსჯულოებასა მოქმედნი, არამედ უპერესთა პირველთქუულთასა მოივერაგებდეს და არა უწინარეს დასცხრეს. ვიდრე არა მბრძოლთა ჯეღო-ქუეჲე ყვნა იგინი ღმერთმან, განჩისხებულმან მათჳს უსჯულოებისათჳს. და ამითჳს ვიდრემე კუალად ცხად-ვყოთ. მრავალნი ედრემე მანასისნათესავისაჲან და ზავულონის და ისრაილისაჲან, მრწმუნებულნი მათნი, რომელთა ასწავებდეს წინაწარმეტყუელნი, კეთილმსახურებისა მიმართ გარდაცვალნეს. და ესენი ყოველნი იეროსოლემად, უზეკიას მიმართ, მირბიოდეს. რაჲთა თაყუანის-სცენ ღმერთსა.

3)\* ხოლო მიიწინეს რაჲ ესენი, აღსრულმან ტაძრად მეფემან ეზეკია მთავართა თანა ყოვლისა ერისათა შეწირნა მისთვის ზუარაყნი შუდნი და ვერძნი ესოდენნივე და კრა/ყნი შუდნი და თაყანი ესოდენნივე. და დაასხნეს კელნი თუთა ზედა ჰამსხურბლოთასა თვთ მეფემან და მთავართა და უსრეთ მიუტევენს იგინი მღვდელთა შეწირვად. და იგინი ვიდრე მსხურბლვიდეს და ყოველად-დასაწუველ მყოფდეს. ხოლო ლევიტელნი, მოდგომილნი გარემოას, მუსიკათა მიერ და არღანთთა იტყოდეს ქებათა ღმრთისა მიმართ და გალობდეს, ვითარ ესწავა დავაღისაჲან. ხოლო ნემსტნი მღვდელნი, საყვრთა მქონებელნი, ზედდამწესტველ იყვნეს მგალობელთა. ესენი რაჲ უკუე იქმნეს, დამტყუებულნი თაჲთა თჳსთანი პირსა ზედა, მეფე და სიმრავლე თაყუანის-სცემდეს ღმერთსა. ამისა შემდგომად ამსხურბლნა ზუარაყნი ვიდრემე საჲეოკდაათნი, ვერძნი ანნი, კრაყნი ორასნი. ხოლო სიმრავლესა გამსაჲუნებულად მიანიჲნა ზუარაყნი ვიდრემე ექვსასანი, ხოლო ნემსტნი ცხოვარნი სამ ათასნი და ყოველნი ვიდრემე

განწესებნაებერ სჯულისა იმოქმედენს მღვდელთა. ამით ზედა მოხარული მეფე ისერებდა ერისა მიმართ, თანა მადლობასა ქონებად აღმსაარებელი ღმრთისა მიმართ, ხოლო წარმოდგა რაჲ უცხოებებათა დღესასწაული, მსხუერპლველნი ფასკად წოდებულნიანი, მიერითგან სხუათა მსხუერპლთა აღაპრულებდეს შველთა დღეთა შინა. ხოლო სიმრავლესა გარეშე მათსა, რომელნი შესწირნეს მათ, შინაიქნა მათ ბეჭუემან ზუარაკნი ვადრემე ორ ათასნი და საცხოვარნი ხუთ ათასნი. და ესე ვიდრემე მთავართა ქმნეს. ხოლო ათასნი ზუარაკნი მისცნეს მათ, ხოლო საცხოვარნი ათასნი და რამეოცნი და ამით სახითა ბალობონ მეფისა-დთგან არა აღსრულებულ დღესასწაული მაშინ პირველად ბრწყინვალულ და პატივანმოყუარებით აღესრულა. ხოლო ვინაჲდთგან დღესასწაულსა ძლითთა აქუნდა დასასრული მათ შორის, განსრულთა შორის სოფლად განწმიდეს იგი. და დლითი-დღედთა მსხუერპლთაჲ თვსთაგან აღსრულებად განაწესა მეფემან სჯულთაებერ. და მღდელთა და ლევიტელთათეს ათუელთა მიცემაჲ ბრძანა მეფემან სიმრავლესაგან და პირველთა წაყოფთასა, რაჲთა მარადნი მსახურებება შინა დაადგრენ და მონებნაგან ღმრთისა იყვენ დახუყოფულ. და სიმრავლე ვიდრემე მოართუმოდა მღდელთა და ლევიტელთა ყოველსა ხესა წაყოფსა. და სამცველოთა და საუნჯეთა შემწავლებელმან ნათეს მეფემან მანაიქა თითოეულსა მღდელთა და ლევიტელთაგან და ყრმათა მათთა და ცოლთა. და ესრეთ კუალად პირველსავე წესსა აღვიდეს. ესენი რაჲ პირველთქუმულითა სახითა ქმნნა მეფემან, ბრძოლად განიღო პალესტინელთა ზედა და მძღველმან იპყრნა ყოველნი ქალაქნი მბრძოლთანი, ღანითგან ვიდრე გიტტიდმდე. ხოლო ასსურთა მეფე, წარმავლინებელი, აქადებდა ყოველსა მთავრობისა მისისა დამკობასა, უკუეთუ არა ხარკნი, რომელთა მანაჲ მისი აღსრულებდა პირველად, მისცნეს ესენი. ხოლო ეზეკია ქადებთაჲ ვიდრემე არად შეპარაქა, არაჲდ მონდობილი იყო ღმრთისა ნიშართსა კეთილმსახურებისათეს და წინაწარმუტყულისა ოსაფსთეს, რომელსა მიერ ყოველთა გულგებდთა ქეშპარტებთა რწავეებდა. და ესრეთ ვადრემე აწ ჩუენ მიერ ქონება იყვენ ამის მეფისა ძლითნი.

თ. 14.

1)\* ხოლო სალმანასარს, ასსურთა მეფესა, ვითარ მიეტხრა მას ისრაილიტთა მეფისათეს, ვითარჲდ წარაღლინა დარულად რაჲს მიმართ, ეგვიპტელთა მეფისა, და მიუწოდს მას თანამბრძოლობისა მისა მიმართისა, განრისხებულმან აღიმკვედრა სამარიას ზედა მეშველესა წელსა ოსიოჲს მეფობისასა. ხოლო ვინა-დთგან არა შეიწყნარა იგი მეფემან, ქალაქის მოკრებელმან სამთა შინა წელთა იპყრა ძლიერებით სამარიად მეცხრესა წელსა ოსიოჲს მეფობისასა, ხოლო მეშველესა — ეზეკიას მეფობისასა იერუსოლემითა შინა. და ისრაილიტთა მთავრობაჲ სრულიად უჩინო-ყო და ყოველი ერი გარდაამკვედრა მიდიას და პერსილას შინა, / რომელთა შორის და მეფეცა ოსიოჲს ცოცხალი მიიყვანა. და გარდამკვედრებულმან მიერ სხუანი ნათესაენი ხუთოჲსა რომლიანჲდ აღგილისა-გან, რაჲეთუ არა პერსილას შინა მდინარე ამას სახელსა მქონებელი, და ამკვედრნა სამარიას და ისრაილიტთა სოფელსა შინა. გარდაემკვედრნეს უკუეთუ ათნი ნათესაენი ისრაილიტთაჲ იუდაეგან შემდგომად რიცხვსა წელთა ცხრა-

1 ვნობი AQ.

\* IV მეფ. 17,4; 17,24.

ამთა ორმოცთა და შვდთაჲსა, რომლთაგან წლითგან ეგვპტით გამოსრულთა. მშობელთა მათთა ქუეყანაჲ ესე დაიპყრეს მჭედართმთაერობასა მათ ზედა. იასუჲსა, ხოლო ვინაჲთგან განადგეს როვოამოს<sup>1</sup>, დაეიდინ შვილთა შვილსა და მუჟობაჲ მისცეს იეროვოამოსს, ვითარ და პირველადცა ცხად-იქმნა ჩემ მიერ, წელთა ორასთა და ორმოცთაჲსა, თუეთა შვდთა და დღეთა შვდთაჲსა. და დასაძრულა ვიდრე მე ისრაილიტთა ესე ვითარი იქნა, საჭულთაგან გარდასრულთა და წინაწარმეტყუელთაგან ურჩქმნილთა, რომელნი პირველად ეტყოდეს მათ ამას განააცდელსა, არა თუ დასცხრეს უსჯულოებათაგან. ხოლო დასაბამ შოროტთა ექმნა მათ განდგომილებად, რომლითა განდგეს როვოამოჲსგან, მონასა მისსა განწაზინებულნი მეფედ, რომელჲსაცა, მცოდველმან ღმერთთა მიმართ, მტერ მათდა ყო ესე მინს ვაჲსებითა უსჯულოებისა მისისაჲთა, არამედ იგი ვიდრე მე ვითარა ღირს იყო სასჯელსა, ამას მიემთხვა.

2) ხოლო ასურთა მეფე წარვიდა ბრძოლად ყოველსა ზედა სვრიასა და ფენიკსა, ხოლო სახელი ამის მეფისაჲ დასაბამობათა შინა ტურელთა წიგნებისა ალწერილ არს, რამეთუ აღიმკედრა ტუროს ზედა, რაჲმს მეფე იყო მისა ელულელოს. ხოლო მოწამე არს ამათდა მენანდროსცა, მოქმედი ჟამთა ალწერილსაჲ და ტურელთა დასაბამობისა ალწერასა ელლინთა ესე ვიდრე გარდამთარგმნელი, რომელმან ესრეთ ცხად-ყო:

„და ელულელოს, რომელსა სახელსადგეს პუად, მეფე იქმნა წელთა ოცდაათ ექუსმეტთა. ამან, განადგეს რაჲ კიტრელნი, წარსრულმან ნავითა, მოიყვანნა იგინი. კუალად ამათ ზედა წარმავლენელი, ასურთა მეფე მივიდა, მბრძოლი ყოვლისა ფენიკისაჲ, რომელიცა, მშვდობასა მიმიშვებელი ყოველთა მიმართ, კუალად უკუნ-იქცა. ხოლო განდგა ტურელთაგან<sup>2</sup> სიდონი და აკი და ძუელი ტუროჲ და სხუანი მრავალნი ქალაქნი, რომელთა მიეცნეს თავნი თჳსნი ასურთა მეფისათჳს<sup>3</sup>, რომლისა ძლით, ვინაჲთგან არა დაემორჩილნეს მას ტურელნი, კუალად მათ ზედა უკუნ-იქცა მეფე. და ფენიკელთა შეუშზადნეს მას ნავნი სამეოცნი და ხოპის ზედანი მისცნეს რეასანი, რომელთაცა მიმართ აღცურვებულთა ტურელთა თორმეტითა<sup>4</sup> ნავითა, განიზნინეს რაჲ ნაცვალ-მბრძოლთა ნავნი, მიიყუანნეს ტყუედ მამაკაცნი ხუთასნი<sup>5</sup>. და ამათ ძლით დაიდგეს პატივი ყოველთაჲ ტუროს შინა. ხოლო უკუნქცეულმან ასურთა მეფემან დაადგინნა მცველნი მდინარესა ზედა და წყლისასა-ყვანებელთა რაჲთა<sup>6</sup> აყენებდეს ტურელთა მიღებად მათგან. ესე მოითმინეს ხუთთა წელთა შინა ქმნილი და სუმიდეს<sup>7</sup> ჟურღუმულთა აღმოთხრალითა.

და ტურელთა ვიდრე მე დასაბამობასა შინა ალწერილნი საღმინასარო-ასთჳს<sup>8</sup>, ასურთა მეფისა, ესენი არიან.

3) ხოლო გარდამკვდრებულნი საშარიად ხუთელნი, რამეთუ ამას იკუმეველეს სახელისდებამა ვიდრე აქამომდე გარდაცვალებოსათჳს ხუთად წოდებულისათჳს სოჟლიაგან, და ესე უკუე არს პერსიადს შინა და მდინარე, ამას სახელსა მქონებელი, თითოეულნი ნათესავად-ნათესავადნი თჳსსა ღმერთსა პერსი-

<sup>1</sup> როვოამოს AQ. <sup>2</sup> განადგა ტუროჲ და AQD, ძმძთუ ze Turlos 9288. <sup>3</sup> მეფისაგანს AQD. <sup>4</sup> ორთა AQD. ძეახბთუ 9288. <sup>5</sup> ხუთ თასნი AQD, πεντακισταις 9288. <sup>6</sup> რომელთა AQD. <sup>7</sup> სუმიდეს. <sup>8</sup> ღმინასარო-სთჳს AQ.

დადო მომყვანებელნი, ხოლო ხუთნი იყვნეს, და ამათნი პატივისმცემელნი, ვითარ მამული წესი იყო მათდა, აღმძრველ იქმნნეს დიდსა ღმერთსა რისხვისა მიმართ და გულისწყრომისა, რამეთუ განმხრწნელი მი/უვლინა მათ, რომლისა მიერ განხრწნილთა და არცა ერთსა კურნებასა ბოროტთასა მოპოვნებულთა, ხრისმოსისაგან ძსწავეს მსახურებად დიდისა ღმერთისაჲ, ვინამთგან ცხორება იქნნეს მათდა ერთეთ. და წარავლინნეს უკუე მოხუცებულნი ასურთა მეფისა მიმართ და ევედრებოდეს, რამთა წარმოუვლინნეს მათ მღღელნი, რომელნი მიიყვანნა ტყუედ მბრძოლმან ისრაილიტთამან. ხოლო წარავლინნა რამ სჯულიერთა და ღმერთისა მათისა მიმართისა მსახურებასა ბრძანებულნი, ჰმონებდეს მას პატივისმოყუარებით და მეყუსეულად განმხრწნულისაგან ლხინება იყო. და მკუპველნი მათვე ჩუუტულებათა მერმე და აწცა დაღჯრომილ არიან, ევრაელთა ვიდრემე ენისაებრ ხუთელნი<sup>1</sup>, ხოლო ელლინთაგან — საძაროტნი, რომელნი გარდაცვალებისა მიმართ და ნათესავობისა, რაჲჲს კეთილმოქმედად მყოფთა ხედვიდენ, იუდეულთა მწოდებულ არიან, ვითარ იოსიპოსაგან შობილნი და დასაბამსა მათდა მიმართსა თვისებისასა მიერ მქონებელნი, ხოლო რაჲჲს მყოფელად იხილნენ, იტყუან, ვითარმედ არა სადაჲთა ჯერ-არს, არცა სამართალ რამვე მათდა სიყუარული, გინათუ ნათესავობსაჲ, არამედ გარდაჰკვდრებულად სხუა ნათესად იტყუან თავთა თვისთა. ამათთვს ვიდრემე უკუე გუაქუნდეს კეთილყამიერად თქუმაჲ<sup>2</sup>.

დასაარული მცხბრთა წიგნისაჲ იოსიპოს იუდეებრივისა სიტყუადსაბამობისაჲ.

<sup>1</sup> ხუთელნი AQ. *ხეთმცო* 9<sup>280</sup>.  
<sup>2</sup> ესრეთ ეპოვე აქა.

ესე არიან მათებსა წიგნსა შინა იოსიხოვს მოთხოვრებათსა  
იუდაებრივისა სიტყუადასაბაგოგისასა. სიტყუაჲ მათე

1. აღმკვდრებაჲ ასკრთა მეფესა სენაქერამოასი იეროსოლჳმადჳი და მო-  
ოკრებაჲ მეფისა ეზეკიაასი.

2. კუალად განიხრწნა ასკრთა მკვდრობაჲ ყოველი ღამესა შინა ერთსა  
და მეფე მათი, უკუნტკუელი სახიდ თჳსად. ზედგანხრახვითა შეილთაჲთა მო-  
კუნდა.

3. კუალად საშუვალ წარსრულსა ეჲმსა მშუდობით მყოფი ეზეკია აღსრულ-  
ლა, ნონაცვალედ მეფობისა მანასის დამტაცებელი.

4. კუალად აღმკვდრებულთა მის ზედა ხალდეოას და ვაველოვნისა მე-  
ფეთა და მძლეველთა მისთა და ტყუედ მიმყვანებულთა წარიყვანეს იგო ვავე-  
ლოვნად და მწყობრელთა მათთა მრავალსა ეჲმსა საშეფოსაჲვე მისსა კუალად  
განუტკევეს.

5. კუალად მეგვებელთა მეფესა ნეხაონს, აღმკვდრებულსა ვაველოვნელ-  
თა ზედა და წარსლვისა მოქმედსა საშუვალ იუდეასა, მაყენებელი მეფე იოასია  
აკეთუნებდა. ზოლო ვინაჲთგან ბრძოლაჲ იქმნა, მოყვანებული იეროსოლჳმად  
წყლული აღსრულდა და ძე მისი იოზია განაჩინეს იეროსოლჳმელთა მეფედ.

6. ვითარმედ მბრძოლი ნეხაონ ვაველონელთა მეფისაჲ ეფტრატისა მდინა-  
რესა ზედა და უკუნტკუელი ეგვებედ, მივიდა იეროსოლჳმად. და იოაზი ვი-  
დრეჲ მიიყვანა ეგვებედ, ზოლო ძჳჲ მისი იოაკიმოს<sup>1</sup> განაჩინა მეფედ იერო-  
სოლჳმად.

7. და ნაფუხოდონოსოროას<sup>2</sup>, ვაველონელთა მეფისაჲ, აღმკვდრებაჲ სკრა-  
სა ზედა. და ვითარმედ მის ყოვლისა დამაჰკობელი ვიდრე საზღვართაჲდმდე  
ეგვებტისათა, აღვიდა იეროსოლჳმად და მეფესა მათსა იოაკიმოსს აიძულა<sup>3</sup>,  
რამთა მოყუარე და თანამბრძოლ იყოს.

8. კუალად შემდგომად წარსლვისა ვაველონელთა მეფისა კუალად იოაკი-  
მოს ეგვებტელთასა მბრძნობდა და აღმკვდრებულმან მის ზედა ნაფუხოდონოს-  
ოროს და მოკრებელმან განცემულობითა ქალაქისაჲთა შინაგან, შემდგომად  
ეჲმისა რომლისაჲჲ იოაკიმოს ვიდრეჲჲ მოაკუდინა, ზოლო იოა/ზოს, ძე მისი,  
დაადგინა მეფედ. და ვითარმედ, მრავალთა საცმართა მიჰლუბელი იეროსოლჳ-  
მთა ზედა, მძლე ექმნა იოახოსს, მიმცემელსა თავისა თჳსისასა დედისათანა  
მამართა და მოყუარეთა.

9. კუალად მიიყვანა მრავალნი ტყუენი ვაველონელმან და შესაწირავთა  
მიჰლუბელი ტაძრისაჲგან, უკუნ-იქცა ბაბილოვნად, იეხონიას დედის ძჳსა, სე-  
დეკიან, მეფედ იეროსოლჳმათა დამადგინებელი.

<sup>1</sup> იოაკიმოს AQ. <sup>2</sup> ეოხედონოსორო .ს AQR. <sup>3</sup> აიძულა.



10. ვითარჲმედ და ამისთვისცა მსმენელმან, ვითარჲმედ განიზრახავს ეგვიპტელთა მიერ თანამბრძოლობისა და სიყუარულისა მიღებასა, აღმკვლავებულმან იეროსოლჳმათა ზედა ძლიერებით, იპყრა მოოჯრებითა და ტაძრისა დამწუველმან იეროსოლჳმელთა ერთი და სულეცა გარდაამკვდრა ვაჳკლონად.

11. კჳალად ნათხოლღონოსორს, აღსრულებულმან, მონაცუალღდ მეფობისა დაუტევეა ქე და ვითარჲმედ დაიჯსნა ამისი მთავრობაჲ კჳრომს<sup>1</sup> მიერ, პერსთა მეფისა.

12. რაოდენნი შეემთხვენეს იუდელთა მას ქამსა შინა ვაჳკლონელთაგან<sup>2</sup>. მოაქუს წიგნსა ამას ქამი წელთა ასთაჲ ოთხმეოცდლორთაჲ, თუეთა ექუსთაჲ და დღეთა ათთაჲ.

სიტყუაჲ მეათე.

## OT. 1.

1\*. ეზეკია, ორთა ნათესავთა მეფესა, აწლა მეოთხესა რაჲ და მეათე წელი აქუნდა მთავრობისაჲ, ასურთა მეფემან, სენაქირიმოს სახელით, აღიპყვდრა მის ზედა მრავლისა თანა შენზადებისა და ძლიერებით იპყრა ყოველნი ქალაქნი იუდაჲს და ვენიამიტიდის ნათესვისანი. ხოლო ეგულებოდა რაჲ მიყენებდა ძალისაჲ და იეროსოლჳმათაცა ზედა, უსწრო, მვეღრებულმან მისა მიმართ მოჩილებად და ხარკსა, რომელიცა განუწყოს, აღსრულებად აღმთქუმდლმან. ხოლო სენაქირიმონ, ისწავნა რაჲ მოხუცებულთაგან, სათნო-უჩნდა არა ბრძოლაჲ, არამედ ვეღრებდა ვიდრემე შეიწყნარა და ჯეხლისა ტალანტნი სამასნი და ოქროსანი ოცდაათნი და მიმღებელი, სიყუარულით წარსლვასა აღიარებდა. და სიმტყიცენი მისცნა მოხუცებულთა ფუცებითნი, ვითარჲმედ, არაარსა მეგნებელი მათდა, ესრეთ უკუნ-იქცეს. ხოლო ეზეკია, მრწმუნებულმან და წარმომაცარიელებულმან საულჯეთამან, წარუვლინნა საკმარნი, მეკუთელმან, ვითარჲმედ ჯანთაჲსუფულღეს ბრძოლისაგან და მეფობისა ძლითისა ღლაწლისაგან. ხოლო ასურმან, მიმღებულმან ამითმან, აღთქუმათაჲ ვიდრემე არარად შეჰრაცხა, არამედ მან ვიდრემე აღიპყვდრა უგჳპტელთა ზედა და ეთიოპელთა, ხოლო მკედ-ართმეყანებელი რაფსაკი<sup>3</sup> მრავლითა ძლითა სხუათა თანა ორთა მთავართა დაუტევეა ჯანფხურად იეროსოლჳმათა. ხოლო სახელნი იყენნეს თარატა და არა ხარის.

2.\* და ვითარ მიიწინეს მახლობელად ზღუდეთა, დაიბანაკეს. და წარაგლინეს ეზეკიას მიმართ, მეტყუელთა, რაჲთა ეზრახნეს ურთიერთას. ხოლო იგი ვიდრემე შიშისა ძლით არა განვიდა, არამედ სამნი საკუთარნი მისნი მოყუარენი განაღლინა — მეფობისა ზედამხედველი, ელიაკია სახელით, და სულმანოს და რან მოსავსენებელთა ზედა. ესენი უკუე, წარსრულნი, დადგეს პირის-პირ მთავართა ასურთა მკედრობისათა. ხოლო მხილველმან მათმან მკედართმთავარმან რაფსაკი უბრძანა წარსრულთა თხრობად ეზეკიასთვის, ვითარჲმედ მეფე ღიღი სენაქირიმოს იკითხავს მისგან, ვისი მინდობილი და მოსავი ელტვის მეუღესა მისსა და არა პნებავს სმენად და მკედრობასა არა შეიწყნარებდს ქალაქსა

<sup>1</sup> უროსი. <sup>2</sup> იუდელოგან AQ, რ:ღ Βαβυλωνίος A, VI, გვ. 494. <sup>3</sup> რაფსაკი, 'Ραψακίη' 10.

\* IV მეფ. 18,13. 1\* IV მეფ. 18,17; 18,23.

171 შინა? ანუ თუ ეგვიპტელთათვის და მკედრობისა მათისა მო/სავე მათ მიერ ძლევისა მისისაჲ? ხოლო უკუეთუ ამას ჰკონებს, ცხად არს, ვითარმედ უგუნურ არს და მსგავს არს კაცისა, რომელმანცა, ლერწამსა მიყრდნობილმან შემუსრვილსა, დაცემასა თანა მერმეცა და კელსა განწონილმან აგრძნო ვნებაჲ. ხოლო ესე უწყოდენ, ვითარმედ განზრახვითა ღმრთისაჲთა მოქმედ არს მის ზედა აღმკედრებასა, რომელმან და ძსრალიტათაცა მეფობისა დაჰკობაჲ მისცა მას, რაჲთა მითვე სახითა და მის მიერ მთავრებულნიცა განხრწნეს. ამით რაჲ რაფსაკვი ევრაულად იტყოდა, ზედმიწევნით მეცნიერ იყო ფნაჲ, ფლიაკიმ, შემინებულნი, ნუსადა მსმენელი სიმრავლე შფოთსა შთავარდეს, სკრულად თქუმათა ევედრებოდა. ხოლო ჰქედართმთავარმან, გულისკმისმყოფელმან მოგონებისა მისისაჲმან, უზემთაჲსისა და უმაღლესისა კმისა მკუთმეველმან, მიუგო მას, ევრაულად მეტყუელმან:

„რაჲთა ბრძანებათა მეფისათა მსმენელნი ყოველნი უმჯობესსა გამომრჩეველ იქმნენ, თავთა თვისთა მოპყრებულნი ჩუენდა, რამეთუ ცხად არს, ვითარმედ შემაკთუნებულნი ერისანი სასოებათა მიერ ამათთა თქუენ და მრუე წინააღდგომად არწმუნებთ. ხოლო უკუეთუ ნინოდობილ ზართ და ჰგონებთ ძალისა ჩუენისა განკლასა, ორ ათასნი ჩემ თანა მყოფთა ცხენთაგან შემზადებით მოგანჩემ თქუენ, რომელთაჲცა სწორ რიკხუსა ზედლაშავალბსა მოპყრებულთა საინო-ყოფით ძალი თქუენი. არამედ არა მოგცნეთ უტენი, რომელნი არა გყვანან. რაჲსა უკუე ჰყოცნით მოცემად თავთა თვისთა უმჯობესთა მიმართ და არა მნებებულთაცა მიყვანებისა თქუენისა მგულუბეღლად? და ამას თანა ნებებით ვიდრემე მოცემაჲ უმტკიცე თქუენდა, ხოლო უნებლიეთი ბრძოლილთათჳს დასაჰირვებელ და მიზეზ განსაცდელთა გამოჩნდეს“.

3\*. ესენი რაჲ უსწენეს თანად ერსა და მოხუცებულთა ასსკრთა მკედართმთავართაგან მეტყუელისა, მიუთხრწეს ეზეციის. ხოლო იგი, ამით მიმართ სამეფოსა განმძარცუველი შესამოსელსა და ძაძათა შემმოსელი და სახესა უნდოსა მიმუბელი მამულისა საჭულისაებრ, დაერდომილი პირისა ზედა ევედრებოდა ღმერთსა და შეწევნად მოქმენობდა, არცა ერთსა სხუსა სასოებასა ცხორებისასა მქონებელი. და წარმავლინებელი რომელთაჲმე მოყუარეთაგან და მღდელთაჲ ისაიჲს მიმართ წინაწარმეტყუელისა, ევედრებოდა მოქმენობად ღმრთისა და რაჲთა მოქმედი მსხუერპლთაჲ ზოგადისა ცხორებისათჳს ევედროს მას, განცრუვებად ვიდრემე სასოებასა მბრძოლთაჲ, ხოლო შეწყალებაჲა ერსა მისისასა. და წინაწარმეტყუელმან უკუე, ამითმან მოქმედმან და უწყებულმან ღმრთისა მიერ, განაჰკნო თვთ მეფე და მოყუარენი მისნი, მეტყუელმან წინაწარ, ვითარმედ უბრძოლულად ძლეულნი მბრძოლნი წარვიდენ უშუერად და არა ამით კადნიერობითა, რომლითა არიან აწ, რამეთუ ღმერთმან იბრუნვოს, ვითარ განხრწნენ. და თვთ ასსკრთა მეფისა სენაჰირიმოხსისცა. ეგვიპტის შინათა საქმეთა ვერ მიმთხუეულისასა და წარმავალისასა სახით თჳსად, წარწყმელასა იტყოდა რკინითა.

41\*. ხოლო შეუმთხვა მასეე ესმსა ასსკრთა მეფესა მიწერად ეზეციასა ეპისტოლეთა, რომელთა შინა უგუნურად ვიდრემე იტყოდა მას, მეტყუელსა

1 სსბა AQ.

\* IV მეფ. 18,37. 2\* IV მეფ. 19,10; 19,9.

მონებთა მისისაგან ფანვლტოლად, ნათესავთა მრავალთა და დიდთა ქელთ-  
მგდებელისაგან. ხოლო აქადებდა ყოვლითურთ წარწყმედასა მისსა მიმყვანე-  
ბელ იქმნეს რაჲ, უკუეთუ არა წებით ბქეთა განმღებელჲან შეიწყნაროს  
მკედრობაჲ მისი იეროსოლჲმბათა შინა. ამათჲან წარმეთხველმან შეურაცხ-  
ყვნა ღმრთისა მიმართისა სასოებისა ძლით, ხოლო ეპისტოლეთა შემკრველ-  
ჲან ტაძარსა შინა და/სხნა და კუალად ლოცენი ქმნნა ღმრთისა მიმართ  
ქალაქისათჲს და ყოველთა ცხორებისათჲს. ხოლო ისაჲ წინაწარმეტყუელი  
იტყოდა შესმუნათა მისსა ღმრთისაგან და წარმოდგომილსა ესაჲ მოოკრებასა  
სკრისა ნიერ, ვინაჲთგან ეგულები ყოველთა უჩინო-ქმნაჲ მის მიერ. „ხოლო  
იმუშაკით მშვედობით და თჳთა მოურნე ექმნეთ, მონაგებთა არცა ერთისა  
მოშიშნი“. და წარკდა რაჲ ესაჲ და ასკრთა მეფეცა, ვერ მიმთხუეული ეგვპ-  
ტელთა მიმართისა ზედგანზრახვისაჲ, უქმად წარვიდა სახელ თჳსად და ენე-  
ვითარითა მიზეზითა: მრავალი ესაჲ იქმნა მრავალ პილუსიოთსა მოოკრებასა  
შინა და მიწანიცა აწლა აღმღებელნი იყენეს, რომელნი ზღუდეთათჲს აღე-  
მართნეს. და ეგულებოდა რაჲ ბრძოლად მათი, ესაჲ ეთიოპელთა შეფისა თარ-  
სიკონი მრავლისა ძალისა მოყუანებაჲ\* და მოსლვად ეგვპტელთა თანანბრძო-  
ლებისათჲს, ვითარმედ უდაბნოთჲს ჰყოფს სლვასა და ანადათ დაქსნის  
ასკრთა ესაჲ. და მეფე უკუე შეშინებული ამათგან, სენაქირიმის, დაჰქსნა  
ვიდრემე ქალაქისა პელუსიისა ოკრებაჲ და უკუნ-იქცა სახელ თჳსად. ამან  
სენაქირიმისათჲს ჰსწამებს იორდოტოსცა მეორესა წიგნსა შინა აღწერილსა  
მის მიერ დასაბამობათასა და<sup>1</sup> მდღელსა ზედა იფესტოთსასა აღმკედრებასა  
იტყოდა, რამეთუ ესე მეფე ეგვპტელთა მეფესა ზედა ჰოციდა, იფესტოთს  
მდღელად მყოფისა. ხოლო მოოკრებელმან პილუსიოთსმან დაჰქსნა ქალაქისა  
ოკრებაჲ მიზეზითა ესე ვითარითა: ილოცა მეფემან ეგვპტისამან<sup>2</sup> ღმრთისა  
მიმართ, რომლისა მოაჩილქმნილჲან ღმერთმან წყლულუბაჲ მიუვლინა არაე-  
სა, რამეთუ საცთომელ არს ესე, არა ასსკრთა მეფედ მეტყუელი, არამედ  
არავთა. რამეთუ მაიმრაველჲან თავუთამან, იტყვის, ღამესა ერთსა მშვედლნი და  
ნეშტნი ასსკრთანი შეკმნა და ამის ძლით, არა მქონებელჲან მეფემან მშველ-  
თამან, წაროყვნა მკედრობაჲ მისი პილუსიოთთ. და იორდოტოს ვიდრემე ეს-  
რეთ მოგვთხრობს. ხოლო ვიროსოს ხალდეველთასა აღმწერელი მოიციხენებს  
მეფისა სენაქირიმისასა და ვითარმედ ასკრთა ზედა მთავრობდა და ვითარ-  
მედ ყოველსა ასისა ზედა აღიმკედრა და ეგვპტისა, მეტყუელი ესრეთ.

53\*. ხოლო სენაქირიმონ, უკუნქეულმან ბრძოლისაგან ეგვპტელთასა  
იეროსოლჲმად, პოვა მუნ რაფსაკი მკედართმთავრისა ქუეშე მყოფი ძალი.  
და ღმრთისა მიერ მოვლინებთა ერისა მისისაგან განმხრწნელსა სენსა პირ-  
ველსა ღამესა მოოკრებისასა განიხრწნეს ბეფრნი რაცდათქუსმეტნი და  
ხუთ ათასნი<sup>3</sup> მთავართა თანა და წესთმთავართა. ხოლო ამის განსაცდელისა-  
გან შინსა და ბორატსა ძრწოლსა მთავრობილი და შეშინებული ყოვლისა  
მკედრობისათჲს, ივლტოდა ნეშტისა ძალისა თანა სამეფოდ მისსა, ნინო-  
სად სახელდებულად. და მქეცემან მას შინა მცირედსა ესაჲ და ზაყულბით

\* ესაჲ ეთიოპელთა მეფისა მრავალსა ძალსა მოყუანებაჲ თარსეთით AQD. ძიხისა ებ  
ად Aλσιουαν βασιλεια Μαρσιου 10, 2. <sup>1</sup> დაქსნა ვიდრემე... და—AQD. ბეძული ღელის  
ჩვენებს წარმოადგენს S. <sup>2</sup> ეთიოპელთამან AQD, ებ Aλυσεντων 10, 1. <sup>3</sup> IV მეფ. 19, 35;  
19, 37. <sup>4</sup> μνημόβει δεινακλιθια και πνευμασιολοι 10, 1 (=185 000).

მოკუდინებულმან უპირველესთა ყრმათაგან, აღრამახოვასა და სელევსაროვასა, დაასრულა ცხორებამა საკუთარსა სახლსა შინა მისსა\*, არასკიდ სახელდებულსა. და სხუანი ვიდრემე, ლტოლვილნი მოქალაქეთა მოკუდინებისათჳს მამისა, სომეხთად წარვიდეს. ხოლო მიითულა მეფობამა შემდგომთა მათთაჲს სენაქერიმომს ძეჲს, არახოდას. დასასრული ვიდრემე ასკურელთა მკედრობისამ იეროსოლჳმელთა ზედა ესევეთარი იქმნა.

01. 2.

- 11\*. ხოლო ეზეკია მეფემან, ესრეთ საკვრველად კსნილმან შიშთაგან, სამადლობელნი ჯოვლსა ერისა თანა მსხუერპლნი შეწირნა ღმრთისა, რამეთუ არცა ერთი სხუამ მიზეზი იყო მბრძოლთაგან რომელთამე განხრწნისამ, ხოლო სხუათა შიშთა მსგავსისა დასასრულისამთა წარმდევნელისამ იეროსოლჳმთაგან, გარნა თუ თანამბრძოლებამ ღმრთისა მიერი. ხოლო ყოველსა მკუშეველი მოსწრაფებასა და პატივისმოყუარეობასა ღმრთისა მიმართ, შემდგომად არა შრავლისა სუნსა ბოროტსა შთაფრდომილი წარიწირა ვიდრემე მკურნალთაგან, ხოლო კეთილსა არცა ერთსა ჰგონებდეს მისთვის. და სუნსა
- 172 უკუე ზედ და/ერთო სულმოკლებამ ბოროტი მეფისაგან, უშვილოებასა გულმსიტყუველისა და ვითარმედ ეგულუბის აღსრულებამ, ოჯრად დამტკევებელსა სახლისა და მთავრობისასა თჳსებითისა მონაცუალეობისაგან. შებრუნებული უკუე ესევეთარისა გონებისაგან უფროსლა და მტკივნეული ევედრებოდა ღმერთსა მკირედსა ცხორებისაგან მიცემად მისდა, ვიდრე შვილთა შობადმდე და პირველად მამად ქმნისა ტევებად სულსა წარსლვად მისგან. ხოლო ღმერთმან, შემწყალებელმან მისმან და ვედრებისათჳს შემწყნარებელმან, ვინაფთაგან არა რამეთუ ეგულუბის დაკლებულ-ყოფამ მეფობისა მიმართთა კეთილთაგან, იგლოვს საეკუელსა აღსასრულსა და ამისთვის მოქენე არს ეამსა აღსასრულისასა ცხორებისასა მინიკებად მისდა, არამედ ყრმათა ქმნისათჳს მისდა, შემწყნარებელთა მთავრობისა მისისათა, წარმავლენებლმან ისაია წინაწარმეტყუელისამან უბრძანა უწყებამ მისდა, ვითარმედ განეველტოს სუნსა შემდგომად მესამისა დღისა და ცხორებდეს შემდგომად მისა წელთა ხუთთა და ათთა და ყრმანი იქმნნეს მისდა. ესენი რამ თქუნა წინაწარმეტყუელმან მცნებისაგან ღმრთისა, გარდამატებულებისათჳს სნეულებისა და საკვრველებისათჳს მითხრობილთამსა ურწმუნომ, სასწაულსა რომელსა და საკვრველებასა ქმნად ევედრებოდა ისაიას, რამთა ამთ მეტყუელისამ ირწმუნოს მისი ღმრთისა მიერ მოსლვამ, რამეთუ უცხონი და უზეშთაენნი სასოებათანი მსგავსთავე მიერ ჰაქმეთა დაირწმუნებინან. ხოლო იგი ჰკითხვიდა რამ, რომელსა სასწაულსა ეგულუბის ქმნამ, ევედრა, რამთა მზე უკუნ-აქციოს ადგილსავე მას და არრდილი ქმნილ იყოს სახლსა შინა აწლა ათთა ხარისხთა წარსლვითა და ზედმიანიჭოს მას იგი. ხოლო წინაწარმეტყუელი ევედრა ღმერთსა, რამთა სასწაული ესე მიანიჭოს და უჩუენოს მეფესა. და ვინაფთაგან იხილა, რომელი ენება, მეყუსეულად დაიჴსანა სენი და აღვიდა ტამრად და, თაყუანრამკემელმან ღმრთისამან, ქმნნა ლოცვანი.

\* საკუთარსა... მისსა] და შევედრა მის თჳსსა A.Q.D. ძველში ეფი ბიდი აფი 'Aραძიუ 2.10.10 (==დასაფლავდა თავის საკუთარ ტაძარში, არასკიდ წოდებულში. A.Q.D-ს არასწორი ზეგნება გამოუკველსა :ქრეს ზმნის ამ კონტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობის ვადმობეობა და ბ აფი-ის ნაცულად ბ აწი-ის თარგმნი). 10 IV მეფ. 20,21. ესაია 38,1.

2\*. ხოლო ამას ყოველსა ეამსა შეემატება ასსკრთა მთავრობასა დაქსნაბი მიღთაჲნი. და ამითჲს ვიდრემე ცხად-გყო სსუაჲა შინა. ხოლო ვაველონელთა მეფე, ვალადას სახელით, წარმავლინებელი ეზეკიასს მიმართ მოხუცებულთა და ძლუენთა მიმღებელთაჲს, თანა-მბრძოლ და მოყუარე-ყოფად ვედრებოდა მას. ხოლო მან, მოხუცებულთა სიტყობებით შემწყნარებელმან და მასერებელმან და საუნჯეთა მაჩუენებელმან მათდა და საქურველთა შემზადებასა და სსუათა სიმდიდრეთა, რომელი და რაოდენი რაჲ აქუნდა ოქრომასა და ქვითაჲს და თანად ძლუენთა მიმცემელმან მიცემად ვალადამსა, განსტეუნა მისა მიმართ. ხოლო ისაჲა წინაწარმეტყუელი, მისა მიმართ ვიწევნელი, იკითხვიდა, სადაჲთ არიან მოსრულნი.

და იგი უკუე ვაველონით ეტყოდა მოსლვისა მათსა უფლისა მათისაგან. „ხოლო უჩუენუნ ჩუენ შორისნი, რაჲთა მხილველთა სიმდიდრისათა და ძალსაცა ამისგან მეჭუელთა აქუნდეს უწყებაჲ მეფისა მათისაჲ“. ხოლო წინაწარმეტყუელმან, მიმგებულმან, „უწყოდ, პრქუა, შეზღვომად მცირედისა ეამისა ვაველონად გარდადებად სიმდიდრისა მის შინამსა და შეილისშვილთა საქურის-ქმნაჲ და წარწყმედაჲ მამაკაცად ყოფისაჲ, ვინათგან ჰმონონ ბაბილოვნელთა მეფესა, რაჲმეთუ ამათ წინაწარ-იტყუს“. ხოლო ეზეკია, შეწუხებულმან თქუმულთა ზედა, თქუა არა ვიდრემე საწაღელ უსევეითართა განსაცდელთა შინა შთაგრდომამა ნათესჲსა მისისაჲ, ხოლო ვინათგან არა შესაძლებელ ღმრთისა სათნოთა გარდაცვალებამ, ილოცვიდა ცხორებასა შინა მისსა მშკლობისა ყოფასა.

მოიკსენებს უკუე ვაველონთა მეფისა ვალადამსსა ვიროსოსცა. ხოლო ამან წინაწარმეტყუელმან, მართლიად საღმრთოდ მყოფმან და საკვრველმან, ჰეშპარტებით მიწოდებულმან ყოვლითურთ არცა ერთსა ცრულსა თქუმსათჲს, ყოველნი, რაოდენნი იწინაწარმეტყუელნა, დამწერელმან წიგნსა შინა დაუტეუნა დამსარულსაგან საცნაურნი კუალად მყოფთა კაცთათჲს. და არა ამან წინაწარმეტყუელმან, არამედ და სსუათაცა, ათორმეტთა რიცხვთ, / ესევე იმოქმედნეს და ყოველივე, ვინა თუ კეთილი, ანუ ბაროტი ოქმნების ჩუენ შორის, მათისა წინაწარმეტყუელებისაებრ სრულ-იქმნების. არამედ თითოეულსა მათსათჲს კუალად მოთხრობა ვყოთ.

თ. 3

1\*. ხოლო ეზეკია მეფე, ცხოვნებული ეამსა, რომელი წინაწარ-ეტქუთ და ყოველსა ანას მშკლობით მყოფი, აღსრულდა, სრულმყოფელი ორმოცდა-მეათესა და მეთათესა წელსა ცხორებისასა, ხოლო ოცთა მჭეფობი და ცხრათა. ხოლო მომთუალველმან მეფობისამან ყრამან მისმან მანასის, დედისაგან ვიდრემე აქაიამას სახელით, ხოლო მოქალაქისაგან ქმნილმან, განაყენა თავი თჲსა ნამისა წარმართებათაგან და წინააღმდეგობად ვიდოდა, ყოველსა სახესა სიბოროტისასა მაჩუენებელი პირველად, არცა ერთსა უსახურებასა დამტევებელი, არამედ მიმსგავსებელი უსჯულოებათა ისრაილიტისასა, რომელთა მიერ, მცოდველნი ღმრთისა მიმართ, წარწყმდეს. ხოლო იქაღრა ტაძრისაცა ღმრთისა შეგინებაჲ და ქალაქისაჲ და სოფლისა ყოვლისაჲ, რაჲმეთუ აღძრულ-

\* IV მეფ. 20,12. ესაჲ 39,1. IV მეფ. 20,17. ესაჲ 39,6. 1\* IV მეფ. 20,21. II ნმტ. 32,33.

მან ღირსა მიერისა შეტრაცხყოფისაგან ყოველნი მართალნიცა ევრელთა შორის ნიკელდინა, რამეთუ არცა წინაწარმეტყუელთაა აქუნდა რიღებამა და ამათანცა რომელთამე დღითი-დღე მოაკუდინებდა, ვიდრეღა სისხლითა წარირღუნებოდეს იეროსოლკმანი. ამათ ზედა უკუე ფანროსებებულმან ღმერთმან წარავლინა წინაწარმეტყუელნი მეფისა მიმართ და სომარელისა, რომელთა მიერ აქადა იგივე განაკუდინი, რომელთა შინა შთაჯრდომამა შედგომხვა ძმათა მათთა ისრაილიტთა, მისა მიმართ მაგინებულთა. ხოლო მათ სიტყუთა ვიდრემე არა ირწუნეს. რომელთა მიერ შემძღებელ იყვნეს შეძინად არცა ერთისა ბოროტისა წინათხუევასა, ფარნა საქმეთაგან ისწავეს ქეშმართებამა, წინაწარმეტყუელთა მიერ თქუმულთა.

2°. რამეთუ ვითარ მათე ზედა დადგომილ იყვნეს, ბრძოლამ აღძრა მათ ზედა ვაველონელთა და ხალღველთა მეფისამა, რომელმანცა, მკედრობამა წარმაგუნელმან იუდიასა ზედა, სოფელი მათი განფხურა და მეფე მანასსი, ზაყულებით პყრობილი და მისა მიმართ მიყვანებული, პატრიკისა მიმართ, რომელსა მნებებელ იყო, კელისქუეშედ აქუნდა. ხოლო მანასსი, მამინ ვულოსკმინამყოფელი, ვითართა ბოროტთა შინა არს და ყოველთათეს მინებად თავსა თესსა მიქუტლი, ევდრებოდა ღმერთსა მინიჭებასა მისდა მბრძოლისასა კაცობოყუარედ და მოწყალედ. და მიანიჭა ესე, ვედრებისა მისისა შემსხენელმან ღმერთმან და კუალად სახიდ თესად განტეგებული მანასსი ვაველონელთა მეფისაგან წარვიდა. ხოლო იქმნა რამ იეროსოლკმათა შინა, პირველ ვიდრემე ნაკოვებთასა ღმერთისა მიმართ და ქსენებასაცა მოსწრაფე იყო, შესაძლებელ თუ იყო ესე, ფანჯად სულსაგან, რომელთაცა ზეღვანზრახვად მიიმართა და ყოველსა შინსა ქონებად თავისა თესისათეს. და ტანარი ვანწხდა და ქალაქი და მიერთებან იყო მხოლოდსა მადლობისა შეწირვად ღმერთსა მიმართ ცხოვრებისა და დაცვისათეს მისისა სიმშუდით ყოველსა ცხოვრებასა შინა. ხოლო შგავსთა ამათა მოქმედებამა და სინრავლესაცა აწავა განსწავლულმან. ვითარ კინდა იკუშია განსაცდელი წინააღმდეგომისა მოქალაქობისათეს. და აღსარულებდა სჭულიერთაცა მსხუერპლთა, ვითარცა ვანწესნეს მოქსის, ცომონსა შემშადებელი. ხოლო განმაგებულმან მსახურებისა ძლითთამან, ვითართა ჭერ-იყოს, სახითა იეროსოლკმათაცა სიმტკიცისა იხრუნა, ვიდრეღა ძუელნი ზღუდენი მრავლთა მოსწრაფებითა შექმზადნა და სხუადცა პრთო მათ ზედა და თანად მაღალნი კოშკნი აღჰმართნა წინამე ქალაქისა სამკველონი, სხუათაცა მიერ და თანად საზრდელთა ყოველთა მათ შინა საკმართა მიერ უძლიერეს-ქმნნა. ამისთვისცა მათდა მობროძსა გარდაცვალებისა მტემეცელმან ესრეთ წარვლო საშუვალნი ვამი, ვიდრეღა სანატრელ იქმნა და საშურველ გულისპიტყუველი მის-ქამისამა, რომელთ იწყო მსახურებად შეპდგომად ღმერთისა. ცხოვრებულმან უკუე წელთა სამეოცდა და შუთა, დაქცია ცხოვრებამ, მმეფობმან წელთა ხუთთა /და ორმეოცდაათთა. და დაეფლა სამოთხეთა შინა მისთა, ხოლო მეფობამა მიიწია ძინა მისისა აწმონამსა, რომელი მიმთხუეულ იყო დედისა, ეშმასელმის სახელით, ქალაქისა იატავატისაგან მყოფსა.

1 ქუე-ქუე A. 2 იეროსოლკმათაცა. 3 და-იგი მე AQ.

• II ნებტ. 33,11; 33,13. IV მეფ. 21,18. II ნებტ. 33,20.

თ. 4

1\*. ესე, მიმსგავსებული იბაძისა საქმეთაჲ, რომელნი მან, კაბუჯად მყოფ-  
 მან, იკადრნა, ზედგანზრახული თვისთა მონათაგან მოკულდა სახლსა შინა თქსსა,  
 ცხორებელი წელთა ოთხთა და ოცთა, მძეფობი ამათგან ორთა. ხოლო სიმ-  
 რაველემან მოაკულდინა მკლველნი მისნი და დაპულნეს იგანი ამზონას თა-  
 ნა<sup>1</sup>\*, ხოლო მძეფობად მისცეს ყრბასა მისსა იოხისა, რვისა წლისად მყოფსა,  
 რომლისა დედაჲ ვიღრუმე იყო ქალაქისა ვოსაქეთისაგან, სახელით იფდი.  
 ხოლო ბუნებთი კეთილი იყო ესე და სათნოებისა მიმართ კეთილქმნილი და  
 დავიდის მეფისა წარმართებთა იგავად და სახილ ყოვლსა ცხორებთსა ში-  
 ნასსა მოქალაქობისა მკუმეველი იყო. ხოლო იქმნა რაჲ წელთა ორ და ათ-  
 თაჲ, კეთილმასხურებაჲ და სიმართლე აჩუენა, რამეთუ გონიერ-ჰყოფდა ერსა  
 და განაზრახებდა, რამთა. კერბთა მიმართისა მეკუმელობისაგან, ვითარ არა  
 ღმერთთაგან, მისახურებდენ მამუელსა ღმერთსა. და თანად. ვაჰომეძიებელი  
 საქმესა მშობელთასა, ნაცოდვებთა ვიღრუმე განმპართებდა გონიერებით, ვი-  
 თარ მოხუცებულად მყოფი და გულისკვის-ყოფად ჭკროვანსა შემძლებელი.  
 ხოლო რაოდენთა ჰპოვებდა კეთილად ქნაღთა, დაიცვოდა და მოემსგავსებოდა.  
 და ამით უკუე იქმოდა სიბრძნითა და გონიერებითა ბუნებისაჲთა, განზრახვა-  
 სა და გარდაცემასა მკუმეველი. რამეთუ შედგომილ იყო საუღლათეს. ვიდ-  
 რელა განწესებთა ქალაქისასა და ღმერთისა მიმართსა კეთილმასხურებაჲ  
 წარმართებაჲ შეემთხუეოდა, ვინამთგან არა იყო ესეულთაჲ პირველთაჲ,  
 არამედ უჩინოქმნილ იყო. რამეთუ მოკვლელმან მკლემან ქალაქსა და სო-  
 ფელსა ყოველსა სურტყოვანნი, განტევებულნი უცხოთა ღმერთთათეს, მოჰ-  
 კუეთნა და ვომონნი მათნი დაამკუნა. ხოლო ვინამთგან შესაწირავი რამე  
 მშობელთა მათთაგან აღდებულ იყო მართა, შთამომუხებურიდა და ამით სახი-  
 თა ერი მათ მიმართისა პატივისაგან ღმერთისმასხურებად მიჰქცია და ჩუეულე-  
 ბითთა მსხუერბლთა შესაწირვიდა ვომონსა მისსა ზედა და ყოვლადსაწუ-  
 ველთა. ხოლო იანაჩინსა ვიეტნიმე მსჯელნიცა და ზედამხედველნი, რამთა  
 განაგებდენ თითოეულისა საქმეთა, ყოვლისათეს სამართალსა მოქმედნი და  
 არა უღარეს სულისაგან, დამკველნი მისნი. ხოლო წარმავლენებლან ყოვლი-  
 სა სოფლისა მიმართ, ოქროსა და ვეცხლსა უბრძანა მგულებელთა მიღებაჲ  
 შემზადებისათეს ტაძრისა, რაოდენაჲცა ვინ შემძლებელ იყოს წინაღობისა  
 ანუ ძალისაგან. და მიიხუნენა რაჲ საკმარისი, მოურნეობასა ზედა ტაძრისასა  
 მისა მიმართისა წარსაგებელსა ზედა დაადგინა ქალაქის ზედაჲ ამასია და მწი-  
 გნობარი საფან და მწერალი მოსაკსენებელთაჲ იოატი და მღვდელთ-  
 შთავარი ელიაჲ, რომელნი, არცა ერთსა უღებებასა და მიმყოვრებასა მი-  
 ცემელნი, ხუროთმოძღვართა და ყოველნი, რაოდენნი აღშენებისა მიმართ საკ-  
 მარ არიან, შემზადებულნი, მქონებელ იყუნეს საქმეთა. და ტაძარმან ვიღრუ-  
 მე, ესრეთ აღშენებულმან, კეთილმასხურებაჲ მეფისაჲ ცხად-ყო.

2\*. ხოლო აწდა მერვესა და მეათესა წელსა მეფობისა მქონებელმან  
 წარავლინა ელიაჲს მიმართ, მღვდელთმთავრისა, მბრძანებელმან, რამთა, ნა-

1 ამბთ A.

\* IV მეფ. 21,20. II ნებტ. 33,22. IV-მეფ. 22,1. II ნებტ. 34,1; 34,3. 1\* αει εφ  
 πατρι σοφοτατοι εν Αμωνα 10<sup>18</sup> (= დაფლეს ამონა თავის მამასთან). \* IV მეფ. 22,3.  
 II ნებტ. 34,8. IV მეფ. 22,1. II ნებტ. 34,19.

მეტწიესა საქმართასა აღმადნობელმან, ქმნეს საწლდეველნი და ჭურჭელნი სამსხუერპლონი და ფიალნი სამსახურებელნი. და მერმეცა, რაოდენი იყოს ოქროს საუნჯეთა შინა, ანუ ვეცხლი, და რამთა ამისთა მომღებელთა საწდეველთა მიმართ და სხუთთა ჭურჭელთა აღლიცნენ. ხოლო მოიღებდა რამ ოქროსა, მღღელთმთავარი ელიაქია მიემთხვა სამღღელთა წიგნთა მოვსოსთა, ტაძართა შინა მღებარეთა. და მიწლებელმან მისცნა მწიგნობარსა საუნას.

ხოლო იგი, წარმოთხველო, მიიწია / მეთესა მიმართ და ცოველთა, რაოდენნი უბრძანა, დასასრულსა ქონებამ აუწყა და წარუეთხნა მას წიგნთა მათნი. ხოლო მსავენელმან და ფარემომხეთქელმან სამოსლისაჲმან, მოწოდებელმან მღღელთმთავრისა ელიაქიასმან და თვთ მის მწიგნობრისამან და რომელთამე უსაკუთრესთა მოყუარეთაგან, წარავლინა წინაწარმეტყუელისა მიმართ ოლდას, ცოლისა უკუე სელუმოშსა, საჩინოსასა რომლისამე დიდებითა და ნათესავობითა. და წარსრულთა უბრძანა სიტყუად, რამთა ევედროს ღმერთსა და ძაწრათოს მოწყალე-ყოფად, რამეთუ შინა არს, ნუსაჲდა მოვსოს სჯულთა გარდასლეთთა მწობელთა მათთადთა დაჭირებულ ოქმნენ დაუდგრომელად-ყოფად და მამულისაგან განვრდომილთა. უცხოსა ზედა ოვერთა ყოველთაგან დააქციონ საწყალადებულად ცხორებამ. ხოლო წინაწარმეტყუელმან, მამენელმან ამათმან წარვლინებულთა მათგან, რომელნი წარავლინა მეფემან, უბრძანა მათ, წარსრულთა მეფისა მიმართ, თქუმაჲ, ვითარმედ აწყე მათ ზედა განჩინებამ მთილო, რომელი არაგინ ქმნეს დაუმტკიცებელ ვედრებათა მიერ, წარწყმედად ერსა და სოფლისაგან განქლად და ყოველთა მიღებად აწ მყოფთა კეთილთა, ვინამთგან გარდაჰქლეს სჯულთა და ესოდენსა საშუვალ წარსრულსა ეამსა არა შეინანეს და თანად წინაწარმეტყუელთა მიერ გულისკმის-ყოფად სწავლულსა და სასჯელთათვის უსჯულოებათათვის წინაწარვე მტყუელთა, რამთა ირწმუნონ, ვითარმედ ღმერთი არს. და არცა ერთი ცრუ ოქმნა, დაცადნეს მერმეცა განსაცდელნი და შემდგომად აღსრულებისა მისისა განჩინებულნი ვნებანი მოუვლინნეს ერსა.

3\*. და მათ ვიდრემე უწინაწარმეტყუელა<sup>1</sup> დედაკაცმან, წარსრულთა მიუთხრეს მეფეჲსა. ხოლო მან, წარმავლენელმან ყოველთაგან, უბრძანა მოსლვაჲ ერისაჲ იეროსოლუჲად და მღღელთა და ლევიტელთა, ჰასაჲსა ყოველსა მიწვენად მბრძანებელმან. ხოლო შეკრბეს რამ იგინი, პირველად მათ წარუეთხნა სამღღელინი წიგნნი. ამისა შემდგომად, დადგრომილმან ხარისხსა ზედა საშუვალ სიმრავლასა, ფიცთა ქმნა და სიტკიცე აიძულა, რამთა ჰმსახურებდენ ღმერთსა და დაიცვენენ სჯულნი მისნი. ხოლო მათ გულსმოდგინებით აქეს და ჰეთესა მიერ განხრახულთა ქმნაჲ აღუთქუეს და მმსხუერპლველნი მეყუესულად და კეთილმეწიწირველნი ევედრებოდეს ღმერთსა, რამთა საბიერ და მოწყალე იქმნეს მათ. ხოლო მღღელთმთავარსა უბრძანა, რამთა რომელიცა ნამეტრავი მშობელთაგან ჭურჭელი კერპთა და უცხოთა ღმერთთათვის შექმნილ იყოს ერისა შორის, გამოიღონ ესე. და შეცრბნეს რამ მრავალნი, დამწუვრელმან მათჲმან მტუტრად ცანაზნია. და მღღელნი კერპთანი, არა მყოფნი აარონის ნათესავისაგან, მოაკულინნა

<sup>1</sup> იწინაწარმეტყუელა A.Q.D. უწინაწარმეტყუელთ S.

\* IV მეფ. 22,1. II ნეშტ. 34,27.



4. და ამასვე იეროსოლუმათა შინა მოქმედი წარვედა სოფლად და შემზადებულნი მას შინა იეროვამოხს მიერ მეფისა პატრიკოსათჳს უცხოთა ღმერთთაჲსა უჩინო-ყენა და ძუალნი ცრუ წინაწარმეტყუელთანი ვოპოჲსა ზედა, რომელი შეჰმზადანა-პირველად იეროვამოხს, დაწუნა.

ხოლო ესენი შთამოსრულმან ვინმე იეროვამოხს მიმართ, მსხუერპლევად რაჲ იფი, სასამენელად ყოვლისა ერისა წინაწარ-თქუნა ქმნადნი და შეემთხვა ამათ დასაბრუნლსა მიღებაჲ, ვითარჲდ ღავიდღს ნათესვისთაგანი ვინმე, იოსია სახელით, ქმნეს წინაწართქუმულნი შემდგომად წელთა სამასთა დასამეოკთა და ცრითსა.

5\*. ამათსა შემდგომად მეფემან იოსია, წარსრულმან სხუათაჲ მიმართ აღრაილიტთა, რაოდენნი ტყუეობასა და მონებასა ასსურთასა განეცლტნეს, დატევებაჲ ვიღრკმე უსჯულოთა საქმეთაჲ და პატრიკოსთა უცხოთა ღმერთთა მიმართ არწმუნა, ხოლო მამეულისა და დიდისა ღმრთისა მსახურებაჲ და ამისი მიმართ სასოებაჲ, და თანად სახლნი და დაბანი გაპოიბინა და ქალაქნი, მექუელმან, ნუსადა ვის შინაგან აქუნდენ კერპნი. არა ესე მხოლოდ, არამედ და ეტლნიცა სამეფოთა შინა მდგომარენი, რომელნი შეჰმზადნეს შმობელთა მისთა და სხუად, რომელი რაჲ ესევეთარი იყო, რომელსა თაყუანის-სცემდეს, ვითარ ღმერთსა, აღიხუნა.

და განმწმედელმან<sup>1</sup> ესრეთ ყოვლისა სოფლისამან, იეროსოლუმად მიუწოდა ერსა და მუნ უცომობისა დღესასწაული და პასქად სახელდებულ / აღსარულა, თანად და მიანიქნა ერსა პასქაჲსათჳს თაკანნი და კრავნი სამნი ბევრნი, ხოლო ზუარაქნი ყოვლად დაწაწუცელათჳს — სამ ათასნი. ხოლო მიანიჭებდეს და პირველნიცა მღდელთანი პასქაჲსათჳს მღდელთა კრავთა ორ ათასთა და ექუსასთა<sup>2</sup>. და იქმნა რაჲ ესრეთ უშურველობაჲ ღონიერებისაჲ მღდელთა, აღსარულებდეს მსხუერპლთა მოქსის სჯელთაებრ და თითოეული მღდელთაგანი დაწაფებდა ერთა და განაგებდა.

და არცა ერთისა სხუსა დღესასწაული ესრეთ ევრაველთა მიერ აღსრულეობისა საზღილოჲს წინაწარმეტყუელთა ეამათათგან მიზნჲ იყო, ყოველთა სჯულთაებრ და პირველისა განწესებდისაებრ მამელთა ჩუეულებისა აღსრულებაჲ. ხოლო ცხოვნებულმან შენდგომად ამათსა მშველობით, იოსია მერძეცა სიმდიდრესა შინა და ყოველთა მიერ დიდებასა დააქცია ამით სახათა ცხოვრებაჲ.

თ. 5

12\*. ნებახოს, ეგვპტელთა მეფემან, აღმძრველმან მკედრობისამან, მიიმართა იფფრატსა მდინარესა ზედა, ბრძოლად მიდელთა და ვაეკლონელთა, რომელთა ასსურისა დაპქსნეს მთავრობაჲ, რამეთუ სურვილი აქუნდა ასიაჲსა მეფობისაჲ. და ვინათგან მოიწია მენდ ქალაქად, ხოლო იყო ესე იოსიას მეთობისაჲ, ძალისა თანა თვისისა აყენებდა მას თვისისა სოფლისა მიერ ქმნასა

174

<sup>1</sup> განწმედელმან AQ.

\* II ნებ. 34,6. IV მეფ. 23,11; 23,21. II ნებ. 35,1. II ეზრდა 1,1. <sup>2</sup> ექუსასთაჲ + και τοις Αιουθαις πνευματικισιν δρας κθითα οί ποιοιτουεσ ανθρα, წინჲ მ<sup>2</sup> πνευμαთითჲ 10,21 (=ხოლო ლევიტებს ზედამდგომელა პირებმა მიანიქეს ხუთი ათასი კრავი და ხუთასი ქორი). <sup>3</sup> IV მეფ. 23,29. II ნებ. 35,20. II ეზრდა 1,25.

წარსლუასა მადელთა ზედა. ხოლო ქადაგებისა წარმავლენელი მისა მიმართ ნებაოს, არა მის ზედა აღმკვდრებასა ეტყოდა, არამედ ევფრატისა ზედა მიმართებასა და უბრაბანებდა არა განარსებებასა. მისსა, ვითარამცა ჰბრძოდა მას, მაყენებელსა წარსლად, რომელთა<sup>1</sup> ზედა მნებებელ. არს. ხოლო იოსია არა შეიწყნარებდა ნებაოს მიმართ, არამედ ესრეთ აქუნდა, რათა არა შეუნდოს მას თჳსასა სოფლისა მიერ წარსლვამ, ვითარ ეპკონებ, მიმართებულთა ბითა წილხუდომისადაჲ მისა მიმართ, რათა მიიღოს მის ზედა მიზეზი. განაწესებდა რამ უკუე იგი ძალსა და ეტლსა ზედა ვილოდა, მტყორცებელმან ვინმე ეგვპტელთაგან მისა მიმართ ისარსა. დააცხრვო ბრძოლისა მიმართისა მოსწრაფებისაგან. ხოლო წყლულისაგან ტყევეულქმნილმან ბრძანა აღმოწოდებაჲ მკედრობისა და მიიქცა იეროსოლვმად. ხოლო დაასრულა წყლულებისაგან მიერ ცხობებაჲ და დაეფლა მამულთა ლარნაეთა შინა დიდმუენარებთ, ცხობენული ვიდრე წელთა ოცდაათცხრაშეტთა, ხოლო მმეფობი ამათგან ერასა და ოცდაათთა. და გლოვამ უკუენას ზედა ყოვლისა ერისაგან აღესრულა მრავალთა დღეთა, მგოდებელთა და მწუბარისაგან. ხოლო იერემია წინაწარმეტყუელმან საფლავისზედაჲ შეაწყო მისთვისა გლობაჲ ვოდებთ, რომელი ვიდრე მოაქამომდღე დადგრომილ არს. ამან წინაწარმეტყუელმან და ცულუებადნიცა ბოროტნი წინაწარამყენა ქალაქსა წერილსა შინა და დამტვევებელმან და აჲ ჩუენ ზედა ქმნილისა ტყუეობისამან და ვაეკლონისაცა პყრობისამან. და არა მხოლოდ ამან აუწყნა ესენი ერსა. და იეზეკილსაცა, პირველად ამათვის ორთა წიგნთა დამწერელმან, დაუტყენა. ხოლო იყენეს ორნივე ნათესავით მდღელნი. არამედ იერემია ვიდრემე იეროსოლვმათა შინა მყოფი იყო მეათსამშეტით წლითგან იოსიას მფლობისა ვიდრე დამკობადმდე ქალაქისა და ტაძრისა. და შემთხუეულნი ვიდრემე ამას წინაწარმეტყუელისანი თჳსსა ადგილსა ცხად-ვეყნეთ.

2\*. ხოლო აღსრულდა რამ იოსია, ვითარცა წინაწარ-ვთქუთ, მოითუდა მეფობაჲ ყრმამან, / თაბაზოზს სახელით, მესამესა და მეოცესა წელსა შინა აწლა ქმნილმან. და ესე ვიდრე იეროსოლვმათა შინა მეფე იქმნა, დედისა ავტელისაგან, ქალაქისა ტოვანისაგან, ხოლო ესჯულოჲ და საძაგელი ქვევითა.

და ეგვპტელთა უკუე მეფენან, უკუნქცუელმან ბრძოლისაგან, მიუწოდა ითაბაზოზს მისა მიმართ ამათა წოდებულად ქალაქად, რომელი არს სყრიაასა. და იგი ვიდრემე, მისრული, შეკრა, ხოლო პირმშოსა ძმასა მისსა, ერთისა მანასაგან მყოფსა, ელიაჲიმოსს სახელით, მისცა მეფობაჲ, გარდამასახელბუნან მისმან ითაჲიმოდ. ხოლო სოფელსა განუწყესა ასთა ტალანტთა ვეცხლათა მიცემაჲ და ერთსა — ოქროსასა. და ამას ვიდრემე სიმრავლესა საქართასა მისცემდა ითაჲიმოსს, ხოლო ითაბაზოზს წარიყვანა ეგვპტედ, რომელი და აღსრულდაცა მას შინა, მმეფობი თუეთა სამთა და დღეთა ათთა. და დედსა უკუე ითაჲიმოსს ეწოდებოდა ზაფედა, ხოლო იყო ქალაქისაგან ავუ-მამასა. და იყო უკუე მუნებთი უსამართლო და ბოროტისმოქმედ და არცა ღმრთისა მიმართ ღირსი, არცა კაცთა მიმართ სახიერი.

<sup>1</sup> სლთა AQ. \* წილხოდომისათა.

\* IV მეფ. 23,31. II ნეშტ. 36,1. II ეზრდა 1,34. IV მეფ. 23,33. II ნეშტ. 36,3. II ეზრდა 1,35.

თ. 6

1\*. ხოლო აწლა მეოთხე რაჲ წელი მეფობისაჲ აჭუნდა მას, ვაცვლონელთა მთავრობაჲ მთილო ცინჲ ნაფუხოდონოსოროს სახელით, რომელი მასვე ეპასა დიდისა თანა შემზადებისა აღმოვიდა და კარხამისსა ქალაქად, ხოლო არს ესე მახლობელად ედფრატისა, ბრძოლად მსგებებელი ნესხაჲს, ეგვტელთა მეფისაჲ. ხოლო ამას ქუეშე იყო ყოველი სურიაჲ. ხოლო ისწავა რაჲ ვავლოვნელისა წინააღრჩევად და მის ზედა აღმკედრებაჲ ნესხოს, არცა იგი უღებ-იქმნა და ბრძოლად მიიბართა ედფრატსა ზედა. ხოლო იქმნა რაჲ წყობაჲ, იძლია და მრავალთა ბეგრეულთა დამტყვებელ იქმნა ბრძოლასა შინა. და ვავლოვნელმან უკუე, განსრულმან ედფრატსა ვიდრე ბილუსიოდმდე, მთილო სურიაჲ გარეშე იუდაჲსა. ხოლო აწლა მეოთხეთა წელთა ნავუხოლონოსოროჲს მეფობისათა, მერვე იყო იოაკიმოჲსა, ევრათელთა მთავრობასა მქონებელისა, და აღიმკედრა მრავლისა ძალისა თანა თუღელთა ზედა ვავლოვნელმან, ხარკთა მთხოველმან იოაკიმოჲსაგან, ანუ თუ ბრძოლასა მაქადებელმან. ხოლო მან. შეშინებულმან ქაღებ-საგან და მშველობასა ნაცვალმცუალბებულმან საკმართაგან, ნორათუნა მას ხარკნი, რომელნიცა განუწესნა სამთა შინა წელთა.

21\*. ხოლო მესამესა შინა, აღმკედრებასა მსმენელი ეგვტელთასა ვავლოვნელსა ზედა და ხარკთა არა მიმკემელი შისდა, ცრუ-იქმნა სასოებთაგან, ხოლო ეგვტელნი მკედრობისა კმნად არა მკადრე იქმნნეს. ხოლო ამათ იერემია წინაწარმეტყუელი ყოველსა დღესა წინაწარ-ეტყოდა, ვითარმედ ანაოდ მინდობილობენ ეგვტელისა მიმართ სასოებათა ზედა და ვითარმედ განსაზღვრებულ არს ქალაქისა ვავლოვნელისა მიერ დამკობაჲ და იოაკიმოს მეფისაჲ მის მიერ კელთგდებულობაჲ. არაჲდ ესენი არცა ერთისა საკმარებისა მიმართ ითქუმოდეს. ვინაჲთვან არა იყვნეს მგულბებლნი ცხოვნებად. და რანეთუ სიბრავლე და მთავარნი, მსმენლნი, უღებ-ყოფდეს და რისხვისა მიიღებდეს თქუმულთა ზედა და ვითარ მზხნელსა მეფისათჲს, აბრალბედეს წინაწარმეტყუელსა იერემიას და სამსჯავროდ წარმადგინებლნი განჩინებასა / დასჯისასა ევედრებოდეს. და სხუათა ვიდრემე ყოველთა მოიღეს განჩინებაჲ მას ზედა და მოხუცებულთა განწირეს. ხოლო რომელნი იყვნეს ბრძინა გონებინანი, განუტყუეს წინაწარმეტყუელი ეზოიით და სხუათაჲს განაზრახეს, რამათა არარაჲ ბოროტი უყონ იერემიას, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ არა ესე მხოლოდ იტყუნს გულგებადთა ქალაქისათჲს, არამედ და მიქეაცა წინაწარმეტყუელი ამისსა ესტონივე თქუნა და სხუათა მრავალთა, რომელთაგანი არცა ერთი მოკლდა მამინ მყოფთა მეფეთაგან, არამედ ვითარცა წინაწარმეტყუელი ღმრთისაჲ პატრესა მივითხუა. ამათ სიტყუათა მიერ დამამშველებელთა სიბრავლისათა იქსნეს. განჩინებულთა დასჯისაგან იერემია, რომელმანცა, ყოველთა წინაწარმეტყუელბათა მისთა აღმწერელმან, იმარხვიდა რაჲ ერი და შეკრებულ იყო ტაძარსა შინა თუესა მეცხრესა, მეხუთესა წელსა იოაკიმოჲს მეფობისასა, წარკითხა წიგნი, რომლისა შემაწყობელ იყო შევთხუეად გულგებადთათჲს ქალაქისა და ტაძრისა და ერთა. და ესმნეს რაჲ მთავართა, მოიღეს მისგან წიგნი და უბრძანეს მას და მწიგნობარსა ვარუხოსს შორს კმნად

175

\* IV მეფ. 24,1. იერემია 46,2. 1\* იერ. 26,1; 36,9.

თავთა თესათაჲ, რამთა არა ცხად-იქმნენ ვიჯთღამე. ხოლო მათ, წიგნისა მიმ-  
ღებულთა, მიფუქსა მისცეს. და ვინათგან მდგომარე იყვნეს მუნ მდგომარენი  
მონი, უბრძანა მწიგნობარსა თესსა, მიმღებულსა, წარკითხვამ. ხოლო მიფუ-  
ქსან, მსკენელმან წიგნის შინათამან და განრახებულმან, განხუტვა თანად და  
ცუცხლსა შთამავლებულმან, უჩინო-ყო! და მიება ბრძანა იერეზაჲსი და  
მწიგნობრისა ვარუხოჲსი და მიყვანებაჲ მისა მიმართ დასასჯელად. ესენი ვიდ-  
რემუ უკუე განევლტენეს რახვასა მისსა.

3<sup>ა</sup>. ხოლო შემდგომად არა მრავლისა უამისა აღმკვირვებელი მის ზედა  
მეფე ვავეკლონელთა შეიწყნარა შიშისა ძლით წინაწარმეტყუელსა მიერ  
თქმულთაჲსა, არა რომელსა ბოროტსა მექუელმან ვნებად მათდა, არცა დამე-  
შველთა და არცა მძრძოლთა. გარნა არა დაიხარხნა აღთქუმანი წარსარულმან  
მისა მიმართ, არამედ უკაბუტუქსნი და შეუნიერებითა უმჯობესნი იეროსოლ-  
კმელთაგან მოაქედინნა მეფისა თანა იოაკიმოსსა, რომლისაჲ დაუფლველად  
ბრძანა განვდება წინამე ზღუდეთა, ხოლო ძე მისი იონაქიმოს დაადგინა  
მეფედ სოფლისა და ქალაქისა. და ღირსებრსა შინანი, სამ ათასნი მყოფნი  
რიცხვთ, ესენი, მიმყვანებულმან, წარიყვანნა ვავეკლონად. ხოლო ამათ შო-  
რის იყო და წინაწარმეტყუელი იუზევილოსცა, ყრმად მყოფი. დასასრული  
ვიდრემუ ესევითარი ეწია მეფესა იოაკიმოს, ცხორებულსა წელთა ექუსთა  
და ოცდაათთა, ხოლო ამათგან მმეფობსა ათერთმეტთა. ხოლო იონაქიმოს,  
წინამეტყუელი მეფობისა მისისაჲ, დედისაგან ცილურ ნოოსტის სახელით,  
მოქალაქისაგან, მეფობდა თუეთა სამთა და დღეთა ათთა.

## 01. 7

1<sup>ა</sup>. ხოლო მეფე ვავეკლონელთა, მიმცემელი მეფობასა იონაქიმოსსთეს,  
მეყუსულად იბერა შიშმან, რამეთუ შეეშინა, ნუსადა ძვრისმოცხენემან მისა  
წინართ მართსა მოკლდინებრსათეს განაყენოს სოფლისა მისგან. წარმავლინე-  
ბელი უკუე ძალისაჲ აოჯრებდა იონაქიმოს იეროსოლკმათა შინა. ხოლო  
მან, ბუნებით სახიერად მყოფმან და მართლმად, არა ინება ქალაქისა, და-  
კირვებულისაჲ მის ძლით, უგულუბელსყოფამ, არამედ, მიმყვანებულმან დე-  
დისა და ნათესავთამან, მისცნა წარმოვლინებულთა მკედართმთავართა ვავე-  
კლონელისა მიერ, ფიცთა მიმღებულმან, ვითარმედ არარაჲ ევენოს მათ  
და არცა ქალაქსა. გარნა არცა წელსა / ერთსა დაადგრა აღთქუმად, რამეთუ  
არა დაიცვა იგი ვავეკლონელთა მეფემან, არამედ ამცნო მკედართმთავართა  
ყოველთა ქალაქის შინათა პყრობამ ტყუედ ჭაბუკთაჲ ჰასაკითა და კელო-  
ვანთაჲ და შეკრულთა მოყვანებაჲ მისა მიმართ. ხოლო იყვნეს ესენი ყოველ-  
ნი ბევრნი და რვაასნი და ოცდაათორმეტნი. და იონაქიმოსიცა დედისა  
თანა და მოყუარეთა ბრძანა მიყვანებაჲ. ესენი რაჲ მიყვანებულ იქმნნეს მისა  
მიმართ, აქუნდეს საპყრობილესა შინა, ხოლო მამის ძმად მის იონაქიმოსის,  
საკქია, განაჩინა მეფედ, ფიცთა მიმღებულმან მისგან, რამთა დაიცვას სო-  
ფელი მათა და არა აღქაბუტენეს, არცა მიერთოს ეგვტულთა.

1 უჩინო AQ. 2 მისცნა A. 3 იონაქიმოსი AQD.

• IV მეფ. 24,2. II ნეშტ. 36,6. იერ. 22,18. IV მეფ. 24,6. II ნეშტ. 36,8. 1<sup>ა</sup> IV მეფ. 24,10; 24,17. II ნეშტ. 36,10.

• ესრეთ ეპოვე წერალდ.

2\*. ხოლო საკქია იყო ვიდრემე წელთა ოცთა და ერთისაჲ, რაჲამს მთავრობაჲ მითლო, ერთისა დედისაგან ვიდრემე იონაქიმოას, ძმისა მისისა. ხოლო საპართალთა და ქეროუნისა შუურაცხისმყოფელ ღიყო, რამეთუ ჰაჲაკითა უსახურნი იყვნეს გარემოას მისსა და ყოველი ერი კელმწიფებით მაგინებელ იყო, რომელთაცა მიმართ ენების, რომლისათჳს წინაწარმეტყუელი. იერემია, მრავალგზის მძარული მისა მიმართ, უწამებდა მბრძანებელთა სხუათა ვიდრემე უპატიოებათა და უსჯულთა დატევებად და მართლისა მოურნეობად და არცა მთავართასა ყურადღებად, რამეთუ ბოროტნი არიან მათ შორის, არცა ცრუ წინაწარმეტყუელთა, მაცთუნებელთა მისთა საარწმუნოებად, ვითარმედ არღა მერმეცა ჰბრძოდის ქალაქსა ვაველონელი და ვითარმედ ეგვიპტელთა აღიმკედრონ მას ზედა და სძლონ, რამეთუ ამას არა კეჲშარიტსა იტყვან, არცა ესრეთ ეგულუების ქმნაჲ.

ხოლო საკქია, რაოდენგზის უსმოდა ამათი მეტყუელებაჲ წინაწარმეტყუელსაგან, ირწმუნებდა მისასა და შეჰრაცხდა ყოველთა, ვითარ კეჲშარიტთა და ჰრწმენა უმკობესობაჲ მისდა. ხოლო განხრწნეს იგი კუალად მოყუარეთა და გარდაადგინეს წინაწარმეტყუელისათაგან, რომელთა მიმართ მინებებელ იყვნეს. წინაწარმეტყუელებდა უკუე იეზეკილოსცა ვაველონს შინა გულუებადთა განსაცდელთა ერისათა. და ესენი წარმოაგლიონნა იეროსოლჳმად. ხოლო წინაწარმეტყუელთათა მათთა ურწმუნო ექმნა საკქია ესეეთართითა მიხეზითა: სხუათა ვიდრემე ყოველთაჲ ურთქმად ურთიერთარს შეემთხვა თქტჳმად წინაწარმეტყუელთა, ვითარმედ ჰყრობილ იქმნეს ქალაქი, თჳთ საკქია ტყუე იქმნეს. ხოლო არა ერთჳმად ექმნა ამას ზედა: იეზეკილოს მეტყუელი, ვითარმედ არა იხილოს ვაველონი საკქია, იერემიას მეტყუელებდა მისდა. ვითარმედ შეკრული მიიყვანოს მეფემან ვაველონელმან. და არა მეტყუელებდათჳს მრჩობლთაგანვე მსგავსად და რომელთათჳს თანაღმობად საგონებელ იყვნეს, არცა მათი კეჲშარიტებაჲ ირწმუნა, მეტყუელთაჲ. და ამას თანა ყოველნი წინაწარმეტყუელთათებრ შეემთხვნეს, რომელნი კეთილჳმიერად ცხად-ყყვნეთ.

7°. ხოლო განიხილნენ რა მტერნი დანილოასნი ესევეთარითა სახითა, მეფემან დარიოსი წაჩაველინა ყოველსა სოფელსა, მაქებელმან ღპროთსამან, რომელსა დანილოს თაყუნანს-სცემდა, მის მხოლოდა მტყუელმან ჰემპარიტად ღმერთად და ყოველსა ძლიერებასა მქონებელად. ხოლო აქუნდა დანილოსცა გარდამატებულსა პატივსა შინა, გასაჩენელსა მისსა პირველად ჰოყუარეთა. ხოლო იყო რაჲ ესრეთ საჩინოდ და ბრწყინვალედ დიდებისა მერ ღმერთისა მოყუარედ ყოფითა, დანილოს აღაშენა ეკატანათა შინა მადანასათა ვარი, შეუნიერად რამე აღშენებულნი და საცკრველებით ქმნილი, რომელი ვიდრე აქამოდღე არს და ცხონდებინ, ხოლო საგონებელ არს მხედველთა მიერ ახლად შეზადებულად და მას დღესა შინა, რომელსა შინა მომთხრობედ არს თითოეული, ქმნილობასა მისსა ესრეთ ახალყოფისათჳს მისათა და მტყუელისა შენიერებისა და არასადა ძუელქმნისა ესოდენისა ქაბითა მიერ, რამეთუ ცვენების ნაშენებთაცა მსგავსად კაცთა და ძუელდებთან ძალთა მოუძღოურებულნი წელთა მიერ და შენიერებება მათი დაქნების. ხოლო დამფლვენ ვარის შინა მეფეთა მდილთა და საპრსთა და პართიასა ვიდრე აქამოდღე და ამისი მარწმუნებელი არს მღღელი იუდელი. ესე იქმნების ვიდრე დღენდღელად-დღედმდე. ხოლო ჯერ-არს მომთხრობაჲ ამის მამაკაცისათჳს, რომლისა მსმენელი უფროასლა ცინმე განკვრდეს, რამეთუ ყოველნივე მოგებულ იქმნეს მის მიერ საცკრველებით, ვითარცა ერთისა რომლისამე დიდთა წინაწარმეტყუელთაგანისა მიერ და ქაშაცა ცხოვრებისასა პატივი და დიდებაჲ მეფისა მიერ აქუნდა და სიმრავლისა, ხოლო აღსრულებულსა საქსენებელი საუკუნოჲ აქუს, რამეთუ წიგნნი, რაოდენნი დამწერელმან დაუტენა, იყთხვიან წუნე მიერ ვიდრე აქამოდღე და გურაწაშ მათ ზოერ, ვითარმედ დანილოს მხრახვიდა ღმერთსა, რამეთუ არა გულვებადთა მხოლოდ წინაწარმეტყუელედდა, ვთარ და სხუანიცა წინაწარმეტყუელნი, არამედ და ქაშაცა განასზღვრებდა, რომელსა შინა სრულ-იქმნენ ესენი. და სხუანი ვიდრეჲ უკუ წინაწარმეტყუელნი, ვითარ ძერთა წინაწარმომთხრობელნი, ამისთჳს მოძაგებულ იქმნეს მეფეთა მიერ და სიმრავლისა, ხოლო დანილოს ექმნა მათ წინაწარმეტყუელ კეთილთა, ვიდრეჲა ქებულებისაგან წინაწარმეტყუელთაჲსა საუკარული მიხუტჳ ყოველთა მიერ. ხოლო დასასრულისაგან ჰემპარიტებთა მათათაჲსა დიდებაჲ და სწორფობება ერთბაშად ქებჳს თანა მიიღო უმეტეს სხუათა. ხოლო დაუტენდა დამწერელმან, სადაით ჩუენდა ჰემპარიტებაჲ წინაწარმეტყუელებისა მისისა და უცვალეებლობაჲ ცხად-ყო.

რამეთუ იტყვენ მისსა, ვითარმედ იქმნა ოდესჲ სულათა შინა, დედამა ლაქსა პერსიდისასა, და ვითარ განვიდა ველად მოყუარეთა თანა მისთა, ძრვაჲ და ბრწოლაჲ ქეცყანისაჲ იქმნა მეყუსულად. და დაშთა მხოლოდ ღტოლვითა ჰოყუარეთა მისთაჲსა და დავარდა პირსა ზედა, დაცემული ორთავე კელთა ზედა. და ეინმე, შეშხებელი მისი, უბრძანებდა საშუვალ აღდგომასა და ხილვასა გულვებადთაჲსა შემთხუვად მოქალაქეთა შემდგომად მრავალთა ნათესავთა. ხოლო აღდგომილსა აუწყებდა მას ვერძისა დიდისა ხილვასა, მრავალთა ვიდრეჲ რქათა გამომღებელსა, ხოლო დასასრულსა უმაღლესად მათგან მქონებელსა; ამისა შემდგომად — მხრულვად დასავალით კერძი და ხილვად

1 დანილოს Δεισι; 10, 280.

\* დან. 6, 25; 8, 2; 8, 16.

° ესე ოჯი არს ტაბარი. βάρυ 10, 280.



ვაქსა, ჰაერსა შინა მოღებულსა მის მიერ, დაცემულსა ვერძისათვის და რქითა განმბძარეულსა ორგზის და დაცემად ქუეყანასა ზედა და / დათრგუნვად მას: ამისა შემდგომად — ხილვად ვაქისა, შებლისაგან დიდსა რქასა აღმოცენებულად, რომელი შეიბუსრა, რაათა აღმოსცენდეს ოთხნი, თითოეულსა ქარისა მიმართ მხედველნი.

ხოლო მათგან აღმოცენებად სხვსაცა უმციოზისადა დაწერა, რომლისაცა აღორძინებულისაგან, ეტყოდა მას ამათი მაჩუენებელი ღმერთი, ბრძოლასა ნათესვისა მისისა და დაპყრობასა ქალაქისასა ძლევით და შემრღუევისა ტაძრისა თუსთასა და დაყენებასა მსხუერპლთასა დღეთა შინა ათას ორას ოთხ-ზეოცდაათექუსშეტთა. ამათი ვიდრემე ხილვად ვულსა შინა სუსათასა დაწერა დანიილოს, ხოლო აღქანასა მისდა ჩუენებისაა ცხად-ყოფდა ღმერთისა მიერ ესრეთ: ვერძისა ვიდრემე მიერ მეფობათა სპარსთა და მიდთასა მოსწავებულ იტყოდა, ხოლო რქათა მიერ — მეფე-ქმნად გულგებდითა. დაასარულისა უკუე რქისაგან — მოსწავებბასა უკუანასკნელისა მეფისასა, რამეთუ ესე აღე-მატოას ყოველთა სიმდიდრითა და დიდებითა. ხოლო ვაქისა მიერ — მოსწავებბასა, ვითარმედ ელინთაგან მეფე იქმნეს ვინმე, რომელმანცა, მბრძოლმან სპარსისამან ორგზის და მძლეველმან ბრძოლასა, მიიღოს მთავრობად ყოველი. ხოლო დიდისა რქისაგან, რომელი იყო შებლსა ზედა ვაქისასა, ცხად-ყოფასა პირველისა მეფისაა და ოთხთა აღმოცენებბასა, დაეცეს რაჲ იგი. და ოთხთა ვერძითა მიმართ ქუეყანისათა მიტყევასა — თითოეულსა მათისასა მონაცვალეთა პირველისა მეფისათა შემდგომად სიკუდილისა აღჩენილთა და განყოფასა მათდა მიმართ მეფობისაა. და ვითარმედ არცა ყრმად შისდა მყოფთა, არცა ნათესავად, მრავალთა წელთა მთავრონ ქუეყანასა. და ვითარმედ იქმნეს ვინმე ამათგან მეფე, მბრძოლი ნათესვისა და სჯულთა მათთაჲ და მეფობისა მათისა მიმღებელი და განმუხურელი ტაძრისა და დამაყენებელი მსხუერპლთა აღსრულებბაჲ წელთა შინა სამთა.

და ამათი უკუე ვნებაჲ ჩუენსა შეემთხვა ნათესავსა ანტიოხოზს მიერ ებიფანესსა, ვითარცა იხილა დანიილოს და უწინარეს მრავალთა წელთასა აღწერნა ქმნანდნი.

ხოლო ამასვე ეჰმა დანიილოს რომთა მთავრობისათვისცა აღწერა და ვითარმედ მათ მიერ პყრობილ იქმნეს<sup>1</sup>, ესე ყოველნი დაწერნა მან ღმერთისა მიერ ჩუენებითა მისდა და დაუტენა, ვიდრედა წარმეთხველთა მიერ და შემოტრევისა გულგებბითასა განმხილველთა განსაკვრებულ არს ღმერთისა მიერისა პატრივისათვის დანიილოს. და ამათ მიერ სამოვნებელ არიან ებიკორელნი შეეთობილად<sup>2</sup>, რომელნი წინმოურნებბასა განჰკადიან ცხორებისაგან და ღმერთსა არა აღიბსებენ ზედმოურნებბად საქმეთა, არცა სანატრელისა მიერ და უხრწნელისა არსებბასა მდგომობისა მიმართ ყოველთაჲსა მართებდ ყოველთა, არამედ ოკრად აღკრთმპყრობელისაგან და მოურნისა იტყუან ქუეყანისა და თვთ მართებულად, რომელი, უკუეტომცა ამით სახითა განუგებელ იყო, ვითარ და მმართველთაგანცა ოკერთა ნათთა დანთქუმულად ეხედავთ ქართა მიერ, გინათუ ეტლთა დამკობილთა, ვითარ არა მქონე-

<sup>1</sup> შეეთობილად AD.

<sup>2</sup> იქმნეს] + καὶ ἐν τῷ ἀναρῶ ἀποστροφῆς καὶ Ἰ. ἰσθμῶν καὶ ὁ πᾶς ἐξουσιᾶσθαι 10<sub>276</sub> (= იერუსალიმი და ტაძარი გაძარცველ იქნა).

<sup>3</sup> დასავლეთით.

ბელთა აღკრპპრობელთასა, რამეთუ შეიმუსრნესმცა წინგანუგებელისა მი-  
მართებისაგან, წარწყმედილ იყომცა და განხრწნილ.

185 პირველქუმულთაგან უკუე დანიილომს მიერ საგონებელ არიან ჩემდა  
ფრად განჯუებად ჭეშმარიტისა თნებისაგან, რომელნი განა / ჩინებენ არცა  
ერთსა წინმოურნეობასა ყოფად ღმრთისა მიერ კაცობრივთათუს, რამეთუ  
არამცა წინაწარმეტყუელებისა მისისაებრ სრულქმნილად ვხედვედით ყოველ-  
თა, უკუეთუმცა თვთ მართებულგბითა რომლითაჲ ყოფაჲ შეემთხუოდა  
ქუეყანასა.

მე ვიდრეჲე უკუე ამათუს, ფითარ ვპოვე და გულისჯმა-ვეყავ, ფსრეთ და-  
ვწერე. ხოლო უკუეთუ ვინმე სხუად თნებად მნებებელ იყოს მათუს, უბრა-  
ლოდ მქონებელ იყავნ სხუაგონებაობასა.

დასასრული მეთისა სიტყვსაჲ იოსიპომს სიტყუადსაბამარბისასა.

მსენი არიან მათეროთმეტისა წიგნსა შინა იოსიკოვსა  
სიტყუადასაბამოზისასა

1. ვითარმედ კვროს, სპარსთა მეფემან, იუდეელთა განმტყვებელმან ვავკლონით, თჳსად მამულად წარაგლიონნა იგინი აღშენებად ტაძრისა, მიმცემელმან მათელა საკმართამან.

2. და ვითარმედ დაახრწვეს<sup>1</sup> იგინი მეფისა მთავართა აღშენებად სამღდელოჲსა, დამაყენებულქმნილთა საქმეთაგან.

3. და ვითარმედ აღსრულდა რაჲ კვროს, ჯამვესი, ყრმაჲმან მძმან, მიღებელმან მთავრობისამან ყოვლითურთ, დააყენნა იუდელნი აღშენებად ტაძრისა.

4. კუალად დარიოს უსპასტომსმან, მმეფობმან სპარსთამან, პატივ-სცა იუდეელთა ნათესაჲსა და ტაძარი მათი აღაშენა.

5. კუალად შემდგომად ამისსა და ყრმაჲცა მისი ქსერქსი სიყუარულთ დაიდვა იუდეელთა მიმართ.

6. კუალად მეფობასა შინა არტაქსერქსისასა<sup>2</sup> იუდეელთა ყოველი ნათესავი ძვრბილულ იქმნებოდა მზაკვარებისა მიერ ამანისა.

7. კუალად ვალსა, არტაქსერქსის ახლოსა<sup>3</sup> მყვანებელმან, ჯიდად შეურაცხ-ყვნა იუდელნი.

8. კუალად მკედრონელთა მეფემან ალექსანდრე<sup>4</sup> კეთილ-უყო მათ; დამპყრობელმან იუდასამან.

მოაქუს წიგნსა ჟამი წელთა ყოველი ორას ორმოცდა სამთაჲ, თუეთა ხუთთაჲ.

ფლავიოჲს იოსიპოჲსი იუდეებრივისა სიტყუადასაბამობსაჲ, წიგნი მეთათროთმეტე.

თ. 1

1\*. პირველსა წელსა კვროს მეფობისასა, ხოლო ესე იყო სამეოცდამეათე, რომლით დღითგან წარსლვად ერსა ჩუენსა მამულისაგან ვავკლონად შეემთხვა, შეიწყალა ღმერთმან ტყუეობაჲ და განსაცდელი მათი საწყალობელთაჲ და ვითარცა წინაწარ-უთხრა მათ იერემიას მიერ წინაწარმეტყუელისა აღმოფხურადმდე ქალაქისა, ვითარმედ შემდგომად მონებისა ნაუბოდონოსოროჲსა და შეილთა მისთა და ამასცა დათმენად მონებასა წელსა სამეოცდაათთა, კუალად დაამკვდრნეს იგინი მამულსა ქუეყანასა და ტაძარი აღაშენონ და პირველისაჲ კეთილმდენიერობისაგან იშუებდნენ. ესენი შიანიჲნა მათ, რამეთუ აღმძრველმან სულსა კვროსსა ყო იგი მიწიერად ყოვლისა

<sup>1</sup> დაახრწენს. <sup>2</sup> ასტარქსეტისსა არტაქსერქსისსა AQ. <sup>3</sup> ალექსანდრე A.

<sup>4</sup> იემ ვადნეიუს VI, გვ. 496 (უმცროსი, ახალგაზრდა). <sup>5</sup> I ეზრა 1,1. II ეზრა 2,1.

ასიამაჲ მიმართ: კვროს მეფე იტყუეს: „ვინამთჳან მჳე ღმერთმან ღიღმან ქუე-  
ყანისამან განმაჩინა ჩეფელღ, ვარწმუნებ ამისსა ყოფასა, რომელთა ისრაილიტ-  
თა ნათესავი თაყუანისსცემს და რამეთუ ჩემი წინაწარ-თქუა სახელი და  
ვიტარმედ ტაძარი მისი აღვაშენო იეროსოლჳმათა შინა იუდეაჲს სოფელსა“.

2°. ხოლო ესე ცნა კვროს, წარმკითხველმან წიგნსა, რომელი წინაწარ-  
მეტყუელებსა მისისაჲ ისაია დაუტევა უწინარეს წელთა ორასთა და ათთა,  
რამეთუ ამან დაფარულსა შინა თქუა ამათი მეტყუელებად ღმრთისაგან: „ვი-  
ტარმედ მეგულებს მჳე, კვროსს მრავალთა ნათესავთა და ღიღმთა მეფედ  
განმჩენელსა, წარვლინებად ერაჲს ჩემისაჲ თჳსად ქუეყანად და აღშენებად  
v ტაძრისა ჩემისაჲ“. / ესენი ისაია იწინაწარმეტყუელნა პირველ ტაძრისა აღ-  
წოდებულადმდე უწინარეს წელთა ასთა და ორპეოცთა. ამათი წარმკითხველი  
კვროს და განკვრეებული საღმრთოსა ზედა, მოსწრაფებამან იპყრა და პატი-  
ვისმოყუარებამან ქმნად აღწერილთა. და მოშწოდებელმან საჩინოთა ცავე-  
ლონს შინათა იუდეელთამან შენდობად ჰრქუა მათ წარსლვად მანულსა მათსა  
და აღდგინებად ქალაქსა იეროსოლჳმასა და ტაძარსა ღმრთისასა, ვინამთჳან  
იყოს იგიცა შემწე მათდა და მიწუროს მთავართა მიმართ და სატრაპათა მახ-  
ლობულთა სოფლისა მისი იუდეელთაჲსათა, რამათა მისცემდენ მათ ოქროსა და  
ვეცხლსა აღშენებისა მიმართ ტაძრისა და ამით თანა საცხოვართაჲცა მსხუერპ-  
ლვთა მიმართ.

31°. ესენი რაჲ აღუთქუნა კვროს ისრაილიტთა, წარემართნეს ორთა ნა-  
თესავთა მთავარნი, იუდაჲს და ვენიამიტლოჲსანი, თანად ლევიტელნი და  
მღვდელნი, იეროსოლჳმად, რამეთუ მრავალნი დაადგრეს ვაკვლონს შინა, მო-  
ნაგებთა დატევებად არა მნებებელნი. და მათ უკუე, მიწევნულთა მეფისა,  
მოყუარენი ყოველნი შეეწეოდეს და თანად მიიღებდეს შემზადებისა მიმართ  
ტაძრისა: რომელნი ვიდრემე ოქროსა და სხუანი — ვეცხლსა, ხოლო სხუანი —  
საცხოვართა ჰიმირავლჳსა ცხენთა თანა. და თანად ლოცვასა მისცემდეს  
ღმერთსა და განწესებულთა ძუელისაებრ მსხუერპლთა აღსარულებდეს, ვი-  
ტარ აღგებადისა მათდა კუალად განახლებადისა პირველისა ჩუეულებათა  
თმართ მსახურებათაჲსა. ხოლო წარუვლინნა მათ კვროს და ჳურჳელებიცა  
ღმრთისანი, რომელნი განმფხურელმან ტაძრისამან ნაეუხლონოსოროს ვაჟ-  
ვლონად წარჩხუნა. ხოლო მისცნა ესენი წარლებად მითრიდატის, საჳურჳე-  
ლისმცველსა მისსა, მმრძანებელმან მიცემისა მათისამან ავასაროჲსა, რამათა  
დაიცვენს ვიდრე აღშენებადმდე ტაძრისა. ხოლო სრულ-იქმნას რაჲ იგი,  
რამათა მისცეს მღვდელთა და მთავართა სიმრავლისათა, მიმცემელადთა ტა-  
ძარად. წარავლინა უკუე ებსტოლეცა<sup>1</sup> სურისა შინა მყოფთა სატრაპათა მი-  
მართ კვროს, ესრეთ მეტყუელი:

„მეფე კვროს სისინოს და ჳარვასანის, გიხაროდენი იუდეელთაგან, სო-  
ფელსა შინა ჩემსა მკვდრთა, უბრძანე მნებებელთა თანად ქალაქისა აგებად

<sup>1</sup> საჳურჳელსმცველსა A, საჳურჳელს Q.

\* ესაჲ 44,28. I ეზღრ. 1,3. II ეზღრ. 2,5. <sup>1\*</sup> I ეზღრა 1,5. II ეზღრ. 2,8. I ეზღრ. 6,6. II ეზღრ. 6,27; 6,25; 2,13; I ეზღრ. 1,9. II ეზღრ. 5,29. I ეზღრ. 6,9. II ეზღრ. 5,41. I ეზღრ. 2,64; წყმად 7,66.

\* ებსტოლე კვროს მეფისაჲ მთავართა მიმართ მისთა იუდეელთა აღსლვისათჳს.

და ტაძრისა აღშენებამა იეროსოლჳმათა შინა ღმრთისა, მასე ადგილსა ზედა. სადა და პირველიცა. ხოლო წარმოვაგლინე და საკურკლისმცველიცა ჩემი მითრიდატი და ზოროვაეილოს, მთავარი იუდეელთაჲ, რამთა საფუძველნი შთასხნეს ტაძრისანი და აღაშენონ იგი, სიბაღლულ ვიდრემე სამეოცთა წყრთათა, ხოლო ამათიეუ და სიერკედ, ქვისა ვიდრემე თლილისაგან საჳნი აღაშენენ სამკედრებელნი და ერთი — ძელისაჲ წყრისაგებრ. მსგავსი უკუე და სამსხუერპლომცა, რომელხა ზედა უმსხუერპლიდენ ღმერთსა. ხოლო ამათ ძლითსა წარსაგებელსა ჩემთაგან ქმნად მნებებელ ვარ და კურკელნი, რომელნი მიიტაცნა ტაძრისგან ნაეუხოლონოსოროს მეფემან, წარმოვაგლინენ, ნიბცემეღმან მითრიდატისა, საკურკლისმცველისა და ზოროვაეილოსა, მთავრისა იუდეელთაჲსა, რამთა მიხიბნენ იეროსოლჳმად და მისცნენ ტაძრსა ღმერთსაჲსა. ხოლო რიცხუ მათი არს ესეოდენნი<sup>1</sup>: სამწერობელნი ოქროსანი ორმეოცდაათნი, ვეცხლისანი — ოთხასნი<sup>2</sup>; თარიკლიანი ოქროსანი ორმეოცნი<sup>3</sup>; ფილნი ოქროსანი — ოცდაათნი, ვეცხლისანი — ორ ათას ოთხასნი, ხოლო კურკელნი სხუანი დიდნი — ათასნი. შეუნდობ უკუე მათდა მშობელთაჲთაგანცა მყოფსა მათდა პატრისა, საცხოვართა და ღვნისა და ზეთისა — დრახმათა ოცთა ბევრთა და ხუთ ათასთა და ხუთასთა და სემინდალისათჳს იექლთაჲსა — არტავართა ორ ბევრთა ხუთასთა. ხოლო ვებრძანებ მიცემასა ამათსა სამარიაჲსა ხარკთაგან ქმნად. და მიიღებდენ სამსხუერპლოთა ამათ მოკისს სჯულთაებრ მღდელნი იეროსოლჳმათა შინა და შემწირველნი ილოცვიდენ ღმრთისა მიმართ ცხორებისათჳს მეფისა და ნათესავისა მისისა, ხოლო სპარსთა მეფობაჲ დაადგრეს. ხოლო ურჩთა ამისთა და არა დამამტკიცებელთასა ჭუარკუმასა მნებებელ ვარ და მონაგებთა მათთა სამეფოქმნასა<sup>4</sup>.

186

და ეპისტოლე ვიდრემე ამათ ცხად-ჰყოფდა<sup>5</sup>, ხოლო ტყუეობისაგან შეკრებულთაჲ იეროსოლჳმად ბევრნი იყვნეს ოთხნი და ორ ათას ოთხას სამეოცდა ორნი.

თ. 2

1<sup>2</sup>. ხოლო შთასხნეს რამ საფუძველნი ტაძრისანი და აღშენებისა მის ნიშართ ტაძრისა ფრიად მოაწრაფე იყვნეს, ჯარემოხსნი ნათესავნი და უფროსსა ხუთედნი<sup>1</sup>, რომელნი პერსიდაჲსა და შიდიასაგან მიმყვანებელმან საღმრთნაჲსარის, ანკრელთა მეფემან, დაამკედრა სამარიას შინა, რამთა ისრაილოტთა ერი უმკედრო-ყო, ეცედრებოდეს სატრაპთა და ზედმოუწინთა დაყენებად იუდეელთა თანად ქალაქისა აღმართებისა მიმართ და ტაძრისა შემზადებნა. ხოლო იგინი, საცმართა მიერ განხარწნილნი მათ მიერ, მიმსყიდულ ექმნეს ხუთეულთა იუდეელთა მიმართსა უღებებასა და მცონარებნა შენებისა

<sup>1</sup> ხუთედნი AQ, აბ ჯიჲმ(ა)თ 11<sub>18</sub>.

<sup>2</sup> ოთხასნი] + ἄκθθ: ἑρσθθθ: πρῆθ: ἄθ: α, ძყოფრთა πρῆθ: ἄθ: α 11<sub>13</sub>. სასაქველნი ოქროსანი ოცდაათნი, ვეცხლისანი—სამასნი S. <sup>3</sup> ორმეოცნი] + ἄθ: ἑρθ: ἄθ: α 11<sub>13</sub>. და ვეცხლისანი—სამასნი S. <sup>4</sup> II ეზდრ. 5,66. I ეზდრ. 4,1. II ეზდრ. 2,16. I ეზდრ. 4,7.

<sup>5</sup> კურკელთაჲს იეროსოლჳმასა ტაძრისათა. <sup>6</sup> I შესისავე სიბრძელე იუდეელთა აღსლვისა ვავილონით იეროსოლჳმად.

მიმართ. ხოლო კერძოა, სხუთაგან უცალოა ბრძოლა, უმეტრება იყო ამათი. და აღმკვდრებულსა თანად მასსაგეტა ზედა მეყუსეულად შეემთხვა აღსრულებად ცხორებისაგან. ხოლო კამეკსი, კერძოა ყრმამან, მიიღო რაჲ მეფობაჲ. სკრიასა შინათა და ფენიკისა და ამპანიტიდისა და მოავიტიდისა და საპარიამათა მიუწერეს ეპისტოლე კამეკსის, მაუწყებელი ესევეთართაჲ: „მეუფეო! მონანი შენი — რათვმოს, ყოველთა მოქმედებულთა მწერალი, და სემელიოს მწიგნობარი და განზრახვისა სკრიას შინასა და ფენიკისა მბჭობნი — უწყებად შენდა ჭერ-არს, მეფეო, რამეთუ იუდეულნი, ვავკლონად აღყვანებულნი, მოვიდეს ჩუენდა და თანად ქალაქსა განდგომილსა და ბოროტსა აღაშენებენ და აგარაკთა მისთა შექმნადებენ და ზღუდეთა და ტაძარსა აღმშენებენ. უწყოდე უკუე, ესენი თუ იქმნენ, არცა ხარკთა სრულყოფასა მოთმინე იქმნენ ივინი, არცა მორჩილებად მნებებელ იყვნენ, არამედ და მუხეთაჲ წინა-აღუდგენ და მთავრობად უფროსდა, ვიდრე მორჩილებად, მნებებელ-იქმნენ. შურებოდეს რაჲ უკუე ტაძრისათვის და მოსწრაფე იყვნენ კეთილად ქონებას, გუთნდა ჩუენ მოწერაჲ შენდა, მეფე, და არა უგულუბელს-ყოფად, რაჲთა გამოიკულინე მამათა შენთა წიგნნი, რამეთუ ჰპოუნე მას შინა ცანდგომილად და მტერად მეფეთა იუდეულნი და ქალაქი მათი, რომელი ამისთვის და აწცა ოკერ-იქმნა. ხოლო გუთნდა ჩუენ და აპასკა უწყებაჲ, შენდა უცნაურად საბე, რამეთუ ქალაქი თუ აღეშენოს ესრეთ და მომრგვლებად ზღუდეთაჲ მიიღოს, დაგეკმას შენ გზად ლელისა მიმართ სკრიასა და ფენიკისა“.

2\*. ხოლო კამეკსი, წარმოთხველი ეპისტოლისაჲ და ბუნებითაჲ ბოროტად მყოფი, აღიძრა უწყებულთა შიერ და დაწერა, ესრეთ შეტყუელმან: „მეფე კამეკსოს! რათვმოს, მწერალთა შემთხუელთათვის, და ველზემოსს და სემელიოსს მწიგნობარსა და წესტთა თანდაწესებულთა და მკვდრთა სამარისა და ფენიკის შინა ამათ ეტყუეს: „წარმოთხველმან წარმოვლინებულთა ჩემდა თქუენთა მიმართა წერილთამან ებრძანე გამოძიებაჲ წიგნებსა მამათა ჩემთასა და იპოვა ქალაქი, მტერ მუფეთა ქმნილი მარადის და კლომათა და ბრძოლათა თანათა შინაგან მკვდრნი მომერაგებულნი. და მეფენი მათნი ვისწავნით ძლიერნი და მაძულებელნი ხარკის მიმკვდელნი ლელისა სკრიასა და ფენიკისანი. მე უკუე ებრძანე არა შენდობაჲ იუდეულთაჲ აღშენებად ქალაქსა, ნუსადა უმეტეს აღორძინდეს სიბოროტისა მათისანი, რომლისა მკუმეველნი წინააღდგომად არიან მეფეთა“.

წარიკითხნეს რაჲ წერილნი ესე, რათვმოს და სემელიოსს მწიგნობარი და თანდაწესებულნი მათნი, მეყუსეულად აღვლდომილნი ცხენთა ზედა, მისწრაფებდეს იეროსოლუმად, სიბრავლესა მიმყვანებელნი მრავალსა და დაყენებდეს შენებად იუდეულნი ქალაქსა და ტაძარსა. და ესენი ვიდრევე იყვნეს საქმეთაგან ვიდრე მეორედ წლაძდე დარიომს მეფობისაჲ საპარსთა ზედა, ხოლო სხუათა თანა წელთა ცხრათა. კამეკსის, ექუსთა<sup>2</sup> წელთა მმეფობი და დამპყობელი ამათ თანა ეგვიპტისაჲ, უკუნქეულე აღსრულდა დამპყობისა შინა.

1 კამეკსოსს A. \* ექუსთა+თქმთა AQ, წ: წყ 11<sup>30</sup>.

• II ეზრ. 2,25. I ეზრ. 4,17.

• ეპისტოლე კამეკსოს სკრიასა და ფენიკისთა მიმართ დაყენებისთვის შენებას იეროსოლუმთა შინასა ტაძრისაჲ.

07. 3

1. ხოლო შემდგომად მოგუთა მოსრვისა, რომელთა შემდგომად კამეცისა სიკუდილისა სპარსთა მთავრობა იპყრეს წელთა შინა, წოდებულთა „შედ-თა სახლთა სპარსთასა“, ესტასპოას ყრმაჲ, დარიოს, განაჩინეს მეფედ<sup>1</sup>. ამან, მსოფლიოდ მყოფმან, ილოუა ღმრთისა მიმართ, უკეთეთ იქმნეს მუფე, ყოველნი ჭურჭელნი ღმრთისანი, ჩაოდენნი იყვნეს და მერპეცა ეფველონს შინა, წარავლინნეს ტაძრისა მიმართ იეროსოლჳმას შინათამას. ხოლო შეემთხვა მას წარსლუაჲ დარიოსს მიმართ იეროსოლჳმათაგან ზოროვაილოსს, რომელი ტყუეთა იუდეელთა მთავრად განჩენილ იყო, რამეთუ პირველითგან იყო მისა სიყუარული მეფისა მიმართ, რომლისათვის და სხეულისმცველადცა მძღდა და სხუათა თანა ორთა დირსად სჯილ იყო, მიემთხვა, რომელსა სასოებდა კეთილ პატიესა.

2\*. ხოლო პირველსა წელსა მეფობისა დარიოსს შეიწყინარა ბრწყინვალეობით და მრავლსა თანა შემზადებისა თანად მისნი და სახლის შინანი და მთავარნი მრდთან და სატრაპნი პერსიადისანი და ადგილმთავარნი პინდოეთისანი ვიდრე ეთიოპიადმდე და მკედართჳყვანებელნიცა ას ოკთა და შედთა სასატრაპოთანი. ხოლო ვინათგან მსერებელნი ვიდრე სიპაძრედმდე და აღმოქსებად დანიკსნენს დაძინებულნი მათგანნი თითოეულნი, დარიოსს მეფე, მისრული სარეცელად და მცირესა ღამისასა განმსუენებელი, განღვებულ იქმნა და არღარა დაძინებად შემძლებელი ზრახვად მიიქცა სამთა თანა სხეულისმცველთა. და სიტყუსა მტყუელთა, რომელთათჳს მას განსჯაჲ ეგულებს, უპეშმარიტესა და უგონიერესა, ამას პატიესა მიცენაჲ აღუთქუა: „საძლეველსა პოჩფკრსა შევოსაჲ და სასუმელთა შინა ოქროსათა ლუბაჲ და ოქროსა ზედა მწოლარეობაჲ და ეტლსა ოქროლაგამსა და გვრგვისა ვესსინისასა და მანიაკსა ოქროსასა და შემდგომად მისსა ქონებად პირველმძღობარეობასა სიბრძნისათჳს და ნათესავ ჩემდა, თქუა, ეწოდა“.

ამათ ნიჭთა აღმოქუქელმან მათდა მინიჭებად, ჰკითხა ვიდრემე პირველსა, იუჳეთუ ღვწონა უმეტეს შემძლებელ არს, ხოლო მეორესა — უკეთუ მეფენი, და მესამესა — უკეთუ დედაკაცი, და უმეტეს ამათსა ქეშმარიტებაჲ? ამით წინდამდებელი მათდა გამოძიებად დადუმნა. ხოლო განთიად, მომწოდებელი დიდ-დიდთამან და სატრაპთა ადგილმთავართა პერსიადასა და მრღიამასთამან, დაჯდომილმან ადგილსა, რომელსა შინა ჩუე/ულ იყო, მტყუელებად უბრძანა თითოეულსა სხეულისმცველთაგამსა საქმენლად ყოველთა აღნოჩენაჲ საუქუელსა მძღდა წინამდებარეთათჳს.

187

31\* და პირველმან იყო სიტყუად ძალსა ღვწისასა<sup>1</sup>, ესრეთ გამომაჩინებელმან მისმან: „რამეთუ, მამაკანო, მე ძალსა ღვწისასა გამოძიებელი, ყოველთა ზესთალსრულად ფჳპოებ ესევითართთა სახითა, რამეთუ შეაკთუნეს მსუმელსა მისსა და შეუბრკემის გონებასა და მეფისაცა გონებასა ობლისა

\* II ეზღრ. 3,1. 1\* II ეზღრ. 3,17.

<sup>1</sup> ეთიარმედ შემდგომად კამეცისა მყარობელ იქმნეს მოგუნი სპარსთა ზედა, რომელთა შემდგომად დარიოსს აღდგინებას იეროსოლჳმათა და ტაძრისა მბრძანებელმან ი. <sup>2</sup> ძალსათჳს ღვწისას.

და მოურჩისაჲსა მსგავსებულ დებს და მონისა ალაღვენსა კადნიერებისა ში-  
მართ თავისუფალთაჲსა და გლახაკისაჲ მსგავს-იქმნების მიღროსა, რამეთუ  
გარდაიშოქმედებს და გარდაშობს სულთა მათ შორის ქმნილი და განსაც-  
დელთა შინა ვიდრეჲ მყოფთაჲსა და შრეტს მწუხარებასა და მომღებელთა  
სესხთა უცხოთაჲსა და ვიწყებულ მიიყვანებს და იქმს მათ მეკუთლად ყოველთა  
უწიღრესად, ვიდრე არცა მცირისა რახსამე მეტყუელებადმდე და ტა-  
ლანტა<sup>1</sup> მოკსენებულ და სახელთა შესამსგავსთა კეთილბედნიერ-  
თაჲს ამაჲს თანა უგარძნობელ-ყოფს მვეფთაცა და მთავართა და მოყუარეთა და  
ჩუეულთაჲსა განსდენის ქსენებასა, რამეთუ აღსკუთავს კაცთა და საყუარელ-  
თაცა მიმატო და საგონებულ არს ქმნად უუცხოც ყოველთაგან. და რაჲჲს  
განფრთხობილ იქმნენ და დაუტევენს ივინი. ღამით მძინარენი, ღვინომან,  
სდღვებთან არცა დრთსა, რომელთაგან იმოქმედეს ლიმორვალისაგანთჲს, მეც-  
ნინინი. ამათ მიერ მე, გამომსახველო, ვჰპოებ ღვინოსა ზესთმძლეველად ყო-  
ველთა და უძლიერესად<sup>2</sup>.

4.<sup>10</sup> ხოლო ვითარ პირველი, გამომაჩინებელი ძალისათჲს ღვინისა წინა-  
თქმულთაჲს, დადუმნა, შემდგომიან მისმან იწყო სიტყუად ძალისათჲს მე-  
ფისა, ამისმან გამომაჩინებელმან უძლიერესად და უმეტეს შემძლებელად  
სხუათა, რაოდენნი საგონებულ არიან ძალსა ქონებულ, ვინა გონიერებასა.  
ხოლო სახესა აღმოჩინისაჲს ამიერ მიიღებდა: „ყოველთა ვიდრეჲ, თქუა,  
კაცი ზესთმძლეობენ, რომელნი და ქუეყანასაცა აიძლეებენ და ზღუასა  
საქჲარ-ყოფად მათდა, რომელთა მიერ მნებებულ არიან. ხოლო ამათ ჰმსთა-  
ვრობენ მეფენი და კელწიფებამ აქუს. და ძლიერისა უძლიერისაჲს ცხოვე-  
ლსა მეუფედ დადგინებულნი შეუსწორებულნი ესენი ძალითა და ძლიერე-  
ბითა ნანდვლ სადმე იყვენენ. ამათჲსცა ბრძოლათა მბრძანებულნი და ძკრის-  
ხილვითა მთავრებულთათჲს იმორჩილებიან და წარმავლენელთა მათთა  
მტერთა მიმართ მრწმუნებელად ძალისათჲს მათისა აქუან. და მათთა ვიდრე-  
ჲ დადრეუკასა და ზღუდეთა შთამოფხურასა და გოდოლთაჲს ბრძანებენ და  
სიკუდილად ბრძანებულნი და მოკუდინებულ<sup>3</sup> მოითმენენ, რახთა არა მეფისა  
ბრძანებათა გარდასლვად საეკუელ იქმნენ, ხოლო მძლეველნი სარგებელსა  
ბრძოლისაგანსა მეფისა მიიღებენ. და არა მმკედრობთა უკუე, არამედ ქუე-  
ყანისმოქმედთ<sup>4</sup> და ანელუმყოფელთა, რაჲჲს დამაშურალთა და ყოველსა  
ძკრსა საქმეთასა მიითუალყულთა მომკენენ და ნაყოფნი შეკრიბუნენ, ხარკთა  
მეფისა მიიღებენ. ხოლო რომელი ამან თქუას და ბრძანოს, ესე დაუყენებე-  
ლად არცა ერთისა დატევებითა იქმნების. მერმეცა ვიდრეჲ ამას სანო-  
ვისა ყოვლია და საშუებელითაგან აღსაესესა სძინაჲს, ხოლო იცუვბის მღვძა-  
რეთა მიერ, ვითარ შეკრულთა შიშისაგან, რამეთუ დატევებასა მძინარისაჲს  
არცა ერთი იყადრებს, არცა დამტევებელი თჲსთა მოურჩეობასა მოქმედებს,  
არამედ ერთი საქმე შეურაცხიეს საჭიროდ — დაცვაჲ მეფისაჲს და მის თანა-  
დადგრობამ. ვითარ უკუე არა მეფე საეკუელ იყოს მძლედ ძალსა ყოველთა-  
სა, რომელსა ესოდენი სიმრა/ვლე დაემორჩილების მბრძანებელსა?“

<sup>1</sup> აღადგეს AQ. <sup>2</sup> მოკუდინებულ. <sup>3</sup> ქუეყანასა მოქმედთა AQD.

<sup>4</sup> *ἐπιμαρτυροῦν* II<sub>40</sub> (ფულის ერთეული). <sup>10</sup> II ებღრ. 4, 1.



5\*. ხოლო დღემნა რაჲ და ესეცა, დედაკაცათჳს და ქეშმარიტებისა მე-სამემან, ზოროვაჲილოს, სწავლად იწყო მათდა, მეტყუელმან ესრეთ: „ძლი-ერ ვიდრემე და ღვინოცა და მეფე, რომელსა ყოველნი დაუმორჩილებიან, არაჲდ უჭკობეს ძალითა ამათსა დედაკაცი, რამეთუ მეფეცა დედაკაცმან მოიყვანა ნათლად და დაჰწერგველთაცა ვენაქთასა, რომელნი იქმან ღვინოსა, დედაკაცი არიან მშობელნი თანად და აღმზრდელნი. და საყოველთაოდ არა-რაჲ არს, რომელი ამათგან არა გუაქუს“. და რამეთუ შესამოსელთაცა ესენი ქსოვენ ჩუენთჳს და სახლის შინანი ამათ მიერ ზედმოურნეობასა და დაცე-სა მიეზთხუევიან. და შეუძლებელ არს ჩუენდა განყოფილება დედაკაცთა-გან; არაჲდ და ოქრომასა ფრიადისა მოგებელნი და ფეცხლანნი და სხვსა რომლისავე მრავალფასისა და მოქწრაფებისა ღირსთაგანანა, ამა ყოველ-თა დამტეგებელნი, ხალულისა მიმართ სახისა აღვადრენთ და მოვითმენთ მო-ტეგებასა მონაგებთა ჩუენთა, რამთა შეუენიერებისაგან ვიწყეთ და მოვილოთ. ხოლო დაუტეობთ მამათაცა და დედათა და აღმზრდელსა ქუეყანასა და მრავალგზის. საყუარელთაცა დავიწყებთა მქონებელ ვართ დედაკაცათჳს და სულთაცა განტეგებასა მათ თანა აღვორჩევთ და მოვითმენთ. ესრეთ უკუე სადმე უმეტეს ძალი დედაკაცთა გულისკვა-გუთ. არა უკუე დამამურალნი და ყოველსა ძვრსა მომთმენელნი ქუეყანით და ზღვთ, რაჲმსა შრომათაგან იქნენ რამეე ჩუენდა, ამათნი ნიძლებელნი, ვითარცა დედოფალთჳ, დედა-კაცთა ზიესცემთ? და მეფეცა უკუე, ესევითართა უფალი, ვიხალე ოდესმე ამა-მისაგან, ასულისა რაეეზაკოსა თემასისოსა\*; ხოლო ხარკისა მისისა, დამუ-ცეპული, და გვრგვნა მიძლებელისა და თავსა თჳსსა დაჰცემელისასა თავს-მდებელი და განლიმებთა ვიდრე მისსა განვლიმებელი და განრისხებთა — შექმუნებული და ენებთა გარდაცვალებითა მლიქნელი დედაკაცისაჲ და შემკვალებელი ფრთად მდბაღლქმითა მისითა, რაჲმსა მწუხარედ მყოფსა ხედვიდს“.

62\*. ხოლო ურთიერთარს რაჲ ხედვიდეს სატრანნი და მთავარნი, ქეშმა-რიტებისათჳს იწყო სიტყუად: „წარმოვაჩინე ვიდრემე, თქუა, რაოდენსა შექ-მალბელ არიან დედაკაცი. ხოლო უძელურეს ესრეთვე და მეფეცა ქეშმა-რიტებისა არიან, რამეთუ უკუეთუ არს ქუეყანად დიდი და მალალი ცაჲ და მალღმარობითა მზე, ხოლო ესე ყოველნი იძრვიან ნებისაგერ ღმრთისა და ქეშ-მარიტ არს უკუე ესე და მართალ. ამის მიზეზისაგან ჯერ არს და ქეშმარიტ-ბასაცა უძლიერესად შერაცხეად და არცა ერთსა უსამართლოსა მისა მიმართ შეძლებად. მერმეცა უკუე სხუთა ვიდრემე სიკუდილი და მალიად მოკუდაე-ყოფად შეეზთხუევის ძალისა მქონებელთა, ხოლო უკუდავი საქმე — ქეშმა-რიტებაჲ და საუკუნობ. და არა უკუე ჩუენდა არა სიყეთჳსა ეამსა შინა და-ქნობაჲსა, არცა მონაგებთა, მისაღებელსა ბედისაგან ეამსა შინა, არამედ მართალთა და სჯულოერთა შინა განმარჩეველი უსამართლოთაჲ და მამხილე-ბელი“.

1 არა გაქუს] გაქუს A, გუაქუს QS, მ მი πα; ἄ τούτων ἔχουσ 11<sub>80</sub>. 2 დაფრულთა, ἄς δειπνοῖται 11<sub>82</sub>  
 \* II ეზღრ. 4,13. 1\* რაეეზაკოს მერ თემასიოსს ყრბისა, აამისა A.Q.D. ἄπρ ἔξ 'Ραβ-  
 λου τῆθ ἑταῖσιν παῖδῶν Ἀπέλιθ 11<sub>84</sub>. 2\* II ეზღრ. 4,33.  
 0 ძალისათჳს დედაკაცთასა.

7<sup>ა</sup>. და დააცხრობს ვიღრემე ზოროვაილოს კეშმარიტებისა ძლითსა სიტყულსა. ხოლო ვინამთჳან ზღღდამკობელ ექმნა სიმრავლუ, ცითარმედ რჩეულად თქუა და ცითარმედ კეშმარიტებასა მხოლოდ ძალი უმცუველი და დაუბერებელი აქუს, უბრძანა მას მეფემან თხოვად რასავე მინიჭებად, რომელსაგან იყო იგი აღმოქუმელ, რამეთუ მისცეს ბრძანად მყოფსა და უმეტეს სხუთაგან ვაჟოჩინილსა გონიერად. „ხოლო დასაძღე ჩემ თანა, პრკუა, და გეწოდოს ნათესავ ჩემდა“.

ესენი რამ თქუნა, შეავსენა მას ლოცვამ, რომელი ჰყო<sup>1</sup>, უკუეთუ მიიღოს შეფობამ. ხოლო ესე იყო აღშენებამ ვიღრემე იეროსოლუმათამ და შექმადებამ მათ შინა / ტაძრისა ღმრთისასა და უკუნეცევაჲ კურკელთამ, რადღენნი წარპყუენველმან ნაეუხოდონოსოროს ვაველონად წარისუნა: „და ესე, თქუა, არს ჩემი სათხოველი, რომელსა აჲ მიბრძანებ მე თხოვად, სჯილსა ბრძანად და გონიერად“.

8<sup>ა</sup>. და შეებულმან ამით ზედა მეფემან, აღდგომილმან, ამბორს-უყო მას და აღვილთმთავართა და სატრაპთა მოწყერა, მბრძანებელმან წარვლინებად ზოროვაილომასსა და მის თანათა, მგულეებელთა წარსლვად აღშენებისათჳს ტაძრისა. ხოლო მიუმცნო და სვრიაჲსა და ფენიკისაჲსა შინათა ძელთა ნაძესათა შთამოღებამ ლივანოთ მომკუეთელთა იეროსოლუმად და თანშენებად მისა ქალაქსაჲ. და ყოველნი დაწერნა თავისუფლად მყოფნი იუდეად წარსრულნი ცყუენი და დადგინებულთა მისთა და სატრაპთა დააყენნა ბრძანებად იუდეულთა სამეფოთა საცმარებათა მიმართ. და თანად მიუტევა ყოველსა, რომელსა შემძლებელ იქმნენ დაპყრობად სოფელსა, მოტყდელად ხარკთაგან ქონებამ მათი. ხოლო უბრძანა და იღუმელთაჲსა და სამარიტთა და ლელსა სვრიაჲსათა შიტეებამ დაბათამ, რომელთა მქონებელ იყვნეს იუდეულთაგან და ამას თანა ტალანტთა ორმოცდაათთა აღშენებისათჳს სამღდელოჲსა მიცემა და მსხეტრპლვამ მათი განწესებულთაებრ მსხუერპლთა და განაწუსა მინიჭებამ ყოველისა და სამღდელოჲსა სამოსლისა, რომლითა მსახურებდენ ღმერთსა და თანად მღდელთმთავარი და მღდელნი, რამთა თჳსთაგან იქმნებოდინან, და ლევიტელნი ორღანოთა მიერ აქებდენ ღმერთსა. და მცველთა ქალაქსა და ტაძრისათა ბრძანა ნაწილსა ქუეყანისასა მიცემა და თითოეულსა წელსა განწესებულსა რომელსამე ვეცხლსა საცმარებისა მიმართ ცხორებისა და წარვლინებად კურკელთაჲსა და ყოველთა, რადღენთა კვროს უწინარეს მისსა მნებებელ იყო იუდეულთა კუალადგებისათჳს, ესენი და დარიოსსა განაწუსნა.

9<sup>ა</sup>. ხოლო მიმთხუეულმან ამითმან მეფისაგან, ზოროვაილოს, გამოსრულმან სამეფოთაგან და აღმხილველმან ზეცად, მადლობად იწყო ღმრთისა სიბრძნისათჳს და მის ზედამსა ძლევისა, რომელი დარიოჲსზე მიიღო: „რამეთუ არამუა ღირსქმნილ ვიყავ ამით, უკუეთუმცა არა შენ, თქუა, მეუფეო, მოწყალედ დამთხუეულ იყავ“. ამათი მის ეამისათჳს მმადლობელი ღმრთისა და გულვებალთაჲსა მიმართ მსგავსადვე მინიჭებისა, მივიდა ვავილონად და თანმონათესვეთა ახარა მეფისა ძლითნი. ხოლო იგინი, მსმუნელნი, მმად-

<sup>1</sup> იყო AQ.

<sup>•</sup> II ეზრ. 4,41. <sup>1•</sup> II ეზრ. 4,47. <sup>2•</sup> II ეზრ. 4,58.

ლობენ ციდრებე ლქერთას, კუალად მათდა მიმცემელსა მამულისა ქუეყანისასა და სუმისა მიმართ და მთრეალობათა მიდრეკილნი შუდთა დღეთა შინა ჯანმცხრომელ იყვნენ და აღშენებასა კუალად-ქმნასა მამულისასა დღესასწაულობდეს. ამათაა შემდგომად აღმაგაღდნი იეროსოლჳმად მთავარი გამულთა ნათესავთაგან ცოლთა თანა და შვილთა და კარაულთა გამოირჩინეს, რომელნიცა, დარიოხს მიმართ თანწარვლინებულნი ვიდრე იეროსოლჳმათადმდე, ვიდოდეს სიხარულით და შუებით მგალობელნი და მენესტუენი და მეჯჳენი წინწილითა. ზოლო წარავლინებდა მათდა დაშთომილიცა სიმრავლე იუდეულთაჲ, განცხრომელი.

10\*. და იგინი ვიდრემე ესრეთ წარვიდეს, თითოეულისა ნათესვისაგან რიცხუსა განსაზღვრებულსა მქონებელნი. ზოლო მე არა მათხო-მიჩნდა ნათესავთა სახელგებასა წარმოთქემაჲ, რაჲთა არა, წარმოთხველთა გონებშასა თანშეწყობისაგან საქმეთასა გამომფხურელმან, ძნელშედგომილი მოთხრობაჲ ცუო მათდა. ზოლო ერთბამად წარსრულნი, წელსა მუათორბეტესა ჰასა-ქოსასა ქმნილნი, იუდეაჲს და ვენიამიტრიოლს ნათესვისაგანნი იყვნეს ბევრნი ოთხასნი სამეოცდა ორნი და რეა ათასნი, ზოლო ლევიტელნი — ოთხნი და სამეოცდაათნი. ზოლო ერთბამად დედათა თანა და სხეულთა ყრბებთასა იყო ოთხი ბევრი და შუდ ათასი და ორმეოცდაორი. ზოლო გარეშე ამათა იყვნეს ლევიტელნი მგალობელნი ასოცდარგანი, და მეკრენი — ას და ათორბეტნი, ზოლო მონანი სანდელლონი — სამას ოთხმეოცდაათორბეტნი. და სხუანი ამთ თანა, შეტყუელნი ყოფასა ვიდრე ოსაილიტთაგან, გარნა არა შემძლებელნი ჩუენებად ნათესავსა მათსა, ექუსას ორმეოცდაათორბეტნი. ზოლო იგინი დევნეს და ილდელთაგანნიცა პატრივსაგან, მომყენებელნი ცოლთანი, რომელთაჲ არცა მათ აქუნდა თქუმაჲ ნათესავსა, არცა ნათესავთმეტყუელებასა შინა დევიტელთა და მლდელთასა იპოვნეს. ზოლო იყვნეს ვითარ ხუთას და ხუთნი და ოცნი. და სიმრავლე უკუე მსახურთაჲ შეუდგა აღმაგალოთ იეროსოლჳმად, ბევრი შუდ ათასთა სამასთა ოცდაათხუდმეტთაჲ. ზოლო მგალობელნი და მგალობელანი — ორას ორმეოცდახუთნი. და აქუმნი ოთხას ოცდაათხუთმეტნი და კარაულნი ხუთ ათას ხუთას ოცდახუთნი.

ზოლო მთავარი აღრიცხელისა სიმრავლისაჲ იყო სალათიილოჲს ყრმაჲ ზოროვაგილოჲს, ძუთავან დავიდისთა მეოფი, ქმნილი იუდეაჲს თჳსლისაგან, და იისუ, ძე იოსუდეოჲს მლდელთმთავრისაჲ. ამთ თანა უკუე და მარლოქეოსცა და სერვეოს სიმრავლსაგან გამოჩეულნი მთავარნი იყვნეს, რომელთა შეუტრიბნეს დრაჰკანნი ოქროსანი ასნი. ზოლო ვეცხლისანი — ხუთ ათასნი. ესრეთ ვიდრემე უკუე მლდელნი, თანად და ლევიტელნი და კერძოჲ რომელსა რომელიმე ყოელისა იუდეულთა ერისაჲ, რომელი იყო ვავილოჲსა შინა, დაემკვდრნეს იეროსოლჳმას. ზოლო სხუაჲ სიმრავლე წარვიდა თჳსთა მამულთა მიმართ.

\* II ეზღრ. 5,41; I ეზღრ. 2,64; II ეზღრ. 5,26; I ეზღრ. 2,40; II ეზღრ. 5,5; I ეზღრ. 2,2; II ეზღრ. 5,45; I ეზღრ. 2,69.

0 შეიწყალე სიმრავლე მეორისა აღმოსლვისა; ვავილოთი ძქლმდ დარიოხს ზექმნილსაჲ.

1°. და მეშველესა უკვე თუესა ვავილონით გამოსლესისა მათისასა წა-  
რავლინეს მლდელოთმთავარმან იოსუ და ზოროვაგელისა მთავარმან სოფლის  
შინანი და შეკრიბეს იეროსოლემად ყოველნი, არა რომელსა გულსმოადგი-  
ნებისასა დაძტევებულთა. და შეკმზადეს სამსხეტერპლოა აღვილსა ზედა, სადა  
იყო და უწინარესცა აღშენებულ, რათაა საკულოთერნი შეწირინენ მსხეტერპლნი  
მას ზედა ღმრთისა მოკისის საკულოთებრ. ამათნი მოქმედნი არა სახარულევან  
იყვნენ მახლობელთა წარმართთა, ყოველთა სიძულილსა მათდა მიმართ.

ხოლო აღმარულეს და მეკარვეობამცა მას ეამსა შინა. ცითარცა საკუ-  
ლისმდებელმან განაწესა მისთვის და შესაწირავნი ამათსა შემდგომად და წო-  
დებულნიცა სამარადისიანი და მსხეტერპლნი შაბათთანნი და ყოველთა წმინდა-  
თა დღესასწაულთანნი. და თანად მოქმედნი ლოცვათა მისცემდეს თვსთავით-  
გან მეშველსა თვსამთ. ხოლო იწყეს და შენებაცა ტაძრისასა, მრავლისა სა-  
კმარებისა მიმცემელთა ქვისმკეთებელთა და მამუნებელთათჳს. და თანად სი-  
დონელთა ტკბილ და სუბულქ იყო შთამომებელთა ლივანოთ ძელთა ნაძვ-  
სათა, შემკრველთა მათთა და ტივისა შემკრველთა შთალებად იოპისა ლიმე-  
ნად<sup>1</sup>, რამეთუ ესე პირველად კეროს ბრძანა, ხოლო მამუნ დარიოხს ბრძა-  
ნებითა იქმნა.

189

22°. რომელნი მიიწინეს რაჲ მეორესა წელსა იუდეელთა იეროსოლემად  
შთანღვსასა, მეორესა თუესა იწყყო და იწყებოდა შენებაჲ ტაძრისაჲ<sup>2</sup>. და  
საფუძველთა აღმმართებელნი თვსთავსა მეთროსა თვსასა მეორისა წლისასა,  
ამუნებდეს, წინადამადგინებელნი საქმეთა ზედა ლევიტელთაგან, აწლა ქმნილ-  
თა ოცისა წლისათა, და ი/ისუმსთა და ძეთა მისთა და ძმათსა და ზოდში-  
ლომსთა, ძმისა იუდა, ამინადავოხსთა და ძეთა მისთასა. და ტაძარი ვიდრემე  
ყოველსა მოსწრაფებისა ზედმოურნეობასა კელთდადებულთა კუმევითა  
მსწრაფელ ვიდრე მეჭუველობისა მისისა ვინიამე მიმღებელ იქმნა სარულბმაჲ.

ხოლო შეიმზადა რაჲ სამღდელოჲ. ნესტუთა თანა მღდელნი, ჩუეულე-  
ბითთა შესამოხელთა მიერ შემკობილნი, და ლევიტელნი და ასაფოხს ყრმანი,  
აღდგომილნი, აქებდეს ღმერთსა, ვითარცა მისსა მიმართი კურთხევად დაცი-  
დის ცხად-ყო პირველად. ხოლო მღდელნი და ლევიტელნი და ნათესავთა  
უზოხუტებულნი, პირველსა ტაძარსა ქსენებათა შინა მიღწომტკვევლნი;  
დიდსა და ფრიად ბრწყინვალესა, რა ქმნილსა მაშინ მხედველნი სივლახაკო-  
სათვს უნაკულლოენესად! ძველისაგან შემზახადებულსა, რაოდენ სადმე  
არაჲ პირველთა კეთილბედნიერობისაგან შთამომადამლებულ ჯდა ღირსები-  
საგან ტაძრისა გულსმსიტყუველნი, მწუხარე იყვნენ და ამის ზედასა მწუხა-  
რებასა პერობად არა შემძლებელნი ვიდრე გოდებათაგან და ცრემლთა მი-  
იყვანებდეს. ხოლო ფრისა საყუარელ იქმნენსა მაშინ ქმნილნი და მხოლოდ  
აღშენებაჲ სამღდელოთა პირველად მყოფსა არცა ფრითა საიტყუესა. მოქმედნი-

<sup>1</sup> შენებასაყ აQ. <sup>2</sup> უნაკლოოენესად.  
\* II ებრ. 5,47; I ებრ. 3,1. <sup>1</sup> ჯამხა 11,8 (ონანსადღერშ). \* II ებრ. 5,56;  
I ებრ. 3,8. <sup>2</sup> მიქს ძესანქო მარყოიამბანთ სთუი(ჯანო ო ჯონ უანს მარათსაქი 11,8. (მარ-  
ყოიამბ = 1) ყოფნა 2) დაწყება. ამ კონტექსტში სპირიო პირველი მიიშენლობა: მეორესა თვისა  
მათი იქ ყოფნისა დაწყეთ ტაძრის შენება).

მა, არცა ვსუნებმა. არცა შესწორებდა მძიართ მისისა მაქარებელი თავისაჲ, ვითარმედ უმცირესობანი, რომელთასა ჰვონებენ. ხოლო ზესთ-კმობდა კმასა ნესტულთასა და სიხარულსა სიმრავლისასა მოხუცებულთა და მღვდელთა გოდებაჲ, რომელთა ზედა ჰვონებდეს უმცირესობასა ტაძრისა მოკრებისასა.

3\*. ხოლო კმასა ნესტულთასა მსმენელნი სამარტელნი, რამეთუ მოძულე<sup>1</sup> იყვნეს იუდაჲს თესლისა და ფენიპიტოდოჲსა, მიზბოდეს, მიზეზსა გოდებორასა სწავლად ნუნებებელნი. ხოლო ცნეს რამ ტყუეჭქნილთა ვავილონად იუდეულთა აღმენებაჲ ტაძრისაჲ, მივიდეს ზოროვაგილოჲს და იოსუჲსა და ნათესავთმთავართაჲსა, მედრებელნი, რამთა უბრძანონ მათ თანა-აღშენებაჲ ტაძრისაჲ და ზიარებაჲ შენებისაჲ, „რამეთუ ვჰმსახურებთ არა უმცირეს მათგან, იტყოდეს, და მისა მიმართ ვილოცავთ და მახსურებამა გულამტქემელ ვართ მიერ ჟამითგან, რომლით საღმანასარის, ასკრელთა მეფემან, ხუთათასა და მდიდასაჲგან გარდაჰოგყუანნა ჩუენ აჲა“. ესენი რამ სატყუანი ყვნეს მათ, ზოროვაგილოჲს და მღვდელთმთავარმან იოსუ და ნათესავთმთავართა ისრაილიტთა თქუეს მათდა მიმართ — შენებისა ვიდრემე შეუძლებელ არს ზიარებაჲ მათი, ვინაჲთგან თვთ იგინი ბრძანებულ იქმნეს შემზადებასა ტაძრისასა პირველად ვიდრემე კვროსის მიერ, ხოლო აჲ — დარიოჲსა, ხოლო თაყუანისცემად უტყვენეს იგინი და ამით ჰხოლოდ ეზიარნენ მათ, უკუეთუ ინებონ და ყოველთა კაცთა, მიმავალთა ტაძარდ პატვიანათეს ღმრთისა.

41\*. ამათნი მსმენელნი ხტელნი, რამეთუ ესე სახელისდებამ აქუს სამარტელთა, განჩასნეს და არწუნეს სკრიაჲსა შინათა ნათესავთა ვედრებად სატრამთა ევრთვე, ვითარცა კვროსის ზე პირველ და უკუანამსკნელ კამეჭის ზე შემდგომად მისსა დაყენებულ შენებორაგან ტაძრისა და რამთა ამისა მიმართ მოსწრაფენი იუდეულნი მომგებელ იქმნენ მიზყოვრებასა და მომღვთვრებასა. ხოლო ამის ჟამსა აღსლუჲსა იეროსოლემად სისინისაჲ, ასკრიაჲსა და ფენიკეთისა მთავრისაჲსა, და სარვანანოჲსაჲსა რომელთამე სხუათაცა თანა, იყოთხილდეს თუდელთა მთავართაგან, ვის მიერ შენდობითა მათდა ესრეთ აღაშენებენ ტაძრისა, ხოლო სამცველო უფროჲსლა არს იგი, ვიდრე ტაძარ და რამასათეს კამარანი და ზღუდენი გარემოავლნეს ზღუდეთა ქალაქსა ფრიად მტკიცენი? ხოლო ზოროვაგილოჲს და მღვდელთმთავარმან იოსუ მონად ვიდრემე თქუნეს<sup>2</sup> თავნი მათნი. დიდისა ღმრთისა და ტაძარი უკუე მისდა შემზადებელი მფუნას მიერ მათისა, კეთილბედნიერისა და ყოველთაგან/ გარდამატებულისა სათნოებითა, მრავალსა დაადგრა ჟამსა. „ხოლო ვინაჲთგან უსახურ იქმნეს ღმრთისა მიმართ შამანი მათნი და ნაფუხოდონოსოროჲს, ფავილონელთა და ხალდეელთა მეფემან, მიმღებელმან ქალაქისამან ძლიერებით, თანად იგი დაამკუჲ და ტაძარი, განმფხურელმან, დაწუჲ და ერი გარდაამკვდირა, ტყუედ წარმყვანებელმან ვავილონად. კვროს, შემდგომმან მისმან ვავილოუნისა და პერსიდოჲსა მეფემან, დაწერა აღმენებაჲ ტაძრისაჲ და ყოველნი, რაოდენნი წარხუნა მისგან ნაფუხოდონოსოროჲს შქაწერავნი და ქურქელნი, ზოროვაგილოჲს მიმცემელმან და მითრიდატის, საჭურქლის-

1 მოძულე AQ. = თქნე AQ.

\* II ეზრ. 5,66; I ეზრ. 4,1. 1\* II ეზრ. 5,72; I ეზრ. 4,4.

მცველისამან. ბრძანა მიღებდა იეროსოლჰმად და კულად თესად ტაძრად უკუნ-  
ქცევა აღშენებულად. რამეთუ შლიად ამცნო ქმნადა სარჯასანოსს, მბრძანე-  
ბელმან აღსრულისამან იეროსოლჰმად ქმნად მოურნეობასა ტაძრისასა შენე-  
ბისასა, რომელმანცა, მიღებას თანა კვროს მირათა წერითასა, მიწვეულ-  
მან მეყუსულად შთახსნა საფუძველნი. და მიერ ეამითგან შენებული ვიდრე  
აქაშობდე ბოროტყოფილებისათჳს მტერთათსა უსრულ არს. აწ უკუეთუ მნე-  
ბებელ ხართ და მცეადნი, მიუწერენით ესენი დარიოსს, რამათ განმზილველ-  
მან მოსაცხენებელთა მეფეთასა გუბოვენს ჩუენ არცა ერთსა რომელთაგან  
ვიტყეთ ცრულმეტყუელნი<sup>1</sup>.

5\*. ესენი შა თქუნეს ზორივაგილოს და მღვდელთმთავარმან, სისინი და-  
მის თანათა შენებთაგან დაყენებდა არა საჯეს, ვიდრემდის არა ეუწყენენ ესე-  
ნი დარიოსს და მეყუსულად მიუწერენს მას ამათჳს. ხოლო იუდეელნი  
შეძრწუნებულ იყვნეს და შეშინებულ, ანუსად უკუე სთნდეს მეფესა იერო-  
სოლჰმათა და ტაძრისა შემზადებისათჳს. და მას ეამსა შინა მყოფნი ორნი  
წინაწარმეტყუელნი მათ შორის, ანთია და ზაქარია, განამკნობდეს მათ და  
არცა ერთსა ძენსა მოლოდებად სპარსთაგან, ვინათგან ღმერთმან აუწყნა მათ  
ესენი. ხოლო იგინი, მრწამუნებელნი წინაწარმეტყუელთანი, მოსწრაფებით  
მქონებელ იყვნეს შენებასა, არცა ერთსა დღესა განმსუენებელნი.

6. ხოლო დარიოსს, სამართელთა მიუწერეს რამ და შეასმენდეს წიგნისა  
მიერ თუდელთა, ფითარმდელ თანად ქალაქსა ფანამტიციებენ და ტაძრისა სამ-  
ცველოსა მსგავსსა უფროსს, ვიდრე სამღვდლომასა, შექმზადებენ, და მე-  
ტყუელთა არა სარგებლიან მოსად ქმნილნი და ამას თანა მჩუენებელთა კამ-  
ვკსის ეპისტოლეთასა, რომელთა მიერ დააყენნა მან შენებისაგან ტაძრისა,  
მსწავლელმან მათგან არა უკთომელ-ქმნადა საქმეთა მისთა, აღშენნეს რამ  
იეროსოლჰმანი, ვინათგან და სისინისაგანცა მიღებულნი წარიკითხნა წე-  
რილნი, ბრძანა სამეფოთა მოსაცხენებელთა შინა ძიება მათჳს და იბოვა  
ეკატანთა შინა, ფარის შინა მიდიასსა, წიგნი, რომელსა შინა ესენი იყვნეს  
აღწერილნი:

„ბირველსა წელსა მეფობისასა კვროს მეფენან ბრძანა ტაძრისა აღშე-  
ნებდა იეროსოლჰმათა შინა და სამსხუერპლომსა, სიმალლით ვიდრემე  
წყრათთა სამეოცთა, ხოლო სიერციო — მათვე, ქვათა ნაშენებითა დახუე-  
წილითა სპაითა და ძელისა სახლითა ერთითა მტყიციოთა. და ამათდა მიმარ-  
თისა წარსაგებელსა ქმნადა სამეფოთაგან ივანაწყსა. ხოლო ბრძანა და კურ-  
ველთადაცა, რომელნი<sup>2</sup> წარმეტყუენველმან ნაეზხოდონსოროს ვავილონად  
წარიხუნა, მიცემა იეროსოლჰმელთათჳს. ხოლო ზედმოურნეობდა ამათი იყოზ  
სანავასარომსა ებარხოზისა და სკრთამსა და ფენიკეთისა მთავარისა და მო-  
ყუარეთა მისთა, რამათ იგინი ვიდრემე განეყენენ ადგილსა, ხოლო მონათა  
ღმრთესათა თუდელთა და მთავართა მისთა მიუტეონ შენებდა ტაძრისა და  
თანაშეწუნება საქმისა მიმართ ივანაწყსა და ხარკისაგან/ცა მის სოფლისა, რომ-  
ლისა ზედადგომელ იყვნეს, მიცემა თუდელთათჳს სამსხუერპლოდ კუროთა  
და ეერბთა და თიკანთა და სემინდალსა და ზეთსა და ღვინოსა და სხუათა,

<sup>1</sup> მიუწერენ AQ. \* რომელმან AQD.

\* II ეზღრ. 6,6; 6,1; I ეზღრ. 5,1.

რაოდენთაცა მღღელნი იტყუოდნან. ხოლო ილოკვიდენ ცხორებისათჳს მეფეთაჲსა და სპარსთაჲსა და გარდამავალთაჲს რომელსაჲმე მცნებათაჲსაჲსა შეპყრობილთაჲს ბრძანა ჭუარკუჲმად და პონაგებისა მათისაჲს საჲვეფოდ მონაგებად დაწესებდაჲ. და ილოკა ამათ თანა ღმრთისა მიმართ, რაჲთა უჲჲეთუ ვინმე ჟელ-ჲოს დაყენებდა ტაძრისა შენებისაგან, მწყლგელმან მისმან ღმერთმან დააყენოს იგი ურწმუნოებისაგან.

7<sup>0</sup>. ამათმან მპოვენელმან მოსაცსენებელთა შინა კვროსისთა, დარიოს მიუწერა სისინის და მოყუარეთა მისთა, ამათმან მეტყუელმან: „მეფე დარიოს სისინის იპპარქსა და სარავაზანის და მოყუარეთა მათთა, ვინაროდენ! ნაკვალწერილი ეპისტოლისაჲსა მოსაცსენებელთა შინა კვროსისთა მპოვენელმან წარმოგივლინე თჳეთუ და მნებვე ქმნად ყოველთა, ვითარცა მას შინა მქონებულ არს. მრთელმობდით“. მსწავლელთა უკუე ეპისტოლისაგან სისინი და მის თანათა წინააღრჩევაჲ მეფისაჲს, ნეშტნიცა ამისნი შედგომილნი ქმნად აგრძნენს. ზღმდღვამელ უკუე იყენეს საქმეთა მღღელთაგანნიცა, თანაშემწენი მოხუცებულთა იუდელოანი და ბერთანი მთავართა თანა. და იქმნებოდა მრავლითა მოსწრაფებითა შეჲვაღებდაჲ ტაძრისაჲს წინაწარმეტყუელუებაჲს ანგეაჲსა და ზახარიაჲსა, ბრძანებისაგებრ ღმრთისა და მნებებულობისა კვროს და დარიოსს მიეფეთაჲსა. ხოლო აღეშენა წელთა შინა შვდთა და მეცხრესა უკუე წელსა დარიოსს მეფობისაჲსა, მეოცესა და მესამესა თჳსა მეთაურთუ-მეტისაჲსა<sup>1</sup>, რომელსა ეწოდებდნენ ჩუენ მიერ ციდრემე ადარ, ხოლო მაკედონთა მიერ დესტროს<sup>2</sup>, მოიღებენ მსხუერპლთა მღღელნი და ლევიტელნი და სხუად სიმრავლე ისრაილიტთაჲს განსახლებელთა<sup>3</sup> პირველთა კეთილთაჲსა შემდგომად ტყუეობისა<sup>4</sup> და ამისთჳს, რამეთუ მიიღო განახლებად სამღღელომან, კუროთა<sup>5</sup> ასთა, ვერძთა ორასთა, კრავთა ოთხასთა, ვაცთა ათორმეტთა ნათესვისაგებრ, რამეთუ ესოდენ არიან ისრაილიტთა ნათესავნი, რომელთათჳს ცოდთითოეულმან. და დაადგინეს მოკისი სჯულთაგებრ მღღელთა და მეკარენი<sup>6</sup> თითოეულსა ბჲისანი, რამეთუ აღაშენენს იუდელთა და მომრგულეობითა ტაძრისა კამარანი შინაგან ტაძრისა სამღღელოჲსა.

8<sup>2</sup>. ხოლო წარმოდგა რაჲ დღესასწაული უკომოთაჲს პირველსა თუესა, მაკედონთა მიერ ვიდრემეჲს ქსანთიკოდ სახელდებულსა, ხოლო ჩუენ მიერ — ნოსან, შეკრბა ყოველი სომრავლე დებათაგან ჭალაქად და დღესასწაულსა აღასრულებდეს განწმედილნი ცოლთა თანა და შვილთა მამულისა სჯულისაგებრ და პასქად<sup>7</sup> სახელდებულსა მსხუერპლსა მეოთხესა და მეთესა მისევე თჳსაჲსა აღმასრულებელნი იშუებდეს შვდთა შინა, არცა ერთისა მრიდებელნი წარსაგებელისანი, არამედ და ყოველადასაწუველთაცა შემწირველნი ღმრთისა და სამადლობელთა მსხუერპლთა მღღელმობქმედნი, რომელთათჳს მან, მოურნემან ღმერთმან, კუალად მამულსა ჭუეყანასა და მას შინანიცა სჯულნი მოიყვანა და სპარსთა მეფისა გონებდაჲ სახიერ-ჲო მათთჳს. ხოლო დაემკვდრნეს იეროსოლჲმთა შინა<sup>8</sup> და იგი ვიდრემე ამათთჳს უხუებით იყვენეს მსხუერპლ-

1 მეთორმეტისა S. 2 განსახლებელთა AQ, განსახლებულთა D. 3 ტუჲმბის AD, ტუჲმბის Q. 4 კუროთა. 5 პაქად AQ. 6 შინამო. 7 II ეზღრ. 6,34; I ეზღრ. 6,12; II ეზღრ. 7,1; I ეზღრ. 6,13. 8 of Αεϋεαθ Θαρϋοϋδξ 11,100 (=ლევიტელი მეკარენი). 9 II ეზღრ. 7,14; I ეზღრ. 6,2 . 10 მარტა ეწოდებდნენ დესტროს.

თა შინა და პატრიარქოპოყუარებობისა ღმრთისა მიმართ. ხოლო დაემკვდრნეს იეროსოლჳმთა შინა მოქალაქობასა მკუშმეველნი რჩეულმპყრობელობითსა მკირომთავრობისა თანა, რამეთუ მღღელთმთავარნი წინამძღვრომარუ იყვნეს სჯემთა, ციღრემდის არა ჯამონეოჳს ნაშობთა შეეშობხუა განმეფებამ. რამეთუ პირველ ვიდრემე ტყუეობისა და მოოკრებობისა იმეფებოდეს საუ/ლოასით პირვალდაწყებულნი და დავიდით წელთა ზეთასთა და ოკდაათორმეტთა, თუჳთა ექუსთა და დღესთა ათთა. ხოლო უწინარეს აჳიერ მეფეთამასა მთავარნი განაგებდეს მათ. სახელდებულნი მსაჭულად და ერთმთავრად და აჳით სახითა მოქალაქენი წელთა უფროჳს ვიდრე ზეთასთა მყოფ იყვნეს შემდგომად მოკსის სიყუდილისა და იისუჳს მკედარამყვანებელისა. და ტყუეობისაგან ვიდრემე ცხოვნებულთა იუდეულთაჲ კვროსის და დარიოჳს ჟამთა ამათ შინა იყვნეს.

9°. ხოლო სამაროტელთა, სიძულლით და მოშურნეობით მათდა მიმართ იდეუარეთა, იმრავალნი ბოროტნი უყვნეს იუდეულთა, სიძღვრისა შინდობილთა და ნათესავობასა მჩემებულთა სპარსთა მიმართ, ვინამთგან მიერ იყვნეს, რანეთუ რაოდენთა იბრძნნეს ხარკთაგან მეფისა მიერ მიცემად იუდეულთა მსხუერპლთაგან, არა მნებებელ იყვნეს მიცემად და თანად იპარხთა, მასწრაფობელთა მათთა ამისა მიმართ და თანამეშჳეთა, დააყენებდეს და თანად სხუათა, რაოდენნი ვნებად გინა მათ მიერ, გინა სხუათა შემძლებელ იყვნეს იუდეულთა, არა მოსდღვრდებოდეს. სთნდა უკუე მვედრებელთა იეროსოლჳმელთა მეფისა დარიოჳს მიმართ შესმენად სამაროტელთაჲ და ეფედრანეს ზოროვავილოს და სხუანი მთავარნი ოთხნი.

ხოლო ვითარ შესმენანი და მიზეზნი, რომელნი სამაროტელთათჳს მოიბუნა, ცნნა მათ მიერ ვედრებულმან მეფემან, მიცემელმან მოლებად მათთჳს ეპისტოლესა ეპარხთა მიმართ სამარიასათა და განზრახვის, განუტენა. ხოლო წერილნი იყვნეს ესეეთარნი:

„მეფე დარიოჳს ტადანას და ჯავას იპარხთა და სამაროტელთა სადრაკის და ვუტილონს და ნეშტთა თანმონათა მათთა სამარიასა შინათა! ზოროვავილოს და ანანია და მარდოქეოს, იუდეულთა მოხუცებულნი, გაბრალებდეს თქუნ, ვითარ მაყენებელთა მათთა აღშენებისათჳს ტადრისა და არა მიცემელთა, რომელნი ვბრძანენ მსხუერპლთა მიმართ თქუნგან მიცემად მათდა წარსაგებელთა მიმართ. მნებავს უკუე თქუნენი, წარმკითხველთაჲ ეპისტოლესა, მიცემად მათდა სამეფოჳსა საჳურჳლისმცველითაგან ხარკთაგან ჯანარიასთა ყოველთა, რაოდენნი მსხუერპლთა მიმართ საქმარ არიან მათდა, ვითარცა მღღელთა ითხოონ<sup>1</sup>, რადთა მოაკლდენ დღითი-დღე მსხუერპლველნი არცა ჩემთჳს და არცა სპარსთა, მლოცველნი ღმრთისა მიმართ“.

და ეპისტოლესა ვიდრემე ესენი მოაქუნდეს.

## 07. 5

1°. ხოლო დარიოჳს აღსრულდა რამ, მიმღებელმან მეფობისამან ყრმან მისმან ქსერქსი დამიკვდრა და მისი და ღმრთისა მიმართიცა კეთილმსახუ-

<sup>1</sup> ითხოონ A.

\* II ეზრ. 6,27; I ეზრ. 6,6. <sup>10</sup> II ეზრ. 8,1; I ეზრ. 7,1; II ეზრ. 8,8; I ეზრ. 7,11.



რებად და პარტივი, რაჲეთუ ყოველნი მსგავსად მამისა ქმნნა მსახურებისა მი-  
მართ და იუდელნი აქუნდეს პარტივისმოყუარებით. ხოლო მას ეჰმსა შინა  
მღვდელთმთავარი იყო იოსუფს ყრმაჲ, იოაკიმოს სახელით. და იყო ვავილონს-  
ცა შინა მართალი მანსაკი და ღიდებჲსა მიმღებელსა კეთილსა სიმრაველსა  
შორის, პირველი მღვდელი ერისაჲ, წოდებული ესდრად, რომელიცა მოვ-  
სის საჭულთა კმპაყოფელად მეცნიერ იქმნა, მოყუარე ქსერქსის მეფისა.  
ხოლო მნებებელი იეროსოლჲვმად აღსლვისაჲ და რომელთაჲმე ვავილონს შინა  
მყოფთა თუდელთა მიყვანებისაჲ, ვევედრა მეფესა მიცემად მათდა სატრაპ-  
თა მიმართ სკრიამსათა ებისტოლესა, რომლისა მიერ საცნაურ იქმნეს მათ-  
და, ვინ არს. ხოლო მეფემან მიწერა სატრაპთა მიმართ ებისტოლჲ ცსევი-  
თარი:

„მეფე მეფეთაჲ ქსერქსი ცადრას, მღვდლსა და მკითხველსა საღმრთოჲსა  
სჯულისასა, გიხაროდენ: ჩემისა კაცთმოყუარებისა საქმედ შემრაცხელმან,  
მნებებელთა იუდელთა ნათესვისაგან და მღვდელთა და ლევიტელთა, მყოფთა  
სამეფოსა შინა ჩემსა, წარსლვაჲ იეროსოლჲვმად, ესე ებრძანე:

191

და მნებებელი წარვედინ, ვითარ მთნდა მე და შვდთა თანგანზხრახთა  
ჩემთა, რაჲთა იუდეას შინა მოიხილნენ სჯულნი ღმრთისანი ჯერისაებრ და  
მიართუნენ ძლუენნი ისრაილიტთა ღმერთსა, რომელნი ვილოცენ მე და მო-  
ყუარეთა. და ვეცხლი და ოქროჲ, რაოდენი საღმე იბოოს სოფელსა შინა  
ვავილონელთასა სახელდებული ღმრთისად, ესე ყოველი იეროსოლჲვმად მი-  
ლონ ღმრთისად მსხურაბლადმი. თანად ყოველნი, რაოდენნი ვენებნენ ვეცხ-  
ლისა და ოქროჲსაგან შემზადებად, შემდგომად თავისუფალყო მამთა თანა.  
და მოცემულნი შენდა სამღვდელონი ჭურჭელნი შესწორნე და რაოდენნი  
მოიგონნე, ესენიცა ჰქმნნე, ამათდა მიმართსა წარსაგებელსა სამეფოჲსა ჭურჭ-  
ლის საცავისაგან მყოფელმან“. ხოლო მიწერა და საჭურჭლისკველთაცა მი-  
მართ სკრიამსა და ფნიკისათა, რაჲთა ნამცნებთა ესდრას მიერ, მღვდელ-  
ისა და მკითხველისა ღმრთისა სჯულთაჲსა, მოურნე იყვნენ. „ხოლო რაჲთა  
არცა ერთი რისხვაჲ მიიღოს ჩემ ზედა საღმრთოჲმან, ვინა ნაშობთა ჩემთა,  
ყოველთა ვადირსებ, ვიდრე ასთა იფქლოსა კოროთაცა შესწორვად ღმრთისა  
სჯულისაებრ. და თქუენ უკუე გეტყე, რაჲთა მღვდელთა და ლევიტელთა ჲა  
მღვდელმგალობელთა და მეკარეთა და მღვდელმონათა და მწიგნობართა სამღ-  
ვდლომსათა არცა ხარკთა განუწყსებდეთ, ნუცა სხუად რაჲვე ბოროტი, ვინა  
შესაწუხებელ იქმნნეს მათდა მიმართ. და შენ, ესდრა, ღმრთისა სობრძნისა-  
ებრ განაჩინენ მსაჭულნი, რაჲთა სჯილენ ყოველსა სკრიამსა და ფნიკსა შინა  
და მეცნიერთა სჯულისა შენისათა და უმეცართა მიანიჭო მათ სწავლად, რაჲ-  
თა უკუეთუ ვინმე თანმონათესვეთა შენთაგან გარდაჰკვდეს სჯულსა ღმრთი-  
სასა, ვინა მეფისასა, მიეკადოს პარტივი, ვითარ არა უმეტრებით გარდამავალი  
მისი, არამედ მეცნიერი ვიდრემე. ხოლო მკადრეობით ურჩი და შეურაცხის-  
მყოფელი, ხოლო იტანჯნენ ანუ სიკუდილითა, ანუ ზღვევითა საქმართაჲთა.  
მართლობად“.

2\*. მიმღებელმან უკუე ამის ებისტოლისამან ესდრა განიშუა და თაყუ-  
ანისცემად იწყო ღმრთისა, მისდა მიმართისა სახიერებისათჲს მეფისა მას

<sup>1</sup> მღვდელმონათა AQ.

\* II ეზღრ. 8,25; I ეზღრ. 7,27; II ეზღრ. 8,61; I ეზღრ. 8,31.

მიზეზ-ქმნად აღმსაარებელი და ამისთვის ყოველსა მადლსა მისდა ყოფად იტყოდა. ხოლო წარამკითხველმან ეპისტოლოსამან ვაგილონს შინა მუნ მყოფთა თუდელთა მიმართ, იგი ვიდრემე იპყრა, ხოლო ნაცვალწერილი მისი ყოველთა მიმართ წარავლინა თანმონათესავეთა, მიდიას შინა მყოფთა. და მათ უკუე, ისწავნეს რამ მეფისა მიერნი და ღმრთისა მიმართი კეთილმსახურება და ესდრასს მიმართი სიყუარული, ყოველთა ვიდრემე უმეტეს შეიყუარეს, ხოლო მრავალნი მათგანნი, მონაგებთა მიაღებულნი, მივიდეს ვაგილონად, მოსურნენი იეროსოლჳმად შთასლინანნი. ხოლო ყოველი ერთი ისრაიელიტთა დაადგრა სოფელსა შინა, რომლისათესა ორთა ნათესავთა ყოფად შეემთხვა ასიას შინა და ევროპსა მორჩილად რომაელთა, ხოლო ათნი<sup>1</sup> ნათესავნი წიად ევფრატისა არიან ვიდრე მოაქამდე, ბევრნი ურიცხუნი და რიცხუთა<sup>2</sup> ცნობად შეუძლებლნი.

ხოლო ესდრასს მიმართ მიიწივნეს მღვდელთა და ლევიტელთა და მეკარეთაგან და მღვდელმგალობელთა და მღვდელმონათა მრავალნი რიცხვთა. და შემკრებელმან ტყუეობისა რიცხუთაგანმან<sup>3</sup> წიად ევფრატისა და სამთა ღვთთა მუნ დადგრომილმან, მარხუად აპტო მათ, რამთა ლოცვანი ყვნეს ღმრთისა მიმართ ცხობრებისათჳს თაუთა თქსთაჲსა და რამთა არაარად უშუერი ცენოს გზასა ზედა ანუ მბრძოლთაგან, ვინა სხესა რომლისამე ძენისაგან, მიახლებულისა მათდა, რამეთუ მსწრობელმან ესდრა თქუემად/მეფისა მიმართ, ვითარჳდ დაიკვნეს იგინი ღმერთმან, არა ღირს-იჩინა თხოვად მისგან ცხენოსანთა წარმავლენელთაჲ.

ხოლო მყოფელნი ლოცვისანი და წარსრულნი ევფრატით მეათორმეტესა პირველსა თქსასა, მეშუდესა წელსა ქსერქსის მეფობისასა, მიიწინეს იეროსოლჳმად თუესა მეხუთესა მთვე წელიწდისასა და მეყუსტულად საქურტლოს-მცველთა, მყოფთა ნათესავთაგან მღვდელთაჲსა, წარმოუდგინნა სამღვდელონი საქმარნი ესდრა, ვეცხლისა ტალანტნი ექუსას ორამეოცდაათნი, ჳურტველნი ვეცხლისანი ტალანტთა ასთანი და ოქროსაჲ ჳურტველნი ტალანტთა ოცთანი და რვალოსა ჳურტველნი, ოქროსაჲ უმჯობესნი, საწომსა მქონებელნი ტალანტთა ათორმეტთანი. რამეთუ ესენი მიანიჭნა მეფემან და თანგანმზრახთა მისთა და ყოველთა ვაგილონს შინა დადგრომილთა ისრაიელიტთა. ხოლო ესდრა, მღვდელთა მიმცემელმან ამათმან, მისცნა და ღმერთსაჲსა ყოვლადმსაწუეველთა განწყისებულნი ქმნად მსხუერპლნი, კუბონი, ათორმეტნი ცხობრებისათჳს ფრისა ზოგად, ვერძნი ოთხმეოცდაათნი, კრავნი სამეოცდაათორმეტნი, თიკანნი საქმნელად ცოდვითა ათორმეტნი. ხოლო განმგებელთა მეფისათა და ეპარხოსთა ღელისა სურიაჲსა და ფუნიკისათა წერილნი მეფისანი მისცნა. ხოლო მათ, ბრძანებულისა მის მიერ ქმნად საქიროდ მქონებელთა, პატივ-სცეს ნათესავსა და ყოველისა მიმართ საქმარებისა შეეწინეს მას.

3°. ესენი ვიდრემე უკუე და თვთცა განიზრახნა ესდრა და წარემარონეს მას გამორჩევითა მისითა ღმრთისაგან ღირსად განზრახულთა სახიერებისათჳს და სიმართლთა.

ხოლო უკუანამსკელსა ესმსა მოვიდეს ვინმე მისსა და შეგამენდეს, ვითარჳდ ვითინიჲ სიმრავლისაგან და მღვდელთა და ლევიტელთა გარდა-

<sup>1</sup> ორნი A Q D, at ბბ ბნ ან 11, 22 <sup>2</sup> რიცხვთა. <sup>3</sup> რიცხვთაგანთაჲს.

\* II ეზდრ. 8, 68; I ეზდრ. 9, 1.

ჯდეს მანუღნი სჯულნი, სხუა ნათესავთა ცოლთა მომყვანებელთა და სამღდელოა ნათესავი შეამრღვეს. ხოლო ევედრებოდეს რაჲ შეწყენად სჯულთა, რაჲთა არა ზოგადი რისხვაჲ ყოველთა ზედა მოიღოს და კუალად შთაყარნეს იგინი განსაცდელთა, განხეთქა ვიდრემე მეყუსეულად მწუხარებისაგან შესამოსელი და თავისა დამფხურელმან და წუერთა მაგინებელმან ქუეყანასა ზედა დაავდო თავი თვისი, რაჲთა გულისკანა-ყონ პირველთა ერთსათა მიზეზი ესე. ხოლო გულისმოსიტუეველი, ვითარმედ უკუეთუ განკადა ცოლთა და მათგანთა შვილთაჲ უბრძანოს მათ, არა შეისმინოს, დაადგრა ქუეყანასა ზედა მღებარჲ. და მიზიოდეს უკუე მისა მიმართ მორჩილებისანი ყოველნი, მტორალნი იგინი ქმნილისათვის და მწუხარებასა თანმიმღებელნი. აღდგომილი უკუე ქუეყანისაგან ესდრა და კელთა განმმართველი ცადმი, მეკდიმების ვიდრემე, იტყოდა, მისა მიმართ აღხილვად ნაცოდებთათვის ერისათა, რომელმან კსენებისაგან განავდო შემთხუფელნი მამათა ჩუენთათჳს უსახურებისათვის მათისა. და ევედრებოდა ღმერთსა, თესლსა რასმე და ნაწილსა მაშინდელისა მათისა განსაცდელისაგან და ტყუობისა მაცხოვრებელსა და კუალად იეროსოლუმად და თესად ქუეყანად უკუმკუეველსა და სპარსთა მეფეთა მიიტულბელსა, რაჲთა მომბებელ-ქმნეს წინაწარმეტყუელბასა და შეჰნდობელ-იქმნეს აწ ნაცოდებთათჳს, ღირსთა ვიდრემე სიკუდილისათა მოქმედთა. ხოლო სახიერებისათჳს ღმრთისა და ესენიცა განუტევენს სასჯელისაგან.

4\*. და იგი ვიდრემე დასცხრა ლოკვათაგან. ხოლო იგოდებდეს რაჲ ყოველნი, რაოდენნი მისა მიმართ ცოლთა თანა და შვილთა მოვიდეს, ახონოს ვინჲ სახელით, პირველი იეროსოლუმათაჲ, მისრული მათსა ვიდრემე მცოდველობასა იტყოდა, სხუა ნათესავთა ცოლთა მიმყვანებულთასა. ხოლო არწმუნებდა / ფუცებად ყოველთა, რაჲთა განკადნენ ცოლნი იგინი და მათ მიერ შობილნი, ხოლო არა მრწმუნებელნი ტანჯენენ სჯულისაებრ. მრწმუნებელმან უკუე ამითმან უსდრა ყო ფუცებად ნათესავთმთავრებისაჲ, მღდელთასა და ლევიტელთა და ისრაილიტათასა განვლინებად ცოლთა და შვილთასა ახონოს განზრახვისაებრ. ხოლო მიმღებელმან ფიცთამან მეყუსეულად მიიმართა სამღდელთასაგან სახლად იოანნი ელიასითასა და არცა ერთისა ყოველითურთ მწუხარებისა ძლით მეგმებელი მას დღესა შინა, დაადგრა მუნ.

192

ხოლო იქმნა რაჲ ქადაგებად, რაჲთა ყოველნი ტყუეობისაგანნი შემოკრბენ იეროსოლუმად, ვინაჲთგან ორთა, ვინა სამთა დღეთა შინა არა მოწვეულნი იტცხო იქმნენს სიმრავლისაგან და მონაგებისა მათისა, მოხუცებულთა სკისაებრ დამტკიცებულთა, შენოკრბეს იუდაჲს ნათესავისა და ვენიამიტადომასაგან სამთა დღეთა შინა ოცსა მეცხრეთსა თჳსასა, რომელი ევრაელთა მიერ ვიდრემე იხარა\*, ხოლო მაკედონელთა აპელლოდ იწოდების. და მსხდომარე იყვნეს რაჲ უკუე ქორსა ზედა სამღდელთასა, მუნ ყოფასა ერთბამად და მოხუცებულთასაცა და ყინელისა მიერ მძნვარედ დადებულობასა, აღდგომილი ესდრა აბრალბდა მათ, მეტყუელი: „უსჯულოება ჰყავთ მექორწინეთა არა თანმონათესვეთაგან ვიდრემე. უკუე იქმნენით მათონი ღმრთისანი, ხოლო თქუენთჳს უმჯობესნი, განმავლენელი ცოლებთასა“. და მათ უკუე ქმნად ამისი ყოველთა ჳმა-ყვეს, გარნა სიმრავლე არს ფრაიდი

\* II ეზრ. 8,91; I ეზრ. 10,1. 1° χασις 11,148.

და წელიწდისა ეამი — ზამთარი და საქმეთა არც ერთისა, არცა ორისა დღისაა არს. „არამედ მთავარნი ამათნი და თანშეყოფილნი უცხო თესლთა ცოლთანი მოუვდინ, მიძღებულნი ქაშისანი და მოხუცებულთანი, როზლისაჲ აღგიღსაგან ინებონ, თანგანხილველად სიმრავლესა ქორწინებულთასა“. და ესენი რაჲ სთნდა მათ, იწყეს თვსთავსა მეათისა თვსაჲა გამოძიებად, რომელნი თანშეყოფილ იყვნეს უცხო-თესლთა ცოლთათჳს. და პოვნეს ვიდრე თვსთავსაჲდ მონავალსა თვსა, მყოფელთაგან გამოძიებისათჳს მრავალნი იისუ-ღს ნაპოსთაგანცა. მღღელთმთავრისათა და მღღელთა და ლევიტელთა და ისრაილიტთა, რომელთა ცოლნი და მათგან ნაშობნი, სჭულისა დაცვათათჳს ვიდრემე მათდა მიმართისა სიუყარულისა უმეტესსა მოსწრათებასა მყოფელთა, მეყუსეულად განკადნეს და მსხუერპლნი შეწირნეს მოწყალემყოფელისა ღმრთისათა, ვერბთა ნანსხუერპლელთა მისთჳს. ხოლო სახელებთა ამათა თქუმა არა ეპოვნეთ ჩუენ საჭროდ ყოფამ. ცოდვათა უკუე ქორწინებთათჳს<sup>1</sup> პირველთქუშულთამსა ესრეთ აღმზარებულმან, ესდრა განწმიდნა ამითა მიმართ ჩუეულებამ, ვიდრელა ესე მიერთგან სამარადისოდ ეგო.

5°. ხოლო მეშუდესა თუქსა დღესასწაულობდეს მეკარვეობაჲა ვიდრელა, ყოვლისა ღრასა შემოკრებულებასა მაშინ აღსრულნი განღებულსა ტაძრისასა ბქინა ჯერბო აღმოსავლეთით მხედველისა, ეუდრენეს ესდრას წარკოთხვად მათდა სჭულთა მოვსისთა. ხოლო მან, დადგრონილმან საშუვალ სიმრავლისა, წარიკითხა. და ესე ქმნა დაწყებასა თანა დღისასა ვიდრე შუადღედმდე. და იგინი უკუე, მსმენელნი წარმკითხველთა სჭულთანი, ისწავებდეს მართლიად დადგრომასა აწცა და გულვებადისაცა მიმართ, ხოლო წარსრულთათჳს მწუხარებოდეს და ვიდრე ცრემლთადმდე იძიებულობდეს, გულისწიტიყუელნი თავთა მიმართ თვსთა, ვითარმედ არცა ერთიბცა შემთხუეულთა ბოროტთაგანი ცყოს მათ, უკუეთუცა დაეცვა სჭული.

ხოლო ესდრა, ესრეთ ქონებულად მხედველმან მათგან, უბრძანა წარსლვამ თავთა თვსთადმი და არა ცრემლოვამ, რამეთუ დღესასწაული არს და არა ჯერ-არს მას შინა ტირილი, რამეთუ არა შესატყვის. ხოლო უფრომსლა განაზრახებდა შეუბინადმი მიმართებულთა ქმნად შესამსგავსთა დღესასწაულისათა/ და სახარულღვანთა და სინანულსა და სწუხარებასა წინაწარქმნილთა ცოდვათა ზედა და თანად ქონებულ სიმტკიცესა და დაცვასა, რათა არა მსგავსი შეემთხვოს. ხოლო მათ, ესრეთ ესდრამს მიმართ სწავლულთა, დღესასწაულობად იწყეს. და ამას მოქმედნი რვათა დღეთა კარავთა შინა, წარვიდეს სახიდ თვსა ქებათა თანა ღმრთისათა, აღმართებნათჳს უსჭულოებათამსა მოქალაქეობასა შინა მცენდერნი მადლსა ესდრამსთჳს, რომელსა შეემთხვა შემდგომად ერისა შორის დადებულბმსა ნკოვანსა აღსრულბმამ ცხოვრებაგან და დაფლვამ მრავლისა თანა პატივისმოყუარებისა იეროსოლვამათა შინა. ხოლო მას ვიდრე ეამსა შინა ვინამთგან იოაკიმოსცა მღღელთმთავარი მოკუ-ღა, ყრპაჲან მისმან ელიასივამ მღღელთმთავრობამ მიითჳლა.

61°. ხოლო ტყუექმნილთაგანი ვინმე იუდელთამ, მეღვნე მეფისა ქსერქსარს, ნეემიას სახელით, მდგომარე<sup>1</sup> წინაშე დედაქალაქისა სპარსთა სუსათამ-

<sup>1</sup> შოლარე A.Q.D. 11188 (= მოსიარულე, მოსიერე).

<sup>2</sup> II ეზრ. 9,38. ნეემია 8,1. <sup>3</sup> ნეემია 1,1; 2,6.

<sup>4</sup> ქორწინებათჳს.

სა, უცხოთა რომელთაჲმე, ზრგელისა გზისაგან ქალაქად შემაგალთაჲ, მამენელთა ევრაულად ურთიერთას მზრახვალთაჲ, მისრული მათდა მიმართ იკითხვიდა, ვინაჲ არიან მოზავალ. ხოლო მათ ჰიუგუს მოჰლავა თუდეთაჲსაგან. ვითარ მქონებელ არს სიმრაველე მათი და დედაქალაქი იეროსოლუმჲჲ — კუალად იწყო კითხვად. ხოლო ბოროტად ქონებჲჲ რაჲ თქულს, რამეთუ დამკობრალ არიან იატაკად ზღუდენი მათნი და ვარემოჲს მყოფნი წარმართნი მრავალთა ბოროტთა უყოფენ იუდეელთა, დღით ვიდრემე მარგებელნი სოფლისანი და მიმტაცებელნი, ხოლო ღამით — ბოროტნიმომქმედნი, უდრელია მრავალთა სოფლისათა და თვთ მათ იეროსოლუმთაგან ტყუეთა წარყვანებულჲმდე და ზხათა აღსავსეთა<sup>1</sup> პოვნად დღითი-დღე ცუდდართაგან. ცრემლოვან-იქმნა ნენებისა, შეშწყალელებელი გამსაცდელისათჲს თანმონათესევეთა და აღმხილველმან ზეცად — „ვიდრემდის, თქუა, ო მუუფუო, ვარემიიხილავ ესევეითართა მუნებელსა ნათესავსა ჩუენსა, ესრეთ მისტაცებულ ყოველთაგან და ნატყუენა-ქმნადსა?“

ხოლო იქცეოდა რაჲ იგი მახლობლად ბქისა, მგლოველი ამითი, მოსრულმან ვინმე მიუთხრა მას, ვითარმედ ეგულფობს აწლა დაჯდონაჲ მუფუა. ხოლო იგი მუუყუეულად, ვითარ აქუნდა, არცაღა განმზანელი პარისაჲ, მოსწრაფე იყო მსახურებად მეფისა სასუმელისა მიმართა მსახურებასა. და შემდგომად უკუე სერობრა, ვითარ ჯანიშუა მუფუმან და მხარულ-იქმნა, მიხედნა ნენებისა და შექმუნებულად მხილველმან — „რამათჲს მწუხარე ხარ?“ — ჰკითხვიდა. ხოლო მან, ვედრებულმან ღმრთისაჲს მადლსა რომელსავე და რწმუნებჲსა მონიჭებულ მისთვის, მეტყუელისა, „ვითარ, თქუა, ო, მუუფე, შემწლებელ ვარ არა ხედვად შენ მიერ ესევეითარი, არცა ტკივილად ჰელთა, ოდეს მამულთა ჩემისა იეროსოლუმთაჲსა, რომელსა შინა საფლავნი და სამარხონი მშობელთა ჩემთანი არიან, მესმოდის ზღუდეთა და ბქეთა მისთა დამწუართაჲ დამკობაჲ ქუეყანასა ზედა? არამედ მომანიჭე მე, წარსრულსა, ზღუდისა<sup>2</sup> აღმართებჲჲ და ჩრდილონსა ნაკლულევანსა<sup>3</sup> აღმუნებჲჲ“.

ხოლო მუფუმან თანად ნიკთა ნიკემად წინს-უყო მას და სატრაპთა ჰრმართ მიღებჲჲ წერილთაჲ, რამთა თანად პატრივისა აღირსონ იგი და ყოველივე საქმარებჲჲ მიანიჭონ, რომლთაჲცა მიმართ მუნებებელ იყოს. ხოლო დასცხრეს, ჰრქუა, მწუხარებოსაგან და მხარული აწერითგან ვუმსახურებდეს ჩუენ. და ნენებისა ვიდრემე უკუე, თაყუანისმცემელმან ღმრთისაჲს და მეფისა მჰადლოებელმან აღთქუმისათჲს, მწუხარებჲჲ პირისაჲ და შეზრლუეულებჲჲ განიწმიდა სიხარულისა მიერ აღთქუმათაჲს. ხოლო ხვალისად მომწოდებელმან მისმან მისცა მას მიღებად ეპისტოლევ აღდგომს მიმართ, სკრიპსა და ფენიკისა და სანარიაჲსა ეპარხოზისა, რომელსა შინა პატრივისათჲს ნეემიასა და საქმარებჲსა ნიციუმისათჲს შენებისა მიმართ მიემცნო.

193

71<sup>0</sup>. ხოლო მისრული ვაელონად და მრავალთა თანმონათესევეთა, ნებსით შედგომილთა მისდა, მიმეყანებელი, მიიწი<sup>4</sup> იეროსოლუმად მეხუთესა და მეოცესა წელსა ქსერქსის მეფობისასა. და მახუნებელმან ერისა ეპისტოლეთამან, მისცნა აღდგოს<sup>4</sup> და სხუათა იპარქთა და მომწოდებელმან ყოვლისა ერისამან იეროსოლუმად, დადგომილმან საშუეალ სამღდელოჲსა ესევეითარნი

<sup>1</sup> აღსავსეთა | აღსავსეთა A. <sup>2</sup> ზღუდისა. <sup>3</sup> მიწია | მისდა A Q D. <sup>4</sup> საღოს A Q D. <sup>5</sup> *ადმნი* 11,100.  
<sup>6</sup> *თმ სეპთ* 11,100 (= ტარის). ბერძნული ღუნის ვარიანტებში არის: „ტარის უმეტესი ნაწილი“. <sup>7</sup> ნემია 2,11.

ყენა სიკუყუანი მათლა მიმართ: „მამაკაცო იუღელნოი ღმერთი ვიდრემე, უწყით, კსენებასა მამათასა — ავრამოას და ისაკოას და იაკოვოასსა შინა დაღვრომილად და მათისა სიმართლისათეს არა დაუტეობს ჩუენ ძლითსა მოურნეობასა, რომლისათესცა შემეწიას მე მეფისა მიერ მიღებად კელმწიფებასა, რაათა ზღუდე თქუენი აღვჰმართო და რეშტი ჰანღიდულოასაა სრულ-გყო. ხოლო მნებას თქუენი, მეცნიერთაი შეშარიტად სიბოროტესა მახლობელთა ჩუენთა ნაღ-სავთასა და ვითარმედ შენებისათეს, უკუეთუ ისწავონ ჩუენი ამისდა მიმართი პატივისმოყუარებაა. წინაღუღვდგენ<sup>2</sup> და მრავალნი იმოქმედენ ამისა მიმართ დამაბრკოლებელნი ჩუენნი, პირველად ვიდრემე უკუე ღმერთსა მივენდენეთ, ვითარ მათისა სიძულლილსა მიმართ წინაღდგომილნი, ხოლო რეცა დლით, ნეცა ღამით განუსუენებთ თავთა თესთა შენებისაგან, არამედ ყოვლისა მოსწრაფებისა მკუმეველთა გუაქუნდენ საქმე, ვიდრეღა ეამი არს მისი განთესებული“.

ამათჲან პეტყუელმან უბრძანა მეყუსეულად მთავართა განზომად ზღუდისა და განყოფად შრომისა მოსისაი ერისად დაბათა და ქალაქთა ზედა, ძლისაებრ თითოეულთაასა. ხოლო აღმოქუმედმან და თვთცა მონათა თანა შეწვენად შენებასა, დაჰქანა შესაკრებელი. და ოუდელნი საქმისა მიმართ განემზადებოდეს. ხოლო ეწოდა მათ სახელი, რომელი დლითგან აღმოავიდეს ცაციონი ოუღას ნათესავისაგან, რომელიცა პირველად მოვიდა მათ ადგილთა და მათცა და სოფელმან სახელისდებად მათი მიიღეს.

8\*. ხოლო მსმენელნი მოსწრაფებასა ზღუდეთა აღშენებისასა ამჲანიტელნი და მოავიტელნი და სამართიტელნი და ყოველნი, დელესა შინა სკრიაასა მკედრნი, ბოროტად მოითმენდეს და მოსწრაფე თყვენეს, შემზადებულნი მათეს მზაკვარებათანი და დამაბრკოლებელნი მათნი მოქმედებისაგან. და მრავალნი იუღელთაგანნი მოაკუდინნეს და თვთ მასცა, ნეემიასს, ეძებდეს განხრწნად, მომზადებულნი ვიეთნიმე უცხო თესლთაგან, რაათა მოაკუდინონ იგი. და შიშსა და შფოთსა შინა შთაყარნეს იგინი და ებათა რომელთაჲე განსთქუმიდეს მათდა, ვითარ მრავალთა ნათესავთა ვულცებასა აღმკედრებად მათ ზედა, რომელთა მიერ შემარღუეულნი მცირედ განუყენეს შენებისაგან<sup>3</sup>. ხოლო ნეემიას არცა ერთმან ამათგანმან განაყენა მოსწრაფებისაგან საქმეთაასა, არამედ სიბრაველსა რომელსაჲე მკველთასა სხუელისა ძლით გარემოას დამადგინებელი უშიშად მოითმენდა წადიერებისაგან, რომელი აქუნდა საქმისა მიმართ, არა მგრძობელი ძვრისხილვისაჲე. ესრეთ მოსწრაფებით და წინაგანგებით მქონებელ იყო ცხოვრებისა თესი არა მოშიშსი სიკუდილისაგან, არამედ მეცნიერა, ვითარმედ შემდგომად აღსრულებსა მოსისა არაარა აღმართნენ ზღუდენი მოქალაქეთა მისთაგან. და შემდგომად ამისა უბრძანა მაშენებელთა, რაათა საქურველთა გარემომორტყმელნი შურებოდიან. და მაშენებელსა ვიდრემე მახვლი აქუნდეს და ნივთისა მომღებელსა. ხოლო ფართად მახლობელად მათსა ბრძანა მღებარყოზად და მენესტუენი ხუთასათა ბიჯითა დააყენნა შორს, მბრძანებელმან, უკუეთუ გამოჩნდენ მტერნი<sup>4</sup>, უწყებად ესე ერისა, რომელთა აღქურვილნი ჰბრძოდინ და არა შიშუელთა ზედა-

<sup>1</sup> ისაქონი+შენი AQ. <sup>2</sup> წინაღდგდენ AQ. <sup>3</sup> შეშინებისაგან AQD, *ἡς οἰκοδομᾶς* 11,175. <sup>4</sup> ერნი *ἐν τοῖς ἔμοις* 11,177.

\* ნეემა 4,7; 7,4.

დაესხნენ მათ. ხოლო თვთ ღამით მომრავლებით გარემოას ქალაქისა ვიდოდა, არა დამაშურალი არცა საქმეთა შინა, არცა შუებათა და ძილთა მიმცემელი თავისად, რამეთუ არცა ერთსა ამთავანსა გემოთა მიერ იჭუნებდა, არამედ იძულებნათჳს. და ესცივითარი შრომად მოითმინა წელთა ორთა და თუეთა ოთხთა, რამეთუ ესოდენსა ესჳსა შინა აღუშენა ზღუდე იეროსოლჳმთაჲ, მერჯესა და მფოცქსა წელსა ქსერქსის მფეობისასა და თუესა მეცხრესა. ხოლო მიიღეს რაჲ სრულებაჲ ზღუდეთა, ნეემიას და სიმრავლემან ჟმსხურაბონეს ღმერთსა აღშენებნათჳს მათისა და დაადგრეს რვათა დღეთა შინა მშუებულნი.

ნათესავნი ვიდრემე სკრიას შინა მკვდრნი, სრულებასა ქონებად მამენელნი ზღუდესა შენებისასა, მწუხარე იყვნეს. ხოლო ნეემიას, მხედველი ქალაქისაჲ კაცმცირედ, მღდელთა და ლევიტელთა ცვედრა, რაჲთა დამტეგებლნი სოფლისანი მივიდეს ქალაქად და დაადგრენ მას შინა. და აღუშენნა მათ სახლნი თჳსთა წარსაგებელთაგან.

ხოლო მუშაქა ერთსა ათეულსა ნაყოფთასა უბრძანა მიღებაჲ იეროსოლჳმად, რაჲთა საზრდელსა სამარადისოდ მქონებულნი მღდელნი და ლევიტელნი არა დაუტეებდენ მსახურებასა. და მათ ვიდრემე სიხარულით იძმინნეს, რომელნი ჯანაწესნა ნეემიას. ხოლო კაცთმრავალ ქმნაჲ იეროსოლჳმელთა ქალაქსა ესრეთ შეემთხვა.

და სხუათაცა უკუე მრავალთა კეთილთა და ღირსთა ქაბისათა პატივისმყოფარებით მოქმედი ნეემიას აღსრულდა, სიბერედ მიწევნილი. ხოლო მამაკაცი იქმნა კეთილი ბუნებით და მართალი და თანმონათესვეთა მიმართ პატივისმყოფარე, საქსენებელსა საუტუნოსა დამტეგებელი ნათჳს იეროსოლჳმასა ზღუდეთა.

VI. 6

1\* ესენი ვიდრემე უკუე ქსერქსის მეფისა ზე იქმნნეს. ხოლო აღსრულდა რაჲ ქსერქსი, მეფობაჲ ძესა ზედა კვროსს, რომელსა არტაქსერქსიდ ელლინნი უწოდენ, გარდავიდა. ამას რაჲ აქუნდა მპარსთა მთავრობაჲ, იძულებულ იქმნა ყოველი ნათესავი იუდეელთაჲ ცოლთა თანა და შვილთა წარწყმედად. ხოლო მიზეზი შემდგომად მცირედისა ცხად-ყოთ, რამეთუ შუენის პირველად შეფისა ძლითთა მითხრობად და ამისა შემდგომად — თუ ვითარ ექორწინა იუდეულსა დედაკაცსა, სამეფოჲსა ნათჳწავსაგან მყოფსა, რომლსაგან და ცხოვნებასაცა ნათესვისა ჩუენისასა იტყვან.

რამეთუ მიმღებელი მეფობისაჲ არტაქსერქსი! და დამადგინებელი მთავართაჲ ინლოეთითგან ვიდრე ეთიოპიადმდე სასატრაპოთა ათთა ასთა და ოცდაშუდთა, მყოფობასა მქსამქსა წელსა მეფობისასა თანად მოყუარეთა და თანად ნათესაეთა სპარსთასა და მთავართა მათთა შემწყნარებელი, ასერებდა უხუებით, ვითარ ჯერ-არს მეფისა, სიმღიდრესა შემზადებელისა ჩუენებასა ქმნად მნებებელისა, დღეთა შინა ას ოთხმეოცთა. ამისა შემდგომად ნათესაგნა და მოხუცებულნი მათნი სოასთა შინა ასერნა დღეთა შუდთა. ხოლო მოსკუმერობაჲ მათი იყო ესრე სახიდ ქმნილი:

1 ისტარქსერქსი AQ, δ 'Αρταξέρξης 11188

\* ესთერა 1,1; 1,12.

194

საკვდობელსა დამაფუძნებელსან ოქროსა და ვეცხლისა სუეტთაგან, სამოსელნი ჰელისანი და ბორფეროანნი განპარტნა მათ ზედა, ვიდრე მრავალთა ბევრთა დატყუენდმდე, ხოლო იმსახურებოდეს სასუმელთა მიერ ოქროსათა, ქვისა მიერ მრავალსასყიდლისა საშუებელად და სახილავად ქმნილთა. და უბრძანა უცუე მსახურთაჲსა, რათა არა აიძულებდენ სუემად ვშირად, მიწლებელთა შათუს სასუმელისათა, ვითარ იქმნებდს სპარსთა შორის, არამედ მიტევებად მათდა და რომელსა მნებებელ იყოს თითოეული მსხდომარეთაგანი პატივისმოყუარებად და წარმავლენელმან სოფლითი-სოფლად, მიუმ/ცხო განსუენებამ. დამტევებელთა საქმეთასა და დღესასწაულობამ მეფობისა მისრათუს მრავალთა დღეთა შინა.

ესრეთე მსგავსად დედოფალმან შეკრიბა მისა მოსუმურობამ დედაჲცთთა სამეფოთა შინა, რომელსაცა ჩუენებად<sup>1</sup> მნებებელმან თანმსერებულთათუს შეტემან, წარმავლენელმან, უბრძანა მას მოსუმურობად მოსლეთა, შეუენიერებითა დედაჲცთა ყოველთა გარდამატებულსა. ხოლო იგი, დაცვისათუს სჯულსა სპარსთასა, რომელთა უცხთა მიერ სახილველ-ყოფამ ცოლთამ არა ინებეს, არა წარვიდა მტენია მიმართ და მრავალგზოს საქურისთა წარვლენილობასა მისა მიმართ, არა უდარეს დაადგრა, მკმნელი წარსლვისამ, ვიდრეღა რისხვად აღძრულმან შეტემან დაჰქსნა ვიდრეზე მოსუმურობამ და აღღგომილი და შვლთა სპარსთა, რომელთაცა სჯულთა გამოთარგმანებამ აქუს, მათ შორის მიმწოდებელი შეასმენდა ცოლსა, მეტყუელი, ვითარმედ გინებულ-იქმნა მის მიერ. რამეთუ მრავალგზოს წოდებული მის მიერ მოსუმურობად მისუს. არა მივიდა მის თანა და ესრეთ ჰკითხვიდა მათ, რამსა ბრძანებუნ ჰსჯულნი ქმნად უანსა მას<sup>2</sup>. ხოლო ერთმან შათგანმან, შეტეოს სახელით, თქუა არა შოსდა მხოლოდ იქმნა გინებამ ესე, არამედ ყოველთა სპარსთად, რომელთათუს საჭირო არს, შურაცხჰქმნილთამ, ცოლთა მიერ უსახურ-იქმნამ ცხორებობამ, რამეთუ არცაღა ერთი თანმკვდრისა მამაჲცისა სირცხვლსა მოქმედ იყოს, იგავად დედოფლისა ამპარტანებასა შენდა მომართ, ყოველთა მპურობელისა, ქმნილსა მქონებელი". და უბრძანებდა ესრეთ მაგინებელისა მისისა ზღვევად ზღვევასა დიდსა და ამისა მოქმედსა მიმცნებად ნათესავთა მიმართ დედოფლისა ძლით დამტკიცებულთა. და სათნო-უჩინდა მტეფსა განდევნამ უსატისი და მიცემამ პატივისა მისისამ სხვად დედაჲცთასად.

2<sup>ა</sup>. ხოლო გული, მდებარე მისა მიმართ ტრფივლებით, არა მონთმენელი განყოფისამ, დაეებად ვიდრეჲუ მისდა სჯულისა ძლით არა შემძლებელ იყო და მქმუნეარე დადგრომილ იყო, ვითარ შეუძლებელთაგან, რომელთა მნებებელ იყო. ხოლო მხედველნი მისნი ესრეთ მწუხარებით მქონებლისანი, მოყუარენი განაზრახებდეს ცოლისა ვიდრეჲე კსენებასა და ტრფივლებასა არად სარგებლიანსა განგდებად, ხოლო წარმავლენელსა ყოვლისა სოფლისა მიმართ ძიებად ჯალწულთა შეუენიერთა, რომელთაგან გამორჩეული აქუნდეს ცოლად. რამეთუ დაშრტეს პირველისა მიმართ სიყუარული სხვსა მოყვანებითა და მრდა მიმართი მოწლობამ, განშორებული მცირედ-მცირედ, აქმნეს თანამკვდრისა. მრწმუნებელმან უცუე ამის განზრახვისამან უბრძანა ვაეთმე, გა-

<sup>1</sup> ჩუენებად | + შეძლებელმან. <sup>2</sup> არა მივიდა... ეამსა მას]—AQ, არა მივიდა D. S-ის ჩუენება. მოტკნოლ ძირითად ტექსტში, მისდევს ბერძულ დედანს (11,122).

\* ესთერი 2,1; 2,5; 2,16.



მომკელეველთა ქალწულთა რჩეულთასა შეუნიერებთია სამეფოსა შინა მისსა. მიყვანებაჲ მისა მიმართ. ხოლო ვინამთგან შეიკრიბნეს მრავალნი, იპოვა ზინძე ვაეილონს შინა ქალი, მშობელთა მისთა მრჩობლთაგანეც ობოლი, ხოლო მამის ძმისა მისისა მარდოქეომაგან, რამეთუ ესე იყო სახელ მისა, ზრდილი. ესე უკუე იყო ვენიამიტიდომს ნათესვისაგან და პირველთაგან იუდეელთა შორის. ხოლო ესთიარას, რამეთუ ესე აყო სახელი მისსა, შეემთხუცოდა ყოველთაგან გარდამატებულობაჲ შეუნიერებთია და მადლი პირისაჲ, სახედველებსა მხედველსა უფრომსაჲ მიიზიდვიდა. ხოლო ესე, მიცემული რომლისაჲჲ საჭურის-თაგანისაჲ, მიემთხუცოდა ყოველსაჲ ზედმოურნებობასა, სულნელბათა უშურველობითა და სიმრავლითა საცხებელთაჲ ცხებულო, რომელთა მოქენე არიან სხეულნი. და ამათ მიერ იშუებდეს თუეთა ექუსთა რიცხვთ ოთხასად მყოფნი. ხოლო იგი, მექუელი კმასყოფელად პირველთქუმულსა ეამსა შინა ზეუ-მოურნებობასა ქონებად ქალწულთა და ამიერითგან ქმნილთა ღირსად მისლუი-სათეს ცხედრისა მიმართ სანმეფომაჲ, თითოეულსა დღესა ერთსა წარავლენდეს მუჟისა გულვებარესა თანაყოფად. ხოლო იგი, მიახლებული, მიყუსულად წა-რავლენდის საჭურისისა მიმართ. მიიწია რამ უკუე ესთიარაცა მისა მიმართ, მხიარულქმნილმან მის ზედა და შთავრდომილმან გრფიადობასა ქალისასა, <sup>▼</sup> მიიყვანა იგი საჭულოერად ცოლად და ქორწილი მის: ქმნა მეთათარნეტესა თუე-სა მეშვდესა წიელსა მუფობისა მისისასა, აღეროდ წოდებულსა. ხოლო წარავ-ლინნა ანღაროდ\* წოდებულნი ყოვლისა ნათესვისა მიმართ, დღესასწაულად ქორწილთა მამცნებლმან. ხოლო იგი სპარსთა და მიდთა და პირველთა ნათე-სავთასა ასერებდა თუესა სრულსა ქორწილთათეს მისთა. და შევიდა რამ სა-მეფოდ, დაადგა მას გვარკენი. და ესრეთ შეეუღლა ესთიარა, არა ცხადქმნილი მისდა ნათესვისაჲ, რომლისაგან მყოფ იყო<sup>1</sup>.

ხოლო წარსრული და მამის ძმაჲცა მისი ვაეილონით, სუსად პერსიდომსა, მუნ<sup>2</sup> იქცეოდა, თითოეულსა დღესა წინაშე სამეფოთა მქცეველი და გავაჲ-კითხველი ქალისათეს, რომელთა სახით მყოფ არს. რამეთუ უყუარდა იგი, ვითარ ასული მისი.

3. ხოლო დადგა სკულიცა მეფემან, რამთა არცა ერთი თესთა მისთაგანი შევიდოდის არა წოდებული, რაჲჲჲ საყდარსა ზედა მქდომარე იყოს. და გარემომს უკუე საყდარსა მისსა ზდგომარე იყვნეს კაცი, მქონებელი აფთთანი, ტანჯვად მიახლებულთა საყდრისათა უწოდებულად. მქდომარე იყო ვიდრემე უკუე ესრეთსა ოქრომასა მქონებელი თვთ მეფე, რამთა რაჲჲჲ ვისინე ენების ცხოვრებაჲ, უწოდებულად მისრულთაჲ, განმპარტოს რა: მიმართ, ხოლო იგი, შემხებელი მისი, არა ძვრხილულობდის. და ამათეს: ვიდრემე კმასა-ყოფელად ცხადქმნილ არს ზეენ მიერ.

4<sup>1\*</sup> ხოლო უკუნანამსკენლსა ეამსა ზედგანიზრახვიდეს მეფისა ვალათოოს და თეოდესტოს. ხოლო ვარნავაზოს, მონანან ერთიან საჭურისთაგანისაჲჲ, ნა-თესვით იუდეელმან, გულანქმისყოფელმან ზედგანიზრახვისაჲჲ, მამის ძმასა მეფისა ცოლისასა აუწყა. ხოლო მარდოქეოს ესთიარას მიერ (ახად-უყუენა მე-

1 მეუფეო A, მეფეო Q. 2 მე A Q. 3 არცა ერთი] ერთი მუშბრუ 11<sup>გვ</sup> (= არც ერთი, არა-ვინ).

\* თბს ძყყძრთც 11<sup>გვ</sup> (= მეფის ცხენოსანი მცენე ძველ სპარსეთში). 1<sup>გ</sup> ესთიარა 2, 21.

ფესა ზედგანზრახველნი და მეფემან უკუე. შეშფოთებულმან, ჭეშპარიტი პოვა. და ყუერულნი ვიდრეუ ჩუარს ატუნა, ხოლო მარლოქელს მაშინ ვიდრე მე არაა მიანიჭა, ვითარცა მიზნეჭმნილსა ცხორებისა მისისასა, მხოლოდ სახელისა მისისაჲ მოსაკვენებელის მწერალთა უბრძანა შესწავებაჲ და დადგრომად მისი სამეფოთა შინა, ვითარ მოყუარისა, საჭიროსაჲ მეფისა მიმართ<sup>1</sup>.

5\*. ხოლო ამანის, ამათადომს ვიდრეუ ძესა, ნათესავით ამალიკიტსა, შემაველსა მეფისა მიმართ თაყუანის-სცემდეს თანად უცხონი და სპარსნი. ამის პატივიანა მათგან ქმნად მოსლადმი არტაქსერქსი ბრძანა.

ხოლო მარლოქელს<sup>1</sup>, სობრძნისათეს და სკულოსა თესისა ვინაჲთგან არა თაყუანის-სცემდა კაცსა, შემსწავებელმან მისმან, ამანის გამოიკითხა, თუ ვინაა არს. ხოლო ისწავა რა იუდეულად ყოფად მისი, განარისხნა და თავისა მიმართ თესისა თქუა, ფთარამედ თავისუფალნი ვიდრე მე სპარსნი თაყუანის-სცემდენ მას. ხოლო ესე, მონად მყოფი, არა თავს-იდებს ამისა ქმნასა. და ტანჯვასა მნებებელმან მარლოქელსმან, მისი ვიდრე მე გამოთხოვად მეფისგან ტანჯვად მცირედ შეპრაცხა, ხოლო ნათესავსა მისისა ყოველისაჲ სათნო-უჩინდა წარწყმელად და რამეთუ ბუნებითა მოძულე იყო იუდეულთაჲ, რამეთუ ნათესავიცა ამალიკიტთაჲ, რომელთაგან იყო იგი, მათ მიერ განხრწნილ იყო.

მისრული უკუე მეფისა, შეასმენდა, მეტყუელი: „ნათესავი რომელი მე არა ბოროტი, ხოლო განთესულ არს ესე მის ქუეშისა სამეფოსაჲ ქუეყანასა შინა, შეუერთებელი, შეუნათესებელი, არცა მსახურებასა მსგავსსა სხუათასა მკონებელი, არცა მსგავსთა სკულთა მკუმეველი, ხოლო მტერი სკულთა და სიმარჯუეთაჲ ერისა ყოველისა და ყოველთა კაცთა. ამის ნათესავისაჲ, უკუეთუ ვისამე მორჩილთა შენთაგანსაჲ გნებავს კეთილსყოფად, უბრძანო ძირითურთ აღმოფხურად/ და არცა ნეშტსა მისსა დატეგებაჲ, რაჲთა არცა მსახურებისა ვისთვისე დაიმარხნენ, არცა ტყუეობისა“. რაჲთა უკუეთუ არა ზღვეულ იქმნეს ხარკთა მათ მიერ ქმნილთაგან, თესისა მონაგებისაგან აღუთქუა მან მიცემად ტლანტთა ვეცხლისათა ორმოც ათასთაჲ, სადაცა უბრძანონა. ხოლო ამათ საქმართა მიცემასა სიხარულით იტყუოდა, რაჲთა ამათ ბოროტთაგან დამშვლდნეს სამეფოჲ.

195

61\*. ამათ რაჲ ამანოს ევედრა, მეფემან ვეცხლიცა მიანიჭა მას და კაცნიცა, ქინად მათდა მიმართ, რომელსაცა მნებებელ იყოს. ხოლო მიმთხუეულმან, რომელთა გული უთქუებდა, ამანის მიეყუსეულად წარაჯლინა ბრძანებდა ვითარ მეფისაგან ყოველთა ნათესავთა მიმართ, მკონებელი ესრე სახედ:

„მეფე დიდი არტაქსერქსი<sup>2</sup> ინდოეთით ვიდრე ეთიოპიადმდე შვდთა და ოცთა და ასთა მთავართა სასატრაპოსათა ამათ მოგიწერს: მრავალთა ნათესავთა მმთავრობი და ყოველისა ქუეყანისა, რომლისა მნებებელ ვიყავ, მპყრობელი და არარს კელმწიფებისაგან ამპარტავანსა ვინა ბოროტსა მთავრებულთა მიმართ იტლუებული ცოდეად, არამედ მშვდსა და ტკბილსა თავსა თესსა მიმნიჭებელი და თანამოურხე მშვდობისა და კეთილგანგებისა, მიზნეთა ვეძიებ-

<sup>1</sup> მარლოქელს AQ. <sup>2</sup> ოთხთა AQ, ბერთი ოთხთა D, *μυριόβας* ბისი<sup>1</sup> 11<sub>214</sub>. <sup>3</sup> არტაქსერქსი AQ.

<sup>4</sup> ესთერი 3,1. <sup>5</sup> ესთერი 3,11; 13,1 (აოკრიფ.).

<sup>6</sup> ესთერს თქვა უბრძანა მოკლეთად ვაჲ პეროდეს.

დი მათ, რაათა ყოველთა შინა შუეებაჲ იქმნეს მათდა. ხოლო ღირსებისათვის და სიმართლისა ჩემ მიერ პირველსა ნაწილსა დიდებისა და პატრივისასა მქონებელმან და შემდგომად ჩემსა მეორემან სარწმუნოებისათვის და მტკიცისა სიყუარულისა ამაწის მოუტრნეობით მიჩუენა მე ყოველთა კაცთა თანა აღრევაჲ ბოროტისა ნათესვისაჲ, სკულისა ჟეცხობასა და შეფეთა ურჩისა და უმსგავსობასა მსახურებითა და ესრეთ მთავრობასა მოძულოსა და ბოროტგონებისაჲ საქმეთა მომართ ჩუენთა. ცბრძანებ უკუე ამათსა მეორისა ჩემისა ვამისა, ამანს მიერ ცოლთა თანა და შვილთა წარწყმედლსა ყოველთასა, არცა ერთისა რიდობისა მოქმედლთაჲ, არცა წყალობისა ჟფრომსდა, რომელნი ურჩთა მიმცნებულთა წერილთასა იყუნენ არა მოსწრაფეთა. და ამას ქმნად მნებებელ ვარ მეოთხესა და მეათესა მეათორმეტისა თესასა აწ წარმოდგომილსა წელსა შინა, რაათა ყოველით კერძო მბრძოლნი ჩუენნი, ერთსა დღესა შინა განხრწნილნი, მიერთვან დაწყნარებით ყოფასა ცხოვრებისასა მოგუანიჭებდენ ჩუენ<sup>1</sup>.

ესე ბრძანებაჲ ქალაქთა მიმართ და სოფელთა მიიწია. მზა იქმნებოდეს ყოველნი ოუდელთა წარწყმედლსა მიმართ წინათქმულსა დღესა შინა. ხოლო საქწრაფო იყო ესე და სუსაცა შინა. მეფე ვიდრემე უკუე და ამანს შუეებათა შინა და მოსუბერობათა იყუნეს, ხოლო ქალაქი შფოთსა შინა იყო.

7\*. და მარდოქეოს უკუე, მსწაველი ქმნილისაჲ, მომბძარველი სამოსლისაჲ და ძაძასა შემოსელი და დაშხმელი ნაცრისაჲ საშუავლ ქალაქისა ვიდოდა, მქმობელი, ვითარმედ არცა ერთსა იუესამართლოვ ნათესავი მოძარვის. და ამათი მიეტყუელი ვიდრემე სამეფოთადმდე მივიდა და მახლობლად მათსა დადგა, რამეთუ არა ჭერ-იყო მისა შესლვაჲ ესეეთარსა სახესა შემოსელისა. და ესრეთვე მსგავსად ქმნეს ყოველთა ოუდელთა, ქალაქთა შინა მყოფთა, რომელთა შინა ამითვის განცემულ იყუნეს ნაწერნი, მგოდებელთა და აღთქმულთა მათდა განსაცდელთათვის სულთმთქუმელთა.

ხოლო ვითარ მიუთხრეს ვიეთმე დედოფალსა მარდოქეოსსა ესრეთ საწყალობელითა სახითა წინაშე ეზობსა მღვობარეობაჲ, შემფოთებულმან სასამენელსა მიმართ წარავლინა განმბარცუელნი მისნი. ხოლო იგი არა ირწმუნებდა განმბარცუასა ძაძისასა, რამეთუ არა რომლისა ბოროტისგანთს იძლოა ესე/მიღებად, დაწყნარებულ არს იგი. ხოლო დედოფალმან, მომწოდებულმან საჭურძისსა ახრათეოასმან, და რამეთუ მუნ მდგომარე იყო, წარავლინა მარდოქეოსს მიმართ ცნობად, რომლისა მწუხარებისა შემთხუევისათვის მისდა გოდებს და სახისა ამის შემოსელმან არცა მისისა ფედრებძალთს განაგრო. ხოლო მარდოქეოსს უჩუენნა საჭურძისსა მიზეზი და თანად წერილი ოუდელთათვის, წარვლინებულსა ყოველისა სოფლისა მიმართ, რაოდენი იყო მეფისა ქუეშე, და საქმართა აღთქუმაჲ, რომლითა წარწყმედლად ნათესვისაჲ მოვიდა მეფისაგან ამანის. ხოლო მისცა მას და ნაცვალწერიცა, სუსათა შინა წარვლენილთაჲ, მიღებად ესთირაჲსა და ამათვის ვედრებად მეფისა ამცნებდა და ცხოვრებისათვის ნათესვისა არა უღირს-ჩენად მიღებასა მდაბლოსა სახისასა, რომლითა იქსნნეს ოუდელნი, ძვრხილულნი წარწყმედლად, რამეთუ მეორესა პატრიქსა მქონებულმან შემდგომად მეფისა ამაწის, შემასმენელმან ოუდელთამან, განარისხა მათთვის მეფე. ამითმან წცნობელმან კუალად წარავლინა მარ-

<sup>1</sup> საჭურძისსა A.Q.D.

\* ესთერი 3,14; 4,1; 4,7.

ლოკოვას მიმართ. მაღწეებელმან, ვითარცდ არა წოდებულ არს მეფისა მიერ და შერული მისა მიმართ უწოდებულად მოიკუდიანებას, უკუეთუ არა მგებელმან ცხოვრებად ვაძე, განმპარტოს ოქროსა კუერთი, რამეთუ რომლსათჳს ყოს ესე მეფემან, უწევდელად მისდა მისრულსათჳს, არა მხოლოდ არა ნოკლდების, არამედ და შენდობისაცა მიმთხუტული ცხოვრდობის.

ესე სიტყუანი რად მიხუნა ესთირაასგან საქურისმან მარდოქეოსს მიმართ, უბრძანა ნითხრობად ესთირაასთჳს მარდოქეოსს, არა თჳსთა ცხოვრებისათჳს ესრეთ განხილავდ, არამედ და ზოგადისაცა ნათესავისათჳს, რამეთუ უკუეთუ არა იზრუნოს ამისი აწ, იქმნეს ვიდრემე მისა შეწყენად ღმრთისაგან ჰემპარტად, ხოლო იგი და სახლი მამული მისი შეურაცხჳმნილთა მიერ განიხრწნას. ხოლო ესთირა მთუმცრო ვიდრემე მარდოქეოსს, წარსავლენელმან მისვე მსახურისამან, რადთა წარვიდეს სუსად და მუნ მყოფნი იუდელნი მიიყვანეს შესაკრებელად და იმარბონ მისთჳს, ყოველთაგან განყენებულთა, სამთა დღეთა შინა. და ამისი მოქმედი თჳსთა ცეცავლთა თანა მაშინდა მისლჳსა მეფისა მიმართ გარეგან წესისა აღუთქმინდა და უკუეთუ სიკუდილიცა შეემთხვოს, მოითმინოს ესე.

8. და მარდოქეოს ვიდრემე, მცნებათაებრ ესთირაასთაჳ, ყო მარხვად ერისაჳ და ევედრებოდა ღმერთსა მათ თანა, რადთა არცა აწ უგულებელს-ყოს დრო მისი წარწყმედადი, არამედ ვითარცა და უწინარეს მრავალგზის იზრუნა მისი და მკოდეელსა შეუნდო, აწცა იტხნეს იგი ქადებულთა წარწყმედისაგან, რამეთუ არარაჳ მკოდეელი იძიებუბის სიკუდილსა უშუერისა, ცინაძთგან იგი არს ზიზგი ამანის რისხვისაჳ, „რამეთუ არა თაყუანის-ვეც, არცა რომელსა შენ, მეფეო!, თქუა, პატივსა მოგანიჳებდ, ამისი მისდა მინიჳებაჳ თავს-ვიდეჳ. ამათჳს განრისხებულმან ესენი მოიევრავნა, არა გარდამავლთათჳს სჯულისა შენათაჳ“. ხოლო ამათჳე ჳმათა განუტევებდა სიძრავლუ, მევედრებელი ღმრთისაჳ ზრუნვად ცხოვრებისათჳს და ყოველსა ქუეყანასა შინა გამოყსნად ისრაილიტთა გულვებადისა განსაცდელისაგან და რამეთუ წინაშე თჳლთა აქუნდა იგი და მოელოდეს. ხოლო ევედრებოდა და ესთირაცა ღმერთსა, მამულისა სჯულისაებრ მიმავდებელი თავისაჳ ქუეყანასა ზედა და საგლოცლსა სამოსელსა შემოსელი. და საზრდელისა და სასუმელისა და საშუებელთაგან მჳწანელი სამთა დღეთა შინა, ითხოვდა ღმრთისაგან შეწყალებასა ვიდრემე მისა, ხოლო დარწმუნებასა მეფისასა, ეჩუენოს რად მას, მევედრებელი სიტყუთა მიერ და სახითა, რადთა უშუენიერეს-ყოს იგი პირველისაჳ, რადთა მართობლივე დაწყნარებად რისხვისაგან, უკუეთუ განრისხებულ იქმნეს მეფე მისსა მისართ, იკუმირეს და შეწყენად თანმონათესკეთა, უკუანამსკენლთა შინა მყოფთა. და თანად იქმნეს სიძულელი მეფისაჳ მტერთა მიმართ იუდელთაჳსა და წარწყმედისა მათსა გულვებადისა შემშხადებელთაჳს, უკუეთუ უგულს-ბელს-იქმნენ მის მიერ.

9<sup>1</sup>. ამათმან მევედრებელმან ღმრთისა მიმართ სამთა დღეთა შინა, განიძარცუა ვიდრემე შესამოსელი იგი და სახე ცეცალა, ხოლო შემკული, ვითარ

<sup>1</sup> მეფეო AQ, ბნძროთა 11,200 (=მატონი, განუსაზღვრელი უფლებების მქონე. მარდოქე აქ ღმერთის მმართველს).

<sup>2</sup> ესთერი (აპოკრიფ.) 13,8; 14,1. <sup>3</sup> ესთერი (აპოკრიფ.) 15,4. ესთერი 5,4.

ჯერ—იყო დედოფლსა, ორთა მკევალთა თანა, რომელთაგანი ერთი ვიდრემე, მტკრთველი მისი მთერდნობილსადა სუბუქად, იყვანებდა, ხოლო სხუად, შედგომილი სიგრძესა შესამოსლისასა და ვიდრე მიწადმდე დაფენილსა, მწუერცალსა თითთასა შთაშოკიდებულ იყო. და მივიდა მეფისა მიპართ საეჭე მეწამულობითა პირისათა, ხოლო მწმდსა და პატიოსანსა მქონებელი სიკეთისაჲ. შევიდა უკუე მისა მიმართ შიშითა, ხოლო ვითარ პირის-პირ მჭდომარესა საყდარსა ზედა მიეახლა სამეფოჲსა სამკაულისა შემოსელსა, და ესე უკუე იყოს მრავალსახისა შესამოსლისაგან, ოქროჲსა და ქვისაგან პატიოსნისა, და უფროჲსა უსაშინელესად ამათ მიერ მხილველი, ვინაჲთგან და მეფემანცა მიხედნა მას სასტიკებით, შექმლნეველებითა პირითა რისხვისა მიერ, მეყუსუულად შიშისა მიერ ბრწოლამან შეიპყრა იგი და ვარემოჲს მდგომარეთა ზედა უსლუოჲს დაეცა. ხოლო მეფემან, ვითარ ფიჭონებ განგებოსაებრ ღმრთისა, გარდაცვალა და შეშინებელი ცოლისათჳს, ნუსადა ცენისა რამდე უძკრესთაგანი შიშისა მიერ, აღუდრისაგან და მკლავთა ზედა მტკრთველი აღადგენდა მას და შემტკობელი სიტკობებით ზრახვიდა ნინობად, მვედრებელი და არარას მკმუნეარესა მკეტულობად ამოსჳს, რამეთუ მისა მიპართ მიუწოდებულად მივიდა, ვინაჲთგან ესე სჯული კელისქუეშეთა მიმართ მდებარე არა, ხოლო მსაგავსად მისსა მწეფობსა ყოველი აქუს თავისუფლბაჲ. ამათმან მეტყუელმან დადვა სკიპტრაჲ კელსა შინა მისსა და კუერთი განიმარტა ქედსა ზედა მისსა საჭულსაებრ, შიშისაგან მქანელმან მისმან. ხოლო მან, ამათგან ცოცხალქმნილმან, „მეფეო, თქუა, არა შემძლებელ ვარ ანადაჲთ შემთხუელსა ჩემსა აღვილად თხრობად შენდა, რამეთუ ვითარ ვიხილე შენ დიდი და კეთილი და სამიწელი, მეყუსუულად განმეშორა მე სამშუშინველი და დარტყებულ ვიქმენ სელისაგან“. ხოლო ვითარ ძნად მტყუელუბდა ამითა და უძლურებით, შიშმან და შფოთმან იპყრა მეფე და ესთირას კეთილსულობად და უპატიოსნათა მოლოდებად განამწნობდა, ვიდრელა და ნახევარიცა სამეფოჲსა მისისაჲ, უკუეთუ სათანადო იყენენ ესენი, მიუტყენენ მას. ესთირას სერობად ანანის თანა, მოყუარისა მისისა, მისა მიმართ მისლვად ევედრებოდა, რამეთუ შეშხადებასა სერობისასა იტყოდა იგი. ხოლო ვითარ წამს-უყვნა და მივიდეს, საშუვალ სუბისა უბრძანა ესთირას უწყებად მისდა, რომელსაცა მნებებელ არს, რამეთუ არა კუებულ იქმნენს, არცა უკუეთუ კერძოჲ მეფობისა მისისაჲ ინებოს მიღებად. ხოლო მან მეორისად დღისად თქუა უწყებად მისდა განზრახვისა მისისაჲ, უკუეთუ მოვიდეს მისა მიმართ სერობად ამანს თანა.

10\*. ხოლო მეფემან ვითარ აღუთქუა, ესე გამოვიდა ამანის, მხიარული მხოლოდ ღირსებისათჳს სერობად მეფისა თანა სახიდ ესთირასა და რამეთუ არავინ სხუად ესოდენსა პატიესა მიეპთხვა მეფეთაგან. ხოლო ვითარ იხილა ეზოსა შინა მარდოქეოს, / ფანარისხნა, რამეთუ არარაჲ პატივად მისდა, მხილველსა, იქნა მისგან არცა ერთი. და შესრულმან შინაგან სახიდ თქსა მოეწოდა ცოლსა მისსა დაზას და მოყუარეთა მისთა, რომელსაცა მიუთხრობდა პატარესა, რომელსა არა მეფისაგან მხოლოდ მიეპთხვა, არამედ და დედოფლისაგანცა, და რამეთუ დღეს ისერა მის თანა მხოლომან მეფისა თანა და წოდებულო არს კუალად მოშავალსაცა დღესჲ. და თანა იტყოდა, ვითარსუდ:

\* ესთერა 5,9. თ. 6.  
 0 ღმერთო, შეიწყალე სულ ბერისა ზაქარიაის.

„არა სათნო-პირის მარდოქეს თუღელისა ბილვაჲ ფზოსა შინა“. ხოლო ცოლმან მისმან<sup>1</sup>, ლახასა, პრქუა, ვითარჲედ: „ბრძანე ძელისა მოკუეთაჲ წყრათათა სა-  
 მუოკთაჲ და ვანთიად, მეფელაგან გამომთხუეველმან, კუარს-აკუ მარდოქემს“. და მაქებელმან ფანზრახვისამან უბრძანა ზონათა შეჴზადებულთა ძელისათა აღმართებაჲ მისი ეზოსა შინა სატანჯველად მარდოქეოჲსა. და ესე ფიდრეჲჲ მზა იყო. ხოლო ლჲერთი საციენელ ჰყოფდა ამანის ბოროტსა სასოებასა და შემთხუეჯდას მეცნიერი იშუებდა ქმნადსა ზედა, რამეთუ მეფესა მას ლამესა განეყენა ძილი, ხოლო მან, არა ნებებელმან უღბად წარწყმედასა მღვდარებო-  
 სასა, არამედ რომლისამე მიმართ სამეფოთა შინაჲსა შესატყვისისა<sup>2</sup> კმარებად, მწიგნობარსა, მოპღებელსა მოსაქცენებულთასა, და პარველთა მისთა მეფეთასა და თვსთათა საქმეთასა წარკოთხებაჲ უბრძანა მას. ხოლო მიმღებელი ვითარ იკოთხვიდა, იპოვა ვინე, სიპენისათჳს როჲელსამე შინა ნიჴად მიმღებელი სოფელსა: სახელიცა წერილ იყო, ხოლო სხუჲა, სარწმუნოებისათჳს მიმთხუეუ-  
 ლი ნიჴისაჲ, და ესართ მომქცენებელი მოვიდა ფალათოსსკა ზედა და თეო-  
 დესტის, საქურისთა ბოროტისმზრახთა მეფისათჳს, რომელთა განმაცხადებელ-  
 იქმნა მარდოქეოს. ხოლო ვითარ ესე მხოლოდ თქუა მწიგნობარმან და გარ-  
 დავადოდა სხჳსა საქმისა მიმართ, დააყენა ნუფემან, მკოთხველმან, უკუეთუ აქჳს პატივიცა მიცემული მისდა დაწერილად. ხოლო მან თქუა რაჲ არა ყო-  
 ფაჲ, უბრძანა დაღუშებაჲ და რომელი ჟამი არს ლამისაჲ, ამას ზედა დაწესე-  
 ბულთაგან იკოთხვიდა. და ისწავა რაჲ, ვითარმედ ვანთიადი არს ამიერთგან, ბრძანა, რაჲთა მოყუარეთაგანი, რომელიცა პოონ წინაშე ეზოჲსა მღვდობარედ, ესე აუწყონ მას. და შეემთხვა პოვნაჲ ამანისა, რამეთუ უწინარეს ჩუეულები-  
 თისა ჟამისა მოვიდა მარდოქეს სიკუდილისათჳს ვერებად მისა. და მონათა აუწყეს, ვითარმედ აჴანი არს წინაშე ეზოჲსა. და ბრძანა მიწოდებაჲ მისი. ხოლო ვითარ შევიდა — „მოყუარედ მეცნიერი შენი, პრქუა, კეთილად და წრფელად, განზრახებად ჩემდა გვედრები შენ, ვითარ პატივე-ვსცე<sup>3</sup> რომელსა-  
 მე საყუარელსა ჩემ მიერ, ფრიად ღირსად ჩემისა პატივისმოყუარებისა“. ხოლო ამანის, ფულსამიტყუველმან, ვითარმედ რომელიცა მისცეს განზრახ-  
 ვაჲ, ესე ამისთჳს მისცეს, რამეთუ საყუარელ იყო იგი მეფისა მხოლოჲ, რომელსაჲა ჰკონებდა უმკობესად, ესე ცხად-უყო მათ, რაჲეთუ თქუა: „უკუეთუ გნებაჲს აჴი კაცისა, რომლისა იტყე საყუარელად, ღიდებასა შემოსად, ყუ იგი ცხენითა ზღვად, სამოსლისა შენისა შაგავსა მჴოსელი და მანიაქსა ოქრო-  
 მასა მქონებელი და საყუარელთა მოყუარეთაგანი ერთი ქადაგებდეს ყოველსა ქალაქსა შორის, ვითარმედ ესევეითარსა მიემთხუევის<sup>4</sup> პატივისა, რომელსაჲა პატივისცეს მეფემან“. ამანის უკუე ესენი განზრახნა, მეკუელმან მისა მი-  
 მართ. მისლესა პატივისასა, ხოლო მეფემან, შეუბულნან განზრახვასა ზედა, „განსრულმან — პრქუა, — ვინათგან გაქჳს ცხენიცა და შესამოსელი და მანიაქი, იძიე მარდოქეოს თუღელი და ამათჳნ მიმცემელმან მისდა ქადაგი, მავალმან წინა კერძო ცხენისა მისისა, ვინათგან შენ, მოყუარე ჩემი უსაყუარ-  
 ელესი და იქმენ მსახურ, რომელთათჳს კეთილგანზრახ მექმენ. ესენი ჩუენ-  
 გან ეყენენ მას, მაცხოვრებელსა სულსა ჩემისასა“. / მათი ჴსაჴნელი გარეშე სასოებისა შეიძრღვა გონებითა და წყლული უღონოებითა განვიდა, მიმყვანე-  
 ბელი ცხენსა და პორფერსა და მანიაქსა ოქრომასასა. და მპოვნელმან მარდო-  
 ქეოჲსმან წინაშე ეზოჲსა ძაძასა მმოხველაჲ. უბრძანა დაძღებულთა შემოსაჲ

<sup>1</sup> მისმან] — ხოლო ცოლმან მისმან A. \* შეტყვისსა AQ. \* პრქუსე AQ. \* მიემთხუევის.

პორფერაჲსაჲ, ხოლო მან, ჳეშმარიტსა არა მეცნიერჲმან, არამედ ბასრობად შეპირაცხუელმან, „ოჲ, უბოროტესო ყოველთა კაცთაო, ჰრქუა, ესრეთ განსაცდელთა ჩუენთა [დასცინაჲ?]" ხოლო ჰრწმუნებელმან, ფითარმედ მეფე პატივად მისცემს ამაჲს ცხოვრებობათჲს, რომელი მინიჲა მან ოდესმე ბოროტისჲანშრაბთა საჲქურისთა მამხილებელმან, შეიმოსა სამოსელი პორფერაჲსაჲ, რომელსა მარჯის შემოსელ იყო მეფე და შთაიკუა მინიჲი და აღსრული ცხენსა ზედა ვიდოდა მომრგულებით შინაგან ქალაქისა. და ამანის წინაუძლოდა და ქადაგებდა, ვითარმედ ესერი იყვნენ მეფისა სიერ, რომელიცა შეიყუაროს და დარხად პატივისა გამოაჩინოს. ხოლო ვინათჲან მოვლეს ქალაქი, მარდოქელს ვიდრემე შევიდა მეფისა მიმართ, ხოლო ამანის, კდემული, წარვიდა სახიდ თჲსად და ცრემლით მოუთხრობდა შემთხუეულთა ცოლსა და მოყუარეთა. ხოლო იგინი არღა მერმეცა შურისგებისა ნაცვლისგებასა შეძლებად მარდოქელს ნიშართ იტყოდეს, ვინათჲან ლმერთი შეეწყვეს მას.

11\*. ხოლო ამათ, ვითარ მეტყუელებდეს იგინი ურთიერთას, მოვიდეს ესთირაჲს საჲქურისნი, მასწრაფობელნი ამანისნი სერობად. ხოლო საეუხადან, ერთმან საჲქურისთაჲმან, მხილველმან ჳუარსა სახლსა შინა ამანისსა აღმართებულად, რომელი მარდოქელსთჲს შეჲმზადეს, და მკითხველმან რომლისამე მონათაგანისაგან, რაჲსათჲს შეჲმზადეს ესე, მცნობელმან, ვითარმედ მამის ძმისათჲს დედოფლისა, ვინათჲან ამანის ეგულებიჲს გამოთხოვაჲ მისი მეფისაგან დასასჲგლად, მაშინ ვიდრემე დაიდუმა.

ხოლო მეფე, ვითარ მსერებელ-იჲმან ამანის თანა, ევედრებოდა დედოფალსა თხრობად მისდა, რომლისა ნიჲისა მიმთხუევად მნებებელ არს მისგან, რანეთუ მოიღოს, რომლისაცა წადიერებაჲ აქუს. ხოლო უგი ურისა ძვრისხილვასა ეტყებდა და წარწყვდისა მიმართ ნათესაჲთა თანა განცემასა იტყუადა, ვინაჲ და მოქმედ არსცა ამათჲს სიტყუათა. რამეთუ არამცა ეწყინა მისდა, უკუეთუჲცა მონებისა მიმართ ჰწარისა ებრძანა განსყოდაჲ მათი, რამეთუ სუბუჲ არს ესე ბოროტი და ევედრებოდა განთავისუფლებასა ამათგან.

ხოლო ვინათჲან იგითხა მეფემან ვის მიერ ქჲნილობაჲ მათი, მიერთჲან ცხადად შეასმენდა ამანისსა. და ესე, მყოფი ბოროტად მათჲს, შემზადებელი ბოროტის ზრახვისაჲ, მხილებულ-ყო. ხოლო შეშფოთნა რაჲ მეფე ამისსა მიმართ და განვიდა ნტილთა მიმართ მოსუჲტურობისაგან, იწყო ამანის მოქმედობად და ვედრებად ესთი/რამსა შენდობისათჲს ნაცოდეთაჲსა, რამეთუ გულისჲგმა-ყო მანცა, ბოროტთა შინა მყოფმან. ამისა შემდგომად, ვინათჲან ცხედარსა მისსა ზედა დაეცა და დედოფალსა ევედრებოდა, შესრულმან მეფემან და ხილულსა ზედა უფრომსლა განრისხებულმან, „ოჲ უბოროტესო ყოველთაო, ჰრქუა, და იძულებასაცა ცოლსა ჩემისასა ჳელ-ჳყოფაჲ?“. v

ხოლო ამანი აჲსა ზედა განცებრდა და არღა მერმეცა მეტყუელებად შემძლებელ იყო. ხოლო საეუხადასა საჲქურისი, წარდგომილი, შეასმენდა ამანის, ვითარმედ პოვა ჳუარი სახლსა შინა მისსა, შემზადებული მარდოქელსთჲს, რამეთუ ესე, მკითხველსა, მონათაგან ეთხრა მას, რაჲჲსა წარვიდა მისა წოდებად ჳერობისა მიმართ. ხოლო იტყოდა ყოფასა ჳუარისასა წყრთათა საჲვეოცათსა სინაღლით.

\* ესთერი 6,41; 7,9.

ხოლო მეფემან, მამუნელმან, არა რომელსა სხუასა სატანჯველსა შთაგდევნა ბრძანა ანანასა, გარნა თუ მარდოქეოსსთჳს მოგონებულსა მას და ბრძანა ნეყუთეულად მისი, ჭუარსა მას ზედა შთაპოკიდებულსა, მოკუდინებაჲ, რომლისათჳსცა განკრებებაჲ მიჰყრობს მე ღმრთისაჲ და სიბრძნესა მისსა და სიმატლესა ვისწავებ არა მხოლოდ ამანის სიბოროტისა მტანჯველსა, არამედ და სხუათჳსცა მოვერაგებულსა სატანჯველსა აპოსა მისთჳს მოქმედსა. და სხუათათჳს ცნობად ესრეთ მიმნიჭებელსა, ვითარმედ რომელთა სხესათჳს შეკმზადებს იგი, შეცთომილი, თავისა თჳსისათჳს შემზადებულ არს პირველად.

12\*. ამანი ვიდრემუ უკუე, ატრაცხელსა მეფისა მიერ მკუთმეველი პატივსა, ეცეთართა განიხრწნა საბითა. ხოლო მონაგები მისი მისცა დედოფალსა. და მარდოქეოს უკუე მომწოდებელმან, რამეთუ აღუყა მას მისა მიმართი ნათესავობაჲ ესთიარას, ბექედრი, რომელი მიეცა ამანისთჳს, ესე მარდოქეოსს მისცა. ხოლო მიანიჭა დედოფალმანცა მარდოქეოსს ამანის მონაგები და ევედრა მეფესა, რაჲთა განათაურაჲფლოს შიშისაგან ცხოვრებაჲ თუდელთა ნათესავთაჲ, მაუწყებელი წერილთაჲ ყოვლისა სოფლისა მიმართ ამანის მიერ ამათადომსა. ხოლო განიხრწნეს რაჲ მამული მისი და თანად მონათესავენი წარწყმდენ, არა მითომინოს ცხოვრებაჲ. ხოლო მეფემან აღუთქუა არა რომელსა უნებლიეთა მისთჳს, არცა რომელთათჳს მოსწრაფე იქმნა წინააღმდეგობსა-ყოფად. და მიწერად, რომელთაცა მნებებულ არს, უბრძანა მას თუდელთათჳს სახელითა მფისაჲთა და აღნიშვად ბექედრი მისითა და წარველნად ყოვლისა სამეფოსა მიმართ, რამეთუ წარმკითხველნი სამეფოსა ბექედრისა მიერ შეკრძალულთა ეპისტოლეთანი არა წინა-აღუდგენ წაწერათა.

და მოწოდებულთა სამეფოთა მწიგნობართა უბრძანა მიწერად თესლებთა მიმართ თუდელთათჳს, განმგებულთა და მთავართა მიმართ თნდოეთითიგან ვიდრე ეთიოპიაღმდრე, ას ოცდაშვდთა სასატრაპოსა მთავართა. ხოლო წაწერათა ესეთართა აქუს სახე:

„მეფე დიდი არტაქსერქსი მთავართა და ჩუენ ძლითთათჳს მოუტრნეთა, ვიხაროდენ! მრავალნი ჩიდიდისათჳს კეთილყოფისა და პატივისა, რომელსა გარდამატებულეებისათჳს სახიერებისა მიმნიჭებულთაჲსა მონიყყოფიერებენ. არა უღარესთა მიმართ მხოლოდ მაგინებულ იქნებთან, არამედ არცა თვთ მათ კეთილისყოფელთა მიმართ უსამართლოებად მცონარე არიან, მადლობასა კაცთაგან აღმოკცლნი და კეთილთუმეცრებისათჳს სახიერებათაჲსა, რომელთა არა მოელოდეს სიმაძღრესა მიზეზთა მიმართ დანტევებელნი, დაფარვასა ჰგონებენ ამათ ზედა ღმრთისაგან და სასჯელისა მრისაგან ფანტოლოვასა. ხოლო სხუანი ამთაგან, წინამდგომობასა საქმეთასა ბრძანებულნი მოყუარეთა მიერ და თჳსსა სიბულილსა მქონებულნი რომელთაჲჲ მიმართ, შეუტრაცხისყოფელნი, მრწმუნებელ-იქმნენ მჰყრობელთა და ცრუთა მიზეზთა მიერ და შესმენათა, არცა ერთისა უსამართლოთაგანისა მიმართ ჩისხვასა აღდებად, რომლისა მიერ იაბულნესმცა წარწყმედად. ხოლო ესე არა ძლეულთაგანი, არცა სასმენელთ სამეციეროთაგანი ესრეთ სახილველად ქონებულ არს, არამედ ჩუენთა სახედველთა წინაჲჲ კადრებულთაგანი. ვიდრეჲლა შესმენათა ვიდრემუ და ზრახვთა არა რწმუნებად ამიერთაგან, არცა რომელთა სხუანი რწმუნებად კელყოფენ, არამედ სჯად, რაოდენნი უწყნის მოქმედებულად მათ მიერ და ტან-



ჯვად, უკუეთუ ესევეთარნი იყვნეს, ხოლო განმართლებად, უკუეთუ სხუებრ მქონებელ იყვნენ საქმეთა ნათთა და არა მტყუელთა რწმუნებითა.

ვითარ აზანი, ამათადოამ ვიდრევე ყრბამან, ხოლო ამალიოტმან ნათესავით, უცხოლმყოფმან სპარსთა სისხლისაგან, შეწყნარებულმან ჩუენ მიერ მიიღო ყოველთა მიმართისა სახიერებისაგან ესოდენ, ვიდრედა და მამადცა ჩემდა და სასილსიდგებად და თაყუანისცემად ყოველთაგან და ჩუენ თანავე მეორეთა მეფობრივისა პატრივისათა ყოველთაგან მიღებად, ვერ იტყრათა ბედსუელთაჲ, არცა გონიერითა გულისსიტყუათა სიდიდე კეთილთაჲ დაიუნჯა, არამედ მეფობისა ჩემსა ზედა და სულისა ბოროტისმზრახველ იქმნა, მიზეზსჲ ამის გელმწიფებისაჲ მისდა მიღებად. შენოქმედსჲ ჩემსა და მაცხოვარსა მარდოქეოსს და ზიარსა ცხორებისა და მთავრობისა ჩუენისასა ესთიარს სიბოროტით და მშაცუვით წარწყმედად გამომთხოველმან, რამეთუ ავით სახითა უცხოყოფელსა ჩემსა მოყუარეთაგან ენება მთავრობისა ჩემოსაჲ სხუათად მიცემაჲ. ხოლო მე, შეუკდემელისა ამისგან წარწყმედად განცემულთა თუდელთა არა ბოროტად მხილველმან, არამედ რჩეულითა სახითა მოჭალაქედ და ღმრთისა მიმართ მოსავად, რომელმან მე და მშობელთა ჩემთა მეფობაჲ დაგკარხა, არა მხოლოდ განუტტეებ წინაწარწარვლინებულთა ნაწერთაგან ამანის მიერ ჰატანჯველად, რომელთა არა მორჩილქმნილთა კეთილი იმოქმედოთ, ვინამთგან პატრივსაცა / ყოვლისა მიმთხუევსა მნებებელ ვარ მათთვის და მომვერაგებელი ამათი მათთვის წინაშე ბქეთა სუსათა შინა ჭუარს-ვაცუ ნათესვისა თანა მისისა, ყოველთა ზედამხედველისა ღმრთისაგან ამას სასჯელსა მის ზედა მოღებითა. ხოლო გიბრძანებ თქუენ, ნაცვალწერილსა ეპისტოლისასა გარდამცემელთა ყოვლისა სამეფოსა მიმართ, ტევებად იუდელთა, მკუმელთა თვისსა სჯულისათა, ცხორებად მშვედობით და შეწვენად მათდა, რადთა მეუწებლეთა მითთა შურავონ, რომელთა უამთა შინა უბედლოობდეს მეთასამეტესა მეთათრმეტისა თუსასა, რომელი არს აღარ. მასვე დღესა შინა, რამეთუ ესე ქმნა ღმერთმან მათთვის, ცხორებად ნაცვალად წარწყმედისა იყავნ უკუე თქუენდა, მოყუარეთა მიმართ, სახიერებაჲ, ხოლო შესმენაჲ ტინჯვისაჲ ბოროტისმზრახთა მიმართ. ცნობებად უკუე მნებებელ ვარ ქალაქისა და ყოვლისა ნათესვისა, რადთა უკუეთუ რომელსამე წერილთა ჩემთასა ურჩ-უქმნენ, ვითარმედ ცეცხლითა და რკინითა აღილივნენ. წერილინ ვიდრევე უკუე წინა-დაესხენინ ყოველსა ქუეშემორჩილსა ჩუენსა სოფელსა და განმზადებულ ექმნენით ნანდვლ წინადაწერილსა დღესა, რადთა შურ-იგონ მტერთაგან“.

13\*. მკედარნი ვიდრევე უკუე, ეპისტოლეთა მიმღებელნი, მეყუსუელად წარმართებულნი, წინამდებარესა გზასა ვიდოდეს. ხოლო მარდოქეოს ვითარ მიიღო სამეფოჲ შესამოსელი და გვრავნი ოქროსაჲ და მანიაკი, შემოსელი გამოვიდა. და ვითარ იხილეს იგი ესრეთ პატრივემულად მეფისაგან სუსას შინა მყოფთა იუდელთა, საზოგადოდ შეჭრაცხეს კეთილყოფაჲ მისი. ხოლო მიიწინეს რაჲ წერილნი მეფისანი, სიხარულსა და ცხორებისა ნათელსა აქუნდეს ქალაქის შინანი და სოფლის შინანი იუდელნი, ვიდრედა მრავალნი და სხუანიცა ნათესავნი, შიშისათვის იუდელთაჲსა წინადაცემულნი საკდემელსა, უშიშობასა ამისგან თავთა თვისათვის მოივაქრებდეს. და რამეთუ მეთათრმეტისა თვისა მეთასამეტესა, რომელსა ებრაელთაებრ აღარ ეწოდების, ხოლო

\* ესთერი 8,14; 9,5; 9,20.

მაკედონთაებრ—დესტროს, მიმღებელნი წიგნთა მეფისათანი აუწყებდეს, რათა რომელსა დღესა შინა ეგულუბოდა მათ ძვრხილულობად, ამას შინა წარწყმიდნენ მტერნი. ხოლო მთავართა სასატრაპოზსათა და მძლავრთა და მეფეთა და მწიგნობართა აქუნდეს პატივით იუდეელნი, რამეთუ მარდოქეოსს შიში აიძულებდა მათ გონიერებად. ხოლო წერილი, იმეფისაჲ ყოველსა რაჲ მის ქუეშესა სოფელსა შინა მიიწია, შეემთხვა სუსას შინა მყოფთაცა იუდელთა მოკლდინებად მტერთა ზეთასთაჲ. ხოლო იუდეემან აუწყა ესთიარას რიკცხ წარწყმდილთაჲ ქალაქსა შინა, უმცარმან, თუ რაჲსადმე იქმნა სოფელსა შინა და ამათ თანა მერმეცა, უკუეთუ რომლისაჲმე ქმნასა მნებუბელ არს, მისგან გამოიკითხვიდა, რამეთუ იქმნენ. და ევედრა ესთირა მიტევებად იუდელთა მოსავლასაჲ დღესა ესრეთ კუმეცად დაშოთილითა მტერთა მიმართ და ათთა ამანის ყრმათა ჭუარცუმად. და ესე ვიდრემე უბრძანა იუდელთა მეფემან, არა რომლისათჳს ესთირასს წინააღდგომად მნე/ბებულმან. ხოლო მათ, კუალად უკუნ-ქეუელთა მეთოთხმეტესა დესტროასსა თჳსასა, მოაკლდინნეს წინააღ-დგომთაგანნი ვითარ სასსანი და არცა ერთისა მონაგებთა მათთაგან შეებნეს.

ხოლო მოიკლდინნეს სოფელსა შინა და სხუათაცა ქალაქთა იუდელთაგან მტერნი მათნი შვდნი ბევრნი და ზეთასნი. და ესენი ვიდრემე მოსარნეს მეთათ-სამეტესა თჳსასა და დღესასწაულობდეს შემდგომი დღე. ესრეთუ და სუსას-ცა შინა მყოფნი იუდეელნი მეთოთხმეტესა, შემდგომსა დღესა მისვე თჳსასა<sup>o</sup> შეკრებულნი, იხარებდეს, რომლისათჳს აწცა ქუეყანასა შინა ყოველნი იუდეელნი ამათ დღეთა დღესასწაულობენ, წარმავლენელნი ნაწილთანი ურთიდროთას. ხოლო მიწერა მარდოქეოსს არტაქსერქსის სამეფოსა შინა მყოფთა იუდელთა მიმართ დაეკვამ ამათ დღეთაჲ და დღესასწაულსა აღსრულებად მათ შინა და ნაშობთა მათთა მიცემად დადგრომად დღესასწაულსა ყოველსა ესასა შინა. რათა არა დავიწყებთა წარწყმდეს, რამეთუ გულვებადთა ამათ მათ დღეთა შინა გინჩრწნად ამანის მიერ კეთილად იმოქმედონ, უკუე განტროლეილთა ვიდრემე მათ შინა ძვრხილუვსაგან, ხოლო შურისმგებელთა მტერთა ზუდა, დაიკუნენ ესენი, მჰადლობელთა ღმრთისათა. ამათთჳს ვიდრემე იუდეელნი პირველ-თქუმულთა დღეთა დღესასწაულობენ, სახელისმდებელნი მათნი „მეკელად“.

ხოლო მარდოქეოსს დიდ იყო და ბრწყინვალე წინაშე მეფისა და განაგებდა მის თანა მთავრობასა, მშუებელი ერთბამად ზიარებითაცა ცხორებასა დედოფლისაჲ. იყენეს უკუე იუდელთაცა საქმენი ამათთჳს უმჯობეს ყოვლის სასაობისა.

და ამათ შინა ვიდრემე შემთხუეულნი მეფობასა არტაქსერქსისასა ამას სახესა მქონებულ იყვნეს.

## 01. 7.

11<sup>o</sup>. ხოლო მოკლდა რაჲ მღვდელთმთავარი ელიასივოს, მღვდელთმთავრობად იუდას, ყრამან მისმან, მითოუალა. მიიკვალა რაჲ უკუე ესეცა, პატივი თანნე, ძედ მისდა მყოფმან, მიილო, რომლისა ძლით ვადოთს მკედართმეყანე-ბელმან, არტაქსერქსის ურისამან, ტაძარი შეაგინა და ხარენი განუწყენსა იუდელთა, უწინარეს დღითი-დღედთა მსხუერპლთა შეწირვისა თითოეულთა

<sup>o</sup> იყო წარმადი და სიძნელე და იყო მკაცრე და მისი მათნი 11<sup>o</sup> (მეთოთხმეტე და მევე თვის შემდეგ დღეს). 1<sup>o</sup> ნეშთა 12,10; II ეზრა 22,10.

კრავისათვის მიცემად ხარკსა ღრახმათა ორმოცდრდაათთა. ხოლო მიზეზსა ამისა-  
სა ესევეთარად შეემთხვა ქმნამ: ძმამ იყო იოანისი იოსუ. ამის, მოყუარედ  
ჰყოფსა, აღუთქუა ვალოს მღდელთმთავრობისა მიცემამ. ამის უკუე მინდო-  
ბისათვის იოსუ, ტაძარსა შინა სიტყუამყოფელმან იოანისმან, განარისხა  
ძმამ ვიდრე მოკლდინებდმდე მისა. და რისხვისათვის ესევეთარსა ბოროტსა  
უსახურებად ქმნად იოანისგან ტაძარსა შინა ძმისა მიმართ და უბოროტესი,  
რამეთუ არცა ელონითა შორის, არცა ბარბაროზთა, ესრეთ უგბილი და უსა-  
ხური საქმე იქმნა. საღმრთომან ვიდრემე არა დაიდუმბა, არამედ და ცრიცა  
ამის მიზეზისათვის დამონებულ იქმნა და ტაძარი შეიგინა სპარსთა მიერ./  
ხოლო ვალოს, მკედართმეყანებელმან არტაქსერქსისამან, მკნობელმან, ვი-  
თარმედ მღდელთმთავარმან იოანნი ოუდელთამან თვისი ძმამ იოსუ ტაძარსა  
შინა მოაკედინა, მეყუსეულად მიწევნულმან იუდელთა მიმართ რისხვით  
იწყო საიტყუად: „იკადრეთა ტაძარსა შინა თქუენსა ქმნამ კლვსამა?“ და ვი-  
ნათგან მნებებელ იყო შესლვად ტაძრად, აყენებდეს მას. ხოლო მან თქუა  
მათლა მიმართ, ვითარ „არა უწმოდეს ვარ მე მკლველთა ტაძარსა შინა?“ და  
ამათ სიტყუათა მოქმედი შევიდა ტაძრად.

ამას მოგონებასა მკუმეველი ვალოს წელთა შინა შვდთა სტანჯვიდა  
იუდელთა იოსუმს სიკვდილთათვის.

2\*. ხოლო დააქცია რამ იოანნი ცხორებამ, მითუალა მღდელთმთავრო-  
ბამ ძემან მისმან იუადღოს. ხოლო იყო ამრაცა ძმამ, სახელით შანასი, რო-  
მელსაცა ზანავალეტი, წარვლინებულმან სამაროდ დარიოზს შიერ, უკუანამ-  
სენელსა მეფესა, სატრაპმან, ხუთელმან ნათესავით, რომელთაგან სამარი-  
ტელნიცა არიან, მეცნიერმან ბრწყინვალედ-ყოფამა იეროსოლკვამთა ქალაქი-  
სასა და მას შინათა მეფეთაგან მრავალთა ძლუენთა შინიჭებთა ასურელთა და  
ელესა შინა სკრიამსასა დამკვდრებულთათვის, სიხარულით შეუღულა ასული  
მისი, ნიკასოდ წოდებული, მეკუელმან ქორწინებისა თვისებასა ქმნად მისდა  
საყუარულისა მიმართ ნათესავისა იუდელთამასა.

თ. 8.

1. ამას უკუე ყამსა შინა ფლიპოსცა, მკედრონელთა მეფე, ეგვათა შინა  
პავსანიამს მიერ, ძისა კერასტისა, რომელი იყო ნათესავისაგან ორესტთამსა,  
ზაკუვით მოკლული მოკუდა. ხოლო ყრამამან მისმან აღუქმანდრე, მიძღებელ-  
მან მეთობისამან და განსრულმან ელოძაბონტოსა, სძლო ვიდრემე დარიოზს  
მკედართმეყანებულთა, ღრანყოს ზედა განწყობილმან მათთვის. ხოლო მისრუ-  
ლი ლვდიად და იონიამსა, დამმონებელი და კარიამსა ზედმიმსრბოლი პამ-  
ფვლიამსა ადგილთა შინა-მიიწია, ვითარ სხუათაცა შინა უწყებულ არს.

2. და იეროსოლკველთა უკუე მოხუცებულნი, ბოროტადმენებულნი ზი-  
არებისათვის მღდელთმთავრობისა ძმასა იადღოსს მღდელთმთავრისასა, უცხო  
ნათესავისა თანამკვდრსა, წინა-აღულდგებოდეს მას, რამეთუ შეერაცხა ქორ-

1 ძისა კერასტისა] და მკველთა A.Q.D, უბო Πανσθενος τον Κερδαιου 11<sup>304</sup> (შესაძლოა, საკუთარი სახელი ვადებულა როგორც საზოგადო სახელი κερδαιου=არქოსანი, ხოლო მთარგმნელთა სეულმა „მრქენალმა“ გადაწერისას მიიღო „მრქველი“ სახე).

\* ნუმბია 13,28; II უბრა 23,28.

წინებად მიი წესქმნად. მნებებელთათვის უსჯულოებად შეუღლებათა მიმართ დედაკაცთაჲსა და დასაბამყოფად ამას მათთვის ზიარებისა მიმართ უცხო ნათესავთაჲსა. იქმნა ვიდრემე მათთვის პირველსაჲცა ტყუეობისა და ბოროტთა მიზეზ ქორწინებათა შინა მკოდველობად ვიეთმე და მიყვანებაჲ ცოლთაჲ არა თვისისა ქუეყანისაგან. უბრძანებდეს უკუე მანასის განყენებასა ცოლისაგან, გინა არა მიახლებასა სამსხუერპლოდ. ხოლო მღდელთმთავარი ვინათგან განრისხნებოდა ერისა თანა, და აყენებდა ძმასა ვომონისაგან, მიწვენული მანასისი სანავალლეტი სიმამრისა მიწართ/სიყუარულსა ვიდრემე იტყოდა ასულისა მისისა წიკასოჲსაჲსა, გარნა რამეთუ მღდელთმთავრობისა პატივი დიდი არს ნათესავსა შორის და ნათესავადმდე დადგრომად არა მნებებელ არს ამის ძლით დაკლებასა მისგან. ხოლო სანავალლეტი არა მხოლოდ დაცვასა მისდა მღდელობისასა, არამედ და მღდელთმთავრობითსა ძალსა და პატივისა მინიჭებად აღუთქუმიდა და ყოველთა ადგილთა ზედა, რომელთა მთავრობდა იგი, მთავრად განჩინებულ, მნებებელსა თანამკედრობად ასულსა მისსა თანა. და ეტყოდა აღმწენებასა ტაძრისაჲსა, იეროსოლუმთა შინაჲსა მსგავსსა, მთასა ზედა ღარიზინსა, რომელი სხუათა უმაღლეს არს. და ამათ ქმნად აღუთქუმიდა დარიოჲს მეფისა კითხეთა.

ხოლო მანასისი, აღხუავებული აღთქუმათა ზედა, დაადგრა სანავალლეტისა თანა, მღდელთმთავრობისა ქონებად მეტუეული დარიოჲსაგან შოკეშითა და რამეთუ შემთხუეულ იყო სანავალლეტისთვის მოხუცებულად ყოფაჲ. ხოლო ვინათგან წრავალნი მღდელნი და ისრაილიტნი ესევეითართა ქორწინებათა შეთხზინლ იყვნეს, არა მცირედსა შფოთსა აქუნდეს იეროსოლუმელნი, რამეთუ წარსრულ იყვნეს ყოველნი მანასისი მიმართ, ვინათგან სანავალლეტი მოართუმიდა მათ საკმართა და ადგილსა საჰუეაყოლ და სამკვდრებელად განმყოფელი და ყოვლითა სახითა თანა შეეწოდა<sup>1</sup> სიძესა.

3. ხოლო ამას ეამსა შინა დარიოჲს, მსმენელი, ფითარმედ ელლისპონტოჲსა განმწიაღებელი აღუქმანდრე და სატრაპთა მისთა ღრანიკოსა ზედა ბრძოლასა შინა მძლეველი წინა კერძო მიიმართებეს, სიმრავლესა მკედრებრივისა და ქუეითსა შეჰკრებდა წინამიგებებად, მსჯელი მაკედონთაჲ უწინარეს, ვიდრე ყოველსა ასიასა დამკობად მათ მიერ. მოწევენულთა განმწიაღებელი უკუე ეფრატისა მდინარისაჲ და აღსრული კილიკიასა მთასა ტავროსა ზედა, შინაგან კილიკიასა, ვითარ მუნ მბრძოლი მიელოდა მათ. ხოლო მხიარულქმნილი დარიოჲს შთასღვისათვის სანავალლეტო მეყუსეულად აღთქუმათა აღსრულებასა ეტყოდა მანასისი, რაჲამს დარიოჲს, მძლეველი მბრძოლთაჲ, უკუნ-იქცეს, რამეთუ სასოებდა არა იგი მხოლოდ, არამედ და ყოველნი ასიას შინანი არცა კელთადმი სპარსთაჲსა მოსღვად მაკედონთა, სიმრავლისათვის სპარსთაჲსა. ხოლო იქმნა არა ვითარ ჰგონებდეს, რამეთუ, მბრძოლი მაკედონთაჲ, მეფე იძლია და მრავალი რაჲ მკედრობაჲ წარწყმიდა და ტყუელ მიყვანებული იქმნეს დედაჲ მისი და ცოლი და შვილი, ივლტოდა იგი სპარსეთს.

ხოლო აღუქმანდრე, სკრიად მიწევენულმან, დამასკო იპყრა და სიდონისა მძლეველი აოკრებდა ტროსა და თანად ევედრებოდა, წარმავლ/ენელი ნაწერთაჲ მღდელთმთავრისა მიმართ იუდეელთაჲსა, თანაშემწეობასა მივიღნებად მისა და სასყიდელსა მკედრობისათვის მინიჭებად და რაოდენთა დარიოჲს პირ-

<sup>1</sup> შეეწოდა A.

ველად მიანიჭებდეს, ძლუენთა მიცემად მისთვის და მაკედონელთა სიყუარულსა წინასკად, რანეთუ არა შეინანონ ამათ ზედა. ხოლო მღღელთმთავარი მოუგებდა წიგნის მოპლუბელთა, ვითარმედ ფიცთა მიმცემელ არს დარიოშსა არა აღლებად მის ზედსა საკურველთა და ეტყოდა, ვითარმედ ამით, ვადრემჰის ცოცხალთა შორის იყოს დარიოშსა, არა ვადრეაჰედეს. და მსმენელი აღუქმანდრე განრისხნა და ტკრომსა ვიდრემე არა საჯა დატუვებაჲ, მალიად გულუვბადისაჲ დაპყრობად. ვარემოდგომილი უკუე მისი იქადოდა აღმჯედრებასა თუდღეაშა მღღელთმთავრისა ზედა და ცნობებასა ყოველთასა მის მიერ, რომელთა მიმართ უქმს მათ დაცვაჲ ფიცთაჲ, რომლიათეს, ტკივილით მკუშმეველმან ოკრებზამან, მაილო ტკროჲ. და დამადგინებელი მას შინა ლაზელთა ქალაქად მიიწია და ლაზასა თანად და მას შინა მცველთმთავარსა, სახელით ვავიმიისი, აოკრებდა.

4. ხოლო სანავალლეტი, ეაშა მარჯუესა ქონებად მგონებელმან კელყოფილათეს, დარიოშსგან ვიდრემე უსასო-იქმნა, ხოლო მიმყვანებელი რვა ათასთა-შის ქუეშე მთავრებულთაჲ, აღუქმანდრეს მანართ მიიწია. და მპონენელი მისი ლაწყებად ოკრებასა ტკრომსაჲ, ეტყოდა მოკემსად მისდა აღგილთა მათ, რომელთა ზედა მთავრობს იგი და მას ქონებად შეუფედ მხიარულებით, ნაცულად დარიოშს მეფისა. ხოლო მხიარულებით რაჲ შეწყყნარებულ-იქმნა, მიერთგან მიწოდებით წინანდებარეთათეს სანავალლეტი სიტყუათა მჰოართუმიდა მას, მაუწყებელი, ვითარმედ სიძე ვიდრემე აქუს მანასე, ძმჲ იადღეს, თუდღელთა მღღელთმთავრისაჲ. ხოლო მრავალნი სახუანიცა არიან მის თანა თანმონათესენნი და მნებებელ არიან სამღღელომსა მის ქუეშეთა აღგილთა შინა შენზადებად. ხოლო ესე უმჯობეს მეფისათესაცა ორად ზანყოვჲა იუდელთა ძალისაჲ, რამეთუ არა ერთგანზრახვად მყოფი ნათესავი, არცა ერთად შეკრებილი, უკუეთუ განდგომილ იქმნენ ოდესჲ, ბოროტ-იყოს მუფეთათეს, ვითარცა პირველ ასურისა მთავართა ეყო. ხოლო შენდობილქმნილმან აღუქმანდრესგან და ყოვლისა მოსწრაფებისა მომლებელმან აღაშენა ტაძარი სანავალლეტი და მღღელად დაადგინა მანასისი, დიდად პატივად შემრაცხელმან, უკუეთუ ასულისაგან ქმნილთა ეყოს ესე პატივი. ხოლო შვდნი რაჲ თუენი წარტდეს ტკრომსა ოკრებასა შინა და ორნი ლაზისა, სანავალლეტი ვიდრემე მოკუდა, ხოლო აღუქმანდრე, მიპლებელი ღაზაშაჲ, იეროსოლუმელთა ქალაქისა მიმართ აღსლვად მოსწრაფე იყო. და მღღელთ/მთავარი იადღეს!, მსმენენელი ამისი, ლუაწლსა შინა იყო და შიშსა, უღონოჲ. ვითარ შეემთხვოს მაკედონთა, ვანრისხებნათეს მეფისა პირველსა ურწყუნოებასა ზედა. ნამცნებელი უკუე ცრისაჲ ვედრებასა და მსხუერპლსა მოს თანა შეწყვირველი ღპრითისა, ევედრებოდა შეწყენად ნათესავისა და ცნად მომავალთა ძვრთაგან. ხოლო მიძინებულსა შემდგომად მსხუერპლისა აუწყა მას ძილთა შინა განმჯნობაჲ და შემამკობელსა ქალაქქაშასა ვანღებაჲ ბუეთაჲ და სახუათაგან ვიდრემე სპეტაკითა შესამოსლითა, ხოლო ნისგან მღღელთა თანა საყლიერთა შესამოსლითა ქმნაჲ მიგებებისაჲ და არცა ერთისა ბოროტისა მოლოდებაჲ საგნებელად ღმრთისა წინამოურნეობითა. ხოლო აღდგომილი ძილისაგან იხარებდა იგი დიდად და უწყებულსა მისთვის ყოველთა მძებრობელი და მოქმედი, რადღენნი ძილთა შინა მცნებულ იყვნეს მისთვის, ნოელოდა მოსლევასა მეფისასა.

201

5. და ისწავა რამ არა შორს ქალაქისაგან ყოფიდა მისი, ვანჯიდა მუღელთა თანა და სიმრაველსა ქალაქისასა, მღღელშუენიერსა და გარდამატებულსა სხუთა ნათქავეთაგან მოქმედი წინაშემბთხუევასა, ადგილსა რომელსამე, საფიღ სახელდებულსა. ხოლო ესე სახელი, გარდაღებული ელინთა ენად, სიმადლესა მოასწავებს, რამეთუ იეროსოლჳმათა და ტაძარსა მიერ შექმთხუეოდა აღჩენაჲ.

ხოლო ფჯნიკელთა და ხალდეველთა შედგომილთა, რაოდენნი მეფისა რისხვისა მიმართ შედგომად შესატყჳს იყვნეს მიტევეზად მათ ზედა განფხურად ქალაქსა და მღღელთმთავრისა გუემით წარწყმედად გულისმსიტყუველთა, წინააღმდეგობნი ამათნი იყვნეს, რამეთუ აღექსანდრე, შორით მხილველმან სიმრავლისამან ეიდრემე სპეტაკთა შესამოსელთა შინა, ხოლო მღღელთამან მღგომარედ ვჳსინთა მათთა შინა და მღღელთმთავრისამან უკინთოჲსა და ოქროანსა შესამოსელსა შინა და თაჳსა ზედა მქონებელად გვრგვსა და ოქროასა ფიცარსა მას ზედა, რომელსა ზედა სახელი ღმრთისაჲ წერილ იყო, მხოლოდმძრულმან თაყუანის-სცა სახელსა და მღღელთმთავრისა პირველად ამბოჯს-ლუო. ხოლო იუდეულნი ყოველნი ერთბამად ცრთითა ვმითა აღექსანდრეს შეიტკობდეს, გარემოღგომილნი მისნი. ასკრიასა\* იუფენი ციდრემე და ნეშტნი სხუანი განცებრდეს ამისისა ქმნისათჳს და ჰგონებდეს განხრწნასა მეფისა გონებისასა. ხოლო ბარმენონ, მხოლოდ მისრული მისა, ჰკითხვიდა, რამესათჳს, ოდეს ყოველნი თაყუანის-სცემენ მას, იგი თაყუანის-სცემს იუდელთა მღღელთმთავრისა, ხოლო მან: „არა ამას, ჰრქუა, თაყუანის-ვეც, გარნა ღმერთსა, რომლისა მღღელთმთავრობითა პატიეცემულ არს ესე, რამეთუ ესე და ძილთაჲ შინა, თქუა, ფიხილე ამას სახესა შინა, დიოს შინა მკედღონთაჲსა მყოფმან და თჳსაგან ფანჯიზრასტედ რამ, ვითარ დაევიპურა ჯთაჲ, შობრძანა არა დაყოვნებამ, არამედ მინდობით წია/ღსლგვაჲ, რამეთუ იგი წარუძღუეს მკედღობასა ჩემსა და მომცეს მთავრობამ სპარსთაჲ, რომლისათჳს სხჳსა არცა ერთისა მხილველი ცხევითარითა შესამოსლითა, ხოლო ამისი აწ მხილველი და ძილთა შინაჲსა ხილვისა და ბრძანებისა ნომჳსენებელი, ევგონებ საღმრთოჲთა წამისყოფითა ქმნად მკედღობასა და ძლევისა დარითისსა და დაქსნასა სპარსთა ძალისასა და ყოველნი, რაოდენნი გონებასა ჩემსა არიან, წარმართებად“.

ამათი მეტყუელი პარმენიონის მიმართ და შემწყურებელი მღღელთმთავრისაჲ, წინამსრბოლობითა იუდელთაჲთა ქალაქად მიიწია. და აღსრულმან სამღღელოდ უმსხურაჲლა ღმერთსა მითხრობისაებრ მღღელთმთავრისა, ხოლო თჳთ მღღელთმთავრისა და მღღელთა ღირსშუენიერებით პატივ-სცა. და ეჩუენა მას წიგნი დანიილოჲსი, რომელსა შინა რომელთამე ელინთაგან დაქსნამ სპარსთა მთავრობისაჲ ცხად-იქმნებოდა და შემრაცხელმან, ვითარმედ იგი არს მოსწავებული, მაშინ ეიდრემე მხიარულქმნილმან განუტევა სიმრავლუ, ხოლო მომავალსა დღესა, მომწოდებელმან, უბრძანა მათ თხოვაჲ ნიჳთაჲ, რომელთაჲ მნებებელ არიან იგინი. ხოლო მღღელთმთავარმან ითხოვა კუმეგაჲ მამელთა სჯულთაჲ და მეშვდესა წელსა მიუტდელად-ყოფამ ხარკთაჲ და შეუნდვნა ყოველნი. და ევედრებოდეს რამ მას, რამთა ვავკლონს შინა და მიდიას მყოფთა იუდელთა თჳსთა სჯულთა კუმეგაჲ უბრძანოს, სიხარულით მოაუღლა ქმნამ მათი, რომელთაჲ ევედრებიან. ხოლო ვინამთგან თქუა სიმრავლისა მიმართ, ვითარმედ უტუეთუ ნოეთნიმე მნებებელ არიან აღმკედ-

რებად მის თანა, მამულთა წესთა ზედა დადგრომილნი და ამთ შინა ცხო-  
რებულნი, მზადმქონებელ არს მიყვანებად, მრავალთა მის თანა მკედრობაჲ  
შეიყუარეს.

6. აღექსანდრე ვიდრემე უკუე, ამათმან განმგებელმან იეროსოლჳმათა  
შინა, განიმკედრა შემდგომთა ქალაქთა მიმართ და ყოველნი, რომელთა მი-  
მართ მიიწეოდა იგი, მხიარულებით შეიწყნარებდეს. ხოლო სამარიტელთა,  
დედაქალაქსა სიკიმასა მქონებელთა მაშინ, მღებარესა მთასა თანა ღარიზინსა  
და დამკედრებულსა იუდეელთა ნათესვისაგან განდგომილთაგან, მხილველთა,  
რამეთუ იუდეელთა ესრეთ ბრწყინვალედ პატივ-სცა აღექსანდრე, აგრძნეს  
თავთა თვსთა იუდეელად აღსაარებაჲ, რამეთუ არიან სამარიტელნი ესევითარ-  
ნი ბუნებით, ვითარ უწინარესცა ცხად-ვყავით, განსაცდელთა შინა ვიდრე  
მყოფთა იუდეელთასა უარ-ჰყოფენ ნათესავობასა, აღმსაარებელნი მაშინ ჰეშ-  
მარიტსა, ხოლო რაემს იხილონ მათ თანა ბრწყინვალე რამე ბედისაგან,  
მოსწრაფე არიან ზიარებისა მიმართ მათისა, მეტყუელნი ნათესავად მათდა  
თავთა თვსთა და იოსიპოჲს ნაშობთაგან ნათესავთ მეტყუელნი მათნი, ეფრე-  
მოჲს და მანასისაგან. ბრწყინვალედ უკუე და მრავალსა მარტუნებელნი მისა  
მიმართ გულსმოდგინებასა მიეგებნეს მეფესა მცი/რედ მახლობელად იერო-  
სოლჳმათა. ხოლო აღექსანდრე ვინამთგან აქნა იგინი, მივიდეს მისა სიკიმელ-  
ნი, მიყვანებელნი მათ მკედართანიცა, რომელნი სანავეალლეტი წარავლინნა  
მისა მიმართ და ევედრებოდეს, მიწევნულსა ქალაქად მათდა, პატივემად მათ  
შორისსა სამღდელოსა. ხოლო მან ესე ვიდრემე კუალად, უკუნქვეულმან, მი-  
ნიჭებაჲ აღუთქუა მათ. და ევედრებოდეს რაჲ მიტევებად მათდა ხარკსა მე-  
შედისა წლისასა, რამეთუ არცა იგინი სთესვენ ამას შინა, ვინად მყოფნი ამთ  
ევედრებიან, იკითხვიდა. ხოლო მათ მიუგეს: „ევერავლნი ვიდრემე ვართ,  
ხოლო სახელ-ედებისა სიკიმის შინათა სიდონელად“. და კუალად ჰკითხვიდა  
მათ, უკუეთუ იუდელნი არიან. ხოლო მათ თქუეს რაჲ არა-ყოფაჲ, „არამედ  
მე ესენი. თქუა, იუდეელთა მივსცენ. შემოქცეულმან ვიდრემე და მსწაველმან  
თქუნგან გამოწულივით, ვქმნნე თნებულნი“.

202

სიკიმელთა ვიდრემე უკუე ესრეთ<sup>1</sup> განუქმნა. ხოლო სანავეალლეტის  
მკედართა უბრძანა შედგომაჲ ეგვბტედმი, რამეთუ მუნ მისცნეს მათ ნაწილნი  
ქუეყანისანი, რომელიცა შემდგომად მცირედისა ქმნა თივაიდას შინა, მბრძა-  
ნებელმან მათთვს ცუად სოფლისაჲ.

7. ხოლო აღსრულდა რაჲ აღექსანდრე, მთავრობაჲ ვიდრემე მონაცვალე-  
თა განეყო. ხოლო ღარიზინ მთასა ზედაჲ სამღდელოჲ დაადგრა და უკუეთუ  
ვისმე მიზეზი აქუნდეს იეროსოლჳმელთა შორის შეგინებულის მკამლობისაჲ,  
გინა სავებატთა შინა უსჯულოებისაჲ ანუ სხვსა რომლისაჲმე ესევითარისა  
ცოდვისაჲ, სიკიმელთა მიმართ მიივლტოდის, მეტყუელი უსამართლოდ გან-  
დევნისაჲ. ხოლო აღსრულდა მას ეამსა შინა და მღდელთმთავარიცა იადლუს  
და მღდელთმთავრობაჲ ონია, ყრამამან მისმან, მიილო.

იეროსოლჳმელთანი ვიდრემე ამთ შინა მყოფ იყენეს.

ფლავიოს იოსიპოჲსი იუდაებრივისა ძუელსიტუაობისანი, მეთერთმეტე

<sup>1</sup> ესრეთ A.

ესანი არიან მათორმეტისა შინა იოსიკოვს მოთხრობათასა  
იუღამბრივისა ძუელსიტუაოვისათჳს

1. ვითარმედ<sup>1</sup> პტოლემეოს ლალოხსმან, ზაკუვით და ძმატუვით მიმღებელმან იეროსოლჳმათა და იუდეამსამან, მრავალნი მისგანნი ეგვპტეს შთამკვლრნა.

2. ვითარმედ<sup>1</sup> ძემან მისმან პტოლემეოს, წოდებულმან ძმათმოყუარედ, იუდეულთა სჯულნი ელლინთა ენად გარდაცვალნა და მრავლნი ტყუენი განუტევენა, ელეაზაროხს მღდელთმთავრისა მიმნიჭებულმან მათმან და ძლუენნი<sup>2</sup> მრავალნი შეწირნა ღმრთისა.

3. რამეთუ პატივ-სცეს ასიისა მეფეთა ნათესაესა იუდეულთასა და მოქალაქე-ყვენს მათ მიერ აღშენებულთა ქალაქთა შინა.

4. ქმნულისა უბედობისაგან აღმართებამ იოსიპოხს მიერ ტოვიადსა<sup>3</sup>, რომელმან ქმნა სიყუარული პტოლემეოხს მიმართ ეპიფანესა.

5. სიყუარული და თანამბრძოლობამ ლაქედემონელთამ ონიამს მიმართ, <sup>v</sup> მღდელთ/მთავრისა იუდეულთასა.

6. კდომამ ძლიერთა იუდეულთამ ურთიერთას და ვითარმედ მოუწოდეს ანტიოხოსს ეპიფანეს<sup>4</sup>.

7. ვითარმედ<sup>1</sup> აღმკვდრებულმან ანტიოხოსს იეროსოლჳმათა ზედა თანად ქალაქი მიიღო და ტაძარიცა განფხურა.

8. ვითარმედ<sup>1</sup> ანტიოხოსს დააყენნა მამულთა სჯულთა ჯუმეკად იუდელნი და მხოლომან ასამონეოხს ყრმამან მატრათის შეურაცხ-ყო მეფისამ და ანტიოხოსს მკედართმყვანებულთა სძლო.

9. მატრათამს აღსრულჳდამ, სიბერესა შინა მყოფისამ და მიცემამ წინამდგომარეობასა საქმეთასა ყრმაათჳს.

10. ვითარმედ<sup>1</sup> ძემან მისმან იუდა, ანტიოხოსს მკედართმყვანებულთა მბრძოლმან, იუდელნი მამულსა მოქალაქობასა აღმოიყვანნა და ვითარმედ მღდელთმთავრად განიჩინა ერისა მიერ.

11. ვითარმედ<sup>1</sup> ანტიოხოსს მკედართმყვანებელი აპპოლონიოს, მბრძოლი იუდეამსამ, ძლუული მოკუდა.

12. სირონოხს და ღორგვიამს აღმკვდრებამ იუდეასა ზედა და ძლევამ და განხრწნამ მკედრობისამ. ლესიამს მკედრობამ, ანტიოხოსს მკედართმყვანებელისამ, იუდეასა ზედა და ძლევამ<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ლ<sup>1</sup> A, ჳლ QS, და D. <sup>2</sup> ძლუენი AQ. <sup>3</sup> ტოვიოასა AQD. <sup>4</sup> ეპიფანე AQ.

\* ამ პუნქტის მეორე ნახევარი: „ლესიამს მკედრობამ... ბერძნულ დედანში მოცემულია მე-15-ბუნქტის სახით და გაყვთებულა აღნიშვნა, რომ მე-13 პუნქტის წინ უნდა იყოს. ე. ი. ქართულ თარგმანში ეს ვითარება გასწორებულია.



13\*. და აღმკვდრებულთა იუდა და სიმონ, იუდა ვიდრემე ამმანტთა ზედა და ღალადიტსა, ხოლო სიმონ ტვრელთა ზედა და პტოლემელთა, სძლეს მათ.

14. ვითარმედ<sup>2</sup> ანტიოხოს ეპიფანე აღსრულდა სპარსთა შორის.

15. ვითარმედ<sup>2</sup> ანტიოხოს, წოდებული კეთილ მამად, აღმკვდრებული იუდელთა ზედა ღვსიას თანა და მძლეველი, აოჯრებდა იუდას, სამღვდლოდ შემაწყუდეველი.

16. ვითარმედ<sup>2</sup> მრავალი ეამი რაჲ წარკდა ოჯრებასა შინა, სიყუარულისა შემოქმედი იუდაჲს მიმართ კეთილშეუენიერებით, უკუნ-იქცა იუდაჲსაგან ანტიოხოს.

17. ვითარმედ<sup>2</sup> ვაკქიდი, დიმიტრიოჲს მკედართმყვანებელი, აღმკვდრებული იუდელთა ზედა, უსაქმოდ უკუნ-იქცა მეფისა მიმართ.

18. ვითარმედ<sup>2</sup> ნიკანორ, შემდგომად ვაკქიდისა წარვლინებული მკედართმყვანებელი, წარწყმდა მკედრობისა თანა.

19. ვითარმედ<sup>2</sup> კულად იუდეასა ზედა წარვლინებულმან ვაკქიდი სძლო მათ.

20. ვითარმედ<sup>2</sup> იუდა განიხრწნა მბრძოლი.

მოაქუს წიგნსა ამას ეამი წელთა ას სამეოცდაათთა.

იოსიპოჲსი იუდაებრივისა ძუელსიტყუობისაჲ ი<sup>ბ</sup>.

07. 1.

11\*. ალექსანდრე ვიდრემე უკუე, მაკედონთა მეფე, დამკსნელი სპარსთა მთავრობისაჲ და იუდეას შინათჲ პირველთქუმულისა სახისაებრ დამდგინებელი, აღსრულდა ცხორებისაგან. ხოლო გარდავიდა რაჲ მრავალთა მიმართ მთავრობაჲ, ანტილონოს ვიდრემე ასიასა მპყრობელ იქმნა, ხოლო სელევკოს — ვაკვლონისა და მას შინათა ნათესავთა და ღვსიმაზოს — ილისპონტოს განაგებდა, ხოლო მაკედონიაჲ კასანდროსს აქუნდა და პტოლემეოს ღალადსმან ეგპტე მითლო. ხოლო ვინაჲთჲ განდგეს ესენი და ურთიერთას პატივისმოყუარეობდეს თვისისა მთავრობისათჲს, ბრძოლათა მრავალთა და გრძელთა შეემთხუა ქმნაჲ და ქალაქთა ძვრხილულობაჲ და მოაკლდეს მრავალნი მკედრობანი ღუაწლთა შინა, ვიდრელა სვრიასაცა ყოველსა პტოლემეოსს მიერ ღალოსისა, მაცხოვრად მაშინ წოდებულისა, წინააღმდეგომნი ეენნეს წოდებისა მისისაგან. ხოლო დაიპყრნა ამან იეროსოლქმანი<sup>2\*</sup> ზაკუეისა და ცთუნებისა მკუმეველმან, რამეთუ შესრული შაბათთა შინა ქალაქად ვიდრე მსხუერბლველი, არცა იუდელთაგან წინააღმდეგომილი, რამეთუ არცა ჰგონებდეს მბრძოლსა, უქუმეველობისათჲს და ღლისა უქმად და მცონარედ მყოფობისათჲს, უზრომელად მპყრობელ-იქმნა ქალაქისა და მწარედ მთავრობდა მას ზედა. ხოლო მოწამე არს ამის სიტყუვა ალთარქიდიცა კნიდიელი, საქმესა მონაცვალეთასა აღმწერელი, მყოფედრებელი ჩუენდა დაჯსნილობისაჲ ვიდრემე<sup>3</sup> მის მიერ დაკლებულთაჲ თაჯისუფლებისაგან, მეტყუელი ესრეთ:

203

<sup>1</sup> პტოლემალთა AQ. <sup>2</sup> ლ' A, კ'დ QS, და D. <sup>3</sup> კ'ე.

\* ეს პუნქტი ბერან. დედნის მხოლოდ FLV ნუსხებში არის ერთი პუნქტის სახით, სხვა ნუსხებში ვაყოფილა ორ პუნქტად. <sup>1\*</sup> არისტოლი, § 13. <sup>2\*</sup> იქ 'Ιεροσολύμα 12; ბერანულს ბრ. რ.-ის ფორმა ასევე ბრ. რ.-ით არის გადმოსული თარგმანში).

ნარს ნათესავი, იუდეულად სახელდებული, რომელთაცა, ქალაქსა ძლიერსა და დიდსა შქონებელთა, იეროსოლვმასა, ესე უგულუბელს-ყვეს პტოლემეოსს მიერ მიღებული, საჭურველისა აღლებად არა მნებებელთა, არამედ ფრიადისა დაქსნილობისათვის ბოროტისა მეფისა ქონებამ თავს-იღვეს\*.

აღათარქიდი ვიდრემე უკუე ესენი ნათესავისა ჩუენისათვის თქუნა.

ხოლო პტოლემეოს, მრავალთა ტყუეთა მიმყვანებელმან მთისაგან იუდეასა და იეროსოლვმასა გარემოსთა ადგილთაგან და სამარიასა, ღარიზინის შინათაგან, დაამკვდრნა ყოველნი ეგვპტეს მიმყვანებელმან, ხოლო გამომორჩეველმან იეროსოლვმელთაგან ფიცთა დაცვისათვის და სიმტკიცეთა ქემარხტად მყოფთა მათ მიერ, რომელნი მიუგნეს ალექსანდრეს, ვედრებულსა მათ მიერ შემდგომად დაპყრობისა დარიოხსა ბრძოლასა შინა, მრავალნი მათგანნი სამცველოთა შინა დააწესნა და მაკედონთა სწორმოქალაქედ მყოფელმან მათმან ფიცნი მიიხუნა. მათგან, რაათა ნაშობთა მისთა საჩუქუნობამა დაუმარხონ.

ხოლო არა მცირედნი იუდელთაგან ნეფსით ეგვპტედ მიიწინეს, სიმარჯსაგან ადგილთასა და პტოლემეოსს პატივისმოყუარებისაგან მიწოდებულნი. კლომანი ვიდრემე უკუე ნაშობთა მათთანნი იქმნნეს სამართელთა მიმართ, მამულსა ქციეასა წესთასა დაცვად მნებებელთა და ურთიერთას ჰბრძოდეს: იეროსოლვმელნი ვიდრემე სამდღელთა მათსა წმიდად იტყოდეს და მსხუერპლთა მუნ მიღებასა აღირსებდეს, ხოლო სიკიმელნი ღარიზინ მთად ბრძანებდეს მიღებასა.

## თ. 2

1\*. ხოლო მეფობდა ალექსანდრე წელთა ათორმეტთა და შემდგომად მისა პტოლემეოსს მაცხოვარი — ორმეოცთა და ერთსა, ამისა შემდგომად მეფობასა ეგვპტისასა მიმღებელმან ძმისა მოყუარემან!\* და მპყრობელმან მისმან წელთა ერთისა მოკლელთა ორმეოცთა მიმართ, თანად სჯული თარგმნა და დამონებულნი ეგვპტეს შინა იეროსოლვმელნი განუტევენა მონებისაგან, მყოფნი ათორმეტად ბევრად მიზეზითა ესევეთართათ: დიმიტრიოს ფალისესი, რომელი იყო წიგნის სამცველოთა ზედა მეფისათა, მოსწრაფე, უკუეთუმცა შესა/ძლებელ იყო ყოველთა ქუეყანისა წიგნთა შეკრებად და თანამოსყიდელი, უკუეთუ სადა ესმის მხოლოდ, გინა იხილის ღირსი მოსწრაფებისა, მეფისა წინააღრჩევითა, რამეთუ შეკრებისათვის წიგნთასა კეთილად მქონებელ იყო, მოსწრაფებით იღუწოდა მის თანა. ხოლო ოდესმე ჰკითხა მას პტოლემეოსს, რაოდენნი ბევრნი წიგნთანი აქუნ შეკრებილად და მან მიუგო — აწ ვიდრემე შეკრებილნი არიან ოცნი ბევრნი, ხოლო შემდგომად მცირედისა ჟამისა ორმეოცდაათნი შეგკრიბნე“ და ეტყოდა, ვითარმედ უწყებულ არიან მისდა მრავალთა ყოფანი იუდელთა შორის მათ მიერ თანასჯულთა წერილნი, მოსწრაფებისა მეფისა წიგნის სამცველოთა ღირსნი, რომელთაცა, თვისთა სახითა და ენითა დაწერილთა, არა მცირედი შრომამ მოატყუნ მათ ელლინთა ენად გარდაცვალებულთა, რამეთუ საგონებელ არს ყოფამ სახისა მათისა მიმსგავსებული სკრელთა ნაწერსა და კმისა მსგავსად მათსა კმობამ, ხოლო თვისად ჯოფამ შემთხუეულ არს მისდა. არარას უკუე

\* ორისტოლი § 9. \* δ φιλαδέλφους 1211.

მაყენებელ-იქმნენ ესენი გარდათარგმნილნი, იტყოდა, რამეთუ შესაძლებელ არსა ღონიერებასა ამათსა შინა ქმნილთათვის ქონებაჲ წიგნისსამცველოსა შინა მათ მიერთაჲ. და სათნოყოფელმან უკუე დიდად დიმიტროსმან მეფემან პატივისმოყუარებისათვის შეკრებად მისა სიმრავლესა წიგნთასა, მიუწერა იუდეელთა მღვდელთმთავარსა ქმნაჲ ამათი.

2\*. ხოლო არისტოს ვინმე, ფრიად მოყუარედმოყომან მეფისამანი და შეყუარებულმან მის მიერ მოწლებობისათვის, მრავალგზის და უწინარესცა აგრძნა ვედრებაჲ მეფისაჲ, რაათა განუტევენეს ტყუენი იუდელნი, რაოდენნი სამეფოსა მისსა შინა იყვნეს. ხოლო რჩეულად ჟამად ვედრებისად ამისმან მსჯელმან, პირველად მთავართა სხეულისმცველთასა ეტყოდა ამისთვის, სოსივიოსს ტარანტინელსა და ანდრეას, მეედრებელი მათ თანა ღუწად, რომელთათვის ეგულების მეტყუელებჲა მეფისა მიმართ. მიმღებულმან უკუე პირველ-თქუმულთაჲა განზრახვასა, არისტოს, მისრულმან მეფისა, ესევეთარნი სიტყუანი ყენა მისა მიმართ:

„არა ჭერ-არს ჩუენ შეცთუნებულთა, ო მეფე, უმეცრებაჲ, არამედ ჭეშ-მარტრისა მხილებაჲ, რამეთუ იუდეელთა სჯულსა არა გარდაწერად მხოლოდ, არამედ და გარდათარგმნილდა მნებებელთა. მონებასა, ვითარ სათნო-არს შენთვის, რომლისა სიტყუსა მტუშვეველთა ვიმოქმედოთ ესე; მრავალთა იუდეელთა სამეფოსა შენსა შინა!“, რომელნიცა სულდილობისა შენისაებრ და სახიერებისა მოქმედმან შემდგომითი-შემდგომად განუტევენ ძვრხილულობისაგან და მეფობაჲ შენი განაგოს დამსხმელმან მათთვის სჯულთამან ღმერთმან, ვითარმცა მე, მრავლად გამომეძიებელსა, მექმნა ცნობაჲ, რამეთუ ყოვლისა დამბადებელსა ღმერთსა და ესენიცა და ჩუენცა ვკმსახურებთ. ზინად\* მწოდებელნი მისნი, მზად შთაბერვისათვის ყოველთაჲსა სიცოცხლესა წოდებასა მიმცემელნი მისთვის, რომლისა ძლით პატივისათვის ღმრთისა, მოქმედნი რჩეულისა მისა/ მიმართ, სასჯელსა უკუნ-აქციენ, მამულად მას შინასა ცხოვრებასა დამტევე-ბელნი. უწყყოდე უკუე, ოა. მეფე, ვითარმედ არცა ნათესავობით მოზიარე მათი, არცა თანამონათესვედ მათდა მყოფი გვეედრები ამათ მათთვის. ხოლო რამეთუ ყოველნი კაცნი ქმნილნი ღმრთისანი არიან და მეცნიერი მისი მე მოხარულად კეთილმოქმედთა ზედა, ამისთვის და შენცა გვეედრები“.

204

3\*. ენენი რაჲ თქუნა არისტოს, აღმხილველმან მისა მიმართ მეფემან ტკბილითა და მხიარულითა პირითა, „რაოდენთა, თქუა, ჰგონებ განტევებადთა ბევრთა ყოფასა?“ ხოლო დაემთხვა მუნ მდგომარედ ანდრეა და თქუა: „მცი-რედ უმრავლეს არიან ათერთმეტთა ბევრთა“. „ნანდვლ მცირედი ნიჭი გუთ-ხოვე ჩუენ, არისტეე!“ ხოლო სოსივიოს და მუნ მდგომარეთა ჰრქუეს, ვითარ-მედ ჭერ-არს მისდა ღირსსა სამადლობელსა ქმნად ღმრთისა, მომნიჭებელისა მიმართ მეფობასა სულდილობისა მისისათვის. და მხიარულ-ქმნილმან ამათ ზედა ბრძანა, რაათა რაჲამს მკედართა მისცემდენ სასყიდელსა და თითოეულ-საჲა მათ შორის ტყუენთავანსა მისცემდენ :*რაახმათა ას ოცთა და რომელ-*

1 მეფესამან A.

\* არისტ. § 12. 1\* *πῶλλον ἢ ἑπτὰ βασιλεία διηλεσθησαν* 12<sup>6</sup> („მონე-ბასა“ უნდა იღვეს „სამეფოსა შენსა შინა“-ს შემდეგ). 2\* *Ζῆνα* 12<sup>22</sup> („ზენისს. *Ζῆνα* არის *Ζεῦς*-ის აკუსატის ბრუნვა). 3\* არისტ. § 19; § 22.

თათვის ევედრებოდეს, დიდებასა წერილთასა აღუთქუმიდა, შუენიერად მქონებელთა და არისტოვას აღრჩევასა დამამტკიცებელთა და უწინარეს ამისა ღმრთისა განზრახვასა, რომლისა მიერ არა მამისა მისისა მიერ მხოლოდ აღყვანებულთა და მკედრობისა მისისაგან განტევებასა იტყოდა, არამედ და პირველმყოფთასაცა სამეფოსა შინა და უკუეთუ ვითნიმე კუალად მოყვანებულ იქმნეს. ხოლო უმრავლეს ოთხასთა რამ ტალანტთასა თქუეს ქმნად საკსართაჲ, ესენიცა მიუტენა<sup>1</sup>. და ნაცვალანწერიცა ბრძანებისაჲ, საუწყებელად გონიერებასა მეფისასა, დამარხვად აგრძნეს. ხოლო იყო ესევეითარი: „რაოდენნი თანამკედრებულნი მამისა ჩუენისა დანა სკრიასა და ფენიკსა ზედ-მოუვიდეს და იუდეაჲ განფხურეს და ტყუედ მიმყვანებელთა სხეულთასა<sup>2</sup> მოიყვანეს ქალაქთა მომართ ჩუენთა და სოფელთა და ესენი განყიდნეს და უწინარესცა მათსა მყოფნი სამეფოსა ჩემსა შინა და უკუეთუ ვითნიმე აწ მიყვანებულ-იქმნეს, ესენი განუტევენი მათ თანა, მქონებელთა თითოეულითა სხეულისათვის მიმღებელთა დრახმათა ას ოცთა. სტრატორონი<sup>3</sup> ვიდრემე თვისთა განწესებულთა თანა, ხოლო ნეშტნი სამეფოსა ტრაპეზისაგან მიიღებდენ საკსართა, რამეთუ საგონებელ არს ჩემდა გარეგან მამისა წინააღრჩევისა და გარეგან ჭეროვნისა ტყუე-ქმნად მათი და სოფლისა მათისა მკედრობითისა სილალისა მიერ ძვრხილულობაჲ და ეგვპტეს შთაყვანებისა მათისა მიერ მრავალსა სარგებელსა ქმნად მკედართათვის. სამართლისა უკუე განმხილველი და უჭეროდ/მიმძღაერებულთა მწყალბელი, განტევებასა<sup>4</sup> ვბრძანებ მონებასა შინა მყოფთა იუდელთასა, მომგებელთაგან პირველადწერილსა მათთვის საკსარსა მიმღებელთაგან და არცა ერთისა ამთავანისა ბოროტის-ყოფასა, არამედ დამორჩილებასა ბრძანებულთასა. ხოლო მნებავს წერილთა, რომლით დლითგან წარივლინნეს, სამთა დღეთა შინა ქმნად მათ ქუეშემომგებელთაგან, რამთა უჩუენებდენ მეყუსიულად სხეულთაცა, რამეთუ ესე საუმჯობესოდ საქმეთა ჩემთა შემირაცხიეს. ხოლო ამცენინ ურწმუნთა, მნებებელმან, ვითარმედ მონაგებთა მათთა სამეფოსა მონაგებსა შინა მეგულების აღლებად“.

ესე რამ ბრძანებდა წარეკითხა მეფესა, სხუათა ვიდრემე მქონებელი და ერთისაგან მხოლოდ დაკლებული პირველად და უკუანაჲსკენლად მოყვანებულთა იუდელთათვის, არა დანიშნვად ზედა-დაპრთო მან დიდად გონიერებით, ამათთვისცა კაცთმოყუარებდა და მიცემადცა ხარკთაჲ მალიად უბრძანა მსახურთა საქმისათა განყოფად სამეფოთა მეტრაპეზეთა მიმართ. ესენი რამ იქმნეს მალიად, შუდთა დღეთა შინა ყოველთა დასასრული მიიღეს თნებულთა მეფისათა. ხოლო ტალანტნი საკსართანი უმეტეს სამეოცთა და ოთხასთა იქმნეს, რამეთუ ჩჩვლთათვისცა მიჰკიდდეს მეფენი ოცთა და ასთა ღრახმათა, ვინამთგან მეფემან მათთვისცა ბრძანა მიცემად და დაწერა თითოეულისა სხეულისათვის მიღებაჲ პირველთქუმულისაჲ.

42\*. ხოლო ვინამთგან ესენი იქმნეს ნებისაებრ მეფისა დიდად შუენიერებით, უბრძანა დიმიტრიოს გარდაცემად ბრძანებისა აღწერისა წიგნთათვის ოუდელთაჲსა, რამეთუ არა ამაოდ განეგებვოდა მეფისა მიერ, არამედ ყოველნი მრავლითა გულსმოდგინებითა იქმნებოდეს, რომლისათვის და მოცემისა-

<sup>1</sup> მოიტენა. <sup>2</sup> განტევებასა A

\* σάμαρα 12<sub>28</sub> = 1) სხეული; 2) მონა. ამ კონტექსტში იგულისხმება მეორე მნიშვნელობა).

<sup>3</sup> οὐ μὲν σπαροειδῆαι 12<sub>29</sub> (=ჭარისკაცები). <sup>4</sup> არისტ. § 28.

თვსცა ნაცვალწერილი და ეპისტოლეთაცა დაწესებულ არს და სიმრავლე წარვლინებულთა ძლუნთაჲ და შემზადებული თითოეულსა ზედა, ვიდრეღა საკრველ არს მხილველთათჳს კელოვანისა დიდგონებაჲ და შუენიერებისათჳს მოქმედებულთასა თითოეულისა მოქმედი მეყუსეულად საცნაურ არს. და ნაცვალწერილსა ვიდრემე გარდაცემაჲ იყო ესევეითარი:

„მეფესა დიდსა დიმიტრიოვსგან! ჰბრძანე შენ, ოჲ მეფე, მერმეცა ნაკლულევეანთა აღწერილთა რაჲთა შეიკრიბნენ აღვსებად წიგნის სამცველოსა და დაძელებულნი რაჲთა ჭეროვანსა მოურნეობასა მიემთხვენენ. ყოვლიანა მოსწრაფებისა მკუმეველი ამათჳს გაუწყებ შენ იუდელთა სჯულისდებისა წიგნთა სხუათა თანა დაკლებასა ჩუენგან, რამეთუ სახითა ევრაულითა აღწერილნი და კმითა წარმართულითა უცხადო არიან ჩუენდა. ხოლო შეემთხვა მათ უბუღებელს-ქმნაჲ შესწავლებისაჲ გარეგან ჭეროვანი/სა არა მიმთხუევითა სამეფომასა მოურნეობისაჲთა და საჰირო არს ამითიცა ქმნაჲ შენ თანა გამოთარგმანებულთაჲ, რამეთუ უბრძანესად და უსრულესად სჯულისდებალ-ყოფიად შემთხუეულ არს, ვითარ ღმრთისაგან ქმნილისად, რომლისათჳს და მოქმედთაცა მისთა და აღმწერელთა მოთხრობათასა არა მოკსენებასა იტყუს ეკატეოს ადირიტელი და არცა მას შინა მოქალაქეთა მამაკაცთასა, ვითარ წმიდად მყოფისათჳს და არა ჭეროვნად შერაცხისა არაწმიდათა ბაგეთა მიერ გარდმოთარგმანებად სჯულისდებასა მას. უკუეთუ გნებავს შენ, მეფე, მიუწერე მღვდელთმთავარსა იუდელთასა, რაჲთა წარმოავლინნეს მოხუცებულთაგანნი ექუსნი თითოეულისა ნათესვისაგან, მეცნიერნი სჯულთანი, რომელთაგან ჰქმნართებებასა წიგნთასა და ერთკმობასა მსწავლელთა და სიმართლესა საქმეთასა თარგმანებისაგან მიმღებელთა ჭეროვნად შენისა წინააღრჩევისა შეეკრიბნეთ ესენი“.

205

5\*. ესევეითარი რაჲ უწყებდა იქმნა, ბრძანა მეფემან ელვაზაროჲს მიმართ, იუდელთა მღვდელთმთავრისა, მიწერად ამათჳს და ამას თანა განტევებასა მათ შორის დამონებულთა იუდელთასა უწყებდა მისთჳს. და შემზადებისათჳს სასუმელთაჲსა და ფიალთაჲსა და სამსხუერპლოთაჲსა წარავლინა ოქროსაჲ ვიდრემე საწონი, ტალანტნი ორმეოცდაათნი, ხოლო ჰქვათა მრავალსასყიდლილთაჲ აურაცხელი სიმრავლე და უბრძანა მცველთაცა კიდობანთასა, რომელთა შინა იყვნეს ქვანი, მიცემაჲ გამოჩრევისაჲ კელოვანთა მათათჳს, რომლისაცა სახისაგან ენებონ. ხოლო განაწესა ოქროსაჲცა ასთა ტალანტთაჲ სამსხუერპლოდ და ნეშტთა საკმართაჲ მიცემაჲ სამღვდლოდ. ხოლო წარმოვთქუნე შემზადებულნიცა და სახე მოქმედებისა მათისაჲ შემდგომად გარდმოცემისა ნაცვალწერილსა ეპისტოლისასა, მიწერილსა ელვაზაროჲს! მიერ, მღვდელთმთავრისა, რომელმან მიიღო ესე პატივი ესევეითარისა მიზეზისაგან: აღსრულდა რაჲ ონია მღვდელთმთავარი, ყრმაჲ მისი სიმონ მონაცვალე ექმნა, მართლად წოდებული ღმრთისა მიმართისაცა კეთილმსახურებისათჳს და თანმონათესვეთა სიყუარულისა. ხოლო მოკუდა რაჲ ესეცა და ყრმაჲ ჩჩელი დაუტევა, ონიად წოდებული, ძმამან მისმან ელვაზაროს, რომლისათჳს სიტყუსმოქმედ ვართ, მიიღო მღვდელთმთავრობაჲ, რომელსა მიუწერა პტოლემეოს ესევეითარითა სახითა:

1 ელვაზაროჲს AQ.

\* არისტ. § 33; § 35.

„მეფე პტოლემეოს ელევზაროს მღდელთმთავარსა, გიხაროდენ! მრავალთა საშეფოსა ჩემსა შინა დამკვდრებულთა იუდეელთა, რომელთაცა, ტყუე-ქმნილთა სპარსთა მიერ, ოდეს მძლეობდეს, მამამან ჩემმან პატივ-სცა და რომელნიმე მკედრობასა შინა დააწესნა უმრავლესთა სასყიდელთათვის, ხოლო რომელთაჲ, მის თანა წარსრულთა ეგვპტედ, სამცველონი და სოფელნი და ამათი მცველობაჲ არწმუნა, რამთა საშინელ იყვნენ ეგვპტელთათვის. მთავრობასა უკუე მიმღებელმან, მე ყოველთა მიმართ კაცთმოყუარებაჲ ვიკუმე და უფროსდა შენთა მოქალაქეთა მიმართ, რომელთაგან უმეტეს ათთა ბევრთა ტყუენი მმონებელნი განუტევენ, ჩემთა საჯსართა მიერ მიმცემელმან მეუფეთა მათთვის. ხოლო კაბუენი პასაიკთა მკედრებრივისა რიცხუსა შინა დაეწესენ და ვითენიმე ჩუენ შორის მყოფნი და ჩემისა ეზომსა რწმუნებად შემძლებელნი ამას ვალირსენ, მეკუელმან შეწირვად ღმრთისა ამას ტკბილად და დიდად შესაწირავად ჩემისა მოურნეობისათვის.

მნებებელმან უკუე ამათცა მიერ მხიარულ-ყოფად ყოველსა სოფელსა შინა მყოფთა იუდეელთა, ვინებე სჯულისა თქუენისა გარდათარგმანებაჲ და ნაწერთა მიერ ელლინურთა, ევრაულთაგან გარდაწერილთა, დადებაჲ წიგნის სამცველოსა ჩემსა შინა.

კეთილად უკუე ქმნა, გამომრჩეველმან მამაკაცთა კეთილთამან, ექუსთა თითოეულისა ნათესისაგან, აწლა მოხუცებულთა, წარმოვლინებაჲ, რომელნი ჟამისათესცა გამოცილებით მქონებელ იყვნენ სჯულთა და შემძლებელ-იქმნენ გამოთარგმანებასა მათსა გამოწულილვით ქმნად, რამეთუ ვაკონებ, ესენი რაჲ სრულ-იქმნენ, დიდი დიდებაჲ მოგუეტყუას ჩუენ. ხოლო წარმოვავლინენ შენდა ამათნი გამომრჩეველნი ანდრეა, მთავარი სხეულისმცველთაჲ, და არისტოს, უპატროსნენსი ჩემნი, რომელთა მიერ და შესაწირავნიცა აღსადებელთანი ტაძრად და სხუათა სამსხუერპლოთანი წარმოვავლინენ, ტალანტნი ვეცხლისანი ასნი. და შენ, მაუწყებელმან ჩუენმან რომელნიცა გენებნენ, კქმნენ სახარულევანნი“.

6\*. ეპისტოლე რაჲ უკუე მეფისაჲ მიღებულ-იქმნა ელევზაროსს მიმართ, მიწერა ნაცვლად მისა, ვითარ შესაძლებელ იყო ფრიად პატივისმოყუარებით. „მღდელთმთავარი ელევზაროს მეფესა პტოლემეოსს, მხიარულებაჲ სიმრთელოსა შენისა მიერ და დედოფლისა არსინომს და შვილთა შენთა მიერ კეთილად მქონებელ არიან ჩუენნი ყოველნი. ხოლო ეპისტოლისა მიმღებელნი ღიდად მხიარულ ვიქმნენით! წინააღრჩევასა შენსა ზედა და შემკრებელთა სიმრავლისათა წარვიკითხეთ იგი, განმაცხადებელთა მისდა, რომელი გაქუს ღმრთისა მიმართ პატივი. ხოლო უჩუენენით მას და ფიალნიცა, რომელნი წარმოგველინნეს, ოქროსანი ოცნი და ვეცხლისანი ოცდაათნი დჲ სასუმელნი ზუთნი და ტრაპეზი შესაწირავად თანად სამსხუერპლოთათვის და შემზადებისათვის, რომელთა მოქვენ იყოს ტაძარი, ტალანტნი ასნი, რომელნი მოიხუნეს ანდრეა და არისტოს, პატროსანთა შენთა მოყუარეთა, მამაკაცთა კეთილთა და სწავლულებითა გარდამატებულთა და სათნოებისა შენისა ღირსთა. უწყოდე უკუე უმჯობესისა შენისათვის მოთმენაჲ ჩუენგან, დაღაცათუ გარეგან ბუნებისა რაჲმე იყოს, რამეთუ ნაცვლისგებაჲ ჯერ-არს ჩუენ მიერ კეთილისმოქმედება-

<sup>1</sup> ვქმნენი A.Q.D.

\* არისტ. § 41.

თა შენთა, მრავალკერძოდ ჩუენთა მოქალაქეთა ზედა ქმნილთათს. მეყუსეუ-  
ლად უკუე შენტს და დისა შენისათს და შვილთა შენტა და მოყუარეთათს  
შეესწირენით მსხუერპლნი. და სიმრავლემან / ლოცვანი ქმნა ქმნად შენდა  
გონებისათა და დაკვად შენდა მეფობასა მშვიდობით და გარდაწერასა სჯული-  
სასა მიღებად დასასრულსა უმჯობესისა შენისათს, რომელიცა გამოირჩიე.  
ხოლო გამოვარჩიენ მოხუცებულნიცა მამაკაცი, ექუსნი თითოეულისა ნათეს-  
ვისაგან, რომელნიცა წარმოვავლინენ, მკონებელნი სჯულისანი. ხოლო იყოს  
შენისა კეთილმსახურებისა და სიმართლისა წარმოვლინება ჩუენდა მომართ  
გარდაწერილისა სჯულისა, კრძალულებით მომღებელთა თანი. მხიარულებად<sup>ა</sup>.

7<sup>ა</sup>. ესენი ვიდრემე მდღელთმთავარმან მიწერნა. ხოლო ჩუენდა არა სა-  
პიროდ საგონებელ იქმნა ცხად-ყრფაჲ სახელთაჲ სამეოცდაათთა მოხუცებულ-  
თაჲ, რომელთა სჯული მოიღეს, ელენაზაროს მიერ წარმოვლინებულთა, რამე-  
თუ იყვნეს ესენი ქუეშეწარწერილ ეპისტოლესა შინა. სიმრავლესა ვიდრემე  
შესაწირავთასა და შემზადებასა, რომელი წარმოუვლინა მეფემან ღმერთსა,  
არა უმარჯოდ შევპრატხე მოთხრობაჲ, რაჲთა ყოველთა მიმართ ცხად-იქმნეს  
პატივისმოყუარებაჲ მეფისა ღმერთისა მიმართ, რამეთუ უშურველი წარსაგე-  
ბელი მისცა ამათდა მიმართ მეფემან და მიმავალი მარადის კელოვანთა მი-  
მართ და მოქმედებულთა, მხედველი არა რომელსა უქმად, გინა უღბად. უტე-  
ვებდა ქმნად შემზადებულთაგანსა, რომელთა შეუენიერებაჲ თითოეულად წარ-  
მოვთქუა, ვითარ შესაძლებელ იყოს მოთხრობაჲ, ვიდრემე ნუუკუე არა  
მიგუჯლიდეს აღთქუმასა, ხოლო მეფისა კეთილმოყუარებასა და დიდგონიე-  
ობასა ესრეთ გამოჩენად მიმთხუელთათს ებეჭუელობდი.

8<sup>ა</sup>. და პირველად უკუე ტრაპეზისათს მოთხრობა-ვეო. აქუნდა ვიდრემე  
უკუე გონებასა შინა მეფესა უდიდესისა შემზადებისა ქმნაჲ საზომითა, ხოლო  
ბრძანა სწავლაჲ სიდიდესა ტრაპეზისასა პირველმდგომარისაჲ იეროსოლჷმათა  
შინა რაოდენი არს და უკუეთუ შემძლებელ არს, უდიდესსა მისსა შემზადე-  
ბად. ხოლო ისწავა რაჲ მყოფისაჲ რაოდენ არს და ვითარმედ ამისგან უდი-  
დესისა ქმნად არარაჲ მაყენებელ, ხუთწილად უდიდესსა მყოფისაგან შემზა-  
დებაჲ ინება. „ხოლო მეშინის, თქუა, ნუსადა მსახურებათა მიმართ უქმარ-  
იქმნეს გარდამატებულებისათს სიდიდისა, რამეთუ მნებაჲს არა სახილავად  
მხოლოდ მდებარეობაჲ ძლუნთაჲ, არამედ და მსახურებათაცა მიმართ საქმა-  
რებაჲ“. და ამისთვის გულისმსიტყუველმან შემზადებად ტრაპეზსა, სწორსა  
პირველისასა, არამედ არა ნაკლულევეანებისათს ოქროსა, სიდიდითა ვიდრე-  
მე არა სთნდა პირველმყოფისაგან უზესთაჲს ქმნაჲ, ხოლო მრავალსახეობითა  
და შეუენიერებითა ნივთისაჲთა უპატიოსნესად შემზადებაჲ ინება. ხოლო მეც-  
ნიერად მყოფმან განხილვად საქმეთა ყოვლითურთთა ბუნებასა და მოღებად  
მოგონებასა საქმეთა უცხოთა და დიდებულთასა და რაოდენნი იყვნეს უწე-  
რელ, მოპოვნებასა თვთ მიმნიჭებელმან გონიერებისა მიერ და მარუენებელმან  
კელოვანთამან, უბრძანა ამათი/შემზადებაჲ და დაწერილთა მსგავსადვე მოქ-  
მედებაჲ მსგავსებისა მიმართ მათისა მიმხედველთა ამცნო.

9<sup>ა</sup>. ბრძანა რაჲ უკუე: შექმნაჲ ტრაპეზისაჲ სიჭრცედ ვიდრემე ორთა და  
ნახევართა წყრთათაჲ, ხოლო ერთისაჲ სიფართედ და სიმაღლედ ერთისა და

\* არისტ. § 51. 1<sup>ა</sup> არისტ. § 52. 2<sup>ა</sup> არისტ. § 57; § 66.

ნახევრისაჲ. შეჰმზადებდეს ოქროსაგან ყოველსა წარსაგებელსა საქმისასა მოქმედნი. მოდგმულეზაჲ ვიდრემე ბაგეთაჲ მტკაველისაჲ იმოქმედეს, ხოლო გუერდნი, გრეხილად აღმოტყფრვასა მქონებელნი საბლებრსა, კელოვნებით საკრველად სამთავე კერძოთაგან მიმსგავსებულსა, რამეთუ, სამგუერდად მყოფნი ესენი, თითოეული გუერდი მასვე დადებულეზასა აღმოტყფრვისასა მქონებელ იყო, ვიდრეღა დიდმოქცეულეზასა მათსა ერთი და არა განყოფილი მსგავსეზაჲ მოიღებოდა მათ თანა. ხოლო ბაგისაჲ, რომელი ვიდრემე ტრაპეზსა ქუეშე დაპყრობილ იყო, შუენიერსა მქონებელ იყო აღმოტყფრვასა. ხოლო გარეგანმოდგმული მერმეცა უმეტეს შუენიერებითა მოქმედებისაჲთა მომუშავებულ იყო, ვითარ სახედველად მოწვენული, რომლისათჳსცა სიმაღლესა მრჩობლთავე კერძოთასა მახვლად შეემთხუეოდა ყოფაჲ და არცა ერთსა გუერდსა სამთაგანევე, ვითარცა წინაწარ-ვთქუთ, მიდმოქცეულეზასა ტრაპეზისასა უმციერეს სახილველოზაჲ შეემთხუეოდა. ხოლო მდგომარე იყვნეს საბელთა ზედა აღმოტყფრულთა ქვანი ბრწყინვალენი და მსგავსნი ურთიერთას, სამსჭუალთა მიერ ოქროსაჲთა კურეტილთა შორის დამსჭუალულნი, ხოლო გუერდსა ზედა ბაგისასა წინაშე სახედველთა განმარტებულნი კვერცხნი, ქვისა ბრწყინვალისაგან მოქმედებულნი, დადებულეზით შეამკობდეს კუერტთსა მრავალთა, აღმოქრითა მიმსგავსებულნი, რომელნი გარემოზს სიმრგულესა ტრაპეზისასა მოხუეულ იყვნეს. ხოლო ქუეშე კერძო კუერცხთა დასახულეზისა სიმრგულე მოადგეს კელოვანთა, ყოვლისა ნაყოფისა ბუნეზასა დამსახუელთა, ვიდრეღა შთამოკიდებულ იყვნეს ტევანნი და კუვილნი აღმართებულ და ბროწეულნი შემსჭუალულ. და ქვათა უკუე ყოვლისა ნათესევისა მიმართ პირველთქუმულთა ნაყოფთასა მოქმედთა, რაჲთა თითოეულსა თჳსი. ესახებოდეს ფერი, თანა-შეაქრნეს ოქროსთა გარემოზს ყოველსა ტრაპეზსა. ხოლო ქუეშე კერძო მომრგულეზისა მსგავსადევე კუერცხთა დადებულეზაჲ ქმნილ-იყო და კუერტთსა აღმოტყფრულეზაჲ მრჩობლსა ვიდრე კერძოსა ტრაპეზისასა აქუნდა, მსგავსსავე მრავალსახეობასა საქმეთასა და სიმშუენიერესა შემზადებულეზისასა სახილავად მქონებელი, ვიდრეღა და სხუათაცა გუერდთა დადებულეზაჲ და მოდგმულეზისაჲ ტრაპეზსა თანა სხესა კერძოზსა მიმართ ცვალებულისაჲ იქმნებოდა განყოფილ. ხოლო ესევე სახილავ მოკელოვნებისაჲ ვიდრე ფერკთადმდე განმარტებულ იყო<sup>1</sup>, რამეთუ ფიცარსა ოქროსასა, სიფართით ოთხთა თითთასა, მოქმედთა ყოვლისა ტრაპეზისა სიფართესა ქუეშე, ამას ზედა დადგნეს ფერკნი მისნი, ამისა შემდგომად სამსჭუალთა მიერ და შესაჯარშავთა შეაქრნეს იგინი საკრველეზისა ტრაპეზსა ბაგესა თანა<sup>2</sup>, რაჲთა სახილავსა საკრველეზისა და ბრწყინვალეზისასა, რომელსაცა ვინ დადგეს კერძოსა ტრაპეზისასა, მიანიჭებდეს მასვე ბრწყინვალეზასა. ხოლო ტრაპეზსა ზედა შეანდროა<sup>3</sup> აღმოტყფრეს, ქეებთა საშუავლ მისა პატიოსანთა, ვითარ ვარსკულავთა მრავალფერისა სახისაგან, დამდებელთა და ანთარკსა და სმარადლოსა, განსაცხრომელად მნათობსა თითოეულისა მათისასა მხედველთა მიმართ და სხუათა სახეთაგან, რაოდენნი სასწრაფო და საშურველ ყოველთა არიან პატიოსნებისათჳს ბუნეზისა<sup>4</sup>. ხოლო შემდგომად შეანდ-

207

<sup>1</sup> არაჲ AD.

<sup>2</sup> ...<sup>3</sup> რამეთუ... ბუნეზისა] ეს მონაკვეთი S-ში ჩამატებულია დ. დადიანის ხელით.

<sup>4</sup> მ-სადყოფოუ რქ შეაძენქუ ძადმ რჳთ მდგმუჳო 12<sub>70</sub> („საკრველეზისა“ ქართულ თარგმანში ზელმეტია). <sup>5</sup> μαισθηου 12<sub>71</sub> (=კლავნილი ნახტი).



რომასა თხზნილებამა რამემ საბლებრივი მოღებულ იყო სამძგიდემ, საშუვალ სახილავსა მსგავსი, რომელსა ზედა ბროლი და ილექტროა\* აღმოტყფრულ იყო, მსგავსებითა მახლობელობითა სახისადათა მხიარულებასა საკრველსა მიმნიჭებელი მხედველთაჲ, და ფერტა უკუე თავებნი იყენეს მსგავს შროშანთა, აღმომორჩებასა ფურცელთასა ტრაპეზსა ქუეშე უკუნდრეკილად მქონებელნი, ხოლო აღმოცენებასა შინაგან მართლიად მიმნიჭებელნი შინაგან სახილავად. და საფუძველი მათი ქმნილ იყო ანთრაქისაგან ქვისა, მტკაელეული სახესა საფუძველისასა მქონებელი, ხოლო სიფართე რვათა თითთაჲ აქუნდა, რომელსა ზედა ყოველი ქმნილებამა ფერტთაჲ დამტკიცებულ იყო. აღმოხაზეს უკუე მწუღილ კერძობებითა და შრომისმოყუარებითა კელოვნებითა თითოეული ფერტთაჲ, სუროსა და ვენაქთა რტობსა კუფხალთა თანა აღმომაცენებელთა, რამთა საგონებელ იყოს არაარად დაკლებად კეშმარიტებისაგან. და რამეთუ ნიავისა მიმართ სიმწუღილისათეს და ზედა კერძო განმარტებისა მათისათეს ძრულნი საოცრებასა ბუნებითასა უმეტეს, ვიდრე კელოვნებითა მსგავსებათასა მიანიჭებდეს. ხოლო ახალ-იმოქმედეს სამ ფიცრად, ვიდრელა სახე ყოველისა ტრაპეზისა შემზადებულებისაჲ ნახსმანსა თითოეულთა კერძოთა მიმართ ესრეთ შენაწევრებითა უხილავ იყო და არცა საეჭუელ შენაწევრებანი. ხოლო არა უმციარეს ნახევარსა წყრთისასა სისქესა კონებაჲ შეემთხუეოდა ტრაპეზსა.

ესე ვიდრემე უკუე შესაწირავი, მრავლისა მეფისა პატეისმოყუარეობისაჲ, ესევეითარი უხუებითა ნიეთისადათა და მრავალსახეობითა შუენიერებისადათა და მიმსგავსებითა მოქმედთა კელოვნებისადათა სრულ-იქმნა, რამეთუ მოსწრაფე იყო, რამთა უკუეთუ და არა სიდიდითაცა განყოფილ იყოს პირველ-შეწირულისაგან ღმრთისა ტრაპეზისა, გარნა კელოვნებითა და მოქმედებითა ბრწყინვალებითა შემზადებულებისადათა ფრად უმჯობეს და კეთილსახილველ იქმნეს.

10<sup>1</sup>\*. ხოლო საწდევთა/განნი ორნი ვიდრემე იყენეს ოქროსანი და ქერ- v  
ქის მსგავსი აქუნდა მოქმედებაჲ საწყისითგან ვიდრე სარტყელადმდე და ქვანი მრავალსახენი თანშეკრულ იყენეს შენაწევრებათა ზედა. ხოლო მას ზედა შემდგომად მეანდროჲ წყრთეული ქმნილ იყო, სიმაღლით დადებისაებრ ქვათა მრავალფერთა სახეობისა და მას ზედა კუერთხებრივობაჲ აღმოკრილ იყო, რომელსა თანა თხზნილებამა სამძგიდოვანი, ბადეთა მსგავსი, ვიდრე ბაგეთადმდე აღვიდოდა. ხოლო საშუვალ ქვათა ოთხთითთასა შუენიერებასა აღმოავსებდეს ფართთა და დაგვრგვროსნებულ იყენეს უკუე ბაგენი საწდევისანი შროშანთა ყუავილითა და ტევანთა კუფხლებითა, მრგულად მოზღუდვითა. ორნი ვიდრემე უკუე ოქროსა საწდევნი, ორთა საწყავთა შთამტევენი თითოეული — ესევეითარითა შეჰმზადნეს სახითა. ხოლო ვეცხლისანი სარკეთა უბრწყინვალეს იქმნნეს შუენიერებითა მრავალად, ვიდრელა უდიდეს იხილვებოდეს ამათ მიერ სახილავობანი შესაწირავთანი. ხოლო შეჰმზადნა ამათ თანა მეფემან და ფიალნიცა ოცდაათნი, რომელთაგან რაოდენი ოქროჲ იყო და არა ქვითა დიდპატეისნითა შემკობილ იყო, სუროთა ყუავილითა და ვენაქთა ფურცლებითა დაჩრდილებულ იყო კელოვნებით მოქმედებოთა.

\*. ἡλεξερὸν 12,9 (=ქარეა). 1\* არისტ. § 73.

ესენი ვიდრემე უკუე იქმნნეს კელოვნებისაგან მოქმედთაჲსა, რომელნა საკრველ იყვნეს კელოვნებასა შინა, ხოლო მრავლად უფროსლა მოსწრაფებოთა მეფისაჲთა და პატივისმოყუარებითა გარდამატებულად იქმნებოდა, რაჲეთუ არა უშურველობასა ნიეთისასა და სულდღობასა მხოლოდ მიანიჭებდა კელოვნათა, არამედ და განგებასაცა საერთოთა საქმეთასა მჭმნელი, თჳთ მოქმედთა თანა იყვის და ყოველსა საქმესა ზედა მოიხილვიდის, ხოლო ესე მიზეზი იყო კელოვნათა გულსმოდგინებისაჲ, რომელნიცა, მეფისა მიმართ მისისა მოსწრაფებისა მხედველნი, უგულსმოდგინესად მოქმედებდეს საქმეთა.

11°. ესენი ვიდრემე არიან წარვლინებულნი იეროსოლჳმად პტოლემეოჲს მიერ ძღუენნი. ხოლო მღღელთმთავარმან ელვაზაროს, შემწირველმან ამათმან ღმრთისა და პატივისმცემელმან მომღებელთამან და ძღუენთა მიმცემელმან მიღებად მეფისა, განუტევნა იგინი მეფისა მიმართ. ხოლო მიიწინეს რაჲა ალექსანდრიად და ესმა პტოლემეოჲს მოსლვაჲ მათი და სამეოცდაათთა მოხუცებულთა მოწევნაჲ, მეყუსელად მოუწოდა ანდრეას და არისტოესს მოხუცებულთა, ხოლო მათ, მოწევნულთა, ეპისტოლენი, რომელნი აქუნდეს მისა მღღელთმთავრისაგან, მისცენს და რაოდენთა თქუამდ სიტყუათა მიერ ჰკითხვიდა, ესენი განუცხადნეს. ხოლო მოსწრაფემან მიმთხევეად იეროსოლჳმაჲთ მოწევნულთა მოხუცებულთამან თარგმანებისათჳს სჯულთაჲსა, სხუათაჲ ვიდრემე, რომელთაცა საქმარებათა ძლით მოსლვაჲ შეემთხუეოდა, ბრძანა განტევებაჲ, საკრველსა მოქმე/ღმან ამას და გარეგან ჩუეულებისა, რამეთუ ესევითართა მიზეზთათჳს მოწევნულნი მეხუთესა დღესა მივიდეს მისა, ხოლო მოხუცებულნი — თჳსალა სრულყოფასა მგედრებელნი. მაშინ უკუე განმტევებელი მათი, ელვაზაროჲს მიერ წარვლინითა მიელოდა.

ხოლო ვითარ მიიწინეს ძღუენთა თანა მოხუცებულნი, რომელნი მიღებად მეფისა მღღელთმთავარმან მისცნა მათ და ტყავნი, რომელთა შინა დაწერილად აქუნდეს სჯულნი ოქროანთა ნაწერთა მიერ, ჰკითხა მათ წიგნთათჳს, ხოლო ვითარ განმამიშულებელთა გარეშესახუეველთაგან უჩუენნეს მას, განკრვებულმან მეფემან სითხისათჳს ტყავთაჲსა და უცნაურებისათჳს შენაწერებისა, რამეთუ ესრეთ შეწყობილ იყო, და ამისმან ფრიადსა ჟამსა მოქმედმან, მადლსა ქონებაჲ თქუა თანად მათთჳს მიწევნულთა და უმეტესსალა წარმოაველინებელისა, ხოლო უწინარეს ყოველთა ღმრთისა, რომლისა სჯულთა ყოფაჲ შეემთხუევის.

ხოლო კმაყვეს რაჲ ერთბამად მოხუცებულთა და მუნ დამთხუეულთაქმნად კეთილთა მეფისა, გარდამატებულისა სიხარულისაგან ცრემლთა შთავარდა, ბუნებით დიდისა სიხარულისა მგნებელობასა და მოსწრაფებათაცა საწუხარათსა. და მბრძანებელმან წიგნთა მიცემად წესისზედათათჳს, მაშინლა მამაკაცთა ამბორს-უყო, რამეთუ სამართალ არს, თქუა, რაჲთა პირველად რომელთათჳს იგინი მიუწოდნა, ყვნეს სიტყუანი, ამისა შემდგომად მათლა მიმართცა სიტყუა-ყო. და დლისაჲ ვიდრემე, რომელსა შინა მივიდეს მისა მიმართ, საჩინო-ქმნაჲ და ყოველსა წელსა შინა შესწავებაჲ ყოველსა ჟამსა ცხორებისა მისისასა აღუთქუა, რამეთუ შეემთხვა ამას დღესა ყოფაჲ დღედ მოსლვისა მათისა და ძღუვისა, როზელი ანტილონოჲს, ნავით მბრძოლმან,

სძლო. და თანასერობაჲ მისი უბრძანა მათ და განსასუენებელთა ბრძან: მიცე-  
მაჲ მათდა უმჯობესთაჲ ზენა კერძო ქალაქისა.

12\*. ხოლო უცხოთა შეწყყარებისა ზედა დაწესებულმან ნიქანორ, ღო-  
როთეოჲს მომწოდებელმან, რომელსა აქუნდა ამათვისი მოურნეობაჲ, უბრ-  
ძანა შემზადებად თითოეულისა საკმართა საზრდელისა მიმართ. ხოლო გან-  
წესებულ იყო ესრეთ სახედ მეფისა მიერ, რამეთუ თითოეულსა ქალაქსა<sup>1</sup> ში-  
ნა, რაოდენნი მათვე იკუმევენ საზრდელისა მიმართ, იყო ამათი ზედმოურნე  
და ჩუეულებისაებრ მიწვეულთაჲსა მისა მიმართ ყოველნი მათ მიერ განეკ-  
ზადებოდეს, რაათა ჩუეულებითითა სახითა საზრდელისაჲთა<sup>2</sup> შუებულნი უმე-  
ტეს იშუებდენ და არა რომლისა მიმართ, ვითარ უცხოდ მკონებელნი, მწუხა-  
რებოდენ. რომელი და ამათ ზედაცა იქმნა, ვინაჲთგან ღოროთეოს, ვითარ  
ზედმიწვევით მეცნიერი ცბორებისა მათისაჲ, ამათ ზედა დაადგინა. ხოლო გან-  
ემართნეს ყოველნი მის მიერ<sup>3</sup> ესევეითართა სასტუმროთანი და ორკერძოჲსა  
მჯდომ-იქმნა ესრეთ ბრძანებითა მეფისაჲთა, რამეთუ ნახევართაჲ ბრძანა მარჯუ-  
ენით მისაჲთ დაჯდომაჲ, ხოლო ნეშტთა — შემდგომად სასუენებელისა  
მისისა, არა რომელსა დამტყვევებელმან მამაკაცთა მიმართისა პატივისამაჲ<sup>4</sup>.  
ხოლო ვინაჲთგან ესრეთ დასხდეს, უბრძანა ღოროთეოსს, რომელთაცა ჩუეუ-  
ლებათა მკუმე/ველ არიან ყოველნი იუდეაჲსაგან მისა მიმართ მიწვეულნი,<sup>v</sup>  
ესევეითართა მიერ მსახურებაჲ მათი, რომლისათვისცა მდღელქადაგთაგან და  
მემსხუერპლეთა და სხუათა, რომელნი ლოცვათა ჰყოფდეს, იქმნა. ხოლო  
ესენი რაჲ მიიწინეს, ერთსა, ელისესოსს სახელით, მდღელად მყოფსა, ევედრა  
მეფე ქმნად ლოცვათა. ხოლო იგი, დადგომილი საშუვალ, ილოცვიდა მეფის-  
ათვის, კეთილთა და მთავრებულთათვის მის ქუეშე. ამისა შემდგომად კმობაჲ  
ყოველთაგან სიხარულისა თანა და ჯმისა აღვიდოდა და დაცხრომილნი სერო-  
ბისა მიმართ და განსუენებისა შემზადებულთაჲსა მიდრკეს. ხოლო მიმყოფ-  
რებულად მეფემან, რაოდენ ჟამი ჰგონა კმასაყოფელად და მხილველმან,  
სიბრძნისმოყუარებად იწყო და თითოეულსა მათგანსა სიტყუათა ჰკითხვიდა  
ბუნებითთა და საძიებელთაგან ხილვისა მიმართ. ზედმიწვევით ივინი ყოველი-  
სათვის, რომლისაცა თქუამდ იკითხვოდეს, განუცხადებდეს და ამათ ზედა მო-  
ხარულმან დღეთა ათორმეტთა მოსუმურობაჲ ქმნა, რაათა მნებებელმან კერ-  
ძობით ცნას მოსუმურობასა შინა კითხულნი და ისწავოს წარმკითხველმან  
არისტეოჲს წიგნსა, რომელი დაწერა ამათვის.

131\*. ხოლო განკვრდებოდა მათ ზედა არა მხოლოდ მეფე, არამედ და  
მენედიმოსცა ფილოსოფოსი. წინმოურნეობისაგან განგებასა ყოველთასა  
იტყოდა და ამისთვის ჭერ-არს სიტყვისა ძალსაცა და შუენიერებასა პოვნაჲ.  
დასცხრეს ვიდრემე ამათვის მემძიებელნი, ხოლო ქმნასა მისდა დიდთა კეთილ-  
თასა მეფე იტყოდა მიერთგან, ვინაჲთგან მოიწინეს ივინი, რამეთუ სარგე-  
ბელ-ეყო მათგან მსწავლელსა, ვითარ ჭერ-არს მეფობაჲ. თანად ბრძანა მიცე-  
მაჲ მათდა თითოეულისაჲ სამთა ტალანტთა და წარმყვანებელთაჲცა საყოფე-  
ლისა მიმართ მათისა.

<sup>1</sup> ქალაქ A. <sup>2</sup> მიერ]—სასტუმროთანი A.Q.D. <sup>3</sup> პატივმან A.Q.

\* არისტ. § 182. 1\* არისტ. § 201, § 293.

ხოლო წარკვდეს რაჲ სამნი დღენი, მიმყვანებელმან მათმან დიმიტრიოს განვლო შედსტადიონი, ადგილი ზღვსაჲ კალაკად მიმართი, და განსრულმან კიდისა მიმართ, აღსრულმან ვორიასა კერძოთათ, შესაკრებელ-იქმნა სახლსა შინა ზღვსპირს, შემზადებულსა განხილვისათჳს საქმეთასა, სიმშვიდით კეთილად ქონებულსა. და აღმყვანებელი მუნ ევედრებოდა ყოველთათჳს, რომელთა მოქმედებდნ თარგმანებისათჳს სჯულისა, მინიჭებასა დაუყენებლად აღმოქმედელი. ხოლო იგინი, ვითარ არს უფრომსლა პატივისმოყუარებით და შრომისმოყუარებით, თარგმანებასა გამოწულილვითსა მოქმედნი ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე ამისა მიმართ მყოფ იყვნეს. ამისა შემდგომად განსუენებისა მიმართ სხეულთასა გარდაიცვალებოდეს, უშურველად საზრდელისა მიმართთა მინიჭებითა მათდა და ამას თანა დოროთეოსცა მრავალთა მეფისათჳს შემზადებულთაგან მინიჭებდა მათ, რამეთუ ებრძანა მათჳს. ხოლო განთიად, ეზოსა შინა მიწევნულნი და პტოლემეოს მომკითხველნი, კჳლად მასვე ადგილსა წარვიდოდეს და ზღუასა შინა ჳელთა განმბანელნი და განმწმედელნი თავთა თჳსთანი ესრეთ, სჯულთა თარგმანებისა მიმართ მიდრკებოდეს. ხოლო გარდაიწერა რაჲ სჯული და თარგმანებისა საქმემან სრ/ულეზაჲ დღეთა შინა სამეოცდაათთა და ორთა მიილო, შემკრებელმან დიმიტრიოს იუდეელთა ყოველთამან ადგილსა, სადა და გარდაიცვალნესცა სჯულნი, მუნ ყოფსა თარგმანთასა წარკითხნა ესენი. ხოლო სიმრავლე ემადლიერა ვიდრემე თარგმანთაცა სჯულისათა მოხუცებულთა და აქეს დიმიტრიოსცა მოგონებისა ძლით, ვითარ დიდთა კეთილთა მომპოვნებლად ქმნილი მათჳს. ევედრებოდეს უკუე თანად მიცემად მთავართაცა მათთა სჯულსა წარსაკითხველად.

მვედრებელთა ყოველთა, თანად მდდელმან და უმოხუცებულესთა<sup>1</sup> თარგმანთასა და მოქალაქობისა წინამდგომთა ამას, ვინაჲთგან კეთილად თარგმანებისანი სრულქმნილ არიან, დაადგერინ ესენი, ვითარ მქონებელ არიან და ნუ გარდაიძრვიედ ესენი. ხოლო ვინაჲთგან ყოველთა აქეს განზრახვით, ბრძანა, უკუეთუ ვინმე ვინა ნამეტნავსა დაწერილად ზედავს სჯულთაგან, ვინა ნაკულევენასა, კჳლად ზედმოხილველმან ამისმან და საჩინოქმენელმან განკმართენ სიბრძნისმოყუარებით ამისმან მოქმედმან, რაჲთა გამორჩეული ერთგვის კეთილად ქონებისაჲ მარადის დადგრომილ იქმნეს.

14\*. განიხარა ვიდრემე უკუე მეფემან ამისთვისცა განზრახვისა მისისამან უმჯობესისა რომლისათჳსმე მხედველმან აღსრულებად და შეუებულ-იქმნა უფრომსლა, წარკითხნეს რაჲ მას სჯულნი და გონებასა ზედა და სიბრძნესა განკვრდა სჯულისმდებელისასა. და დიმიტრიოს მიმართ იწყო ქმნად სიტყუათა, ვითარ ესრეთ საკვრელად-ყოფასა სჯულისმდებლისასა არავინ არცა მომთხრობელთაგანმან, არცა მოქმედთაგანმან მოიქნება მისი. ხოლო დიმიტრიოს არა რომლისაგან კადნიერებაჲ სჯულთა ამათ აღწერილისა შეხებად საღმრთოდ-ყოფისა მათისათჳს და პატიოსნად თქუა და ვითარმედ ეენოს საღმე ვიეთმე, კელისმყოფელთა ამისთა ღმრთისა მიერ, მაუწყებელმან, ვითარმედ თეოპომპოს, მნებებელი მოთხრობად რომელსამე ამათგან, შეიმრლუა გონებითა უმეტეს, ვიდრე ოცდაათთა დღეთა და ლხინებათათჳს ევედრებოდა ღმერთსა და ამის მიერ სიცოფესა ქმნად მისდა გეჳუელობდა. არა უკუე, არა-

<sup>1</sup> უმოხუცებულესთა.

\* არსტ. § 312.

მედ და ჩუენებადცა იხილა, ვითარმედ ესე. შეემთხვა მას, გამომეძიებულსა სა-  
ღმრთოთასა და ამით განღებად საზოგადოთა კაცთა მიმართ მნებებულსა და  
განყენებულ-იქმნა გონებისაგან. ხოლო აუწყებდა თეოდექტოასთვისცა, ტრა-  
ლოდიოთა მოქმედისა, მომკსენებელი, ვითარმედ მნებებელი რომელსამე მოქ-  
მედებასა შინა სამღვდელისა წიგნსა შინა წერილთაგანსა მოკსენებად, დამბრ-  
მალ-იქმნა სახედველითა და მცნობელი მიზეზისა, განთავისუფლდა ვნებისა-  
გან, მვედრებელი ღმრთისაჲ.

15\*. მიმღებელმან უკუე ამათმან მეფემან დიმიტრიოასგან, ვითარცა  
ითქუა, და თაყუანისმცემელმან მათმან, ბრძანა მრავლისა ზედმოურნეობისა  
ქმნაჲ წიგნთათჳს, რაჲთა დაადგრენ წმიდად. თანად მთარგმანებელთა ევედრა  
ზედას-ზედა მისა მიმართ მისლვად იუდაეასაგან, რამეთუ ესე სარგებელ-  
ეყოს მათ პატივისათჳსცა მის მიერისა და სარგებელისა, რომელნი იყვნენ ნიჭ-  
თაგან. რამეთუ აწ ვიდრემე სამართალ არს მათი წარვლენაჲ, იტყოდა, ხოლო  
ნებსით მისა მიმართ მისრულნი მიემთ/ზუნენ ყოველთა, რაოდენთა თანად მიმ-  
თხუევად! მართალ არს სიბრძნე მათი და მისი დიდგონებობაჲ მინიჭებად შე-  
მძლებელ არს. მაშინ ვიდრემე წარავლინა იგინი, თითოეულისა მიმცემელმან  
სამთა რჩეულთა შესამოსელთამან და ორთა ოქროსა ტალანტთამან და სასუ-  
შელსა ტალანტისასა და მოსუმურობისა საგებელსა. და ესენი ვიდრემე მათ-  
და ქონებად მიანიჭნა, ხოლო მღვდელთმთავარსა ელეაზაროსს მათ მიერ წარ-  
უვლინა ცხედარნი ფერკვეცხლნი ათნი და შემდგომი მათი შემზადებულბაჲ  
და სასუმელი ტალანტთა ოცდაათთაჲ და ამით თანა შესამოსელნი ათნი და  
პორფერაჲ და გვრგვინი შუენიერი და ვკსინისა სამოსლისა ნაქსოვნი ასნი,  
მერმეცა უკუე ფიალნი და პინაკნი და სამსხუერპლონი და საწდენი ოქრო-  
ასანი შესაწირავად ღმრთისა ორნი. ხოლო ევედრა მას ეპისტოლეათაჲ მიერ,  
რაჲთა უკუეთუ ვინმე მამაკაცთა მათგანნი მნებებელ იყვნენ მისა მიმართ მის-  
ლვას, უბრძანოს მათ, მრავლისა ზრუნვისა მოქმედთა<sup>2</sup> ნაყოფისათჳს წურ-  
თილებასა შინა მყოფთასა და სიმდიდრესა ესეკითართა მინიჭებად მხიარუ-  
ლებით მქონებელი. და ესენი ვიდრემე დიდებად და პატივად იუდეულთა პტო-  
ლემეოას მიერ ძმისმოყუარისა შემთხუეულ-იქმნენს.

თ. 3

1. ხოლო მიემთხვნეს ასიაჲსა მეფეთაგანცა პატივისა, ვინაჲთგან აღიშკედ-  
რეს მათ თანა. და რამეთუ სელევკოს ნიკანორმან ქალაქთა შინა, რომელნი  
აღაშენნა ასიას შინა და ქუემოსა სურიასა და თვთ მას დედაქალაქსა ანტიო-  
ქიისასა, მოქალაქედ აღირსნა იგინი და მკედრთა თანასწორ პატივად განაჩინნა  
მაკედონთა და ელლინთა, ვიდრედა და მოქალაქობაჲ ესე ვიდრე აქამომდე და  
დგრომილ არს. ხოლო სასწაულ ესე: იუდეულთა, არა მნებებელთა სხუა ნათე-  
საგისა ზეთისა კუმევიად, მიიღებს განსაზღვრებულსა რასმე მკედართმთავარ-  
თაგან სასყიდელსა ზეთისასა ვეცხლსა. რომელი ესე ერსა ანტიოქელთასა ამას  
ბრძოლასა შინა დაცხნად ენება რაჲ, მუქიანოს, მთავრად მყოფმან მაშინ  
სურიაჲსამან, დაიცუა. და ამით შემდგომად დაიპყრა რაჲ უესპასიანოს და ტი-

1 მიმთხუედ A. 2 მოქმედითა AQ.

\* არისტ. § 317.

ტოს, ძემან მისმან, და ქუეყანაჲ, ევედრნეს ალექსანდრიელნი და ანტიოქელნი, რაჲთა სამართალნი მოქალაქობისანი არღა მერმეცა დაადგრენ იუდელთათჳს, გარნა არა მიემთხვნეს. რომლისაგან ვინმე გულსკვამყოს რომთა სიმშვედე და დიდგონებობაჲ, ხოლო უფროსღა უესპასიანოჲს და ტიტოჲსი, რამეთუ და მრავლად დამაშურალთა იუდელთა მიმართსა ბრძოლასა შინა და მწარედ მათდა მიმართ მქონებელთა, რამეთუ არა მისცნეს მათ საჭურველნი, არამედ ვიდრე უკუანაჲსენლადმდე მბრძოლნი დაადგრეს, არცა ერთი მონაგებთაგანი პირველთქუმულისა მოქალაქობისაგანთა მიუღეს, არამედ და პირველიცა რისხვაჲ და ანტიოქელთა და ალექსანდრიელთა დიდთა ერთა ვედრებაჲ რპყრეს, ვიდრელა არცა ერთი არცა მათდა მიმართისა მადლისათჳს, არცა მბრძოლთა მიმართისა ბოროტისძეულილისათჳს მიუტევენა დაქსნად რომელიმე პირველთა იუდელთა მიმართთა კაცთმოყუარებათაჲ, არამედ აღმღებელთა მათ ზედა საჭურველ/თასა და მიტეგებულთა ბრძოლისა მიერ მისცეს პატიჲ, მეტყუელთა, ვითარმედ არაარაჲსა მცოდნელთაჲ არა სამართალ არს დაკლებაჲ მონაგებთაგან.

2. ხოლო მსგავსსა რომელსამე ამისსა და მარკოს აღრიპპაცა ბრძნობად უწყით ოუდელთათჳს, რამეთუ იონთა აღძრულობასა მათ ზედა და მოქნებობასა აღრიპპასს მიმართ, რაჲთა მოქალაქობაჲ, რომელი მისცა მათ ანტიოხოსს, სელევკოჲს შვილისშვილმან, ელინთა მიერ ღმრთად სახელდებულმან, მხოლოთა დაიმკვდრონ და ევედრებოდეს, უკუეთუ ნათესავნი არიან მათნი ოუდელნი, პმსახურებდენ თჳსთა მათთა. ღმერთთა. და ბჭობისა ამათთჳს შედგომასა სძლიეს. ოუდელთა თჳსთა წესთა კუმევეად ვაჟილობითა მათდა ნიკოლაოჲს დამასკინელისაჲთა, რამეთუ აღრიპპა განაჩინა არცა ერთსა შემძლეობაჲ განახლებად. ხოლო კემშარიტსა უკუეთუ ვინმე მნებებელ იყოს სწავლად, წარკითხენ ნიკოლაოჲს მოთხრობათაგან მესამე და მეოცე და მესამე და მეოთხე. აღრიპპასს ვიდრემე მიერ განსჯილთათჳს ნუუყუე და არა არს განკვრებაჲ, რამეთუ არა პბრძოდა მაშინ რომთა ნათესავი ჩუენი, ხოლო უესპასიანოჲსსა ვინმე და ტიტოჲს დიდგონებობასა ჭეროვნად განკვრდეს, რომელნი შემდგომად ბრძოლისა და ესოდენთა ღუაწლთა, რომელნი აქუნდეს ჩუენდა მობართ, თანამენებელ იქმნეს.

ალვიყვანო უკუე სიტყუაჲ, სადაჲთ ამათდა მიმართ განვედ.

3. რამეთუ იუდელთა, ანტიოხოჲს ზე დიდისა მშეფობისა ასიასა ზედა, შეემთხვა თანად მათ მრავლად მოუძლურებაჲ ბოროტად დადებითა ქუეყანისა მათისაჲთა და ღელესა სკრიაჲსასა დამკვდრებულთაცა, რამეთუ ბრძოლასა შინა მისსა ფილოპატოროჲს პტოლემეოჲს! მიმართ და ძისა მისისა მიმართ, ეპიფანედ წოდებულისა, ბოროტად მენებლობაჲ შეემთხუოდა მათ და მძლეველობასა და ძლეულებასა შინა ესენი ევენბოდეს, ვიდრელა არარაჲთ დააკვდებოდეს ღელვაგუმულსა ნავსა და მრჩობლ კერძოვე ტყივნულსა ღელვისაგან: საშუვალ ანტიოხოჲს ბედნიერობისა და სხუა კერძოდ საჭმეთა მისთა ქეცვისა მღებარენი. მძლეველმან უკუე პტოლემეოჲსმან, ანტიოხოს იუდეჲა მორღო. ხოლო აღსრულდა რაჲ ფილოპატორ, ყრმამან მისმან დიდი განავლინა ძალი და მვედართმეყანებელი სკოპა ღელესა შინა სკრიაჲსასა, რო-

<sup>1</sup> ევპატოროჲს პტოლემეოჲს Φιλοπατριου Πτολεμαίου 12<sup>130</sup>. (ფილოპატორი იყო ეგვიპტის მეფის, პტოლემე IV ზედწოდება, ევპატოსი კი—სირიის მეფის, ანტიოხოს V).

მელმან მრავალნი მათნი ქალაქნი მიიხუნა და ჩუენი ნათესავი, რამეთუ ბრძოლილი. თანშეუდგა მას. ხოლო შემდგომად არა მრავლისა ანტიოხოს, მბრძოლმან, სძლო სკოპას წყაროთა თანა იორდანისათა და მრავალი მკედრობისა მისისაჲ განხრწნა. ხოლო უკუანაჲსკენელ, დაიპყრნა რაჲ ანტიოხოს სკრიამსა ღელისა შინანი ქალაქნი, რომელნი სკოპა მიიხუნა და სამარიაჲ, ნებსით თვისით მიერთნეს მას იუდელნი და ქალაქსა შინა შემწყყნარებელთა ყოველსა მისსა მკედრობასა და პილოთა უხუებაჲ საზრდელთაჲ მიანიჭეს და სკოპამს შიერ დატევებულთა ზენა კერძო იეროსოლჲმთაჲსა სამცველოთა მბრძოლსა გულსმოდგინედ თანა-ებრძოლნეს. ანტიოხოს უკუე, ჭეროვნად შემრაცხელმან იუდელთა მისა მიმართსა მოსწრაფებასა და პატივისმოყუარებასა ნაცელისგებად, მიუწერა მკედართმეყანებელთა მისთა და მოყუარეთა, მწამებ/ელმან იუდელთა ძლით, რომელთათჳს კეთილნი ეყვენეს მათგან და ნიჲთა, რომელთა ამით ძლით აგრძნა მათჳს მინიჭებაჲ, განმაცხადებელმან.

ხოლო დაესხნე მსწრობელმან ეპისტოლენი, მკედართმეყანებელთა მიმართ მიწერილნი ამითჳს, ვითარცა ეწამების სიტყუათა ჩუენთა პოლვალოს ღიდმოქალაქე<sup>1</sup>, რამეთუ ეჭუს და მეათესა შინა მოთხრობათა მისთასა იტყუს ესრეთ:

„ხოლო მკედართმეყანებელმან პტოლემეოჲსმან სკოპა, მიმართებულმან ზენა კერძოთა ადგილადმი, დაამკუა ზამთარსა შინა ნათესავი იუდელთაჲ. იტყუს უკუე ამას წიგნსა შინა, ვითარმედ „სკოპამს ძლეულებასა ანტიოხოს შიერ, ვატანეჲ ვიდრემე და სამარიაჲ და ავილანი და ლადარანი მიიხუნა ანტიოხოს, ხოლო შემდგომად მცირედისა მიერთნეს მას და იუდელთაგანნიცა, დამკვდრებულნი გარემოჲს სამღდელოდ სახელდებულისა იეროსოლჲმამსანი, რომლისათჳს და უმრავლესთაცა თქუმად მქონებელთა და უფროსდა საჩინოებისათჳს სამღდელოჲსა, სხუსა ყამისად გარდავდევით მოთხრობაჲ და პოლვეისოს ვიდრემე ამით მომთხრობლობს. ხოლო ჩუენ ადვიყვანოთ სიტყუაჲ მოთხრობისა მიმართ, დამდებელთა პირველად ანტიოხოსს მეფისა ეპისტოლეთასა: „მეფე ანტიოხოს პტოლემეოსს, გიხაროდენ! იუდელთა და მაშინცა, რაჲმსა ქუეყანასა მათსა ზედ-ალვედით, აჩუენეს მათ ჩუენდა მომართი პატივისმოყუარობაჲ, ხოლო მიწევნულნი ქალაქად — ბრწყინვალედ შეგწყყნარეს და მოხუცებულებისა თანა მოგუეგებნეს და უშურველობაჲ საზრდელთაჲ მკედართა და პილოთა მოგუენიჭეს და თანამდევარი ქმნნეს ზენა კერძოთა სამცველოთა შინა მყოფთა ეგვტებლთა. ღირს-ვიჩინეთ უკუე და ჩუენცა ამითჳს ნაცელისგებაჲ მათი და ქალაქისა მათისა აღმართებაჲ, განხრწნილისაჲ ბრძოლისა შინა შემთხუეულთა ძლით და ერთად დამკვდრებაჲ განთესულთაჲ მსაჲე შინა კულად მიწევნულთაჲ. პირველად უკუე ვსარებაჲ კეთილმსახურებისათჳს მათისა მინიჭებაჲ მათჳს სამსხუერპლოთა ძლით განწესებულსა. საცხოვართათჳს სამსხუერპლოთა და ღვნისა და ზეთისა და ლივანოჲსათჳს, ვეცბლისა სასყიდელსა ბევრთა ორთა და სემიდალისა არტავასთა სამღდელოთა ადგილის შინაჲსა სჯულისაებრ, იფქლისა მოდთა ათას ოთხას სამეოცთა და მარითა მოდსა სამას სამეოცდაათხუთმეტთა. ხოლო აღსრულებაჲ მნებაჲს ამათი მათ მიერ, ვითარცა მიმცნის! და სამღდელოჲსა მოქმედებასა სრულ-ყოფაჲ, თანად სტოათა და სხუასა, რომელიცა აღშენებნეს მოქნე არს. ხოლო ძელთა

<sup>1</sup> მიძინე AQD.  
<sup>2</sup> Πιστιος ὁ Μισαοιστιης 12,38.

ნოტი შთამორღებოდენ თვთ მის იუდეამსაგან და სხუათაცა ნათესავთაგან და ლევანოსაგან არცა ერთისა ხარკისა აღსრულებასა შინა.

211 ხოლო ესრეთვე მსგავსად და სხუანიცა იქმნენინ, რომელთა მიერ უსაჩინოესქმნაჲ ჭერ-იყოს ტაძრისა შემზადებისაჲ. ხოლო მოქალაქობდედ ყოველნი ნათესავისაგანნი მამულთა სჯულთაებრ. განტევებულ-იქმნენინ უკუე მოხუცებულებად და მღდელნი და მწიგნობარნი სამღდლომსანი და მღდელ-მგალობელნი ხარკთაგან, რომელთა ზიდვენ თავისა თვისისათვის და საგვარგუნოსა ხარკისაგანცა და სხუათა. ხოლო რაჲთა მალიად / ქალაქი აღეშენოს, მივსცემ თანად აწ მკვდრთა და შთამავალთა დამკვდრებად ვიდრე უპერვერეტოსა თვსადმდე უხარკოდ ყოფასა სამთა წელთა შინა და მიუტევებთ უკუე ამიერიტგან მათ მესამესა ნაწილსა ხარკთასა, რაჲთა განემართოს ვნებაჲ მათი. და რაოდენნი ქალაქისაგან აღტაცებულნი დამონებულ არიან, თანად ამათუცა და მათ მიერ შობილთაცა თავისუფლად განუტევებთ და მონაგებთა უკუნცემასა ვებრძანებთ“.

4. ეპისტოლესა უკუე ციდრემე ესენი აქუნდეს. ხოლო პატივისმცემელმან სამღდლომსამანცა ნაწერი ყოველსა სამეფოსა წარავლინა, მქონებელი ესე-ვითართაჲ: „ნუვისა შესაძლებელ არს სხუა ნათესავსა შესლვად ეზოსა სამღდლომსასა, რომელი დაყენებულ არს იუდეულთაგან, გარეშე განწმედილთა, რომელთა წეს-არს მამულსა სჯულისაებრ. ნუცა ქალაქად შეიღებინ ცხენთა კორცი, ნუცა ნახევარვირთაჲ, ნუცა ველურთა და ნუცა მშვდთაჲ, ვეფხთა და მელთა და ყურდგელთაჲ საყოველთაოდ ყოველთაგან უკუნთქუმულთა ცხოველთა იუდეულთა მიერ. და ნუცა ტყავთა შეღებად შესაძლებელ იყოს, არამედ ნუცა რაჲ ესევიითართაგანი იზარდებინ ქალაქსა შინა, ხოლო მხოლოთა მამულთა მსხუერპლთა, რომელთა მიერ და ღმრთისაცა ჭერ-არს კეთილმემსხუერპლეობად, კუმევად ბრძანებულ არიან. და ამთგან უკუე რომელსამე გარდამავალი იცინ საზღავი მღდელთა ვეცხლისა ღრახმანი სამ ათასნი“.

ხოლო დაგვწერა ჩუენ მოწამემან კეთილმსახურებაჲ და სარწმუნოებაჲ, რაჲმს აღდგომილად ფრკვიამსა და ლვდიამსა, რომელნი ისწავნა, რომელსა-ჟამსა იყო ზენათა სსატრაპოთა შინა, მბრძანებელ ზევქსიდისა, მკედართმყვანებელისა მისისა და საყუარელთა შორის საყუარელისა, წარვლინებად ვითემე ჩუენთაგანთა ვაეკლონით ფრკვიად. ხოლო მიწერა ესრეთ:

„მეფე ანტიოხოს ზევქსიდი მამასა, გიხაროდენი უკუეთუ ჰმრთელობ, კეთილსადმე მისათუალეულ, ვმრთელობ ხოლო და მეცა. მსწაველმან ლვდიამსა და ფრკვიამსა შინათა ზედააღდგომისამან, დიდისა მოხილვისა მოქენეობად შეეპრაცხე ესე ჩემდა. და განმზრახველსა მოყუარეთა თანა, რაჲსა მივმს მოქმედებაჲ, მთნდა სამცველთა და უსაქიროვნესთა ადგილთა შინა გარდაღებაჲ: ორ ათასთა სახლთაჲ საკმარისა თანა შუგამდინარისა და ვაეკლონის შინათა მყოფთა იუდეულთაჲ, რამეთუ მრწამს, ვითარმედ ესენი კეთილგონებაობით დამცველ იქმნენ ჩუენთა კეთილმსახურებისათვის ღმრთისა მიმართ მათისა და წამებულად მშობელთა მიერ სარწმუნოებისა მიმართ და გულსმოდგინებისა უწყნი ესენი, რომელთაცა მიმართ მიიწოდნენ. მნებაჲს უკუე, დაღაცათუ ძნელ არს აღმოქუმელისათვის გადასახლებად, რაჲთა თვისთა მამათა სჯულთა. იქუმევედენ. ხოლო რაჲმს მიიყვანნე ივინი პირველთქუმულთა ადგილთა, აღ-შენებისათვის სახლთა მათთამსა მისცე თითოეულსა ადგილი და ველი სამუ-შაკოდ და სანერგე ვენაქთაჲ და უხარკოდ ქუეყანისა ნაყოფთა განუტევენე.



იგინი წელთა ათთა. ხოლო მიეწყოს, ვიდრე ქუეყანისაგან ნაყოფთა მიიღებდენ, იფქლი გამოსაზრ/დელად მონათა. ხოლო მიეცეს კმასაყოფელი მსახურთაცა საკმარებისა მიმართ, რამთა ჩუენისა კაცთმოყუარებისა მიმთხუეულნი უგულსმოდგინესად მისცემდენ თავთა თვსთა ჩუენისა მსახურებისათეს. და მოურნეობასა ჰყოფდი ნათესავისასა ძალისაებრ, რამთა არავის მიერ ძვრხილულობდეს“.

დიდისა ვიდრემე ანტიოხოსს სიყუარულისათეს იუდეელთა მიმართ ესენი ჩუენ მიერ კმასაყოფელად ითქუნეს საწამებელად.

თ. 4

1. ხოლო შემდგომად ამათსა სიყუარული და ერთობაჲ ქმნა პტოლემეოვს მიმართ ანტიოხოსს და მისცა მას ასული კლეოპატრა ქორწილად, მიმნიჭებელმან მისდა ლელესა სკრიასასა და სამარიისა და იუდეაჲსა და ფენიკიასასა, სახელით ფერნისასა\*. და განიყენეს რაჲ მჩრობლთავე მეფეთა მიმართ ხარკნი, თითოეულნი საჩინოთაგანნი თვსთა მამულთაგან იიძულეობოდეს ხარკის მიჯდასა და შემკრებელნი ბრძანებულისა ხარკისანი მეფეთა მიართუმიდეს. ამას უამსა შინა სამართელთა, კეთილად მყოფთა, მრავალნი ბოროტნი უყენეს იუდეელთა, ადგილისა მათისა მომკუეთელთა და სხეულებისა მომტაცებელთა.

ხოლო ესენი იქმნნეს ონიასს ზე მღელელთმთავრისა, რამეთუ აღსრულდა რაჲ ელეაზაროს, მღელელთმთავრობაჲ დედისძმამან მისმან მანასსი მიიღო, რომლისა შემდგომად, დააქცია რაჲ ცხორებაჲ, ონია პატვი მითუალა, სიმონის ძედ მყოფმან, მართლიად წოდებულისამან. ხოლო სიმონ ძმაჲ იყო ელეაზაროსი, ვითარცა წინაწარ-ვთქუ. ამან უკუე ონია, უნდოდ მყოფმან გონებითა და უდარესმან საკმართამან და ამისთვის ერისათეს ხარკსა, რომელსა მეფეთა მამანი მისნი მისცემდეს იუდელთაგან\*, ტალანტთა ვეცხლისათა ოცთა, არა მიმცემელმან, რისხვად აღძრა მეფე პტოლემეოსს შემოქმედი, რომელი იყო მამაჲ მამისმოყუარისაჲ. და წარმავლენელი იეროსოლჷმად მვედრებელისაჲ აბრალებდა ონიასს, არა მიმცემელსა ხარკთასა, და აქადებდა, არა მიმღებელი, დამკვდრებასა ქუეყანისა მათისასა და წარვლინებასა დამკვდრებადთა მკედართასა. ხოლო მსმენელნი<sup>1</sup> ამათნი მეფისაგან იუდელნი შეიბრლუეს, გარნა ონიასს არარაჲ ამათგანი აღმობდა საკმართმოყუარებისა ძლით.

2. ხოლო იოსიპოს ვინმე, ყრმაჲ ჭერეთ ჰასაკითა, ღირსებისათეს და მოურნეობისა და სიმართლისა დიდებასა მქონებელი იეროსოლჷმელთა შორის, ტოვიასს ვიდრემე მამისაჲ, ხოლო ონიასს მღელელთმთავრისა დისაგან ქმნილი, უწყებელი დედისაგან მვედრებელისა მოსლვასა, რამეთუ შემთხუეულ იყო მისთვის წარსლვაჲ ფიკოლად დაბად, რომლისაგან იყო, მოსრული ქალაქად აყუედრებდა ონიასს, არა წინმოურნესა მოქალაქეთა სიმტკიცისასა, არამედ ძურთა შინა მნებებელსა შთადგებასა ნათესავისასა დაკლებისათეს საკმართაჲსა, რომელთათეს და ერისაცა წინამდგომობისა მიღებასა ეტყოდა მას და,

<sup>1</sup> მსმენელნი A.Q.D.

\* φερνῆς ὀνόματι 12<sub>184</sub> (=წოდებული შთოვან). <sup>10</sup> ἐκ τῆς ἰδίας 12<sub>188</sub> (=კერძო წესით, საკუთარი სახსრებიდან).

პატივისა მღვდელთმთავრობისასა მიმთხუევასა. ხოლო უკუეთუ ესრეთ ტრფა-  
 212 ლებაჲ აქუს საქმართაჲ, ვიდრეა ამის ძლით მამულისა ძვრხილულობასა ხი-  
 ვად მოთმინეობს და ყოვლისა, რომლისაჲვე მენებელთა მოქალაქეთა მისთასა,  
 განაზრახებდა, წარსრულსა მეფისა მიმართ, ვედრებად მისა ანუ ყოველთა  
 საქმართა მრტეკებასა მისდა, გინა კერძოებითსა. ხოლო ონია მიუგებდა, ვი-  
 თარმედ არცა მთავრობისა მნებებელ არს და უკუეთუმცა შესაძლებელ იყო,  
 შზადმქონებელ არს ჯმნასა მღვდელთმთავრობისაგან, ეტყოდა, არცა აღვალს მე-  
 ფისა მიმართ, რამეთუ არა ჰგულავს მას, ამათუს, ხოლო იოსიპოს ჰკითხა,  
 უკუეთუ შეუნდობს მას წარსლვად პტოლემეოას მიმართ ვედრებად ნათესავი-  
 სათუს. ხოლო მან უბრძანა წარსლვაჲ. აღსრული უკუე ტაძრად იოსიპოს და  
 მომწოდებელი სიმრავლისაჲ შესაკრებელად, აღუშოთველობასა და უშიშო-  
 ებასა განაზრახებდა ონიაჲს, დღის ძმისა მისისა მისთვის უზრუნველობისათჳს,  
 არამედ უშიშოებით მწუხარებითისა სასოებისაგან გონებისა მათისა ქონებასა  
 ევედრებოდა, რამეთუ ვედრებასა აღუთქმშიდა მათ მეფისა მიმართ და დარწმუ-  
 ნებასა მისა, ვითარმედ არარას უსამართლოებენ. და სიმრავლე ვიდრემე, ამათი  
 მსმენელი, ჰმადლობდა იოსიპოსს, ხოლო თვთ, შთამოსრულმან ტაძრით,  
 უცხოებით შეიწყნარა პტოლემეოას მიერ წარმოვლინებული მოხუცებული და  
 მიმნიჭებელმან მისმან მრავალთა ნიჭთამან და მრავალთა დღეთა შინა მასერე-  
 ბელმან პატივისმოყუარებით, წინა-წარავლინა მეფისა მიმართ, მეტყუელმან,  
 ვითარმედ და თვთ იგიცა შეუდგეს მას. და რამეთუ უფროჲსდა გულსმოდგინე  
 იქმნა წარსლვად მეფისა მიმართ, ვინაჲსთგან მოხუცებულმან აწ-ყა და მეცადინ-  
 ყო ეგვტედ წარსლვად და ყოველთა, რომელთაცა მოქენეობდეს, პტოლე-  
 მეოას მიერ მიემთხვოს იგი. და ამას ქმნად აღუთქმშიდა, რამეთუ თავისუფ-  
 ლებაჲ მისი და სიმშველე ჩუეულებიჲსაჲ ფრიად შეიყუარა.

3. და მოხუცებულმან ვიდრემე, მისრულმან ეგვტედ, მიუთხრა მეფესა  
 ონიაჲს უგუნურებაჲ და იოსიპოჲს სახიერებისათუს, აუწყა და ვითარმედ  
 ეგულების მისა მიმართ მისლვაჲ უბრალოებისათუს ერისა, ნაცოდებთაგან  
 განამართლებელისა სიმრავლისასა, რამეთუ წინამდგომ მისსა არს. ამისთვისცა  
 ესოდენსა ქებათათუს ქაბუკისათა მყუმეველ იქმნა სიმრავლესა, ვიდრეა და  
 მეფეცა და ცოლი მისი კლეოპატრა დადებულ-ყენა საკუთრებასა ქონებად\*  
 იოსიპოჲს მიმართ, არა მოწვეწულისა. ხოლო იოსიპოს, წარმავლენელი მოყუა-  
 რუთა მიმართ სამართად და მესახებელი ვეცხლისაჲ და წარსლვისა მიმართ  
 განმშზადებელი შესამოსელთა და საქურეულთა და კარაულთაჲ და ამათი ვი-  
 თარ ორ ბევრთა დრახმათა განმშზადებელი, აღექსანდრიად მიიწია. ხოლო  
 213 შეემთხვა მას ჟამსა შინა აღმოსლვაჲ ყოველთა ქალაქთაგან სკრიაჲსა და  
 ფენიკისათა პირველთა და მთავართა მოსყიდისათუს ხარკთაჲსა. ხოლო  
 წლითი-წლად ამათ, შემძლეთა თითოეულისა ქალაქისათა, მიჰყიდის მეფე.  
 მხედველნი უკუე ესენი გზასა ზედა იოსიპოჲსნი, ჰბასრობდეს სიგლახაკისა-  
 თუს და უნდოებისა. ხოლო აღექსანდრიად მიწვეწულსა ვითარ მემფის შინა  
 ყოფაჲ მეფისა პტოლემეოასი / ესმა, აღვიდოდა მიგებებად მისა. ხოლო მჯდო-  
 მარე იყო რაჲ მეფე ეტლსა ზედა ცოლისა თანა და ათინიონოჲს მოყუარისა,  
 ესე უკუე იყო ივედრებელი, წარგლენილი იეროსოლგმად და იოსიპოჲს

\* ძქილად ზქილ 12, (ძქილად = ვინმესადმი კეთლად განწყობა; 2) დასაკუთრება. ამ კონტრეტულ იგულისხმება პირველი მნიშვნელობა.

მეგრე შეწყნარებულნი. მხილველმან მისმან ათინიონ მეყუსეულად საცნაურ-ყო იგი მეფისა, მეტყუელმან ამას ყოფად, რომლისათვის, იეროსოლჟმთაგან მოწვეწულმან, მიუთხრა, ვითარმედ კეთილი და პატრივისმოყუარე კაბუკი არს. ხოლო პტოლემეოს პირველად იგი მოიკითხა და აღსლვად ეტლსა ზედა ევედრებოდა. და დაჯდა რამ, იწყო ონიამს მიერ მოქმედებულთათვის თქუმად. ხოლო მან — „მუუნდევ მას, პრქუა, სიბერისა ძლით, რამეთუ არა დაფარულ არს შენგან ნანდჳლ, ვითარმედ მოხუცებულთა და ყრმათათვის ერთსა გონებასა ქონებაჲ შემთხუეულ არს. ხოლო ჩუენ, ყრმათაგან, გეყვენენ შენ ყოველნი, ვიდრელა არცა ერთსა გუბარალობდე“. მხიარულქმნილმან უკუე შაღლსა ზედა და სიჳარტლესა კაბუკისასა, უფროსლდა, ვითარცა აწვეე მეცნიერქმნულმან მისმან, შეყუარებად იწყო, ვიდრელა და სამეფოთა შინა ყოფაჲ უბრძანა მას და დლითი-დღე სერობასა თვისსა ზედა ქონებაჲ მისი. ხოლო მიიწია რამა აღექსანდრიად მეფე, მხილველნი პირველნი სკრიაჲსანი თანამჯდომარედ მისდა იოსიპოჲსნი, მძვნეარედ მოითმენდეს.

4. წარმოდგა რამ უკუე დღე, რომელსა შინა ეგულებოდა ხარკთა განსყიდამა ქალაქისათაჲ, იყიდდეს ღირსებითა გარდამატებულნი და მამულთა შინა ქუეყანათა. და რვა ათასად ტალანტად შეკრებასა ღელისა სკრიაჲსა ხარკთასა და ფუნციკსა და იუდეასათა სამარიასათა. მოსრული იოსიპოს შესამენდა, ვითარ თანგანმზრახველთა მციარესა ფასსა ხარკთასა მიცემად მისდა. ხოლო იგი ორწილად მიცემასა აღუთქუმიდა და მონაგებთა სახლისა მისისა შემცოდეთოსა წარმოვლენასა მისდა და რამეთუ ესეცა ხარკთა თანა განისყიდვოდა. ხოლო მეფე მხიარულ-იქმნა, მსმენელი, და ვითარ აღმარძინებელსა ხარკისა მისისასა ღამამტკიცებელი განსყიდასა ხარკთა მისთასა მას ეტყოდა. ხოლო ამასცა ჰკობხვიდა<sup>1</sup>, უკუეთუ და თავსმდებთაცა მისთა შემძლებელ არს მოცემასა. და მან უკუე საკვრველებით სიტყუა-უგო, რამეთუ: „მოგცნე, თქუა, კაცი კეთილნი და კარგნი, რომელთა არა ეურწმუნოეთ“. ხოლო თქუმად რამ ეტყოდა, ვინ ვიეთნი არიან, „შენ, ოჲ მეფე, და ცოლსა შენსა ორისავე კერძოსათვის თავსმდებად მოგცემ შენ“. ხოლო პტოლემეოს, განმცინებელმან, მიუტევა მას თვნიერ თავსმდებთამსა ქონებაჲ ხარკთაჲ. ამან ფრიად ქალაქთაგან ეგვბტედ მოსრულნი შეაწუხნა, ვითარ უკმარქმნილნი. და ესენი ვიდრემე აღვიდეს თვისთა თითოეულნი მამულთა მიმართ კდემულნი.

5. ხოლო იოსიპოს, მიმყვანებელი მეფისაგან ქუეითთა მკედართა ათასთაჲ, რამეთუ ევედრა ძალსა რომელსაჲ მიყვანებად, რამთა ქალაქის შინათა შეურაცხისმოყუფელთაჲ აქუნდეს იძულებაჲ, და მუასხებელი აღექსანდრიას შინა მეფისა მოყუარეთაგან ტალანტთა ხუთასთაჲ, სკრა/ად წარემართა. ხოლო მიწევულმან ასკალონს შინა და ხარკთა მიმძღელმან ასკალონელთაგან, ვინაჲთგან არარას მნებებელ იყვენეს მიცემად და ავინებდესცა მას, მპყრობელმან პირველთა მათთამან, ვითარ ოცნი, მოაკუდინნა და მონაგებნი მათნი, ათას ტალანტად შეკრებულნი, წარუვლენნა მეფესა, ქმნილთა მათუწყებელმან მისდა<sup>2</sup>. ხოლო განკვრეველმან პტოლემეოს გონიერებისა მისისათვის და ქმნილთათვის მაქებელმან უტევა იგი ქმნად, რომელსაცა მნებებელ იყო. ამისნი

213

<sup>1</sup> ქიოხვიდა A.  
<sup>2</sup> ესრელცა ეწერა. ჟეროიყო.

მსმენელი სკრინი შეშინდეს და სახესა ურწმუნოებისასა მძევარესა მქონებელთა ასკალონიტელთა მამაკაცთა მოკუდინებულთა, განმღებელთა ბქისათა შეიწყნარეს წადიერებით იოსიპოს და ხარკნი მისცნეს. ხოლო ვინაფთაჲ კელყვეს სკვთოპოლიტთაჲ გინებაჲ მისი და არა მიცემაჲ ხარკთაჲ მისდა, რომელთა არცა ერთისა სიტყვასამყოფელი მისცემდეს, და ამათაჲცა მომაკუდინებელმან პირველობასა მქონებელთამან მონაგებნი მათნი მეფისა წარავლინნა. ხოლო შემკრებელმან მრავალთა საქმართამან და შესაძინელთა მრავალთა მოქმედმან სყიდისაგან ხარკთაჲსა, დადგრომისათჳს მის თანა მყოფისა ძალი-სა საქმარნი იკუმინა, მიზეზსა მან მისდა მყოფისა ბედნიერობისასა დაცვაღგონიერად შემრაცხელმან მათ მიერ, რომელი მას მოევნეს, რამეთუ მრავალნი კელისა შინად მეფისა და კლეოპატრაჲსა ძლუენნი წარავლინნა და მოყუარეთა მათთა და ყოველთა ეზოჲს შინათა ძლიერთა მიმართ, მომსყიდელმან ამათ მიერ სიყუარულსა მათგან.

6. ხოლო განიშუა ამის ბედნიერობისაგან წელთა შინა ოცთა და ორთა, მამადქმნილმან ერთისა ცოლისაგან ყრმათა შვდთამან, ხოლო მოქმედმან დაძმისაჲ სოლკვიოჲს ასულისაგან. ერთსა, ვრკანოს სახელით. ხოლო ექორწინა ამას მიზეზითა ესევითარითა: ძმასა თანა ოდესმე აღექსანდრიად მისრულმან, მინყვანებელსა ასულისასა, ჟამსა ქორწილთა მქონებელისასა, რაჲთა შეაულლოს იგი რომელსამე ღირსების ზედასა იუდელთაგან და მსერებელმან მეფისათანა, პროკვალისა, შესრულისა სამოსუმუროდ, შეუნიერისა ტრფიალებულმან ძმასა მიუძეცო ესე, მეედრებელმან მისმან, ვინაფთაჲ და სჯულისაგანცა ყენება არს იუდელთა სხუა ნათესავისა მიახლებად დედაკაცისად, რაჲთა დამფარველმან ნაოდავისამან და მსახურად კეთილადქმნილმან, მიანიკოს მას, რაჲთა აღისრულოს გულისთქუმაჲ. ხოლო ძმამან, მხიარულებით შემწყნარებელმან მსახურებისამან, შემამკობელმან ასულისა მისისამან, ლამით მიიყვანა მისა მიმართ და თანა-დაძინა. და იგი უკუე, მთრვალობისაგან უმეცარი ჭეშმარიტებისად, თანა-ეყო ასულსა ძმისასა. და ესენი რაჲ ქმნა მრავალგზის, უმეტესად ეტრფიალა. ხოლო თქუა ძმისაჲ მიმართ, ვითარმედ „დაქირეებულ ვიქმნები ცხორებისაგან, ტრფიალებული პროკვალისად“, რომლისადმე არა მიუტეოს მას მეფემან. ხოლო ძმად ვეედრებოდა არა მწუხარებად, ვინაფთაჲ ადვილად მიიყვანოს, რომლისაჲცა ტრფიალ არს და ცოლად ქონებასა მისსა. v ეტყოდა და ჭეშმარიტი ცხად-უყო მას, რამეთუ უფროჲსლა აღიარია თჳსისა/ ასულისა გინებაჲ, ვიდრე შეურაცხყოფად მისი, სირცხვლსა შინა ქმნილისად. ხოლო იოსიპოს, მაქებელი მისი ძმისმოყუარებისათჳს, შეეყო ასულსა მისსა და შუა მისგან ყრმაჲ ვრკანოჲ, ვითარ წინაწარ-ვთქუთ.

ხოლო მერმეტა, მყოფი სამ. და ათთა წელთად, ყრმა ესე უქაბუკესი აიუენება ბუნებითსა სიმკნესა და გონიერებასა, ვიდრეღა შეშურებულ იქმნა. ფრიად ძმათა მიერ, ესე მრავლად უჭაბესად მყოფი და შეშურებულ-ქმნად შესაძლებელი. ხოლო იოსიპოს, სწავლად მნებებელმან, რომელი ძეთა მისთაგანი სათნოებისა მიმართ კეთილად მქონებელ არს, წარავლინა თითოეული ძმან ღიდებასა მქონებელთა მიმართ წურთად და სწავლებად. და ნეშტნი ვიდრემე მცონარებისაგან და საქმეთმოყუარებისა მიმართ დაქსნილობისათჳს უგუნურნი და უსწავლელნი აღმოვიდეს მისას. ხოლო შემდგომად მათსა უქა-

ბუქისისა, ვრკანოას, მიმცემელმან სამასთა უღლეულთა კართასა, წარავლი-  
 ნა იგი გზასა ორთა დღეთასა უღაბნოს თესვად მიწისა, დამმალველმან შემა-  
 უღლებელთა ლუედთამან. და ამან უკუე, მიწვეწულმან ადგილად და აპურთა  
 არა მქონებელმან, კარისმწაფელთა ვიღრემე მოგონებამა შეურაცხ-ყო, რომელ-  
 ნი განაზრახებდეს მას წარვლინებად ვიეთმე მამისა მიმართ, მომღებელთა  
 ლუედთასა. არამედ სუამისა წარკდომასა არა ჭეროვნად შემრაცხელმან მომ-  
 ლოდებთასა შინა წარვლინებულთასა, მოიგონა რამე მკედრებრივი და ჰასა-  
 კისა უმოხუცებულესი, რამეთუ დამკველმან ათთა უღლეულთამან კორცნი  
 ვიღრემე მუშაკთა განუყენა, ხოლო ტყავთა მათთა დამკრელმან<sup>1</sup> და მოქმედ-  
 მან აპურთამან შეკრნა ამით მიერ ტაბიკნი. და ესრეთ<sup>2</sup> სახედ დამთესველი  
 მიწისაჲ, რომელი მამამან მისმან უბრძანა მას, უკუნ-იქცა მისა მიმართ. ხოლო  
 მოსრული უმეტესად შეიყუარა მამამან გონიერებისათჳს და გონებისა სიმბავ-  
 ლისათჳს და მის ზედასა კადნიერებისა მაქებელი, ვითარ მას მხოლოსა მყოფ-  
 სსა საკუთრად, მამამ<sup>3</sup> მერმეცა უმეტეს ჰყუარობდა მწუხარეობასა ძმათასა  
 ამას ზედა.

7. ხოლო ვითარ მიუთხრა ვინმე მას მას უამსა შინა ძესა მეფისა პტო-  
 ლემეოასთჳს ქმნად და ყოველნი მთავარნი სვრიასა და ქუეშმორჩილისა  
 სოფლისანი, მეღლესაწაულენი დღესა ყრმისა შობისასა დიდისა თანა შემზა-  
 დებულებისა ალექსანდრიად წარვიდოდეს, ესე ვიღრემე სიბერისა მიერ  
 იპყრობებოდა. ხოლო ძეთაგან იკითხვიდა, უკუეთუ ვინმე მათგანი წარსლვად  
 მნებებელ<sup>4</sup> არს მეფისა მიმართ და მოხუცებულთა ვიღრემე იქმნეს<sup>5</sup>, ესევი-  
 თართა თანაქეულებათა მიმართ უმეტრებისა ქონებასა მეტყუელთა, ხოლო  
 ძმისა ვრკანოას წარვლინებასა განაზრახებდეს. და უკუეთუ შემძლებელ არს  
 წარსლვად მეფისა მიმართ და ანუ გულსმოდგინე არს, ჰკითხვიდა მამამ.  
 ხოლო მან აღუთქუა წარსლვად და საკმართა არა მრავალთა მოქენობად  
 ჰრქუა გზისა მიმართ, რამეთუ ცხონდებოდის იგი დაწყნარებით, ვიღრელა  
 კმა-ეყვენ მას ღრახმანი ბევრნი. განიხარა უკუე ყრმისა გონიერებასა ზედა.  
 ხოლო წარკდა რამე მცირელი, განაზრახებდა ყრმამ მამასა ძლუენთა  
 ვიღრემე მიერ არა წარვლინებად მეფისა, გარნა მიცემად ეპისტოლესა გან-  
 მგებელისა მიმართ ალექსანდრიას შინა, რამათა მიანიჭოს მას მოსყიდისათჳს,  
 რომელნიცა პოვნეს კეთილნი და მრავლისა სასყიდლისანი საკმარნი. ხოლო  
 მან, მგონებელმან ათთა ტალანტთა ყოფასა მეფისა ძლუენთა მიმართ წარსა-  
 გებელთათჳს და ძისა მაქებელმან, ვითარ კეთილად განმზრახებულისამან, მი-  
 უწერა განმგებელსა არიონს, რომელიცა ყოველთა ალექსანდრიას შინათა  
 საკმართა მისთა განაგებდა, არა უმცირეს მყოფთა სამ ათასთა ტალანტთაგან,  
 რამეთუ იოსიპოს სვრიასა მონაგებთა წარავლენდა ალექსანდრიად და ესმი  
 რამ წარმოდგის, რომელსა შინა ჭერ-იყვის მეფისა მირიცხუვად ხარკთაჲ,  
 მიუწერდის არიონს ამისსა ქმნასა. ამისა მიმართ უკუე მთხოველი მამისაგან  
 ეპისტოლისაჲ და მიმღებელი, ალექსანდრიად წარემართა.

214

ხოლო გამოვიდა რამე ესე, მიწერეს ძმათა მისთა ყოველთა მიმართ მო-  
 ყუარეთა მეფისათა, რამათა განხრწნან იგი.

<sup>1</sup> დაკრელმან A. <sup>2</sup> ესრეთ A. <sup>3</sup> მამამან AQD, მამა D. <sup>4</sup> მნებებელ A. <sup>5</sup> იქნეს AQ.

8. ხოლო ვითარ მიწვეულმან აღუქსანდრიად მისცა არიონს ეპისტოლე, იკითხვიდა მისგან, რაოდენთა ტალანტთა მიღებასა მნებებელ არს, რამეთუ ესვიდა მისგან თხოვასა ათთა, გინა მცირედ ამთაგან უმეტესთასა. ხოლო მან ვინაჲთგან ათასთა საკმარებაჲ თქუა, განრისხებული ჰყუედრიდა მას, ვითარ უძღებებით ცხორებად მნებებელსა და განუცხადებდა, თუ ვითარ მამამისი შეჰკრებს მონაგებსა, ვითარ დამაშურალი და გულისთქუმათა მპყრობელი და ევედრებოდა მსგავს-ქმნასა მშობელისასა. ხოლო არარას უმეტესსა მიცემად ეტყოდა ტალანტთა ათთაგან და ესენიცა ძღუენათჳს მეფისათა. და განრისხებულმან უკუე ყრმამან საკრველთა შთაადლო არიონს. ხოლო ცოლმან არიონისმან აუწყა ესე კლეოპატრას და ევედრა, რამთა განურისხნეს ყრმასა, რამეთუ ფრიადსა პატივსა შინა იყო არიონ მის წინაშე და ცხად-უყო ესე მეფესა კლეოპატრა. ხოლო პტოლემეოს, წარმავლენელი ვრკანოჲს მიმართ, „მიკვრს“, ეტყოდა, ვითარ წარმოვლენილი მისა მიმართ მამისაგან არცა ეჩუენა მას და ამას თანა შეკრა განმგებელიცა. მისრულსა უკუე მიზეზსა უწყებად მისდა უბრძანებდა. ხოლო იტყვან მისსა სიტყვისგებასა მეფისა მიერ წარმოვლენილისა მიმართ სიტყუად მისდა, ვითარმედ სჯული არს მისდა, მაყენებელი შობილისად გეშვად მსხუერპლისა, ვიდრე არა პირველად სამღლელოდ მივიდეს და უმსხუერპლოს ღმერთსა. ამის უკუე გულისსიტყვისაგან არცა ივი მივიდეს მისა მიმართ, მომლოდე ძღუენთა მიღებისად, შემოქმედად ქმნილისად მამისა მისისა მიმართ. ხოლო მონაჲ გუემა, ურჩქმული მათი, რომელნი უბრძანნეს, რამეთუ არცა ერთი განყოფილებაჲ არს, დაღაჲთუ ვინ მცირე იყოს მეუფეთა, გინა დიდი. „უკუეთუ არა ვტანჯვიდეთ ესევითართა, და შენცა მოვლოდე მთავრებულთა მიერ შეურაცხ-ყოფასა“.

ამათი მსმენელი პტოლემეოს სიცილად მიდრკა და დიდგონიერებაჲ ყრმისად იკვრვა.

9. ხოლო არიონს, მსწავლელი, ვითარმედ მეფე ესრეთ სახედ დიდებულქმნა და ვითარმედ არცა ერთი შეწიენაჲ არს მისა, მიმცემელი ათასთა ტალანტთაჲ ყრმისა, საკრველთაგან განიკნსა.

v / და სამნი რაჲ დღენი წარკდეს, ვრკანოს თაყუანის-სცა მეფეთა. ხოლო მათ მზიარულებით იხილეს იგი და სიყუარულით ასერეს მამისა მისისა მიმართისა პატივისათჳს. დაფარულად მსყიდელთა მიმართ წარსრულმან მოიცილნა მათგან ყრმანი ვიდრემე ასნი, წერილთა მეცნიერნი და ჰაბუქნი, თითოჲსა ტალანტისანი, ხოლო ასნი ქალწულნი, მისვე ფასისანი თითოეული. და წოდებული სერობად მეფისა მიმართ პირველთა თანა ადგილისათა, დაჯდა უქუემოეს ყოველთამსა, შეურაცხყოფილი. ვითარ ყრმაჲ მერმეცა ჰასაკითა, განმგებელთა მიერ ადგილისათა ღირსებისაგებრ. ხოლო თანამსხდრენი ყოველთასოთა ძუალეზსა, რამეთუ უნსკამდღე<sup>2</sup> იგინი ვორცთა, შეჰკრებდეს წინაშე ვრკანოჲსა, ვიდრე აღვსებადმდე წინამდგომარისა მისდა ტრაპეზისა. ხოლო ტრავონ, რომელი იყო მეფისა მომღერი და კიციხათა და ადგილისშინათა სილოდათა შემწყნარებელ იყო, ამან, ევედრებულმან მსხლომარეთაგან ტრაპეზისა ზედა და წარდგომილმან მეფისა:

„ხედავა, თქუა, ოჲ მეუფეო, ვრკანოჲს წინამდებარეთა ძუალთა? ამისგან ჰგონე, ვითარმედ და მამამან მისმან სკრიაჲ ყოველი განძარკუა, ვითარ ამან

<sup>1</sup> აღლელოდ AQ. <sup>2</sup> შეჰკამდეს A.

ესენი კორცთაგან განაშიშულნა“. ხოლო განმცინებელმან მეფემან ტრეფონის სიტყუასა ზედა და მკითხველმან კრკანოხსმან, უკუეთუ ესოდენნი ძუალნი წინამდებარე არიან მისა, „მართლიად, თქუა, ოჲ მეუფეო! რამეთუ ძალთა წეს-არს კორცთა თანა შეკმაჲ ძუალთა, ვითარ ესენი“ — მსხდომარეთა მიმართ მიმხედველმან, რამეთუ არცა ერთი რაჲ მდებარე იყო წინაშე მათსა—, „ხოლო კაცნი კორცთა შესკამენ და ძუალთა დაასრევენ, რომელი, კაცად მყოფმან, მეცა აწ ვყავ“.

და მეფემან უკუე, განკრკვებულმან სიტყუსკებასა მისსა ზედა, ესრეთ ბრძნადქმნილსა, ყოველთა უბრძანა მხიარულებჲა სიჭარტლისა მისისათჳს მადლიერთა მისთა.

ხოლო მომავალსა დღესა თითოეულისა მიმართ მეფისა მოყუარეთაჲსა მივიდოდა და ეზოჲსა შინათა ძლიერთა მოიკითხვიდა, ხოლო მონათაგან იკითხვიდა, რომლისა ძლუენისაჲ ეგულების მიცემაჲ მეფისა შობასა ზედა ყრმისა მისისა. და მათ უკუე მიუგავს რაჲ ათთა ტალანტთა მიცემაჲ თითოეულისაჲ, ხოლო ღირსების შინათაჲ სიღირსაებრ მონაგებისა, იჩემებდა მწუხარებასა, ვითარ არაშეძლებისათჳს მიღებად ესევითარსა ძლუენსა, რამეთუ უმეტესსა ხუთთა ტალანტთასა არა მქონებელ არს. ხოლო მონანი, მსმენელნი ამათნი, მიუთხრობდეს მეუფეთა. და იგინი უკუე იხარებდეს შერისხვისათჳს იოსიპოჲსა, ვითარ მცოდველისათჳს მეფისა მიმართ სიმცირისათჳს ძლუენთაჲსა. ხოლო წარმოდგა რაჲ დღე, სხუანი ვიდრემე მოიღებდეს მეფისა ტალანტთა, ფრიადსა ძლუენთმიმნიჭებელობასა მეჭუელნი, არა უმრავლეს ოცთასა. ხოლო კრკანოს რომელნი მოიყიდნა ყრმანი ასნი და ქალწულნი ესოდენნივე, ტალანტულად თითოეულისათჳს მიმცემელმან, მოიყვანნა იგინი, რომელნიმე მეფისა და რომელნიმე კლეოპატრასა. და მოყუარეთა მერმეცა და მსახურთა მეფისათა მრავალთა ტალანტთა ღირსნი ძლუენნი მიანიჭნა, რაჲთა განერეს ძკრისხილვისა მათისაგან, რამეთუ ამათ მიუწერეს ძმათა მისთა, უბრძანა მას მოკლდინებჲა კრკანოხსი. ხოლო პტოლემეოს, დიდსუ/ლობასა ყრმისასა განკრკვებულმან, უბრძანა მას<sup>1</sup> ნიქსა, რომელსაცა მნებებელ არს, მიღებად. და იგი უკუე არარას უმეტესსა ევედრა ქმნად მისდა მისგან, გარნა მიწერად მამისა და ძმათა მისთა მის ძლით. პატივისმცემელმან უკუე მისმან პატივისმოყუარებით და ნიქთა ბრწყინვალეთა მიმცემელმან და მამისა და ძმათა მიმწერელმან და ყოველთა მისთა მთავართა და განმგებელთაჲმან, წარავლინა იგი.

215.

ხოლო მსმენელნი ძმანი ამათსა მიმთხუევასა კრკანოხსსა მეფისაგან და დიდისა თანა პატივისა აღმოსლვასა, განვიდეს შემთხუევად მისდა და განხრწნად მამისა მეცნიერებითაცა, რამეთუ განრისხებულნი მისთჳს წარსაგებელთათჳს ძლუენთაჲსა არა ზრუნვიდა ცხორებისა მისისათჳს. და რისხვასა ვიდრემე იოსიპოს ძისა მიმართ ჰფარვიდა, მოშიში მეფისაჲ. ხოლო ვინაჲთგან განეწყვნეს მას ძმანი ბრძოლად<sup>2</sup>, სხუანი ვიდრემე მათ თანანი მრავალნი მოაკლდინნა და ორნი ძმათაგანცა, ხოლო სხუანი ცხონდეს იეროსოლჳმად მამისა მიმართ. და ესე უკუე მიწევნული, ვინაჲთგან არავინ შეიფყნარა, შეშინებულნი წარვიდა წიად იორდანისა მდინარისა და მუნ იქცეოდა, ხარკისმიძველი ბარბაროზთაჲ.

<sup>1</sup> უბრძანა მას]—AQD. <sup>2</sup> ბრძოლად AQ.

10°. ხოლო განმეფნა მას ჟამსა შინა ასიისა სელევკოს, მაცხოვრად წოდებული, ძედ მყოფი ანტიოხოსს დიდისაჲ. აღსრულდა უკუე ვრკანოსს მამაცა იოსიპოს, მამაკაცი ქმნილი კეთილი და დიდგონიერი და ერსა იუდეულთას სიგლახაჲისა და საქმეთა უძღურებისაგან უბრწყინვალესთა მიზეზთა მიმართ ცხორებისათა დამადგინებელი, ოცთა შინა წელთა და ორთა ხარკთა სკრიამსა და ფუნიკისა და სამარიამსათა დამპყრობელი. ხოლო მოკულდა დედის ძმაცა მისი ონია, მღვდელთმთავრობასა დამტევებელი სიმონის, ყრმისა მისისაჲ. ხოლო აღსრულდა რაჲ ესეცა, ძე მისი ონია მონაცვალე პარტივისა ექმნა, რომლისა მიმართ ლაქედემონელთა მეფემან არიოს ვედრებაჲ თანად წარავლინა და ეპისტოლენი, რომელთა ნაცვალწერილი არს ესევეითარი:

„მეფე ლაქედემონელთაჲ არიოს ონიას, გიხაროდენ! მიმთხუეულთა რომლისაჲმე წერილისათა ეპოვეთ, ვითარმედ ერთისა ნათესავისაგან არიან იუდეულნი და ლაქედემონელნი და ავრაამოსს თესებისაგან. სამართალ არს უკუე თქუენდა, ძმად მყოფთა, წარმოვლენაჲ ჩუენდა მომართ, რომელთათვისცა მნებებელ იყვნეთ. ხოლო ესე ვყოთ ჩუენცა და თქუენნი თესად შეეპრაცხნეთ და ჩუენნი ზიარად გუაქუნდენ თქუენდა მიმართ. დიმოტელის, მომღებელი ნაწერთაჲ, მოაწვეს ეპისტოლეთა. ნაწერნი არიან ოთხძგიდუ, ბეჭედი არს არწივი, ვეშაჲისა მპყრობელი“.

11. ეპისტოლე ვიდრემე უკუე, წარმოვლინებული ლაქედემონელთა მეფისა მიერ, ესრეთ სახეთ მქონებელ იყო. ხოლო მოკულდა რაჲ იოსიპოს, შეემთხვა ერსა განდგომილებით კლრმაჲ ყრმათა მისთათვის, რამეთუ მოხუცებულთა ბრძოლაჲ განიღეს ვრკანოსს მიმართ, რომელი იყო უჭაბუქესი იოსიპოსს შვილთაჲ. და განიყო სიმრავლე და უმრავლესნი ვიდრემე მოხუცებულთა შეეწყოდეს და მღვდელთმთავარი სიმონცა ნათესავობისა ძლით. ხოლო ვრკანოსს არღ/მერმეცა აღმოსლუჲა აგრძნა იეროსოლჲმად, არამედ, მჭდომარე წიად იორდანისა, მრავლად ჰბრძოდა არავთა, ვიდრელა მრავალნი მათგანნი შოსრნა და ტყუედცა მიიყვანნა. აღაშენა უკუე გოდოლიცა ძლიერი ქვისაგან თეთრისა, შემშაღდებელმან ყოვლისამან ვიდრე სართულადმდე, გამომჭრელმან ცხოველთა ყოვლად დიდთამან. ხოლო გარემოალო მას ხანდაკი დიდი და ღრმაჲ. ხოლო წიად პირის-პირ მთისა მწუერვალსა მომეუეთელმან ქუაბნი, მრავალთა სტადიონთა სიგრესა მქონებელნი, შეჰმზადნა. ამისა შემდგომად სახლნი ქმნნა მას შინა, რომელნიმე სამოსუმუროდ, ხოლო სხუანი — საძილად და სასეროდ. და წყალთა მდინარეთა სიმრავლე, რომელნი სიხარულ და საბუკულ იყვნეს, ეზომსა შინაგან შეიყვანნა. ხოლო პირნი ქუაბთანი, რაჲთა ერთი მათ მიერ შევიდოდის და არა უმრავლესნი, მცირენი განახუნა. და ესენი სიმარჯეთ სიმტყიცისა ძლით შეჰმზადნა, რაჲთა არა, გარემოდგომილი ძმათაგან, პყრობილ-იქმნეს ძვრისხილვად. და აღაშენნა უკუე ეზონიცა, სიდიდითა გარდამატებულნი, რომელნიცა სამოთხეთა მიერ შეამკვნა ვრცელთა. და ესევეითარად მოქმედმან ადგილისამან ტვროდ სახელ-სდვა. ესე ადგილი არს საშუვალ არავიამსა და იუდეამსა, წიად იორდანისა. არა შორს ესევეონტიდომსაგან.



ემთავრა უკუე მათ კერძოთა წელთა შვლთა, ყოველსა შინა ეამსა, რომელსა სელევკოს სკრიამსა მეფობდა. ხოლო მოკუდა რამ ესე, შემდგომად მისსა ძმამან მისმან ანტიოხოს, ეპიფანედ წოდებულმან, მეფობაჲ დაიპყრა. აღსრულდა უკუე პტოლემეოსცა, ეგვიპტისა მეფე, და ესეცა ეპიფანედ წოდებული, დამტევებელი ორთა ყრმათაჲ, ჯერეთ მცირეთაჲ პასაკითა, რომელთაგანი ვიდრემე უმოხუცებულესი ფილომიტორად იწოდებოდა, ფესკონად უკუე — უჭაბუკესი.

ხოლო ვრკანოს, მხედველი დიდსა ძალსა მქონებელად ანტიოხოსი და შინუელი, ნუსადა შეპყრობილი მის მიერ იტანჯოს არავთა მიმართ ქმნილთათჳს მისგან, დასრულდა ცხორებისაგან თვთ თავისმკლველად ქმნილი თავისა თვისიად და მონაგები მისი ყოველი ანტიოხოს მიიღო.

## თ. 5

1\*. ხოლო მას ეამსა შინა, მოკუდა რამ და ონიაცა მღღელთმთავარი, ძმასა მისსა მისცა მღღელთმთავრობაჲ ანტიოხოს, რამეთუ ყრმაჲ, რომელი დაუტევა ონია, ჩჩვლ იყო მერმეცა, ხოლო მოვიცსენნეთ ამის ყრმისანიცა თჳსსა ადგილსა.

იისუს<sup>1</sup> უკუე, რამეთუ ესე იყო ძმა ონიამსი, მღღელთმთავრობაჲ მიეღო, მეფისა მიერ შერისხულსა და მიმცემელსა მისსა უჭაბუკესისა მისისა ძმისათჳს, სახელით ონიამსა, რამეთუ სიმონისა ესე საშინი იქმნნეს ყრმანი და სამთავე მიმართ მიიწია მღღელთმთავრობაჲ, ვითარცა ცხად-გყავით. იისუ ვიდრემე იასონად გარდასახელა თავი თჳსი, ხოლო ონია იწოდა მენელაოდ.

ზედ-აღუდგა უკუე პირველი მღღელთმთავარი იისო შემდგომად მისსა დადგინებულსა მენელაოსსა და სიმრავლე განიყო მრჩობლთავე მიმართ და მენელაოსს ვიდრემე კერძოდ ტოვიამს ყრმანი იქმნეს. ხოლო უმრავლესი ერისაჲ იასონს შეეწეოდა, რომლისა მიერ დაპირებულნი მენელაოს და ტოვიამს ყრმანი ანტიოხოსს მიმართ წარვიდეს/და აღუწყეს მას, ვითარმედ მნებებელ არიან მამულთა სჯულთა და მოქალაქობისა მათისა დამტევებელნი შემდგომად სამეფოთა და ელლინებრივისა მოქალაქობისა ქონებად. ევედრნეს უკუე მას, რამთა უბრძანოს მათ აღშენებაჲ სამოლუაწიოსა იეროსოლჳმათა შინა. ხოლო მიუტევა რამ ესე, სარცხუნელთაცა დაკუთითლებაჲ განაცხადეს, რამთა იყენენ აღძრკუთაცა ელლინნი, თანად სხუათა ყოველთა, რაოდენნი იყვნეს მამულ მათდა, დამტევებელნი მიემსგავსებოდეს სხუა ნათესავთა საქმეებსა.

216

21\*. ხოლო ანტიოხოს, მეფობისა მისისა წარმართებასა შინა, ეგვიპტისა ზედა აგრძნა აღმკვდრებაჲ, სურვილისა მისსა მქონებელმან და შეურაცხუფისათჳსცა პტოლემეოსს ყრმათაჲსა, მერმეცა უძლურად მყოფთა და არცა ესევითართა საქმეთა განგებად შემძლებელთაჲსა. მიწევნულმან უკუე მრავლისა თანა ძალისა პილუსიოდ და ზაკუევით ფილომიტოროსს პტოლემეოსს გარემოდგომილმან, დაიპყრა ეგვიპტე. და მიწევნულმან მემფის ადგილთა შინა და დამპყრობელმან მისმან, ალექსანდრიად მიიშარათა, ვითარ ოკრებად გარე-

<sup>1</sup> იოსუ A.

\* I მაკაბ. 1,12. 1\* მაკაბ. 1,16.

მოდგომად მისმან და მუნ მმეფობისა პტოლემეოჲს კელთდებულმან. ხოლო განყენებულ-იქმნა არა ალექსანდრიაჲსაგან მხოლოდ, არამედ ყოვლისა ეგვიპტისაგანცა, ვინაჲთგან რომთა მიერ მცნებულ იყო განშორებასა ქუეყანისაგან, ვითარცა და უწინარესცა სადმე სხუათა შინა ცხად-მიყოფიეს.

ხოლო მოთხრობა-ვეო კერძოებით ამის მეფისა ძლითათჳს, რომელმან იუდეაჲ და ტაბარი კელთ-იგდო, რამეთუ პირველსა მოქმედებულსა. ჩემსა შინა თაჲოანად მათმან მომქსენებელმან საჭიროდ შეეპრაცხე აჲ ზედმიწევნით მოთხრობისა მათისა მიმართ აღსლუად.

3. უკუმოქცეულმან ეგვიპტით რომთა შიშისათჳს, მეფემან ანტიოხოს იეროსოლკმელთა ქალაქსა ზედა აღიშვედრა და მიწვენულმან მუნ წელსა მესასა და მეორემოცესა და მესამესა სელევკოჲს მეფისაჲთგან, უბრძოლელად მიილო ქალაქი, რამეთუ განუხუნეს მას ბჳენი, რაოდენნი წინააღრჩევისა მისისანი იყვნეს. და ესრეთ მპყრობელქმნილმან იეროსოლკმათამან მრავალნი მოაკუდინნა, წინააღმდეგომთასა მბრძნობნი, და საკმართა მრავალთა წარმტყუენველი უკუნ-იქცა ანტიოქიად.

4\*. ხოლო შემდგომად წელთა ორთა, მესასა და მეორემოცესა და მეხუთესა წელსა, მეხუთესა თჳსასა და მეოცესა, რომელი ჩუენ მიერ ვიდრე მე იწოდების ხასელევს, ხოლო მაკედონთაგან — აპელეოს, ოლკმზიადსა მესასა<sup>1</sup>. და ორმეოცდამეათესა და მესამესა მრავლისა ძალისა თანა შეემთხვა იეროსოლკმად აღმოსლვაჲ მეფესა და მჩემებელი მშვედობისაჲ ზაკუეით დამპყრობელ-იქმნა ქალაქსა. ხოლო მაშინ არა ჰრიდა არცა შემწყყნარებელთა მისთა ტაძრისა შინაჲსა სიმდიდრისათჳს, არამედ ანგაპრებისა მიერ, რამეთუ ოქროსა ხედვიდა ფრიადსა ტაძარსა შინა და სხუათა აღნადებთა სამკაულსა მრავალფასსა. რაჲთა მიიტაცოს იგი, მოითმინა მათდა მრავალთა ფიცთა მისთა გარდასლვაჲ. განმძარტულმან უკუე ტაძრისამან, ვიდრელა და ჰურჳელნოცა ღმრთისანი იტვრთნა, სასანთლენი ოქროსანი და ვოშონი ოქროვანი და ტრაპეზი და სამსხუერპლონი; და არცა კრეტსაბმელთაგან განყენებულმან, რომელნი იყვნეს ვკსონისა და ძოწუელისაგან ქმნილნი, და წარ/მომატარიელუბელმან საუნჯეთათა დაფარულთამან და არცა ერთსა ყოვლითურთ დამტევებულმან, დიდსა გლოვასა შინა შთაყარნა ამათჳს იუდელნი. და რამეთუ დღითი-დღედთა მსხუერპლთა, რომელთა შესწირვიდეს ღმრთისა სჯულისაებრ, დააყენა შეწირვაჲ და მიმტაცებელმან ყოველსა ქალაქსა რომელნიმე მოაკუდინნა, ხოლო სხუანი ტყუედ<sup>2</sup> ცოლთა თანა ერთბამად და შვილთა მიიყვანნა, ვიდრე და მონადირებულთა სიმრავლე ბევრად იქმნა. დაწუნა უკუე და უშუენიერესნიცა მისნი და დამაწყობელმან ზღუდეთამან ქუემო ქალაქისა აღაშენა სიმაგრე, რამეთუ მალდ იყო და ზესთმდებარე ტაძრისა. და ამისთჳს განამაგრებელმან მისმან ზღუდეთა მიერ მალდთა და კოშკთა, მტველნი მაკედონელნი დაადგინნა მას შინა. ხოლო მკვდრობდეს მას შინა არა მცირენი უუსახურესნი სიმრავლისანი და ბოროტნი ქტევითა, რომელთა მიერ მრავალთა და მჳენვარეთა შეემთხუეოდა ვნებაჲ მოქალაქეთა. ხოლო აღმაშენებელმან და სამსხუერპლოსაცა ზედა ვოშონისამან, მეფემან ღორნი დაკლა მას ზედა, მსხუ-

<sup>1</sup> მესასა A. <sup>2</sup> ტყვდ.

\* | მკაბ. 1,29—55—44.

ერპლსა არა სჯულიერსა, არცა მამეულსა იუდეულთა მსახურებისასა აღმასრულებელმან. და აიძულებდა მათ, დამტევებელთა ღმრთისა მათისა მსახურებასა, მის მიერ თნებულთა პატივისცემასა. ხოლო აღმაშენებელთა თითოეულსა ქალაქსა და დაბასა შინა ტაძართა მათთვის და ვომონისა აღმმართებელთა, მსხუერპლუვად მათ ზედა ღორთაჲ დღითი-დღე უბრძანა. უბრძანა უკუე არცა წინადაკუეთაჲ შეილთა მათთაჲ, ტანჯვასა მაქადებელმან, უკუეთუ ვინმე გარეშე ამათსა მოქმედი იპოვოს. ხოლო დაადგინნა ზედმოხმბილველნიცა, რომელნი აიძულებდენ მათ მცნებულთა ყოფად. და მრავალნი ვიდრემე იუდეულთაგან, რომელნიმე ნებსით და რომელნიმე მოშიშებისათვის აღთქუმულისა სატანჯველისა, შეუდგებოდეს მათ, რომელნი მეფესა<sup>1</sup> განწყესნეს. ხოლო სსუანი, მკენნი და სულითა ახოვანნი, არად შეჰრაცხდეს მისასა, არამედ და მამულთა წესთათვის უმეტესი ზრუნვად აქუნდა, ვიდრედა სატანჯველისაჲ, რომელი აქნდა მათ, არა მარწმუნებელთა. და ამისთვის ყოველსა დღესა, ტანჯულნი და მწარეთა გუემართა მომთმენელნი, მოკუდებოდეს. და რამეთუ გუემულნი და სხეულითა განხრწნილნი, მერმეცა ცოცხალნი და მფშენვიერნი, აღიჭუარგოდეს. ხოლო ცოლთა და ყრმათა მათთა, რომელთა წინა-დაჰკუეთდეს გარეგან მეფისა განზრახვისა, მოაშობდეს, ყელთა ზედა ჯუარცუმულთა მშობელთასა შთამომკიდებელნი. ხოლო უჩინო-იქმნებოდა. უკუეთუ სადმე წიგნი იპოვის სამღდელოჲ და სჯული და რომელთაცა შორის იპოვის, ესენიცა ბოროტად წარწყმულებოდეს.

5. ამათ მენებელად მხედველნი სამარტელნი იუდეულთანი არღარა აღიარებდეს ნათესავად ყოფასა მათსა, არცა ღარიზინს მყოფსა ტაძარსა დიდისა ღმრთისასა, ბუნებით მოქმედნი შემდგომთანი, რომელთათვის წარმოაჩინეს და მეტყუელნი თაეთა თვსთანი მიდთა და სპარსთაგან გარდმოსახლებასა და რამეთუ არიანცა მიერ მყოფნი. წარმავლენელნი უკუე ანტიოხოზს მიმართ მვედრებელთა და ეპისტოლისანი, განუხებადებდეს ქუემო წერილთა.

„მეფისა ანტიოხოზს, ღმრთისა ეპიფანესა, მოსა/კსენებელი სიკიმათა შინათა სიდონელთანი: რომელთამე გულავათათვის ადგილისათა შედგომილთა ძუელისა რომლისამე ბედნიერობისათა, ჩუეულებად-ყვეს მსახურებად იუდეულთა მიერ სახელდებულსა შაბათთა დღესა. ხოლო აღმმართებელნი ღარიზინს შინა სახელდებულსა მათსა უსახელოვსა ტაძრისანი, მსხუერპლვიდეს მას ზედა ჯერისიებერთა მსხუერპლთა. ხოლო შენ იუდეულთა სიბოროტისა მათისა ღირსად მიაგე რაჲ, განმგებელნი სამეფოთანი, მეკუელნი ნათესავობისა ძლით მათისა ამათსა ქმნასა ჩუენ მიერ, მსგავსთავე მიზეზთა შეგუახებენ ჩუენ, მყოფთა დასაბამითგან სიდონელთად და ესე საჩინო არს სამოქალაქოთა აღწერათაგან. გევედრებით უკუე შენ, შემოქმედსა და მაცხოვარსა, რაჲთა უბრძანო აპოლონიოსს მერიადარქსა<sup>2</sup> და ნიკანორს, სამეფოთა განმგებელსა, არა განცდად ჩუენდა მიზეზსა იუდეულთასა მომწვენელთა ჩუენ ზედა, ეინათგან ჩუენ ნათესავითა და წესითა უცხონი ვართ მათგან. ხოლო იწოდოს უსახელოჲ სამღდელოჲ დიოზს ელინნიოზსად, რამეთუ ესე რაჲ იქმნეს, დავსცხრეთ ჩუენ ძურხილულობისაგან, ხოლო საქმეთა მოცალებით მოქმედნი უმეტესთა მოსავლთა მოქმედ-ყვენეთ შენდა“.

217

<sup>1</sup> მეფე აკ.

<sup>2</sup> წმ მესობდოქ 12<sub>281</sub> (=გარკვეული ტერიტორიის მმართველი).

ამათ რამ მვედრებელ-იქმნენს სამარტინი, ნაცვალ-უწერნა მათ მეფემან ესენი:

„მეფე ანტიოხოს ნიკანორს! სიკიმაჲს შინათა სიღონელთა მოგუცეს მოსაქსენებელი, ვინამთგან უკუე განმზარახებელთა ჩუენ მოყუარეთა თანა წარმოგვდგინეს წარმოვლინებულთა მათ მიერ, ვითარმედ არაარაჲთ ეზიარებთან ნაცოდვებსა იუდელთასა, არამედ ელლინებრივთა წესთა მნებებელ არიან მკუმეველნი ცხორებად, განუტევებთ მათ მიზეზთაგან და მათ შორისი სამდელთა, ვითარცა მვედრებელ-იქმნენს, სახელ-იღვინ დიოჲს ელლინოჲსად“.

ესენი უკუე აპოლონიოსისაჲცა მერიდარქსა მიუმცნნა მეექუსესა წელსა და მერომეოცესა, თუესა ეკატომეონსა, კრკანიონსა რვასა და ათსა.

თ. 6.

1\*. ხოლო მასეჲ ქამსა შინა იყო ვინმე დამკვდრებულ მოდემის შინა, დაბასა იუდეასასა, სახელით მატათია, ძე იოანისი, სუმეონის ასამონელისაჲ, მღდელი ნაწილისაგან იოარვიოჲსა, იეროსოლჲმელი. ხოლო იყვენს მისა ძენი ხუთნი: იოანნი, დადიდ წოდებული და სიმონ, თათიდ წოდებული და იუდა, მაკავეოდ წოდებული და ელეაზაროს, აგრან წოდებული და იონათის, აფუდ წოდებული. ესე უკუე მატათია გოდებდა შვილთა თვსთა თანა შემრლუევისათჲს საქმეთასა და წარტყუენვისათჲს ქალაქისა და ტაძრისა განფხურისათჲს და ერისაგანსა ცოდვათათჲს. თანად იტყოდა, ვითარმედ უმჯობეს არს მათჲს მამულთა სჯულთათჲს სიკუდილი, ვიდრე ესრეთ უსახურად ცხორებამ.

21\*. ხოლო მოიწინეს რამ მოდემიდ დაბად მეფისა მიერ. დადგინებულნი ქმნად იძულებასა იუდელთასა, რომელთა ბრძანებულ იყვენს მსხუერპლვად მბრძანებელნი მას შინათანი, ვითარცა მეფესა ებრძანა, ხოლო დიდებოსათჲს და სხუათა ძლითცა და შეილკეთილობისათჲს ეტყოდეს მატათიას წინადაწყებასა მსხუერპლვითასა, რამეთუ შეუდგენ მას მოქალაქენიცა. და ამისთვის პატივცემულ-იქმნენს მეფისაგან. და მატათი უკუე ეტყოდა არა ქმნად არცა უკუეთუ სხუანი ყოველნი ნათესავნი ანტიოხოჲს ბრძანებათა ანუ შიშისათჲს, გინა კეთილყოფისა ჰმორჩილობენ, არცა ოდესვე ირწმუნოს შვილთა თანა და მამულსა მსახურებასა დატევებამ. ხოლო ვინამთგან დადუმნა ესე და მისრულმან ვინმე იუდელთაგან უმსხუერპლა საშუგად, ვითარცა ებრძანა ანტიოხოსს, განრისხებულმან მატათია მიიმართა მას ზედა ყრმათა თანა, მქონებელთა მახვლთასა და თანად იგი განზრწნა და მკედართმთავარი მეფისაჲ აბელი, რომელი აიძულებდა, მოაკუდინა მცირეთა თანა მკედართა. და ვომონისა დამამკობელმან კმაყო: „უკუეთუ ვინ მოშურნე არს მამულთა წესთათჲს და ღმრთისა სჯულისათჲს, შემომიდევინ მე“ — იტყოდა. და ამომან მტყუელმან შვილთა თანა უდაბნოდ მიიმართა, დამტევებელმან ყოვლისა მისისა მონაგებისამან დაბასა შინა. და მასეჲ მოქმედნი სხუანიცა შვილთა თანა და ცოლთა ივლტოდეს უდაბნოდ და ქუბთა შინა მკვდრობდეს.

ხოლო ამათნი მსმენელნი მკედართმთავარნი მეფისანი და ძალსა, რაოდენი იყო ზენა ქალაქსა იეროსოლჲმათასა, მიმყვანებელნი, სდევნიდეს უდაბნოს იუდელთა. და მწვენელთა პირველად ვიდრე კელ-ყვეს დარწმუნებამ მათ.

რამათა შემანანებელთა<sup>1</sup> აღირჩიონ უმჯობესი და არა იძულებამ მიიღონ თავთა მათთა ზედა, ვიდრელა ბრძოლიანი მოიკუდინნენ მათ მიერ. ხოლო ეინათგან არა შეიწყნარებდეს სიტყუათა მათთა, არამედ წინააღმდეგობთა ბრძნობდეს, განეწყენეს მათ ბრძოლად შაბათთა დღესა შინა და ვითარ იყვნეს ესრეთ ქუაბთა შინა, დაასაჯუმილნეს იგინი, არცა ერთად წინაგანწყობილნი, არამედ არცა შესავალთა დამკველნი. ხოლო წინაგანწყობად დღისათვის დაყენებულ-იქმნეს, არცა ბოროტთა შინა შაბათთა პატიესა გარდასლვად მნებებელნი, რამეთუ უქმობამ სჯულ არს ჩუენდა. მას დღესა შინა მოკუდეს ვიდრემე უკუე ცოლთა თანა და შვილთა, მოშთობილნი ქუაბთა შინა, ვითარათასნი. ხოლო მრავალნი ცხოვრებულნი მატათიას შეუდგეს და მთაერად განაჩინეს იგი. ხოლო იგი შაბათთაცა შინა ასწავებდეს მათ ბრძოლასა, მეტყუელი, ვითარმედ უკუეთუ არა ყონ ესე, დამკველნი სჯულისანი თავთა თვსთა მბრძოლ იყვნენ, რამეთუ მტერნი მას დღესა შინა ეწყობვოდიან მათ. ხოლო მათ, არა მბრძოლთა, არცა ერთი რამ მაყენებელ-ექმნეს ესრეთ უბრძოლელად წარწყმედად ყოველთა. ამათმან მეტყუელმან არწმუნა მათ და ვიდრე აქამოდღე დადგრომილ არს ჩუენ შორის შაბათთაცა შინა, უკუეთუ ოდენმე საკმარიქმნეს ბრძოლამ. შემკრებელმან უკუე ძალისა მრავლისამან მის თანა მატათთა, თანად ვომონნი დაამკუნა და მკოდველნი მოაკუდინნა, რაოდენთა შემძლებელ-იქმნა კელისქუეშ მიყვანებად, რამეთუ მრავალნი შიშითა განთესნეს გარემოხსთა ნათესავთა მიმართ. და ყრმათა, არა წინადაკუეთილთამ, ბრძანა წინადაკუეთამ, მაყენებელად დადგინებულთა განმდევნელმან.

3\*. ხოლო მმთავრობმან წელსა ერთსა და შთავრდომილმან სენად, მოუწოდა ყრმათა თვსთა და გარემოხს მდგომარეთა — „მე ვიდრემე, თქუა, ომ ყრმანო, წარვალ წილხუდომილსა გზასა. ხოლო დაგიტევებ თქუენ განზრახვასა ჩემსა და გვეედრები, ნუ იქმნებით ბოროტნი მცველნი მისნი, არამედ მომკსენებელნი მშობლისა თქუენისა და აღმზრდელისა განზრახვასა, წესთა მცველ იყვენით მამულთა და ძვრხილულსა განხრწნად პირველსა მოქალაქობასა აღკმართებლით და ნუ თანა-აღერევით მათ, რომელნი გინა ნებსით, გინა იძულებით წინა-განსცემდენ მას. არამედ გვეედრები, ყრმად ჩემდა მყოფნი დაადგერით და იძულებასა ყოველსა და კირსა ზეშთა ექმნენით, ესრეთ შემზადებულნი სულთანი, ვიდრელა უკუეთუ და საჭირო<sup>2</sup> იყოს სიკუდილად სჯულთათვის, გულისმსიტყუველნი ამისნი, ვითარმედ საღმერთოამ, ესრეთ მხედველი თქუენი არა უგულლებელს-გყოფს, არამედ სათნოებასა მიმთუალველმან მოგკეს ამან კუალად თქუენ თავისუფლებამ, რომელსა შინა სცხონდებოდით, უშიშოებით თვსთა წესთა შინა დაყენებულთა. რამეთუ მოკუდავ<sup>3</sup> არიან სხუელნი ჩუენნი განხრწნადნი, ხოლო ვსენებითა საქმეთათამა წესსა უკუდავებისასა<sup>4</sup> მივიღებთ, რომლისა ტრფიალებულთამ თქუენი მნებაეს ძიებამ კეთილისა დიდებისამ და, დიდთა მომთმენელნი, ნუ მპცონარებთ მათთვის დაკლებასა ცხოვრებისამან. ხოლო უფროხსდა ერთობასა განგაზრახებ თქუენ და რომლისაცა მიმართ თქუენგანი რომელიმე უმჯობეს იყოს სხვსა, ამისა მიმართ დამორჩილებულნი ურთივრთას თვსთა იკუმეველით სათნოებათა. და სი-

218

1 შემანანებელთა AQ. 2 სუირო A. 3 მოკუდ'ვი AQ. 4 უდავებისა AQ.

\* I შაკაბ. 2,49.

0 შესწავე შენიფერი.

მონ ვიდრემე, ძმა თქუენი, გონიერებითა ზესთქონი, მამად შეპრაცხეთ და რომელთაცა ესე განგაზრახებდეს, ირწმუნებდით. ხოლო მაკაკევიამ, სიმკნისათვის მკედრობისა და ძალისა, მკედართმთავრად გაქუნდინ, რამეთუ ამან უსაჯოს ნათესავსა და შურ-იგოს მბრძოლთა ზედა. შეიწყნარებდით უკუე მართალთაცა და ღმრთისმსახურთა და ძალსა თქუენსა აღაორძინებდით“.

4\*. ამათი მეტყუელი ყრმათა მიმართ და მეედრებელი ღმრთისამ თანამბრძოლ მათდა ქმნად და ღრსა მიცემად კულად თვისისა ცხორებისა ჩუეულეებასა, შემდგომად არა მრავლისა აღსრულდა და დაეფლა მოდიემს შინა. და გლოვამ მას ზედა დიდი იქმნა ყოვლისა ერისაგან. ხოლო მიითუალა წინა-მდგომელობამ ყრმამან მისმან, იულა მაკაკევისმან, მეასესა წელსა და მეორ-მეორცესა და მეექუსესა და თანაშეწევნითა ძმათათა გულსმოდგინედ და სხუთათათაცა. თანად მბრძოლნი განასხნა ქუეყანისაგან და უსჯულოებასა უტხო ნათესავთასა მყოფელნი მამულთა მიმართ მოაკუდინნა. და განწმიდა ყოვლისაგან შეგინებისა ქუეყანამ.

თ. 7

11\*. ამამან მსმენელმან აპოლონოსს, სამარიამსა მკედართმთავარმან, მიმყვანებელმან ძალისამან, მიიმართა იუდას ზედა. ხოლო ესე მიეგება მას, განწყობილმან სძლო ბრძოლასა შინა და მრავალნი მათგანნი მოაკუდინნა, რომელთა თანა მკედართმთავარიცა აპოლონოსს, რომლისა მახვლი, რომელსა იკუნედა იგი, მიმღებელმან მისგან თვთ იპყრა და უმრავლესნი წყულუყვნა და მრავალსა ნატყუენავსა მკედრობისაგან მბრძოლთამსა მიმღებელი, წარვიდა.

ხოლო სირონ, ღელისა სკრიაამსა მკედართმთავარმან, მსმენელმან, ვითარმედ მრავალთა მიიმართეს იუდაამსა და ძალსა მკონებელ არს ღუაწლთა მიმართ და ბრძოლათა მკნესა<sup>1</sup>. აგრძნა მას ზედა აღმკედრებამ, შემრაცხელმან, ვითარმედ ჭერარს ბრძანებათა მიმართ მეფისათა უსჯულოებისა მოქმედთა სჯამ შემკრებელი უკუე ძალისამ, რაოდენი/იყო მისა და თანდაამწესებელი იუდელთამცა, ღტოლეილთა და უსახურთამ, იუდას ზედა მიიწია. და მიწეენული ვიდრე ვეთორონ, დაბადმდე იუდეამსა, მუნ დაბანაკებულ იქმნა.

ხოლო იუდა, შემთხუეულმან მისდა და წყობად მნებებელმან, ვინაათგან ზედვდა მკედართა სიმცირისათვის და უსაზრდელობისა, რამეთუ მარხვეულ იყვნეს, ბრძოლისა მიმართ მკონარედ, განამკნენა იგინი, მეტყუელმან: „არა სიმრავლესა შინა არს ძლევა და დაპყრობამ მბრძოლთამ, არამედ მსახურებასა შინა ღმრთისასა. და ამისგან უცხადესსა იგავსა მკონებელ არიან მშობელთა, რომელთაცა სიმრავლისათვის და თვისთა სჯულთა და შეილთათვის ღუწისა ძლით მრავალთა მრავალგზის სძლიეს ბევრეულთა, რამეთუ არარამს უსამართლოებამ ძლიერი ძალი არს.“ ამათმან მეტყუელმან არწმუნა მის თანათა სიმრავლესა წინააღმდეგობასა. შეურაცხისყოფელთა ერთბამად მიმართებამ სირონოს ზედა. და განწყობილმან მიდრიკმა სკრნი, რამეთუ დაეცა რამ მკედართმთავარი, ყოველთა ღტოლუად მიიმართეს, ვინაათგან ამას შინა მდე-

<sup>1</sup> მკნესა A.

\* I მკაბ. 2,69. <sup>10</sup> I მკაბ. 3,10.

ბარე იყო ცხარებად მათი. ხოლო მდევნელმან ვიდრე ველთამდე მოაკუდინნა მბრძოლთაგანნი რვაასნი, ხოლო ნეშტნი ცხონდეს ზღესპირად.

2°. ამათი მსმენელი ანტიოხოს დიდად განრისხნა ქმნილთა ზედა და ყოველსა ძალსა თვისსა შემკრებელი და მრავალთა ჭალაკებისაგან სასყიდლით მიმყენებელი, განემზადებოდა დაწყებასა ეარისასა იუდეას შესვლად. ხოლო ვინაფთგან მკედრობასა ზედა განმყოფელი ხელვიდა მოკლებასა საუნჯეთასა და საკმართა ნაკლულევაენებასა, რამეთუ არცა ხარკნი ყოველნი სრულ-იქმნებოდეს კლდომისათვის ნათესაეთაჲსა, დიდსულად და ნიჭთმოყუარედ მყოფი არა კმა-იყოფოდა მყოფთა. და სთნდა პირველად, სპარსეთსა წარსრულსა, ხარკთა ქუეყანისათა შეკრებად, დამტევებელმან უკუე საქმეთა ზედა ლესიას ვისმე, დიდებასა მქონებელსა მის წინაშე და ეგვიპტისა მთათაფთგან და ქუემო ასიაჲსა ეფფრატით მდინარითგან განმგებელსა, და კერძოსაცა რომელსამე ძალინასა და ელეფანტთა\* დამტევებელმან ზრდად ვიდრემე ანტიოხოს, ძისა მისისაჲ, ყოვლისა თანა ზრუნვისა ამცნო ვიდრე მოწივენადმდე მისდა, ხოლო დამკობად იუდეაჲსა და მას შინა დამკვდრებულთა წარტყუნეჲა და უჩინო-ყოფად იეროსოლქმათაჲ და ნათესავისა წარწყმედაჲ უბრძანა. და ამათი ვიდრემე მამკნებელი ლესიასი, მეფე ანტიოხოს განემკედრა პერსიდად მესესა და მეორემოცესა და მეშვდესა წელსა და განმწიადებელი ეფფრატისაჲ აღვიდოდა ზენა კერძო მყოფთა სატრახთა მიმართ.

32°. ხოლო ლესია, გამომრჩეველმან პტოლემოსს დორკმენისამან და ნიკანორის და ღორგიასმან, მამაკაცთა ძლიერთა, მეფისა მოყუარეთამან და მიმცემელმან მათდა ქუეითსა ვიდრემე ძალსა ბევრთა ოთხთაჲ, ხოლო ცხენისანთა შვდ ათასთა, წარავლინნა იგინი იუდეასა ზედა. და მათ უკუე, ვიდრე ემშაუს ქალაქადმდე მიწვენულთა, ველსა ზედა დაიბანაკეს.

და მოვიდეს მათდა თანა/შემწეინი სკრიამსა და გარემოჲსთა სოფლებთაგან და მრავალნი ლტოლვილთა იუდელთაგანნიცა და ამას თანა ვაჭარნიცა ვიეთნიმე, ვითარ მომსყიდელნი ტყუექმნადთანი, საკრველთა ვიდრემე მიმლებელნი, რომელთა მიერ შეკრნეს პყრობილნი, ხოლო ვეცხლსა და ოქროსა ფასად მათდა მიმცემადნი. ხოლო მკედრობასა და სიმრავლესა წინააღმდეგობასა განმცდელმან იუდა არწმუნა თვისთა მკედართა განმკნობად და უბრძანებდა სასოებათა ძლევისათა ღმრთისა მიმართ მქონებელთა ამისა ვედრებად, მამულისა სჯულისაებრ ძაძისა მომდებელთა და ჩუეულებითსა სახესა ვედრებისასა, დიდთა ძყრხილულობათა შინა მაჩუენებელთა მისდა და მისა ვედრებად მინიჭებასა მათდა ძლევისა მტერთა მიმართ. განმწივენებელი მათი ძუელონა წესისაებრ და მამულისა, ათასთმთავართაჲ და წესთმთავართაჲ და ახალქორწინებულთა განწეტვებელი და მონაგებთა ახლად მომლონეთაჲ, რაჲთა არა მათ მიერისა შუეებისათვის სიცოცხლისმოყუარენი უკადნიეროდ მბრძოლობდენ, დადგომილი ესევეითართა სიტყუათა მიერ განამკნობდა ლუწლისა მიმართ მკედართა მისთა:

„უამი ვიდრემე თქუნდა არა სხუად უსაჭიროეისნი ამისგან, ოჲ მოყუარენო, კეთილსულობისა ნამართ და ძყრისხილვათა შეურაცხყოფისა დატევე-

1. უარისასა AQ, τὸν ἀπαρξ 12<sub>29a</sub> (= გაზაფხული). 2 უთხო. \* I მაკაბ. 3,27. 1° τὸν ἀπαρξ 12<sub>29a</sub> (= სპილოთა). 2° I მაკაბ. 3,38; 3,58.

ბულ არს, რამეთუ აწ არს მკნელ მოლუაწეთათჳს თავისუფლებასა მიღებაჲ, რომელი და თვთცა საყუარელად მყოფი, თქუენ ყოველთაგან კელმწიფებით მსახურებისათჳს ღმრთისა უმეტესლა სასურველ-ყოფაჲ შეგემთხუევის<sup>1</sup>. ესრეთ უკუე დადებულქმნენით თქუენ, ვითარ მიღებად ამას და კეთილბედნიერსა და სანატრელსა ცხორებასა კულად მოგებად. ხოლო ესე არს სკულისაებრი და მამული ჩუეულებაჲ, ანუ უშუერთა ვნებად და არცა თესლსა ნათესავისა თქუენისასა დანეშტებად ბოროტქმნილი ბრძოლასა შინა. ესრეთ ილუაწეთ, სიკუდილსა ვიდრემე და არა ბრძოლილიცა მომლოდენი, ხოლო ესოდენთა ლუაწლთათჳს, თავისუფლებისათჳს მამულისა, სკულთა კეთილ-მსახურებისა საუკუნესა დიდებასა მოგებად მრწმუნებელნი განჰმზადებდით უკუე ესრეთ სულთა, ვითარ ხვალე ერთბამად<sup>2</sup> დღისა მოწვენასა თანაგანწყობილი მბრძოლთანი<sup>3</sup>.

4\*. და იუდა ვიდრემე ესენი, განმამკნობელმან მკედრობისამან, თქუნა. ხოლო მბრძოლთა წარავლინეს ღორგია ხუთასთა თანა ქუეითთა და ათასთა. ცხენოსანთა, რაათა ღამით ზედ-დაეხსას იუდას და ამის მიმართ მძლუარნიცა აქუნდეს მას ვიეთნიმე ლტოლვილთა იუდეულთაგანნი. ხოლო მატათიამს ყრმამან, მცნობელმან, აგრძნა მანცა ბანაკსა შინა მყოფთა მბრძოლთა ზედდაღებაჲ და ამას თანა განყოფილებასა ძალისა მისისასა. ჟამსა უკუე მსერებელი და მრავალთა ცეცხლთა დამტევებელი ბანაკსა შინა, ღამე ყოველ ვიდოდა ემპაუს შინა მყოფთა მბრძოლთა ზედა. ხოლო არა მპოენელმან ბანაკსა შინა მტერთამან ღორგია, არამედ მეტუელმან მათთა შინა წარსრულთა დამალვასა, წარსრულმან აგრძნა ძიებამ, სადაცა მყოფ იყვნენ. ხოლო განთიად აღმოუჩნდა ემპაუს შინა მყოფთა მბრძოლთა იუდა სამ ათასთა თანა უნდოდ აღჭურვილთა სიგლახაქისათჳს და/მხილველმან მტერთა, რჩეულად აღჭურვილთამან და შეცნიერებითა მრავლითა დაბანაკებულთამან, მომწოდებელმან იუდეულთამან და ვითარმედ შიშულითაცა სხეულითა ბრძოლად ჟერ-არს და ვითარმედ ღმერთმან ოდესმე და<sup>4</sup> ესრეთ მქონებულთაცა უმრავლესთა მიმართ და აღჭურვილთა ძლევაჲ მოსცა, მიმთუალველმან სულკეთილობისა მათისამან, უბრძანა უწყებამე მენესტუეთა. ამისა შემდგომად ზედდაცემულმან მბრძოლთამან მოულოდებელად და განმაცვრებელმან გონებისა მათისამან რა შემამრლუეველმან, მრავალნი მათგანნი, წინააღმდეგობილინი<sup>5</sup>, მოაკლდინნა და სხუათა მდევნელი მიიწია ვიდრე ღადარათადმდე და ვიდრე ველთადმდე იდუმეაჲსა და აზოტისა და იანნიასათა. დაეცნეს უკუე მათგანნი ვითარ სამ ათასნი. ხოლო იუდა ნატყუნავეთა არა გულისთქმებდა უბრძანებდა მკედრებათ მისთა, რამეთუ მერმეცა ღუაწლი რომელმე და ბრძოლად არს მათოჳს ღორგიაჲს მიმართ და მისთანასა ძალისა. ხოლო სძლონ რაჲ ამათცა, მაშინდა ძარცუასა ეტყოდა უშიშოებით, ამას მხოლოდ მქონებულნი და არარას სხუასა მომლოდენი. ამათ რაჲ მტყუელებდა იგი მკედართა მიმართ, აღმხილველთა ღორგიაჲს მკედართა, მკედრობამე ვიდრემე, რომელი ბანაკსა შინა დაუტევეს, იხილეს ძლეულად, ხოლო ბანაკი ცეცხლითა აღლუელად, რამეთუ ამათ კუამლი, შორსმყოფთა, შემთხუეულისა უწყებასა მიართუმიდა. ვითარ უკუე ესენი ესრეთ ქონებულად ისწავნეს ღორგიაჲს თანათა ღა იუდაჲს თანანი განმზადებულად იხილ-

<sup>1</sup> შემთხუევის. <sup>2</sup> ერთბამად AD. <sup>3</sup> დე A. <sup>4</sup> წინააღმდეგობილინი A Q D, წინააღმდეგობინი S.

<sup>5</sup> I მაკაბ. 4,1; 4,17.



ნეს განწყობისა მიმართ, და ესენიცა, შეშინებულნი, ლტოლვად მიდრკეს. ხოლო იუდა, ვითარ უბრძოლველად ღორგიაფსთანათა მკედართა ძლეულთა სძლო, უკუნქეული მიიღებდა ნატყუენავთა, მრავალსა ოქროსა და ვეცხლსა და პორფურასა და კაინთოსა მიმღებელი, თვისად სოფლად უკუნ-იქცა, მოხარული და მაქებელი ღმრთისად წარმართებათა ზედა, რამეთუ არა მცირედ შეეწეოდა მათ ძლევაჲ თავისუფლებისა მიმართ.

5\*. ხოლო ლესია<sup>1</sup>, შემრლუეული წარვლინებულთა ძლევისა ზედა, მომავალსა წელსა ბევრთა მამაკაცთა რჩეულთა შემკრებელი, ექუსთა და ხუთათასთა მიმყვანებელი ცხენოსანთად, იუდეად მივიდა. და აღსრულმან მთის პირად, ვეთსურათა შინა, დაბასა იუდეაჲსასა, დაიბანაკა. ხოლო მიეგება ბევრთა თანა იუდა და სიმრავლესა მბრძოლთასა მხილველი, თანაშემწე ქმნად მისდა ღმერთსა ევედრებოდა. და განწყობილმან წინამავალთა წინააღმდგომთამან, სძლო მათ და მომაკუთდინებელი მათგან ვითარ ხუთ ათასთად, სხუათა საშიშ იყო. ამისთვისცა გულისკმისყოფელი ლესია იუდეულთა განზრახვისად, ვითარმედ მზა არიან სიკუდილად, უკუეთუ არა ცოცხლებდენ თავისუფლებით და შეშინებული თავგანწირულობისა მათისა ძლიერისაგან. მიმყვანებელი ნეშტისა ძალისად უკუნ-იქცა ანტიოქიად. და მუნ იქცეოდა უცხოთა შემკრებელი და შემზადებული უდიდესითა მკედრობითა იუდეად წარსლებისათჳს.

6\*. ესეოდენგზის უკუე ძლეულებასა ანტიოხოს მეთვისა მკედართმთავართასა, შესაკრებელად მიმწოდებელი იუდა იტყოდა — შემდგომად მრავალთა ძლევათა, რომელნი ღმერთმან მოსცნა მათ, ჯერ-არს აღსლვად იეროსოლკმად და ტაძრისა განწმედაჲ და განწესებულთა მსხუერპლთა შეწირვაჲ. ხოლო მიწევნულმან ყოვლისა თანა სიმრავლისა იეროსოლკმად და ვითარ ოკრად პოვა ტაძარი და ბქენი დამწუარნი და ნერგნი უღაბნობისათჳს თავით თჳსით ტაძარსა შინა აღმოცენებულნი, გოდებად იწყო თჳსთა თანა ხილვასა ზედა ტაძრისასა შემრლუეულმან. ხოლო გამომრჩეველმან ვიეთმე მკედართა მისთაგან, უბრძანა ამათ ბრძოლად ზენა ქალაქისა მცველთად, ვიდრემდის ტაძარსა მათსა განსწმედდენ. და განწმედელმან მისმან გულსმოდგინებით. შეიხუნა კურქელნი ახალნი: სასანთლე, ტრაპეზი, ვომონი, ოქროჲსაგან ქმნილნი, ხოლო შექმნნა კრეტსაბმელნიცა კართანი და კარნი მათ ზედა დასხნა. და დამარლუეველმან სამსხუერპლოჲსამან, ახალი ქვათაგან შემტკიცებულთა აღაშენა, არა კუეთილთაგან რკინისა მიერ.

ხოლო მეხუთესა და მეოცესა ხასლევისა ზჳსასა, რომელსა მაკედონნი აპელლეოდ უწოდია<sup>2</sup>, აღანთნეს სანთელნი სასანთლესა ზედა და აკუმიეს ვომონსა ზედა და პურნი ტრაპეზსა ზედა დასხნეს და მსხუერპლნი დწუნეს. ახალსა საკურთხეველსა ზედა.

ხოლო შეემთხვა ამათი ქმნად დღესა მას, რომელსა შინა გარდავარდა. წმიდაჲ მსახურებაჲ მათი ხენეშად და საზოგადოდ წესად, შემდგომად სამთაწელთა, რამეთუ ტაძარსა, მოოკრებულსა ანტიოხოს მიერ, შეემთხვა ესევითარად დადგომად წელსა შინა საშოა. რამეთუ წელსა მეხუთესა და მეასესა

<sup>1</sup> ექუსთა A. <sup>2</sup> უწოდია AQ, უწოდენ S, უწოდენ D. <sup>3</sup> სასანთლესა A.

\* I მაკაბ. 4,26. 1\* I მაკაბ. 4,36.

და მეორეოცესა ეყენეს ესენი ტაძარსა, მეხუთესა და მეოცესა აპელლომასა თვისასა ოღვმპიადსა მესასესა და მეორეოცდამეთესა და მესამესა. ხოლო განახლებულ იქმნა მასვე დღესა შინა, მეხუთესა და მეოცესა აპელლომასა თვისასა, მერვესა და მესასესა და მეორეოცესა წელსა, ოღვმპიადსა მესასესა და ორეოცდამეთესა და მეოთხესა. ხოლო შეემთხვა მოოკრებამ ტაძარსა დანიილმას წინაწარმეტყუელებისაებრ უწინარეს ოთხასთა და რვათა წელთა ქმნილისა, რამეთუ ცხად-ყო, ვითარმედ მაკედონთა დაარღვონ იგი.

7°. ხოლო დღესასწაულობდა იუდა მოქალაქეთა თანა განახლებასა ტაძრისა მსხუერპლთასა დღეთა შინა რვათა, არა რომლისა სიხარულისა სახესა დამტევებელი, არამედ მდიდართა მიერ და ბრწყინვალეთა მსხუერპლთა მასერებელი მათი და ქებათა მიერ და გალობათა ღმერთსა ვიდრემე პატივსცემდეს, ხოლო თაეთა თვისთა ახარებდეს. ხოლო ესოდენი იკუმბის განახლებისათვის წესთამსა მხიარულებად შემდგომად მრავლისა ეამისა კელმწიფებასა შინა ქმნილთა მოულოდებელად სჯულისათა, ვიდრელა სჯულთად დადევს შემდგომად მათსა მყოფთათვის დღესასწაულობა განახლებისათვის ტაძრის შინა-სა მსხუერპლთამსა დღეთა რვათა შინა. და მიერითგან ვიდრე აქამომდე დღესასწაულსა აღესარულებთ, მწოდებელი მისნი „ნათელი“, ვჰგონებ გარე-  
 v გან სასოებისა გამობრწყინებისათვის ჩუენდა მას / კელმწიფებასა, სახელსა დამდებელი დღესასწაულისანი.

ხოლო მომზლუდელმან მრგულივ ქალაქისამან და ზედმოსლვისათვის მბრძოლთასა კოშეთა შალათა აღმაშენებელმან მცველნი დაადგინნა მას შინა. და ვეთსურაჲ ქალაქი განამტკიცა, რათა ნაცვალად სამცველომსა იძულებათა მიმართ მბრძოლთამსა ამას იკუმევედეს.

## თ. 8

1°. ამათსა ესრეთ ქმნილობასა გარემოხსთა ნათესავთა, განმცნობისათვის და განძლიერებისა იუდელთამსა მწუხარედ მდებარეთა, მრავლად შეკრებულთა განხრწნეს, მზირობათა მიერ და ზაკულებათა დაპყრობასა მათსა მექუელთა<sup>2</sup>. და ამას თანა ბრძოლათა მრავალთა განმღებელი იუდა მეცადინ-იყო დაყენებასა მათსა ზედმოსლვისაგან და ძვრთა, რომელთა უყოფდეს იუდელთა. და ისავომს ძეთა, იღუმელთა, აკრავატინნს ზედდადებულმან მრავალნი მათგანნი მოაკუდინნა და წარტყუენნა. და შემაწუღეველსა ვაანომს ძეთამცა, რომელნი უმზერდეს იუდელთა, გარემოდგომილი აოკრებდა და გოდოლნი მათნი დაწუნა და მამაკაცი მათნი განხრწნა. ამისა შემდგომად ამიერ ამანტელთა ზედა მიიმართა, ძალსა დიდსა და კაცმრავალსა მქონებელთა, რომელთა ტიმოთეოს უძლოდა. და მძლეველმან ამათმანცა იაზორომ განფხურა ქალაქი და ცოლთა მათთა და შვილთა ტყუედ მიმყვანებელი და ქალაქისა დამწუველი იუდეად უკუნ-იქცა. ხოლო ისწავეს რაჲ უკუნქვეამ მისი მახ-

\* | მკაბ. 4,56. 1° | მკაბ. 5,1. 2° ეს წინადადება AQS ხელნაწერებში შემდგენიარად არის წარმოდგენილი: „ამათსა ესრეთ ქმნილობასა გარემოხსნი ნათესანი, განმცნობისათვის და განძლიერებისა იუდელთამსა მწუხარედ მდებარენი, მრავლად შეკრებულნი განხრწნა, მზირობათა მიერ და ზაკულებათა დაპყრობასა მათსა მექუელმან“. ქართული თარგმანი გაეასწორეთ ზერძნული დედანი (A, 12327) მიხედვით.

ლობელთა ნათესავთა, შეკრბეს ღალადიტად, მათათა მათა შინა იუდეელთა ზედა. ხოლო მილტოლვილთა დიათემად სამცველოდ, წარავლინეს იუდაას მიმართ და განუცხადეს მას, ვითარმედ მიღებად მოსწრაფე არს ტიმოთეოს ადგილისა, რომელსა შინა მიივლტოდეს. წარკითხულ იქმნნეს რაჲ ეპისტოლე-ნი ესე, ღალილეადათცა მოვიდეს მოციქულნი, მათუწყებელნი, ვითარმედ შეკრებულ არიან პტოლემადღადათ და ტვროათ და სიდონით და სხუათა ნათესა-თაგან ღალილეადასათა.

2\*. მრჩობლთავე მიმართ უკუე საქმარებათა მცნებულთასა განმხილველ-მან იუდა რომლისაჲ ჟერ-არს მოქმედებაჲ, სიმონს ვიდრემე, ძმასა, უბრძანა, ვითარს სამ ათასთა რჩეულთა მიმყვანებელსა ღალილეაჲს შინათა იუდეელთა-თას. შემწედ განსლვაჲ. ხოლო მან და იონათის, სხუამან ძმამან, რჲ ათასთა თანა შეედართა მიიმართეს ღალადიტად. დაუტევა უკუე ნეშტთა ზედა ძალი-სათა იოსიპოსი ზახარიასი და აზარია. და უბრძანა მათ დაცვაჲ გულსმოდგი-ნებით იუდეაჲსი და არაეისა მიმართ ბრძოლაჲ, ვიდრემდის არა მოვიდეს იგ. სიმონ ვიდრემე, მოწვეულმან ღალილეად და განწყობილმან მტერთამან, ლტოლვად მიდრიკნა იგინი და ვიდრე ბქეთადმდე პტოლემიდაჲსათა მდე-ნელმან მოაკუდინნა მათგანნი ვითარს სამ ათასნი და ნაძარცვსა მოკუდინებულ-თასა მიმღებელი და მათგან ტყუექმნილთა იუდეელთაჲ და სამკაულსა მათსა მიმღებელი, სახიდ თვსად უკუნ-იქცა.

221

31\*. ხოლო იუდა მაკკავეოსი და ძმაჲ მისი იონათის, განსრულნი იორდა-ნესა მდინარესა და მიერ გზასა სამთა დღეთასა მავალნი, ნავატელთა, მშვლო-ბით მოგებებულთა, მიემთხვენეს, რომელთაცა მიუთხრეს ღალადიტის შინა-თათჳს, ვითარმედ მრავალნი მათგანნი ძვრხილულობენ სამცველოთა შინა შე-ყენებულნი და ქალაქთა ღალადიტისათა. და განზრახებდეს მას მოსწრაფე-ბად სხუა ნათესავთა ზედა და ძიებად მათგან ცხოვნებასა თანმოწათესეთასა. და რწმუნებული უკუნ-იქცა უდაბნოდ და ზედდადებულმან პირველთა ვოს-სორას დამკვდრებულთამან და მიმღებელმან მისმან და დამამკობელმან, ყო-ველი წული და ბრძოლად შემძლებელი განხრწნა და ქალაქი დაწუა. ხოლო ღამე რაჲ მოიწია, არცა ესრეთ დაყენებულ-იქმნა, არამედ წარსრული ღამე სამცველოდ, სადა იუდელთა წყუდელუბაჲ<sup>1</sup> შეემთხუეოდა და გარემოდგო-მილ იყო ადგილისა ტიმოთეოს მრავლისა თანა ძალისა. მიიწია მას ზედა და მმოვნელმან აწლა ზღუდეთა შეხებულად მბრძოლთამან და რომელთაჲე კიბე-თა მიმღებულად, რაჲთა აღვიდენ მათ მიერ, ხოლო სხუათა მანქანებათა, უბრ-ძანა მენესტრუსა უწყებაჲ. და განმამკნობელი მკედართაჲ ძმათათჳს და ნათე-სავთა ძვრხილულობად გულსმოდგინებით, სამად განმყოფელი მკედრობისაჲ დაეცა ზურგით მბრძოლთა ზედა. ხოლო ტიმოთეოს თანანი, მგრძნობელნი, ვითარმედ მაკკავეოს არს, გამოცდილებასა უწინარესცა სიმკნისა მისისა და ბრძოლათა შინა განმარჯუებისასა მქონებელნი, ლტოლვად მიდრკეს. და შედ-გომილმან მკედრობისა თანა იუდა მოსრნა მათგანნი რჲ ათასნი და მიდრე-კილმან მათჲე ქალაქად, ესრეთ სახელდებულად სხუა ნათესავთაგან, დაიპყრა ესეცა და წულნი ყოველნი მოაკუდინნა, ხოლო ქალაქი იგი დაწუა. და მიერ

<sup>1</sup> წყოდელუბაჲ. . .  
\* I მაკაბ. 5,16. 1\* მაკაბ. 5,24.

აღძრულმან თანად ხასფომაცი და ვოსსორაა და მრავალნი სხუანი ქალაქნი ღალადიტისანი დაამკუნა.

4\*. ხოლო არა მრავლისა ჟამისა უკუანაესენელ ძალისა დიდისა შემზადებული ტიმოთეოს და თანამებრძოლთა სხუათაცა მიმყვანებელი და ვიეთმე არავთაგანცა სასყიდლით მარწმუნებელი აღმკედრებად მის თანა, მივიდა, მიმყვანებელი მკედრობისაა წიად ნალუარევისა, პირის-პირ რაფოთა, ხოლო ქალაქი იყო ესე. და უბრძანა მკედართა, უკუეთუ განეწყვენენ ბრძოლად იუდეულთა, რამათა გულსმოდგინებით ილუაწონ და აყენებდა მათ განსლვად ნალუარევსა, რამეთუ უკუეთუ განვიდენ, ძლევად შემთხუევის მათ. ხოლო იუდა, მსმენელს შემზადებასა ტიმოთეოსსა ბრძოლისა მიმართ, მიმყვანებელი ყოვლისა ძალისა თვისისაა, მოსწრაფე იყო მბრძოლისა მიმართ. და განმწიადებელი ნალუარევისაა მიეტრევა მტერთა და რომელნიმე მათგანნი, წინადამთხუეულნი, მოსრნა, ხოლო სხუანი შიშად შთაყარნა და საჭურველებისა დამასრე/ველთა ღტოლვად აიძულა. და რომელნიმე მათგანნი განევლთენს, ხოლო სხუანი, კარნაინ წოდებულად ტაძრად შელტოლვილნი, სასოებდეს მიმთხუევასა ცხოვრებისასა. ხოლო იუდა, ქალაქისა მიმღებელმან, თანად იგინი მოაქუდინნა და ტაძარი დაწუა, მრავალსა სახესა მბრძოლთა წარწყმედისასა მკუთმეველმან.

51\*. ამათი მოქმედი და შემკრებელი ღალადიტიდის შინათა იუდეულთა შვილთა თანა და ცოლთა და მონაგებისა მათისა, მნებებელ იყო იუდეად აღყვანებასა. ხოლო ვითარ მოვიდა რომელთადმე ქალაქად, ემფრონ სახელთ, რომელი მდებარე იყო გზასა ზედა და არცა სხუასა გზასა სლვად შემძლებელ იყო, არცა უკუქცევად ენება, წარმავლენელი მას შინა მყოფთა მიმართ, ევედრებოდა, რამათა ბჭენი განუხუნენ და უტეონ მას განსლვად ქალაქით. ხოლო მათ ბჭენი ქვითა დაყენეს და განსავალი განჰკუეთეს. და ვინაფთგან არა ირწმუნებდეს ემფრონელნი, მბრძანებელი მის თანათა და გარემოდგომილი აოკრებდა. და დამესა შინა და დღესა გარემოდგომილმან მიიღო ქალაქი და ყოველსა, რაოდენი იყო მას შინა წულსა, მომაქუდინებელმან და დამწუველმან მის ყოვლისამან გზად მიიღო. ხოლო ესოდენი იყო მოკუდინებულთა. სიმრავლე, ვიდრეა მკუდართა ზედა ვიდოდეს.

და განმწიადებელნი იორდანისანი მივიდეს დიდად ველად, რომლისა პირის-პირ მდებარე არს ქალაქი ვეთსანი, ელლინთა მიერ სკვთო ქალაქად წოდებულთ. და მიერ წარმართებულნი იუდეად მიიწინეს, მგალობელნი და მუქებელნი და ჩუეულებითთა საძლეველთა პენათა მეტყუელნი<sup>1</sup>. შეწირნეს უკუე სამადლობელნი მსხუერპლნი წარმართებულებათათვის და მკედართა ცხოვრებისათვის, რამეთუ არავინ იუდეულთაგანი მბრძოლთა მიერ მოკუდა.

63\*. ხოლო იოსიპოს ზახარიაისი და აზარია, რომელნი დაუტევნა მკედართმთავრად იუდა, რომელსა ჟამსა სიმონ ვიდრემე იყო დალილესა შინა, მბრძოლი პტოლემეიდისა შინათაა, ხოლო თვთ იუდა და ძმად მისი იონათის ღალადიტის შინა, მნებებელნი და ესენიცა დიდებასა მიღებად მკედართმთავ-

<sup>1</sup> წამამავლენელი AD, წარმამავლენელი Q. <sup>2</sup> დაწუველმან.

\* I მკაბ. 5,37. <sup>10</sup> I მკაბ. 5,45. <sup>11</sup> *περιστεις διχοτας* 12,48 (+თამაშობები ჩაატარეს).

<sup>12</sup> I მკაბ. 5,55.

ვართა სამბრძოლოთა მიმართ მკნეთასა, მათ ჭუეშისა ძალისა მიმყვანებელნი იამნიად მივიდეს. ხოლო ღორგია, იამნიამსა მკედართმთავარი, მიეგება მათ და ბრძოლად რაჲ იქმნა, ორ ათასი მოაკლდა მკედრობისაგან და ლტოლვილნი ვიდრე იუდეამსა მთათადმდე იდევნებოდეს. ხოლო შეემთხვა<sup>1</sup> მათ ესე ცოდვაჲ, რამეთუ ურჩ-ექმნეს მათ, რომელნი ამცნა მათ იუდა არა განწყობად ბრძოლასა არცა ერთისა ნიშართ უწინარეს მოსლვისა მისისა. რამეთუ სხუათა თანა მკედრობათა მისთა და იოსიპოჲს და აზარიაჲს ძლითსაცა ნაცოდვებსა ზედა ვინმე განკვრდეს, რომელი გულისკმაყო შემთხუევაღ<sup>2</sup> მათდა, უკუეთუ რამმე ცვალონ მცნებულთა/მისთაგანი.

222

და იუდა უკუე და ძმანი მისნი, მბრძოლნი იღუმელთანი, არა უტრევებდეს, არამედ გარემოდგომილ იყვნეს მათთვის ყოვლით კერძო. და ქევრონამსა ქალაქისა დამპყრობელთა, რაოდენი იყო სიმტკიცე მისი, დაამკუენს და გოდოლთა მისთა დამწუჟეღნი აოკრებდეს სხუა ნათესავთა სოფელსა და მარისა ქალაქსა. და აზოტოს მისრულთა და მიმღებელთა მისთა, წარტყუენეს იგი და მრავალთა ნატყუენავთა და ალაფთა მიმღებელნი იუდეად უკუნ-იქცეს.

მ. 9

1\*. ხოლო ამასვე უამსა შინა, მეფესა ანტიოხოსს, ზენა სოფელსა შინა მავალსა, ესმა ქალაქი რომელიმე პერსიდას შინა სიმდიდრითა გარდამატებული, ელუმაიდაჲ სახელით, და შუენიერი ტაძარი არტემიდესი იყო მას შინა და მრავალსახეთა შესაწირავთა მიერ აღსავსე. და ამას თანა საპურვეღნი და ჯაკუნნი, რომელთა დატევებაჲ ისწავა ფილიპპოჲს ძისაგან, მაკედონელთა მეფისა ალექსანდროჲსა. აღძრულმან უკუე ამათ მიერ მიიშართა ელუმაიდად და მბრძოლი მისი აოკრებდა. ხოლო მას შინა მყოფნი არა განცვბრდეს ზედმოსლვასა მისსა და ოკრებასა, არამედ ძლიერად ჰბრძოდეს. და ესრეთ ჭუეზულ-იქმნა სასოებისაგან, რამეთუ განმღევეღნი ქალაქისაგან და ზედგამოსრულნი სდევნიდეს, ვიდრეღა ვავკლონად მოვიდა ლტოლვილი და მრავალნი მკედრობისაგან მოაკლდეს. ხოლო მწუხარესა ამის ძლეულეებისათჳს მიუთხრეს ვიეთმე მკედართმთავართაცა ძლეულეებაჲ, რომელნიცა ბრძოლად იუდელთა დაუტრევნა და ძლიერებაჲ იუდელთაჲ აუწყეს. დაერთო რაჲ უკუე და ამათესიცა ზრუნვაჲ პირველსა, შემრღუეული მწუხარებისაგან სენსა შთავარდა, რომელი განვრცნა რაჲ და აღორძინდეს ვენებანი, გულისკმისყოფელმან, ვითარმედ ეგულეების აღსრულებაჲ, მოუწოდა მოყუარეთა და თანად სენი, მძუნვარედ მყოფი, მიუთხრა მათ. და ესე აუწყა, ვითარმედ ივენებს ბოროტისყოფელი იუდეელთა ნათესავისაჲ, განმფხურელი ტაძრისაჲ და ღმრთისა შეურაცხისყოფელი. და ამათა მეტყუელი მოკულდა.

ვიდრეღა საკვრველ არს პოლკვიოს დიდქალაქელი, რომელიცა მამაკაცად კეთილად მყოფი სიკუდილსა იტყვის ანტიოხოსსა, რამეთუ ინება სპარსეთს შინა არტემიდის ტაძრისა განფხურაჲ, რამეთუ არღა ქმნილი საქმე მნებებელისაგან არა არს ღირს სასჯელისა. ხოლო უკუეთუ ამისთვის ჰგონებს პოლკვიოს დაქცევასა ანტიოხოსსა ცხობრებისაგან, ესრეთ მრავლად უდასარწმუნებელს განფხურისათჳს იეროსოლჳმათა შინამსა ტაძრისა აღსრულებაჲ მე-

1 შეემთხვა A. 2 შემთხვად.  
\* I მაკაბ. 6,1; 6,8.

ფრსა. არამედ ამისთვის არა წინააღმდეგები დიდქალაქელისა მიერ თქმულსა, ამას მიზეზსა თქუენ მიერ კეშმარიტსა მეკუველთა.

2\*. ხოლო ანტიოხოს პირველ აღსრულებისა მომწოდებელმან ფილიპოს, <sup>v</sup> ერთსა მოუყარეთაგანსა, მეფობისა განმ/გებელად დაადგინა იგი. და მიმცემელმან მისთვის გვრჯვნსა და შესაშოსელსა და ბეკედსა, ანტიოხოსს, ყრმისა მისისა, ამათსა მიმღებელსა მიცემაჲ უბრძანა. და ევედრებოდა მოუყრნობით აღზრდასა მისსა და მეფობისა დაცვასა მისთვის. მოკუდა უკუე ანტიოხოს მეცხრესა და მეორემოცესა და მესესა წელსა. ხოლო ღვსია სიკუდილი მისი აუწყა სიმრავლესა და ძე მისი ანტიოხოს, რამეთუ მას აქუნდა ზედმოუყრნობაჲ მისი, განაჩინა მეფედ და კეთილმამად!<sup>1</sup> უწოდა მას.

32\*. ხოლო ამასევე ჟამსა შინა ზენა ქალაქ იეროსოლჷმათაჲსა მცველნი და ლტოლვილნი ძუღელნი მრავალთა ბოროტთა უყოფდეს იუდეელთა, რამეთუ აღმაველთა საძლდელოდ და მსხუერპლვად მნებებელთა ანასდაჲთ ზედმიტევებულნი მცველნი განხრწნიდეს, რამეთუ მახლობელ იყო ტაძრისა სამცველოჲ. ესენი რაჲ შეემთხუეოდეს მათ, იუდას გამოღებაჲ სთნდა მისი. და შემკრებელი ყოვლისა ერისაჲ სამცველოსა შინა მყოფთა ძლიერად აოკრებდა. ხოლო იყო ესე წელი დასაწყისი სელევკოსითგან მესისისა და ორმეოცდამეათისაჲ. შემზადებელი უკუე მანქანებათაჲ და მიწათა აღმადგინებელი, შრომისმოყუარებით მდებარე იყო დაპყრობისათჲს სამცველოჲსა. ხოლო მას შინა მილტოლვილთაგანნი, ღამე განსრულნი სოფლად და ვიეთმე მსგავსთა და უსახურთა შემკრებლნი, ანტიოხოსს მეფისა მიმართ წარვიდეს და ევედრებოდეს არა უგულვებელს-ყოფასა! მათსა, რომელთა ძვრნი ევნებიან თანმონათესეეთაგან და ამას მოითმენენ მამისა მისისათჲს, მამულსა მათსა მსახურებასა დატევებულნი, ხოლო რომელნი მან უბრძანა მათ, ამას მოქმედნი. ძვრხილულობენ უკუე იუდეას მიერ და მის თანათა მიღებასა სამცველოჲსა და მცველთა მეფისა მიერ დადგინებულთაჲ, უკუეთუ არა რომელიმე შეწყენაჲ მის მიერ წარივილნოს. ამათი მსმენელი ყრმაჲ ანტიოხოს განრისხნა და მთავართა და მოყუარეთა მომწოდებელმან უბრძანა სასყიდლით-დადგინებულთა შეკრებაჲ და სამეფოჲსათაგან მკედრებრივისა ჰასაკისა მქონებულთაჲ. და შეკრბა მკედრობაჲ ქუეთითაჲ ვიდრემე ვითარ ოცნი ბევრნი და ცხენოსანნი ორნი ბევრნი, ხოლო პილონი — ორნი და ოცდაათნი.

43\*. ამის უკუე ძალისა მიმყვანებელი განვიდა ანტიოქიადთ ღვსიჲს თანა, ყოვლისა მკედრობისა მთავრობასა მქონებელისა. და მიწვეწული იღუქმად. მიერ ვეთსურად ქალაქად აღვიდოდა, ფრიად ძლიერისა და ძნიად დასაპყრობელისა და გარემოდგომილი აოკრებდა ქალაქსა. ხოლო ძლიერად წინააღმდეგობოდეს მანქანებათა მისთა ვეთსურელნი, შემზადებასა დამწუველნი ზედგამოვიდეს მისა და ჟამი/მრავალი წარკდა გარემოდგომილებასა<sup>2</sup> შინა.

ხოლო იუდა, ზედმოსლვასა მეფისასა მსმენელი, განეყენა ვიდრემე ოკრებისაგან სამცველოჲსა, ხოლო მიგებებულმან მეფისა დააყენა მკედრობაჲ იწროთა რომელთაჲმე შინა, ადგილსა, ვეთზახარად სახელდებულსა, შორს

<sup>1</sup> უგულვებელს-ყოფასა A. <sup>2</sup> გარემოდგომილებისა AQ.

\* I მაკაბ. 6,14. <sup>1\*</sup> Βῆσατορα 12<sub>341</sub>. <sup>2\*</sup> I მაკაბ. 6,18. <sup>3\*</sup> I მაკაბ. 6,31; 6,33; 6,43.

მბრძოლთაგან სტადიონითა სამეოცდაათითა. და მეფემან უკუე, მიმმართველ-  
მან ვეთსურათ, მიიყვანა ძალი თვისი იწროთა ზედა და იუდაას ბანაკისა  
ზედა. ხოლო მოწვენასა თანა დღისასა ბრძოლისა მიმართ განაწყო მკედრობაჲ  
და პილოთაჲ ვიდრემე ურთიერთას შედგომად ქმნა, იწროებისათჳს გზისა არა  
შემძლებელთა სიერკესა ზედა დაწესებად. ხოლო თითოეულისა პილოაჲა  
გარემოას მოდგომილ იყენეს ქუეითნი ვიდრემე ათასნი და ცხენოსანნი ხუ-  
თასნი. ხოლო იტკრებდეს პილონი გოდოლთა მალაღთა და თანად მშკლდო-  
სანთა, ხოლო ნეშტსა რომელთა მრჩობლ კერძოვე განავლინა მთათა ზედა.  
მოყურათა მისთა მბრძანებელმან და უბრძანა მკედრობასა მისსა კმაყოფად,  
მიახლებულმან მბრძოლთამან და განმაშიშულებულმან ოქროასა და რველისა-  
ფართამან, ვიდრელა ნათელი განვიდოდა მათგან ბრწყინვალე და კმასცემდეს  
მთანი დღადებასა მათსა.

ამათი მხილველი იუდა არა შეშინდა, ხოლო მიმთუალველმან<sup>2</sup> მკნედ  
წინამავალთა მბრძოლთამან, ექუსასნი მოაკუდინნა. ხოლო ელეაზაროს, ძმად  
მისი, რომელსა აერან უწოდდეს, მხილველი უმალღესისა პილოასად სამეფო-  
თა საქურველთა მიერ შეჭურვილისად და მეჭუელი მას ზედა ყოფასა შეფო-  
სასა, მივირდა ფრიად გულსიქველითა მისა მიმართ მიმართველი. და მრავალ-  
ნი, პილოასა გარემოასმყოფნი, მოაკუდინნა და სხუანი განაბნინა. ხოლო  
შესრულმან ქუეშე კერძო მუცილისა და მწყლველმან, მოაკუდინა პილო. და  
მან უკუე, ზედდაცემულმან ელეაზაროასა, განხრწნა მამაკაცი სიმძიმისა მიერ.  
და ესრეთ ვიდრემე სიმკნით მრავალთა მტერთა წარმწყუმედელმან ამით საბრთა-  
დააქცია ცხორებაჲ.

5°. ხოლო იუდა, მხილველი მბრძოლთა ძალისად წარვიდა იეროსოლემად  
და გარემოდგომილობისა მიმართ განეშხადებოდა და ანტიოხოს უკუე რო-  
მელომე მკედრობისად ვეთსურად წარავლინა ბრძოლად მისა, ხოლო ნეშტისა  
ძალისა თანა თვთ იეროსოლემად მიიწია. ხოლო ვეთსურელთა, ძალისაგან  
შეშინებულთა და საქმართა მოკლებულად მხილველთა, მისცნეს თავნი თჳსნი,  
ფიციებისა მიმღებელთა არა რომლისა ბორცსა ვნებად მეფისა მიერ. ხოლო  
ანტიოხოს, მიმღებულმან ქალაქისმან, სხუად ვიდრემე არაარად უყო მათ.  
გარნა მხოლოდ შიშუელნი განასხნა და სამცველოა თჳსი დააყენა ქალაქსა  
შინა. ხოლო მრავალსა უამსა შინა, სამღდელოსა იეროსოლემათასა მოკრებე-  
ლი, გარემოდგომილ იყო, მკნედ განწყობილობასა შინაგან იუდელთასა, რამე-  
თუ თითოეულისა მიმართ, რომელთა მეფე აღმართებდა მათდა მიმართ მან-  
ქანებათა, ესენიცა კულად ნაცვალმელონეობდეს მისა მიმართ. ხოლო საზრ-  
დელი მოკლ/ებულ იყო მათთჳს, ვინაჲთგან მყოფი ნყოფი აღლეულ იყო მას  
წელსა შინა ქუეყანისა უქმობისათჳს, რამეთუ მეშვდელ ყოფისათჳს წელსა,  
რომელსა შინა სჭულ იყო ჩუენდა უქმად დატეეებად ადგილისად, უთესავად  
დადგრომილ იყო. მრავალნი უკუე შინაგან მყოფთაგანნი უღონოებისათჳს სა-  
პიროთაჲსა განივლტოდეს, ვიდრელა მცირენი დამთეს ტაძარსა შინა.

61°. და გარემოდგომილთა ვიდრემე ტაძარსა შინა ესევეთარნი შეემთხუე-  
დეს საქმენი. ხოლო ღვსია მკედართმთავარი და მეფე, ვინაჲთგან ფილიპპოას

<sup>1</sup> მიმართველმან AQ. <sup>2</sup> მიმთუალველმან AQ.

\* I მკაბ. 6,49; 6,51. 1° I მკაბ. 6,55.

სპარსეთით მოსლვად ეუწყა მათ და თავისა თვისიად გარდამზადებდა საქმეთაჲ, მნებებელ იყვნეს ვირრემე, ოკრებასა დამტევებელნი, ფილიპპოას ზედა წარსლვად, არამედ არა აკრძნეს ცხადქმნაჲ ამისი მკედართა და მთავართა მიმართ, გარნა უბრძანა ლესიას მეფემან, რამთა მან და მთავართა ზოგად ზრახვაჲ, არა რომელსა ფილიპპოასთჳს განმაცხადებელმან, გარნა ვითარმედ გარემოდგომილებად მრავალქამ იქმნეს, მაუწყებელმან და სიმაგრესაცა ადგილისასა და ვითარმედ საზრდელიცა მოკლებულ<sup>1</sup> არს მათთჳს და თანად მრავალთა სამეფოთა საქმეთა სავმარ არს განგებამ. და ვითარმედ მრავლად უძგობეს არს სიყუარულთა ქმნაჲ ქალაქისა შინათა მიმართ და ზავსა ყოვლისა მიმართ ნათესავისა მათისა და მიტევებად მათთჳს კუმევეად მამულთა სჯულთა, რომელთა მიღებულნი აჲ მბრძოლ-იქმნეს, წარსრულნი თჳსთა სამკედრებელთა მიმართ. ესენი რაჲ თქუნა ლესია, სთნდა თანად მკედრობასა და მთავართა განზრახვად ესე.

7\*. და წარმავლენელმან მეფემან იუდას მიმართ და მის თანათა გარემოდგომილთა, მშუდობად მიუმცნო და მიტევებად მამულისა სჯულისა მკუმეველთა ცხორებად. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარნეს მივლინებულნი და ფიცთა და სიმტკიცეთა მიმღებელნი გამოვიდეს სამღდელოასაგან. ხოლო ანტიოხოს, შესრული მას შინა და მხილველი ესრეთ მტკიცისა ადგილისაჲ, გარდაჰკდა ფიცთა და უბრძანა ძალსა გარემოდგომილისაჲ დამკობად ზღუდისაჲ იატაკად. და ამათი მოქმედი უკუნ-იქცა ანტიოქიად, მიმყვანებელი ონია მღდელთმთავრისაჲ, რომელსა და მენელოასცა ეწოდებოდა, რამეთუ ლესია განზრახა მეფესა, რამთა მოაკუდინოს მენელოას, უკუეთუ სთნავს დაწყნარებამ იუდელთაჲ და არა შფოთებამ მისი, რამეთუ ესე დამწყებ-იქმნა ბოროტთა, მარწმუნებელ მამისა მისისაჲ იძულებად იუდელთა დატევებასა მამულისა სჯულისასა. წარმავლენელმან უკუე მენელოასმან მეფემან ვერვად სვრიაჲსა, განზრწნა მღდელთმთავრად მყოფი წელთა ათთა, ხოლო ბოროტ და უღმრთოქმნილი და რამთა იგი მთავრობდეს, მაიძულებელი ნათესავისაჲ თჳსთა სჯულთა გარდასლვად. ხოლო მღდელთმთავარ იქმნა შემდგომად მენელოას სიყუდელისა ალკიმოს, იაკიმოდცა წოდებულთ.

224 ხოლო მეფე ანტიოხოს, მხილველი ფილიპპოასი აჲვე დამპყრობელად საქმეთა, / პბრძოდა მისა მიმართ და ჯელისქუეშედ მიმყვანებელმან მისმან მოაკუდინა იგი. ხოლო ძე მღდელთმთავრისაჲ ონია, რომელი წინაწარ-ვტქუთ ყრმად დაშთომად აღსრულებასა მამისა, მხილველი, რამეთუ მამის ძმისა მისისა მომაკუდინებელმან მეფემან მღდელთმთავრობად ალკიმოსს მისცა, არა მღდელთმთავართა ნათესავისაგან მყოფსა, არამედ ლესიას მხერ რწმუნებულმან გარდაცვალა პატივი ამის სახლისაგან სხუად სახლად, ივტოლად პტოლემოს მიმართ, ეგვპტისა მეფისა. და პატივისა ღირსქმნილმან მის მხერ და ცოლისა მისისა კლეოპატრასა, მიიღო ადგილი, მკედრებელმან, ქუეყანასა შინა მზისა ქალაქისასა, რომელსა შინა იეროსოლჳმას შინათა ტაძრისა მსგავსი აღაშენა. და ამისთჳს უკუე უჟამიერესად იყოს ჩუენდა მოთხრობად

<sup>1</sup> მკლებულ.

\* I მკაბ. 6,60.



თ. 10

1\*. ხოლო ამასვე ეამსა, ლტოლვილმან დიმიტრიოს რომით, სელეგკო-  
 მს ძემან, და მიწვეულმან ტრიპოლად სურიაჲსა, დაიდგა გვრგვნი თავსა  
 თვისსა და შემკრებელი ვიეთიმე სასყიდლით, სამეფოდ შევიდა და ყოველთა  
 მხიარულებით შეიწყნარეს იგი და მისცნეს თავნი თვისნი. ხოლო შემპყრობელ-  
 თა ანტიოხოს მეფისა და ლუსიაჲსთა, ცოცხალნი აღიყვანნეს მისსა. და ესე-  
 ნი ჯიღრემე მეყუსეულად, ბრძანებითა დიმიტრიოჲსითა, განიხრწნეს. მეფობ-  
 და უკუე ანტიოხოს წელთა ორთა, ვითარცა აწლა სადამე და სხუთათა შინა  
 ცხადქმნილ არს. შეკრებულნი უკუე მისა მიმართ მრავალნი მღღელთაგანნი.  
 ბოროტნი და ლტოლვილნი, და ამათ თანა ალკიომს მღღელთმთავარი, შეას-  
 მენდეს ნათესავსა ყოველსა და იუდას და ძმათა მისთა, მეტყუელნი, ვითარ-  
 მედ მოყუარენი ყოველნი მოაკუდინნეს და რაოდენნი მისთვისთა ბრძნობდეს  
 და მომლოდე მისსა იყვნეს სამეფოსა შინა, ესენი წარწყმიდნეს. და მათთა  
 უკუე, თვისისა ქუეყანისაგან განმდევნელთა, უცხოთა შორის მავალ-ყვნეს.  
 თანად ევედრებოდეს, რათა წარავლინოს რომელიმე მოყუარეთა თვისთაგანი  
 და ცნეს მის მიერ იუდაჲს მიერ კადრებულნი.

21\*. ხოლო დიმიტრიოს, განრისხებულმან, წარავლინა ვაკქიდი, მოყუარე  
 ანტიოხოსს ეპიფანე მეფისაჲ, მამაკაცი კეთილი და შუემდინარესა ყოველსა  
 რწმუნებული და მისცა მას ძალი და მღღელთმთავარი ალკიომს მიათულა  
 მას. მამცნებელმან მოკუდინებასა იუდაჲსასა და მის თანათსა. მოსრულმან  
 ანტიოქიადთ ვაკქიდი ძალისა თანა და მიწვეულმან იუდეად, წარავლინა  
 იუდაჲს მიმართ და ძმათა მისთა სიყუარულისათვის და მშვიდობისა მეტყუელ-  
 მან, რამეთუ ზაკუევით მნებებელ იყო მიყვანებასა მისსა. ხოლო მან არა ირწ-  
 მუნა, რამეთუ ხედვიდა, ვითარმედ ესოდენითა მკედრებითა მოვიდა, რაოდე-  
 ნითა ვინმე ბრძოლისა მიმართ და არა მშვიდობისა მოვალს. ვიეთინმე უკუე  
 ერისაგან, მრწმუნებელნი, რომელთა ვაკქიდი ქადაგებდა და მგონებელნი,  
 ვითარმედ არა რომელი ბოროტი ევნოს მათ, ალკიომს მიერ ნათესავად მყო-  
 ფისა, წარვიდეს მათდა მიმართ. და მიმღებელთა ფიცთასა მრჩობლთაგანვე,  
 რათა არცა რამ მათ ევნოს; არცა სხუთა, ამისვე განზრახვისად მყოფთა, არ-  
 წმუნნეს მათ თავნი თვისნი. ხოლო ვაკქიდი, შეურაცხისყოფელმან ფიცთამან,  
 სამეოცნი მათგანნი მოაკუდინნა და სხუთა, რაოდენნი განიზრახვიდეს მისა  
 მიმართ მისლვასა, უბრძანა პირველთათვის, საჩუმნობებასა არა დამცველ-  
 მან. ხოლო ვინაჲთგან იეროსოლქმთაჲთ წარსრული დაბად ვიზითო სახელ-  
 დებულად მიიწია, წარმავლენელმან შეიპყრნა მრავალნი მილტოლვილთაგანნი  
 და ვიეთინმე ერისაგანნიცა და ყოველთა მომკუდინებელმან უბრძანა ადგი-  
 ლის შინათა ყოველთა მორჩილებად ალკიომასნი. და მკედრობისა რომლისამე  
 თანა, რათა შემძლებელ იყოს დაცვასა ადგილისა მისისასა, დამტყვებელი  
 მისი, ანტიოქად, მეფისა დიმიტრიოჲსს მიმართ უკუნ-იქცა.

32\*. ხოლო ალკიომს, მნებებელი განმტკიცებასა მთავრობისა მისისასა და  
 გულისკმისყოფელი, ვითარმედ შემზადებელი ერისაჲ მოყუარედ უმჯობეს  
 მთავრობდეს, კეთილითა სიტყვთა ზრახვიდა ყოველთა და მხიარულებით და

\* I მაკაბ. 7,1; 7,5. 1\* I მაკაბ. 7,8. 2\* I მაკაბ. 7,21.

სიმშვიდით მიუგებდა თითოეულსა. და მეყუსეულად ფრიად მრავალი ძალი და კელი მოიგო. ხოლო ესენი იყვნეს უმრავლესნი უღმრთოთა და ლტოლვილთაგანნი, რომელთაცა მსახურად და მკედრად მკუმეველი ზედ-მივიდოდა სოფლებისა და რაოდენთა მას შინა იუდაას მბრძნობთა ჰპოებდა, მოაკუდი-ნებდის.

ხოლო აწლა ალკიმოას მხილველი იუდა დიდქმნილისაჲ და განმზრუნე-ლისაჲ მრავალთა კეთილთა და ღირსთა ნათესავისაგან, და ესეცა, ზედმიმა-ვალი სოფლებისაჲ, განჰზრუნდა მსგავსად ალკიმოასსა მბრძნობთა. მხილ-ველმან უკუე თავისა თვისისამან ალკიმოას წინააღდგომასა<sup>1</sup> იუდაასასა არა შეძლებად, არამედ მრავლად მოკლებულად ძალისა მისისაგან, დიმიტროას მეფისა თანშეწევნისა მიმართ აგრძნა მიდრეკაჲ. მიწევნულმან უკუე ანტიო-ქიად აღძრა იგი იუდას ზედა, შემასმენელმან, ვითარმედ მრავალნი ვიდრემე მის მიერ ევნეს ბოროტნი და თანად უმრავლესნი იქმნენ, უკუეთუ არა უწა-ნარეს პყრობილ-იქმნეს და მისცეს სასჯელი, ძლიერისა ძალისა წარვლინებითა მას ზედა.

4\*. ხოლო დიმიტრიოს ამას და თვსთაცა მისთა საქმეთა სიმტკიცედ შემ-რაცხელმან არა გარეწარად მიხედვასა იუდაასასა, ესოდენსა ძალსა შინა ქნილისასა, განავლინა ნიკანორ, საყუარელი მისი და სარწმუნოჲ მოყუარე-თაგან, რამეთუ ესე არს რომთა ქალაქისაგან მის თანა ლტოლვილი, და მიმ-ცემელმან ძალსა, რაოდენისა კმაყოფასა ჰგონებდა იუდაას მიმართ, უბრძა-ნა არც ერთისა კრძალულებასა ქმნად ნათესავისა მიმართ.

ხოლო ნიკანორ, მიწევნულმან იეროსოლვმად, მეყუსეულად ვიდრემე ბრძოლაჲ არა ინება იუდაასი, არამედ ზაყუვით კელისქუეშედ მიყვანებისა მსჯელმან წარუვლინა მას სიტყუანი მშვიდობისანი, მეტყუელმან, ვითარმედ არცა ერთი საჭიროებაჲ არს ბრძოლისა და ძკრისხილვისაჲ, ხოლო ფიცნი მისცენს მას არა რომელსა ბოროტსა ვნებად, რამეთუ მოსრულ არს მოყუა-რეთა<sup>2</sup> თანა ცხად-ქმნად მათთვის დიმიტროას მეფისა გონებასა და რაოდენთა ნათესავისა მათისათვის იგონებს. ესენი რაჲ მოხუცებულთა მიერ მიუცნნა ნიკანორ იუდა და ძმათა მისთა, რწმუნებულთა და არცა ერთსა ზაყუვასა მეჭუელთა, მისცენს მას სიმტკიცენი და შეიწყნარეს ნიკანორ<sup>3</sup> ძალისა თანა. ხოლო მან, ამბორისყოფელმან იუდაასმან და საშუვალ მზრახვალმან, მისცა თვსთა სასწაული, რაჲთა შეიბყრან იუდა. ხოლო იგი, გულისკმისყოფელი  
225 ზაყუვისაჲ, მსრბოლი მიივლტოდა იუდელთა / მიმართ.

ცხად-იქმნა რაჲ უკუე განზრახვისა მისისა და მზაყუვარებისაგან, ნიკა-ნორ ბრძოლაჲ საჯა იუდაასი. და შემკრებელი და შემმზადებელი ბრძოლისა მიმართ, განეწყო რომელსამე დაბასა შინა, კაფარასალამას, და მძღველმან აიძულა იუდას სამცველოჲსა მიმართ იეროსოლვმათაჲსა ლტოლვაჲ.

51\*. ხოლო მერმეცა, შთამოვიდოდა რაჲ აგი სამცველოჲთ ტაძრად, ვიეთ-ნიმე მღდელთაგან და მოხუცებულთა, მიგებებულნი, მოიკითხვიდეს და მსხუერპლთა უჩუენებდეს, რომლისასა მეფისათვის შეწირვასა იტყოდეს

<sup>1</sup> წინააღმდგომასა AQ. <sup>2</sup> მოყუარეთა A. <sup>3</sup> ნიკანოს AQ.

\* I მკაბ. 7,26; 7,29. 1\* 7,33; 7,43.

ღმრთისა. ხოლო მან, მაგინებელმან, აჲადა დამკობაჲ ტაძრისაჲ, რაჲემს აღვიდეს, უკუეთუ არა მისცეს მას ერმან იუდა.

და იგი ვიდრემე, ამათი მაქადებელი, გამოვიდა იეროსოლჲმათაჲგან. ხოლო მღდელნი ცრემლთა შთაჲარდეს მწუხარებისათჲს თქუმულთაჲსაჲ და ევედრებოდეს ღმერთსა კსნისა მათისათჲს მბრძოლთაჲგან.

ხოლო ნიკანორ, იეროსოლჲმათაჲგან გამოსრული, ვითარ მიიწია დაბასა რომელსამე, ვეთორონ სახელდებულსა, მუნ დაიბანაჲ. და მოვიდა მისა სხუაჲცა ძალი სურიაჲთ. და იუდა უკუე სხუასა დაბასა შინაჲ<sup>1</sup>, სტადიონითა ოცდაათითა შორს ვეთორონთაჲგან, დაიბანაჲ, ორ ათასთა მქონებელი ყოველთაჲ, ამათმან განმამკნობელმან არა შეშინებად სიმრავლისაჲგან წინააღმდეგობთაჲსა, არცა გულისსიტყუად, რაოდენთა მიმართ ეგულების ღუწაჲ, არამედ ვიეთნი მყოფ არიან და რომელთა საძლეველთათჲს. ძვრხილულობენ მგონებელნი. სიმკნით ერთბამად მიტევებად მბრძოლთა ბრძოლისა ზედა განიყვანნა. და განეწყო ნიკანორს და ძლიერი რაჲ ბრძოლაჲ იქმნა, სძლო წინააღმდეგობთა და მრავალნი მათგანნი მოაკუდინნა. და დასასრულად თვთ ნიკანორ, ბრწყინვალედ მბრძოლი, დაეცა. რომელი დაეცა რაჲ, არცაჲა მკედრობაჲ და ადგარა, არამედ მკედართმთავრისა წარმწყმედელნი სივლტოლად მიდრკეს, დაასრეველნი საქურველთანი. ხოლო მდენელი მათი იუდა მოაკუდინებდა და ნესტუთა მიერ გარემოჲსთა დაბათა აუწყა, ვითარმედ სძლევს მბრძოლთა. ხოლო მათ შინა მყოფნი, მსმენელნი, გამორბოდეს აღკურვილნი და ღტოლვილთა მიგებებულნი მოაკუდინებდეს მათ, პირის-პირ შემთხუეულნი, ვიდრელა ამის ბრძოლისაჲგან არცა ერთი განერა, ცხრა ათასად მყოფობასა მათსა, ხოლო ძლევისა ამის ქმნაჲ შეემთხვა სამ და მეათესა თჲსასა, რომელი სახელდების იუდელთა მიერ ვიდრემე ადარ, ხოლო მაკედონთა — დესტროს. ხოლო აღასრულებს მაშინ საძლეველთა ყოველსა წელსა შინა და დღესასწაულად შეპრაცხენ დღესა. მიერ ვიდრემე ჟამითგან მცირედ ნათესავი იუდელთაჲ, ბრძოლთაჲგან განსუენებული და შუებასა მიძლებელი, კუალად ღუაწლთა და კირთა შინა შთაჲარდა.

61\*. ხოლო მღდელთმთავარსა ალკიმოსს, მნებებელსა დარღუევად ზღუდესა სიწმიდისასა, ძუელად მყოფსა და შემზადებულსა პირველთა წინაწარმეტყუელთა მიერ, წყლუ/ლებჲა რაჲმე ანასდაჲთ<sup>2</sup> ღმრთისა მიერ ეცა, რომლისა მიერ უკმოდ ქუეყანასა ზედა დაეცა და ტანჯული მრავალთა დღეთა შინა მოკუდა, მღდელთმთავრად მყოფი წელთა ოთხთა.

ხოლო აღსრულდა რაჲ ესე, მღდელთმთავრობაჲ ერმან იუდას მისცა, რომელსაცა, მსმენელსა რომთა ძალისათჲს და ვითარმედ სძლეს თანად დალატისა და ქართლს<sup>3</sup> და კარქრონისა ლევკისასა და ამათ თანა ელლადაჲ კელთიგდესა და მეფენი პერსეჲა და ფილიპოსს და დიდი ანტოხოზს სთნდა სიყუარულსა ყოფაჲ მათდა მიმართ, წარმავლინებელი უკუე რომს მოყუარეთა მისთაგან ევპოლემოსს იოანისასა და იასონს ელეზაროჲსასა. ევედრებოდა მათ

<sup>1</sup> ღტოლვილთა AQ. <sup>2</sup> ანასდაით AQ, ანასდაით S.

<sup>3</sup> ძე 'Αβασσι:, ჳაძჲდ პირჲუ 12<sub>408</sub> (თარგმანში დაბის სახელწოდება, აღისა არ არის).

<sup>10</sup> I მაკაბ. 9,54; 8,1; 8,23. <sup>20</sup> აჲუ 'Ιβήριαν 12<sub>414</sub> (იბერიის ქვემ იფულისსება არა ქართლი, არამედ ესპანეთი. შესატყვის ბიბლიურ მონაცემთში, I მაკაბ. 8,3, სუბარაჲ რამაველებს ბუერესპანეთის დამორჩილებამე).

მიერ. რამთა თანამბრძოლ და მოყუარე იყოს და დიმიტრიოსს მიწეროს, რამთა არა ჰბრძოდის იუდეელთა. ხოლო მისრულნი რომს, იუდაას მიერ წარვლინებულნი მოხუცებულნი შეიწყნარნა სენკლიტობამან და მეტყუელთა, რომელთათვის წარივლინნეს, თანშემწეობა უწყამა. და მოქმედმან ამისთვის ბრძანებასა, ნაცვალწერილი ვიდრემე იუდეად წარავლინა, ხოლო იგი, აღმწერელთა რვალისა ფიცართა ზედა, კაპიტოლინონს შინა დადევს. ხოლო ესეერთარი იყო განწყებამ: „სენკლიტობისა თანმბრძოლობისათვის იუდეელთა ნათესავისა და სიყუარულისა. ნუენ ქუეშდაწესებული რომთაჲ ჰბრძენ იუდეელთა ნათესავსა, ნუცა მისცემნ მბრძოლთა იფქლსა, გინა ნავთა, ანუ საკმართა. ხოლო უკუეთუ ვითინიმე მივიდენ იუდეელთა ზედა, შეეწინენ მათ რომნი ძალისაებრ, და კულად, რომელსამე ზედა რომთასა მივიდენ ვითინიმე, იუდელნი მათ შეეწინენ. ხოლო რომელიცა ამის თანმბრძოლობისაგან ინებოს იუდეელთა ნათესავმან გინა დაძინებად, ანუ მოკლებად, ესე ზოგადი განზრახვად იქმენინ რომთა ერისაჲ. და რომელიცა დაეძინოს, ესე მტკიცე იყოს“.

დაიწერა ბრძანებამ ევბოლემოვს მიერ, იოანნის ყრმისა, და იასონის, ელუზაროვს ძისა, მღვდელთმთავრობასა ვიდრემე ნათესავსა ზედა იუდაასასა, ხოლო მკედართმთავრობასა ძმისა მისისა სიმონისასა. და პირველი ვიდრემე რომთაჲ იუდეელთა მიმართ სიყუარული და თანშემწეობამ ესრეთ შემთხუეულ-იქმნა.

## თ. 11

1\*. ხოლო დიმიტრიოს, ეუწყა რამ მას ნიკანორის აღსრულებამ და წარწყმედამ მის თანათასა მკედრობისაჲ, კულად ვაკქიდი ძალისა თანა იუდეად წარავლინა, რომელიცა ანტიოქიამთ წარსრული და მიწევნული იუდეად, არვილთა შინა, ქალაქსა დალილეასასა, დაბანაკებულ-იქმნა. და მუნ ქუაბთა შინა მყოფნი, რამეთუ მრავალნი შევლტოლვილ იყენეს მათ შინა, მომოკრებელმან, მიიყვანნა და წარსრული მიერ იეროსოლუმათადმი, მოსწრაფე იყო. ხოლო ისწავა რამ იუდაასი რომელსამე დაბასა შინა, ვირზითოს სახელით, დაბანაკებამ, მისა მიმართ მოსწრაფეობდა ქუეითთა თანა ვიდრემე ორთა ბევრთა და ცხენოსანთა ორ ათასთა. ხოლო იუდაასნი იყენეს ათასნი. ესენი, მხილველნი ვაკქიდის სიმრავლისანი, შეშინდეს და დამტევებელნი ბანაკისანი ყოველნი ივლტოდეს, გარეშე რვაასთა<sup>1</sup>./ ხოლო იუდა, დატევებული თვსთა მკედართაგან მბრძოლთა ზედმდებარეობასა და არცა ერთსა ჟამსა შეკრებულსათვის ძალისა მაცადებელობასა მისთვის, მნებებელ იყო რვაასთა<sup>2</sup> თანა ბრძოლასა ვაკქიდისთა მიმართ და მეტყუელი მათი მკენდ მოთმენასა ჰირისასა, ევედრებოდა მიმართებად ბრძოლისა მიმართ. ხოლო იგინი ეტყოდეს რამ, ვითარმედ არა არიან ესოდენ დიდისა მკედრობისა მიმართ შემძლებელნი ბრძოლად და განზრახებდეს რამ, ვითარმედ აწ ვიდრემე წარვიდეთ და ვაცხოვნეთ თავნი თვისნი და კულად შემკრებელნი თვსთანი, ვპბრძოდით

<sup>1</sup> რვა ათასთა AQD, *δὲκαχιλίαις* 12<sub>422</sub> (=800). <sup>2</sup> რვა ათასთა AQD, *ἑξήκονταχιλίαις* 14<sub>422</sub> (=600).

\* I მაკაბ. 9,1; 9,7.

მტერთა, „ნუ ესე, თქუა, იხილოს მზემან ქმნილად, რაათა მე ზურგნი ჩემნი ვაჩუენნე“ მბრძოლთა, არამედ უკუეთუ და აღსასრულსაცა მოიღებს ჩემდა ეამი ესე და ჭერ-არს ნანდვლ წარწყმედაჲ მბრძოლისაჲ, ვდგე მკნელ ყოველსავე გულეებადსა მომთმენელი, ვიდრეღა წარმართებულთა აწ და მათ მიერსა დიდებასა შეეახებდუ აწ გინებასა ლტოლვისა მიერ“. და ესე ვიდრემე ამათი შეედრებელი დანეშტებულთა მიმართ შეურაცხ-ყოფასა ჳირისასა და ერთ-ბამად მიმართებასა მბრძოლთა ზედა ეტყოდა.

21\*. ხოლო ვაკქიდი, განწყვანებელმან ძალისამან ბანაკისაგან, ბრძოლისა მიმართ განაწესა და ცხენოსანნი ვიდრემე ორთავე კერძოთა დააყენნა. ხოლო შიშუელნი და მშვლდოსანნი დააყენნა ყოვლისა განწყობილისა და თვთ იყო მარჯუენესა კერძოსა. ხოლო ესრეთ რაჲ განაწესა მკედრობაჲ, ვინაითგან შეერთა მბრძოლთა ბანაკსა, უბრძანა უწყებაჲ შენესტუესა და მკედრობასა, მკმობელსა მიახლებაჲ. ხოლო ამასვე მოქმედი იუდა განეწყო მბრძოლთა. და ძლიერი რაჲ ბრძოლაჲ იქმნებოდა მრჩობლთაჲვე<sup>1</sup> და ლუაწლი დასღვადმდე მზისა განემარტებოდა, მხილველმან იუდა ვაკქიდისამან და უძლიერესა მკედრობისასა მარჯუენით კერძო მყოფსა, მიმყვანებელმან უმკნესთამან მიიმართა მას კერძოსა განწყობილისასა და შებმამყოფელმან განაპო რაზმი მათი და შესრულმან საშუეალ ლტოლვად აიძულა მათი და სდევნიდა ვიდრე აზა მთადმდე, ესრეთ სახელდებულად. მხილველნი უკუე ძღვეასა მარჯუენისა კერძო-სასა, მარცხენესა მქონებელნი გარე-მოადგეს იუდას, მდევნელსა, და მიიყვანეს იგი საშუეალ უკუანაით მიწვეულთა. ხოლო იგი, ლტოლვად არა შემძლებელი, არამედ გარემოდგომილი მბრძოლთა მიერ მდგომარე, ჳბრძოდა მის თანათა თანა. და მრავალთა ნაცვალმბრძოლთა მომაკუდინებელი და დაქრილი, თვთ იგიცა დაეცა, კეთილთა შინა ვიდრემე უწინარეს ქმნულ, ხოლო მსგავსთავე შინა, რომელთათჳს მაშინ მოკუდა, განმტევებელი სულისაჲ. დაეცა რაჲ უკუე იუდა, არცა ერთისა მიმართ მიერითგან მიხედვად მქონებელნი მის თანანი, ესევითარისა მკედარითმთავრისგან დაკლებულნი, ივლტოდეს.

ხოლო მიმღებელთა სხეულისათა<sup>2</sup> მბრძოლთაგან ვედრებით სიმონ და იონათის, ძმათა იუდაასთა, მიმღებელთა მოდიემ დაბად, სადა მამაჲ მათი დაძარხულ იყო, დაჰფლეს იგიცა. და იგლოვა იგი სიმრაველმან მრავალთა დღეთა შინა და პატივ-სცეს ზოგად განწყისებულთა მიერ. და დასასრულმან ვიდრემე ესევითარმან დაიპყრა იუდა, მამაკაცი მკნე და დიდმბრძოლ ქმნილი და მატათიას/მამისა მცნებათა მომკსენე და ყოველთავე მოქალაქეთა თავისუფლებისათჳს ქმნად და ვნებად თავსმდებელი. ესევითარად მყოფმან სათნოებოთა დიდი დიდებაჲ და მოსაკსენებელი მისი დაუტევა, განმათავისუფლებულმან ნათესაისამან და მაკელონთა მონებისაგან გამომტაცებელმან მისმან. და მდღელთმთავრობასა სამ წლადმდე დამპყრობელი. მოკუდა.

ფლავიოზს იოსიპოზს იუდაებრივისა სიტყუადსაბამობისაჲ, მეათორმეტე.

<sup>1</sup> მრჩობლთაჲვე. \* საბ<sup>1</sup>ლისათა A, ს<sup>1</sup>ხელისათა Q.

\* εδ νδεα μου βελεω 12<sub>488</sub> (ჲგვეკვეცი). <sup>10</sup> I მაკაბ. 9,11; 9,16.

ენანი არიან მათსამებთესა ზინა იოსიკოფს გრთხროგათასა  
იუდაებრივისა ძუელსიტუაოგისასა\*

1. ვითარმედ იონათის, იუდაას ძმად მყოფმან, აღსრულდა რამ იგი, მთავრობად მიიღო.
2. ვითარმედ მბრძოლმან ვაკქიდისამან აიძულა, სიყუარულისა მოქედსა მისა მიმართ, წარსლავად სოფლისაგან.
3. ვითარმედ ალექსანდროს, ეპიფანეს ანტიოხოვს ძემან, მისრულმან სკრიად, ბრძოლად განიღო დიმიტრიოვს მიმართ.
4. ვითარმედ დიმიტრიოს, მვედრებელმან იონათისმან, მიიღო მისგან შემწეობად, მრავალთა მიმნიჭებელმან ნათესავისა ჩუენისამან.
5. ვითარმედ ალექსანდროს, მსმენელმან ამათმან და გარდამამატებელმან დიმიტრიოვსთამან და განმაჩინებელმან იონათისმან მღდელთმთავრად, თანაშემწეობად არწმუნა მას.
6. ონიას სიყუარული დედისმოყუარისა პტოლემეოვს მიმართ, მასვე ეამსა შინა ქმნილი და ვითარმედ აღაშენა ონიასად წოდებული ტაძარი, მსგავსად იეროსოლვმათა შინა მყოფისა.
7. ვითარმედ ალექსანდროს, მოკუდა რამ დიმიტრიოს, ფრიად პატივ-სცა იონათის.
8. ვითარმედ დიმიტრიოს, დიმიტრიოვს ყრმამან, წარსრულმან სკრიად კრიტი და მბრძოლმან ალექსანდროვსმან და მძლეველმან, თვთ მეფობად მიიღო, სიყუარულისა მოქმედმან იონათის მიმართ.
9. ვითარმედ ტრკვფონ აპამელმან, მძლეველმან დიმიტრიოვსმან, ანტიონოსს, ალექსანდროვს ძეს, მისცა მეფობად და ამანცა თანაშემწედ მოქმედმან იონათისმან.
10. ვითარმედ დიმიტრიოვს სპარსთა მიერ ტყუედ რამ მიყვანებულ იქმნა, დაჰქსნა იონათის მიმართ სიყუარული და ზაკუევით მიმყვანებელმან მისმან მოაკუდინა და ბრძოლად განეწყო სიმონის მიმართ, ძმისა მისისა.
11. ვითარმედ სიმონს, ძმასა მისსა, მკედართმთავრობად კელთ-უდვა ნათესავმან და განაჩინა იგი მღდელთმთავრად.
12. ვითარმედ გარე-მოადგა დორთა შინა ტრკვფონს, თანაშემწედ ქმნილი ანტიოხოვსი, დიმიტრიოვს ძმისად, ევსევიდცა წოდებულისად.
13. ვითარმედ ტრკვფონ მოაკუდინა რამ, ანტიოხოვს, ზავთა დამკსნელსა, მბრძოდა სიმონ და კენდევეოვს, მკედართმთავრისა მისისა მძლეველმან, იუდაასგან განდევნა.

\* შეკამეტე წიგნი მთლიანად და მე-14 წიგნის პირველი 10 თავი S ხელნაწერს დაზიანებულ გამო აკლავ.

14. ვითარმედ ბტოლემეოას, სიძისა მიერ, სიმონ მოსუმურობასა შინა ზაკუეით მოიკუდინა და ბტოლემეოს, შემკრველი ცოლისა და შვილთა მისთაჲ, მთავრობასა თვთ მნებებელ იყო დაპყრობად.

15. ვითარმედ უჭაბუკესი სიმონის ძეთაჲ, კრკანოს, წევნული მისი და მთავრობასა მიმღებელი, გარე-მოადგა მრავალსა ეამსა ბტოლემეოსს, სამცველოსა შინა, დაღონ<sup>1</sup> წოდებულსა, შემაწყუდეველი.

16. ვითარმედ აღმკედრებულმან კრკანოას ზედა ანტიოხოს ვესევი და გარემოდგომილმან იეროსოლჳმელთა ქალაქისამან, დაქსნა ოკრებაჲ, მიმღებულმან კრკანოასგან სამასთა ტალანტთამან და თანშემწეობასა და სიყუარულსა მყოფელმან მისა მიმართ.

17. კრკანოას აღმკედრებაჲ შემდგომად ანტიოხოსს აღსრულებისა, მიღთა შინა მომკუდრისა, სკრიასა ზედა და ვითარმედ მრავალნი ქალაქნი ძლიერებით დაიპყრნა.

18. სიყუარული კრკანოას მიმართ/ალექსანდროსი, ზაინნად წოდებულისაჲ. 227

19. ვითარმედ ანტიოხოს კვზიკინელი, მისრული შეწევნად სამარიტელთა, გარემოდგომილთა კრკანოას მიერ, ძლეული იელტოდა, დევნული იუდეაჲთ კრკანოას ძეთაგან.

20. ვითარმედ მიმღებულმან არისტოველოს, ძემან კრკანოასმან, მთავრობისა, გვრგვნი დაიდგა პირველად.

21. ვითარმედ აღსრულდა რაჲ არისტოველოს, ძმამან მისმან, მთავრობასა მიმღებულმან, ალექსანდროს, განიგვედრა სკრიასა და ფვნიკსა ზედა და არავიასა და მრავალნი მტერთაგანნი ჳელთ-ისხნა.

22. ბტოლემეოას ლათუროსი მისა მიმართ ბრძოლაჲ და ძლევაჲ.

23. ვითარმედ აღმკედრებულმან დიმიტრიოს აკეროს ალექსანდროას ზედა, სძლო მას.

24. ანტიოხოს, დიონესიოდ სახელდებულისაჲ, აღმკედრებაჲ იუდეასა ზედა და ვითარმედ სძლო ბრძოლასა შინა.

25. ვითარმედ შემდგომად ალექსანდროას აღსრულებისა ცოლი მისი ალექსანდრა, მეფობასა წელთა ცხრათა შინა დამპყრობელი და ცხორებული მშვდობით და დიდებით, მოკუდა.

მოაქუს წიგნსა ეამი წელთა ოთხმეოცდართაჲ.

ფლავიოას იოსიპოასი, იუდაებრივისა ძველსიტყუაობისაჲ, წიგნი მეათსამეტე.

შ. 1

1\*. რომლითა უკუე სახითა იუდელთა ნათესავმან, დამონებულმან ამან ძაკედონთაგან, მიიღო თავისუფლებაჲ და რაოდენთა შინა და ვითართა ლუაწლთა მავალი მკედართმთავარი მათი იუდა მოკუდა, მათთვის მბრძოლი, უწიხარესსა ამისსა წიგნსა შინა ცხად-გვქმნიეს. ხოლო შემდგომად იუდაას აღსრულებისა ყოველი, რაოდენი იყო მერმეცა უსახურთა და გარდასრულთაჲ მამულსა მოქალაქობასა, ზედ-აღუდგებოდა იუდელთა და ყოვლით კერძო გან-

<sup>1</sup> დაღონი — A. Δαγών καιόμενον Ἦ. VII, გვ. 712.

\* I მაკაბ. 4,23.

ძლიერებული ბოროტსა-უყოფდა მათ. ხოლო თანა-შეეწეოდა სიბოროტესა მათსა სიყმილიცა, სოფელსა ზედა მოწვეწული, ვიდრეღა მრავალნი ნაკლულევანებისათვის საჭიროთაჲსა და არა შეძლებისა მრჩობლთავე მიმართ ბოროტთა წინაგანწყობად — სიყმილისა და მტერთა — მიივლტოდეს მაკედონთა მიმართ. ხოლო ვაკქიდი, განდგომილთა იუდელთა მამულისა წესისაგან და საზოგადოსა ცხორებასა აღმრჩეველთა შემკრებელმან, ამით კელთ-უღვა ქუეყანისა ზედმოურნეობაჲ, რომელთაცა, მპყრობელთა იუდაჲს მოყუარეთასა და მისთვისთა მბრძნობთასა, ვაკქიდის მისცნეს. ხოლო ესე, მტანჯველი მათი პირველად და სახარულად მგუემელი, ამისა შემდგომად ესრეთ განხრწნიდის. ხოლო ამის განსაცდელისა იუდელთათვის ესოდენისა ქმნილობასა, რაოდენისა არა იყვნეს გამოცდილებასა მქონებელ შემდგომად ვაველონით აღმოსლვისა, ნეშტი იუდაჲს მოყუარეთაგანნი, მხედველნი მწარედ წარწყმედილისა ნათესავისა, მისრულნი ძმისა მისისა, იონათისა, ევედრებოდეს მიმსგავსებად ძმისა მისისა და მოურნეობისა მისისა თანმონათესევთათვის, რომელი მოკულა მათისა თავისუფლებისათვის და არა უგულუბელს-ყოფად უმთავროებასა ნათესავისასა, არცა ჳირთა შინა, რომელთა/მეიერ ბოროტად განხრწნებდის. ხოლო იონათის, მეტყუელი მზად-ქონებასა სიკუდილად მათთვის და იკუნეულ-ქმნილი არა რომლითა უღარეს-ყოფად ძმისაგან, მკედართმთავრად იუდელთა განიჩინა.

2\*. და ვაკქიდი უკუე, მსმენელი და შეშინებული, ნუსადა მისცნეს საქმენი მეფესა და მაკედონთა იონათის, ვითარ პირველად იუდაცა, მოკუდინებასა მისსა ზაკუვით ეძიებდა. ხოლო ამის განზრახვისა მქონებელი არა დაეფარა იონათისს, არცა ძმასა მისსა სიმონს. არამედ ესენი, მსწავლელნი და მიმყვანებელნი ყოველთა მოყუარეთანი უდაბნოდ, რომელი იყო მახლობელ ქალაქისა, მალიად მიივლტოდეს. და მიწვენილნი წყალსა ზედა, წოდებულსა მღვმისა ასფარ, მუნ იქცეოდეს. და ვაკქიდი უკუე, მსწავლელი მათისა წარსლვისაჲ და მას ადგილსა შინა ყოფისაჲ, წარემართა მათ ზედა ყოვლისა ძალისა თანა და წილ იორდანისა დაბანაკებულმან მიიყვანა ძალი თვისი. ხოლო იონათის, მცნობელმან ვაკქიდის მის ზედა მისლვისამან, წარავლინა ძმად მისი იოანნი<sup>1</sup>, ლადდის სახელდებული, ნავატელთა არავთა მიმართ, რათა მათ თანა დადვას ჳურტველი მათი, რამეთუ მოყუარენი იყვნეს, ვიდრემდის ჰბრძონ ვაკქიდის. და იოანნი, წარსრული ნავატელთა მიმართ, მზრთა მიღვაჲთ ქალაქით, ამარეოჲს ყრმათა შეიპყრეს იგი თანად და მის თანანი და მიმტაცებელთა, რაოდენნი მოაქუნდეს, მოაკუდინენს იოანნიცა და მოყუარენი მისნი ყოველნი. სასჯელი ვიდრემე უკუე ამითი მისცეს ძმათა მისთა ლირსად, რომელი შემდგომად არა მრავლისა ცხად-ყყოთ<sup>2</sup>.

31\*. ხოლო ვაკქიდი, მცნობელი მწყურნებთა<sup>3</sup> შინა იორდანისათა დაბანაკებასა იონათისასა და მოშლოდუ შაბათთა დღისაჲ მივიდა მას ზედა, ვითარ არა მბრძოლისა მას დღესა შინა სჯულისაებრ. ხოლო იონათის, განმამწნობელი მოყუარეთაჲ და სულთათვის ძვრხილულობასა მათთვის მეტყუელი საშუვალ პყრობილთა მდინარისა და მბრძოლთაჲსა და ლტოლვასა არა მქონებელთაჲსა, რამეთუ მბრძოლნი წინაყერძო მოვიდეს, ხოლო მდინარე იყო უკუე-

<sup>1</sup> იოანნი AQ. = ცხად-ყოყოთ A. <sup>2</sup> მწყურნებთა AQ.

<sup>3</sup> I მაკაბ. 9,32. <sup>1\*</sup> I მაკაბ. 9,43.



ხად მათსა, მლოცველი ღმრთისა მიმართ ძლევასა მინიჭებად მათდა, განეწყობრძობლთა, რომელთაგან მრავალნი დააკუეთა<sup>1</sup> და ვინამთგან კანნიერებით ზედმომავლად მისდა იხილა ვაკქიდი, განჰმარტა მარჯუნამ, რამთა წყლას იგი. და იგი უკუე, წინაწარმცნობელი, განეგლტა წყლულუბასა. ხოლო იონათის, შთაერდომილი მოყუარეთა თანა მდინარედ, ცურდა და ესრეთ სახედ ცხონდეს წიალ იორდანისა, რამეთუ მბრძოლნი არღარა განვიდეს მდინარესა, არამედ უკუნ-იქცა მეყუსეულად ვაკქიდი იეროსოლკმათა სამცველოდ. ხოლო შოაკლდეს მკედრობისაგან ვითარ ორ ათასნი. და მრავალთა იუდეამსა ქალაქთა მიმღებელმან ვაკქიდი განამტკიცა იგი. და თანად იერიხუ და ამმათუ და ვეთორონ და ვეთილა და ამნათა და ფართო და ტოხონ და ლაზარა. და გოდოლთა თითოეულსა ქალაქსა შინა აღმაშენებელმან და ზღუდეთა ძლიერთა გარემომდგემელმან, სიდიდითა გარდამატებულთამან, ძალი მათ შინა და აღგინა, რამთა მიერ მტრევებულნი შემძლებელ იყვნენ ბოროტის-ყოფასა იუდელთასა. და უფრომსლა იეროსოლკმათა შინამ განამტკიცა სამცველოდ, ხოლო მიმყვანებელმან მძევლად ყრმათა იუდეამსა პირველთასა, სამცველოსა შინა წყუდეულ ყუნა იგინი და ამით სახითა დასცვიდა.

228

4\*. ხოლო ამასე ეამსა შინა მოწვეულმან ვინმე იონათის მიმართ და ძმისა მისისა სიმონისა, ამარეოს ყრმათა ქორწილისა აღსრულებად მიუთხრა მათ და სძლისა მიყვანებად ნავათა ქალაქით, ასულად მყოფისაჲ ვისმე საჩინოთაგანისაჲ არავთა შორის, ხოლო გულგებად-არს წარმოვლინებად ქალისაჲ ბრწყინვალედ და მდიდრად. და იონათის უკუე და სიმონის თანანი, ეამსა მარჯუესა აღმოჩენად მათთვის შემრაცხელნი შურისგებისათვის ძმისა და მიღებად იონანისთვის სასჯელსა მათგან მრავლითა კელმწიფებითა<sup>2</sup> მექუელნი, წარემართნეს მიღავანად და დაადგრეს მთასა<sup>3</sup> შინა, მომზირალნი<sup>4</sup> მტერთანი. ხოლო ვითარ იხილნეს იგი მიმყვანებელად ქალწულსა და სიძესა და ერსა მოყუარეთასა მათ თანა, კოთარისაჲ ყერ-არს<sup>5</sup> ქორწილთა შინა, გამოვლდომილთა საღარნობთ მოაკლდინნეს ყოველნი და სამკაულსა და სხუასა, რაოდენი მაშინ სიმდიდრე შეუდგებოდა კაცთა, მიმღებელნი, უკუნ-იქცეს. და შურისგებად ვიდრემე იონანისთვის, ძმისა მათისა, ძეთაგან ამარეოსთა ესევეითარი მიიღეს, რამეთუ თვთ ესენი, ამარეოსს ყრმანი და თანშედგომილნი მოყუარენი და ცოლნი მათნი და შვილნი განბრწნეს, რვაასად<sup>6</sup> მოყუნნი.

52\*. სიმონ ვიდრემე უკუე და იონათის, მწყურნებსა მდინარისასა უკუნ-ქცულნი, მუნ დადგრომილობდეს. ხოლო ვაკქიდი, იუდეამსა ყოველისაჲ სამცველოთა მიერ განმამტკიცებელი, უკუნ-იქცა მეფისა მიმართ. და მაშინ ვიდრემე წელთა ორთა საქმენი იუდელთანი დამშვდნეს. ხოლო ლტოლვილთა და უღმრთოთა, რომელნი ხედვიდეს იონათის და მის თანათა მრავალთა უშიშოებითა<sup>7</sup> მქცველად ადგილსა შინა მშვდობისა ძლით, წარავლინეს დიმიტრიოსს მიმართ მეფისა, მედრებელთა წარვლინებად ვაკქიდის შეპყრობისათვის იონათისსა, რამეთუ აუწყებდეს, ვითარმედ უპირველ-არს ამის ქმნად და ღამესა

<sup>1</sup> დააკუნა AQ. <sup>2</sup> კ'ლომწიფებითა A. <sup>3</sup> მთა A, მთ Q. <sup>4</sup> მომზირალი AQ. <sup>5</sup> ყერათვის AQ. <sup>6</sup> უშიშუებთა A.  
\* I მაკაბ. 9,37. <sup>10</sup> ερημασμοι, 13<sub>41</sub> (=400). <sup>20</sup> I მაკაბ. 9,42; 9,63.

ერთსა, მოულოდებლად ზედდადებულთა მათთვის, მოაკუდინნენ ყოველნი. ხოლო მეფემან წარავლინა რაჲ ვაკეიდი, ამან, მიწვეულმან იუდეად<sup>1</sup>, მიუწერა ყოველთა მოყუარეთა და იუდელთა და თანშემწეთა შეპყრობაჲ მისდა იონათისი. მოსწრაფე იყვნეს რაჲ უკუე ყოველნი, ვერ შეუძლეს შეპყრობაჲ იონათისი, რამეთუ განეკრძალებოდა ფრიად, მეცნიერი მზაკუვეებისა მათისაჲ. ხოლო ვაკეიდის, განრისხებულმან მილტოლვილთათვის, ვითარ განცრუებისათვის მათისა და მეფისა, ორმეოცდაათთა წინამძღუართა მათთა მპყრობელმან, მოაკუდინნა იგინი. და იონათის უკუე ძმისა თანა და მოყუარეთა ვიწროლად წარვიდა, რომელი იყო დაბაჲ უდაბნოს შინა, შეშინებული ვაკეიდისაგან. და აღმაშენებელსა გოდოლთასა და ზლუდეთა გარემოდგომილსა, აქუნდა თავი თვისი მტკიცედ შეცვული. და ვაკეიდის უკუე<sup>2</sup>, ამათი მსმენელი, თანად მის თანამსა ძალისა მიმყვანებელი და თანშემწეთა იუდელთაგანცა მქონებელი, / იონათის ზედა მოიწია და გარემოდგომილი სიმტკიცითა მისთა, მრავალთა დღეთა შინა აოჯრებდა მას. ხოლო იგი მოსწრაფებათა მიმართ ოჯრებისათა არა დაჰქსნდებოდა, არამედ ძლიერად წინააღდგომილმან სიმონ ვიდრემე, ძმად, ქალაქსა შინა დაუტევა ბრძოლად ვაკეიდისა, ხოლო თვით, ფარულად გამოსრული სოფლად და შემომკრებელი<sup>3</sup> კელსა მრავალსა მსგავსად მისსა მბრძნობთაგან, ღამე ზედა დაესხა ვაკეიდის ბანაკსა და მრავალთა განმზრწნელი მათგანი, ცხად-იქმნა სიმონისაცა, ძმისა თვისისა, მტერთა ზედდაცემული. და რამეთუ ესე, მცნობელი მის მიერ მოკუდინებულთაჲ, გამოვიდა მათ ზედა და მანქანებანი, ოჯრებისა მიმართ შემზადებულნი მაკედონთაგან, დაწუნა და სრავა მათი ყო ძლიერი. ხოლო მხილველი თავისა თვისისა ვაკეიდი მტერთა მიერ მოცველად და რომელთამე წინა კერძო მისსა, ხოლო სხუათა — უკუანა კერძო მღებარედ, მწუხარებასა ერთბამად და შფოთსა გონებისასა შთავარდა, შემრღუეული გარეგან სასოებისა შემთხუეულთათვის მოოჯრებასა შინა. ამათვისი ვიდრემე გულისწყრომაჲ ლტოლვილთა მიმართ, რომელთა მიუწოდეს მას მეფისაგან, გარდადვა, ვითარ შემაცთუნებელთა. ხოლო მნებებელ იყო, სრულყოფილი მოოჯრებისაჲ, უკუეთუ შესაძლებელ იყოს, თვისადმი უკუნ-ქვევასა.

6\*. ისწავა რაჲ უკუე გულისსიტყუაჲ მისი იონათის, წარავლინა მისა მიმართ სიყუარულისათვის და თანამბრძოლობისა, რაჲთა მისცნენ ურთიერთას, რომელნი მიიყვანნეს ტყუენი მრჩობლთავე. ხოლო ამისი უბრწყინვალესად შემრაცხელი ვაკეიდი მოქმედ-იქმნა იონათის მიმართ სიყუარულსა და ფიცეს არა აღმკვდრებდა მერმეცა ურთიერთას მიმართ. ტყუეთა უკუე მიმცემელი და თვისთა მიმყვანებელი უკუნ-იქცა ანტიოქიად მეფისა მიმართ და შემდგომად ამის უკუნ-ქვევისა არლარა მივიდა უკუანამსკენელ იუდეასა ზედა. ხოლო იონათის, ამის მოცალეებისა<sup>4</sup> მიმღებელი და მახმას შინა ქალაქსა მოქმედი ქვევისაჲ, მუნ განაგებდა საქმეთა ერისათა და ბოროტთა და უღმრთოთა მტანჯველი განსწმედლა ესრეთ ამათგან ნათესავსა.

<sup>1</sup> იუდად A. <sup>2</sup> უე A, ვაკეიდესვე Q. <sup>3</sup> შემოკრებელი A, შემკრებელი Q. <sup>4</sup> მოცლუ-ბისა A.

\* I მკაბ. 9,70.

თ. 2

1\*. ხოლო წელსა მესამოცესა და მესესა ანტიოხოს ეპიფანეს ძესა, ალექსანდროსს, აღსრულსა სურიად, შეემთხვა დაპყრობაჲ პტოლემიდაისი შინაგან გამოცემათა მკედართაგან, რამეთუ სიძულილსა მქონებელ იყვნეს დიმიტრიოხს მიმართ ამპარტავანებისა მისისათჳს და ძნიად სახილავობისა, რამეთუ შემცველი თავისა თვისსაჲ ოთხკოშკედსა რასმე სამეფოსა შინა, რომელი შეჰმზადა მან არა შორს ანტიოქიასაგან, არა რომელსა უტრეებდა შესლვად, არამედ და საქმეთაცა ზედა მცონარე იყო და უდები, რომლისათჳს უფრომსლა ქუეშდაწესებულთა მიერ სიძულილი აღევზნა მისა მიმართ, ვითარცა აწლა და სხუათაცა შინა ცხად-გუქმნიეს.

შინაგან უკუე იქმნა რაჲ პტოლემიდაისა ალექსანდროს, მსმენელმან დიმიტრიოხს მიიყვანა ყოველი ძალი თვისი მას ზედა. წარავლინნა უკუე იონათისცა მიმართ მოხუცებულნი თანამბრძოლობისათჳს და სიყუარულისა, / რამეთუ 229  
 ჰგონებდა, ნუსადა ალექსანდროს, მსწრობელი, ეზრახოს მას და აქუნდეს მის მიერ შეწვევაჲ. ხოლო ესე ქმნა შეშინებულმან, ნუსადა ძკრისმოცუნე იონათის მტრობისა მისისათჳს ზედ-დაესხას მას. თანა უბრძანა უკუე მას შეკრებაჲ ძალისაჲ და შემზადებაჲ საქურველთაჲ და მძეველთაჲ, რომელნი იუდეელთაგან ვაკქიდის სამცველოსა შინა იეროსოლჳმათასა წყუდეულ-ყვნა, მიცემაჲ აუწყა. ესენი რაჲ დიმიტრიოხსგან ეუწყნეს მას, იეროსოლჳმად მიწევნულმან იონათის წარკითხა ეპისტოლე მეფისაჲ სასამენელად ერისა და მცველთა სამცველოსათა. და ვინაჲთგან წარკითხულ-იქმნნეს ესენი, უსახურხი და ლტოლვილნი სამცველოსანი ფრიად შეშინდეს მიქტევისათჳს მეფისა იონათის მიმართ და მკედრობასა შეკრებისა და მძეველთა მიყვანებისა. ხოლო მან მშობელთა მათთა თითოეულსა თვისი მისცა. და ესრეთ ვიდრემე იონათის იეროსოლჳმათა შინა მყოფ იყო, განმაახლებელი<sup>1</sup> ქალაქისა შინათაჲ და თვისისა განზრახვისაებრ შემზადებელი თითოეულისაჲ, რამეთუ ბრძანა აღმეხებაჲ ზლუდეთაცა ქალაქისათაჲ ქვათაგან ოთხ ძვიდეთა, რაჲთა იყვნენ ბრძოლათა მიმართ მტკიცე. ამათნი მხედველნი იუდეაისა სამცველთა მცველნი, დამტევებელნი მათნი, ივლტოდეს ყოველნი ანტიოქიად, გარეშე ვეთსურა ქალაქსა შინა და იეროსოლჳმათა სამცველოსა შინა მყოფთაგან, რამეთუ ესენი უმრავლესი ნაწილი უსახურთა იუდელთა და ლტოლვილთაჲ იყო და ამისთვის სამცველნი არა დაუტრევენს.

21\*. ხოლო მცნობელი ამათი ალექსანდროს თანა აღთქუმათაჲ, რომელნი ყვნა დიმიტრიოხს იონათის მიმართ და მეცნიერნი სიმკნისა მისისაჲ და რაოდენი იყო მაკედონთა, მბრძოლმან მათმან, და კუალად ვითართა მენებელ არს იგი დიმიტრიოხს მიერ და ვაკქიდის, დიმიტრიოხს მკედართმთავრისა, თანა-შემწესისა უმჯობესსა იონათისაგან არა პოვნად იტყოდა მოყუარეთა მიმართ მას ჟამსა შინა, რომელი და ბრძოლათაცა მიმართ მკნე არს და სიძულილი თვისი აქუს დიმიტრიოხს მიმართ, მრავალთა ძკრთა მენებელსა მისგან და თვთ ამას მოქმედსა მისა მიმართ, აწ უკუე უკუეთუ სათნო არს მოყუარედ ქმნაჲ ამისი ძვნად დიმიტრიოხსა, აწ არს საკმარებაჲ, არა სხუასა ჟამსა, მოწოდებად

<sup>1</sup> განამახლებელი A.  
 \* I მაკაბ. 10,1. \* I მაკაბ. 10,15.

მისსა თანამბრძოლობისა მიმართ. ხოლო ვინაჲთგან სთნდა მას და მოყუარეთა მისთა წარვლინებაჲ იონათის მიმართ, მიწერა ესევეითარი ეპისტოლე: „მეფე ალექსანდროს იონათის, ძმასა, ვიხაროდენი სიმკნე ვიდრემე შენი და სარწმუნოებაჲ გუასმიეს ძუელ ოდესვე და ამისთვის წარმოვაგლინეთ შენდა მიმართ სიყუარულისათვის და თანამბრძოლობისა. ხოლო კელადდებულ გყოფთ შენ დღეს მღდელთმთავრად იუდეელთა და მოყუარედ ჩემთა გეწოდოს. წარმომიგლინიან შენდა ძლუენნიცა, შესამოსელი პორფურაჲ! და გვრგვნი ოქროსაჲ და გვედრები, პატივცემულსა ჩუენ მიერ, რაჲთა მსგავს იქმნე ჩუენდა მიმართ“.

3\*. შემწყნარებელმან უკუე ეპისტოლისამან იონათის შეიმოსა ვიდრემე  
 V სამღდელთმთავროჲ შესამოსელი / წარმოდგომილობასა კარვობისასა შემდგომად ოხთხა წელთა, ვინაჲთგან ძმად მისი იუდა მოკუდა და რამეთუ არცა ვინ მღდელთმთავარ იქმნა მას ჟამსა შინა. და შეკრიბა ძალი მრავალი და საქურველთა სიმრავლე. და დიმიტრიოს ამათმან სწავლამან ფრიად შეაწუხა და დაყოვნებისათვის თავსა თვისსა იბრალებდა, რამეთუ არა წინამსწრობელმან ალექსანდროსმან იკატომოყუარა იონათის მიმართ, არამედ მან მიუტევა ჟამისა მიმართ. მიწერა უკუე და მანცა ეპისტოლე იონათის<sup>2</sup> მიმართ და ეროსა, მათუწყებელი ამათი: „მეფე დიმიტრიოს იონათის და ნათესავსა იუდეელთასა, ვიხაროდენი ვინაჲთგან დაიცევით ჩუენდა მიმართი სიყუარული და გამოცდელთა თქუენთა მტერთა ჩემთა არა თანამიერთენით, და ამასცა ვიდრემე ვაქებ სარწმუნოებასა თქუენსა. ხოლო გვედრები მათეე ზედა დადგრომად, მიმღებელთა ჩუენგან ნიჭთა და მადლთასა, რამეთუ უმეტესნი ხარკთაგან მიგიტევენ თქუენ და განწყისებულნი, რომელთა მისცემლით პირველ ჩემსა მყოფთა მეფეთა. და მე აწ უკუე თქუენ მიგიტევებ ხარკთა, რომელთა მარადის მოგცემლით. და ამათ თანა ფასსაცა მოგიტევებ თქუენ მარილთა და გვრგვნთასა, რომელთა მოიღებლით ჩუენდა და მესამედითავს ნაყოფისათა და ნახერისათვის ხისა ნაყოფისა, ქმნილისა ნაწილად ჩემდა, თქუენ მიგიტევებ დღენდელით დღითგან. და რომელთაჲ თითოეულისა თავისათვის ჭეროიყო ჩემდა მოცემად დამკვდრებულთაგან იუდეასა შინა და ადგილთსამთავროთაგან ოუდიამსა მახლობელთა, სამარიაჲსა და ლალილეაჲსა და წიად მყოფისაგან<sup>3</sup>, ამათ მიგიტევებ თქუენ ამიერთგან ყოველსა მიმართ ჟამისა. და იეროსოლუმელთა ქალაქისაჲ სამღდელიოდ და წარუტყუენველად მნებავს ყოფად და თავისუფლად ვიდრე საზღვართადმდე მისთა მეთესა ზედა ხარკთასა. ხოლო სამცველოსა მივსცემ მღდელთმთავარსა თქუენსა იონათის, რაჲთა რომელნიცა მან გამოარჩინეს სარწმუნონი და საყუარელნი, ესენი მას შინა მცველად დაადგინნეს, რაჲთა დაგვეცან ჩუენ იგი. და იუდეელთა, ტყუეთა და მშონებელთა ქუეყანასა ჩუენსა შინა, თავისუფლად განუტევებ და ვბრძანებ არცა მძლავრებით მიყვანებასა იუდეელთა კარაულთასა. ხოლო შაბათნი და დღესასწაულნი ყოველი და სამნი უწინარეს დღესა დღესასწაულისასა იყუნენ უხაკოდ. და ესრეთეე სახედ ჩემსაცა სამეფოსა შინა დამკვდრებულთა იუ-

<sup>1</sup> პოსტერა: A Q. <sup>2</sup> იონათი A. <sup>3</sup> ადგილი სამთავროთაგან A Q

\* I მკაბ. 10, 21. <sup>1\*</sup> Περσας 13<sup>გ</sup> (საეუთარი სახელი გაგებულა საზოგადო სახელად და თარგმნილთა: Περσας=საპირსაპირო მხარეს მღებარე ქვეყანა. სხვაგან, წ. 5. თ. 7, 7, ეს საეუთარი სახელი უთარგმნელად, პერსეა სახით არის გადმოღებულ).

დელთა თავისუფლად და განუცდელად განუტევებ. და აღმკედრებად ჩემ თანა მნებებელთა უბრძანებ და სამნი ბევრნი იყენენ ესენი და ესოდენთავე, სადაცა წარვიდოდინან, მიემთხვენენ, რაოდენთა მკედრობაა ჩემი მიიღებდეს. ხოლო დუადგინენ მათგანნი რომელნიმე სამცველოთა შინა და რომელნიმე მკველად ჩემისა სხეულისა და მთავრად ვყენე ეზოსა ჩემსა შინა მყოფთა ზედა. ხოლო ებრძანებ მამულთა სჯულთა კუმევეად და ამით დაცვად და სამთა, იუდაისა შინა მდებარეთა, სჯულთაჲ ქუეშდამორჩილებაჲ მნებავს და მღდელთმთავრისა საურყო<sup>1</sup> იყოს. რაჲთა არცა ერთსა იუდეელსა სხუაჲ სამღდელთა აქუნდეს თაყუანისსაცემელად. გარნა მხოლოდ იეროსოლჱმასა შინა მყოფი. ხოლო მივსცემ ჩემთაგან წარსაგებელისათჱს მსხუერპლთაჲსა წლთი-წლად ბევრთა ხუთ და ათთა და დანეშტებულთა საკმართთა თქუენდა მნებავს ყოფად და ბევრთა დრახმათა, რომელთა მიიღებდეს ტაძრისაგან მეფენი, თქუენ მიგუტევებ, ვინაჲთგან შეეტყუებთან ესენი მღდელთა და მსახურთა სამღდელთა-სათა. და რაოდენნი მიივლტოდინან იეროსოლჱმას შინაჲსა ტაძრისა მიმართ და შის ქუეშე მყოფთა მიმართ, გინა სამეფოთა საკმართთა თანამღებნი, ანუ სხვსა რომლისაევე მიზეზისათჱს, განტევებულ-იქმენინ ესენი და მონაგებნი მათნი უენებელ იყენენ. ხოლო ებრძანებ განახლებასა და აღშენებასა ტაძრისასა და ამისა მიმართ წარსაგებელი ჩემთაგან იქმენს და ზღუდეთა ქალაქისათა შეუნდობ შენებად და კოშკთა მალალთა აღდგინებად. და ესე ყოველნი ჩემთაგან აღემართნენ. და უკუეთუ სამცველოცა რაჲმე არს, რომელი სარგებელ-ექმნების იუდეელთა ქუეყანასა, სიმაგრედ მყოფი, და ესეცა ჩემთაგან შეიმზადენინ<sup>2</sup>.

230

4\*. ამათმან ვიდრემე აღმთქუმელმან და მიმნიჭებელმან იუდეელთათჱს, მიწერა დიმიტრიოსს ხოლო ალექსანდროს მეფემან, ძალსა დიდსა შემკრებელმან სასყიდლით დადგინებულთაგან და მისრულთაგან სკრიჲთ მისა მიმართ მკედართა, დიმიტრიოსს ზედა განიმკედრა. და ბრძოლაჲ რაჲ იქმნა, მარცხენითმან კერძომან დიმიტრიოსს ერისამან მიდრიკნა წინააღმდგომნი ლტოლულად და სდევნიდა მათ მრავლად და მოაკუდინნა მრავალნი მათგანნი და განფხურა ბანაკი. ხოლო მარცხენითისა<sup>3</sup> და შეემთხუეოდა ყოფად დიმიტრიოსს, იძლია. და სხუანი ვიდრემე ყოველნი ივლტოდეს. და დიმიტრიოსს, მკნედ მბრძოლმან, არა მცირენი მოაკუდინნა მბრძოლთაგან. ხოლო მდევნელმან სხუათამან შთაავდო ცხენი უყესა ღრმასა და ძნიად განსაეალსა, სადა შეემთხუა მას, დაცემულობასა ცხენისა მისისასა, მოკუდინებაჲ არა შემძლებელსა განლტოლედ, რამეთუ შემთხუეულსა მისთჱს მხილველნი მბრძოლნი უკუნ-იქცეს და გარემოდგომილნი დიმიტრიოსსნი ყოველნი მას ზედა სტყორცებდეს. ხოლო იგი, ქუეით მყოფი, მკნედ მბრძოდა და დასასრულსა, წყლულებათა მრავალთა მიძლებელი და არღარა ბრძოლად შემძლებელი, დაეცა. და დასასრული ვიდრემე ესევითარი ეწია დიმიტრიოსს, წელთა მმეფობსა ათერთმეტთა, ვითარ და სხუათაცა შინა ცხად-გვქმნიეს.

<sup>1</sup> საურნო AQ, ἀπαιτεῖς 13<sub>3</sub>.

\* I მაკაბ. 10,48. <sup>2</sup> ἡ δὲ βῆτις 13<sub>39</sub> (=მარჯენა მხარე).

## თ. 3

1. ხოლო ონიას, მღვდელთმთავრისა ძესა, თანმოსახელედ მამისა მყოფსა, რომელიცა აღექსანდრიას შინა იქცეოდა, ლტოლვილი პტოლემეოსს მიმართ, დედისმოყუარედ წოდებულისა, ვითარ და უწინარესცა ვთქუთ, მხილველსა იუდეასა ბოროტისყოფისასა მაკედონთა მიერ და მეფეთა მათთა, მნებებელსა საკსენებელსა და დიდებასა საუკუნესა შემზადებად მისდა, სთნდა წარვლინებამ პტოლემეოსს მიმართ მეფისა და დედოფლისა კლეოპატრასა და თხოვად მათგან კელმწიფებასა, რაჟთა აღაშენოს ტაძარი ეგვიპტეს შინა, მსგავსი იეროსოლჴმას შინათა და ლევიტლნი და მღვდლნი თვისისა ნათესაისაგან დაადგინეს. / ხოლო ამას მნებებელ იყო უფროსდა მინდობილი. წინაწარმეტყუელისი ისაიამსი, რომელმანცა, უწინარეს უმეტეს წელთა ექუსასთა კმნულმან, წინაწარ-თქუა, ვითარმედ ჯერ-არს ნანდვლ ეგვიპტეს შინა. აღშენებამ ტაძრისა და დიდისა ღმრთისათვის მამაკაცისა მიერ იუდელისა. ამით-მიერ უკუე აღზუავებულმან ონია მიუწერა პტოლემეოსს და კლეოპატრას. ესევითარი ეპისტოლე: „მრავალთა და დიდთა საკმარებათა აღმასრულებელი თქუნდა ბრძოლისა საქმეთა შინა ღმრთისა შეწვენისა თანა და მიწვენული ღელესა შინა სკრიასა და ფენიკისასა და ლეონტო ქალაქად, მზის ქალაქისა. იუდელთა თანა, და სხუთა ადგილთა მიწვენული ნათესაისათა და მრავალთა მპოვნელი გარეგან ჯეროვნისა ტაძრებსა მქონებელთა და ამისთვის უსიყუარულოდ მყოფთა ურთიერთას, რომელი და ეგვიპტელთათვისცა შემთხუეულ არს სიმრავლისათვის სამღვდლოთაჟსა და მსახურებათა შინა არა ერთმადიდებლობისათვის, მარჯუესა მპოვნელი ადგილსა, სახელდებულსა უდაბურისა ვუვასტისა, სიმარგესა შინა, აღმომაცენებელსა მრავალსა ხისა ნერგისასა და აღსავსესა ბოროტთა ცხოველთა მიერ, გვედრები, რაჟთა შემინდო. უმეუფოჟსა სამღვდლოჟსა და დაცემულისა განმწმედელსა აღშენებამ ტაძრისა დიდისა ღმრთისასა, მსგავსებისაებრ იეროსოლჴმათა შინაჟსა ტაძრისა, მათვე საზომთა ზედა შენთვის და შენისა ცოლისა და შვილთათვის, რაჟთა აქუნდეს ეგვიპტეს შინა დამკვდრებულთა იუდელთა, მას შინა შემავალთა, ერთგონებაობით ურთიერთარისისა მიმართ მსახურებამ საკმარებათა შენთაჟ. და რამეთუ ისაჟ წინაწარმეტყუელმან ესე წინაწარ-თქუა: „იყოს სამსხუერპლო ეგვიპტეს შინა უფლისა ღმრთისა“. და მრავალნი წინაწარმეტყუელნი სხუანიცა ესევითარნი ადგილისათვის.

2. და ესენი ვიდრემე ონია მეფესა პტოლემეოსს მიუწერა. ხოლო გულისკმაყოს ვინმე კეთილმსახურებამ მისი და კლეოპატრასი, დისა მისისა და ცოლისაჟ, ეპისტოლისაგან, რომელი ნაცვალ-უწერეს, რამეთუ ცოდვად და სჯულისა გარდასლვად ონიას თავსა ზედა დადვეს, რამეთუ მიწერეს ესრეთ: „მეფე პტოლემეოსს და დედოფალი კლეოპატრა ონიას, გიხაროდენი წარგვიკითხეთ ეპისტოლე შენ, მვედრებელისაჟ, შენდობად შენდა ლეონტო ქალაქსა შინა მზის ქალაქისასა, დაცემულისა განმწმედაჟ, სახელდებულისაჟ უდაბურისა ვუვასტისაჟ, რომლისათვისცა განკვრებულ ვართ, უკუეთუ იყოს სახარულევან ღმრთისა აღშენებადი სამღვდლოჟ საძაგელსა ადგილსა შინა და ად-

\* [ქმუ 13, 77 (ლქმ = 1) საოცარი, საშინელი, 2) საკულტო, შინდა. ამ კონტექსტში სავარაუდოდ მითითებულია.]

სავსესა ბოროტთა ცხოველთა მიერ. ხოლო ვინაჲთგან შენ იტყუ ისაიას წინაწარმეტყუელისა უწინარეს მრავლისა ეამისა ამათ თქუმაღ, შეგინდობთ შენ, უკუეთუ ჭერ-არს ამისი ქმნაჲ სჯულისაებრ, რაჲთა ჩუენ უეჭუელ-ვიყუებთ ცოდვად ღმრთისა მიმართ“.

3. მიმღებელმან უკუე ადგილისამან, ონია აღაშენა ტაძარი და გვაპტისა შინაჲსა სამღდელოჲსათჳს ბომონი დიდისა ღმრთისაჲ, მსგავსი იეროსოლჳმათა შინათაჲ, არამედ უმცირესი და უღარესი. ხოლო საზომთა მისთა და/ჳჳურ-კელთაჲ აჲ არა მთნდა მე მოთხრობაჲ, რამეთუ მეშუდესა წიგნსა ჩემსა იუდაებრივთა ბრძოლათასა აღწერილ არს. ხოლო პოვნა ონია იუდეელნიცა ვიეთ-ნიმე, მსგავსნი მისნი, და მღდელნი და ლევიტნი, მუნ მსახურნი. არამედ სამღდელოჲსა ამისთჳს კმასაყოფელად უწყებულ არს ჩუენ მიერ. 231

4. ხოლო აღექსანდრიას შინა მყოფთა მღდელთა და სამარიტელთა, რომელნი ღარიზინ მთასა შინა მყოფსა სამღდელოსა თაყუანის-სცემდეს, აღექსანდროჲს ეამთა შინა აღშენებულსა, შეემთხვა კდომჲ ურთიერთას და სამღდელოთათჳს პტოლემეოჲს ზე განისაჯნეს, რამეთუ იუდელნი იტყოდეს მოჳსის სჯულთაებრ აღშენებასა იეროსოლჳმათა ტაძრისასა, ხოლო სამარიტელნი—ღარიზინს შინა მყოფისასა. და თანად ევედრნეს მეფესა, რაჲთა დაჯდომილმან მოყუარეთა თანა ისმინნეს მათ ძლითნი სიტყუანი და ძლეულნი სიკუდილსა ზღვეულ იქმნენ. სამარიტელთა ვიდრემე სიტყუაჲ სავეევოს ქმნა და თეოდოსიოს, ხოლო იეროსოლჳმელთა და იუდელთაჲ—ანდრონიკოს მესსალამაოჲსმან. და ფუცეს ღმრთისა მიმართ და მეფისა, რაჲთა აღმოჩენანი სჯულთაგან იქმნენ, თანად ევედრნეს პტოლემეოჲს, რაჲთა რომელიცა პოვოს გარდაშავალი ფიცთაჲ, მოაკუდინოს. მეფე ვიდრემე უკუე, მრავალთა მოყუარეთა თანგანშზრახად მიმყვანებელი, დაჯდა სმენად სიტყუთა. ხოლო აღექსანდრიას შინა მყოფნი იუდელნი მრავლად მოშიშებდეს მამაკაცთათჳს, რომელთა განცდილებაჲ იეროსოლჳმათა შინაჲსა სამღდელოჲსათჳს შეემთხუეოდა, რამეთუ მძუნეარედ მოითმენდეს, უკუეთუ ვიეთმე დაჰსნან ესე, ესრეთ ძუელი და საჩინოდ ქუეყანასა შინა მყოფი. ხოლო სავეევოს და თეოდოსიოს მიუტევეს<sup>1</sup> ანდრონიკოსს პირველად-ქმნაჲ სიტყუათაჲ. და იწყო აღმოჩენათაგან სჯულისაგან და მონაცვალეთა მღდელთმთავართა და ვითარმედ თითოეული, მამისაგან პატივსა მიმთუალველი, მთავრობდა ტაძრისა და ვითარმედ ყოველთა ასიაჲსა მეფეთა პატივ-სცეს ტაძარსა შესაწირავთა მიერ და ბრწყინვალეთა ხიჳთა. ხოლო ღარიზინის შინაჲსაჲ, ვითარ არად მყოფისაჲ, არავინ სიტყუაჲ, არცა ზრუნეაჲ ქმნა. ამათმან მეტყუელმან ანდრონიკოს და სხუათა მსგავსთა ამათთამან, არწმუნა მეფესა სჯაჲ მოჳსის სჯულთაებრ იეროსოლჳმათა ტაძრისა აღშენებისაჲ, ხოლო მოკუდინებაჲ სავეევოს და თეოდოსიოჲს თანათაჲ. და შემთხუეულნი ვიდრემე იუდელთათჳს აღექსანდრიას შინა პტოლემეოჲს ზე, დედისმოყუარისა, ესენი იყვნეს.

<sup>1</sup> მოტევის A.

## მ. 4

1°. ხოლო მოკულა-რამ დიმიტრიოს ბრძოლასა შინა, ვითარცა ზემო წარმოვჩინეთ. ალექსანდროს, სკრიპასა მეფობასა მიმღებელმან, მიუწერა დედის მოყუარესა პტოლემეოსს დაწინდებად ქორწილისა მიმართ ასულსა მისსა მეტყუელმან, ვითარმედ სამართალ არს, მამულსა მთავრობასა მიმღებულსად და პირველისა განგებისა მიერ ამას ზედა მიწვეულისად და დიმიტრიოსს მძლეველისად და არცა სხუათა შინა მისა მიმართისა ნათესავობისათჳს უღირსად მყოფისად. ქმნასა ნათესავობისასა. ხოლო პტოლემეოს, სიხარულით ზრამულაუღელმან მზახობისამან, ნაცვალ-უწერა, მხიარულებასა მეტყუელმან <sup>v</sup> მამულსა მთავრობასა, მისდად მყოფსა, მიღებისა/თვის და ასულისა მიცემა აღუთქუა. და შემთხვევად პტოლემეოდად<sup>1</sup>, ასულისა მიყვანებად მგულბებულსა უბრძანა მას, რამეთუ თუთ ესე ასულსა თვისსა ვიდრე აქამომდე წარმოჰყვეს ეგვიპტით და მუნ შეაუღლოს მას ყრმად თვისი. და პტოლემეოს ვიდრემე, ამითი მიმწერელი, მიიწია სწრაფით პტოლემეოდად<sup>2</sup> კლეოპატრას, ასულსა, მიმყვანებელი. ხოლო მოვენელმან მუნ წინაშემთხუეულსა ალექსანდროსს, ვითარცა მიემცნო, მისცა მას ყრმად და ზითივი, ვეცხლი და ოქროვ, რაოდენი ჯერ-იყო მიცემად მეფისაგან.

2°. ხოლო აღესრულებოდეს რამ ქორწილი<sup>2</sup>, ალექსანდროს იონათისს ძლდელთმთავარსა მიუწერა, მბრძანებელმან, რამთა მივიდეს იგი პტოლემეოდად<sup>2</sup>. და, მიწვეულმან მეფეთა მიმართ, მიანიჭნა მათ ძლუენნი ბრწყინვალეხი და მრჩობლთაგანვე პატივსა მიემთხვა. ხოლო ალექსანდროს აიძულა მას, განძმარეულსა თვისისა სამოსლისასა, შთაცუმაჲ პორფერაჲსაჲ და თანამჭრომად მისმან მოქმედმან დალიქსა ზედა, უბრძანა მთავართა, საშუვალ ქალაქისა განსრულთა მის თანა, ქადაგებად არავისდა შენდობად ძვრსა მეტყუელბად მისთვის და არცა მიცემად მისა იძულებათა. ხოლო ესე რამ ქმნეს მთავართა, მხილველნი მეფისა მიერსა ქადაგებასა იონათისს პატივისათჳს, შესმენად განზადებულნი და მისა მიმართ სიძულილსა მქონებელნი, ივლტოდეს შეშინებულნი, ნუსადა მიიღონ რამე ძვრი. და ესოდენი მოსწრაფებად იონათისთვის შეფემან ალექსანდროს იქუშია, ვიდრელა პირველად მოყუარეთა დაწერა იგი.

3°. ხოლო წელსა მეხუთესა და მესამეოცესა ასთა თანა დიმიტრიოს დიმიტრიოსს ძე მრავალთა თანა სასყიდლით დადგინებულთა, რომელნი მისცნა მას ლაოსთენი კრიტელმან, აღდგომილი კრიტით წარვიდა კილიკიად. და ამისმან სმენამან ალექსანდროს შიშსა და შფოთსა შთაგდო და მეყუსეულად ფუნკით ანტიოქიად მოსწრაფე იყო, რამთა მუნ შინანი პირველ დიმიტრიოსს მოსლვადმდე განამტკიცნეს. ხოლო დაუტევა ღელისა სკრიპასა მთავარად ამოღლონიოს დიონი, რომელმანცა, მრავლისა ძალისა თანა იამნიად მიწვეულმან, წარავლინა იონათისს მიმართ მღდელთმთავარისა, მეტყუელმან: „უჭერო არს მხოლოდ-ყოფად ჩუნი, მოცალეებით ცხორებად და კელმწიფებთ, არა

<sup>1</sup> პტოლემეოდად AQ. <sup>2</sup> პტოლემეოდად AQ.

<sup>3</sup> I მაკაბ. 10,51. <sup>4</sup> I მაკაბ. 10,59. <sup>5</sup> Taw. 28. 29. 30. 31. 32. 33. 34. 35. 36. 37. 38. 39. 40. 41. 42. 43. 44. 45. 46. 47. 48. 49. 50. 51. 52. 53. 54. 55. 56. 57. 58. 59. 60. 61. 62. 63. 64. 65. 66. 67. 68. 69. 70. 71. 72. 73. 74. 75. 76. 77. 78. 79. 80. 81. 82. 83. 84. 85. 86. 87. 88. 89. 90. 91. 92. 93. 94. 95. 96. 97. 98. 99. 100. 101. 102. 103. 104. 105. 106. 107. 108. 109. 110. 111. 112. 113. 114. 115. 116. 117. 118. 119. 120. 121. 122. 123. 124. 125. 126. 127. 128. 129. 130. 131. 132. 133. 134. 135. 136. 137. 138. 139. 140. 141. 142. 143. 144. 145. 146. 147. 148. 149. 150. 151. 152. 153. 154. 155. 156. 157. 158. 159. 160. 161. 162. 163. 164. 165. 166. 167. 168. 169. 170. 171. 172. 173. 174. 175. 176. 177. 178. 179. 180. 181. 182. 183. 184. 185. 186. 187. 188. 189. 190. 191. 192. 193. 194. 195. 196. 197. 198. 199. 200. 201. 202. 203. 204. 205. 206. 207. 208. 209. 210. 211. 212. 213. 214. 215. 216. 217. 218. 219. 220. 221. 222. 223. 224. 225. 226. 227. 228. 229. 230. 231. 232. 233. 234. 235. 236. 237. 238. 239. 240. 241. 242. 243. 244. 245. 246. 247. 248. 249. 250. 251. 252. 253. 254. 255. 256. 257. 258. 259. 260. 261. 262. 263. 264. 265. 266. 267. 268. 269. 270. 271. 272. 273. 274. 275. 276. 277. 278. 279. 280. 281. 282. 283. 284. 285. 286. 287. 288. 289. 290. 291. 292. 293. 294. 295. 296. 297. 298. 299. 300. 301. 302. 303. 304. 305. 306. 307. 308. 309. 310. 311. 312. 313. 314. 315. 316. 317. 318. 319. 320. 321. 322. 323. 324. 325. 326. 327. 328. 329. 330. 331. 332. 333. 334. 335. 336. 337. 338. 339. 340. 341. 342. 343. 344. 345. 346. 347. 348. 349. 350. 351. 352. 353. 354. 355. 356. 357. 358. 359. 360. 361. 362. 363. 364. 365. 366. 367. 368. 369. 370. 371. 372. 373. 374. 375. 376. 377. 378. 379. 380. 381. 382. 383. 384. 385. 386. 387. 388. 389. 390. 391. 392. 393. 394. 395. 396. 397. 398. 399. 400. 401. 402. 403. 404. 405. 406. 407. 408. 409. 410. 411. 412. 413. 414. 415. 416. 417. 418. 419. 420. 421. 422. 423. 424. 425. 426. 427. 428. 429. 430. 431. 432. 433. 434. 435. 436. 437. 438. 439. 440. 441. 442. 443. 444. 445. 446. 447. 448. 449. 450. 451. 452. 453. 454. 455. 456. 457. 458. 459. 460. 461. 462. 463. 464. 465. 466. 467. 468. 469. 470. 471. 472. 473. 474. 475. 476. 477. 478. 479. 480. 481. 482. 483. 484. 485. 486. 487. 488. 489. 490. 491. 492. 493. 494. 495. 496. 497. 498. 499. 500. 501. 502. 503. 504. 505. 506. 507. 508. 509. 510. 511. 512. 513. 514. 515. 516. 517. 518. 519. 520. 521. 522. 523. 524. 525. 526. 527. 528. 529. 530. 531. 532. 533. 534. 535. 536. 537. 538. 539. 540. 541. 542. 543. 544. 545. 546. 547. 548. 549. 550. 551. 552. 553. 554. 555. 556. 557. 558. 559. 560. 561. 562. 563. 564. 565. 566. 567. 568. 569. 570. 571. 572. 573. 574. 575. 576. 577. 578. 579. 580. 581. 582. 583. 584. 585. 586. 587. 588. 589. 590. 591. 592. 593. 594. 595. 596. 597. 598. 599. 600. 601. 602. 603. 604. 605. 606. 607. 608. 609. 610. 611. 612. 613. 614. 615. 616. 617. 618. 619. 620. 621. 622. 623. 624. 625. 626. 627. 628. 629. 630. 631. 632. 633. 634. 635. 636. 637. 638. 639. 640. 641. 642. 643. 644. 645. 646. 647. 648. 649. 650. 651. 652. 653. 654. 655. 656. 657. 658. 659. 660. 661. 662. 663. 664. 665. 666. 667. 668. 669. 670. 671. 672. 673. 674. 675. 676. 677. 678. 679. 680. 681. 682. 683. 684. 685. 686. 687. 688. 689. 690. 691. 692. 693. 694. 695. 696. 697. 698. 699. 700. 701. 702. 703. 704. 705. 706. 707. 708. 709. 710. 711. 712. 713. 714. 715. 716. 717. 718. 719. 720. 721. 722. 723. 724. 725. 726. 727. 728. 729. 730. 731. 732. 733. 734. 735. 736. 737. 738. 739. 740. 741. 742. 743. 744. 745. 746. 747. 748. 749. 750. 751. 752. 753. 754. 755. 756. 757. 758. 759. 760. 761. 762. 763. 764. 765. 766. 767. 768. 769. 770. 771. 772. 773. 774. 775. 776. 777. 778. 779. 780. 781. 782. 783. 784. 785. 786. 787. 788. 789. 790. 791. 792. 793. 794. 795. 796. 797. 798. 799. 800. 801. 802. 803. 804. 805. 806. 807. 808. 809. 810. 811. 812. 813. 814. 815. 816. 817. 818. 819. 820. 821. 822. 823. 824. 825. 826. 827. 828. 829. 830. 831. 832. 833. 834. 835. 836. 837. 838. 839. 840. 841. 842. 843. 844. 845. 846. 847. 848. 849. 850. 851. 852. 853. 854. 855. 856. 857. 858. 859. 860. 861. 862. 863. 864. 865. 866. 867. 868. 869. 870. 871. 872. 873. 874. 875. 876. 877. 878. 879. 880. 881. 882. 883. 884. 885. 886. 887. 888. 889. 890. 891. 892. 893. 894. 895. 896. 897. 898. 899. 900. 901. 902. 903. 904. 905. 906. 907. 908. 909. 910. 911. 912. 913. 914. 915. 916. 917. 918. 919. 920. 921. 922. 923. 924. 925. 926. 927. 928. 929. 930. 931. 932. 933. 934. 935. 936. 937. 938. 939. 940. 941. 942. 943. 944. 945. 946. 947. 948. 949. 950. 951. 952. 953. 954. 955. 956. 957. 958. 959. 960. 961. 962. 963. 964. 965. 966. 967. 968. 969. 970. 971. 972. 973. 974. 975. 976. 977. 978. 979. 980. 981. 982. 983. 984. 985. 986. 987. 988. 989. 990. 991. 992. 993. 994. 995. 996. 997. 998. 999. 1000.



დამორჩილებად მეფისა. ნუ აწ თავსა თვისსა, მათათა შინა მჯდომარე, იტუ-  
ნებ, მგონებელი ძალსა ქონებად. არამედ უკუეთუ მინდობილ ხარ ძალისა  
შენისათვის. შთამოსრული ველად მკედრებსა ჩუენსა თანა აღრაცხილ-იქმენ და  
დასასრულმან ძლევისამან გამოაჩინოს უმუნესი. უწყოდე უკუე ჩემ თანა აღ-  
მკედრებთა ურჩეულესთა ქალაქისათა და რამეთუ ვითარ მძლეველნი არან  
ესენი შწობელთა შენთანი. ხოლო ჰყო ჩუენდა მომართი ღუაწლი ესევეითარსა  
ქუეყანასა შინა, სადა ქვათა მიერ არა არს, არამედ საჭურველთა მიერ ბრძო-  
ლად, არცა აღგილი, ვინაჲ ძლეული ლტოლვილ-იქმენა“.

4\*. განრისხებული უკუე ამთ ზედა იონათის, ბევრთა გამომრჩეველი  
მკედართაჲ, წარემართა იეროსოლუჲმად სიმონის თანა, ძმისა თვისისა. და მი-  
წუნულმან იოჰპიდ დიბანაკა გარეგან ქალაქისა, ხოლო იოჰპელთა დაუწუნეს  
მას ბჳენი, რამეთუ სამცვე/ლოჲ აქუნდა შინაგან აპოლონიოსს მიერ დადგი- 232  
ნებული. ხოლო იონათის განემზადებოდა რაჲ ოკრებისა მიმართ მათისა, შე-  
შინებულთა, ნუსადა და ქალაქი მათი მიიღოს ძლიერებით, განუხუნეს მას  
ბჳენი. და აპოლონიოსს უკუე, მსმენელი იოჰპისა დაპყრობასა იონათის მიერ,  
სამ ათასთა ცხენოსანთა მიმყვანებელი და ქუეითთა რვა ათასთაჲ, აზოტოდ  
შიიწია და მიერ წარსრული მღუმრიად და დაწყნარებით ჰყოფდა სლუასა.  
ხოლო მისრული იოჰპიდ, ვითარ წარმავალი, მიიზიდვიდა<sup>1</sup> იონათისს ველად,  
ცხენთა შეურაცხისმყოფელი და ძლევისა სასოებათა მქონებელი მისგან. გა-  
მოსრული იონათის სდევნიდა აპოლონიოსს აზოტოდში. ხოლო ვითარ ველ-  
სა შინა შემთხუეულ-იქმენა ქმნაჲ ბრძოლისაჲ, უკუმოქცეული განწყუო მას  
ბრძოლად. და აპოლონიოსს ათასნი ცხენოსანნი დასხნა მზირად ქევსა რო-  
მელსამე შინა, რაჲთა უკუანაჲთ გამოუჩნდენ მბრძოლთა, რომელი აგრძნა რაჲ  
იონათის, არა შეშინდა, არამედ განმაწყებულმან მკედრობისამან ოთხკუთხად,  
ყოვლით კერძო მბრძოლთა ბრძოლად უბრძანა, პირისპირ და უკუანაჲთ მო-  
მავალთა მიმართ განმაწყებულმან მისმან. ხოლო ვითარ მიიწია ბრძოლად ვიდ-  
რე მწუხრადმდე, მისცა სიმონს, ძმასა, ნაწილი ძალისაჲ და უბრძანა მას  
წყობად ბანაკსა მტერთასა, ხოლო მან მის თანათა უბრძანა აღჭურვილთა სა-  
ჭურველითა მითუალეჲთ ისართაჲ, რომელნი ცხენოსანთა მიერ მოივლინებო-  
დეს. და მათ ვიდრემე ქმნეს ბრძანებული. ხოლო მბრძოლნი ცხენოსანნი, მათ  
ზედა განმტყეველნი ისართანი, ვიდრემდის და წარმოაქარიელნესცა, არარას  
აუნებდეს მათ, რამეთუ არა შეეებოდეს სხეულთა ტყორცებულნი, არამედ  
შედგმულთა ფართა ზედა და შეერთებულთა სიკუმოჲთა ზედგანტყეველნი,  
ადვილად ბგიერდეს და უსაქმოდ მოიღებვოდეს. ხოლო ვითარ დაქსნილ იქმნ-  
ნეს განთიადითგან ვიდრე მიმყოვრებულად მწუხრადმდე მტყორცებულნი  
მათდა მიმართ მბრძოლნი, გულისკმისმყოფელმან სიმონ მოუძღურებისა მა-  
თისამან შებმა-უყო განწყობილსა და გულსმოდგინებასა მრავალსა კუმეგითა  
მკედართა მისთაჲთა, მიდრიცნა მტერნი ლტოლვად. ხოლო იხილნეს რაჲ ქუე-  
ითნი ლტოლვილად ცხენოსანთა, არცალა იგინი დაადგრეს, არამედ დაქსნილად  
ვიდრემე მყოფნი ვიდრე მიმწუხრადმდე ბრძოლისაგან და ქუეითთაგან სასოე-  
ბისა წარმწყემდელნი უშუერად და აღრეულად ივლტოდეს, ვიდრელა განხეთ-  
ქილნი ესენი ყოველსა ველსა ზედა განიბნინეს. ხოლო მღევნელმან მათმან

<sup>1</sup> მიზიდვიდა AQ.

\* I მკ.ბ. 10.74.

იონათის ვიდრე აზოტოდმდე და მრავალთა ცხორებისა წარმწირველთა მომაკუდინებელმან აიძულა დაღონის ტაძარსა შინა მილტოლვამ, რომელი იყო აზოტოს შინა. და მიმღებელმან ზედმისლვით ქალაქისამან, იონათის დაწუა იგი და თანად გარემოას მისსა მყოფნი დაბანი და არცა დაღონის ტაძარსა განუყენა, არამედ და ესეცა დაწუა და მას შინა შეველტოლვილნი განხრწნა. ხოლო ყოველი სიმრავლე ბრძოლასა შინა დაცემულთა მბრძოლთა და დამწუარათა ტაძარსა შინა იყო რვა ათასი. მძლეველი უკუე ესოდენისა ძალისა, წარსრული ასკალონად მიიწია და დაიბანავა რაჲ ამან გარეგან ქალაქისა, მოვიდეს შემთხუევად მისა ასკალონიტელნი, ნიჭთა მომღებელნი მისთვის და პატრივისმცემელნი. ხოლო იყო, მიმთუალველი გულსმოდგინებისა მათისა, მიიქცა მიერ იეროსოლჴმად, მრავალსა ნატყუნავსა მიმღებელი, რომელი მიიღო მძლეველმან მბრძოლთამან. ხოლო ალექსანდროს, მსმენელი მკედართმთავრისა მისისა აპოლონიოას ძლეულებისა, იხემებდა მხიარულებასა, რამეთუ გარეგან განზრახვისა მისისა პბრძოდა იონათისს, მოყუარედ და თანაშემწედ მყოფსა. და წარაელინა იონათის მიმართ, მწამებელმან ნიჭთა და პატრეთა მიცემად სამსჯუალსა ოქროსასა, ვითარცა წესარს მიცემად მეფისა ნათესაეთა და ადგილთსამთავროდ მისი მისცა მას სამკვდრებელად.

5\*. და ამასეე უამსა შინა მეფეცა პტოლემეოს, დედისმოყუარედ წოდებული, ნატურსა<sup>1</sup> მიმყვანებელი ძალსა და ქუეთისა, სკრიად მიიწია შეწყენად ალექსანდროსსა, რამეთუ სიძე იყო მისი. და ყოველნი ქალაქნი, ალექსანდროსს ბრძანებისაებრ წადიერებით შემწყნარებელნი მისნი, წარავლდნეს ვიდრე აზოტო ქალაქამდე, სადა ყოველნი კმობდეს მისა მიმართ დამწუარისათჴს ტაძრისა მათისა დაღონისა და შესამენდეს იონათისს, უჩინოშქმენელსა მისსა და სოფლისა დამწუეველსა და მრავალთა მათთა მომაკუდინებელსა. და პტოლემეოს ვიდრემე, ამათმან მსმენელმან, დაიდუმა<sup>1</sup>, ხოლო იონათის, იოპხიდ მიგებებული პტოლემეოასი, ნიჭთა ბრწყინვალეთა მიემთხვა მისგან და პატრესა ყოველსა. ამისა შემდგომად, წარმავლენელი მისი ვიდრე ელევეთრო წოდებულად მდინარედმდე, კუალად უკუნ-იქცა იეროსოლჴმად.

6. ხოლო მიიწია რაჲ პტოლემეიდას<sup>2</sup>, გარეგან ყოვლისა იქუსა კინილა განიხრწნა პტოლემეოს, ზედგანზრახული ალექსანდროსგან ამმონიოას მიერ, რომელი იყო საყუარელ მისა. ხოლო ცხად-იქმნა რაჲ ზედგანზრახულებამ, პტოლემეოს მიუწერა ალექსანდროსს, სატანჯველად მთხოველმან ამმონიოასმან, ზედგანზრახულებასა მეტყუელმან მისგან და სასჯელსა მიცემად ამისთვის ევედრებოდა მას. ხოლო ვინაჲთგან არა მისცემდა ალექსანდროს, გულისკმისყოფელი თჴთ მას ყოფად ზედგანზრახველად, ბოროტად დაიდვა მისა მიმართ. ხოლო ანტიოქელთა მიმართ და პირველადცა მცოდველ იყო ალექსანდროს ამმონიოას ძლით, რამეთუ მრავალთა ბოროტთა მენებელ იყვნეს მის მიერ სასჯელსა ვიდრემე ნაკადრებთასა მიცემელ იქმნა ამმონიოს, მოკუდინებული უმუერად ვითარ დედაკაცი, მოსწრაფე დაფარვასა თავისსა სამოსლითა დედაკატებრივითა, ვითარ და სხუათაცა შინა ცხად-გვქმნიეს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> დათდამა AQ. <sup>2</sup> პტოლემეიდას AQ. <sup>3</sup> ცხად-გვქმნეს AQ.

\* I ზაკბ. 11,1. <sup>10</sup> ოსმარქუ 13ვე (=სახლეო ძალა, ფლოტი).

7°. ხოლო პტოლემეოს, მებრალბელმან თავისა თვისისამან, რამეთუ შე-  
 აულდა ასული ალექსანდროსს და რამეთუ თანა-შეეწია დიმიტრიოჲს მიმართ,  
 აწ დაჰქსნა მისა მიმართი ნათესაეობაჲ, რამეთუ მიმტაცებელმან ასულისამან  
 შიუმცნო დიმიტრიოჲსს მეყუსეულად თანაშემწეობისათეს და სიყუარულისა  
 მათეუებელმან და ასულისა მიტემაჲ ცოლად მისდა აღუთქუა და მამულსა  
 შოაერობასა ზედა დაღვინებაჲ მისი. ხოლო დიმიტრიოჲს, მხიარულქმნილმან  
 მიმცნებულთა ზედა, მიითულა თანამბრძოლობაჲ და მზახობაჲ, / გარნა ვრ- 2341°  
 თიდა პტოლემეოჲსთეს ნეშტი სალუაწოჲ დაშთომილ იყო: დარწმუნებაჲ ანტი-  
 ოქელთაჲ, რაჲთა შეიწყნარონ დიმიტრიოჲს, რამეთუ სიძულილსა მქონებელ  
 იყვნეს მისა მიმართ მათ ძლით, რომელნი მამამან მისმან დიმიტრიოჲს მათდა  
 მიმართ იუსჯულონა. გარნა მოიდონა ესეცა, რამეთუ მოძულეთა ალექსანდრო-  
 Ბსთა ანტიოქელთა ამმონიოჲს ძლით, ვითარცა წარმოვაჩინეთ, აღვილად გან-  
 დევნეს იგი ანტიოქიათ. და ესე ვიდრემე, განვრდომილი ანტიოქიათ, წარ-  
 ვიდა კილიკიად. ხოლო ანტიოქელთა მიმართ მიწევნული პტოლემეოს მეფედ  
 განიჩინა მათ მიერ და მკედრობისა და იძულებულმან ორნი დაიდგნა გვრგვ-  
 ნი: ერთი ვიდრემე ასიახსათეს, ხოლო სხუაჲ — ეგვიპტისათეს. ხოლო ბუნე-  
 ბით კეთილად მყოფი და მართალი და უცხოთასა არა გულსმთქუმელი და  
 ამათ თანა გულეებადთაცაგან გონებად გონიერი, მსჯელ იქმნა კრძალულებსა  
 კუმეად, რაჲთა არა საშურველ იქმნეს რომთა მიერ. და შემკრებელმან ან-  
 ტიოქელთამან შესაკრებლად არწმუნა მათ შეწყნარებაჲ დიმიტრიოჲსი, მე-  
 ტყუელმან, ვითარმედ არარაჲ ძვრ-იქსენოს მათთეს მამისა ძლით თვთ კეთილ-  
 ყოფილმან და თანად აღიარა, ვითარმედ მოძღუარ კეთილ იყოს მისა და მთა-  
 ვარ და ბოროტთა საქმეთა კეთილყოფელსა აღუთქუა არა შენდობად, ხოლო  
 თვთ მისდა კმაყოფასა იტყოდა ეგვიპტისა სამეფოჲსასა. ამათმან მეტყუელმან  
 არწმუნა ანტიოქელთა შეწყნარებაჲ დიმიტრიოჲსი.

8. ხოლო ალექსანდროს მკედრობისა თანა მრავლისა და დიდისა შემ-  
 ზადებულეებისა მიიმართა კილიკიათ სკრიად და ანტიოქელთა ქუეყანაჲ და-  
 წუა და განდებურა. ხოლო პტოლემეოს განიშკედრა მას ზედა სიძისა თანა  
 თვისისა დიმიტრიოჲსსა, რამეთუ მიეცა მისდა ასული ქორწილად და მძლეველ-  
 თა ლტოლვად მიდრიკეს ალექსანდროს. და ესე ვიდრემე უკუე არავიდა მი-  
 იელტოდა. ხოლო შეემთხვა ბრძოლასა შინა ცხენსა პტოლემეოჲსსა, პილოასა  
 კმისა მსმენელსა, აღშფოთებაჲ და პტოლემეოჲსს, შერყეულისა, შთამოგდებაჲ.  
 და მბრძოლთა, იხილეს რაჲ, მას ზედა მიიმართეს და წყლულეებანი მრავალნი  
 მისცნეს მას თავსა ზედა და ძვრისხილვასა შინა სიკუდილისასა დაადგინეს,  
 რამეთუ სხეულისმცველთა მიიტაცეს იგი, ესრეთ ბოროტად მქონებელი,  
 ვიდრედა ოთხთა დღეთა შინა არარას აგრძნობდა, არცა კმობად შემძლებელ  
 იყო. ხოლო ალექსანდროს თავსა, არაეთა მძლავრმან მომკუეთელმან ზავი-  
 ლოს, წარუვლინა პტოლემეოჲსს, რომელმანცა მებნუთესა დღეთასა, აღმხილ-  
 ველმან წყლულეებათაგან და გონიერქმნილმან, სახარულეგანი სმენაჲ და სახი-  
 ლავი — ალექსანდროსს აღსრულებაჲ ერთბამად და თავი — ისმინა და იხი-  
 ლა. და შემდგომად არა მრავლისა, აესებულმან სიხარულითა ალექსანდროსს  
 სიკუდილისათეს, და თვთცა დააქცია ცხორებაჲ. მეფობდა უკუე ასიახსა

\* I მაკბ. 11,10. 1° 233—234—235 ფურცლები A-ში არასწორად არის აკენჭული.

† აქლექსანდროს, ვალად სახელდებული, წელთა ხუთთა, ვითარ და სხუათაცა შინა ცხადქმნილ არს.

9\*. ხოლო მიმღებელმან მეფობისამან დიმიტრიოს, ნიკანორ სახელდებულმან, სიბოროტი იწყო განხრწნაჲ პტოლემეოს მკედრობისაჲ, მისა მძარტისა თანშეშწნობისა დამეიწყებელმან და ვითარმედ სიმამრი იყო მისი და კლეოპატრას ქორწინებისათჳს ნათესავი. მკედარნი ვიდრემე უკუე ევლტოდეს სიბოროტესა მისსა აღექსანდრიად, ხოლო დიმიტრიოს დამპყრობელ იქმნა პილოთა.

და იონათის უკუე მღდელთმთავარი, ყოვლისა იუდეაჲსაგან მკედრობისა შემკრებელი, მბრძოლი აოჯრებდა იეროსოლჳმათა სამცველოსა, რომელსა აქუნდეს მაკედონელი მცველად და რომელნიმე უსახურთავანნი და ლტოლვილინი<sup>1</sup> მამულისა ჩუეულებისაგან. ხოლო ესენი პირველად შეურაცხ-პყოფდეს, რომელთა იონათის მოიღონებდა მიღებისათჳს, მინდობილნი სიმტკიცესა ადგილისასა. და ღამით ვიეთნიმე ბოროტთაგანნი, მას შინა მყოფნი, გამოსრულნი წარვიდეს დიმიტრიოსს მიმართ და გარემოდგომილებჲა სამცველოჲსაჲ აუწყეს მას. ხოლო იგი, უწყებულთა ზედა განრისხებული, მიმყვანებელი ძალისაჲ მივიდა ანტიოქიათ იონათის ზედა. და მიწვეულმან პტოლემეიდას<sup>2</sup> მიწერა, მბრძანებელმან მისმან, რაჲთა ისწრაფოს წარსლვად მისა მიმართ პტოლემეიდად. და იგი ვიდრემე ოჯრებისაგან არა დაცხრებოდა, გარნა მოხუცებულთა ერისათა მიმყვანებელი და მღდელთა და ოქროსა და ვეცხლსა და შესამოსელსა და სიმრავლესა ნიჭთასა მიმღებელი მივიდა დიმიტრიოსს მიმართ და ამათ მიმნიჭებელმან მისმან განკურნა რისხეჲა მეფისაჲ და პატიცემულმან მისგან მიიღო მტკიცედ ქონებაჲ მღდელთმთავრობისაჲ, ვითარ და უწინარესთაცა მისთა მეფეთაგან მქონებელ იყო. ხოლო ვინათგან შესამენდეს მას ლტოლვილინი, არა ირწმუნა დიმიტრიოს, არამედ და მკედრებელსაცა მისსა, რაჲთა ყოვლისა იუდეაჲსათჳს და სამთა ადგილთა სამთავროთათჳს, სამარიაჲსა და იოპპისა და ლალიუაჲსა, სამასთა მისცემდეს ტალანტთა<sup>3</sup>, მისცნა ყოველთათჳს ეპისტოლენი, რომელთა აქუნდა სახე ესევეთარა: „მეფე დიმიტრიოს იონათის ძმასა და ნათესავსა იუდეელთასა, მხიარულებჲა! ხაცვალნაწერი ეპისტოლისაჲ, რომელი მიუწერე ლასთენის, ნათესავსა ჩუენსა, წარმოკვლენიეს თქუენდა, რაჲთა ისწავოთ: „მეფე დიმიტრიოს ლასთენის, მამასა, მხიარულებჲა! იუდელთა ნათესავისაჲ, მოყუარედ მყოფისაჲ და სამართალთა ჩუენდა მიმართი დამცველისაჲ, ნაცვლად სიყუარულისა ვსაჭე მადლსა მინიჭებაჲ და სამთა სჯულთა მიუტევებ: რემად და ლვდად და რაბათა, რომელნი იუდეასა მიერთნეს სამარიათ და სიმტკიცეთა მათთა. და ამას თანა რაოდენნი შემსხუერბულეთა იეროსოლჳმელთაგან მიეცემოდეს პირველთა ჩემთა მეფეთა და რაოდენნი ნაყოფთაგან ქუეყანისათა და ნერგთა და/სხუათა ჩუენ ძლითთა და ტბებსა მარილთასა და ჩუენდა მოღებულთა გვკვცნთა, მიუტევებ მათ და არა რომელი ამათგანი გარდაჯდომილ იქმნეს ამიერთგან, არცა შემდგომად მყოფსა ეჲმსა. იზრუნვე უკუე, რაჲთა ამათი ნაცვალნაწერი იქმნეს და მიეცეს იონათის და საჩინოსა ადგილსა შინა წმიდისა ტაძრისასა დაიდვას“. მიწერილინი ვიდრემე ესენი იყვიეს. ხოლო მხილველმან დი-

<sup>1</sup> მქელანა A. <sup>2</sup> ლტელვილინი A. <sup>3</sup> პტოლემეადას AQ. <sup>4</sup> ტალანტთა AQ.

\* I მკაბ. 11,19; 11,30.

მეტრიოს მშვედობასა და არცა ერთსა ძკრისხილვასა, არცა შიშსა ბრძოლისა-სა ყოფად, დაჰქსნა მკედრობაჲ და ნაკლულევან ყო სასყიდელი მათი და მხოლოთა უცხოთა შეკრებილთა მისცა ესე, რომელნი მის თანა აღმოვიდეს კრიტით და სხუათა ქალაქთაგან. ამიერ უკუე მტრობაჲ და სიძულილო მისი იქმნა მკედართაგან, რომელთა იგი ვიდრემე არცა ერთსა მისცემდა. ხოლო ბირეულ მისსა მყოფნი მეფენი და მშვედობასაცა შინა მიმცემელნი მათთვის მსგავს იყვნეს, რაჲთა მოყუარედ აქუნდენ და მათთვისთა ღვაწლთა შინა, უკუეთუ ოდესმე საკმარ იქმნეს გულსმოდგინედ.

VI. 5

!

1\*. ამისთვისცა ამას სიძულილსა მსწავლელი მკედართაგან დიმიტრიოსს მიმართ, მკედართმთავარი ვინმე ალექსანდროსი, აჰამელი ნათესავით, დიოდოროს, ტრეფონადცა წოდებული, მიიწია მალხონს მიმართ არავისა, რომელი ზრდიდა ალექსანდროსს ძესა ანტიოხოსს. და მათუყებელი მისდა სიძულილსა მკედრობათსა დიმიტრიოსს მიმართ, არწმუნებდა მიცემასა მისთვის ანტიოხოსსა, რამეთუ მეფე ყოს იგი და მთავრობასა ზედა მამისა მისისასა დაადგინოს იგი. ხოლო იგი წინა-აღლდგებოდა ბირეულად ურწმუნოებით, არამედ შემდგომად მრავალსა ჟამსა ევედრებოდა რაჲ ტრეფონ, იძლია განზრახვისაგან, რომელთათვის ტრეფონ ევედრებოდა. და ამის მამაკაცისა ძლითნი ვიდრემე ამათ შინა იყვნეს.

2\*. ხოლო მდღელთმთავარი იონათის, მნებებელი გამოღებად იეროსოლკმათა სამცველოსა და ლტოლვილთა იუდელთა და უსახურთასა და<sup>1</sup> ყოველსა სოფელსა შინა მცველად დადგინებულთასა, წარმავლენელი დიმიტრიოსს მიმართ ძღუნთა და მოხუცებულთაჲ, ევედრებოდა სიმავრეთა შინა იუდეასათა მყოფთა განსხმასა. ხოლო იგი არა ამათ მხოლოდ მინიჭებად მისდა, არამედ და უდიდესთაცა ამათთა აღუთქუმიდა შემდგომად კელთშინაჲსა ბრძოლისა, რამეთუ აწ ამისგან უცალოობს. და ევედრებოდა მას შეწევნასა წარვლინებად, მათუყებელი განდგომასა ძალისა მისისასა. და იონათის ვიდრემე სამ ათასნი მკედარნი წარავლინნა გამომჩიველმან.

3\*. ხოლო ანტიოქელნი, მოძულენი დიმიტრიოსსნი ბოროტათვის, რომელნი ევენეს მის მიერ და მძაგებელნი მისნი და მამისაცა მისისა დიმიტრიოსსთვის, მრავალთა მცოდველისა მათდა მიმართ, ჟამთა ეძიებდეს მიღებად, რომელსა შინა ზედ-დაესხნენ მას. ხოლო გულისკმისყოფელნი შეწევნასა მოსლვად იონათისგან დიმიტრიოსს მიმართ და განმგონენი ერთბაჲად. ვითარმედ მრავალი შეკრიბოს ძალი, უკუეთუ არა მსწრობელთა იპყრან იგა, აღმტაცებელნი საჭურველთანი და გარემოდგომილნი სამეფოთა მის/თანნი სახედ ოქრებისა და განსავალთა დამპყრობელნი, ეძიებდეს კელთგდებასა მეფისასა. ხოლო მან, მხილელმან ერსა ანტიოქელთასა მბრძოლად მისა მიმართ და საჭურველთა შინა მყოფად, მიიყვანნა სასყიდლით დადგინებულნი და იონათის მიერ წარვლინებულნი იუდელნი და შებმა-უყო ანტიოქელთა. და

<sup>1</sup> და] + და A.

\* I მკაბ. 11,39. \* I მკაბ. 11,41. \* I მკაბ. 11,45.

იძულებული მათ მიერ, რამეთუ მრავალნი ბევრნი იყვნეს, იძლია. ხოლო მხედველნი ანტიოქელთანი მძლეველად, იუდელნი სამეფოთა სართულთა ზედა აღვიდეს და მიერ ესროდეს ანტიოქელთა. და იგინი ვიდრემე შორს იყვნეს ვნებისაგან მათ მიერ სიმაღლისა ძლით, ხოლო მათ ბოროტად უყოფდეს ზეხაათ კერძო ბრძოლისათვის და მახლობელთა სახლთაგან განასხნეს იგინი და ამათ მეყუსეულად ცეცხლი აღუდგეს. ხოლო საცუმელი, ყოველსა ქალაქსა ზედა განფენილი სიჭმომსათვის სახლთათა და რამეთუ უმრავლესნი ძელისაგან აღმენებულ იყვნეს, დასწუვიდა მას ყოველსა. და ანტიოქელნი უკუე, არა შემძლებელნი შეწყენად, არცა დამპირვად ცეცხლისა, ლტოლვად მიდრკეს. ხოლო იუდელნი, სახლითი-სახლად მელდომნი, ამით სახითა სდევნიდეს და საკრველისა დევნულებისა შემთხუეულ იქმნა. ხოლო მეფემან, მხილველმან ანტიოქელთამან, რამეთუ ცხოვნებად შეილთა და ცოლთა მოსწრაფე არიან და ამისთვის არღარა მბრძოლი სხუათა, სივიწრეთა შინა ზედ-დაეხსა მათ და შეებამყოფელმან მრავალნი მათგანნი მოაკუდინნა, ვიდრელა აიძულა მათ დასრევაჲ საჭურველთაჲ და მიცემაჲ თავთა თუსთაჲ დიმიტრიოსა. და შემნდობელმან მათთვის ნაკადრებთამან დააცხრო კლდომაჲ. ხოლო მიანიჭნა იუდეულთა ნატყუენავისა სარგებელთაგან და ვითარ მიზეზ ძლევისა მისისად ქმნილთა მმადლობელმან, წარავლინნა იეროსოლჲმად იონათის მიმართ, მწამებელმან მისდა თანშემწეობისათვის. არამედ უკუნადასკენელ ბოროტ იქმნა მისა მიმართ და აღთქუმანი განაცრუენა და ბრძოლაჲ აქადა, უკუეთუ არა ყოველნი ხარკნი მისცნეს მას, რომელთაჲ თანა აწ იუდეულთა ნათესავსა პირველთა მეფეთაჲთგან. და ესე ექმნენესცა, არა თუმცა ტრკფონს დაეყენა იგი და იონათის მიმართი შეზადებულებაჲ მისი გარდაელო მისთვისთა ზრუნვათა მიმართ, რამეთუ უკუმოქცეულმან არავიამთ სვრიად ყრმასა თანა ანტიოხოსს, ხოლო ყრმა იყო ესე ჰასაკითა; მერმეცა დაადგა მას გვრგვნი. და მიჰმართა ყოველმან მკედრობამან, რომელსა დაეტევა დიმიტრიოს არი მიმთხუევისათვის სასყიდელთაჲსა, და ბრძოლაჲ განილო დიმიტრიოსს მიმართ და, შეებამყოფელმან მისმან, სძლო ბრძოლასა შინა და თანად ბილონი და ანტიოქელთა ქალაქი მიიღო.

233 4\*. დიმიტრიოსს ვიდრემე უკუე, ძლეულა, წარვიდა კილიკიად. ხოლო ყრმამან ანტიოხოსს, წარამელინებელმან იონათის მიმართ მოხუცებულთა და წერილთამან, მოყუარედ და თანამეწედ მისა ყო იგი და მდღელთმთავრობაჲ დაუმტკიცა და ოთხნივე სჯულნი მიუტევენა, რომელნი იუდეულთა ქუეყანასა შეეძინნეს. და ამას თანა ჭურჭელნი ოქროსანი და საჭურველნი და პორფერაჲ შესამოსელი წარუვლინა<sup>2</sup> და ჭუმევაჲ მათი უბრძანა და სამსჭუალი ოქროსაჲ მიანიჭა მას და პირველად მოყუარედ უწოდა მას. ხოლო მამა მისი სიმონ მკედართმთავრად მკედრობისა ტურისა კერძოთათთ ვიდრე ეგვპტელმდე დაადგინა. ხოლო იონათის, ანტიოხოსს მიერ ქმნილთა ზედა მისა მიმართ მხიარულქმნილმან, წარავლინნა მისა მიმართ და თანად ტრკფონისა მოხუცებულნი და სიყუარულსა და თანამბრძოლებსა აღიარებდა და მის თანა ბრძოლასა დიმიტრიოსს მიმართ, მასწავლელი, ვითარმედ არცა 2-ს მადლნი ნაცვალ-

<sup>1</sup> ყმა A. <sup>2</sup> წარაუვლნა A, წარაუვლნა Q.

\* I მაკაბ. 11, 57.

აგნა მრავალთა კეთილთა, რომელთა შინა მოქენე იყო მის მიერ მიმთხუეული, არამედ და უსამართლო იქმნა ნაცვლად კეთილთა, რომელნი ეყვენეს.

5\*. შეუნდო უკუე ანტიოხოს, რადთა შეკრიბოს მისა ძალი მრავალი სკრიათ და ფუნიკით და ჰბრძოს მკედართმთავართა დიმიტრიოხსთა და იონათის მეყუსეულად მიიმართა ქალაქთა მიმართ. ხოლო იგინი ბრწყინვალედ ვიდრემე შეიწყნარებდეს მას, გარნა მკედრობასა არა მისცემდეს. და მიერ წარსრულსა ასკალონ ქალაქად, ასკალონიტელნი პატივისმოყუარებით ძღუენთა თანა მოეგებნეს მას და ევედრებოდა მათ თანად თითოეულსა ღელისა სკრიასა ქალაქთასა, რადთა განყენებული დიმიტრიოხსგან შეუდგეს ანტიოხოსს და მის თანა მბრძოლთა ინებონ სასჯელსა მიღებამ დიმიტრიოხსგან მათესს, რომელნი ოდესმე ცოდნა მათდა მიმართ. და არიან მათდა მიზეზნი მრავალნი, უკუეთუ ინებონ. დამარწმუნებელი ქალაქთად თანაშეწყენად ანტიოხოსსა, ღაზად მიიწია, რადთა შესძინოს მათ მიერცა სიყუარული ანტიოხოსს. ხოლო ფრიად უცხოდ უკენა პოენა სასოებისაგან ღაზელნი, რამეთუ დაუქმნეს მას ბქენი, დიმიტრიოხს დამტყეებელთა არა ენება ანტიოხოსს შედგომამ. ამან აღძრა იონათის ოკრებად და ქუეყანისა მათისა ბოროტისყოფად, რამეთუ კერძოსა<sup>2</sup> მკედრობისასა დამადგინებელი გარემოხს ღაზისა, ნეშტად თვთ ქუეყანასა მომვლელი განხრწნიდა და დასწუვიდა.

ამათ მუნებელად მხილველნი თავთა თვსთანი ღაზელნი და არცა ერთისა შეწყენასა ქმნად მათთვს დიმიტრიოხსგან, არამედ მწუხარებასა ვიდრემე მახლობელად, ხოლო მარგებელსა შორს მერმეცა და უჩინოდ, უკუეთუ მოიწიოსცა, ბრძნად მსჯელ იქმნეს ამას, რადთა დამტყეებელთა მისთა ესე განკურნონ რისხვისაგან. წარავლინეს უკუე იონათის მიმართ და სიყუარული აღიარეს და თანაშემწეობამ, რამეთუ კაცნი უწინარეს გამოცილებისა ბოროტთასა არა გულისკმა-ყოფენ უმჯობესსა, არამედ რაჟამს ბოროტსა რომელსამე მიმთხუეულ იქმნენ, მაშინ. ზრახვათმბრძოლნი, რომელთად ყოელითურთ არა ვნებულთაგან უმჯობესს ქმნამ ამათ, უკუანამსკენელ ზღვეულნი, აღირჩევენ. ხოლო მან, სიყუარულსა მყოფელმან მათდა მიმართ და მიმყვანებელმან მძევალთამან: / ესენი ვიდრემე იეროსოლვმად წარავლინნა, ხოლო თვთ ქალაქსა ყოველსა მოკვლიდა ვიდრე დამასკოდმდე.

61\*. და შემდგომად ამისა დიმიტრიოხს მკედართა მოსლვამ კედასა ქალაქად მრავლისა თანა მკედრობისა სმენილ იქმნა, ხოლო მახლობელ არს ესე ტყრელთა ქუეყანისა და ღალილეასა, რამეთუ განყვანებასა მისსა ჰკონებდეს სკრიათ ღალილეად, ვითარ თანაშემწედ, რამეთუ ღალილეველთა, მისად მყოფთა, უგულვებელსყოფასა ბრძოლილთასა არა მეჭუთაობდეს. ხოლო იონათის მიეგება მათ. ძმასა თვსსა სიმონს დამტყეებელი იუდეასა შინა და მკედრებესა სოფლისაგან შემკრებელი, ვითარ შესამძებელ იყო, ვეთსურაჲსა მთავრებელი, გარემოდგომილ იყო სოფელსა იუდეასასა მტკიცესა, რამეთუ აქუნდა იგი სამცველოსა დიმიტრიოხსსა. ხოლო უწყებულ არს ესენი ჩუენ მიერ უწინარესცა. და ვითარ უკუე მწიანი აღადგინნა სიმონ და მანქანებანი დადგნა და მრავალი მოსწრაფებამ იკუმია ვეთსურაჲსა გამოლებსათვს, შე-

<sup>1</sup> გარნ A. <sup>2</sup> კერძო A.

\* I მკაბ. 11,60. <sup>10</sup> I მკაბ. 11,63.

შინდეს მკველნი, ნუსადა მძლავრებით გამოღებასა ადგილისასა განიხრწნენ. და წარმავლენელნი სიმონის მიმართ ევედრებოდეს ფიცთა მიმღებელნი, რაათა არარაჲ ევნოს მისგან, დამტევებელთა ადგილისათა და ღიმიტრიოას მიმართ წარსრულთა. ხოლო მან, მიმცემელმან მათთვის ამათ სიმტკიცეთამან, განდევნა ვიდრემე იგინი ქალაქით და თვთ სამცველოჲ თვის დაადგინა მას შინა.

7\*. ხოლო იონათის, აღდგომილი ღალილეაჲთ წყალთაგან გენნისაროდ სახელდებულთა, რამეთუ მუნ დაბანაკებულ იყო, ასორ წოდებულად ველად მიიწია, არა მეცნიერი, ვითარმედ მას შინა მყოფ არიან მბრძოლნი. ისწავეს რაჲ უკუე უწინარეს ღლისა ერთისა ღიმიტრიოას მკედართა, ვითარმედ ეგულეების იონათის მათ ზედა მისღვაჲ, სადარნოჲ და მზირნი მთასა შინა დაუდგინნეს მას და იგინი მკედრობისა თანა ველსა შინა მიეგებოდეს მას, რომელთაცა შემზადებულად მხილველი იონათის ბრძოლისა მიმართ განემზადებოდა და თვთათა მკედართა ღუაწლისა მიმართ, ვითარ შესაძლებელ იყო, განამკრობდა. ხოლო ვინაჲთგან სადარნოსა შინა ღიმიტრიოას მკედართმთავართა მიერ დადგინებულნი ზურგით კერძო იუდეელთაჲსა გამოჩინებულ იქმნენ, შემანებულთა იუდელთა, ნუსადა საშუვალ პყრობილნი წაწყმდენ, სივლტოლად მიიმართეს. და სხუათა ვიდრემე ყოველთა იონათის დაუტევეს, ხოლო მკირენი ვიეთნიმე, ვითარ ორმოცდაათნი რიცხვთ, დაადგრეს. და მართია აფსალომოსი და იუდა საფსეოსი, ყოვლისა ძალისა მთავრად მყოფნი, რომელნიცა, კანდიერებით და წარწირვით მბრძოლნი, მაქნებელნი სიმკნით შემამინებელ იქმნენ და კელთა მიერ უკუნ-აქცინეს იგინი სივლტოლად. ხოლო იონათის მკედართა, ლტოლვილთა, ვითარცა იხილნეს მბრძოლნი ძლეულნი, შეკრბეს ლტოლვისაგან და მიიმართეს დევნად მათდა. და ესე ქმნეს ვიდრე კელასოთადმდე, სადა იყო / ბანაკი მბრძოლთაჲ.

81\*. მძლეველი უკუე იონათის ბრძოლასა შინა ბრწყინვალედ და ორ ათასთა მომაკუდინებელი მტერთაგან, უკუნ-იქცა იეროსოლჲმად. ხოლო მხილველმან გონიერებით, ვითარმედ ყოველნივე ღმრთისა განგებისაებრ წარემართებინ მას, წარავლინა რომთა მიმართ მოხუცებულნი, მნებებელმან განახლებად პირველქმნილსა ნათესავისა მიერ მათდა მიმართ სიყუარულსა. და ამცნო ამათვე მოხუცებულთა, რაათა რომით უკუმოქცეულნი სპარტიატთა მიმართ მიიწინენ და მათდა მიმართ სიყუარული შეავსენონ და ნათესავობაჲ. ხოლო ესენი ვითარ მიიწინეს რომს, მისრულთა განზრახვისა მათისა მიმართ იონათის მღელღომთავრისა მიერ მიმცნებულნი თქუნეს და ვითარმედ წარმოუვლენინან იგინი დამტკიცებისათვის თანშემწეობისა. ხოლო განზრახვამან ზედ-და-ამტკიცნა იუდელთა სიყუარულისათვის თნებულნი მისთვის უწინარესცა და მისცნა ეპისტოლენი ყოველთა მიმართ მეფეთა ასიასსა და ევროპისათა და მმთავრობთა მიმართ ქალაქებთასა მიცემად მათდა, რაათა უშიშად სლვასა სახლისა მიმართ მათისა ამათ მიერ მიემთხვენენ და მიერ უკუე უკუმოქცეულნი ესენი სპარტიდ მიიწინეს და ეპისტოლენი, რომელნი მოქჳონდეს იონათის მიერ, მისცნეს მას. ხოლო ნაცვლნაწერი იყო ესე: „მღელღ.მთავარი იონა-

<sup>1</sup> კერძო A.

\* I მკაჲ. 11,67. 1\* I მკაჲ. 11,74; 12,6.



თის იუდელთა ნათესავისაჲ და მოხუცებულემაჲ და ზოგადობაჲ მღელღელთაჲ ლაკედემონელთა განმგებელთა და მოხუცებულემაჲსა და ერსა ძმათა, ვიხაროდნენ! უკუეთუ თქუნენ, მრთელთათვის, საზოგადონი და თვისნი თითოეულად წარმართებულ არიან გონებასა შინა, ესრეთმცა მქონებელ არიან, ვითარ მნებებელ ვართ. ემრთელობთ უკუე და ჩუენცა, ვინაჲთგან უწინარესთა ეამთა შინა მოღებულ იქმნა დიმოტელის მიერ ონიასა, მღელღელთაჲგარკმნილისა ჩუენ შორის, ეპისტოლუე არიოხსგან, მეფისა თქუენისა, წარმოვლინებული ჩუენ შორის მყოფობისათვის ნათესავობასა თქუენდა მიმართ, რომლისა ნაცვალნაწერი დამტკიცებულ არს, თანად ეპისტოლუე შევიწყნარეთ გულსმოდგინედ და დიმოტელის და არიოხს მიმართ სიყუარულით დადებულ ვიქმნენით, არა მოქენენი ესევეთარისა აღმოჩენისანი, ვინაჲთგან სამღელღელთა ჩუენთა წიგნთა მიერ გკრწმუნებიეს. პირველდაწყებასა ვიდრემე შემეცნებისასა არა მცდელ ვართ, რაჲთა არა საგონებელ ვიქმნენი წინამიტაცებად თქუენ მიერ მოცემულსა დიდებასა. მრავალთა უკუე ეამთა წარსრულობასა დასაწყისითგან ნათესავობისა ჩუენისა სრულყოფისაჲთ, სამღელღელთა შინა და ზესთსახელთა დღეთა მსხუერპლთა შემწირველნი ღმრთისანი, თქუენისა ცხორებისა და ძლევისათვის ვევედრებით მას. ხოლო მრავალთა ბრძოლთა გარემოდგომილობასა ჩუენდა მახლობელთა ანგაპრებისათვის, არცა თქუენი, არცა სხუათა მახლობელთა თქუენთაჲ ვინებეთ წყენაჲ. ხოლო მძლეველთა მბრძოლთა ჩუენთასა, წარვავლინენით რო/მთა მიმართ ნუმინიოს ანტიმხოხსი და ანტიპატროს იასონისი, ჩუენ შორის პატიოსნად მყოფნი მოხუცებულემაჲსაგან და მოვსცენით მათ თქუენდა მიმართცა ეპისტოლენი, რაჲთა განაახლონ თქუენდა მიმართი ნათესავობაჲ ჩუენი, კეთილად უკუე პყოთ და თქუენცა, მომწერელთა ჩუენდა მომართ და რომელთათვისცა მოქენე იყუხეთ მალეწყებელთა, რამეთუ ყოველთა მიმართ გულსმოდგინე ვართ თქუენისა წინააღრჩევისაებრ<sup>1</sup>. ლაკედემონელთა ვიდრემე უკუე მოხუცებულნი პატივისმოყუარებით შეიწყნარნეს და განწესებისა მოქმედთა თანაშემწეობისა და სიყუარულისათვის მათდა მიმართ წარავლინნეს.

9. ხოლო ამას ეამსა შინა სამნი წინააღრჩევიანი იუდელთა იყენეს, რომელნი კაცობრივთა საქმეთათვის განყოფილებით მექუელობდეს, რომელთაგანი ერთი ვიდრემე ფარისეველთად სახელ-იდებოდა და სხუა — სადუკეველთად, ხოლო მესამე — ესინელთად. ფარისეველნი ვიდრემე უკუე რომელთამე და არა ყოველთა წილხულომილისა საქმედ იტყუან, ხოლო რომელთამე — ყოფად ჩუენ ზედა შემთხუევით და რომელთამე — არა ქმნად შემთხუევით. ხოლო ესინელთა ნათესავი ყოველთა უფლად წილხულომილსა განაიზუბეს და არცა ერთსა ყოფად, რომელი არა მისისა განწესებისაებრ შემთხუევის კაცთა. ხოლო სადუკეველნი! წილხულომილსა განადგდებენ, არარად მადირსებულნი მისნი, არცა ამის მიერ სისრულესა კაცობრივთა საქმეთასა მძღებად, ხოლო ყოველთა თვთ ჩუენ ზედა დასდებენ, ვითარმედ და კეთილთა ნიჯენი თვთ არცა ამის მიერ სისრულესა კაცობრივთა საქმეთასა მიღებად ჩუენ ვიქმნებით და უდარესთა ჩუენისაგან უზრახველობისაგან მივიღებთ, არამედ ამათვის ვიდრემე მიქმნიეს გამოწულივით მოთხრობაჲ მეორესა წიგნსა შინა იუდაებრივისა მოქმედებისასა.

<sup>1</sup> სადაუკეველნი AQ.

10\*. ხოლო დიმიტრიოვს მკედართმთავარი, ქმნულსა ძლეულებასა აღმართებად მნებებელნი, უმრავლესსა ძალსა პირველისაგან 'შემკრებელნი, მიჯრდეს იონათის მიმართ. ხოლო მან, ისწავა რად მოსლვად მათი, მალიად მიეგება მათ ამითიტს, რამეთუ არა ინება მოცალებასა! მიცემაჲ მათდა, ვითარცა იუდეად შევიდეს. და დაბანაკებულმან შორის მბრძოლთაგან სტადიონითა ორმოცდაათითა, წარავლინნა განმხილველნი ბანაკისა მათისანი<sup>2</sup> და ვითარ იონათი დაბანაკებულ. ხოლო მსტუართა მიუთხრეს მას ყოველი და ვითინიჲ შეიძყრნესცა ლამით, რომელთა აუწყეს, ვითარმედ ეგულების მბრძოლთა ზედლაღებამ მისი. და წინაწარმცნობელი ამისი განემტკიცა, მცველთა დამადგინებელი გარეგან ბანაკისა და ყოველი ძალი ღამესა ყოველსა საჭურველთა შინა აქუნდა და ამცნებდა მათ, რამათა სულითა ძლიერ იყვნენ და გონებათა შინა ესრეთ მქონებელ იყვნენ, ვითარმედ და ღამითცა, საჲმარ თუ იყოს, ჰბრძოლიან, რამათა არა შესცთენ განზრახვისა მათისაგან. ხოლო ვინაჲთგან ისწავეს დიმიტრიოვს მკედართ/მთავართა იონათის მრძართი განცხადებულებაჲ, არღარა მრთელ იყვნეს განზრახვითა, არამედ რეაზრთებდა მათ განცხადებამ მტერთა მიმართ და არცაღა ერთისა მათგანსა ძლევისა სასოებდეს მიერთგან, ვინაჲთგან ტულ იქმნა განზრახვად მათი, რამეთუ ცხადად ძვრისმხილველნი არა ჰგონებდეს იონათის მიმართ განსწორებასა ბრძოლისასა, ლტოლვად უკუე განზრახეს და ცეცხლთა მრავალთა დამწველნი, რამათა მხილველთა მბრძოლთა მიერ საგონებელ იყვნენ მუნ დადგრომად, წარვიდეს. ხოლო იონათის, განთიად მიახლებული ბანაკისა მათისაჲ და მპოენელი მისა ოკრად და გულსკმისმყოფელი, ვითარმედ ივლტოდეს, სდენიდა მათ, გარნა არა ეწია, რამეთუ აწვე ელევთეროს მდინარესა განსრულნი სიმაგრესა შინა იყვნეს. მოქმედმან უკუე მიერ უკუნქვევისამან არავიად და მბრძოლმან ნავატელთამან და მრავალსა ნატყუნენავსა მიმღებელმან მათგან და ტყუეთა მიმყვანებელმან, მისრულმან დამსკოდ, მუნ მისცნა ყოველნი. ხოლო ამასეუ ამსა შინა სიმონცა, ძმამან მისმან, ყოველისა იუდეასა და პალესტინისა მომეღელმან ვიდრე ასკალონადმდე; განამტკიცა სამცველოთა მიერ და მოქმედი ამათი მტკიცედ ნაშენებთა მიერ და სამცველოთა, წარვიდა იოპპიდ. და მიწევნულმან მუნ, დიდი სამცველოჲ დაადგინა მას შინა, რამეთუ ესმა იოპპელთაჲ, ვითარმედ ჰნებავს დიმიტრიოვს მკედართმთავართათვის მიცემაჲ ქალაქისა.

11\*. ამათნი უკუე განმგებელნი სიმონ და თანად იონათის მივიდეს იერი-სოლუჲმად. ხოლო იონათის, შემკრებელმან ყოვლისა ერისამან სამდღელოდ, განზრახნა აღგებაჲ უმადლესად იეროსოლუჲმათა ზღუდისაჲ და კუალად აღწართება სამდღელომსაგან დამკობილისა ეზოჲსაჲ. და გოდლოთა მალათა მიერ განმტკიცებამ გარემოჲს მისსა და ამათ თანა საშუვალ ქალაქისა სხვის ზღუდისა აღშენებამ, რამათა განყოს სამცველოსა შინა მყოფთა მცველთაგან ქალაქი და ღონიერებამ საზრდელთაჲ ამით სახითა მიუღლოს მათ. და ამას თანა, რამათა სოფელთა შინა მყოფნი სამცველონი ქმნენ მრავლად უმტკიცეს პირველყოფისა მათდა სიმაგრისა. ხოლო ვინაჲთგან კეთილად ქონებამ განზრახვისაჲ სთნდა სიმრავლესა, თვთ ვიდრემე ქალაქისა შინათა აშენებდა, ხოლო

1 ნოცალეზასა A. 2 მათისანს A, მათისამან Q.

\* I მკაბ. 12,24. 1\* I მკაბ. 12,35.

სომონ სოფლად წარავლინა განმტკიცებად. დიმიტრიოს ვიდრემე უკუე, შთასრული შუემდინარედ, მივიდა დაპყრობასა მისსა და ვავკლონისსა, მნებებელი, რამთა ზენათა სასატრაპოთა თუ მძლე ექმნეს, ამიერ ექმნენ მიზენიყოვლისა მეფობისანი. და რამეთუ ამას შინა მკვდრნი ელლინნი<sup>1</sup> და მაკედონნი მრავლად ევედრებოდეს მას, ვითარმედ უკუეთუ მათდა მიმართ მიიწინოს, მისცნენ მას თავნი თჳსნი და თანამბრძოლებასა აღუთქუმიდეს არსაკის მიმართ, პართთა მეფისა. ამათ სასოებათა მიერ აღზუავებულმან მიიმართა მათდა მიმართ<sup>2</sup>, ვითარმედ უკუეთუ სძლოს პართთა და ექმნეს მას მიერ ძალი, რამთა ჰბრძოს ტრეფონს და სკრი/ამსაგან განდევნოს. ხოლო ვინამთგან შეიწყნარეს იგი წადიერებით სოფელსა შინა, შემკრებელი ძალისაჲ ჰბრძოდა არსაკის მიმართ და მკვდრობასა ყოველსა წარმწყმედელი თვთ ცოცხალი შეპყრობილ იქმნა, ვითარ და სხუათაცა შინა ცხადქმნილ არს.

მ. 6

1\*. ხოლო ტრეფონ, ვინამთგან ისწავა დიმიტრიოჲსი ესევეთარსა და სასრულსა მიღებაჲ, არღარა მტკიცე იყო ანტიოხოჲს მიმართ, არამედ ზედ-განზრახვიდა. რამთა მომაკუდინებელმან მისმან მეფობაჲ თვთ დაიპყრას. არამედ დააყენებდა განზრახვასა მისსა იონათის მიერი შიში, რომელი მოყუარე იყო ანტიოხოჲსი. და ამისთვის შორს-ქმნა იონათისი სთნდა პირველად და შაშინდა ანტიოხოჲს ძლითთა კელ-ყოფაჲ. და საჯა ცთუნებით და ზაკუევით მოკუდინებდა მისი. ვეთსად მიიწია ანტიოქიჲთ, რომელი წოდებულ არს ელლინთაგან სკვთო ქალაქად, რომელსა შინა ოთხთა ბევრთა თანა მიეგება მას იონათის რჩეულისა მკედრებისა თანა, რამეთუ ჰგონა ბრძოლად მოსლვაჲ მისი. ხოლო მან, ისწავა რაჲ ბრძოლად განმზადებდა იონათისი, ძლუნთა მიერ და პატივისძოყუარებისა მოამშვედა იგი და შთავართა მისთა უბრძანა მორჩილებაჲ იონათისი. ამით დარწმუნებასა მნებებელმან სიყუარულისამან და ყოველისა იქსავაჲ განყენებისამან, რამთა უგულბელსმყოფელი მიიყვანოს განუტრძალველი და არცა ერთისა წინაწარმეცნიერი. და თანად მკვდრობისა განტევებაჲ განზრახა და რამეთუ აწ არად საქმარ არსო ქონებაჲ მისი, ვინამთგან ბრძოლაჲ არა არს, გარნა მშვდობასა მქონებელ არიან საქმენი. ხოლო მპყრობელსა მცირედთასა მის თანა, ევედრებოდა წარსლვად მის თანა პტოლემეიდას, რამეთუ მისცეს მას ქალაქი და თანად სხუანი ყოველნი, რაოდენნი სიმაგრენი არიან ადგილსა შინა, მის ქუეშე ყვენს და ვითარმედ ამათვის მოწევნულ არს იგი.

21\*. იონათის ვიდრემე უკუე, არარას ამათგან იქუნეულქმნილმან, არამედ სიწრფოებით და გონებითა ქემშარიტთა ტრეფონის მიერ განმზრახობასა ამათსა მრწმუნებელმან, მკედრობაჲ ვიდრემე განუტევა, ხოლო სამ ათასთა მხოლოდ მიმყვანებელმან ორ ათასნი ვიდრემე დალილესა შინა დაუტევნა, ხოლო თვთ ათასთა თანა წარვიდა პტოლემეიდად ტრეფონის თანა. და პტოლემეიდას

1 მზენი A. 2 ელლინი AQ.  
 \* I მაკაბ. 12,39. 1\* მაკაბ. 12,46.  
 0 განმზრახველმან.

შინა მყოფთა დაჰქმნეს ბჳენი, რამეთუ ესე იყო ბრძანებულ მათდა ტრკფონის მიერ. და იონათის ვიდრემე მოინადირეს, ხოლო მისთანანი ყოველნი მოაკუდინნეს<sup>1</sup>. წარავლინა უკუე და ლალილასცა შინა დაშთომილთა მიმართ ორ ათასთა, რაჲთა და ესენიცა წარწყმიდნენ. არამედ ესენი, სმენისა მიერ იონათისთვის შემთხუეულთაჲსა, მსწრობელნი პირველ ტრკფონის მიერ წარვლინებულთა მისლვადმდე; შექურვილნი საჭურველითა განვიდეს ქუეყანისაგან. ხოლო მათ ზედა წარვლინებულთა, ვითარცა იხილნეს მზად სულთათვის მღუწელნი, არარას მაიძულებელნი მათნი უკუნ-იქცეს ტრკფონის მიმართ.

238 3\*. ხოლო იეროსოლემელთა ვითარცა ესმა იონათის შეპყრობაჲ და მისთანათა მკედართა წარწყმედაჲ, ჰგოდებდეს მას შემთხუეულთა ზედა და ფრიადი მამაკაცისა/ძიებაჲ იყო ყოველთა შორის. ხოლო შიში ფრიადი და ზრუნვაჲ მოწევნული შეაწუნებდა მათ, ზუსადა იონათის სიმკნისაგან ერთბამად და შოურნეობისა დაკლებულთა გარემომოსნი ნათესავნი, ბოროტად მქონებელნი მათდა მიმართ და იონათის ძლით დაწყნარებულნი, აწ ზედ-აღუდგენ მათ და შბრძოლნი უკუანაჲსკნელთა ძვრისხილვათა შინა მაიძულებელ ექმნენ მთავრებდად. და ესენი ვიდრემე, ვითარ ჰგონებდეს, შემთხუენეს მათ, რამეთუ იონათის სიკუდილსა მსმენელთა გარემომოს მყოფთა ნათესავთა იწყეს ბრძოლად იუდეელთა მიმართ, ვითარ უღონოთა მთავრისაგან. ხოლო ტრკფონ. ძალისა შემკრებელი, განიზრახვიდა, რაჲთა აღსრული იუდეად ჰბრძოდეს მას შინა მყოფთა.

სიმონ უკუე, მხედველმან ამათ მიერ შეშინებულად იუდეელთა, მნებებელმან განმკნობისა მათისამან სიტყუთ, რაჲთა გულსმოდგინებით მოითმინონ ზედმოსლვაჲ ტრკფონისი, მიმწოდებელმან ერისამან ტაძრად, ამიერ იწყო ვედრებაჲ ნათი: „რაოდენნი ვიდრემე თავისუფლებისა თქუენისათვის, მამაკაცთა თანმონათესვენო, და მისა თანა მე და თანად მძათა ჩემთა ვიკადრენით ვიდრე სიკუდილადმდე, არა უმეცრებთ<sup>2</sup>. ხოლო ვინაჲთგან ესე ვითართა სახეთა ღონიერ ვარ მე, სიკუდილადცა სკულთათვის და წესთაჲ სახლისა ჩუენისაგან ქმნილთა წინამძღუართა. არა რომელი შიში იყოს ესე ვითარი, რომელმანცა ესე ვითარი გონებაჲ განილო სულისა ჩუენისაგან და ნაცვლად შემოილო მას შინა სიცოცხლისა სიყუარული და დიდებისა შეურაცხებაჲ. რომლისათვისცა არა უღონონი მთავრისგან ვნებადცა თქუენ ძლით დიდთა შემძლებელისა და ქმნად შემომიდეგით. მე გულსმოდგინედ, რომელთაცა მიმართ წარგიძლუე, რამეთუ არცა უმჯობეს ვარ მე მძათა ჩემთა, რაჲთა განვაკრძალებდე სულსა ჩემსა, არცა უდარეს, რაჲთამცა რომელი ჰგონეს მათ უმჯობესად, სიკუდილი სულთათვის და ღმრთისა ჩუენისა მსახურებისათვის, ამასმცა ვეველტოდე მე და დაუტევე. არამედ რომელთა მიერ ჯერ-არს საკუთრად ძმად მათდა ჩუენებაჲ ჩემი, ამათ მიერ განვაცხადო თავი ჩემი, რამეთუ მინდობილ ვარ, ვითარმედ და სასჯელიცა მივილო მბრძოლთაგან და თქუენ ყოველნი ცოლთა თანა და შეილთა ვინებისა მათისაგან ვიქსნნე და ტაძარი წარუტყუენველად ღმრთისა თანა დავიცვა. რამეთუ ვხედავ წარმართთა შეურაცხისმყოფელად თქუენდა, ვითარ მძაჲრისა არა მქონებელთა და ბრძოლისა მიმართ მიმართებად“.

<sup>1</sup> მოაკუდინნეს. <sup>2</sup> უმეცრებთ AQ.

\* I მაკაბ. 12,52; 13,1.

4\*. ესე რაჲ სიტყუაჲ ყვნა სიმონ. განმკნა სიმრავლე და სულითა და-  
კსნილი შიშისაგან აღემართა უმჯობესისა მიმართ და კეთილისა სასოებისა,  
ვიდრეჲა მეყუსეულად ყოველმან ერმან კმა-ყო სიმონის მთავრობაჲ მათ ზედა  
და ნაცვლად იუდაჲსა და იონათისა, ძმათა მის მიერ, ქონებაჲ წინამდგომელო-  
ბის, რამეთუ მორჩილ იყვნენ, რომლისაცა მიმართ უბრძანებდეს. ხოლო შემ-  
კრებელი ყოვლისა მეყუსეულად, რაოდენ იყო მბრძოლი თვისისა ძალისაჲ,  
მოსწრაფე იყო აღშენებად ზღუდეთა ქალაქისათა და კოშკთა მიერ მალაღთა  
და მტკიცეთა, განმამაგრებელმან მისმან. წარავლინა ვიდრემე სახელით იონა-  
თის ვინმე მოყუარე, აფსალომომს ყრმაჲ, მკედრობისა თანა იოჰპიდ და  
უბრძანა მას შინაგან მკედრთა განსხმაჲ, რამეთუ მოშიშ იყო, ნუსადა მისცენ  
ამათ ქალაქი ტრავონს. ხოლო თვთ, დადგრომილი, სცივიდა იეროსოლჲმათა.

51\*. და ტრავონ უკუე, აღძრული პტოლემიდად<sup>1</sup> მკედრობისა/თანა <sup>v</sup>  
წრავლისა, იუდეად მიიწია, საყრველითა მიმყვანებელი იონათისი. ხოლო მი-  
ეგება მას სიმონცა თვისისა ძალისა თანა აღდიდა ქალაქად, რომელი მდებარე  
არს მთასა ზედა, რომლისა შემდგომად მდებარე არიან ველნი იუდეაჲსანი.  
ხოლო ვინაჲთვან ცნა სიმონის მთავრად დადგინებაჲ იუდელთაგან, ტრავონ  
წარავლინა მისა მიმართ, ამისაცა ცთუნებით და ზაკუევით მიყვანებასა მნებე-  
ზელმან და უბრძანებდა მას, ვითარმედ უკუეთუ ჰნებავს განტევებაჲ ძმისა  
ესისა იონათისი, რაჲთა მიუვლინნეს ტალანტნი ასნი ვეცხლისანი და ორნი  
ჯრამაივანს იონათისთა მძევლად, რაჲთა არა განაყენოს იუდეაჲ მეფისაგან  
განტევებულმან, რამეთუ აწ იცგების იგი შეკრული ვეცხლისა ძლით, რო-  
მელი თანა-ედება მეფისაჲ. ხოლო სიმონ კელოვნებასა ტრავონისასა არა უმე-  
ცრებდა, არამედ გულისკმა-ყო, ვითარმედ და ვეცხლიცა წარწყმიდოს მიმცე-  
მელმან და ძმაჲ არა განუტეოს და ამას თანა ყრმანიცა განსცნეს მბრძოლსა  
ზედა. გარნა შეშინებულმან, ნუსადა ყუედრებულ იქმნეს სიმრავლისა მიერ,  
ვითარ თვთ მიზეზქმნილი ძმისა სიკუდილისაჲ, რამეთუ არცა საკმარნი, არცა  
ძენი მისცნა მისთვის, შემკრებელმან მკედრობისამან, აუწყნა მას ტრავონის  
შიერ მომცნებულნი, მეტყუელმან, ვითარმედ ესენი მზაკუევარებასა და სივე-  
რაგესა მქონებელ არიან, გარნა ეგრეთცა უადსარჩეველს არს წარვლინებაჲ  
მისდა საკმარათა და ძეთაჲ, ვიდრეჲა ტრავონის მიერ მომცნებულთა ურჩ-  
ქმნაჲ და მიზეზსა მიღებაჲ, ვითარმედ არა ვინმეჲ ცხოვნებაჲ ძმისაჲ. და სი-  
მონ ვიდრემე თანად იონათის ყრმანი წარავლინნა და საკმარნი. ხოლო ტრ-  
ავონ, მიმღებელმან, არა დაიმარბა საჩუქუნოებაჲ, არცა განუტევა იონათის,  
არამედ მკედრობასა მიმყვანებელი მოჰკლდა სოფელსა და ილუმეაჲთ აღს-  
ვასა მწებებელ იყო მიერიოთვან იეროსოლჲმად. და წარსრული მიიწია დორა  
ქალაქად ილუმეაჲსა, ხოლო ნაცვალ-ვიდოდა სიმონცა მკედრობისა თანა, მა-  
რადის დაბანაკებული წინა კერძო მისსა.

62\*. ხოლო სამცველოსა შინა იეროსოლჲმად<sup>1</sup> მყოფთა წარავლინეა  
ტრავონის მიმართ და ევედრებოდეს, რაჲთა ისწრაფოს მიწეწად მათდა მი-  
მარა და საზრდელნი მიუვლინნეს მათ. და მან უკუე შემზადა ცხენი, რაჲთა  
მას ლამესა შინა იეროსოლჲმად მიიწიოს, არამედ თოვლმან, ღამით მრავლად

<sup>1</sup> პტოლემიდათ A, პტოლემიდათ Q.

\* I მკაბ. 13,7. <sup>10</sup> I მკაბ. 13,12. <sup>20</sup> I მკაბ. 13,21.

შთამოცნებულმან და გზათა დამფარველმან და უღონოებრასა ცხენთათს უფროასლა სლვად სიღრმისა მიერ არა მიმნიჭებელმან გზისამან, დააყენა იგი იეროსოლუმად მისილვისაგან, რომლისათვისცა მიერ წარსრული ტრავფონ ლელესა სკრიამასა მიიწია და მოსწრაფებით ლალადიტად მიწვენულმან თანად იონათის მოაკუდინა და დაფლვისა მბრძანებელი მისი მუნ, იგი ანტიოქიად უკუნ-იქცა. ხოლო სიმონ, წარმვლენელმან ვასკა ქალაქად, წარმოიხუნა<sup>1</sup> ძუალნი ძმისანი და დაჰფლნა იგინი მოდიემს შინა, მამულსა თვისსა, ხოლო გოდებად დიდი ქმნა მას ზედა ყოველმან ერმან. სიმონ ვიდრემე უკუე სამარხოდაც დიდი აღუშენა მამასა და ძმათა ქვისაგან თეთრისა და ხუეწილისა და დიდად სიმაღლედ და სახილველად აღმყვანებულმან. სტოანი გარე-მოავლნა მას და სუეტნი პარტოქიანი აღმპართნა და საკრეველი სახილავად საქმე აღადგინა. და ამას თანა გუმბადნი შუდნი მშობელთათს და ძმათა თითოეულისათს თითო აღაშენა, განსაკრეველად ქმნილნი სიდიდისა ძლით და შუენიერებისა, რომელნი ვიდრე აქამომდე დადგრომილ არიან. და იონათის ვიდრემე დაფლვისათს და სამარხოთა აღშენებისათს თესთა მისთაჲსა ესოდენი მოსწრაფებად უწყით ქმნილად სიმონის მიერ. ხოლო მოკუდა იონათის, მღდელთმთავარქმნილი წელთა ოთხთა, წინამდგომელი ნათესავისაჲ. და ამისისა ვიდრემე აღსრულებისაჲ ამთ შინა იყო.

7<sup>0</sup>. ხოლო სიმონ, დადგისებულმან მღდელთმთავრად სიმრავლისა მიერ, პირველსა წელსა მღდელთმთავრობისასა მკვედონთა მონებისაგან განათავისუფლა ერი, რაჲთა არა მისცემდენ მათ ხარკთა. ხოლო თავისუფლებაჲ და უხარკოვებაჲ იყო იუდეელთა შემდგომად სამეოცდაათთა და ასთა წელთა სკრიამასა მეფეთასა, რომელსა ეამსა სელევკოს, ნიკანორად წოდებულმან, დაიპყრა სკრიამა. ხოლო ესოდენი იყო პატივისმოყუარებაჲ სიმონისი სიმრავლისა მიერ, ვიდრელა ურთიერთასთა სახეთა მიმართ და საზოგადოთა ნაწერთაჲ — „პირველსა წელსა შინა, დასწერდეს, ვითარმედ სიმონის, იუდეელთა შემოქმედისაჲ და ნათესავთმთავრისაჲ“, რამეთუ ამის ზე კეთილ-ბედობდეს ფრიად და გარემოას მკვდრთა მტერთა მძლე ექმნნეს, რამეთუ დაამჭუა სიმონ დაზაჲ ქალაქი და იოპპი და იამნიამა. ხოლო გამომღებელმან და იეროსოლუმათაცა შინა მყოფისა სამცველოასამან, იატაკად დაამჭუა იგი, რაჲთა არა მისალტოლველ იყოს მტერთა, ანუთუ მიმღებელთა მისთა ბოროტადმოქმედებაჲ შესაძლებელ იყოს, ვითარ და მაშინცა. და ამისმან მოქმედმან რჩეულად ჰგონა და უმჯობესად. ხოლო მთაჲ, რომელსა ზედა სამცველოასა ყოფაჲ შემთხუეულ იყო, დაარღვა, რაჲთა უმაღლეს იყოს ტაძარი. და ესე არწმუნა სიმრავლესა, შესაკრებელად მიმწოდებელმან, ვითარმედ მის მიერ იქმნნეს, რომელნი ეენნეს მცველთა მიერ და ლტოლვილთა იუდეელთა, შემავსენებელმან, რომელნი კუალად ეენნენ, უკუეთუ დაიპყრას მეფობაჲ სხუა ნათესავმან და მცველნი დადგინებულ იქმნნენ მას შინა. ამათი მეტყუელი არწმუნებდა სიმრავლესა, განსაზრახებელი უმჯობესთა მისთაჲ და ყოველნივე მბრძოლნი დაარღუეუდეს შოასა და არცა ღამე, არცა დღე დამტრეველთა საქმისათა სამთა წელთა შინა ყოველთა შთამოიღეს ესე იატაკად და ველად ვაკედ ყვეს იგი. და მიერითგან უმაღლეს იყო ყოველთა ტაძარი სამცველოასა და მთისა, რომელთა ზედა მდგომარე იყო. და სიმონის ზე ვიდრემე ქმნილთა ესე ვითარი აქუნდა სახე.

<sup>1</sup> წარმოიხუნა AQ. \* პატივმოყუარებაჲ A.

\* I მაკაბ. 13,36.

01. 7

1. ხოლო შემდგომად არა მრავლისა დიმიტრიოსს ტყუეობისაგან, ალექსანდროსს ძე ანტიოხოსს, რომელი ღმრთადაცა იწოდებოდა, განიხრწნა ტრკვფონის მიერ, ზედმოურნისა მისისა, მმეფობი წელთა ოხხთა. და მისი ვიდრემე მ:აკუღინებელი სიკუდილსა განსთქუმიდა მისსა, ხოლო მოყუარეთა მისთა და საკუთართა წარავლენდის მკედრობათა მიმართ, აღმთქუმელი მათთვის საკმართა მრავალთა მიცემად, უკუეთუ მეფედ ქელთდასხმულ/ყონ იგი. რამეთუ დიმიტრიოსსი პართთა მიერ ტყუე-ქმნასა აუწყებდა, ხოლო ძმისა მისისა ანტიოხოსსა, ვითარმედ უკუეთუ მიიღოს მთავრობაჲ, მრავალნი ბოროტნი უყენეს მათ, განდგომილებისა ძლით შურისმგებელმან. ხოლო მათ, მსასოე-ბელთა ღონიერებისათა ტრკვფონისთვის მიცემულისა მეფობისაგან, განაჩინეს იგი მთავრად. და მპყრობელ იქმნა რაჲ უკუე საქმეთა, ტრკვფონ გამოაჩინათისი ბუნებაჲ, ბოროტად მყოფი: რამეთუ მსოფლიოდ მყოფი განუსუენებდა სიმრაველსა და სიმღაბლესა იჩემებდა, მომნადირებელი მისი ამით მიერ, რომელთა მიმართ მარგებულ იყო. ხოლო მიიღო რაჲ მეფობაჲ, განიძარკუა ჩემებაჲ და ქეშმარიტი ტრკვფონ იყო. და ამისთვის უმჯობესობასა მისცემდა მტერთა, რამეთუ მკედრობაჲ, მოძულე მისი, წარვიდოდა კლეობატრას მიმართ, დიმიტრიოსს ცოლისა, მაშინ სელევკიას შინა დაცეულისა შეილთა ღან. ხოლო განდევნა რაჲ ანტიოხოსსა, დიმიტრიოსს ძმამ, რომელსა მაცხოვარ ეწოდებოდა და არცა ერთი ქალაქი შეიწყნარებდა მას ტრკვფონის ძლით, წარავლინა მისა მიმართ კლეობატრა, მიმწოდებელმან მისა ქორწილად და მეფობად. ამათვის უკუე მიუწოდა ანტიოხოსს, თანად მოყუარეთა მისთა მიერ რწმუნებული და თანად მოშიში, რამეთუ ვიეთნიმე სელევკიასთ განსცემდეს ქალაქსა ტრკვფონის მიმართ.

2. ხოლო იქმნა რაჲ სელევკიას შინა ანტიოხოსს და აღორძინდებოდა ძალი მისი ყოველსა შინა დღესა, მიმართა ბრძოლად ტრკვფონისა და მძლეველმან მისმან ბრძოლასა შინა, ზემოასა სურთაჲსაგან განდევნა იგი ფვნიყედ, ვიდრე ამისამდე მღევნელმან მისმან და დორას სამცველოსა რასმე, ძნიად დასაპყრობელსა შინა მილტოლვილსა, აოკრებდა. წარავლინა უკუე სიმონისცა მიმართ, იუდელთა მღდელთმთავრისა, მოხუცებულნი სიყუარულისათვის. და თანამბრძოლობისა. ხოლო მან გულსმოდგინედ შეიწყნარა ვედრებდა მისი და საკმარინი მრავალნი და საზრდელი დორასა მოკრებულთა მკედართათვის წარსცნა ანტიოხოსს მიმართ. და უშურველად მიანიჭებდა ამით, ვიდრედა საკუთრად მოყუარედ მისად მცირედსა უამსა შინა ისაჲა, რამეთუ ტრკვფონ, დორაჲთ ლტოლვილი აბამიად და შეპყრობილი მას უამსა გარემოდგომით, განიხრწნა, მმეფობი წელთა სამთა.

3. ხოლო ანტიოხოსს ანგაპარებისა მიერ და სიმოროტისა დამვიწყებელ იქმნა საკმარებათა, სიმონისაგან მოქმედებულთა მისა მიმართ და ძალსა მკედრებრივისა კენდევყო ვისმე მოყუარეთაგანისად მიმცემელმან განფხურისათვის იუდეასა და სიმონის შეპყრობისათვის, განავლინა. ხოლო სიმონ, მსმენელი ანტიოხოსს უსჯულოებაჲსა და აწვე უმოხუცებულესად მყოფი, გარნა არა

1 განდევნა A.

240

მართლად შემთხვევისათვის ანტიოხოსს მიერ ქმნილთადას აღძრული და უმჯობესსა სიმკნესა მიმღებელი პასაკისაგან, ჰაბუკებრივად მკედართმთავრობდა ბრძოლასა. და ძენი ვიდრემე უმკნესთა თანა მკედართა წინა-წარავლინნა, ხოლო თვთ სხუა კერძო წარვიდა ძალისა თანა და მრავალთა დამადგინებელი კვენებთა შინა მთათასა, არცა ერთისა მოღონებულისაგან კუებულ იქმნა, / არამედ ყოველისა მიერ მძლეველი მბრძოლთაჲ მშვიდობით იყო ნეშტსა ეჟმსა შინა, მოქმედი რომთა მიმართ თანაშემწეობისაჲ ესეცა.

4. მთავრობდა ვიდრემე უკუე იუდეულთა ზედა ოთხთა შინა წელთა ყოველთა. ხოლო აღსრულდა მოსუმურობასა შინა მზაკუევარებითა, რომელი აღადგინა მის ზედა ბტოლემეოსს, სიძემან მისმან, რომელმან და ცოლიცა მისი და ორნი ყრმანი იპყრნა და შეკრულნი აქუნდეს და იოანნისცა ზედა წარავლინა, მესამისა, განმხრწნელნი. ხოლო ამისა ვრკანოსცა იყო სახელი. ისწავა რაჲ უკუე მოსლუჲ მათი ჰაბუემან, ლტოლვად ძვრისხილისა მათისაგან ქალაქად მოსწრაფე იყო, მინდობილი სიმრავლისაჲ კეთილმოქმედებათათვის მამისათა და ბტოლემეოსს მიმართ ერისა სიძულილისათვის. ხოლო მოსწრაფე იყო რაჲ ბტოლემეოსცა სხვისა ბჰვისა მიერ შესლუად, განდევნა იგი ერმან, აწლა ვრკანოსს შემწყნარებელმან.

თ. 8

1. და იგი ვიდრემე რომელთაჲ იერიხუნტოხსა სიმაგრეთა მიმართ წარვიდა, დღონ სახელდებულსა. ხოლო ვრკანოსს, მიმღებელი მამულისა მდღელთმთავრობისაჲ და პირველ მსხუერპლთა მიერ მკედრებელი ღმრთისაჲ, განემკედრა ბტოლემეოსს მიმართ. და მბრძოლი ადგილისაჲ, სხუათა მიერ ვიდრემე; მძლე ექმნებოდა მას, გარნა იძლეოდა დედისა და ძმათა მიმართისა წყლულებისაგან, რამეთუ აღმყვანებელი მათი ზღუდესა ზედა ბტოლემეოსს სახილველად ყოველთა სტანჯვიდა მათ და შთამოგდებასა მათსა აქადებდა, უკუეთუ არა განეშოროს ოკრებისაგან. ხოლო იგი, რაოდენ უტევებდა მოსწრაფებასა დაპყრობისათვის ადგილისა, ესოდენ საყუარელთათვის მინიჭებდა<sup>1</sup> შემრავლებლი არა ბოროტად ვნებისაჲ, დაჰკსნიდა გულსმოღვინებასა. დედაჲ ვიდრემე უკუე, ჰელთა განმმართველი, ევედრებოდა არა რილებასა მის ძლით, არამედ რაჲთა მრავლად უმეტესისა რისხვისა მკუშმეველმან ისწრაფოს მილებაჲ ადგილისაჲ და რაჲთა მის ქუეშე მტერქმნილისაგან შურ-იგოს საყუარელთათვის, რამეთუ ტკიბლ არს მისა ტანჯვით სიკუდილი, უკუეთუ სასჯელი მისცეს მათ და მზმართისა უსჯულოებისათვის ამისმან მოქმედმან მბრძოლმან. და ამით რაჲ მერჯულეზობის დედაჲ, ძალი რაჲმე მოეცემოდის ვრკანოსს დაპყრობისათვის სამკუველოასა, გარნა რაჲჟამს იხილის იგი გუემული და დაფხოროლი, დაიკსნებოდის და უღარეს-იქმნებოდის თანვნებულეზობისა, დედისა მიმართ მოქმედებულთაჲსა. ხოლო წარკლებოდა რაჲ ესრეთ ეჟმსა შინა ოკრებაჲ, წარმოდგა წელიწადი იგი, რომელსა შინა შეემთხვევის იუდეულთა უქმებაჲ. ხოლო შვდთა წელთა წინა დაიკვენ ამას, ვითარ შვდეულთაჲცა დღეთა შინა. და ბტოლემეოსს ვიდრემე, ამით მიზეზითა განთავისუფლებულმან ბრძოლისაგან, მოაკუდინნა ძმან: ვრკანოსსნი და დედაჲ და ამისი მოქმედი ზინონის მ-

<sup>1</sup> ბრძოლისა AQ. <sup>2</sup> მინიჭება A.



მარა ივლტოდა, რომელსა ეწოდებოდა კოტკლას, მძლავრისა ქალაქისა ფილადელფელთაჲსა.

2. ხოლო ანტიოხოს, ბოროტად მქონებული მათვს, რომელნი ეგნეს სიმონის მიერ, იუდეად მიიწია მეოთხესა ვიდრემე წელსა მეფობისა მისისასა, ხოლო პირველსა ვრკანოჲს მთავრობისასა, ოლქშიაღდა მესესა და მესამოცესა და მეორესა. და მაოკრებელმან ქუეყანისამან შეაწყუდია<sup>1</sup> ვრკანოს ქალაქსა მას შინა, რომელიცა შუდთა გუნდთა მიერ გარემოიცვა, გარნა ყოელითურთ არარას მოქმედებდა, პირველად თანად ზღუდეთა / სიმტკიცისათვს და შინაგან მყოფთა სათნოებისათვს. მერმეცა წყლისა ნაკლულეუენებისაგან იქსნა იგინი წყმამან ფრიადმან, შთამოსრულმან დასლვასა პლიადისასა<sup>2</sup>. ხოლო ვორიოთ კერძო<sup>3</sup> ზღუდისაჲთ, ვინაჲ შეემთხუეოდა მას მდაბალ-ყოფაჲ, კოშენი აღჰმართნა ასნი სამ საბთოულხნი და აღიყვანნა მას ზედა მკედრებრიგინი განწესებულებანი და დლითი-დღე მანქანებთა მოქმედებდა და ხანდაცა ღრმასა და დიდსა სიერციით და ორკესა ვანმეტუეთელმან შეზღუდნა შინაგან მკვდრნი. ხოლო იგინი, მრავალთა ხელგაჰოსლეთა მომგონებელნი, უკუეთუ სადმე განუკრძალველად პონიან მბრძოლნი, მრავალთა ავნებდეს მათ და მგრძნობელთა განევლტოდიან<sup>4</sup> ადელად. ხოლო ვინაჲთგან მავნებელად გულისკმაყო ვრკანოს სიმრავლე კაცთაჲ, რამეთუ განილეოდეს საზრდელნი მათ მიერ მალიად და არცა ერთი საქმე იქმნებოდა, ვითარ ჭერ-იყო მრავალხელობისაგან, უდარესსა მისსა განმარჩეველმან განასხნა იგინი, ხოლო რაოდენი მკნე იყო და მბრძოლ, ესე მხოლოდ იპყრა მის, თანა. ანტიოხოს ვიდრემე უკუე დარჩეულთა გამოსლვად აყენებდა. ხოლო იგინი, საშუეალ ზღუდეთა ცთომილნი და გუემულნი სატანჯვლთა მიერ, მოკუედებოდეს საწყალობელად. ხოლო წარმოდგა რაჲ კარვობისა ღლესსაწაული, შემწყალებელნი მათნი შინაგან მყოფნი კუალად შეიწყხარებდეს მათ.

წარავლინა უკუე ვრკანოს<sup>5</sup> ანტიოხოსს მიმართ და მშედობასა შუდთა დღეთა შინა ქმნად ევედრა დღესასწაულისათვს. ხოლო იგი, ღმრთისა პატრისციემისათვს დამორჩილებული, დაეგო მას და ამას თანა მსხუერპლი დიდად ბრწყინვალე წარუელინა მას: ზუარაკი ოქრორქაჲ და აღსაესენი ყოველთა სულნელებთა მიერ საშურველნი ოქროანნი და ეცეცლოანნი. და მსხუერპლებისა ვიდრემე შემწყნარებელთა რომლებელთაგან, რომელნი მყოფ იყენეს ბჭეთა ზედა, მიიღეს სამდღელიოდ. ხოლო ანტიოხოს ასერებდა მკედრობასა, მრავლად უმჯობესქმნილი ანტიოხოსს ეპიტანესი, რომელმანცა, ქალაქისა მიმდებელმან<sup>6</sup>, ღორნი დაკლნა ვომონსა ზედა, ხოლო ტამარი წყლითა მათითა შეაგინა, შემამრლუეველმან იუდეაჲსა სკულთამან და მამულისა მათისა მსახურებისამან, რომელთა ძლით მბრძოლ იქმნა ნათესავი და დაუგებელად მქონებელ იყო. ამას ვიდრემე ანტიოხოსს გარდამატებულად სკულისა სიყუარულისათვს კეთილმსახურად უწოდეს ყოველთა.

<sup>1</sup> შეაწყუდია A. <sup>2</sup> განივლტოდან AQ. <sup>3</sup> კანოს A.

<sup>4</sup> აჯად ძმ რბ მძცთე 13<sub>338</sub> (=ჩრდილოეთთ).

<sup>5</sup> პლაად იწოდებან, რომელთა ჩუენ კომად სახელ-ესდებთ.

<sup>6</sup> ქუე დაწერე: რომელმანცა ქალაქისა მიმდებელმან (ეს ფრაზა ძირითად ტექსტს აკლად და ხელნაწერის აწიანზე არის შინაწერის სახით ფიგე ხელთ, რომელთაც ძირითადი ტექსტია ნაწერი. ნ. შ.).

3. მიმთვალველი უკუე სახიერებისა მისისა კრკანოს და მსწავლელო ღმრთისა მიმართ მოსწრფეებისაჲ, ევედრა მას, რაჲთა მამული სჯული უკუენსკეს მათ და მოქალაქობაჲ. ხოლო იგი, შეურაცხისყოფელი განზრახვანა მათისაჲ, რომელნი განზრახებდეს წარწყმედასა ნათესავისასა არა შეერთებისათჳს მათისა ურთიერთას, არა ერჩდა, არამედ მრწმუნებელმან კეთილმსახურებით ყოველთა ქმნაჲ მიუგო მოხუცებულთა და მიცემად მისდა საქურველთაჲ უბრძანა მათ და ხარკსა მიცემად მისდა იოპისა და სხუათა იუდეასა 241 გარემოსთა ქალაქათჳს და სა/მცველოსა მიმღებელნი ესრეთ განეყენენ ბრძოლისაგან. ხოლო იგინი ვიდრემე მოითმენდეს, გარან სამცველოსა არა აღიარებდეს განყოფილებისათჳს, არა შეერთებულნი ურთიერთას. ნაცვლად ვიდრემე სამცველოსა მძევალთა მისცემდეს და ტალანტთა ვეცხლისათა ბუთასთა, რომელთაგან მეყუსულად მისცნეს სამასნი და მძევალნიცა მეფესა, რომელთა შორის იყო ძმადცა კრკანოსი. შთამოარლვა უკუე გარეგანიცა ქალაქისაჲ ამათ მიერ ვიდრემე ანტიოხოს, გარემოდგომილებისა დამკსნელი, წარვიდა.

4. ხოლო კრკანოს, დავიდის საფლავისა განმღებელმან, რომელი სიმდიდრითა ოდესვე მყოფთა მეფეთა გარდაემატა, სამ ათასნი ვიდრემე ვეცხლისა ტალანტნი გამოიხუნა: და კელყოფელმან ამათ მიერ პირველად იწყო უცხოთმზრდელობად იუდელთა შორის<sup>1</sup>, ხოლო ეყო მას ანტიოხოსს მიმართ სიყუარული და თანშემწეობაჲ და შემწყნარებელმან მისმან ქალაქად უშურველად და პატვისმოყუარებით მიანიჭნა ყოველნი მკედრობასა. და მოქმედისა თანა პართთა მიმართ განმკედრებისასა წარემართა მას თანა კრკანოსცა. ხოლო მოწაშე ჩუენდა არს ამათჳს ნიკოლასცა დამასკინელი<sup>1</sup>, მომთხრობელი ესრეთ: „ხოლო ძლევისა დამადგინებელი ანტიოხოსს ლკკო მდინარესა ზედა, მძლეველი ინდატისი, პართთა მკედართმთავრისაჲ, დაადგრა მუნ ორთა დღეთა, რამეთუ ევედრა მას კრკანოს იუდეელი რომლისამე დღესასწაულისა მამულისათჳს, რომელსა შინა არა სჯულიერ იყო განსლვაჲ იუდელთაჲ“. და ამათი მეტყუელი არა განცრუენების, რამეთუ წარმოდგომილ იყო ორმოცდამეათე დღესასწაული შემდგომად შაბათისა. ხოლო არა შესაძლებელ არს ჩუენდა არცა შაბათსა შინა, არცა დღესასწაულსა სლვაჲ.

ხოლო მბრძოლმან არსაკის პართისამან ანტიოხოსს თანად მრავალი მკედრობაჲ წარწყმიდა და თვთ იგიცა წარწყმიდა. ხოლო სერთა მეფობაჲ ძმამან მცსმან დიმიტრიოსს მიითულა, არსაკის მიერ განტყევებულმან ტყუეობისაგან, რომელსა ეამსა შინა ანტიოხოსს პართუნად მიიწია, ვითარ და უწინარესცა სხუთა შინა ცხადქმნილ არს.

## თ. 9

1. ხოლო კრკანოს, მსმენელი ანტიოხოსს სიკუდილისაჲ, მეყუსულად სვრიამსა ქალაქთა ზედა განმკედრა, მეკუელი ოკრად პოვნისა მათისაჲ მბრძოლთაგან და კსნად შემძლებელთა, რომელი და იყოცა. მიდავად ვიდრემე უკუე, მრავლად მოუძღურებასა შინა მკედრობისა მისისასა, მეექუსისა თუესა დაიპყრა. ამისა შემდგომად სამოლადცა და მახლობელნი მისნი მეყუსუ-

<sup>1</sup> დამასკენელი A.

<sup>2</sup> შესწავე დავიდის საფლავისათჳს.

ლად მიიხუნა, სიკიმაჲ თანად ამით თანა და ღაროზინცა და ხუთელთა ნათესავი, რომელი მკვდრ იყო მიმსგავსებულსა იეროსოლჱმთა სამღვდლომასა ტაძრისა თანა, რომლისაჲ ალექსანდროს უბრძანა აღშენებაჲ სანავალეტის მკვდართმთავარსა სიძისა მისისა მანასისთვის, იადღუეს მღვდელთმთავრისა ძმისა, ვითარ პირველცა ცხად-გვქმნიეს. ხოლო შეემთხვა ტაძარსა ამას ოჯერქმნაჲ შემდგომად ორასთა წელთა.

ვრკანოს უკუე იღუშეასაცა ქალაქნი დაიპყრნა — აღორაჲ და მარისაჲ, და ყოველთა იღუშელთა კელისქუეშედ მქმნელმან უბრძანა მათ დადგროშაჲ აღვილსა შინა, უკუეთუ წინა-დაიკუეთდენ სარცხუნელთა და ინებონ იუდაებრივთა სჯულთა კუშევაჲ. ხოლო მათ სურვილითა მამულისა ქუეყანისაჲთა წინადაკუეთაჲ და სხუაჲ/ცხოვრებისა მქცევობაჲ მოითმინეს, მსგავსქმნილთა იუღელთაჲთა და მათ ეამთა შინა იწყეს ამისი ქმნაჲ, ვიდრეღა ნეშტად იუღელ იყვსენ.

2. ხოლო ვრკანოს მღვდელთმთავარმან, რომთა მიმართსა სიყუარულსა განხლებად მნებებელმან, წარავლინა მათდა მიმართ ვედრებაჲ. და სუნკლიტობამან, შემწყნარებელმან მის მიერთა ნაწერთამან, ქმნა მისა მიმართ სიყუარული ამით სახითა: „ფანიოს მარკოჲს ძემან, მკვდართმთავარმან, განზრახვაჲ შეზოიღო უწინარეს რვათა ღღეთა ფევრუარისათა\* კომპიოსა შინა ყოფასა ლუკიოჲს მანნიოჲსსა, ლუკიოჲს ძისა მენტინაჲსსა და ღაიოჲს სემპრონიოჲსსა, პენნეოჲს ძისა ფალერნაჲსსა, რომელთათჱს ევედრებოღა სიმონ ღოსითეოჲსი და აპოლონოზის ალექსანდროზისი და დიოდოროს იასონისი; მამაკაცინი კარგნი და კეთილნი, წარვლინებულნი იუღელთა ერისაგან, რომელნი ეზრახნეს სიყუარულისათჱს და თანშემწევობისა, რომელი იყო მათდა რომთა მიმართ! და საზოგადოთა საქმეთათჱს, რაჲთა იოჱპი და ტბანი და ღაზარაჲ და წყაროზნი და რაოდენნი სხუანი ქალაქნი მათნი და აღდელინი მბრძოლმან ანტიოხოს გარეშე სუნკლიტოსთა თნებისა მიიხუნა, რაჲთა ესენი უკუნ-ეცნენ მათ. და რაჲთა თანად არა შესაძლებელ ყოს მკვდართა მიერ სამეფოთა ქუეყანისა მათისა შორის განვლაჲ, მორჩილად მყოფისა. და რაჲთა ბრძოლასა მას შინა განბჱობილნი ანტიოხოჲს მიერ გარეგან სუნკლიტოსთა ნებისა უმტკიცო იყვნენ. რაჲთა თანად მოხუცებულნი წარავლინენ და უკუნცემჲ ყონ მათდა მიმართ ანტიოხოჲს მიერ მიხუშულთაჲ და ქუეყანაჲ აფასონ, ბრძოლასა შინა განზრჩნილო, რაჲთა თანად მეფეთა მიმართ და ერთა თავისუფალთა ნაწერნი მ.ს.ცნენ მათ სიმტკიცისათჱს სახლადმი აღსლეისა მათისათჱს. სთნდეს უკუე ამითჱს ესენი განახლებჲ სიყუარულისა და თანშემწევობისაჲ მამაკაცთა მიმართ კეთილთა და ერისა კეთილისა და მოყუარისა მიერ წარვლინებულთა“. ნაწერთათჱს ვიდრემე უკუე მიუგო განზრახვაჲ, რაჲამს თჱსთა საქმეთაგან ზოცლე იქმნეს სუნკლიტობაჲ და მოსწრაფებაჲ აღუთქუე მიერთგან არა რომელსა მათდა მიმართ ესევეთარსა უსამართლოსა ქმნად და თანად მიცემაჲ მათთჱს საქმართაჲ საზოგადოჲსგან ფანიოსს მკვდართმთავარსა მამაცნეს, რაჲთა სახილმი თჱსად წარვიდენ.ფანიოს ვიდრემე უკუე ესრეთ წარავლინნა იუღელთა მოხუცებულნი და საქმარნი მისცნა მათ საზოგადოჲსგან და ბრძანებაჲ სუნკლიტთაჲ წარმავლინებელთა მიმართ და მტკიცესა სავალსა მიმნიჱებელთა სახელთა მათადღმი.

\* რომთა მიმართ) მიმართთა მიმართ A, მიმართ Q. ირბ: 'Ραυαίνος 13<sub>281</sub>. † ზამენს AQ.

\* ფეპრისაჲს 13<sub>280</sub>.

3. ვრკანოას ძლითნი ვიდრემე, მღღელთმთავრისანი, ამათ შინა იყვნეს. ხოლო დიმიტრიოსს მეფესა, მნებებელსა განმკედრებად ვრკანოსს ზედა, არა მიეცა ეამი. არცა მიზეზი, რამეთუ სვრნი და მკედარნი სიძულილსა მქონებელ იყვნეს მისა მიმართ სიბოროტისა ძლით მისისა. და წარავლინნეს პტოლემეოას მიმართ. ფესკონად წოდებულისა, მოხუცებულნი, რაათა სელევკოსისი ნათესვისაგან ვინმე მისცეს მათ, მეფობასა მიღებად მათსა. ხოლო პტოლემეოს წარავლინა ალექსანდროს, ზევინად სახელდებული. და ბრძოლად რამ იქმნა დიმიტრიოას მიმართ, ძლეული დიმიტრიოს ბრძოლასა შინა ივლტოდა კლეოპატრასს მიმართ, ცოდისა. და არა შეწყნარებული ცოდისაგან, მიერ ტვროდ წარსრული შეპყრობილ იქმნა და მრავლითა მგნებელი მოძულეთა მიერ მოკუდა. ხოლო ალექსანდროს, მიმღებელმან მეფობისამან, სიყუარული ქმნა ვრკანოას მიმართ მღღელთმთავრისა. ამისა შემდგომად მბრძოლისა მისისა დიმიტრიოსს ყრმისა ანტიოხოასგან, ღრვობდ წოდებულისა, ძლეული ბრძოლასა შინა განიხრწნა.

### თ. 10

1. ხოლო სვრიაასა მეფობასა მიმღებელი ანტიოხოს მოშიშ იყო იუდეასა ზედა აღმკედრებად, რამეთუ ესმა ძმისა მისისაჲ დედით, ანტიოხოს უკუე ეწოდებოდა მასცა, ძალსა შეკრებაჲ მის ზედა კვზიკოათ. და დადგრომილსა აღვილად<sup>1</sup> სთნდა შემზადებაჲ მისი ზედმოსლვისა მიმართ ძმისა თვისისა, რომელსაჲ კვზიკელად ეწოდა ამას ქალაქსა შინა დამარხვისათეს, ხოლო მამისაჲ იყო ანტიოხოსს მაცხოვრად წოდებულისაჲ, რომელი პართთა შორის მოკუდა. ხოლო ესე ძმაჲ იყო დიმიტრიოასი, ღრვობას მამისაჲ. შემემთხვა ვიდრემე უკუე ერთისა კლეოპატრასს ქორწინებაჲ ორთავე ძმათა, ვითარ და სხუათაცა შინა ცხად-გვქმნიეს.

ხოლო კვზიკელი ანტიოხოს, სვრიად მიწევნული, მრავალთა წელთა შინა ბრძოლასა ჰყოფდა ძმისა მიმართ. და ვრკანოს უკუე ყოველსა მას ეამსა შინა მშედობით იყო. და რამეთუ ესე შემდგომად ანტიოხოსს აღსრულებისა განადგა მკედრონთა და არცა ვითარ მორჩილი, არცა ვითარ მოყუარე არარას მიანიკებდა მათ შერმეცა, არამედ იყვნეს მისა საქმენი შეუებასა შინა მრავალსა და ძლიერებასა ეამსა ალექსანდროას ზევინაჲსთა<sup>4</sup> და უფროსლდა ამათ ძმათა ზე, რამეთუ ურთიერთას ბრძოლად მათი მოცალეებასა მონაყოფიერებად<sup>2</sup> იუდეასა თავისუფლებით მიანიკებდა ვრკანოსს, ვიდრელა აურაცხელი სიმრავლე საქმართაჲ შეკრიბა. კვზიკელი ვიდრემე ქუეყანასა ბოროტ-უყოფდა ცხადად და თვტყა თვისსა განზრახვასა გამოაჩინებდა და ეგვპტით შემწეთაგან ოვრად მხედველი ანტიოხოსი და თვტ მასცა ბოროტისმყოფელად და ძმა-საცა მისსა ურთიერთას ბრძოლათა შინა, შეურაცხ-ჰყოფდა მრჩობლთავე ვრკანოსს.

2. და განიკედრა ვიდრემე სამარიად, ქალაქსა ძლიერსა ზედა, რომლისათეს, ვითარმედ იწოდების აწ სევასტი, აღშენებული იროდის მიერ, მოცალეებით წარმოვაჩინით. ხოლო მბრძოლი შრომისმოყუარებით აოკრებდა სხ-

<sup>1</sup> სელევკოსს A, სელევკოსს Q. <sup>2</sup> ადგილად A. <sup>3</sup> რომლის AQ. <sup>4</sup> ზეინანასთა A. <sup>5</sup> მონაყოფიერება AQ.

ბოროტისათვის, მოძულე სამართელთა მათთვის, რომელნი ავნენ მარისი-  
 ნელთა, იუდეამსაგან გარდასახლებულთა და რანაშემწეოა, რამეთუ მორჩილ  
 იყვნენ სამართელნი სკრთა მეფისა. გარემომდგომელმან უკუე ხანდაკისპან  
 ყოვლით კერძო ქალაქისა და ორკეცსა ზღუდესა, სტადიონითა ოთხმოცთა  
 ზორს, ძენი თვისნი დაადგინნა მას ზედა, ანტილონოს და არისტოკულოს, რო-  
 მელნი მდებარე იყვნენ რამ იპს იძულებასა ზედა, სიყმილისა მიერ იძულებამ  
 შეგნებუა სამართელთა, რათა შეგნენ ჩუეულები/სა გარეგანთადა და შემ-  
 წედ მიუწოდეს ანტიოხოს კვზიკელი, რომელიცა, მზად თანშეწევნად მი-  
 წევნული, არისტოკულოს თანათა მიერ იძლია და დეენილი ვიდრე სკვთო  
 ჭალაქადმდე ძმათა მიერ, ივლტოდა. ხოლო ამათ, სამართელთა მიმართ უკუნ-  
 ქეულთა, კუალად შეაწყუდინეს იგინი ზღუდესა შინა, ვიდრედა და ნეორედ-  
 ცა თანაშემწედ უწოდდეს ამასეე ანტიოხოსს, რომელმანცა პტოლემეოს  
 ლათურ-რამსაგან მოუწოდა მამაკაცთა ექუს ათასთა, რომელნი გარეშე ნებისა  
 დედისა მისისა და შემდგომად მცირედისა მთავრობისაგან განმდევნელისა,  
 წარავლინნა მან. და პირველად ვიდრემე მიწევნული წარსტუენვიდა კრკა-  
 ნოას ქუეყანასა ეგვიპტელთა თანა ავაზაკებრ, პირის-პირ ბრძოლად მისა არა  
 მკადრებელი, რამეთუ არა შეესწორებოდა ძალი მისი, ხოლო ჰგონებდა ქუე-  
 ყანისა ბოროტისყოფითა იძულებათა კრკანოასსა ესნად ოკრებასა სამარია-  
 სსა, გარნა ვინათგან მრავალთა მკედრებისაგან წარსწყმედდა, მზირთა შთა-  
 ვრდომილი, წარვიდა ტრიპოლიდ. ხოლო იუდელთა ბრძოლად უბრძანა კალ-  
 ლიმანდროსს და ეპიკრატის.

3. კალიმანდროს ვიდრემე უკუე, უფიცხესად მბრძოლთა ზედა მიწევ-  
 ნული, ლტოლვად მიდრეკილი მეყუსეულად განიხრწნა. ხოლო ეპიკრატის  
 ვეცხლისთაყუარებისა ძლით თანად სკვთოპოლი და ამას თანა სხუანი სო-  
 ფელნი მისცნა ცხადად იუდელთა, გარნა სამარიასა ოკრებისა და ესნად არა  
 შემძლებელ იყო. კრკანოს ვიდრემე, ქალაქსა მიმლებელმან წელსა ერთსა  
 შინა გარემოდგომილმან, არა კმა-იყო ესე მხოლოდ, არამედ უჩინო-ყო იგი  
 ყოველი, ლუართა მიერ წარბრუნელმან მისმან, რამეთუ აღმომთხრელმან მის-  
 მან ვიდრედა ჭვენებდაცა გარდაცვალა იგი, სასწაულნი ოდესეე ქალაქად  
 ჭმინისანი მიუხუნა მას. ხოლო საკრველი რამე მდღელთმთავრისა კრკანოას  
 თქუმის, რომლითა სახითა სიტყუად მისა მოვიდა ღმერთი, რამეთუ იტყვან,  
 ვითარმედ მას დღესა შინა, ოდეს ყრმანი მისნი კვზიკელსა ჰბრძოდეს, ესე  
 ტაძარსა შინა მკუთმეველი მხოლოდ მდღელთმთავარი მსმენელ იქმნა ეპასა, ვი-  
 თარმედ ყრმათა მისთა სძლეს აწლა ანტიოხოსს. და ესე, გამოსრულმან ტაძ-  
 რით, ყოველსა სიმრავლესა ცხად-უყო და ესრეთ ქმნამ შეემთხვა და კრკა-  
 ნოას ძლითნი ვიდრემე ამათ შინა იყვნენ.

4. ხოლო ამას ეპასა შინა შეემთხვა კეთილად ყოფამ არა. მხოლოდ  
 იეროსოლუმასა შინა და სოფლებსა მყოფთა თუდელთა, არამედ და აღექსანდ-  
 რიასცა შინა დამკვდრებულთა და ეგვიპტეს და კვიპრეს, რამეთუ კლეოპატრა  
 დედოფალმან, წინააღდგომილმან ძისა თვისისა პტოლემეოსს, ლათუროდ სა-  
 ხელდებულისამან, დაადგინნა მთავრად ქელკია და ანანია, ძენი ონიასნი,  
 რომელმან აღაშენა ტაძარი მზის ქალაქისა ადგილსა შინა, მსგავსი იეროსოლ-  
 უმათად, ვითარ და სხუათადა შინა ცხად-ვყავით. რამეთუ მიმცემელი მათდა  
 მკედრებისა, კლეოპატრა არარას იქმოდე გარეშე ნებისა მათისა, ვითარცა

243 გუეწამების ჩუენ სტრავეონცა კაპალოკელი, მეტყუელი ესრეთ: „რამეთუ უმრავლესნი, შთასრულნი ჩუენ თანა და უკუანამსკენელ წარვლინებულნი კლეო/პატრასს მიერ კვპრედ, გარდაიქცეს მეყუსეულად ბტოლემეოსს მიმართ. და მხოლონი ონიასს ნათესავისაგან მყოფნი იუდელნი დაადგრეს კეთილბედობისათვის მოქალაქეთა მათთაჲსა უფროსლა დედოფლისა წინაშე, ქელკიასსა და ანანიასსა“. ამათ ვიდრემე სტრავეონ იტყვს.

5. იოლო ვრკანოსს აღუძრა შური იუდელთაგან მისმან და ძეთა მისთა კეთილბედობამან და უფროსლა ფარისეველთა, რამეთუ ბოროტად მქონებელ რყენეს მისა მიმართ, ერთად იუდელთა წვალეებისაგანად მყოფთა, ვითარ და ზემორეცა ცხად-გვქმნიეს. ხოლო ესოდენი ძალი აქუს სიმრავლესა შორის. ვიდრელა და მეფეთაჲს მიმართ მეტყუელნი რამსანივე და მღელღელთავართა, მეყუსეულად ირწმუნებინან. მოწაფე უკუე იყო მათი ვრკანოსცა და ფრიად საყუარელ იყო მათ მიერ. ხოლო მომწოდებელმან მათმან სერსა ზედა და პატივისმოყუარებით შემეყნარებელმან, ვინაჲთგან ფრიად განმხიარულებულად იხილნა იგინი, იწყო სიტყუად მათდა მიმართ, ვითარმედ უწყიან, რამეთუ მნებებელ არს იგი, რაჲთა მართალ იყოს და ყოველთა მოქმედ, რომელთამცა მიერ სათნო-ეყო ღმერთსა და მათ, რამეთუ ფარისეველნი განკრძალულნი არიან და თანად ვედრებოდა მათ, რაჲთა უკუეთუ ხელვიდენ მას მცოდველად რომელსამე და მართლისა გზისგან მიდრეკილად, აღყვანებად მისა მიმართ და განმართებად. ხოლო იგინი უწამებდეს რაჲ მას ყოველსა სათნობასა, მხიარულ იქმნა იგი მაქებელთა ზედა. ხოლო ერთმან ვინმე მუნ მქდომართეათგანმან, სახელით ელეაზაროს, ბოროტჩუეულად მყოფმან ბუნებით და კდომასა ზედა მოხარულმან, „ვინაჲთგან, თქუა, ჭერ-იჩინე ცნობაჲ ქეშმარტისაჲ, უკუეთუ გნებავს. მართალ-ყოფაჲ, დაუტევე მღელღელთავრობაჲ და მხოლოდ კმა-გეყვენ შენ მთავრობაჲ ერისაჲ“. ხოლო ესე ვინაჲთგან იკითხვიდა მიზეზსა, რომლისათვის დაუტეოს მღელღელთავრობაჲ, „რამეთუ, თქუა, გუასმიეს მოხუცებულთაგან ტყუე-ქმნაჲ დედისა შენისაჲ მეფობასა ანტიოხოსს ემიფანესსა“. ხოლო ცრუ იყო სიტყუაჲ ესე და განრისხნა მისა მიმართ ვრკანოსს და ყოველნი ფარისეველნი მწუხარე იქმნნეს მისა მიმართ ფრიად.

6. ხოლო სადუკეველთა წვალეებისაგან, რომელნი წინააღმდეგომსა ფარისეველ-წვალეებისასა მქონებელ არიან, იონათის ვინმე, ფრიად მოყუარემან ვრკანოსმან, ზოგადთა ყოველთა ფარისეველთა განზრახვითა თქუა ელეაზაროსს მიერ ქმნაჲ გმობათაჲ და ესე ცხად-ექმნას მას, მკითხველსა. მათგან, რომლისა სატანჯველისა ღირს არს მეტყუელი თქუმულთა მისთათვის. ხოლო ვრკანოსს ჰკითხა ფარისეველთა, თუ რომლისა სატანჯველისა ღირსად შეპრაცხენ მას, რამეთუ მეცნერ იქმნეს, უკუეთუ მათითა განზრახვითა იქმნეს გმობანი, დასაქონ რაჲ იგი მსგავსითა სასჯელითა. ხოლო მათ გუემათა და საკრველთა ღირსებაჲ თქუეს მისი, რამეთუ არა სათნო-უჩნდა გმობისა ძლით სიკუდილად დასჯაჲ მისი და სხუებრცა მხიარულებით მოითმენენ ტანჯვათა ფარისეველნი. ამისა მიმართ ფრიად მწუხარე იყო ვრკანოსს და მათითა განზრახვითა გმობათა ქმნაჲ ჰგონა კაცისაჲ. / ხოლო უფროსლა გან-

1 განიხილნა AQ, *Περὶ τῆς 13* (ანტიოხოსსა).

არსებულ-ყო იგი იონათის და ესრეთ დადვა, ვიდრელა სადუქვევლთა ნაწილთა შეპრთო, ფარისეველთაგან განდგომილი და მათ მიერ დაწესებულნი სჯულნი ერისათჳს დაჰქსნნა და დამცველნი მისნი ტანჯნა. ამიერ უკუე სიძულილი მისი და ძეთა მისთაჲ მარადის იქმნებოდა სიმრავლისაგან. ამათჳს ვიდრემე კულად ვთქუათ. ხოლო აწ უწყებაჲ მნებაჳს, ვითარმედ სჯულნი რომელნიმე მისცნეს ერსა ფარისეველთა მონაცუალებითა მამათაჲთა, რომელნი არა აღწერილ არიან მოვსის სჯულთა შინა. და ამისთჳს განადგუბს ამათ სადუქვევლთა ნათესავი, მეტყუელი, ვითარმედ მათ სჯულთაჲ ჳერ-არს რწმუნებაჲ, რომელნი აღწერილ არიან, ხოლო მამათა მიერ მოცემულისაჲ არა ჳერ-არს დაცვაჲ. და ამათჳს ძიებანი და განყოფილებანი მრავალნი შეემთხუეოდეს მათ. სადუქვევლნი ვიდრემე ღონიერთა მხოლოდ არწმუნებდეს, ხოლო სიმრავლე ერისაჲ არა აქუნდა შედგომილად მათდა. და ფარისეველთა უკუე სიმრავლე თანაშემწედ აქუნდა. არამედ ამათ ვიდრემე ორთათჳს და ესსინელთათჳს მეორესა წიგნსა ჩემსა შინა იუდაებრივთაჲსა ზედმიწევნით ცხადქმნილ არს.

7. ხოლო ვრკანოს, დამაცხრობელი კდომისაჲ და შემდგომად ამისსა ცხორებული კეთილბედნიერად და მთავრობასა განმგებელი რჩეულითა სახითა წელთა შინა ოცდაათერთმეტთა, აღსრულდა, დამტევებელი ხუთთა ძეთაჲ და სამთა დიდთა ღირსქმნილი ღმრთისაგან: მთავრობასა ნათესავისასა და მღვდელმთავრობისა პატივსა და წინაწარმეტყუელებასა, რამეთუ მის თანა იყო საღმრთოჲ და გულვებადთა მეცნიერებასა მიანიჭებდა მას სწავლად და წინაწართქემად ესრეთ, ვიდრელა და ორთაცა უმოხუცებულესთა მისთა ყრმათათჳს; ვითარმედ არა ეგნენ უფალ საქმეთა, წინაწარ-თქუა, რომელთა დამკობაჲ ცხორებისაგან ჳერ-არს მთხრობად, რაჲთა საცნაურ იქმნეს, რაოდენ ზესთ-აღკვლეს მამისა მათისა კეთილბედნიერობასა.

თ. 11

1. რამეთუ აღსრულდა რაჲ მამაჲ მათი, უმოხუცებულესმან არისტოკულოს, მთავრობასა მეფობისა მიმართ გარდაცვალებად მნებებელმან, რამეთუ ესრეთ საჯა, გვრგვნი დაიდვა ამან პირველად, შემდგომად რიცხუსა წელთა ოთხასთაჲსა: და ოთხმოცთა და ერთისა და თუესა სამთაჲსა, ვინამთგან ვაჳელონთა. მონებიისაგან განთავისუფლებული ერი მამულად თჳსად აღმოვიდა. ხოლო სიყუარულსა მქონებელმან ძმათა შორის შემდგომისა მისისა ანტილონოზმან, ესენი ვიდრემე მსგავსთა აღირსა, ხოლო სხუანი საკრველთა შინა აქუნდეს. პურობილ-ყო უკუე დედაჲცა, მთავრობისათჳს წინააღდგომილ მისდა, რამეთუ ესე უფლად ყოველთა დაუტევა ვრკანოს და ესოდენსა უბილოზასა ზედა მიიწია, ვიდრელა და სიყმილითა განხრწნა იგი შეკრული. ხოლო დაძინა დედასა ძმაჲცა თჳსი ანტილონოს, რომლისა მოყუარედ საგონებელ ოჳო და უფროსლა ზიარებასა მეფობისასა ქონებად, შესმენათაგან უცხოქმნილმან მისა მიმართ, რომელთასა პირველ ვიდრემე არა ირწმუნებდა. რომელთაჲ სიყუარულისა მისისათჳს არა მსმენელი თქუმულთაჲ და რომელთაჲ შეშურვებისა ძლით შემრაცხელი შესმენისაჲ. / ხოლო ანტილონოს აღვიდოდა ოდესმე მკედრობისაგან ბრწყინვალედ და დღესასწაულისა წარმოდგომასა შინა, ოდეს მეკარვეობენ ღმრთისა, მას ეჲსა შეემთხვა არისტოკუ-

ლოს სენსა შთავრდომაჲ. ხოლო ანტილონოს, აღმასრულებელი დღესასწაულისაჲ, აღვიდა ფრიად ბრწყინვალედ შემკობილი მის თანა აღჭურვილთა თანა ტაძარად, უმეტესლა ლოცვად ცხორებისათვის ძმისა თვისისა. ხოლო ბოროტთა და განუყოფსა ერთობისა მათისასა მოსწრაფეთა მიზეზად იკუმბეს პატივისმოყუარებაჲ ანტილონოსი, წარმავლენელთა მიერ და წინაძლომილთა და წარმართებულებანი<sup>1</sup> მისნი და მივიდეს მეფისა მიმართ და ბოროტჩუეულებით უმეტესი აღმოთქუეს ერისა მიერ წინაძლომილობაჲ მისი დღესასწაულსა შინა და ვითარმედ არა მსოფლიოჲ იყო თითოეული ქმნილთაგან, არამედ მეფობრივისა მოგონებისა მქონებელ იყვნეს ქმნილნი და ვითარმედ მოკუდინებაჲ მისი ეგულების სიმრავლისა თანა ძლიერისა მოწევნულსა და გულისმსიტყუევლ არს უგუნურებით, ვითარმედ შესაძლებელ არს მისა მეფობაჲ და პატივისა მრღებელი დიდთა მიმთხუევასა ჰგონებს.

2. ამათინან მსმენელმან და მრწმუნებელმან არისტოველოს, განწკონებან უსჯულდ-ყოფასა ძმისაგან და ერთბაშად უშოიოებისა მოურნებან, დაადგინნა სხეულისმცველნი რომელსამე ბნელსა შინა ქუეშე კერძო ქუეყანისა. ხოლო იგი მდებარე იყო გოდოლსა შინა, ანტონიად გარდასახელებულსა. და ბრძანა უჭურველისაჲ ვიდრემე არცა ერთისა შეხებაჲ, ხოლო ანტილონოსს მოკუდინებაჲ, უკუეთუ შეჭურვილი მივიდოდის მისა მიმართ. და მან თვთ წარავლინა ანტილონოსს მიმართ და ევედრებოდა, რაჲთა უჭურველი მივიდეს მისა მიმართ. ხოლო დედოფალმან და. ამას თანა ზედგანმზრახველთა ანტილონოსსთა არწმუნეს წარვინებულსა მეტყუელებაჲ წინააღმდეგობთა, ვითარმედ „ძმად შენი, მსმენელი, რამეთუ შეკმზადენ საჭურველი და სამკაული სამბრძოლოჲ, გვედრების მისლვად მისა მიმართ აღჭურვილსა, რაჲთა იხილოს შემზადებულებაჲ“. ხოლო ანტილონოს, არა ძალსა ბოროტსა მეცნიერი, არამედ მინდობილი ძმისა მიმართისა სიყუარულისა, ვითარ აქუნდა საჭურველი შემოსელსა, მივიდოდა არისტოველოს მიმართ ჩუენებად მისა საჭურველთა. მიიწაა რაჲ უკუე სტრატონოსს წოდებულსა გოდოლსა თანა, სადა შეემთხუეოდა ფრიად ზნელ-ყოფაჲ წარსავალსა გზისა, მოაკუდინეს იგი სხეულისმცველთა. აჩუენა ვიდრემე უკუე ამისმან სიკუდილმან, ვითარმედ არარაჲ არცა შურისა, არცა შესმენისა უძლიერეს არს და არცარაჲ სიყუარულსა და ბუნებითსა თვისებასა განწყოფს ამათ ვნებათაგან უმეტეს.

ხოლო უფროსდა ვინმე განკვრდეს იუდაას ვისმე ზედა, ესინელსა ნათესავით, არაოდეს განცრუებულსა კეშმარტებისაგან, რომელთათვის წინაწარ-იტყოდის. რამეთუ ამან, იხილა რაჲ ანტილონოსს წარმავალად ტაძარსა თანა, კმაყო მოყუარეთა / მიმართ მისთა და მეცნიერთა, რომელნი სწავლისა ძლით წინაწარმცნობელობისა გულგებადთაჲსა დადგრომილ იყვნეს მუნ, ვითარმედ კეთილ არს მისთვის სიკუდილი, განცრუებულისა, უკუეთუ ცოცხალ იყოს ანტილონოს, რომლისასა დღეს სიკუდილსა წინაწარმეტყუელი წოდებულსა სტრატონოსს ლოდოლსა, თანაწარმავალად ხედავს. და ადგილი ვიდრემე სტადიონის ექუსასითა შორს არს აწ, სადა მოკუდინებაჲ მისი წინაწარ-თქუა. ვინათგან უმრავლესი დღისაჲ წარკდა, ძვრხილულოზდა მისანი განცრუეღისათვის. ამათ რაჲ მეტყუელებდა იგი და მწუხარე იყო, მიეთხრა სიკუდილი ანტილონოსი კამარედსა გზასა ქუეშე, რომელი და ესეცა სტრა-

<sup>1</sup> წარმართებულბანი A.



ტონოს გოდლად იწოდებოდა, თანმოსახელედ ზღვსპირისა კესარიამსა. ამან ვიდრემე უკუე მისანი შეაშფოთა.

3. ხოლო არისტოველომსა ძმისმკლველობისა სინანული შევიდა მეყუ-სეულად და ამას თანა სნეულებაჲ გონებისა განბოროტებთა სიძულოლისა მიერ, ვიდრელა განიხრწნენს შინაგანნი მისნი სამარადისოჲსა ტკივილისაგან და სისხლსა აღმოასხმიდა, რომელი ყრმამან ვინმე მსახურმან, ვითარ ვეგონებ განგებისა რომლისამე მიერ, ადგილსა მას, სადა მოიკლა ანტილონოს, ვინაჲ და ბიწსასისხლისა მისისა მერმეცა შეემთხუოდა მუნ ყოფამ, მიმღებულმან ამან ყრმამან და შებრკოლებულმან, დასთხია. ხოლო ვინამთგან იქმნა კმაჲ მხილველთაგან, რამეთუ ჰგონებდეს განზრახვით დათხევასა მუნ სისხლისასა ყრმისაგან, მსმენელი არისტოველოს იკითხვიდა მიზეზსა. და ვითარ არა იტყოდეს, უფროსლა მნებებელ იყო სწავლად, რამეთუ კაცნი ბუნებით მკუეულობენ ესევიტართა შინა უძკრეს-ქმნასა დაღუმებულთასა. ხოლო ვინამთგან აქადებდა და აიძულებდა შიშთა მიერ და ჰეშმარტი თქუეს, დაღუარან მან, წყლულმან გონებითა, სკნიდისისა მიერ მრავალნი ცრემლნი: „ხოლო სიღრმით გამოსულთ, მთქუმელმან, არასადმე, თქუა, დაფარვამ მეგულებოდა ღმრთისაგან ესრეთ უსახურთა ზედა და საძაგელთა კადრებათა, არამედ მალაიდი მსჯავრი ნათესავისა მკლველსა შეწია მე. და ვიდრემდის, ოჲ სხეულო უკდემელო, სული, თანამდები ძმისა და დედისაჲ. გიპყრიეს ეშმაკთათვს? და რამსათვს არა მეყუსეულად განუტევებ ამას, ხოლო სხუა კერძო დავსთხევ სისხლსა ჩემსა მოკუდინებულთა ზედა?“ ამითი მეტყუელი მოკუდა სიტყუათა ზედა, მმეფობი წელსა ერთსა და ელინთმოყუარედ მყოფი და მრავლად კეთილისმყოფელი მამულისაჲ, რამეთუ ჰბრძო იტურელთა და მრავალი ქუეყანისა მათისაჲ ოუდეასა მიუგო და მას შინა დამკვდრებულთა აიძულა, რამთა უკუეთუ მნებებელ არიან დაღვრომად ადგილსა შინა, წინა-დაიკუეთონ და იუდეამსა სჯულთაებრ ცხონდებოდინან. ხოლო ბუნებით სახიერ იყო და ფრიად უმჯობესი იყო მოწიწებისაჲ, ვითარცა ეწამების ამას სტრაფონცა\*. ხოლო ესრეთ სახიერ იქმნა მამაკაცი ესე და მრავლად მარგებელ იუდელთა, რამეთუ თანად ქუეყანაჲ მოუგო მათ და კერძოჲ იტურელთა ნათესავისაჲ თვსად ყო, საყრველითა შემაერთებელ/მან სარცხუნელთა წინადაკუეთისაჲთა.

245

## 07. 12

1. ხოლო აღსრულდა რაჲ არისტოველოს, სალომეოს, ცოლმან მისმან, აღუქსანდროდ სახელდებულმან ელინთა მიერ, განმცხენლმან ძმათა მისთამან, რამეთუ შეკრულნი აქუნდეს იგინი არისტოველოსს, ვითარცა წინაწარვთქუთ, იანნეოს, აღუქსანდროდ წოდებული, მეფედ დაადგინა, ჰასაკითაცა უზესთაესი და გონიერებითა, რომელსაცა შეემთხვა, შობილსა, მეყუსეულად სიძულილი მამისა მიერ და ვიდრელა აღსასრულად მისდამდე არაოდეს მივიდა სახედველად მისა. ხოლო მიზეზი სიძულილისაჲ ესევიტარი ითქუმის ქმნად: სიყუარულსა მქონებელმან ვრკანოს ფრიადსა უმოხუცებულესთა მის-

<sup>1</sup> გუნებთა A.

\* ὁς μαρτυρεῖ εὐσεφ καὶ Σερπίωνος ἐκ τοῦ Τιμαφθοῦς ὁράματος λέγειν ὅτι αὐτὸς 13<sub>31b</sub> (თარგმანს აკლა: ტიმაგენზე დაყრდნობით).

თა ყრმათა, არისტოვულოას და ანტილონოსსა, გამოჩინებულსა მისთვის ჩუენებათა შინა ღმერთსა ჰკითხა, რომელსა ყრმათა მისთაგან ეგულების მონაცვალე-ყოფაა მისი. ხოლო ღმერთმან სახე ამისი აჩუენა. და შეწუხებულმან, რამეთუ კეთილთა მისთა ყოველთა ესე დაიმკვდრებს, იშვა რაჲ დაუტევა იგი დალილესა შინა აღზრდად. გარნა ღმერთი არა ეცრუვა კრკანოსს, არამედ მეფობაჲ შემდგომად არისტოვულოას აღსრულებისა ამან მიიღო და ძმაჲ ერთი, კელმყოფელი მეფობისაჲ, მოაკუდინა, ხოლო სხუაჲ — უზრუნველად აღმჩრეველი ცხორებისაჲ — პატივსა შინა აქუნდა.

2. დამადგინებელი უკუე მთავრობისაჲ, ვითარ სახედ ჰგონებდა უმჯობეს-ყოფასა მისთვის, განემკედრა პტოლემიდიას ზედა და ბრძოლასა შინა მძლეველმან შეაწუღინა კაცნი<sup>1</sup> ქალაქსა შინა და გარემოდგომილთა აოკრებდა მათ, რამეთუ ზღვსპირს პტოლემიდიად<sup>2</sup> და ღაზაჲ მხოლოდ დაშთომილ იყვნეს დასაპყრობელად მისგან და ზოილოს მძლავრი, დამპყრობელი სტრატონოსს გოდლისაჲ და დორათაჲ. ხოლო ვინაჲთგან დედისმოყუარე ანტიოხოს და ძმაჲ მისი ანტიოხოს, რომელი კვზიკელად იწოდებოდა, ჰბრძოდეს ურთიერთას და ძალსა მათსა წარსწყმედდეს, არცა ერთი შეწევნაჲ ექმნებოდა მათ მიერ პტოლემიდიელთა<sup>3</sup>. არამედ დამაშურალთა მიმართ გარემოდგომილებისაგან ზოილოს, სტრატონოსს გოდოლსა და დორათა დამპყრობელი, მიიწია, გუნდსა<sup>4</sup> მკედრებრივისა მიმეყანებელი და მძლავრებასა კელმყოფელი მეფეთა. ურთიერთას ბრძოლისათვის მცირედ შეეწეოდა პტოლემიდიელთა, რამეთუ არცა ესრეთ საკუთრებასა მქონებელ იყვნეს მეფენი მათდა მიმართ, ვითარმცა სასოებდეს რომელსაჲ მათგან სარგებელსა. რამეთუ მრჩობლთაჲ მსგავსი მოღუაწეთაჲ ევნებოდა, რომელნი, ძალისაგან ვიდრემე უღონოქმნილნი, ხოლო სირცხულეულნი ურთიერთას მიტეგებად ძლევისა დადგრომილ იყვნეს, უქმებასა და განსუენებასა შინა წარმავლენელნი ღუაწლოსანი. ხოლო ნეშტი სასოებაჲ იყო მათთვის ეგვპტისა მეფეთაგან და კვპროსსა მქონებელისა პტოლემეოას ლათუროსს მიმართ, რომელიცა დედისა თვისსა კლეოპატრასგან განერდომილი მთავრობისაგან კვპრად მიიწია. ამისა მიმართ უკუე წარმავლენელნი პტოლემიდიელნი ევედრებოდეს თანაშემწედ მისლვასა და აღექვსანდრო/მს კელთაგან კსნასა ძვრხილულთასა. ხოლო ვინაჲთგან არწმუნეს მას მოხუცებულთა, ვითარმედ მიწევნულსა სვრიად თანაშემწედ აქუნდენ ღაზელნი პტოლემეოას თანა და ზოილოსცა და ამათ თანა სიდონელნი და მრავალნი სხუანი თანა-შეეწინენ მას, აღზუავებული წარსლვისა მიმართ მოსწრაფე იყო.

3. ხოლო ამას შინა დიმენეტოს, სიტყუალოვნეირად მყოფმან მაშინ მათ შორის და ერისმთავრად, არწმუნა პტოლემიდიელთა ცვალებაჲ განზრახვათა მათთაჲ, რამეთუ უმჯობეს არს, თქუა, უჩინოებასა შინა ქმნადისა დასასრულისასა ძვრხილულობაჲ იუდელთა მიმართ უფროასდა, ვიდრე ცხადად მითუალეჲ მონებრსაჲ, მეუფისა მიცემითა თავთა მათთაჲთა. და ამას თანა არა ესე მხოლოდ აქუნდეს ბრძოლაჲ, არამედ ფრიად უზესთავისი ესე ეგვპტით, რამეთუ კლეოპატრა არა უგულებელს-ყოს ძალსა შემზადებაჲ თავისა თვისი-

<sup>1</sup> კ'ნ A. <sup>2</sup> პტოლემიდიად A, პტოლემიდიად Q. <sup>3</sup> პტოლემიდიელთა A, პტოლემიდიელთა Q.  
<sup>4</sup> გუნდსა AQ. <sup>5</sup> მოღუაწეთა A.

სათჳს პტოლემეოასი მახლობელთა მისთავან, არამედ მოვიდეს მათ ზედა მრავლისა მკედრობისა თანა, რამეთუ მოსწრაფე არს ესე კჳპროფთა განდევნასა ძისასა. და პტოლემეოს ვიდრემე, ვერმიმთხუეული სასოებისაჲ, კუალად ივლტოდის კჳპრედ, ხოლო ჩუენ გუეყოს ძკრხილულობაჲ უკუანამსკენლი.

პტოლემეოს ვიდრემე უკუე, განსაეალსა ზედა მსწავლელი პტოლემიოდელთა განზრახვისაჲ, არა უდარეს<sup>1</sup> აღიკუტრებდა და შთასრულმან სკჳამინო სახელდებულად, აქა შინა განიყვანა ძალი თჳსი. იყო უკუე ყოველი მკედრობაჲ მისი, ქუეითნი ერთბამად ცხენოსანთა თანა, სამნი ბევრნი, რომელთაცა მიმყვანებელი მახლობელად პტოლემიოდასა და დაბანაკებული, ვინამთვან არცა მოხუცებულთა მისთა შეიწყნარებდეს, არცა სიტყუათა ისმენდეს, ფრიად ზრუნვიდა.

4. ხოლო ვინამთვან მივიდეს მისა მიმართ ზოილოს და დაზელნი და ევედრებოდეს შეწყენად მათდა, რამეთუ განიფხურების ქუეყანაჲ მათი აღექსანდროს და იუდელთა მიერ, შეშინებულმან პტოლემეოასგან აღექსანდროს დაუტევა გარემოდგომილებაჲ და წარმყვანებელი მკედრობისაჲ წარვიდა სახიდ თჳსად მიერიოთვან, დაფარულად ვიდრემე კლეოპატრას პტოლემეოს ზედა მოუწოდა, ხოლო ცხადად სიყუარულსა და თანაშემწეობასა იჩემებდა მისა მიმართ. და ოთხასთა ვეცხლისა ტალანტთა მიცემაჲ აღუთქუა, ამათჳს ნაცეალსა მადლსა მთხოველმან მისგან, რამათა შორს-ყოს და განდევნოს მძღავრი ზოილოს და ქუეყანაჲ იუდელთა მიანიჭოს.

მაშინ ვიდრემე უკუე პტოლემეოს მხიარულებით ქმნა სიყუარული აღექსანდროს მიმართ და ზოილოს კელთ-იგდო, ხოლო უკუანამსკენელ, ესმა რაჲ ფარულად წარვლინებდა მისგან დედისა მიმართ მისისა კლეოპატრასა, დაჰქსნნა მისა მიმართ ქმნილნი ფიცნი და მიწეუნული აოკრებდა პტოლემიოდასა, არა შემწყნარებელსა მისსა. ხოლო დამტევებელი გარემოდგომილთა ზედა მკედართმთავართა და რომელსამე კერძოსა ძალისა მისისასა, მიერიოთვან იგი იუდეაჲსა დამკობად წარემართა.

და აღექსანდროს უკუე, პტოლემეოას გონებასა მსწავლელმან, შეკრიბნა მანცა ხუთნი ბევრნი მსოფლიოთაგან, ხოლო ვითარ რომელთამე აღმწერელთა თქუეს — რვანი; და მიმყვანებელი ძალისაჲ შეემთხვა პტოლემეოს. ხოლო პტოლემეოს, ანას/დაამთ ზედდადებულმან ასოქი, დალილეველთა ქალაქისამან შაბათთა შინა, დაიპყრა იგი ძლიერებით და ბევრნი სხუელნი და სხუაჲ მრავალი ნატყუენაეი მიიღო.

246

5. და მნებებელი ბრძოლად სეპფორისაცა, რომელი მკირედ შორს იყო განფხურისსა ქალაქისაგან, და მრავალთა წარმწყმედელი მკედრობისა თჳსისაგან წარვიდა ბრძოლად აღექსანდროასა. ხოლო მიეგება მას იორდანი მდინარესა თანა აღექსანდროს ადგილსა რომელსამე, ასაფოდ წოდებულსა, არა შორს იორდანი მდინარისაგან და დაადგინა მკედრობაჲ მახლობელად მბრძოლთა. აქუნდეს ვიდრემე წინამბრძოლნი რვა ათასნი, რომელთაცა ასომბრძოლად სახელსდვა, რომელნი იკუმეედეს ფართა, რვალგარდაკრულთა. ხოლო აქუნდეს პტოლემეოასცა წინამბრძოლთა ფარნი, რვალგარდაკრულნი.

<sup>1</sup> ოდარეს ა.

სხუათა შინა ვიდრემე უმციერესა მქონებელნი ძალსა, პტოლემეოზსნი მოშიშებით შეეხნეს ძვრხილულობასა. ხოლო არა მცირედი სიმკნე მისცა მათ განმაწესებელმან ერისაჲმან ფილოსტეფანოს, მბრძანებელმან, რამთა განვიდენ მდინარესა, რომლისა საშუალო დაბანაკებულ იყვნეს. ხოლო ალექსანდროსს არა სთნდა დაყენებაჲ მისი განწიაღებისაგან, რამეთუ ჰგონებდა, ვითარმედ უკუეთუ ზურგით მოიქციონ მათ მდინარე, ადვილად სძლონ მბრძოლთა მათთა, ლტოლვად ბრძოლისაგან არა შემძლებელთა.

დასაბამსა ვიდრემე უკუე იყვნეს საქმენი კელთანი და მსგავსნი გულსმოდგინებისანი მრჩობლთაგანვე და მრავალი კლვად იქმნა თითოეულთავე მკედრობათაგან. ხოლო მძლე-ექმნებოდეს რაჲ ალექსანდროსს მკედარნი, ფილოსტეფანოს, განმყოფელი ძალისაჲ, სიმარჯვით შეეწეოდა ძლეულთა. დავინადთან არცა ერთი ვინ ძლეულსა კერძოსა იუდეელთასა შეეწეოდა, ამით ვიდრემე შეემთხუეოდა ლტოლვად, რამეთუ არცა მახლობელნი შეეწეოდეს, არამედ ლტოლვასა ეზიარებოდეს. ხოლო პტოლემეოზსნი წინააღმდეგობთა ამითა მოქმედებდეს, რამეთუ შედგომილნი მოსრვიდეს იუდეელთა და დასასრულად ამით ძლეულთა ყოველთა სდევნიდეს მომაკუდინებელნი, ვიდრეღა და მომაკუდინებელთაჲ რკინად უძალო იქმნა და კელნი დაქსნილ იქმნენს. სამთა ბევრთასა იტყოდეს მათგან მოკუდინებებსა, ხოლო ტიმაგენის ხუთნი ბევრნი თქუნა და სხუათა უკუე ნეშტთაჲ — ტყუედ მიყვანებაჲ და რომელთაჲმე თესთა ადგილთადმი წარლტოლვად.

6. ხოლო პტოლემეოს, შემდგომად ძლევისა მდევნელი და წარმტყუენველი სოფლებისაჲ, მიმწუხრებულ იქმნა რაჲ, დაბათა რომელთაჲმე შინა იუდეუასათა დაადგრა, რომელთაჲმე მოვინელმან აღსავსედ დედაკაცთა მიერ და ჩჩვლთა, უბრძანა მკედართა მოსრვად მათი და დაქრად, ამისა შემდგომად ქუაბთა შინა მდელარეთა შთაყრად ასოთა მათთაჲ და ესრეთ წყებად ქამად. ხოლო ესე ბრძანა, რამთა განლტოლვილთა ბრძოლისაგან და მისა. მიმართ მისრულთა კორკისმქამელად ჰგონენ მბრძოლნი და ამისთვის მერმეცა უმეტეს შეშინდენ მათგან ამათნი მხილველნი. ხოლო იტყვის სტრაზონცა და ნიკოლაოს, ვითარმედ ესე სახე იყუმიეს მათ მიმართ, ვითარ სახედ მეცა წინაწარ-ვეთქუ.

მიიღეს უკუე პტოლემეოზისაჲ ძლიერებით, ვითარ ზა სხუათაჲცა შინაცხად-გვქმნიეს.

## თ. 13

1. ხოლო კლეოპატრას, მხილველსა ძისასა აღორძინებულად და იუდეუასა უშიშოებით განმფხურელად და დაზელთა ქალაქსა მორჩილებით მქონებულად, არა სთნდა უგულუბელს-ყოფად ამისი, ბქეთა ზედა მყოფისაჲ და განმფხურელისაჲ და ეგვბტელთასა უდიდეს ქმნილისაჲ, არამედ მეყუსეულად ნავტურისა და ქუეითისა ძალისა თანა წარემართა მას ზედა და მთავრად ყოველისა მკედრებისა განაჩინნა ქელკია და ანანია იუდელნი. ხოლო სიმდიდრისა მისისა უმეტესნი და შეილისშვილნი და ანდერძნი, წარმავლენელმან

<sup>1</sup> პტოლემეოზისა A, პტოლემეოზისა Q.

ყოელთა თანა, დასნნა და უბრძანა ძესა თვისსა აღექსანდროსს სტოლითა\* დი-  
ლითა ლტოლვაჲ, უკუეთუ ძლევად იქმნეს. ხოლო კლეოპატრა ყოელისა თანა  
ძალისა თვისისა მიიწია პტოლემიდიად. და რამეთუ არა შეიწყნარებდეს მას  
პტოლემიდიდენი, აჯრებდა ქალაქსა.

პტოლემოს უკუე, წარსრული სკრიაჲთ, ეგვბტემი მოსწრაფე იყო, უც-  
ნაურად!† დაპყრობასა მისა მეჭუელი მკედართა ნაკულუევანებისათჳს მას  
შინა, გარნა ვერ შეემთხვა სასოებასა: ამას უკუე ეამსა შინა შეემთხვა ქელ-  
კიას, ერთსა კლეოპატრას მთავართაგანსა, სიკუდილი ღელესა შინა სკრიაჲ-  
სასა პტოლემეოჲს მღევნელსა.

2. ხოლო ესმა რაჲ კლეოპატრას კელყოფად ძისაჲ და ვითარმედ ეგვბ-  
ტეს შინა არა ესრეთ წარემართა მას, ვითარ სახედ სასოებდა, წარმაველენლ-  
მან კერძოსა! მკედრობისასა განდევნა იგი ქუეყანისაგან. და ესე ვიდრემე  
კუალად ეგვბტით უკუმოქეული იქცეოდა დაზას შინა ზამთარ. ხოლო  
ამას შინა კლეოპატრა პტოლემიდიადსა სამცელოჲ გარემოდგომით მიიღო  
და ქალაქი. ხოლო აღექსანდროს მივიდა მისა ძლუენითა თანა და მსახურები-  
სა, ვითარი ჳერ-იყო, ბორიოდ ვიდრემე ვნებული პტოლემეოჲსგან მისალ-  
ტოლაველსა სხუსა არა ღონიერი გარეშე მისსა. და ვიეთნიმე მოყუარეთა-  
განნი ამათსაცა მიღებასა განაზრახებდეს კლეოპატრას და ქუეყანისა დაპყ-  
რობასა და არა უგულუბელს-ყოფად ერთისა კაცისა მიერ ქონებად ესოდენსა  
სიმრაველსა იუდეაჲსა კეთილთასა. ხოლო ანანია განაზრახებდა წინაღმდგომ-  
სა ამათსა, მეტყუელ. ვითარმედ „უსამართლოჲ იმოქმედოს, უკუეთუ კაცთა  
თანაშემწესა მიუღოს თვისი კელმწიფებაჲ და ამას თანა ნათესავსა ჩუენსა,  
რამეთუ არა მნებავს უმეცრებაჲ შენი, თქუა, ვითარმედ ამისა მიმართ უსა-  
მართლოებაჲ ჩუენ ყოველთა იუდელთა მტერ-გვქმს შენდა მიმართ“.

ესენი რაჲ განაზრახნა ანანია, რწმუნებულ იქმნა კლეოპატრა არარაჲს  
უსამართლოჲსა ყოფად აღექსანდროსთჳს, არამედ თანაშემწეობაჲ ქმნა მისა  
მიმართ სკვთოპოლის შინა, ღელქესა სკრიაჲსასა.

247

3. ხოლო აღექსანდროს, განთავისუფლებული პტოლემეოჲს შიშთაგან,  
განემკედრა მეყუსეულად ღელესა ზედა სკრიაჲსასა და დაიპყრა ლადარაჲ,  
გარემოდგომილმან ათთა თუეთა შინა და ამათუნტადეა, დიდსამცელოჲ ზენა  
კერძო იორდანისა დამკვდრებულთაჲ, სადა შუენიერნი და მოსწრაფებისა  
ღირსნი თეოდოროსს ზინონისსა აქუნდეს, რომელმანცა, არა მსასოებელთა  
იუდელთა ზედდადებულმან, ბევრნი მათგანნი მოაკუდინნა და აღექსანდროსს  
ნატყუენავი მიიტაცა. ამათ ვიდრემე უკუე არა შეაშინეს აღექსანდროს, არა-  
მედ განიმკედრა ზღუსა კერძოთაჲთ რაფიასა და ანთიდონსა ზედა, რომელი  
უკუნაჲსკენღ იროლო<sup>2</sup> მეფემან აღრიპპიადად გარდასახელა და ძლიერებით  
დაიპყრა ესეცა. ხოლო იხილა რაჲ პტოლემეოსი დაზაჲთ კვპრედ წარსლვაჲ  
და დედისა მისისა კლეოპატრასი — ეგვბტემ<sup>3</sup>, განრისხებული დაზელთათჳს,  
რამეთუ პტოლემეოსს მოუწოდეს შემწედ, გარე-მოადგა ქალაქსა და ქუეყანაჲ  
მათი განფხურა. ხოლო აპოლოლოტოს, მკედართმთავარი დაზელთაჲ, ორ  
ათასთა თანა უცხოთა და ბევრთა მონათა ლამით ზედა დაესხა იუდელთა

1 კერძოსა A. 2 იორი AQ. 3 გვბტელ A.

\* טרמפ 13360 (=ფლოტი) 1\* א(פ)רמ(ס) 13361 (=უეტრად. მოულოდნელად).

მკედრობასა და ვიდრემდის ღამე იყოს, სძლევდეს ღაზელნი, იქუსა მიმცემლნი მბრძოლათვს, ვითარმედ მოსრულ არს მათ ზედა პტოლემეოს. ვინა-  
 მთგან<sup>1</sup> ღღე იქმნა და იქვ მხილებულ იქმნა, მსწავლელნი ბოროტისანი იუ-  
 დელნი უკუნ-იქცეს<sup>2</sup> და ღაზელთა ჰბრძოდეს და მოსრნეს მათგან ათასნი.  
 ხოლო ღაზელნი წინა-აღუდგებოდეს და არცა ნაკლულეკანებისათვს, არცა  
 სიზრჯლისათვს მოკლდინებულთაჲსა დაჰკანდებოდეს, რამეთუ ყოველსავე  
 შოთმენდეს ვნებად, ვიდრეღა მბრძოლთა ქუეშე ქმნად. და ამას თანა აღად-  
 გენდა სიმკნესა და სათნოებათა მათთა არავთა მეფე. საჩინოდ მყოფი\*, რო-  
 ძელი აღუთქუმიდა მათ შეწევნად მისლვასა. არამედ შეემთხვა უწინარეს  
 განხრწნად აპოლოლოტოსს, რამეთუ ღუსიმახოს, ძმამან მისმან, მოშურნემან  
 მისმან მოქალაქეთა შორის კეთილთნეველად<sup>3</sup> ყოფისათვს. მომაკლდინებელმან  
 მისმან და მკედრობისა შემკრებელმან მისცა ქალაქი ალექსანდროსს. ხოლო  
 იგი ვიდრემე, მეყუსეულად შესრული; მშვდ იყო. ხოლო ამისა შემდგომად  
 განუტევა ძალი თვისი ღაზელთა ზედა და უბრძანა შურისგებაჲ<sup>4</sup> მათ ზედა. და  
 სხუანი უკუე, სხუა კერძო მიდრეკილნი, ღაზელთა მოაკლდინებდეს. ხოლო  
 არცა იგინი იყვნეს უმკნესთა სულითა, არამედ შურისმგებელნი მიახლებულთა  
 იუდეულთაგან არა უმცირესთა მათთა განჰხრწნიდეს. ხოლო სხუანი, განმარ-  
 ტობულნი, სახლთა დასწუვიდეს, რაჲთა არაჲმ ნატყუენავი მიიღონ მათგან  
 მბრძოლთა. და სხუანი შვილთა და ცოლთა თუთ მკლველ იქმნებოდეს, მტერ-  
 თა მიერისა მონებისაგან ესრეთ განთავისუფლებად იძულებულნი. ხოლო  
 ბჰენ<sup>5</sup>, რომელნი იყვნეს ყოველნი ხუთასნი, მიივლტოდეს აპოლოლონოსს ტა-  
 ძარსა შინა, რამეთუ ერთად შეკრებულებასა მათსა იქმნა ზედდასხმულობაჲ.  
 v და ალექსანდროს თანად ესენი მოაკლდინნა და ქალაქისა მათისა ზედლა/მამ-  
 კობელი უკუნ-იქცა იეროსოლვმად, წელსა ერთსა მბრძოლი ქალაქისაჲ.

4. ხოლო ამასვე ეამსა შინა მოკლდა ანტიოხოსცა, ღრვობდ წოდებულო,  
 ზედგანხრახული ზაკუეით ირაკლეონისაგან, ცხორებული წელთა ორმოცთა  
 და ხუთთა, ხოლო მმეფობი ცხრათა და ოცთა. და მიმთუალველი მეფობისაჲ  
 ყრმაჲ მისი სელევკოს ჰბრძოდა ძმასა მამისა თვისისასა ანტიოხოსს, რომელი  
 კჰზიკელად წოდებულ იყო. და მძლეველმან მისმან და მიმყვანებელმან მო-  
 კლდინა. ხოლო შემდგომად არა მრავლისა ყრმაჲ კჰზიკელისაჲ ანტიოხოს და  
 ანტონინოს, კეთილმსახურად წოდებული, მიიწინეს არადოსს და დამდგმელ-  
 ნი გვრგვნიანი ჰბრძოდეს სელევკოსს და მძლეველთა განდევნეს იგი ყოვლისა  
 სკრიასაგან. ხოლო ესე, ლტოლვილი კილიკიად და ქმნილი მომფსუესტიას  
 შინა, კულად მიჰკდიდა მათ საგმართა. და მომფსუესტელთა უკუე ერმან,  
 განრისხებულმან, აღანთნა სამეფონი მისნი და განხრწნა იგი მოყუარეთა თანა.  
 ზოლო ვინამთგან მეფე იქმნა სკრიასა ანტიოხოს, ყრმაჲ კჰზიკელისაჲ,  
 ანტიოხოს, სელევკოსს ძმამან განიღო ბრძოლაჲ მისა მიმართ და ძლეული  
 წარწყმდა მკედრობისა თვისისა თანა. ხოლო შემდგომად მისსა ძმამ მისი ფო-  
 ლაჰპოს, დამდგმელი გვრგვნიისაჲ, მეფე იქმნა რომელსამე კერძოსა ზედა  
 სკრიასასა. ხოლო პტოლემეოს ლათუროსმან მეოთხე ძმათაგან ფილიპოსს-

<sup>1</sup> ვინაგან A, ვინათგან Q. \* უკუნ-იქცეს A. \* კეთილთნეველად A Q. <sup>4</sup> შურისგება A.  
<sup>5</sup> ბჰენი A.

\* Ἀπόσταθ Ἀρμόβου βασιλεὺς 13<sup>ος</sup> (საეკლესიო სახელი გაიფიქვებულა საზოგადო სახელ-  
 თან ἢ δευτέρου, სიმბავლე, ამიღლებული თვისებები და თარგმნილთა).

თაჲ, დიმიტრიოს, აკეროდ სიხელდებული, კნიდოთ მომწოდებელმან დაადგინა დამასკოს შინა მეფედ. ესე უკუე ორნი ძმანი ძლიერად წინააღულდებოდეს რაჲ ანტიოხოს, მალიად მოკუდა რამეთუ ლაოდიკედ მისრული თანაშემწედ, ლალინელთა დედოფლისა, პართთა მბრძოლისა, მკნელ მბრძოლი დაეცა. ხოლო სურიაჲ დაიპყრეს ძმათა ორთა — დიმიტრიოს და ფილიპპოს, ვითარ და სხუათაცა შინა ცხად-გვქმნიეს.

5. ხოლო ალექსანდროსს კლდობაჲ შეემთხვა თვისთა მიერ, რამეთუ ზედ-აღუდგა მას ნათესავი. დღესასწაული რაჲ აღესრულებოდა და იგი მდგომარე იყო ვომონსა ზედა, მსხუერპლავად მგულებელი, და კიტრათა<sup>1</sup> მიერ ესროდეს. პას, რამეთუ სჯული იყო იუდეელთა მეკარეეობასა შინა ქონებად თითოეული კალათთა ფენიკითა და კიტრათა. ხოლო ესენი ცხად-გვქმნიეს სხუათაცა შინა. ავიგებდეს უკუე მას, ვითარ ტყუეთაგან ქმნილსა და პატივისა და მემსხუერპლეობისა უღირსად მყოფსა.

ამთ ზედა განრიხებულმან მოაკუდინნა მათგანნი ექუს ათასნი და კედელი ძელისაჲ ვომონსა და ტაძარსა გარე-მოსდვა, ვიდრე ხარისხადმდე, სადა მდღელთაგან მხოლოდ შესაძლებელ იყო შესლვაჲ და ამით სიმრავლისა შესლვაჲ დააყენა მისა მიმართ.

ხოლო ზრდიდა უცხოთაცა — პისიდელთა და კილიკელთა, რამეთუ სურთა მბრძოლ იყო და ამისთვის არა იკუმევედა. დაამკუნა უკუე არავთაცა მოავიტელნი და ლალადიტელნი და ამათუნტაჲ და ხარკთა მიცემასა შთაყარნა, ვინაჲთგან თეოდოროს არა მკადრე იყო ბრძოლად მისსა. ხოლო განმანწყობელი ბრძოლისაჲ ოვედაჲს, არავთა მეფისა მიმართ და შთავრდომილი მზირთა ადგილთა შინა ქეოანთა და ძნიად სავალთა, სიმრავლისაგან აქლემთაჲსა ღრმსა ჯნარცულსა შინა შთავარდა ღარადრას, დაბასა შინა ლალადიტისასა და ძნიად ცხონდა იგი და ლტოლვილი მიერ იეროსოლემად მიიწია. და ბოროტისმოქმედებისა მიმართ მისისა ზედა-დაედვა მას ნათესავი იუდეელთაჲ და მბრძოლმან მისმან ალექსანდროს წელთა შინა ექუსთა მოსრნა იუდეელთაგან არა უმცირესნი ხუთთა ბევრთასა. ხოლო ვინაჲთგან ევედრებოდა მათ დაცხრომად მისა მიმართისა სიძულილისაგან, მერმეცა უმეტეს ეძაგებოდა მათ იგი შემთხუეულთათეს. და იკითხვიდა რაჲ მათგან, რომელი თანამდები იმოქმედოს, კმაყვეს ყოველთა, რამთა მოკუდეს იგი და დიმიტრიოს აკეროდას მიმართ წარავლინნეს და მიუდგეს<sup>1</sup> მას თანაშემწედ.

248

07. 14

1. ხოლო ამან, მიწვენულმან მკედრობისა თანა და მიმყვანებელმან მიმწოდებელთამან, სიკიჲმასა ქალაქსა თანა დაიბანაჲ. და ალექსანდროს უკუე, სასყიდლით დადგინებულთა თანა ექუს ათასთა და ორასთა, ხოლო იუდეელთა ორთა ბევრთა, რომელნი მსგავს იყვნეს მისა გონებითა, წარმართებულთ მივიდოდა დიმიტრიოჲს ზედა. იყვნეს უკუე ამისა ცხენოსანნი ვიდრემე სამ ათასნი და ქუეთინი ოთხნი ბევრნი. ხოლო იქმნნეს ორთაგანვე იძულებანი ერთისაგან ვიდრემე, რამთა განუტევენეს სასყიდლით დადგინებულნი, ვითარ ელლი-

<sup>1</sup> მიუდეს AQ.

<sup>\*</sup> \*ιστοικ 13<sub>372</sub> (=ლომონებს).

ნად მყოფნი, ხოლო სხვსაგან — რამთა დიმიტრიოს თანამყოფნი იუდეულნი განყენებულ იქმნენ. და ვინაჲთგან არა რომელი ირწმუნებდა, არამედ ბრძოლად განაწყევეს, სძლო დიმიტრიოს. და მოკუდეს ალექსანდროსსნი ვიდრემე სასყიდლით დადგინებულნი ყოველნი, სარწმუნოებისა ერთბამად და სიძვნი-სა ჩუენებასა მოქმედნი. მოისრნეს უკუე დიმიტრიოჲს მკედართაგანცა მრავალნი.

2. ხოლო ალექსანდროს ივლტოდა მათა მიმართ და შემწყალებელნი ძღუეულებისა მისისანი შეკრბეს მის თანა იუდელნი ექუს ათასნი. მაშინ უკუე შეშინებული დიმიტრიოს განეშორა. ხოლო ამისა შემდგომად ჰბრძოდეს იუდელნი ალექსანდროსს და ძღუელნი მრავალნი მოკუდებოდეს ბრძოლათა შინა და უძლიერესნი მათნი შეაწყუდინა ვეთომას ქალაქსა შინა და გარემოდგომილი აოკრებდა. ხოლო მიძღებელმან ქალაქისამან და მძღუემნილმან მათმან წარიყვანა იეროსოლემად და ყოველთა უუგბილესი საქმე იმოქმედა, რამეთუ მსერებელმან მაღალსა ადგილსა შინა ხარკთა თანა მისთა ბრძანა ჯუარცუმად მათი ვითარ რეაასთაჲ. და შერმეცა, სიცოცხლესა მათსა შინა, ყრმანი მათნი და ცოლნი სახედველთა მათთა წინაშე დაკლნა, შურისმგებელმან მათ ძლით, რომელნი ევნნეს მათ მიერ. და სხუებრცა უზესთაჲს კაცთაჲსა ამას პატრესა მიმკვდელმან, დაღაცათუ რომელი ჭერ-იყო, ფრიად დაშურა უწინარესთა მისთა ბრძოლათა შინა და უკუუნაჲ/სკენლსა ძკრისხილესა შინა მიიწია სულისათვის და მეფობისა, რამეთუ არა კმა-იყოფდეს ურთიერთას მიმართ ბრძოლასა. არამედ უცხო ნათესავთაცა მოიყვანებდეს, ვიდრეღა და ქუეყანაჲცა, რომელი დაამკუა მოავიტიდის შინა და ლალადიტიდის და მას შინანი სოფელნი არავთა მეფესა მისცნა, რამთა არა შეეწეოდის მათ მისა მიმართსა ბრძოლასა შინა. თანად სხუანი მრავალნი გინებისა მისისა და დაქირვებისათვის იმოქმედნეს. არამედ არა სიმარჯუთ საგონებელ არს მოქმედებდა ამათი, ვიდრეღა უგბილობისა მისისა გარდამატებულისათვის თრავიდად ეწოდა მას იუდელთა მიერ. ხოლო ნაცვალმკდომნი მისნი, სიმრავლედ რვა ათასად მყოფნი, ივლტოდეს ღამით და რაოდენსა ჟამსა ცოცხალ იყო ალექსანდროს, ლტოლუასა შინა იყვნეს. და ესე ვიდრემე, განთავისუფლებული ბრძოლისა მათისაგან, მიერთებან ყოვლითა დაწყნარებითა მეფობდა.

3. ხოლო დიმიტრიოს, იუდეაჲთ წარსრული ვერკად, ჰბრძოდა ძმასა მისსა ფილიპოს და აქუნდეს მას ქუეითნი ვიდრემე ბევრნი და ათასნი ცხენოსანნი. ხოლო სტრატონ, მძღავრმან ვერკასამან, ფილიპოს თანაშემწემან, ზიზონს, ნათესავთმთავარსა არავთასა, მიუწოდა და მითრიდატისს სინაჲინსა, პართველთა ვპატოსსა<sup>1</sup>, რომელნი, მიიწინეს რაჲ მრავლისა ძალისა თანა, გარე-შოადგეს დიმიტრიოსს, შინაგან ხანდაკრისა მყოფსა და შემაიწრებელთა მისთა შინაგან ისართა მიერ და წყურძლისა აიძულეს მისთანათა მიცემად თავთა თვსთაჲ, წარმტყუენველთა უკუე ადგილისათა და დიმიტრიოჲს მიმკვანებულსა, ესე ვიდრემე მითრიდატისს, მაშინ მემეფობსა პართთასა, წარუვლინეს. ხოლო ტყუენი, რაოდენნი ანტიოქელთა მოქალაქენი იყვნეს, ესენი უსასყიდლოდ ანტიოქელთა მისცნეს. მითრიდატისს უკუე, პართთა მეფესა,

<sup>1</sup> ვპატოსსა AQS.

<sup>2</sup> და დასასრულად ამას იძულებასა შინა მიიწინეს.



ყოველსა პატივსა შინა აქუნდა დიმიტრიოს<sup>1</sup>, ვიდრე არა სნეულებითა დააქცია ცხორებაჲ თვისი დიმიტრიოს. ხოლო ფილიპოს, ბრძოლისაგან მეყუსეულად ანტიოქიად მიწევნული და დამპყრობელი მისი, განმეფნა სკრიაჲსა.

07. 15

1. ამისა შემდგომად ანტიოხოს, დიონუსიოდ წოდებული, ძმად ფილიპოსისი, მბრძოლი მთავრობისათვის დამასკოდ მიიწია და მუნ<sup>2</sup> შინა საქმეთა დამპყრობელი განმეფნა და განრმევდრა არავთა ზედა. ხოლო ფილიპოს, ძმად მისი, ამათი მსმენელი, დამასკოსა ზედა მივიდა და მილისიოს უკუე, რომელი დაბევებულ იყო მცველად სამცველოჲსა და დამასკინელთა, მისცა მას ქალაქი, უმადლოქმნილმან მისა მიმართ და შეიწყნარა იგი, მიმნიჭებელმან, რომელთა არა სასოებდა<sup>3</sup>, არამედ ვინამთვან შიშისა მისისათვის ჰგონებდა მიღებასა ქალაქისასა, ვიდრე მილისიოჲს მინიჭებისაგან, რომელთა მიერ ჭერ-იყო, შეიკოტუნებოდა და კუალად განეარდა დამასკოჲთ, რამეთუ განვიდა რაჲ ესე ცხენთა სარბიელად, დაუქმნა მას ბუენი მილისიოს და დამასკოჲ ანტიოხოსისთვის დაიკვა.

249

ხოლო ანტიოხოს, მსმენელი ფილიპოსის ძლიითაჲ, უკუნ-იქცა არავიამთ და მოწვენული მეყუსეულად განემკედრა იუდეასა ზედა აღუკრვილთა თანა რვა ათასთა და ცხენოსანთა რვაასათა. ხოლო ალექსანდროს, შეშინებულმან ზედმოსლვისა მისისაგან, ხანდაკი აღმოჰკუეთა ღრმად, ხავარსავაჲთ დამწყებელმან, რომელსა აწ ანტიპატრის ეწოდების, ვიდრე იოპპისა ზღუადმდე, რომელი მხოლოდ საბრძოლ იყო. თანად ზღუდე აღადგინა და გოდოლნი აღჰმართნა ძელსა და წინა კერძო გოდოლოთაჲსა სტადიონითა ასორმეოცდაათითა ანტიოხოსს მოელოდა. ხოლო ესე, ამათ ყოველთა დამწყუველი, განიყვანებდა მიერ ძალსა თვისსა არავიასა ზედა. და არავი უკუე პირველად ვიდრემე ივლტოდა, ამისა შემდგომად ბევრთა თანა ცხენოსანთა უცნაურად გამოჩნდა. და შემთხუეული მათი ანტიოხოს ძლიერად ჰბრძოდა და მძლეველი შოკუდა, შემეწე დაჰირებულისა კერძოჲსაჲ. ხოლო დაეცა რაჲ ანტიოხოს, ივლტოდა მკედრობაჲცა დაბასა კანაჲსასა, სადა უმრავლესი მათი სიყმილითა განიხრწნა.

2. და შემდგომად მისსა მეფე იქმნა ღელისა სკრიაჲსა არეტას, მიწოდებული მთავრობისა მიმართ დამასკოსა მქონებელთაგან პტოლემეოჲს მენნეოჲსისა მიმართ სიძულილისათვის. ხოლო მიერ აღმკედრებული იუდეასა ზედა და აღდიდას სოფელსა შინა მძლეველი ალექსანდროჲსი ბრძოლასა შინა და აჯთა მოქმელი, წარვიდა იუდეაჲსაგან.

3. ხოლო ალექსანდროს, წარმართებულმან კუალად თვისსა<sup>4</sup> ქალაქსა ზედა, დაიპყრა იგი და განიძვედრა იესსას ზედა, სადა ზინონისნი ღირსნი მრავლისანი<sup>5</sup> იყვნეს. და სამნი ზღუდენი ვარე-მოავლნა ადგილსა და ბრძოლით

<sup>1</sup> დიმიტრიოსს AQ. \* მონ AQ.

\* και μνησν θν ძლითჲ ძმძნათი ახებო პირმთჲთ 13<sup>133</sup> (= არა მიმნიჭებელმან, რომელთა სასოებდა). <sup>1</sup>\* ძლი Διοσ პტის 13<sup>133</sup>. <sup>2</sup>\* ძმ ძლისითა ძნეჲ 13<sup>133</sup> (= ყველაზე მსმენელი ვანნი, ძვირად ღირებული).

მიმღებელი ქალაქისა და ლანასა და სელევკიასა ზედა წარემართა. ხოლო მიმღებელმან ამათმან გამოიღო ამათ თანა ანტიოხოზასადცა წოდებული კევი და სამცველო და მალაა. და მამბრალობელი მრავალთა და დიმიტრიოზსთეს, მთავრისა ადგილთაჲსა, განჰფხურია მას და, სამთა წელთა სრულმყოფელი მკედრობასა შინა, სახიდ თესად უკუნ-იქცა და გულსმოდგინედ შეიწყნარეს იგი იუდეელთა წარმართებთა მისთათეს.

4. ხოლო ამას ეჰმსა შინა სკრთა და იღუმელთა და ფუნკელთა ქალაქნი აქუნდეს იუდელთა: ზღვსპირს ვიდრემე სტრატონოზს გოდოლი, აპოლონიას, იოპი, იამნიას, აზოტო, ლაზა, ანთიდონა, რაფიას, რინოკურტრას, ხოლო საშუაელ ქუეყანისა, იღუმელთა შინა — აღორა და მარისა და ყოველი იღუმელა და სამარია, კარმელი მთა და იტავკრიო მთა, სკვთობოლო, ლაზარა. დავლანტიდა — სელევკიას, დავალა\*. მოავიტიდანი\* — ესევიონნი, მიდავა, ლემვანი, ორონნი, ემატელნი, ლეთონა\*\*, ზარა, ხოლო კილოკელთანი აქუნდეს ავლემელნი\*\*, პელაა — არამედ ესე დაამკუა, რამეთუ არა ინებეს შინაგან მკედრთა გარდაცვალებად მამულისა იუდეელთა ჩუეფლებისა მიმართ. და თანად სხუანი ქალაქნი, პირველნი სკრიასა. შინა, რომელნი დაპკობილ იყვნეს ამათ მიერ.

5. ხოლო შემდგომად ამათსა აღექსანდროს მეფე, სიმთ/რვალისაგან სენსა შთავრდომილი და სამთა წელთა შინა მეოთხითა კურეგებითა შეპყრობილი, არა განდგა მკედრთაგან, ვიდრე არა მოკუდა ტკივილთა მიერ განლუქლი მთათა შინა გერასინელთასა, მოკრებელი რაღაჲ სამცველოჲსა, წიად ოორდანისა.

ხოლო მხედველი მისი დედოფალი აღსასრულად მიახლებულისა და არცა ერთსა სასობასა ცხორებისასა გამომაჩინებელისა, მტირალი და დამბარველი თავისა გულგებადისა მოკრებისათეს, ეტყებდა თავსა თესსა და ყრმათა და მისა მიმართ იტყოდა: „ვისა დამიტევებ ესრეთ მე და შვილთა ჩუენთა, სხუათა მიერისა შეწევნისა მოქენეთა და მეცნიერნი ამათი, თუ ვითარ სიძულილით მღებარე არს შენდა მიმართ ნათესავი?“ ხოლო იგი განაზრახებდა მას რწმუნებასა მათსა, რომელნი განაზრახნეს და რომელთა მიერ მტკიცედ იპყრას მეფობა შვილთა თანა, გარნა რაჲთა დაუფაროს სიკუდილი მის მკედრთა, ვიდრემდის არა გამოიღონ ადგილი. ამისა შემდგომად, მძლე ექმნეს რაჲ, ბრწყინვალედ იეროსოლჲმად მიწევნულმან მისცეს ჯელმწიფებაჲ რომელიმე ფარისეველთა, რამეთუ ამათ, მაქებელთა მისთა ნაცვალად პატივისა, სიყუარულით დაადგინონ მისთეს ნათესავი. ხოლო იტყოდა, ვითარძედ დიდად წინძობებელ არიან ესენი იუდეელთა შორის და მოძულეთა ავნებენ, ხოლო მოყუარედ მყოფთა მარგებელ ექმნებინან, რამეთუ ფრიად ირწმუნებინან სიმრავლისა მიერ და რომელთა მიმართ მოშურნე იყვნენ, ბოროტად მტყუებებენ. და თესსა შეცოდებასა იტყოდა ამათ მიერ ნათესავისა მი-

\* Γαλαταικόμ: Σιλύκωσιν Γ'μβηα 13<sub>277</sub> (=ლაელანტიში—სელევკი და ლელა).

\*\* Μομφίκομ: 13<sub>277</sub> (=მოფიტში). \*\* Ὁρωσίου Ἀρχαίου Θω·α Niese duce Tuch: ὀρωσίου μωφίκομ aut ὀρωσίου μωφίκομ codd: Oronemegaeion Lat. A, ტ. VII, გვ. 426.

\*\* Κιλίκωσιν ἀσ·αωα 13<sub>277</sub> (=კილიკიის ველი), კილოკელთანი აქუნდეს ავლონა Q. ავლემელნი+ ორონნიონა A.

მართ, რამეთუ გინებულ იქმნეს ესენი მის მიერ. „შენ ვიდრეცე უკუე, ჰრქუა, იეროსოლემათა შინა მიწვეწულმან მოუწოდე მკედართა მათთა და უჩუენე მათ სხეული ჩემი და ვითარ მნებებელ იყვენ, კუმევა მრავლითა ჭერ-ჩინებითა უწამე მათ. უკუეთუ გინებასა ჩემსა მნებებელ იყვენ საფლავად არა მიცემითა სხეულისათა, ვითარ მრავალთა მენებელნი ჩემგან, ანუ სხესა რომლისამე სატანჯველისამ მოღებამ სიანდეს სხეულსა ჩემსა ზედა, შენ აღუთქუემდი. და ნუცა ერთსა იმოქმედებ სამეფოსა შინა გარეშე განზრახვისა მათისა. ესენი რამ სთქუნე შენ მათდა მიმართ, მე უბრწყინვალესსა დაფლვასა ღირს-ვიქმნე მათგან, რომელსა და შენგანცამცა მივემთხვე. და არცა ერთი ბოროტი უყონ სხეულსა ჩემსა, შემძლებელთა. და შენ მტკიცედ მათავრობდე“. ამათი განმზრახებელი ცოლისა აღსრულდა, მმეფობი წულთა შედთა და ოცთა, ცხორებული ერთისა მოკლებითა ორმეოცდაათთაგან.

თ. 16

1. ხოლო აღექსანდრა, სამცველომსა გამონღებელი, მცნებათაებრ ქმრისათა თანად ფარისეველთა ეზრახა და ყოველივე მიუტევა მათ მკუდრისანიცა და მეფობისანი და აღექსანდრომს მიმართისა რისხვისაგან დააცხრენა იგინი და საყუარელ და შესაკუთრებულ ყვნა იგინი. ხოლო იგინი, სიმრავლისა მიმართ მიწვეწულნი, ერის-მეტყუელებდეს საქმეთა აღექსანდრომსთა მიმთხრობელნი და ვითარმედ მართალი მეფე წარუწყმდა მათ და სიმრავლე ყოველი / გოდებად და მწუხარებად მისთვის აღძრეს ქებათა მიერ, ვიდრელა უბრწყინვალეს უწინარესთა მისთა მეფეთაჲსა დაჰფლეს იგი.

250

ორნი ვიდრემე ძენი დაუტევენა აღექსანდროს: ვრკანოს და არისტოვეულოს, ხოლო მეფობამ აღექსანდრას მიანდო. და ყრმათაგან ვიდრემე ვრკანოს უძლური იყო საქმეთა განგებად და ცხორებასა დაყუდებითსა უფრომს შემყუარებელ. ხოლო უქაბუკესი, არისტოვეულოს, მახვლ იყო და მცნე. და საყუარელ იყო სიმრავლისა მიერ დედაკაცი, რამეთუ საგონებელ იყო მწუხარებად მათთვის, რომელნი ცოდნა ქმარმან მისმან.

2. ხოლო ამან მღდელმთავრად ვიდრემე განაჩინა ვრკანოს ჰასაკისათვის და უფრომსდა უმეტეს სიწარფობისა მისისათვის. და ყოველთა ვიდრე ქმნამ ფარისეველთა უბრძანა, რომელთა მორჩილება უბრძანა სიმრავლესაცა და რომელიცა რამე ცუდთაგან ვრკანოს, სიმამრმან მისმან დაჰქსნა, რომელნი აქუნდეს ფარისეველთა მამულისა მოცემისაებრ, ესენი კუალად აგნა მათ. სახელი ვიდრემე მეფობისაჲ აქუნდა მას, ხოლო ძალი ფარისეველთა და რამეთუ ლტოლვილთა ესენი შთაიყვანებდეს, დაკრულთა განქსნიდეს და ყოველთურთ არარაჲთ განეყოფოდეს მეუფეთა.

ჰყოფდა ვიდრემე დედაკაციცა მოურნეობასა მეფობისასა და მრავალი სასყიდლით დადგინებული შეკრიბა და უმეტესად განაჩინა ძალი თესა. ვიდრელა შიშნულ ყვნა გარემომსნი მტერნი და მძევალნი მიიყვანნა მათგან. და დაწყნარებულ იყო ყოველი სოფელი გარეშე ფარისეველთა, რამეთუ ესე აღამფოთებდეს დედოფალსა, მარწმუნებელნი, რამთა მოაკუდინნეს აღექსანდრომს განმზრახნი მოსრვად რეასთა. ამისა შემდგომად მოაკუდინნეს მათ ერთი ამთგანი, დიოგენი და შემდგომად მისა სხუანი სხუათა ზედა, ვიდრემედის არა მიიწინეს სამეფოდ ძლიერნი და მათ თანა არისტოვეულოს, რომელსა

გონებულ იყო ქმნულთა ზედა მწუხარებად და საჩინო იყო ერთბამად, უკუეთუ მიზეზი მიიღოს, არა ბრძანებად დედისა. შეაჯსენებდეს; რაოდენნი წარკმართნეს ძვრხილულობათა შინა, რომელთა მიერ სიმტკიცე მათ შორის მყოფისა სარწმუნოებისა მებუფისა მიმართ აჩუენეს, რომელთა ნაცვლად მის მიერ დიდთა პატივთა ღირს იქმნნეს. და ევედრებოდეს ნუ ყოვლითურთ უკუქცევად მართლუქუნ სასოებათა მათთა, რამეთუ ლტოლვილნი მბრძოლთა ძვრხილუისაგან მტერთა მიერ სახლსა შინა სახედ ცხოვართა დაიჭრებიან, არცა ერთისა შურისგებისა ყოფსა. და თანად იტყოდეს, ვითარმედ უკუეთუ კმა-ეყვნეს მოკუდინებულნი შურისმგებელთა, მებუფეთა მიმართ საკუთრებასათვის უსუბუქესად მოვითმინნეთ შემთხუეულნი. ხოლო უკუეთუ კუალად ეგულების ამითი უგულბებელს-ყოფამ, ითხოვდეს უფრომსლა მიცემასა მათდა გარდაცვალებისასა, რამეთუ გარეშე მისისა არა რომელსა ღონიერ იქმნენ ცხოვრებასა, არამედ ტკბილად მიითუალონ მოკუდინებულთა წინაშე სამეფოთაჲსა, ვითარ არა შენდობილთა მათ მიერ. და თანად საყდემელ იყოს მათთვის და დედოფლისაჲ, უკუეთუ მის მიერ უგულბებელსქმნილნი ქმრისა მტერთა მიერ მოისრინენ\*, რამეთუ ნაცვლად ყოვლისა ახარონ არეტას არავსა და ადგილისმთავართა, უკუეთუ მოსრინენ ესეოდენნი მამაკაცინი რომელთა და სახელობითა საზარელ იყო პირველ სმენისა. ხოლო არა თუ ესრეთ, ესე მეორე იძუქენინ: „უკუეთუ თარსიეველთა პატივისცემამ თნავს დედოფალსა, და აწესენ თიფთუელი ჩუენგან სამცველთა შინა, რამეთუ აქა უკუეთუ ბედი რამელმე შემურვებულ არს ალექსანდროსს სახლისათვის, ჩუენ უნდოსა სახესა შინა ცხოვრება დაგვწესენ“.

3. ესევიტართა რამ მრავალთა მეტყუელებდეს იგინი და წყალობად მოკუდინებულთათვის და ძვრხილვად მგულბებელთა ალექსანდროსს სუედ ბედთა მომწოდებელ იყვნეს, ყოველნი გარემოდგომილნი ცრემლთა დამოღინებად აღძრნეს. და უფრომსლა არისტოვულოს განაცხადებდა გონებასა თვისსა, ვითარ მქონებელ იყო, მრავლად მყუედრებელი დედისაჲ. არამედ თვთ იგინი ექმნეს თავთა თვისთა მიზეზ განსაცდელთა, მთავრობისმოყუარებისათვის გარეგან ჭეროვნისა მეფობასა მიმცემელნი განცოფებულისა დედაკაციანი, ნათესავისათვის არა მყოფისა!\*. ხოლო იგი არა მეცნიერი, თუ რომელი იმოქმედოს ჭეროვანად, მცველობაჲ ადგილთაჲ არწმუნა მათ, ვრკანიამსაჲ და ალექსანდროსსაჲ და მაქერუნტაჲსაჲ, სადა ღირსნი მრავლისანი საკმარნი იყვნეს მისა. და შემდგომად არა მრავლისა ძე თვისი არისტოვულოსს შვედრობისა თანა წარავლინა დამასკოდ ბტოლემეოსს ზედა, მენნეოდ სახელდებულსა, რომელი მძნვარე მახლობელი იყო ქალაქისაჲ. არამედ ესე ვიდრემე, არა რომელსა ღირსსა მოსწარაფებისასა მოქმედი, უკუნ-იქცა.

4. ხოლო ამას ჟამსა შინა მიეთხრა ტიღრანის, სომეხთა მიფისაჲ, ორმოცდათსა ბეერსა თანა მკედართასა შემოსლვაჲ სვრიამსა ზედა და იუდეასაჲ ზედა გულეებაჲ მიწვენად. ამან სასმენელმან, ვითარ ჭერ-იყო, შეაშინა

\* ლახმეძმესეჲ 13<sup>114</sup> (=არაგად მღებულ იქნენ). \* ჟაჲმდ ზე ძამქჲ ომთჲ 13<sup>111</sup> (=რომელსაჲ ყადა ამ საქმისათვის, ე. ო. მეუბობისათვის შესაფერის ასაკში მყოფი ნათესავი. ზთარგმულს ვაუთვალისწინებთა FLVW ნუსხეზის ჩუენება, სადაც ზე ძამქჲ-ს ნაცვლად არის ზეჲჲ მჲ = „ნათესავისათვე“ არა მყოფისა“).

დედოფალიცა და ნათესავი ყოველი. ძღუენი უკუე მრავალნი და სიტყუსა ღირსნი წარაველინნეს მისა და მოხუცებულნი, ხოლო გარემოდგომილ იყო პტოლემეიდაჲსა. რამეთუ დედოფალმან მთოვარემან\*, კლეოპატრად სახელდებულმან, სკრიასა შინა მმთავრობმან<sup>1</sup>, მკვდრნი შეაყენნა პტოლემეიდასა შინა, რაჲთა არა უტეონ შესლვად ტიღრანის. და მივიდეს მისა მოხუცებულნი და ეზრახნეს მას და ევედრებოდეს კეთილთა ზრახვად დედოფლისათჲს და ნათესავისა. ხოლო მან, მიმთუალველმან შორით პატრვისა მათისმან, სასოებანი კეთილნი აღუთქუნა მათ.

ხოლო აწლა, გამოღებულ იქმნა რაჲ პტოლემეიდაჲ, ეუწყა ტიღრანის, ვითარმედ ლუკკელლოს, მდევნელი მითრიდატისი, მას ვიდრემე ვერ მიეზოხვა, ქართველთა მიმართ<sup>2</sup> ლტოლივლსა, ხოლო სომხითისა / განმგხუერელი აოჯრებს. ტიღრანისს, და ამათი მცნობელი, წარვიდა სახიდ თჳსად.

251

5. ხოლო შემდგომად ამისა, ვინაჲთვან დედოფალი სენსა ზოროტსა შთავარდა, სინდა არისტოვეულოსს კელთვდებაჲ საქმეთაჲ. და ღამით გამოსრული ერთისა მონისა თანა წარვიდა სამცველოთა ზედა, სადა მამისა მისისა მოყუარენი დაწესებულ იყვნეს. რამეთუ უწინარესცა მწუხარე მათ ზედა, რომელთა იქმოდა დედაჲ, ფრიად უფროჲსლა მოშიშ იყო, ნუსადა მოკუდეს რაჲ დედაჲ, ფარისეველთა მიმართ იქმნეს ყოველი ნათესავი მათი, რამეთუ ზედვიდა შეუძლებლობასა გულვებადისასა მიღებასა მთავრობისასა ძმისაგან. ხოლო ცოლმან მისმან მხოლოდ უწყოდა საქმე ესე, რომელი დაუტეეა მუნ ნათესავისა თჳსისა თანა.

და პირველად აღავად მიწვენული, სადა მორკინალი იყო ძლიერთაჲ<sup>3</sup>, შეწყნარებულ იქმნა მის მიერ.

ხოლო შემდგომად დღისა ერთისა აგრძნა დედოფალმან ლტოლვაჲ არისტოვეულოჲსი. და ეამად რაოდენმე ჰგონებდა არა განდგომილებით წარსლვასა მისსა, არამედ ვითარ მოიწინეს მიმთხრობელნი სხუანი სხუათა ზედა, ვითარმედ დაიპყრა პირველი სამცველოჲ და მეორე და ყოველნი ერთბამად, რამეთუ ერთმან რაჲ იწყო, ყოველნი მოსწრაფე იყვნეს განზრახვისა მისისა ქმნასა, მაშინ დიდთა შფოთთა შინა იყო თანად დედოფალი და ნათესავი ყოველი, რამეთუ უწყოდეს, ვითარმედ არა შორს არს ძალისაგან არისტოვეულოს<sup>1</sup>, მყოფი განძლიერებად მთავრობასა თავისა თჳსისათჳს. და უფროჲსლა შეშინებულ იყვნეს, ნუსადა პატრვი მიჰკადოს მათთჳს, რომელი თუსჯულონეს სახლსა მისსა ზედა, რომლისათჳსცა ცოლი მისი და ნათესავი ყოველი ზენა კერპო სამღდელოჲსა სამცველოჲსა შინა შეაყენნეს.

ხოლო არისტოვეულოჲსა მრავალნი შეკრებოდეს, რომელთა მიერ და შემეკობილებადცა მეფობრივი<sup>2</sup> იყო გარემოჲს მისისა. რამეთუ ათხუთმეტთა დღეთა შინა სოფელნი დაიპყრნა ოცდაორნი, ვინაჲ მიზეზთა მქონებელმან მკვდრობაჲ შეკრიბა ლივანოჲთ და ტრახონით და ადგილთმთავართაჲთ, რამე-

<sup>1</sup> არისტოველოდ A. 2 მეფრივი AQ.

\* βασιλισσα γὰρ Σελήνη 13<sub>420</sub> (ი) სელენე=მთავარი). <sup>1</sup> მმთავრობმან] დაწყნარებთ AQ. <sup>2</sup> ἀνεπίσημοι 13<sub>420</sub> (=რომიელი განაგებდა). რთ ზერანულ ნუსებში ამ ადგილას არს ἀνεπίσημοι (ტ. VII, გვ. 436). სწორედ ამ ნუსათა ჩვენებას წარმოადგენს ქართული თარგმანი. <sup>3</sup> ძლი დაჲს <sup>1</sup> ἰβη; 13<sub>421</sub> (იქ, პართლია, ქართველები ივლისხმებთან, რადგან საუბარია სომხეთის აოხრობაზე). <sup>2</sup> ჰაჲმ Πλασιον; იუ დაჲ ხსიანდჲ 13<sub>424</sub> (=სადაც იყო პალესტა, ერთ-ერთი ძლიერთაგან). საკუთარი სახელი გავებულია საზოგადო სახელად: τ ἄδλασιον;=მებძოლი, მოწინააღმდეგე).

თუ კაცნი, უბრაველესისა შედგომილნი, ადვილად დაემორჩილებოდეს და თანად ამასცა ჰგონებდეს, ვითარმედ უკუეთუ შეეწინენ მას მოულოდებელთა მიმართ და მძლე ექმნენ არა დამთხუვეით, მოინაყოფიერებდენ მეფობასა, ვითარ ესენი მიზეზქმნილნი დაპყრობასა მეფობისასა.

ხოლო უმოხუცებულესნი იუდეელთანი და კრკანოს შევიდეს დედოფლისა მიმართ და ევედრებოდეს მიცემად მათდა განზრახვასა მოწვეულთათჳს, რომელთა არისტოვულოს აწვე ყოველთა უფალ იქმნეს, ვინათგან ესოდენნი ადგილნი დაიპყრნა. ხოლო უჯერო არს ესე, დაღაცათუ ფრიად უძლურ არს, ვითარმცა სიცოცხლესა შინა მისსა თვთ იგინი ზრახვიდეს და რამეთუ არცა შორს არს მათგან ძვრხილულობაჲ. ხოლო მან უბრძანა მათ მოქმედებაჲ მისი, რომელსაცა ჯერონად ჰგონებდენ და მრავალნი მიზეზნი დაუთომილ არიან შაინი: ნათესავი ძლიერი და ძალი და საჭურჭლეთა შინა საკმარნი, რამეთუ მისა მცირედლა ზრუნვა არს საქმეთათჳს, / რამეთუ აწლა დამტევებელ არს სხეულსა.

6. ამათი მეტყუელი შემდგომად არა მრავლისა აღსრულდა, მმეფობი წელთა შინა ცხრათა, ხოლო ყოვლითურთ ცხორებული სამთა და სამეოცდაათთა. დედაკაცი, ვითარ უძლური, არარას მარგებელი ნათესავისაჲ, რამეთუ ფრიად მთავრობისმოყუარე ქმნულსა ემხილა საქმეთა მიერ მოქმედებაჲ განზრახვისა მისისაჲ და უგუნურებაჲ მის თანა მყოფთა მამაკაცთაჲ ძლიერებათა შინა, რამეთუ კელთაგანისა უმჯობესად მსჯელი გულვებადისასა და ყოველთა მეორედ დამდებელი სიმტკიცით მთავრობისასა, არცა კეთილისა, არცა მართლისათჳს ამთ ძლით მიიხილვიდა, რომლისათჳსცა ამას სახლსა უბედობისა საქმენი მოატყუნა, ვიდრედა რომელი მრავალთა ძვრხილულობათა მიერ და დაქირვებულთა მოიგეს ძლიერებაჲ გულისთქუმიითა, რომელნი არა ჯერ-იყვნეს დედაკაცისა, არა უკუანამსკენელ მრავალთა ჟამთაჲსა მიღებულ იქმნა და სიძულილით მქონებელთა ნათესავისა მიმართ მათისა იგივე განზრახვაჲ დაუტევა. ხოლო მთავრობაჲ ოკერ ქმნა ბირველთა მმთავრობათაგან და განსაცდელთა და შფოთთა მიერ აღავსო სამეფოჲ შემდგომად აღსრულებისაცა მათ ძლით, რომელთა ცოცხალი მოქალაქობდა. არა უკუე, არამედ და ესრეთ მმთავრობმან მშვლობით დაიცვა ნათესავი. ალექსანდრას<sup>1</sup> ძლითთა უკუე ესე აქუნდა დასასრული.

ფლავიოჲს იოსიპოსი, იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისაჲ, წიგნი მეათსამეტე.

<sup>1</sup> ალექსანდრო AQ.

მსენი არიან მბათოთხმეტისა შინა იოსიკოგმს მოთხრობათასა  
იუდაებრივისა ძუელსიტუაობისასა

1. ვითარმედ შემდგომად ალექსანდრანს სიკუდილისა უკბუქესი ყრმათა მისთაგან. არისტოველოს, ჰბრძოდა ვრკანოსს, ძმასა თვისსა, მეფობისათვის. და მძლეველმან მისმან შეაწყუდია იგი იეროსოლკმამსა სამცველოსა შინა. ხოლო უკუანაესკენელ, შეკრებულთა, საჯეს არისტოველოს ვიდრეშე მეფობაჲ, ხოლო ვრკანოვსი — საეროდ ცხობებაჲ.

2. ანტიპატროვსთს და ნათესავისა მისისა. და რომლითა სახითა კნინისა და დამთხუელისა მიზეზისაგან ბრწყინვალესა დიდებასა ყრმათა თვისთა თანა მიიწია და დიდსა ძალსა ზედა. და ვითარმედ ანტიპატროვს მიერ რწმუნებულნი ვრკანოს ლტოლვასა იეროსოლკმათაგან არეტას მიმართ. არაუთა მეფისა, მისრული, ევედრებოდა მას, რამათა შთაიყვანოს იგი მეფობისა მიმართ, ქუეყანასა მრავალსა და საკმართა მიცემად აღმოქუმელმან.

3. ვითარმედ არეტას, შემწყნარებელმან ვრკანოვსმან. განიშკედრა არისტოველოს ზედა. და მბრძოლმან და მძლეველმან ბრძოლასა შინა შეაწყუდია იგი იეროსოლკმათა შინა და, გარემოსდამადგინებელი მკედრობისაჲ, აოკრებდა ქალაქსა.

4. ვითარმედ სკავროს წარივლინა სომხეთით სურიად\*. და მივიდეს მისა მიმართ ვრკანოვს და არისტოველოს მიერ მოხუცებულნი, თანაშემწეობისათვის მედრებელნი.

5. და ვითარმედ სკავროს, ოთხასთა ტალანტთა მიერ განხრწნილი, არისტოველოსს შეესაკუთრა.

6. ვითარმედ ვრკანოს და არისტოველოს მეფობისათვის პომპიოვს ზე განიბჰნეს.

7. ვითარმედ პომპიოვს, დამასკოდ რაჲ მოვიდა სომხეთით, არისტოველოს და ვრკანოს მისა მიმართ მიიწინეს, სიტყუსმგებელნი ურთიერთას მეფობისათვის. 252

8. მიმოყვრებაჲ პომპიოვსი, რომელთათვის ისაჯებოდა, მეტყუელმან განხილვად, ვიდრემდის სოფელსა მათსა მიიწყოდეს. და ვითარმედ გულისკმისმყოფელი არისტოველოს, რომელსა გონებასა მქონებელ არს პომპიოვს, განეშორა იუდეად. ვითარმედ განრისხებული პომპიოვს განემკედრა მას ზედა, ხოლო არისტოველოს ალექსანდრიოდ სამცველოდ წარვიდა, რომელს ძლიერ იყო და ძნიად საბრძოლო.

9. და ვითარმედ პომპიოვს, გულისკმისმყოფელმან ამისმან და გონიერებისა მქუშეველმან, არწმუნა არისტოველოსს დატევებაჲ სამცველოსაჲ და მისა მიმართ შთამოსლვაჲ, რამეთუ დაუმტკიცოს მას შთავრობაჲ, რომელ-

\* სურიად|+Μδγνσθ Πομπηϊου ბ. VII. გვ. 718 (=პომპეი დღის მიერ).

თაცა მრწმუნებელსა და მრავალგზის სიტყვსმგებელსა ძმისა მიმართ თვისსა აიძულა კელითა მისითა მიწერაჲ მცველთა მიმართ და მიცემაჲ მისდა სამცველოთაჲ.

10. და ვითარმედ ამისი მოქმედი არისტოველოს შიშისა ძლით და შემდგომად ამისა განრისხებული, ვითარ არცა ერთსა მიმთხუეული, რომელთასა სასოებდა პომპიოზსგან, წარვიდა იეროსოლუმად.

11. ვითარმედ პომპიოსს მკედრობისა თანა შეუდგა უკუანა კერძო მისსა, ხოლო არისტოველოს შეინანა და მისრული ვიდრე იერიხუნტოდმდე მიეგება მას და შენდობისა მიმთხუევად მედრებელმან ნაცოდებთათვის, თანად ქალაქისა და საცმართა მიცემაჲ აღუთქუა. და პომპიოსს წარავლინა ღაინიოს რჩეულთა მკედართა თანა მიღებისათვის ქალაქისა და საცმართა. და ვითარმედ იეროსოლუმელთა, არისტოველოზს მხილველთა პყრობილად, დაუტუნეს ბჳენი რომთა.

12. ვითარმედ ამისთვის განრისხებულმან პომპიოსს არისტოველოს ვიდრემე შეკრა, ხოლო მიმყვანებელი ძალინაჲ აოჯრებდა ქალაქსა. და შეიწყნარეს იგი უკანოზს მოყუარეთა ზემო კერძო ქალაქისა, ხოლო არისტოველოზსნი ივლტოდეს ტაძრად.

13. ვითარმედ მიილო ძლიერებით სამღდელოჲ და ქუემოჲ ქალაქი პომპიოსს მესამესა თუესა შინა.

14. სახიერებისათვის მისისა და ღმრთისმსახურებისა, რამეთუ არცა ერთსა ტაძარსა შინა მყოფთა საცმართა შეეხო, რომელნი მრავლად იყვნეს მას შინა.

15. ვითარმედ ამითან მოქმედმან და იუდეასა ხარკთა ქუეშე დამაწესებელმან, უკანოს ვიდრემე ნათესავისა მთავრად განაჩინა. ხოლო არისტოველოს, შეკრული ნათესავისა თანა მისისა, რომს აღიყვანა და სკავროს სკრიაჲსა განმგებელად დაუტევა.

16. ვითარმედ სკავროს განემკედრა კლდესა ზედა\*, არავთა სამეფოდ მყოფს, და გარემოდგომილ იყო. ხოლო მკედარნი მისნი ვინაჲთგან ნაკულევიანებასა შინა იყვნეს, ანტიპატროს არწმუნა არავსა მიცემაჲ სკავროსათვის სამასთა ტალანტთაჲ და თანაშემწეობასა ქმნაჲ მისა მიმართ.

17. ვითარმედ ალექსანდროს, არისტოველოზს ყრმამან, ლტოლვილმან პომპიოზსგან და იუდეად მიწევუნულმან, მკედრობაჲ მრავალი შეკრიბა და ბრძოლაჲ განილო უკანოზს და ანტიპატროსს მიმართ.

18. ამისა შემდგომად, ღაინიოზს მიერ ძლეული ბრძოლასა შინა და შეწყუდეული ალექსანდროდ სამცველოდ, გარემოდგომილ იყო მბრძოლთაგან.

19. ვითარმედ არწმუნა დედამან ალექსანდროს/მან მიცემაჲ თავისა თვისისა და სამცველოზსაჲ. ხოლო ღაინიოს, მიმყვანებელმან, ალექსანდროს ვიდრემე განუტევა. ხოლო მიუწერა სუნკლიტობასა, რაჲთა ძმანი მისნი, რომელნი იყვნეს არისტოველოზს თანა, მამისა თვისისა, შეკრულნი, განუტევენ და წარავლინენ დედისა მიმართ მათისა, რამეთუ აუწყა სარწმუნოებაჲ მისი რომთა მიმართ და ვითარმედ ღირს არს ამას მადლსა მიმთხუეევად.

20. ვითარმედ შემდგომად ამათსა ლტოლვილი რომით არისტოველოს იუდეად, ტყუედ მიმყვანებელმან მისმან ღაინიოსს კუალად რომს უკუნაქცია.



21. კრასოასი, პართთა ზედა აღმკედრებულსაჲ, იუდეად აღსლვაჲ და წარტყუენვაჲ ტაძრისა შინათა საცმართაჲ.

22. ვითარმედ იულტოდა პომპიოს სვნკლიტობისა თანა.

23. ხოლო კესარ, განმვსნელი არისტოვულოასი, მნებებელ იყო წარკლინებასა მისსა ორთა განწესებულთა თანა იუდეად. არამედ უსწრევს პომპიოსს მოყუარეთა განხარწვნაჲ არისტოვულოასი წამლთა. და ვითარმედ სკიპიონ, მცნებულმან პომპიოსს მიერ, არისტოვულოას ძე აღუქსანდროს ცუღთა მოაკუდინა.

24. კესარისი ეგვპტესა ზედა აღმკედრებაჲ და ვითარმედ თანა-შეეწინეს მას ვრკანოს და ანტიპატროს და იუდელნი თანაშემწე თვსად ყვენს.

25. ანტიპატროასი, გულსმოდგინედ მღუწილისაჲ, ბრძოლასა შინა სიმკნე და ამისთვის შეყუარებაჲ კესარისა მიერ. და ვითარმედ კესარ, ძლევისა ზედა მოხარულმან, დიდად პატიე-სცა ვრკანოსს და მამულისა თვისისა ზღუდეთა აღმართებაჲ უბრძანა მას.

26. და ვითარმედ ანტიპატროსს იუდეასა განგებაჲ კელთ-უღვა.

27. კესარისა ეპისტოლენი და ბრძანებანი სვნკლიტობისანი იუდელთა სიყუარულისათუს.

28. ვითარმედ ანტიპატროს<sup>2</sup> ყრმათა თვსთა — იროდის ვიდრემე დაღუღეაჲსა განგებაჲ, ხოლო ფსაილოსს — იეროსოლვმათაჲ უბრძანა.

29. ვითარმედ სექსტოს კესარმან, მოქრთამებულმან იროდის მიერ, სვრიაჲსა შინა მთავრად მყოფისა, დიდ და დიდებულ-ყო იროდი და მთავრად ღელისა სვრიაჲსა განაჩინა.

30. ვითარმედ მოკუდა რაჲ კესარი, კასიოს. იუდეად აღსრულმან, ქუეყანასა ბოროტ-ყო და ტალანტინ რეაასნი მიიხუნა მათგან. და ვითარ იროდი, შეკრებისათუს საცმართაჲსა, ფრიად სთნდა კასიოსს.

31. ვითარმედ მალიხოს, ზედგანმზრახველმან ანტიპატროასმან, მოაკუდონა წამლითა, ხოლო მსახურად ამისა მიმართ იკუშია საცმართა მიცემითა მწდე ვრკანოასი.

ვითარმედ იროდი, ბრძანებთა კასიოასითა, მოაკუდინა ზაკუევით მალიხოსს.

32<sup>ა</sup>. ვითარმედ წარვიდა რაჲ კასიოს სვრიაჲთ და იროდი ფავიოას მიმართ განეშორა, ელიქს ფსაილოასა ზედა მკედრობაჲ შეკრიბა. და ვითარმედ ძლეული, ელიქს გოდლისა რომლისამე მიმართ მიივლტოდა, ხოლო ფსაილოას, ზავთა მოქმედი, განუტევა.

ვითარმედ ანტილონოსს, არისტოვულოას ძესა, ტვრელთა მძლავრისა, მარიონოას მიერ შეწევნულსა, იროდი, მიგებებულმან, სძლო და იუდეასგან განდევნა.

ვითარმედ შემდგომად ძლეულებისა კასიოასა მაკედონიას შინა ახლისა კესარისა და ანტონიოსს მიერ, იროდი ვკთინიად მოწევნულსა მრავალთა საცმართა მიერ მოამშვდა ანტონიოსს და ამისთვის შესმენად მისი მნებებელნი არა შეიწყნარანა ანტონიოსს. და ვითარმედ მიუწერა იუდელთათუს ტვრელთა.

ვითარმედ კუალად სვრიად რაჲ მიიწია ანტონიოსი! და შესამენდეს ვითინომე იროდის და ფსაილოასს, არა მხოლოდ არა ისმინა მათი, არამედ და

1 კესა A. 2 ანტიპატროს AQ.

\* ეს პუნქტი ასეთ ვრცელი სახით არის ბერძნული დედნის FL წესებში.

ოთამთავრადცა დაადგინნა ივინი. ხოლო შემასმენელთაგან ათნი რიცხვთ შოკუდინნა.

33. აღმკვდრებდა პართთა სვრასა ზედა, რომელსა შინა არისტოველ-ლოს ძე ანტილონოს მეფობისა მიმართ შთაიყვანეს.

34. ვითარმედ ვრკანოს და ფსაილოს, მკვდრებელნი პართთანი, შეპყრობილ იქმნნეს მათ მიერ, შესრულნი.

35\*. ხოლო იროდი, ისწავა რაჲ შეპყრობაჲ მათი, იელტოდა.

ვითარმედ შემდგომად იროდის ლტოლვისა წარტყუენეს პართთა ქალაქი იეროსოლუჲმთაჲ და სამეფოჲ, ხოლო ვრკანოს და ფსაილოს მისცნეს შეკრულნი ანტილონოსს.

და ვითარმედ ამას თანა ვრკანოს ვიდრემე ყურდაკუეთილ იქმნა ანტილონოსს მიერ, რაჲთა არა მიიღოს კუალად მღღელობაჲ, ხოლო ფსაილოს, შოკუდინებად გულეებადმან, მოიკლა თავი თვისი, რაჲთა არა მტერთა მიერ მოიკუდინოს.

ვითარმედ იროდი, განლტოლვილი პართთაგან, მივიდა მალხოას მიმართ, არავთა მეფისა და ვინაჲთგან არა შეწყნარებულ იქმნა მის მიერ ეგვიპტია წარსრული, რომთა მიმართ მივიდა.

ვითარმედ იროდი ანტონიოსს შეწევინთა მეფედ იუდეასა იწოდა და კესარმან დ სკლიტობამან რომთამან ესე დაამტკიცა.

36. აღტურვებაჲ იროდისი შემდგომად ამათსა რომით იუდეად და ბროლაჲ ანტილონოსს მიმართ. ხოლო შეუდგებოდა მას მკვდრობაჲ რომაული და მთავარი სილონ.

37. ვითარმედ სილონ და სოსისოს რომაულთა მკვდრობათა თანა წარიღეს ქალაქი და დაიპყრეს, ხოლო ანტილონოსს განიხრწნა და იროდი დამპყრობელ იქმნა მეფობისა.

შოქუს წიგნსა ეჲმი წელთა ოცდაათ ორთაჲ.

ფლავიოს იოსიპოსი, იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისაჲ, წიგნი მეთათხმეტე.

## შ. 1

11\*. ვინაჲთგან აღექსანდრაჲს დედოფლისა ძლითნი და სიკუდილი მისი უწინარეს ამისსა წიგნსა ჩუენსა შინა ცხად-ვეყვით, შემდგომნი მათნი და მანკობელნი აწ ვთქუნეთ, არა რომლისა სხვსა მოურნეთა, გარნათუ არა რომელსა დატეგებად საქმეთაგან გინა უმეტერებისათვის, გინა დაშრომისათვის ესენებასა შინა, რამეთუ მოთხრობასა და მოკსენებასა უცნაურთა საქმეთასა მრავალთაგან სიძუელისათვის ჩუენ მომთხრობელ ვართ და აღთქუმისა შეუნიერებასა, რაოდენ შესაძლებელ. ესე იგი არს სახელთაგან და შეწყობილებასა მათისა. ამით თანა რაოდენი შეეწევის სიტყუასა სამკაულად ქონებაჲ წარმკუთხველთათვის, რაჲთა მადლისა რომლისაჲმე თანა და სიტკბოებისა გამოცდილებით მეცნიერებასაცა მიმღებელ იქმნენ. ხოლო უფროჲს ყოველთაჲსა უკმს აღმწერელთა მეცნიერებაჲ კეშმარტისაჲ და ამას კეშმარტისა მეტყუე-

\* ეს პუნქტი ასეთი ვრცელი სახით არის ბერძნული დედნის L ნუსხაში. 1\* მე-14 და მე-15 წიგნებში იოსებ ფლავიოსისთვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ნიკოლოზ დამასკელის „უნივერსალური ისტორია“.

ლებად მათდა მიმართ, რომელთა ეგულების რწმუნებად მათი, რომელნი არა უწყნიან მათ.

2. მიიღო რად უკუე მღღელთმთავრობად ვრკანოს შესამესა წელსა მეშუ-  
დისა და სამეოცდამეათისა ას/თა თანა ოღეშპიადისათა კპატობასა რომთა  
ზედა კვინტომს ორპისიომასასა და კვინტომს მეტელლომასასა, რომელი კრ-  
ტელადცა იწოდებოდა, მეუყუსეულად ბრძოლად განიღო მისა მიმართ არას-  
ტრეულოს. და ბრძოლად რად იქმნა იერიხუნტოსა თანა, მრავალნი მკედართა  
მისთაგან ძმისა მიმართ მისისა მიივლტოდეს. რომელი ესე იქმნა რად, მიივლ-  
ტოდა ზენა ქალაქისა სამეცელომასა მიმართ ვრკანოს, სადა იცეებოდა ცოლი  
არისტოველომისი და ყრმანი მისნი დედისა თანა მათისა, ვითარ და წინაწარცა  
ვთქუთ. და დაიპყრნა მკლომნი, მილტოლვილნი ტაძრისა ეზოსა შინა. ხოლო  
პიახლებულმან და სიტყუამყოფელმან ძმისა მიმართ თვისისა დაგებისათჳს,  
დაქსნა ვიდრემე მტერობად, რადათა მეფობდეს არისტოველოს, ხოლო იგი  
ცოცხლებდეს უზრუნველად, მომნაყოფიერებელი და ფეშოვით მონაგებისა მი-  
სისაჲ. ამათნი ტაძარსა შინა აღმთქუმენი და ვიცნა მიერ დასარწმუნე-  
ბელთა დამამტკიცებელნი აღთქუმათანი<sup>1</sup> და დამაცხრობელნი ურთიერთასა  
სახედველად ყოველსა სიმრავლისა, განეშორნეს: ერთი ვიდრემე სამეფოთა  
მიმართ, ხოლო ვრკანოს, ვითარ მდაბიური — სახლადმი არისტოველომასა.

3. ხოლო მოყუარე ვინმე ვრკანომისი იღუმელი, ანტიპატროდ სახელდე-  
ბული, მრავალთა საქმართა ღონიერი, გონიერი ბუნებით მსოფლიოთა საქმე-  
თა შინა და მეშფოთე, მტერობასა მქონებელ იყო არისტოველომს მიმართ  
ვრკანომს მიმართ სიყუარულისათჳს. ნიკოლამ ვიდრემე დამასკინელი იტყუს  
ყოფასა ამისსა პირველთა იუდელთაგან, რომელნი აღმოვიდეს ვაკელონით  
იუდეად. ხოლო ამათ იტყუს მომმადლებელი იროდი, ყრმისა მისისაჲ, რო-  
მელი იქმნა მეფე იუდელთაჲ ბედისა რომლისამე მიერ, რომლისათჳს ეამსა  
თვისსა წარმოვაჩინოთ.

ესე უკუე ანტიპატროს ანტიპად იწოდებოდა, პირველ და შამისაცა მისი-  
სა ესევე იყო სახელი, რომელიცა აღექსანდროს მეფემან და ცოლმან მისმან  
მკედართმთავრად განაჩინეს ყოვლისა იღუმეასა, რომლისასა იტყვან, ვითარ-  
მედ სიყუარული ქმნა მახლობელთა მისთა არავთა მიმართ და ღაზელთა და  
ასკალონიტელთა მრავალთა და დიდთა ნიჭთა მიერ შემსაკუთრებულმან მათ-  
მან.

არისტოველომს უკუე ძლიერებასა უქაბუქესმან ანტიპატროს მხილველ-  
მან და შეშინებულმან, ნუსადა ევროს რადმე მისა მიმართისა სიძულილისათჳს,  
აღძრა მის ზედა, ფარულად მზრახველმან უძლიერესთა იუდელთა მიმართ,  
მეტყუელმან, ვითარმედ უსამართლო არს უგულებელს-ყოფად ესრეთ უქე-  
როდ არისტოველომს მიერ ქონებულისა მთავრობისაჲ და ამისგან განვდებად/  
ძმისაჲ, რომელი უმოხუცებულეს არს და მის მიერ ქონებად მთავრობისაჲ, 254  
რომელი ვრკანომასაჲ არს მოხუცებულისათჳს. ამათ სიტყუათა მრავალგზის  
იტყოდა ვრკანომს მიმართ და ვითარმედ იმ(რლ)ვიოს ცხორებისაგან, უკუე-  
თუ არა განეკრძალოს და შორს-ყოს თავი თვისი, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ  
არისტოველომს მოყუარენი არცა ერთსა ეამსა უტევებენ, განმზრახებელნი

<sup>1</sup> აღთქმათანი AQ.

მოკუდინებასა მისსა, რაათა მტკიცედ აქუნდეს მთავრობაჲ. ამათ სიტყუათა ურწმუნობედეს ვრკანოს, ბუნებით<sup>1</sup> მყოფი სახიერად და შესმენასა არა შემწყნარებელი სიმშვილისათეს აღვილად. ხოლო უზრუნველობისა მისისათეს და დაქსნილობისათეს გონებისა საგონებელ იყო იგი მხილველთა მიერ უმკნოდ და უშამაკაცოდ. ხოლო არისტოვეულოს წინააღმდეგომისა ბუნებისაჲ იყო: შასკლი და მკნე<sup>2</sup> გონებითა.

4. ვინაჲთგან უკუე ანტიპატროს ხედვიდა ვრკანოსს არა მსმენელად სიტყუათა მისთა, არა დაცხრებოდა თითოეულსა<sup>3</sup> დღესა, აღმწმასნელი და შემასმენელი მისა მიმართ არისტოვეულომისი, ვითარმედ ეგულებს მოკუდინებაჲ მისი. და ძნიადლა სადმე არწმუნა მას, განმაზრახებელმან არეტაჲს მიმართ, მეფისა არავთამასა, სივლტოლჲა, რამეთუ, რწმუნებულსა, თუთ იგიცა შემწყობასა აღუთქუმიდა. ამათი უკუე მსმენელი იტყოდა: „უმჯობეს არს არეტაჲს მიმართ წარლტოლჲაჲ. ხოლო არს ესე არავთაჲ მახლობელი იუდეაჲსაჲ“. და პირველად უკუე წარავლინა ვრკანოს არავთა მეფისა მიმართ ანტიპატროს მიღებად სიმტკიცეთა, რაათა არა განსცეს იგი მტერთა, მვედრებელ მისა ქმნული. ხოლო ანტიპატროს, მიმღებელი სიმტკიცეთაჲ, უკუნ-იქცა ვრკანოსს მიმართ იეროსოლჲკმად. და შემდგომად არა მრავლისა, მიმყვანებელი მისი და ქალაქისაგან განმყვანებელი მისი ღამით და მრავალსა გზასა სრულმოყოფელი, მივიდა პეტრად სახელდებულსა, სადა სამეფონი იყვნეს არეტაჲსნი და უფრომსლა მოყუარედ მყოფი მეფისაჲ შთაყვანებასა ვრკანოჲსსა იუდეად ევედრებოდა. და ამას თითოეულსა დღესა შინა მოქმედმან და არა დამტყვევებელმან, არამედ და ნიჲთაჲა წინამყოფელმან, არწმუნა არეტას. არა უკუე, არამედ და ვრკანოსცა აღუთქუმიდა მას, შთაყვანებული და მეფობასა მიმღებელი, მიცემასა სოფლისასა და ათორთმეტთა ქალაქთასა, რომელნი აღუქსანდროს, მამამან, მისმან, არავთაგან მიიხუნა. ხოლო იყვნეს ესენი: მიდეაჲ, ნაფილოჲ, ლივიას, ვარვათა, ადალლა, ათონი, სოარა, ორონ, ღიღმონ, რკლდა, ლუსა, ორკვა.

## თ. 2

1. ესე აღთქუმანი რაჲ მიეცნეს<sup>4</sup> მას, განმკედრაჲ არეტაჲ: არისტოვეულოჲს ზედა ხუთთა ბევრთა თანა ცხენოსანთა და თანად ქუეითთა მკედართა და სძლო ბრძოლასა შინა. ხოლო ვინაჲთგან შემდგომად ძლევისა წარვიდეს მრავალნი ვრკანოჲს მიმართ, განმარტებული არისტოვეულოს ივლტოდა იეროსოლჲკმად. ხოლო არავთა მეფე, მიმყვანე/ბელი ყოვლისა მკედრობისაჲ და მბრძოლი ტაძრისაჲ, გარე-მოადგა არისტოვეულოსს და სიმრავლე ერისაჲცა შეუდგა ვრკანოსს და თანა-შეეწოდეს მას, ხოლო მღდელნი მხოლოდ დაადგარეს არისტოვეულოჲსთა. არეტაჲს ვიდრემე უკუე შემდგომად ამისსა გარე-შოჲს დაჰადგინებელი არავთა მკედრებისაჲ და იუდელთაჲ, ძლიერად მდებარე იყო ოკრებისა მიმართ. ხოლო ესე რაჲ იქმნებოდეს ჟამსა უფუვართა<sup>5</sup> დღესასწაულისასა, რომელსა ფასკად უწოდთ, ურჩეულესნი იუდელთანი, დამტყვებელნი ქუეყანისანი, ივლტოდეს ეკვპტედ.

1 ბნთი A. 2 მკნე A. 3 თითოეულსა A. 4 მიეცნეს A. 5 უფუვართა A.

ხოლო ონიას ვინმე სახელით, მამაკაცმან მართალმან და ღმრთისმოყუარემან, ოდესმე უწვმროებისა ყოფასა ილოცა ღმრთისა მიმართ დაქსნაჲ გუალვისაჲ და მსმენელმან მისმან ღმერთმან აწჳმა, დაფარა უკუე თავიცა თსი, რამეთუ ხედვიდა კლდემასა ძლიერსა. ხოლო აღსრულსა მკედრობისა მიმართ იუდეულთაჲსა ევედრებოდეს, რაჲთა ვითარ დააცხრო უწვმროებაჲ მლოცველმან, ესრეთვე ლოცვანი დასხნეს არისტოვეულოჲს და მკედართა მისთათჳს. ხოლო ვინაჲთგან წინააღმდგომად მეტყუელებდა და იჴმნიდა, იძუელა სიმრავლისა მიერ და დადგრომილმან შორის მათსა თქუა: „ოჲ ღმერთო, მეფეო ყოველთაო! ვინაჲთგან აწ ჩემ თანა მდგომარენი ერი შენი არს და ოკრებასა შინა მყოფნი — მღდელნიცა შენნი, გვედრები, ნუცა ამათჳს მათსა შეისმენ, ნუცა მათჳს, რომელთა ესენი გვედრებიან, დასასრულად მიიღებ“. და ესე ვიდრემე, ამათი მლოცველი, გარემოდგომილთა უბოროტესთა იუდეულთა დააქეავეს.

2. ხოლო ღმერთმან ამის უტბილობისათჳს მეყუსეულად საჯნა იგინი და პატიჲი მიჰკადა და ონიასჲ მოკუდინებისაჲ ესრეთ სახედ: გარემოდგომილი იყვნეს რაჲ არისტოვეულოჲსთჳს და მღდელთათჳს, შეემთხვა მოწვენაჲ დღესასწაულსა, ფასაკად წოდებულსა\*, რომელსა შინა წეს არს ჩუენდა მრავალთა მსხუერპლჳჲა ღმრთისათჳს. და ულონონი მსხუერპლთაგან არისტოვეულოჲსთანი ევედრებოდეს თანმონათესვეთა, რაჲთა ნაცვლად მსხუერპლთაჲსა მიჰლებელნი საკმართანი მიმნიჴებელ ექმნენ მათ სამსხუერპლოთა, რაოდენთაჲცა მნებებელ იყვნენ. ხოლო მათ უბრძანეს, უკუეთუ მნებებელ არიან, რაჲთა მისცნენ ბეგრ ათასნი ღრახმანი თითოეულისა თავისათჳს. ხოლო არისტოვეულოჲს და მღდელთა გულსმოდგინედ მოითმინეს ესე და ზღუდით შთამტევებელთა მისცნეს მათ საკმარნი. ხოლო მათ, მიმღებელთა, არა მისცნეს მათ მსხუერპლნი, არამედ ამას სიბოროტესა ზედა მიიწინეს, ვიდრელა გარდაჰკედესცა ფიცთა და უსჯულოება ყვეს ღმრთისა მიმართ, მსხუერპლსა არა მიმნიჴებელთა მოქენათჳს. და მღდელთა უკუე, ცრუებულთა, ილოცეს ღმრთისა მიმართ მსჯავრსა მიგებაჲ თანმონათესვეთაჲ. ხოლო მან არა დააყოვნა შურისგებაჲ, არამედ ქარსა ძლიერსა და მძენვარესა მომავლენელმან ნაყოფი ყოველისა ქუეყანისა მათისაჲ განზარწნა, ვიდრელა მოდსა ერთსა იფქლისასა მრთიყიდდენ იგინი ღრახ/მათა მიერ ათერთმეტთა.

255

3. ამას შინა წარივილინა სკაეროს სკრიად პომპიოჲს მიერ<sup>ბ</sup>, ხოლო თჳთ მყოფ იყო სომხეთს შინა, მერმეცა მბრძოლი ტიღრანისი. ესე უკუე, მიწვენილი დამასკოდ და ლოლიოჲსი ვიდრემე და მეტელლოჲსი ახლად ქალაქისა დამპყრობელად მპოენელი, თჳთ იუდეად მოსწრაფე იყო. ხოლო მიიწია რაჲ, მოხუცებულნი მვიდდეს მისა მიმართ არისტოვეულოჲსგან და კრკანოჲსგან და ევედრებოდეს შეწვენად მრჩობლნივე, უკუეთუ მნებებელ იყოს. და არისტოვეულოჲს ვიდრემე აღუთქუმიდა ოთხასთა ტალანტთა მიცემასა, ხოლო კრკანოს არა უმციირეს ამათსა მინიჴებასა. ხოლო მან მიითუალა არისტოვეულოჲს აღთქუმაჲ და რამეთუ ღონიერ საკმართა და დიდსულ იყო და უმციირესისა მიღებასა აღირსებდა, ხოლო კრკანოს გლახაკ იყო და ძკრი და უდიდეს-

\* \* \* \* \*  
 \* \* \* \* \*  
 \* \* \* \* \*

ბ \* \* \* \* \*

ლათს ურწუნოსა აღთქუმასა აღუთქუმიდა<sup>1</sup>, რამეთუ არა მსგავს იყო იმუ-  
ლებით მიღებაჲ ქალაქისაჲ, ფრიად მტკიცისა და ძლიერისაჲ, ვიდრე ლტოლ-  
ვილთა განსხმად ნავატელთა სიმრავლისა თანა, რომელი არა კეთილად მდებ-  
ბარე არს ბრძოლისა მიმართ.

არისტოველოას უკუე, შემწეკმნილმან პირველთქუმულთა მიზეზთათეს  
და მიმღებელმან საქმართამან, დაჰქსნა ოკრებაჲ. ხოლო არეტასს უბრძანა  
წარსლვად, ანუ მბრძოლად რომთა ჩუენებაჲ თავისა თვისისაჲ. და სკავროს  
ვიდრემე კუალად დამასკოდ წარვიდა. ხოლო არისტოველოს მრავლისა ძა-  
ლისა თანა არეტასს ზედა და ვრკანოსს განემგედრა და განწყობილმან მათთვის  
პაპკრონად წოდებულსა თანა სძლო ბრძოლასა შინა და მოაკუდინნა ექუს  
ათასნი მბრძოლთაგან, რომელთა თანა დაცა კეფალიონ, ძმად ანტიპატროს-  
სი.

### თ. 3

i. ხოლო შემდგომად არა მრავლისა, დამასკოდ რად მიიწია პომპიოს  
და მოჰვიდა ღელესა სკრიამსასა, მივიდეს მისსა მიმართ მოხუცებულნი  
ყოვლისა სკრიამსა და ეგვპტისაგან და იუდეასა, რამეთუ წარუვლინა მას  
ძღუენი დიდი არისტოველოს — ვენაქი ოქროსაჲ ხუთასთა ტალანტთაჲ.  
ხოლო მოიქსენებს ამას ძღუენსა სტრავეონცა კაპადუკელი, მეტყუელი ეს-  
რეთ: „ხოლო მოვიდა ეგვპტიტთა ვედრებაჲ და გვრგვნი ოქროთაგან ოთხას-  
თა, იუდეათ ვენათუ ვენაქი, გინათუ მტილი, სახარულევანად უწოდდეს მოქ-  
მედებულსა“.

ესე ვიდრემე უკუე ძღუენი ვიხილეთ ჩუენცა, მდებარე რომს შინა, ტა-  
ძარსა შინა დიოას კაპიტოლიოასსა, ზედწარწერილსა მქონებელი: „ალექსანდ-  
როას, იუდეელთა მეფისაჲ“. ხოლო დაიფასა ხუთასად ტალანტად. არისტო-  
ველოას ვედრემე, იუდეელთა მძლისასა, ამას იტყვან წარვლინებად.

2. ხოლო შემდგომად არა მრავლისა მივიდეს კუალად პომპიოას მიმართ  
მოხუცებულნი, ანტიპატროს ვიდრემე ვრკანოასთვის, ხოლო ნიკოდიმოს —  
არი/სტოველოასთვის, რომელიცა შესამენდა მიმღებელთა საქმართასა ლავი-  
ნიოსს ვიდრემე პირველად, ხოლო სკავროსს — მეორედ, ერთსა ვიდრემე  
სამასთა, ხოლო სხუასა — ოთხასთა ტალანტთა მიმღებელსა, სხუათა თანა  
და ამათა მტერად მოქმედი თვისი.

ხოლო პომპიოსს ბრძანა მოსლვად ურთიერთას მკდომთაჲ წარმოდგომა-  
სა ეარისასა. და თვთ მიმყვანებელი ძალისაჲ საზამთროთაგან წარემართა და-  
ბასკოსა ზედა. და სამცველოჲ, რომელი იყო აპამიას შინა, თანაწარმავალმან  
დაამქუა, რომელი კვზიკელმან ანტიოხოს შეზლუდა. და პტოლემეოას მენ-  
ნიოას ქუეყანად განიხილა, მამაკაიცისა ბოროტისაჲ და არარაჲთ უდარესისაჲ  
დონჯსიოას ტრიპოლელისაგან, მოკუდინებულისაჲ წერაქუთა, რომელი დამ-  
მარხველი იყო მისა. და ათასთა<sup>2</sup> ვიდრემე ტალანტთა მიერ მომსყიდელი ნა-  
ცადვეზთა სასჯელისა, რომელთა მიერ პომპიოსს სტრატიოტნი სასყიდლით  
დაღვინებულ ყვნა. მიიღო უკუე ლესიადამცა სოფელი, რომლისა მძლავრი

<sup>1</sup> აღეზოდა A. <sup>2</sup> ათასთა] ექუს ათასთა AQ, Ζηλιος μέντοι εκαθνευεις 14<sub>30</sub> (=1000).

იყო სილას იუდელი. ხოლო განმავალი შორის ქალაქთა — მზის ქალაქსა და ხალკიდასა და ზესთადრული მთასა, რომელი განჰყოფდა ღელედ სურიაჲსად სახელდებულსა, პელლითგან დამსკოდ მიიწია, სადა ესმინნა სიტყუანი იუდელთანი და მთავართა მათთანი, რომელნიცა ურთიერთას უწყდებოდეს, კრკანოს და არისტოვეულოს და ნათესავი კუალად ურთიერთას, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ არა ჯერ-არს მეფობაჲ მათ ზედა, რამეთუ მამულ არს მათ მიერ პარტიკემულისა ღმრთისა მღდელთა მორჩილებად, ხოლო ესენი შვილ მღდელთა არიან და სხვსა მთავრობისა მიმართ ეძუებენ გარდაღებასა მთავრობისასა, რაჲთა მონა იქმნეს ნათესავი. ხოლო კრკანოს შეასმენდა, ვითარმედ უმობუცებულესად მყოფი მიღებულ იქმნა პირმწიებასა არისტოვეულოსგან და მიერედი კერძოჲ ქუეყანისაჲ აქუს მის ქუეშე. ხოლო სხუასა იძულებით მიმღებელ არს არისტოვეულოს და წარტყუენგასა მახლობელთასა და ავაზაკობასა ზღუასა შინა ესე მოქმედ არს. და იტყოდა. ვითარმედ არცა ნათესავი განადგებოდა, უკუეთუმცა არა მძლავრი და მეფერთე იყო. ხოლო უვაქილებდეს მას, ამათსა მეტყუელსა, უმრავლესნი ათსთასა ურჩეულესნი იუდელთანი ანტიპატროს განზრახვითა. ხოლო იგი იტყოდა კრკანოსსა ვიდრემე განერღომასა მთავრობისაგან ბუნებისათჳს მისისა, უსაქმოდ მყოფისა და ამისთვის ადვილად შეურაცხქმნილისა. ხოლო თავისა თვისათჳს იტყოდა, ვითარმედ შიშითა, რაჲთა სხუათა მიმართ გარდავიდეს მთავრობაჲ, იძულებით მიიღო იგი და იწოდა იგი მეფედ<sup>1</sup>, ვითარ და აღექსანდროსცა, მამაჲ მისი. და ამათ-და მოწამედ მოუწოდდა უქაბუცესთა და ულაღესთა, რომელთა და პორფერანიცა ეძაგებოდეს და თმანი და ლაგამნი და სხუაჲ სამკაული, რომელნი არა ვითარ სასჯელსა / მიმცემელნი, არამედ ვითარ დღესასწაულად მიმავალნი მივიდეს.

256

3. ხოლო პომპიოს, ამათმან მსმენელმან და ბრალეულმყოფელმან არისტოვეულოს მძლავრებისამან, მაშინ ვიდრემე წარავლინა სიმშვიდით, მზრახველმან მისმან და ვითარმედ მისრულმან ქუეყანასა მათსა განაწესნეს თითოეულნი კეთილად, უკუნქეულმან, რაჲამს ნავატელთანი იხილნეს პირველად. გარნა უბრძანა, რაჲთა სიმშვიდით იქცეოდის, მხიარულმყოფელმან არისტოვეულოსმან, ნუსადა ქუეყანაჲ განადგინოს და დაეყნოს გზათაგან. ხოლო შემთხუეულ იქმნა<sup>2</sup> არისტოვეულოსგან ამისი ქმნაჲ, რამეთუ არა მსმენელი არცა ერთისაჲ, რომელნი თქუნა მისა მიმართ პომპიოს, დილიოდ ქალაქად მიიწია და მიერ იუდეად აღვიდა.

4. განარისხნების უკუე ამათ ზედა პომპიოს და მიმყვანებელი მკედრობისაჲ, რომელი იყო ნავატელთა ზედა და თანად დამსკოჲთ და სხვსა სურიაჲსაგან შემწეთა მომწოდებელი, მის თანა მყოფთა მკედრობათა თანა რომოასა განემკედრა არისტოვეულოსს ზედა. ხოლო ვითარ წარვლო პელლაჲ და სკეთოპოლი და კორეად მიიწია, რომელი არს დასაწყისი იუდეასაჲ, შუენიერი საშუევალ ქუეყანისა, აჲა შუენიერსა რასმე სამცველოსა შინა მწუერვალსა ზედა წითისასა დამტკიცებულსა და აღექსანდრიოდ სახელდებულსა არისტოვეულოს მელტოლივლ იყო. და წარმავლენელმან პომპიოსს უბრძანა მისა მიმართ მისლვაჲ. ხოლო ვინაჲთგან მრავალნი განაზრახებდეს არა ბრძოლად რომათა

1 მეფელა A. 2 შემთხუეუ იქნა A.

მიმართ, შთავიდა, სიტყვსმგებელი ძმისა მიმართ მეფობისათვის და კულად სამცველოდ ვიდრე აღვიდა პომპიიოსს შენდობითა. და ესე ყო ორგზის და სამგზის, ერთბაშად ვიდრე მლიქნელი სასოებისა მის მიერისა მეფობისათვის და თითოეულისა მიმართ, რომელსაცა უბრძანებდის პომპიიოსს, მორჩილებასა მჩემებელი. და თანად წარვიდა სამცველოთა მიმართ არა მომედგრებისა ძლით თავისა თვისისა და ბრძოლისა მიმართ მიზეზსა შემზადებელისა მბრძოლსა, რამეთუ მოშიშ იყო, ნუსადა და კრკანოსს მიეცეს შთავრობაჲ. ხოლო ვინაჲთგან უბრძანებდა მას პომპიიოსს მიცემასა სამცველოთასა და მცველთმთავართა ნიშნით მიწერასა თვისითა კელითა, ვინაჲთგან სხუებრ არა მნებებელ იყო შითუალვასა, ირწმუნა ვიდრემე, არამედ მწუხარეკმნული წარვიდა იეროსოლკმად და ბრძოლისა მიმართ განემზადებოდა. და შემდგომად არა მრავლისა, მიიყვანებდა რაჲ მკედრობასა თვისსა მას ზედა პომპიიოსს, გზასა ზედა მრწევნულთა ვიეთმე პონტოთ მითრიდატის აღსასრული მიუთხრეს თანაკოვს მკო, ყრმისა მისისა.

(1). 4

1. ხოლო დაიბანაჲ იერიხუნტოსა თანა, სათა ფცნიკთა ზრდაჲ შეემთხუევის და სადა სძე ვალსა/მოა, უმწუერვალესი მკპრონთაჲ, რომელსა ქვითა რაჲ მახვლითა მოეკუთებოდითან ეკალინი, გამოედინებნის მას ვითარ სძე. ხოლო განაოიად იეროსოლკმათა ზედა მივიდოდა. და შემნანებელი არისტოველოსს მიიწია პომპიიოსს მიმართ და საკმართა მიტემელი და იეროსოლკმათა შინა შემწყნარებელი მისი ეკედრებოდა დაცხრომასა ბრძოლისაგან და მშვლობით კმნასა, რომელსა რას მნებებელ იყოს. ხოლო შემნდობელმან მისთვის პომპიიოსს მკედრებელისამან, წარავლინა ღავინიოსს და მკედარნი საკმართა მიმართ და ქალაქისა, გარნა არა რომელი ამათგანი იქმნა, არამედ აღმოვიდა ღავინოსს არა ტრეებული შესღვად ქალაქად და არცა საკმართა მიმღებელი, რამეთუ განაზრახეს არისტოველოსს მკედართა მისთა და არა კმნაჲ აღტქმულთაჲ რისხვად უკუე ამათვს იყრობს პომპიიოსს და საპყრობილესა შინა დამადგინებელი არისტოველოვსი თვთ ქალაქსა ზედა მიიწია, სხუათა ყოველთა შინა მტკიცესა, გარნა მხოლოდ ვორიოთ კერძოსა ბოროტად მკონებელსა<sup>1</sup>, რამეთუ გარემოვს მისსა არს კვევი ვრცელი და ღრმაჲ, საშუვალ დამპყრობელი ტაძრისაჲ, ზღუდითა ქვისაჲთა ფრიად ძლიერად შეზღუდული.

2. ხოლო შინაგან მყოფნი კაცინი უკდებოდეს ურთიერთას და არა ერთგონება იყენეს მოწვენულთა ზედა, არამედ რომელთაჲმე სათნო-უჩნდა მიცემად ქალაქისაჲ პომპიიოსსთვის, ხოლო არისტოველოვსთა განმგონენი დაკშვასა და ბრძოლასა განაზრახებდეს და ამას თანა შეკრულად-ყოფასა არისტოველოვსსა. და ამთ უკუე მიწვენულთა დამპყრეს ტაძარი და კიდი, რომელ განმარტებულ იყო ტაძრით ქალაქისა მიმართ, განკუთვეს და ბრძოლისა მიმართ განემზადებოდეს. ხოლო სხუათა, შემწყნარებელთა მკედრობისათჲ, კელთ-უსხნეს პომპიიოსს ქალაქი და სამეფონი.

ხოლო პომპიიოსს წარავლინა პისონ მკედართმთავარი მკედრობისა თანა და თანად ქალაქსა და სამეფოთა სცივიდა და ტაძრისა მახლობელთა სახლთა და

<sup>1</sup> მკუნებელსა A.



არადენნი იყენეს გარემოას ტაძრისა განამტკიცებდა. და პირველად ვიდრე-  
მე სიტყუანი მშვდობისანი მიუვლინნა შინაგან მყოფთა, ხოლო ვინა-  
თგან არა ერჩიდეს, რომელთა მიმართ მიუწოდდა, შეზღუდნა გარემოასნი  
ადგილნი. და ყოველთა მიმართ გულსმოდგინედ კჳსახურებდა მას კრკა-  
ნოს, ხოლო პომპიოს შინაგან დაიბანაკა ვორიოთ კერძო სამღდელო-  
სა, რომლით საბრძოლცა იყო. აღმართებულ იყენეს უკუე მუნცა გოდოლნი  
დიდნი და ხანდაკი აღმოკუეთილ იყო და ღრმითა კევითა მოზღუდევილ იყო,  
რამეთუ დანახეთქი დიდი იყო ქალაქისა მიმართ კიდისა აღებითა, რომელსა  
ზედა დაბანაკებულ იყო პომპიოს. და მიწანი დღე ყოველ აღმართებორდეს  
რომთა მიერ კუეთითა ნიეთისაათა. და ვინათგან აქუნდეს ესენი კმასაყო-  
ფელად და მიმყოგრებულად, აღმოიესო ხანდაკი სიღრმისათჳს ფრიადისა,  
მძღლებელი მანქანებათა და ხრლონოთაჲ, ტვროთ მიხუბულთაჲ და აღმართე-  
ზელი, სცემდა ტაძარსა ქვათა მიერ. / ხოლო უკუეთუმცა არა მამულ იყო  
ჩუნდნა უქმებაჲ მეშვდეთა დღეთა შინა, არამედ სრულქმნილ იყო მიწაჲ და-  
ყენებითა მით მიერთა, რამეთუ მთავართა მიმართ ბრძოლისათა და მგუემელ-  
თა ნაცვლისგებასა შეუნდობს სჯული, ხოლო უკუეთუ სხუასა რომელსამე  
მოქმედებდენ მბრძოლნი, არა უტევებს ნაცვლისგებალ.

257

3. რომელიცა გულისკმაყვეს რომთა და მათ დღეთა შინა, რომელთა  
შაბათად უწოდთ, არცა ესროდეს იუდელთა, არცა კელთა ჰბრძოდეს, არამედ  
მიწასა და კოშკთა ალაღგენდეს და მანქანებათა მოიღებდეს და მომავალ-  
სა დღესა მზა იყენიან ესენი. ამიერ უკუე ისწავოს ვინმე, ვითარი გუაქუს  
გარდამატებულებაჲ ღმრთისმსახურებისაჲ და დაცვაჲ სჯულთაჲ და არა და-  
ყენებაჲ მღდელმემსხურებლობათა მიმართ შიშისათჳს ბრძოლათაჲსა, არამედ  
ოჯრზის დღესა შინა, განთიად და მეცხრესა ეამსა მღდელმოქმედებაჲ ვომონსა  
ზედა და არა დატევებაჲ მსხურებლთაჲ, დადაცათუ ძნელი ძუნი მოიწუოდის.  
და რამეთუ დაპყრობილ იქმნა რაჲ ქალაქი მესამესა თუესა დღესა მარხვისა-  
სა, მეცხრესა და სამეოცდამეთესა და მეასესა ოღვმპიადისასა, ეპატობასა  
ლაიოას ანტონიოასასა და მარკოას ტულიო კიკერონისასა, მბრძოლნი ვიდ-  
რემე, შესრულნი, სრვიდეს ტაძარსა შინა მყოფთა. ხოლო იგინი არა უდარეს  
მღდელმოქმედებდეს მსხურებლთა, არცა სულსა დაკლებისათჳს მოშიშნი,  
არცა სიმრავლისათჳს აწლა მოკუდინებულთაჲსა იძულებულნი ლტოლვად,  
არამედ ყოველსავე, რომელიცა რაჲმე ჭერ-იყო ენებად, ამას მოთმენად ვო-  
მონთა ზედა უმჭობეს შემრაცხელნი, ვიდრე სჯულთაგან გარდასლვად რომელ-  
სამე. ხოლო ვითარმედ არა სიტყუაჲ არს მხოლოდ ესე, გამომაჩინებელი  
შესქმასა (კრუჲ) ა კეთილმსახურებისასა, არამედ ჭეშმარიტი, წამებენ ყო-  
ველნი პომპიოჲს საჭმეთა აღმწერელნი, რომელთა თანა სტრავეონ და ნი-  
კოლაოსცა და ამათ თანა ტიტოს ლივიოსი, რომაულისა მოთხრობისა აღმწე-  
რელი.

4. ხოლო ვინათგან მანქანებაჲ აღმართებულ იქმნა, შერხეული უდიდესი  
ზღუდეთაჲ შთამოიქცა და დაირღვა რომელმე ადგილი და შევიდოდეს ვიდ-  
რემე მბრძოლნი. ხოლო უწინარეს მათგან კორნილიოს ფავსტოს, სკლლას  
ყრძაჲ, თჳსთა მკედართა თანა აღვიდა ზღუდესა ზედა. და შემდგომად მისსა  
ფრუერიოს ასთმთავარი მის თანა შედგომილთა თანა სხუასა კერძოსა აღვიდა,  
ხოლო საშუვალ მათსა — ფავიოს, და ესეცა ასთმთავარი, ძლიერსა მკედრო-  
ბასა თანა. და ყოველნივე აღსავსე იყენეს კლითა. და იუდელნი რომელნივე

რომთა ზღერ მოკვდინებოდეს, ხოლო სხუანი — ურთიერთას. იყვნენ უკუე ვითენიმე რომელთა და თაენიცა თვისნი შთაყარენს მთხრებლთა შინა და ცეცხლსა აღმდებლნი სახლთანი დასწუვიდეს ქმნულთა მოთმენად ვერ შემძლებლნი. ხოლო დაეცნეს იუდეულთაგან ორნი ბევრნი და ორ ათასნი და რომთაგან ფრიად მცირენი. მიყვანებულ იქმნა უკუე ტყუედ აფსალომის ერთბამად, დედის ძმა და სიმამრი არისტოვულოასი. ხოლო არა მცირედნი უსჯულოებად იქმნა ტაპარსა შინა, შეუვალად მყოფსა პირველსა ჟამსა შინა და ზხილავად, რამეთუ შევიდა პომპიოსს შინაგან და მის თანა არა მცირედნი და იხილნეს, რაოდენთაა არა ჭერ-იყო სხუთა კაცთა მიერ ხილვად, გარნა მდღელთა მხოლოდ. ხოლო მპოვენლი ოქროსა ტრაპეზთა და გარემოას სასანთლეთა და ფიალთა და ვეცხლის ქედითა სიმრავლისა და გარეშე ამათსა საუნჯეთა შინა ორ ათასთა ტალანტთა სამღელეთა საკმართადაა, არცა ერთსა შეეხო კეთილმსახურებისა ძლით, არამედ და ამასცა შინა ღირსად სათნოებისა მისისა იმოქმედა. და მეორესა დღესა განწმედა ამცრო სამღელეთადა ტაძრისა მსახურთა და სჯულიერთა მსხუერპლთა შეწირვად ღმრთისა. და მღელეთმთავრობად კრკანოსს მისცა თანად სხუათათვს, რომელთა შინა საკმარ ექმნა მას და რამეთუ ადგილის შინანიცა იუდელნი დაყენნა არისტოვულოას შემწეობისაგან. და მიზნნი ბრძოლისანი ცულითა მოაკვდინნა, ხოლო ფავსტოს და სხუანი, რაოდენნი ზღუდესა ზედა ადვიდეს, ჭეროვანთა ნიშთა აღარსნა. და იეროსოლემანი ვიდრემე ხარკის ქუეშე ყვნა რომთა, ხოლო ქალაქნი, რომელნი უწინარეს მკვდრთა იუდეასათა კელთისხნეს დელისა სკრიპასაგან, მიმღებელმან ამათმან პომპიოსს თვისსა მკედართმთავარსა ქუეშე დააწესნა. და ნათესავი ყოველი, დიდად ამაღლებული უწინარეს, შინაგან თვისთა საზღვართა შეაყენა. და ლადარა ვიდრემე, მცირედ უწინარეს დამკობილი, აღაშენა დიმიტრიოას მომმადლებელმან ლადარელისამან, რომელი განთავისუფლებულ იყო მისგან. ხოლო ნეშტნი: იპპოა და სკუთაპოლი და პელაა და დიოა და სამარია და ამას თანა მარისა და აზოტოა და რამისია და არეთუსა მისცა მკვდრთა მისთა. და ესენი ვიდრემე საშუვალ ქუეყანისა გარეშე აღმოფხურილთა. ხოლო ლაზაა, რომელი არს მახლობელად ზღვსა და იოპპი და დორაა და სტრატონის გოდოლი, რომელიცა, აღშენებული იროდის მიერ დიდშუენიერებით და ნავთსაყუდელთა და ტაძართა მიერ შემკობილი, კესარიად გარდაისახელა. ესენი ყოველნი პომპიოსს თავისუფლად განუტევენა და სამთავროსა თანა შეაერთნა.

5. ამას ვნებასა მოწვენად იეროსოლემელთა ზედა მიზეზ იქმნნეს კრკანოსი და არისტოვულოს, ურთიერთას მკდომნი, რამეთუ თანად თავისუფლად წარეწყვიდეთ და რომთა მორჩილებასა ქუეშე დავიდგინენით და ქუეყანაა, რომელი საჭურველითა მოვიგეთ, სკრთაგან მიმღებლთა, იძულებულ ვიქმენით ამას კულად უკუნცემად სკრთავე. და ამას თანა უმრავლეს ბევრთა ტალანტთადა მცირესა ჟამსა შინა მიმღებელ იქმნნეს ჩუენგან რომნი და მეტობაა, ნათესავობით მღელეთათვს მიცემული პირველ პატივი, მსოფლიოთა მამაკაცთა მიეცა და ამათვს ვიდრემე ადგილსა თვისსა ვთქუათ. ხოლო პომპიოსს, დღესა სკრიპასასა ვიდრე ეფფრატისა მდინარედმდე და ეგვიპტისა სკავროსთვს მიმცემელი და ორსა განწესებულებასა რომთასა, კილიკიად წარვიდა, მოსწრაფე რომს მისღვისა. მიიყვანებდა ნათესავისა მისისა თანა არისტოვულოსსაცა შეერულსა, რამეთუ ორნი ასულნი იყვნეს მისა და ესო-

დენნივე ძენი, რომელთაგან ერთი ვიდრემე, ალექსანდროს, ივლტოდა, ხოლო უქაბუკესი, ანტილონოს, მიიყვანებოდა რომს დათა თანა მისთა.

თ. 5

1. ხოლო სკავროს განემყედრა პეტრას ზედა არავიამსასა და რამეთუ ძნიად მისავალი იყო, გარემოხსთა მისთა აოკრებდა. ხოლო სიყმილისა მიერ მოუძღურებასა მკედრობისასა, ანტიპატროს, კრკანოხს მცნებისაებრ, იფქლსა და სხუათა, რაოდენთა მოქენე იყენეს, მიანიჭებდა იუდეასგან. და თანად წარვლინებულმან სკავროსს მიერ მოციქულად არეტას მიმართ მისა მიმართისა სიყუარულისათვის, არწმუნა მასცა ვეცხლისა მიცემაჲ, რაჲთა არა უჩინო იქმნეს<sup>1</sup> ქუეყანაჲ მისი და თვთ თავსმღებ იქმნა სამასთა ტალანტათვის. და ამათ მიერ დაჰსნა ბრძოლაჲ სკავროს, არა უღარეს მნებებულმან ამისისა ქმნისამან ამან, რაოდენ არეტასცა შეემთხუეოდა სურვილი ამისისა ესრეთ ქმნისაჲ.

2. ხოლო უკუანამსკენელსა ჟამსა შინა ალექსანდროს, არისტოვულოას ყრმაჲ, არბევდა იუდეასა და მკედართმთავარი ლავინიოს რომით სკრიად მოიწია, რომელმან სხუანიცა მრავალნი ღირსნი სიტყუსანი ქმნა და ალექსანდროსცა ზედა განემყედრა. რამეთუ არლარა შემძლებელ იყო კრკანოს ძალისა მისისა წინააღდგომასა, არამედ აღდგინებასა იეროსოლჳმათა ზღუდისასა კელჳოფდა, რომელი დაარღვა პომპიიოს, გარნა ამისგან ვიდრემე დააყენეს მუნ შინა მყოფთა რომთა. ხოლო გარემოხს მავალი სოფლებთა შინა ალექსანდროს მრავალთა აღსტურვიდა იუდეელთაგან და მალიად შეკრიბნა ბევრნი ვიდრემე აღტურვილნი, ხოლო ხუთასნი ათასთა თანა ცხენოსანნი, თანად ალექსანდრიოჲ განამავრა, კორეათა თანა მყოფი სამცველოჲ და მაქერუნტაჲ არავიამსა მთათა შინა.

ხოლო მივიდა მის ზედა ლავინიოს, წარმავლენელი უწინარეს მარკოას ანტონიოხსი სხუათა თანა მთავართა. და ესენი უკუე, აღმტურველნი შედგომილთა რომთანი და ამათ თანა ქუეშდამორჩილებულთა იუდეელთანი, რომელთა უძლოდა პითოლაოს და მალიზოს, და მიმყვანებლნი ანტიპატროას მოუყარეთანიცა, შეემთხვნეს ალექსანდროსს. შედგომილი იყო უკუე ლავინიოსცა მკედრობისა თანა. ხოლო წარვიდა მახლობელად იეროსოლჳმათა ალექსანდროს. განწყყენეს რაჲ უკუე მუნ ურთიერთას და ბრძოლაჲ იქმნა, მომაკუდინებელ იქმნნეს რომნი მბრძოლთაგან სამ ათასთა, ხოლო ტყუე ყვნესცა არა უმცირესნი ამათსა.

3. ამას შინა ლავინიოს, ალექსანდრიოდ მიწვენული, გამოუწოდდა შინაგან მყოფთა ზავთა მიმართ, რამეთუ პირველთა ნაცოდვებთათვის შენდობასა აღიარებდა. ხოლო დაიბანაკეს მრავალთა მბრძოლთა წინაშე სამცველოასა, რომელთა მიმართ აღვიდეს რომნი. და მარკოს ანტონიოს, საჩინოდ მლუწელი და მრავალთა მომაკუდინებელი, მკნელ საგონებელ იქმნა. ლავინიოს ვიდრემე უკუე კერძოსა მკედრობისასა აქა შინა /დამტევებელი, რაჲთა გამოღებულ იქმნეს ადგილი იგი, თვთ სხუასა იუდეასა მოჰვიდა და რაოდენთა

<sup>1</sup> უჩინო იქმნეს A.

დამკობილთა<sup>1</sup> ქალაქთა მიემთხუეოდა, აღშენებასა მათსა ბრძანებდა. და აღე-  
შენეს საძარია და აზოტო და სკვთაოლი და ანთილონი და რაფია და  
დორაჲ, მარისაჲ თანად და ლაზაჲ და სხუანი არა მცირედნი. ხოლო კაცნი,  
მრწმენებელნი მათნი, რომელთა ლავინიოს უბრძანებდა, მაშინდა სიმტკიცით  
დაემკდრებოდეს ქალაქთა შინა, მრავალსა ჟამსა ოჯერქმნულთა.

4. ამათი მოქმედი სოფლებთა შინა აღვიდა და აღექსანდრიოდ. და განა-  
ძლიერა რაჲ ოჯრებჲ მისი, ევედრა მას აღექსანდროს შენდობად. მისა ნა-  
ცოდებთა მვედრებელ და მისცნა სამკველონი კრკანიაჲ თანად და მაქერუნ-  
ტაჲ და უკუნანასკნელ — აღექსანდრიოჲცა. და ესენი ვიდრემე ლავინიოს და-  
ამჯუნა. ხოლო აღექსანდროჲს დედაჲ მივიდა ლავინიოჲს მიმართ, რამეთუ  
რომდასა ბრძნობდა ქმრისა მისისა და სხუათა შვილთა რომს შინა ყოფსა.  
და მოუტევნა მას ლავინიოს ესენი, რომელთათჳს ევედრებოდა და განაგნა  
მისთვისნი ყოველნი, ხოლო კრკანოს იეროსოლჳმად შთაიყვანა, რაათა აქუნ-  
დეს ტაჲრისა მოურნეობაჲ. და ხუთთა შესაკრებელთა დამადგინებელმან  
სწორად ნაწილად განყო ნათესავი: და მოქალაქობდეს ვიეთნიმე იეროსოლ-  
ჳმას შინა: ხოლო სხუანი — ლაღარათა შინა და სხუანი — ამათუნტას, ხოლო  
მეოთხენი იყვნეს იერიხენტოს და მეხუთე, ნაწილი — სეფტორს შინა და-  
ლილჯაჲსა. და განთავისუფლებულნი მძღავრებისაგან რჩეულთა მამაკაც-  
თა მიერ განეგებოდეს.

## თ. 6

1. ხოლო არისტოველოს ივლტოდა რომით და იუდეიად მიიწია და  
აღექსანდრიოსა, რომელი იყო ახლად დამკობილი, აღშენებასა მნებებელ იყო.  
ხოლო ლავინიოს წარავლინა მისა მიმართ მკედარნი და მთავარნი: სისენნა  
და ანტონიოს და სერუილიოს, რაათა დააყენონ იგი დაპყრობად ადგილისა და  
შეიპყრან იგი. მრავალნი უკუე იუდელთაგან შეუდგებოდეს არისტოვე-  
ლოს ძუელისა ბედკეთილობისათჳს და უახლესთა საქმეთა ზედა იხარებ-  
დეს. რამეთუ პითოლას ვინმე მკედართმთავარი, იეროსოლჳმათა შინა მყოფი,  
ათასთა თანა მივიდა მისა მიმართ. და მრავალნი მისრულთაგან უქურველ  
იყვნეს. სთნდა უკუე მაქერუნტას წარსლვაჲ არისტოველოსს და  
უქურველნი ვიდრემე განუტევნა, ულონოდმყოფნი, რამეთუ არა საქმარ  
ეკმნეს მას საქმეთა მიმართ. ხოლო აღქურვილთა, რეა ათასად მყოფთა მიმ-  
ყვანებელი, წარვიდა. და ვინაითგან განეწყუნეს მათ რომნი ძლიერად, იძლიე-  
ნეს იუდელნი ბრძოლასა შინა და მკნელ მღუწეულნი სივლტოლად მიდრკეს,  
რამეთუ აიძულებდეს მათ მბრძოლნი. მოიკუდინნეს ვიდრემე ამათგან ხუთ  
ათასნი, ხოლო ნეშტნი, განზნეულნი, ვითარ შემძლებელ იყვნეს, ცხოვნებად  
თეთა თჳსთა მოსწრაფე იყვნეს. ხოლო არისტოველოს, უმრავლეს ათასთა  
მქონებელი, მაქერუნტად მივილტოდა და განამარგებდა ადგილსა და ბორო-  
ტად მოქმედი არცა ერთსა სასოებასა / კეთილისასა მქონებელ იყო. და ორთა  
დღეთა შინა წინააღდგომილი ოჯრებისაჲ და მრავალთა წყულულებათა მიმ-  
ღებელი ტყუედ მიყვანებულ იქმნა ლავინიოჲს მიმართ ანტილონოჲს თანა,  
ყრმისა თჳსისა, რომელიცა მის თანა ივლტოდა რომით. და ესევითარისა ვიდ-

<sup>1</sup> დამკობილთა A.

რემე მკუმეველი ბედისაჲ არისტოვეულოს კუალად რომს წარივლინა და შეკრული მიერ იაყრობვოდა, მმეფობი და მღღელთმთავრობი წელთა სამთა და თუეთა ექუსთა, მამაკაცი ბრწყინვალე და დიდსული. ხოლო შეილნი მისნი განუტევენა სუნიკლიტობამან, რამეთუ ლავინიოს. მიწერა, ვითარმედ აღუთქუა მას ესე დედისა მათისათუს, სამცველოთა მიმცემელისა. და მაშინ იუდეად აღვიდეს.

2. ხოლო ლავინიოსს, პართთა ზედა განმკერდებულსა და აწოა ევფრატისა<sup>1</sup> განმწიაღებელსა, სთნდა ეგუბტედ უკუნქეცეჲ და მას შინა დადგინებაჲ პტოლემეოასი. და ესენი ვიდრემე სხუათაცა შინა ცხადქმნულ არიან. ხოლო ლავინიოსს, მკედრობასა მას შინა ვრკანოას თანა წარმავალსა, ანტიპატროს შინა იფქლი და საკურველნი და საკმარნი და ზენა კერძო პილუსიოასა მყოფნი იუდელნი ამან მოიყვანნა მისა და თანაშემწე ყენა, მცველად მყოფნი ეგუბტისა სადარნოთანი. ხოლო აღმოსრულმან ეგუბტით პოვა სკრიაჲ ქლომითა და შფოთითა სნეული, რამეთუ არისტოვეულოსა ყრმამან აღექსანდროს, კუალად უკუნანასკნელ აღსრულმან<sup>2</sup> მთავრობასა ზედა, მრავალნი იუდელნი განადგინნა იძულებით და მკედრობითა დიდითა მომვლელი სოფლებისაჲ, მოაკუდინებდა ყოველთა რომთა, რაოდენთა მიემთხუოდა მილტოლეიტთა ლარინინ წოდებულსა მთასა შინა და გარემოდგომილი აოკრებდა.

3. ხოლო ლავინიოს, ესევეთართა მპოვნელმან სკრიასა შინა, წინა-წარავლინა ანტიპატროს ამისთა მოქმედთა მიმართ, რამეთუ გონიერ იყო, რაჲთა უკუეთუ შემძლებელ იქმნეს დაცხრომად მათდა უგუნურებისაგან, არწმუნოს უმჯობესისა გულისსიტყუსა მიმართ აღსლუჲ. ხოლო ამან, მიწვენულმან, მრავალნი გონიერ ყენა და უმჯობესისა მიმართ მიიყვანნა, ხოლო აღექსანდროს დარწმუნებაჲ ვერ შეუძლო, რამეთუ იუდელთა მკედრობასა სამთა ბევრთა მქონებელი შეემთხვა ლავინიოსს და მბრძოლი იძლია და ბევრნი დაეცენ მისნი იტავკრიოასა მთასა ზედა.

4. ხოლო ლავინიოს, დამადგინებელი იეროსოლემელთა ქალაქისაჲ, ვითარ იყო ანტიპატროს თნებისაებრ, ნავატელთა ზედა წარვიდა და სძლო მათ მბრძოლასა შინა. ხოლო პართთაგან ლტოლეილნი, მითრიდატი და ორსანი, მისა მიმართ მიწვენულნი, წარავლინნა. და იგინი ვიდრემე განველტნეს მას კუალად. ლავინიოს ვიდრემე უკუე, საქმეთა დიდთა და ბრწყინვალეთა მოქმედ მკედართმთავრობასა შინა, რომს წარვიდა, კრასსოასთუს მიმცემელი მთავრობისაჲ. ხოლო პომპიიოას და ლავინიოას მკედრობისათუს იუდელთა ზედა დასწერს ნიკოლოას დამასკინელი და სტრავეონ კაპპადუკელი, არცა ერთსა სხუაჲ სხსსაგან უუცხოესსა მერყუელი.

07. 7

1. ხოლო კრასსოს, პართთა ზედა მგულებელი / აღმკერდებად, იუდეად მიიწია და ტაძარსა შინა მყოფთა საკმართა მტკრთველი, რომელნი პომპიიოს

<sup>1</sup> ეფფატისა AQ. <sup>2</sup> აღრულმან A.

ლაუტენა, ხოლო ორ ათასნი ტალანტნი იყვნეს, მნებებელ იყო ოქროსაცა ყოველსა განძარცუვად ტაძრისაგან. და ესე უკუე ტალანტნი იყვნეს რვა ათასნი. მიიღო უკუე ღირეცა, ყოვლად შთასხმული ოქროსაჲ, სამასთა მნათაგან ქმნული. ხოლო მნაჲ იტკრთავს ჩუენ შორის ლიტრათა ორთა და ნახევარსა. მისცა უკუე მას ესე ღირე მცველმან საუნჯეთამან მდღელმან, ელეზაროს სახელით, არა სიბოროტისათვის, რამეთუ კეთილ იყო და მართალი, არამედ რწმუნებულ იყო მისთვის დაცვაჲ ტაძრისა მოსაკიდელთაჲ, რომელნი განსაკვრებულ იყვნეს შუენებითა და მრავალსაყიდლის შემზადებულებითა, ხოლო ამას ღირესა ზედა შთამოკიდებულ იყვნეს. და ვინაჲთგან ხელეიდა კრასოსს ოქროსა შეკრებისათვის მოსწრაფესა, შეშინებულმან ყოვლისა ტაძრისა სამკაულისათვის ღირე ოქროსაჲ მისცა მას საცხრაღ ყოველთა, ფიცთა მიმღებულმან მისგან, რაჲთა არაჲაჲ სხუაჲ შეძრას ტაძრსა შინა, არამედ მხოლოდ კმა იყოს მის მიერ მიცემულსა ზედა, მრავალთა ბევრთა ღირსსა. ხოლო ღირე ესე იყო შემისა ღირესა შინა გამოღარულსა და ესე ვიდრემე სხუათა ყოველთაგან უცნაურ იყო, ხოლო ელეზაროს მხოლოდ უწყოდა. კრასოსს ვიდრემე მიიღო ესევითარ, არცა ერთისა ტაძრისა შინათაჲსა შემხებულმან და გარდასრულმან ფიცთა ყოველი ტაძრსა შინა მყოფი ოქროჲ განიღო.

260 2. ხოლო ნუვის უკვრს, უკუეთუ ესოდენი სიმდიდრე იყო ტაძრსა ჩუენსა შინა, რამეთუ ყოველნი ყოველსა ქუეყანასა<sup>1</sup> შინა დამკვდრებულნი იუდელნი და პატივისმცემელნი ღმრთისანი და ამას თანა ასიაჲსა და ეეროპისაგან, მას შინა მოიღებდეს შესაწირავთა მრავლით ეამითგან ფრიად. ხოლო არა არს უმოწმო სიდიდე პირველთქუმულთა საკმართაჲ, არცა ზუაობისა ჩუენისა ძლით და ნამეტავმეტყუელებისა ესოდენად სიმრავლედ აღიყვანებთან სიმღღრენი, არამედ და სხუანიცა მრავალნი აღმწერელნი გუეწამებთან ჩუენ. და სტრაჲონ კაპადოკელი, მეტყუელი ესრეთ: „ხოლო წარმავლენულმან მითრიდატის კოდ, მიიხუნსა საკმარნი, რომელნი დაესხნეს მუნ კლეოპატრას დედოფალსა და რეასნი ტალანტნი იუდელთანი“. ხოლო ჩუენდა საერონი საკმარნი არა არიან, გარნა მხოლოდ ღმრთისანი. და ცხად არს, ვითარმედ ესე საკმარნი წარიხუნეს კოდ ასიას შინა მყოფთა იუდელთა მითრიდატის შიშისაგან, რამეთუ არა ჯერ-არს იუდეას შინა მყოფთა იუდელთაგან, ქალაქისა ძლიერისა მქონებულთა და ტაძრისა, წარვლინებაჲ საკმართაჲ კოდ. არამედ არცა ალექსანდრიას შინა დამკვდრებულთა იუდელთაგან დასარწმუნებელ არს ამისი ქმნაჲ, მითრიდატისგან არა მოშიშთა. ხოლო წამებს სხუასაცა ადგილსა ესევე სტრაჲონ, ვითარმედ რომელსა ეამსა განვლო სკლას ელლაჲა ბრძოლად მითრიდატისა, წარავლინა ლუკულლოს კვრინის შინა ჯღომისათვის ნათესავისა ჩუენისა, რომელთა მიერ ქუეყანაჲ აღსავეს იყო. და იტყვს ესრეთ: „ხოლო ოთხნი იყვნეს ნათეს/ავნი კვრინელთა ქალაქსა შინა: მ. ქალაქეთა და მუშაკთაჲ და მესამე — გარდასახლებულთაჲ, ხოლო მეოთხე: — იუდელთაჲ. ესე უკუე ყოველსა ქალაქსა შინა განთესულ არს და არა ადვილად საპოვნელ არს ადგილი ქუეყანასა შინა, რომელი არა შემწყურებელ არს სიმრავლესა ამის ნათესავისასა და არა დაიპყრობვის ამის მიერ ეგპტე

რანად და კერინეაჲ, რომელნი მათვე მთავართა მიმთხუეულნი დიდად იშურ-  
 ებიან სხუათათესცა და იუდელთა სიმრავლესა ზრდისათეს გარდამატებუ-  
 ლებით და თანააღორძინებით იყუმევენ მამულსა სჯულსა იუდელთასა. ეგვტეს  
 შინა ვიდრემე სამკვდრებელი იუდელთაჲ თესაგან განჩენილ არს და ალექსან-  
 დრიელთა ქალაქისაგან განსაზღვრებულ არს ამის ნათესავისათეს დიდი კერ-  
 ძოჲ. და დაიდგინების მათ ზედა ნათესავეითმთავარიცა მათი, რომელი განა-  
 ვებს ნათესავსა და კმართებს მსჯავრთა და განზრახვაათეს მოურნეობს და  
 ბრძანებათა, ვითარ მოქალაქობისა სრულისა მთავარი. ეგვტეს შინა ვიდრე-  
 მე უკუე განძლიერდა ნათესავი ესე ამისთეს, რამეთუ ეგვტელნი იყვნეს იუ-  
 დელნი დასაბამითგან და რამეთუ მახლობელ იყვნესცა მამულისა მათისა,  
 წარსრულნი მიერ. ხოლო კერინეად წარვიდეს, რამეთუ ესენიცა მეზობელ  
 იყვნეს ეგვტელთა სამთავროსა, ვითარ და იუდეაიცა, და უფროსლა უბირ-  
 ველეს მის მთავრობისა სტრავეონ ვიდრემე ამათ იტყეს.

3. ხოლო კრასოს, განმგებელი ყოველთაჲ, ვითარ სახედ მნებებელ იყო  
 იგი, წარემართა პართუეასა ზედა და იგი ვიდრემე უკუე ყოვლისა მკედრო-  
 ბისა თანა წარწყმდა, ვითარ და სხუათაცა შინა უწყებულ არს. და კასიოს  
 უკუე, სკრიად ლტოლვილმან, განამაგრა იგი და მაყენებელ იყო პართთა,  
 რომელნი არბევდეს მას კრასოსს ძლევის ძლით. ხოლო კულად ტეროსს  
 მიწვენული აღვიდა იუდეადცა და ტარიქეაჲსა ვიდრემე მბრძოლმან მეყუსეუ-  
 ლად დაიპყრა და სამნი ბევრნი კაცნი ტყუედ მიიყვანნა. ხოლო მოაკუდინა  
 პითოლაჲსცა, არისტოვულოსს კლომასა მიმთუალველი, რამეთუ განაზრახა  
 ესე ანტოპატროს, რომელსა მრავალი ძლიერებაჲ აქუნდა და მრავლისა პატი-  
 ვისა ღირს იყო მაშინ. და იღუმელთა თანამყოფმან<sup>1</sup> მიიყვანა ცოლი საჩინო-  
 თაგან არაუიამსათა, სახელით კვბრის, რომლისაგან ოთხნი ყრმანი იქმნნეს  
 მისთეს: ფასალოს და იროდის, რომელი უკუანამსკენელ მეფე იქმნა, იოსი-  
 პოს<sup>2</sup> თანად და ფერორას. ხოლო ასული — სალომი.

ამას ანტოპატროსს ექმნა სხუათაცა მიმართ ძლიერთა სიყუარული, გარ-  
 ნა უფროსლა არავისა მიმართ, რომელსა შეილნიცა შეკვედრნა, არისტოვუ-  
 ლოსს მბრძოლმან. კასიოსს ვიდრემე უკუე, აღმკვდრებული ეფფრატისა მი-  
 მართ, მოსწრაფე იყო მიგებებად მიერ მომავალთა, ვითარ და სხუათაცა  
 შარ კნაღქმნილ არს.

4. ხოლო უკუანამსკენელსა ჟამსა შინა მიილო რომი კესარიამან და ვინა-  
 მთგან ივლტოდა პომპიიოს და სენკლიტობაჲ წიად იორდა/ნისა\*, განმკნელი  
 არისტოვულოსსი საქრეელთაგან კესარ მნებებელ იყო სკრიად წარვლინებასა  
 მისსა, ორთა განწესებულებათა მიმცემელი მისთეს, რათა განემზადოს მისა  
 მიმართ ძლიერად მყოფი. არამედ არაჲაჲ სარგებელ-ეყო არისტოვულოსს სა-  
 სოებათაგან, რომელთა მიემთხვა<sup>3</sup> კესარისა კელთმწიფებისაგან, რამეთუ  
 მსწრობელთა მისთა, რომელნი პომპიიოსსთა ბრძნობდეს, წამლითა განხრწნეს  
 იგი. ხოლო დაჰვლეს იგი განმგებელთა კესარისა საქმეთა და სხეული მისი  
 მდებარე იყო თაფლსა შინა, დაფლული ჟამსა მრავალსა, ვიდრემდის არა ან-  
 ტონიოს, უკუანამსკენელ წარმავლენელმან მისმან იუდეად, სამეფოთა ლარ-

<sup>1</sup> თანამყოფმან A. <sup>2</sup> იოსოს A, თოსოს Q, 'Iძოჲიძე 14<sub>121</sub>. <sup>3</sup> მიმთხვა A Q.

\* \* \* 'Iძოჲიძე 14<sub>122</sub>.

ნაკთა შინა ბრძანა დადებდა მისი. ხოლო სკიპიონს მიუძღვნო პომპიოს. მოკუდინებდა ალექსანდროს, არისტოვეულოს ყრმისაჲ. და მან, გამომთხოველმან ჰაბუქისამან პირველთა ნაცოდებთა ზედა რომთა მიმართ, ცულითა მოაკუდინა. და ესე ვიდრემე ესრეთ ანტიოქიას შინა აღსრულდა. ხოლო ძმანი მისნი პტოლემეოს მენნეოსმან მიიყვანნა, მთავარმან ხალკიდისამან, ლივანოვსა მთასა ქუეშე. და წარმავლენელმან ძისა თვისისა ფილიპიონისმან ასკალონად, არისტოვეულოს ცოლისა მიმართ, უბრძანა წარვლინებდა ძისა მისისა ანტიონოვსი და ასულთა მისთაჲ, რომელთაგან ერთსა, ალექსანდრას სახელით, ეტრფილა ფილიპიონ და ცოლად მიიყვანა. ხოლო შემდგომად ამათსა მომავლდინებელი მისი, მამად მისი პტოლემეოს ექორწინა ალექსანდრას და მოურნეობასა<sup>1</sup> ჰყოფდა ძმთა მისთასა.

### თ. 8

1. ხოლო შემდგომად პომპიოსს სიკუდილისა ჯა ძლეულებისა, რომელი იქმნა მის ზედა კესარის მიმართ მბრძოლისა ეგვიპტეს შინა, მრავალი საქმარებაჲ მიანიჭა მას ანტიპატროს, თავისა მიერ თვისისა იუდელთა. მოურნეჲმან კრკანოვს მცნებისაებრ, რამეთუ მითრიდატი პერდამინელი, მომყვანებელი შვედრობისაჲ შემწედ, ვერშემძლებელ იყო პილუსიოთ განსლვასა და ასკალონს შინა იქცეოდა, ხოლო ანტიპატროს მიიყვანნა იუდელთაგან ალქურვილნი სამ ათასნი და არავიანთ შემწეთა მოსლვად იმოქმედა მთავართაგან. და მის ძლით ყოველნი, სურიაჲსა შინა მყოფნი, შეეწეოდეს და არა მნებებელ იყვნეს დაკლებასა კესარის მიმართისა შემწეობისაგან გულსმოდგინებით, იამვლანოს თანად მძლავრი და პტოლემეოს, ძე მისი, და თოლომეოს სოფოვასი, ლივანოვსა მთასა თანა მკვდრი და თანად ქალაქნი ყოველნი. ხოლო მითრიდატის, აღდგომილი სურიაჲთ, პილუსიოდ მიიწია. და ვინათგან არა შეიწყენარებდეს მას კაცნი, აოკრებდა ქალაქსა. ხოლო მკნედ<sup>2</sup> გამოჩნდა ანტიპატროს, რამეთუ პირველად დამარლუველმან<sup>3</sup> რომელსამე კერძოსა ზღუდისასა შესავალი გზად მიანიჭა სხუათა ქალაქისა მიმართ და პილუსიოჲ ვიდრემე ესრეთ მქონებელ იყო. ხოლო ანტიპატროს და მითრიდატის თანათა, მიმავალთა კესარისა მიმართ, აყენებდეს იუდელნი ეგვიპტელნი, ონიაჲსად სახელდებულსა სოფელსა და მკვდრებულნი. არამედ არწმუნა/მათ მსგავსთავე მისთა ბრძნობად თანმონათესავობისათვის ანტიპატროს და ამას თანა უჩუენნა მათ ეპისტოლენიცა კრკანოვს მდღელთმთავრისანი, რომელთა მიერ სიყუარულად კესარისა მიუწოდდა მათ და ყოველთა საქმართა მინიჭებასა მკვდრობისათვის ჰლოცვიდა. და იგინი ვიდრემე, ვითარ ხედვიდეს ანტიპატროსს და მდღელთმთავარსა მათ თანა მიწვეულთა, მორჩილ იქმნნეს. ამათი რაჲ შეერთებდა ისწავეს მათ თანა შემფის შინა მყოფთა, მიუწოდდეს იგინიცა მითრიდატის მათდა მიმართ. და ამან, მისრულმან, მიიყვანნა იგინიცა.

2. ხოლო ვინათგან მიიწია დელტად წოდებულსა თანა, განწყო მბრძოლთა იუდელთა ბანაკად სახელდებულსა თანა. აქუნდა უკუე მარჯუენე კერძოჲ მითრიდატისს, ხოლო მარცხენე — ანტიპატროსს. და ვინათგან შეიერთნეს ბრძოლასა შინა, მიდრკა მითრიდატის კერძოჲ და შემთხუეულ

<sup>1</sup> მოურნეობასა A. <sup>2</sup> მკნედ A. <sup>3</sup> დამარლუველმან A.



იყვნესცა მისთვის ძვრხილულობანი უძვრესნი ვნებად, არა თუმცა ანტიპატროსს, პირსა თანა მდინარისასა თვსთა მკედართა თანა მიმსრბოლსა და აწლა მძლეველსა მბრძოლთასა, ეკსნა იგი ძვრხილულობისაგან, ხოლო ეგვპტელნი, მძლეველნი, მიდრიქნა სივლტოლად. და მიიღო ბანაქი მათი, მრავლად მდევხელმან მათმან და მითრიდატისსცა მიუწოდდა, დიდად განშორებულსა ძლეულებასა შინა. დაეცნეს ვიდრემე მითრიდატისანი რეასანი, ხოლო ანტიპატროსანი — ორმეოცნი. ხოლო მითრიდატის აუწყა ამათვს მეფესა და ძლევისა მათისა ერთბამად და ცხორებისა მიზეზად ანტიპატროსს აღმოაჩენდა, ვიდრელა კესარი მაშინ ქებად აღიძრა მისთვის და რამეთუ იყუმიაცა ანტიპატროს ყოველსა ბრძოლასა შინა. ძვრხილუობა და წყლულქმნადაცა შეემთხვა მას ლუაწლთა შინა.

3. ხოლო კესარ, შემდგომად ჟამისა რომელსამე დამკსნელმან ბრძოლისამან და სკრიად მიწვევულმან, დიდად პატივისცა მათ: ვრკანოსს ვიდრემე მღღელთმთავრობა დაუმტყიცა, ხოლო ანტიპატროსს მოქალაქობა მისცა რომს შინა და უხარკობა ყოველგან.

იოანესის უკუე მრავლთა მიერ ამას მკედრობასა თანა ზიარებად ვრკანოსს და ეგვპტელ წარსლვამ. ხოლო ეწამების სიტყუასა ჩემსა სტრაჟონ კაპადოკელი; ასინოასა სახელისა მიერ მეტყუელი ესრეთ: „ხოლო შემდგომად მითრიდატის ეგვპტელ შესლვისა და ვრკანოსს, იუდეულთა მღღელთმთავრობისა“. და ესევე სტრაჟონ სხუათაცა შინა ვესიკრატის სახელისა მიერ იტყუს ესრეთ: „გამოვიდა უკუე მხოლოდ მითრიდატის და მიუწოდა ამან ასკალონად ანტიპატროსსცა, განმგებელსა იუდეასასა და სამ ათასნი მკედარნი შეიძნადნა მის თანა და სხუათა ძლიერთაცა და მთავართა მიუწოდა. ხოლო ეზიარა ამას მკედრობასა ვრკანოსცა მღღელთმთავარი“. ამათ ვიდრემე სტრაჟონ იტყუს.

4. მივიდა უკუე ანტილონოსცა, არისტოველოს ყრმად, კესარისა მიმართ და თანად მამისა ბედსა ჰგოდებდა და ვითარმედ მის ძლით მოაკუდინა წამლითა არისტოველოს და ძმად მისი ცულითა მოაკუდინა სკიპიონ. და ევედრებოდა წყალობასა მიღებად. მისთვის, მთავრობისაგან განდევნილისა. და ამათ თანა ვრკანოსს და ანტიპატროსს შესამენდა, მძლავრებით მთავრობასა ნათესავისასა და მისა მიმართ უსჯულოებასა. ხოლო ანტიპატროს, მუნ დამთხუეული, სიტყუა-უგებდა, რომელთათვს ხედვიდა შესმენასა მისსა, ამპარტავანად და მეშფოთელ! აღმოაჩენდა ანტილონოსს თანათა და რაოდენთა დაშურა მათთვის და თანა-შეეწია მკედრობათა შინა, შეავსენებდა, მოქმედი სიტყუათა, რომელთა თვთ იგი ეწამებოდა. ხოლო სამართლად იტყოდა, არისტოველოს ვიდრემე რომს წარტაცებულ იქმნა, მბრძოლად მყოფი მარადის და არაოდეს სიყუარულსა მქონებელი რომთა მიმართ. და ძმად უკუე შენი, ავაზაკობასა შინა შეპყრობილი სკიპიონის მიერ, მიემთხვა მათ, რომელთა ღირს იყო, არამედ არა იძულებითა და უსამართლოებითა მოქმედისადაცა ვნოს ესე მას.

5. ესე სიტყუანი რად თქუნა ანტიპატროს, ვრკანოს ვიდრემე მღღელთმთავრად ვანაჩინა კესარმან, ხოლო ანტიპატროსს მისცა მთავრობა, რომ-

<sup>1</sup> მეფოთელ A.

მელსაცა იგი მნებებელ იყოს. და ვინაჲთგან მას მისცა ამისი გამორჩევაჲ, განმგებელად იუდეასა განაჩინა იგი. ხოლო უბრძანა ვრკანოსს, ამის მადლისა მთხოველსა, რაჲთა აღჰმართნეს ზღუდენი მამულისანი, რამეთუ დაცემულ იყვნეს, პომპიოზსგან დამკობილნი. და ამათი დაწერაჲ კაბეტოლიოსა შინა ძიუქმცნო! ეპატოსთა რომს. და სუკლიტობისა მიერ ქმნულსა ბრძანებასა ესევსთარი აქუს სახე: ლევიკოს უალერიოს ლევიკოჲს ძემან, მკედართმთავარმან, განაზრახა სუკლიტობასა<sup>2</sup> დღეთა შინა დეკემვრისაჲსათა დაწერასა ბრძანებისასა ტაძარსა შინა თანმოსახელისასა\*. ხოლო იყვნეს მუნ ლუკიოს კოპონიოს ლევიკოჲს ძე, კოლინა, და პაპირიოს კვრინაჲსი, რომელთათჳს აღექსანდროს იასონისი და ნუმინიოს ანტიოხოჲსი და ალექსანდროს დოროთეოჲსი, იუდელთა მოხუცებულნი, მამაკაცი კეთილნი და თანაშემწენი, იტყოდეს, განმახლებელნი პირველმყოფთა მადლთანი რომთა მიმართ და ფიალი და ფარი ოქროჲსაჲ თანშემწეობისა სასწაულად ქმნული მიიღეს, ოქროთაგან ბევრთა ხუთთა. და ევედრნეს ნაწერთა მიცემად მათდა ქალაქთა მიმართ თვთვანმგებელთა და მეფეთა მიმართ, რაჲთა სოფელი მათი და ლიმენანი!<sup>3</sup> მოცალეებასა მიემთხვნენ და არცა ვინ ეუსამართლოებოდის მათ. ხოლო სთნდა ქმნაჲ სიყუარულისაჲ მადლისათჳსცა მათდა მიმართ და რაოდენთაცა მოქენენ იყვნეს, მიმთხუევად. ესენი მიანიჭნეს მათ და მოღებულნი ფარი შეიწყნარეს. ესენი იქმნეს ვრკანოჲს მღდელთმთავრისა ზედა ნათესავთმთავრისა<sup>4</sup>, წელსა მეცხრესა, თუქსა პანემოსსა.

262 პოვნა უკუე ათინელთაცა ერისაგან პატრიკნი ვრკანოს, მრავლად საკმარქმნულმან მათთვის. თანად და წარუვლინნეს მას ნაწერნი, ამის სახესა მქონებელნი: „მთავრობასა და მღდელთმთავრობასა დიონესიოჲს ასკლიპიადოჲსსა, თუქსა პანემოჲსა ხუთად წარმავლობასა მიეცა მკედართმთავართა ათინელთა გამოსაძიებელი. აღათოკლოჲს ზე მთავრისა ევკლის მენანდროჲსი<sup>4</sup> აღიმუსიელი / მწიგნობრობდა მუნ კვიონისა მეთერთმეტესა, წინამდგომელთა განმგებლობასა. შესაკრებელ იქმნა თეატრონსა შინა და მათ თანა სჯიდა დოროთეოსცა მღდელთმთავარი და პირველმჯდომნი ერისანი. დიონესიოს დიონესიოჲსმან თქუა: ვინაჲთგან ვრკანოს აღექსანდროჲს ძე, მღდელთმთავარი და ნათესავთმთავარი იუდელთა, არს და ზოგად ერისა და თითოეულად მოქალაქეთა ყოველთა მოყუარე და ყოველსა მოსწრაფებასა მკუთმეველი მათთვის და თონელთა, მიწვენულთა გინა ვედრებად, ანუ თუსითა მიზეზითა, მსგავსადვე სიყუარულით შეიწყნარებეს და წარმოავლენს უშიშსა სავალსა, მოურნე მათთვის, პირველდცა ვიდრემე წამებულ არს ამათთვის და აწ ვინაჲთგან თეოდოსიოს თეოდოროჲს სუნიეოჲსმან მოგვთხრა<sup>5</sup> და მამაკაცისა სათნოებაჲ შეაჯსენა ერსა, და ვითარმედ წადიერებაჲ აქუს ქმნად ჩუენდა მომართ, რომელსაცა რას კეთილსა შემძლებელ არს, გუთნავს პატრივისციემად მამაკაცისაჲ ოქროსა გვრგვნითა პატრივად მისა სჯულისაებრ და აღმართებად რვალისა ხატსა მისთვის ტაძარსა შინა ერისა და მადლთასა. ხოლო რაჲთა თქუან ესე გვრგვნი თეატრონსა შინა დიონესიოთა სამღერთასა, ახალნი რაჲ სრულ-იქმნებოდიან და

1 მიუქმცნო A. 2 სკლიტობასა A. 3 ნოსემორერისა A. 4 მენანდროჲსი A, მენა Q. 5 მგვთხრა A.

\* შიქჲ ექვს Ὁμοίως εἶπε 14<sub>146</sub> (ტაძრის საკუთარი სახელი, რომლის შესატყვისი საზოგადო სახელი ἡ ἑκείνου ნიშნავს „ერთსაგონიერებას“, თარგმნილია და თანაც არასწორად: ἡ ἑκείνου ნათარგმნი = ერთი და იგივე, საერთო). 1\* εἰς τὴν ἑκείνου 14<sub>147</sub> (ὁ ἀγίως = ნავსადგური).

ყოველ-ათინანი\* და ელევსინნი და გამოძარცვეთინი ლუაწლნი. ხოლო იზრუ-  
ნონ მკედართმთავართა, რაათა დადგრომილსა და დამცველსა ჩუენდა მოძარ-  
თისა სიყუარულისასა ყოველიე ნაცვალ-ეგებოდის პატივად და მადლად  
მოსწრაფებასა და პატივისმოყუარებასა მამაკაცისასა, რაათა ესენი რაჲ იქმ-  
ნებოდინან, ცხად-იყოს, ერი ჩუენი ვითარმედ შეიწყნარებს კეთილთა და შე-  
სამსგავსთა ნაცვლისგებათა აღირსებს და მოსწრაფე იყუნენ ჩუენისა სიყუა-  
რულისა მოძარტ აწინდელთა პატივისათვის. ხოლო გამოარჩინეს მოხუცებულ-  
ნიცა ყოველთა ათინელთაგან, რომელნი მათ მიერ განბჭობილსა მიმღებელ  
იქმნეს მისა მიმართ და ეკედრნენ მიმთუალველსა პატივთასა, რაათა მოსწ-  
რაფე იყოს მარადის კეთილსა რომელსავე ქმნად ქალაქისა მიმართ მათისა.  
რომთა მიერნი უკუე და ერისა ათინელთაჲსა პატივისა ვრკანოჲს მიმართ უწ-  
ყებულ არიან ჩუენ მიერ კმასაყოფელად.

მ. 9

1. ხოლო კესარ. განმგებელი სვრიაჲსა შინათაჲ: წარვიდა მიერ. და ვინა-  
თგან კესარისა წარმავლენელი ანტიპატროს სვრიაჲთ იუდეუდ უკუნ-იქცა,  
შეყუსეულად აღჰმართა ზღუდე, პომპიოჲს მიერ დამკობილი და სოფლითი-  
სოფლად მავალი დააწყნარებდა შფოთსა, ერთხამად მაქადებელი რისხვისაჲ  
და განმანჯარებელი დაწყნარებისაჲ, რამეთუ ვრკანოჲს თვისთა მბრძნობთა  
კეთილბედობით ცხორებასა და თვისთა მონაგებთაგან შუებასა აღუთქუმიდა  
უშფოთველად, ხოლო რომელნი შეუდგენ უჭაბუკისთა სასოებათა და მათ  
შიერთა შესაძინელთა / ესვიდენ, იგი ვიდრემე აქუნდეს მათ ნაცვლად მოურ-  
ნისა მეუფედ, ხოლო ვრკანოჲსი ნაცვლად მეფისა — მძლავრად და რომნი და  
კესარი ნაცვლად მთავართა — მწარენი მბრძოლნი, რამეთუ არა მოითმინონ  
შეურაცხ-ყოფაჲ მისი, რომელი მათ დაადგინეს. ამათი მეტყუელი დააწყნა-  
რებდა თავისა მიერ თვისისა სოფლებსა შინა შფოთთა.

2. ხოლო ვინათგან უძლურად და მცონარედ ხედვიდა ვრკანოჲს, ფასა-  
ილოს, უმოხუცებულესი ყრმათა მისთაჲ, იეროსოლჴმათა და გარემოჲსთა  
ადგილთა შინა მკედართმთავრად განაჩინა. ხოლო შემდომსა მისსა, ირო-  
დის ღალ-ლეაჲსა განგებაჲ უბრძანა. ყოვლითურთ ჴაბუკად მყოფსა, რამე-  
თუ ხუთნი და ათნი წელნი მხოლოდ ქმნულ იყუნეს მისთვის. გარნა არარას  
ავნებდა მას სიჭაბუკე, არამედ გონიერებითა მკნედმყოფმან ჴაბუკმან მიზუზი  
პოვა მეყუსეულად გამოსაჩინებლად სათნოებისა თვისისა, რამეთუ მკოვენლ-  
მან ეზუკია ავაზაკთმთავრისამან, რომელი არბევდა მახლობელთა სვრიაჲსათა,  
მრავლისა სიმრავლისა თანა მბრძოლმან მისმან მოაკუდიანა მრავალნი მის  
თანანი ავაზაკნი. და ფრიად შეიყუარეს სურთა საქმე ესე მისი, რამეთუ გან-  
წმიდა ქუეყანაჲ მათი, რომელთა სუროდა განთავისუფლებაჲ საავაზაკოჲსა-  
გან. აქუნდეს უკუე მას ამისთვის დაბათა შინა და ქალაქთა, ვითარ მშვდობისა  
მიმნიჭებელსა მათთვის და უშფოთველსა შუებასა მონაგებთაგან<sup>1</sup>. ხოლო იქმნა

<sup>1</sup> მონაგებთაგან A.

\* Παναθηναϊαίς 14, 188. et Παναθηναϊαίς = პანათენეოთენის საბატუცემულო დღესას-  
წაული, რომელი აღინიშნებოდა 28 ჰექატომბონს, ყოველი თლმზიდის მესამე წელს. დღესასწაუ-  
ლის სახელწოდების პირველი ნაწილი თარგმნილია.

ამისთვის საცნაურ სექსტომასცა კესარისა, რომელი იყო ნათესავი დიდისა კესარისა და განაგებდა სკრიასა. შური უკუე შეუვდა იროდის მიერ ქმნულთათვის ფასილოსს, ძმისა მისსა, და სიმკნისა მისისა მიმართ აღძრული მოსწრაფე იყო არა დაკლებად მსგავსისა ქებისაგან. და იეროსოლუმამასა შინა მყოფთა მოყუარე თვისა ჰყოფდა, ამისთვის მქონებელი ქალაქისაჲ, არცა უშუერებით მკუმეველი საქმეთაჲ, არცა მაგინებელი კელმწიფებისაჲ. ესენი ანტიპატროსს ჰყოფდეს განსუენებისა სამეფოასა და პატივთა მიმთხუევად, რომელთა მიმღებელ იქმნეს ვინმე, ყოველთა მეუფედ მყოფი. და ამათ მიერისა ვიდრემე ბრწყინვალებისათვის, ვითარ საყუარელ არს მრავალგზის შემთხუევად. ვრკანოას მიმართსა სიყუარულსა და სარწმუნოებასა არა გარდაჰკდა.

3. ხოლო მთავარნი იუდელთანი, მხედველნი ანტიპატროსნი და ძეთა მისთანი მის თანა დიდად აღორძინებულად სიყუარულისათვის ნათესავისაგან და შესაძინელისათვის იუდეასა და ვრკანოას საკმართაგან, ბოროტჩუეულებით მქონებელ იყვნეს მისა მიმართ. და სიყუარულსა მოქმედ იყო ანტიპატროსს თვთმპყრობელთა მიმართ რომისათა და მარწმუნებელი ვრკანოასი საკმართა წარვლენბად, თვთ, მიმღებელი, განიწესებდა ძღუენსა ვითარ მისსა და არა ვითარ ვრკანოას მიცემულსა წარავლინებდა თვთმპყრობელთა მიმართ. ამათჲსმენელი ვრკანოს არა ზრუნვიდა, არამედ ფრიად იხარებდა.

263 ხოლო შიშსა შინა იყვნეს პირველნი იუდელთანი, მხედველნი იროდისნი იძულებით და კადნიერებით და მძლავრებით გულისმთქუმელისანი. და მისრულნი ვრკანოას მიმართ ცხადად შესამენდეს ანტიპატროსს: „და ვიდრემდის, ეტყოდეს, ქმნულთა ზედა სდუმ, ანუ არა ხედავა ანტიპატროსს ვიდრემე და ძეთა მისთა მთავრობისა მომრტყმელთა, ხოლო შენ მხოლოდ სახელი მეფობისაჲ გესმის? არამედ ნუ უმეცარ ხარ, ამათ, ნუცა გარეგან ძვრხილულობისა ჰგონებ ყოფასა, მკონარე თავისა თვისისათვისცა და მეფობისათვის, რამეთუ არა ზედღამხედველნი საქმეთა შენთანი არიან ანტიპატროსს და ყრმანი მისნი აწ, ნუცა აცთუნებ თავსა თვისსა ამისი მგონებელი, არამედ მეუფედ აღსაარებულ არიან ცხადად. და რამეთუ იროდი, ყრმამან მისმან, ეზეკია მოაკუდინა და მის თანანი, გარდასრულმან სჯულთა ჩუენთამან, რომელი დააყენებს მოკუდინებასა კაცისასა, დადაცათუ ბოროტი იყოს, არა თუ პირველ დაისაჯოს. შესაკრებელისა მიერ ამას ვნებად. და არა მიმღებულმან კელმწიფებისამან შენგან, ესენი იკადრნა.“

4. ხოლო ვრკანოს, მსმენელმან ამთმან, ირწმუნა. და უფროასდა აღძრეს რისხვაჲ მისი დედათა მათთა, რომელნი მოისრნეს იროდის მიერ, რამეთუ ესენი დღითი-დღე ტაძარსა შინა მვედრებელ იყვნეს მეფისა და ერისა, რაჲთა მსჯავრი მოქმედებულთაჲ მისცეს იროდი შორის შესაკრებელისა. და აღძრულმან ამათ მიერ ვრკანოსს მოუწოდა იროდის სიტყვსკვებად, რომელთათვის შესამენდეს. ხოლო იგი მივიდა განზრახვისაებრ მამისა თვისისა, რაჲთა არა ვითარ მსოფლიოჲ, არამედ შემზადებისა თანა შევიდეს და დაცვისა სხეულთა მისთამსა. და თანად ღალილეასა შინანი, ვითარ სახედ ჰგონებდა უმჯობესყოფასა მისთვის, შეისაკუთრნა და სიმრავლისა თანა კმასაყოფელისა გზასა ზედა წარვიდა, რაჲთა არცა საშვი იგონოს ვრკანოას მიერ, მრავლისა მკედრობისა თანა მიწვეული და არცა შიშუელი და განუკრძალველი მივიდეს მსჯავრისა მიმართ. სექსტოსს ვიდრემე უკუე, მთავარმან სკრიამასამან, მიუ-

წერა ვრკანოსს და ევედრებოდა განტევებასა იროდისსა მსჯავრისაგან და რისხვასა აქადებდა. არა თუ ისმინოს. ხოლო სექსტოას მიერნიცა წერილნი მიზენნი იყენეს განტევებისათვის იროდისა და არცა ერთსა ვნებისათვის შესაკრებელისაგან, რამეთუ უყუარდა იგი, ვითარ ძე. ხოლო შევიდა რამ შორის შესაკრებელისა იროდი მისთა მკედართა თანა, განაჯრთუნა ყოველნი და მიერთვან არცა ერთი ვინ პირველმიწვევისა მისისა შემასმენელთაგანი იკადრებდა შესმენასა მისსა, არამედ იყო დუმილი და უღონობაჲ თუ რომლისაჲ ჯერ-არს მოქმედებაჲ. ხოლო ესრეთ რამ მღებარე იყენეს, ერთმან ვინმე; საშეა სახელით, მართალმან მამაკაცმან და ამისთვის მოშიშებისაგან უმჯობესმან, აღდგომილმან თქუა: „მამაკაცო ერთკრებანო და მეფეო! სამსჯავროდ ვიდრემე არცა თვთ მე უწყი ოდესვე მის ქუეშე თქუენ მიერ წოდებულთაგანი ესრეთ / წარმოდგომილად, არცა თქუენ მიერ თქუმასა ვპკონებ ამისა, არამედ ყოველი, ვინცა ვინ მოვიდის ამას სამსჯავროსა განსაკითხავად, მდაბლითა: და მოშიშითა სახითა წარმოდგის და წყალობასა მოინადირებდის თქუენგანს, მათთა განმშლელი და შავსა სამოსელსა შემოსელი. ხოლო რჩეული ოროდო, კლვისა მსჯავრსა მლტოლველი და ესევეთარისა მიზენისათვის წოდებულნი, მდგომარე არს პორფერასა მომღებელი და თავისა შემამკობელი დაწყობილებითა თმისაჲთა და გარემოჲს მისსა აღკურვილთა მქონებელი, რაჲთა, უკუეთუ დაესაჯოთ! იგი სჯულისაებრ, მოგუაყუდინენეს ვიდრემე ჩუენ, ხოლო თვთ ცხონდეს, მძძალაერებელი სამართლისაჲ. არამედ იროდის ვიდრემე ამათთვის არა ვაბრალებ, უკუეთუ უმჯობესისა თვისისათვის მოსწრაფე არს, ვიდრელა სჯულისა, ვინაჲთვან თქუენ და მეფეცა ესოდენსა მოცალეებასა მიანიჭებთ მას. უწყოდეთ უკუე, დიდი ღმერთი\*, ვითარმედ ამან, რომლისა განტევებასა მნებებელ ხართ აწ ვრკანოასთვის, გტანჯნეს თქუენ ოდესმე და თვთ იგი მეფეცა“.

ხოლო არა განცრუენა ერთსაცა თქუმულთაგანსა ზედა, რამეთუ იროდი, სიმღებელმან მეფობისამან, ყოველნი შესაკრებელისა შინანი მოაყუდინნა და თვთ ვრკანოსცა გარეშე სამეფასა, რამეთუ ფრიად პატიე-სცა მას სიმართლისა ძლით და რამეთუ შემდგომად ამითსა, გარემოდგომილ იყო რამ ქალაქისა იროდი და სოსისოს, განაზრახა ერსა შეწყყნარებაჲ იროდისი, მეტყუელმან, ვითარმედ ცოდვათა მათთათვის არა შესაძლებელ არს განლტოლვაჲ მისგან. და ამათთვის ვიდრემე ადვილსა თვისსა ვთქუათ.

5. ხოლო ვრკანოს ვინაჲთვან ხედვიდა შესაკრებელსა აღძრულსა მოკუდინებისათვის იროდისა, სხუასა დღესა გარდადვა სასჯელი და ფარულად წარმავლინებელმან იროდის მიმართ განაზრახა მას ლტოლვაჲ ქალაქისაგან, რამეთუ ესრეთ განველტო სიკუდილსა. და იგი ვიდრემე წარვიდა დამასკოდ, ვითარ მეფისაგან მლტოლველი. და სექსტოას მიმართ მიწვეულმან განიმტაცნა თავისა ძლითნი და ესრეთ მქონებელ იყო, ვითარმედ უკუეთუ კულად იწოდოს შესაკრებელად სამსჯავროესა მიმართ, არა ერჩდეს მას. ხოლო მწუხარე იყენეს შესაკრებელისანი და ვრკანოსს ეტყოდეს, ვითარმედ ყოველთა თავისა თვისსა ბოროტისათვის იქმს. ხოლო იგი არცა უმეცარ იყო, არამედ ქმნასა არცა ერთისასა შემძლებელ იყო უმჯნობისათვის და უგუნურებისა.

1 დაესაჯოთ A.

\* Ἰσὴε ἰσθῆτος μέγας εὐθ' ὄνδρ 14,14 (ლიდი არს ღმერთი).

ხოლო სექსტოს უქმნა იროდი მკედართმავერად ღელესა შინა სკრა-  
 მსასა, რამეთუ სავმართა ძლით მისცა მას ესე, რომლისათვისცა ურკანოს ში-  
 სა შინა იყო, ნუსადა განემკედროს მას ზედა იროდი. ხოლო არა მრავალი  
 ამის შიშისა მიმყოფრებულ იქმნა, არამედ მივიდა მას ზედა იროდი, მი-  
 ყვანებელი მკედრობისაჲ, მრისხანე მისდა მსჯავრისათვის და სიტყვისგებასა  
 შიკემად მიმკვლი მიწოდებისათვის შესაკრებელსა შინა. ხოლო დააყენეს იგი  
 ბრძოლად იეროსოლჷმათა მამამან ანტიპატროს და ძმამან, მიგებებულთა მის-  
 თს. და მიმართებაჲ მისი დააცხრევს და / ევედრნეს საქმით ვიდრემე არცა  
 ერთსა კელ-ყოფად, გარნა შინებით მხოლოდ ქადებად რისხვისა და არარას  
 უმეტესსა ქმნად მიმნიკებელისა მისთვის ესევითარსა პატივსა მიწვენად. და  
 ევედრებოდეს განრისხებულსა სამსჯავროდ მიწოდებისათვის, რაჲთა მოიკენოს  
 შენდობისაჲ და მადლი უწყოდის მისი და რაჲთა არა ძკრის-ყოფასა მხო-  
 ლოდ მოიკნენებდეს, ხოლო ცხოვნებისათვის უმადლო იყოს და რაჲთა გულის-  
 ქმა-ყოს, ვითარმედ უკუეთუ ბრძოლისა მიმართებანი მოსცნეს ღმერთმან  
 ურკანოსს, უმრავლესი იყოს უცხადობაჲ მკედრობისაჲ\*; რომლისათვისცა ნუ  
 ყოვლითურთ მგონებელ ხარ ძლევისა მეფისა და თანაზრდილისა მიმართ  
 ბრძოლასა მგულბელი, მრავალთა ვიდრემე კეთილთა მიმთხუეული და არცა  
 ერთსა ბოროტსა მგნებელი მისგან. ხოლო რომელთათვის აბრალებ, ბოროტთა  
 განმზრახთა მიერ იქმნა და არა მისგან, გონებასა გინა აჩრდილსა ძკრისა რომ-  
 ლისასა ვიდრე მქონებელისაგან.

ირწმუნა ამათი იროდი, რამეთუ ჰგონებდა სასოებათა შინა, ვითარმედ  
 კმა-არს მისთვის ძალსა მხოლოდ ჩუენებაჲ ნათესავისათვის. და იუდეამსანი  
 ვიდრემე ესრეთ მქონებელ იყვნეს.

## თ. 10

1. ხოლო კესარ, განსრული რომით, მზა იყო წიაღსღვად აფრიკასა ზედა  
 ბრძოლად სკიპრონისა და კატონისა. წარავლინა უკუე ურკანოს მისა მიმართ,  
 მვედრებელმან დამტკიცებად მისა მიმართსა სიყუარულსა და თანაშემწეობასა.  
 ხოლო მთნდა მე საკვიროდ ყოფაჲ, რაჲთა გარდმოვსცნე ყოველნი პატივნი და  
 თანაშემწეობანი, რომელნი იქმნნეს რომთაგან და თვთმყურობელთა მათთა ნა-  
 თესავისა მომართ ჩუენისა, რაჲთა არა დაეფაროს სხუათა ყოველთა, ვითარ-  
 მედ ასიამსა და ევროპისა მეფეთა სიყუარული აქუნდა ჩუენდა მომართ, სიმკ-  
 ნისა და სარწმუნოებისა შემყუარებელთა. ხოლო ვინაჲთგან მრავალნი ჩუენდა  
 მომართისა სიძულილისათვის არა ირწმუნებენ სპარსთა და მაკედონთა მიერ  
 აღწერილნი: ნუცხს, რამეთუ არა ყოველთა ადგილთა, არცა საზოგადოთა  
 შორის სხენან. ხოლო რომთა მიერისა ბრძანებისა არა არს წინააღღგომად,  
 შორის სხენან. ხოლო რომთა მიერისა მბრძანებისა არა არს წინააღღგომად,  
 რამეთუ საეროთაცა ადგილთა შინა ქალაქთასა მდებარე არიან და მერმე და  
 იწცა კაპეტოლიოსა შინა რვალისა ძეგლთა ზედა აღწერილ არიან. არა უკუე,  
 არამედ და კესარ იულოოსცა აღუქსანდრიას შინა მყოფთა იუდელთა უქმნა  
 ძეგლი რვალისაჲ და აუწყა, ვითარმედ აღუქსანდრიელთა მოქალაქენი არიან

\* *πλεονεξία τῆς στρατείας τῆς ἑξῆς* 14, 188 (=იმდენად ღლია მის მიერ წამოწყებულ  
 ბრძოლს უსამართლობა... თარგმანში „უცხადობა“ გაჩნდა მიტომ, რომ ის იმეორებს იმ ნუსხათა  
 ჩუენებს, სადაც *ἑξῆς*-ის ნაცვლად არის *ἐπιπλεον* rell. ტ. VII, გვ. 544).

და ამათგან ვყო მე აღმოჩენამ. ხოლო დავსხნე სუცკლიტობისა მიერ ქმნულნი ბრძანებანი და იულიოას კესარისანი ვრკანოას მიმართ და ნათესავისა ჩუენისა.

2. „ღაიოს იულიოს კესარ, თვთმპყრობელი და მღღელთმთავარი, დიკტატორი მეორედ, მთავართა სიდონელთა, განზრახვასა, ერსა, მხიარულებაჲ! უპუეთუ ჰმართელობთ, კეთილ სადმე არს და მეცა ვმრთელობ მკედარ-ბანაკებისა თანა. და წერილი, რომელი იქმნა ფიცარსა ზედა რვალისასა ვრკანოას მიმართ, ძისა ალექსანდროასა, მღღელთმთავარი/სა და ნათესავთმთავრისა იუდეელთაასა, წარმომივლენიეს თქუენდა ნაცვალნაწერი, რაჲთა საერთო თქუენთა წერილთა შინა დაიწეროს, ხოლო მნებავს ელლინურად და რომაულად ფიცარსა ზედა რვალისასა დაწერაჲ ამისი. არს უკუე ესე: „იულიოს კესარმან, თვთმპყრობელმან მეორედ, მღღელთმთავარმანცა, მეცნიერებითა განზრახვისაჲთა ვსაჩე: ვინაჲთგან ვრკანოს, ძე ალექსანდროასი, იუდელო, და აწ და უწინარესთაცა ჟამთა მშვდობასა შინა და ბრძოლასა სარწმუნოებაჲ ჩანად და მოსწრაფებაჲ საქმეთა ჩუენთათჳს აჩუენა, ვითარ უწამებიეს მისთჳს მრავალთა თვთმპყრობელთა და მახლობელსა, ბრძოლასა შინა ალექსანდროასასა ათასხუთასთა მკედართა თანა მოვიდა თანამბრძოლად და მითრიდატის მიმართ წარვლინებულმან ჩემ მიერ ყოველთა მკედრობისა შინათა ვარდაჰმატა სიმკნითა, ამათ მიზეზთათჳს ვრკანოას, ალექსანდროას ძისაჲ და შვილთა მისთაჲ ნათესავთმთავრად იუდელთად მნებავს ყოფაჲ, ხოლო მღღელთმთავრობაჲ იუდელთაჲ სამარადისოდ აქუნდეს მათ მამულთა წესთაებრ და იყოს იგი და ყრმანი მისნი თანაშემწენი ჩუენნი, თანად მოყუარეთა შორის მამაკაცთა შერაცხილ იყვენენ<sup>1</sup>. და ამას თანა სჭულთა მათთაებრ, რაოდენნი არიან მღღელთმთავრობითნი და კაცთმოყუარებითნი, ამათსა ქონებასა ვბრძანებ მის მიერ და შვილთა მისთა. ხოლო უკუეთუ იქმნეს ძიებაჲ რაჲელიმე საშუვალ იუდელთა მოქალაქობისათჳს, მთნავს მე, რაჲთა იქმნეს ჩუენ შორის ამისი განსჯაჲ. ხოლო დაზამთრებასა და სავმართა სყიდასა შეუნდობ“.

3. „ღაიოას კესარისა, თვთმპყრობელისა, ვპატოსისა, თნებულნი, შენდობილნი, განბჰობილნი ესრეთ მქონებელ არიან: რაჲთა შვილნი მისნი იუდელთა ნათესავისა მთავრობდენ და მიცემულთა აღვილთა მონიყოფიერებდენ და მღღელთმთავარი იგი და ნათესავთმთავარი იუდელთაჲ და უსამართლოებულთა იუდელთა უსჯიდეს. და თანად წარავლინა ვრკანოას მიმართ, ალექსანდროას ძისა, მღღელთმთავრისა იუდელთაჲსა, მოხუცებულნი, რომელნი ეზრახნენ მას სიყუარულისა და თანაშემწეობისათჳს. და დიდვან რვალისაცა ფიცარი, ამათი მქონებელი, კაპეტოლიოსა შინა და სიდონს და ტუროსს და ასკალონს და ტაძართა შინა, გამოსახულნი წერილთა რომაულთა და ელლინურთა. და რაჲთა თანად ბრძანებაჲ ესე ყოველთა მიმართ ქალაქითი-ქალაქად განმგებელთა და მთავართა მათთა და მოყუარეთა მიმართ აღიღონ და ნიჭთა მისცემდენ მოხუცებულთა და ბრძანებათა წარავლენდენ ყოველით კერძო“.

<sup>1</sup> იყოფენ.

4. „ლაიოს კესარმან, თვთმპყრობელმან, დიკტატორმან, ვპატროსმან, პატივისა ძლით და სათნოებისა და კაცთმოყუარებისა მიუტევა უმჯობესისათვის სენკლიტოსთაჲსა და ერისა რომთაჲსა ვრკანოსს, ალექსანდროჲს ძესა და შვილთა მისთა, რაჲთა მღღელთმთავარ და მღღელ იეროსოლჳმათა და ნათესავისა იყენენ სამართალთათვის და სჯულთა\*, / რომელთათვის და მშობელთაცა მათთა მადლობად მათი დაიპყრეს“.

5. „ლაიოს კესარ, ვპატროსმან მეხუთედ, საჯა ამათი ქონებად მათ მიერ და შეზღუდვად იეროსოლჳმათა ქალაქისაჲ და რაჲთა აქუნდეს ვრკანოსს, ალექსანდროჲს ძესა. მღღელთმთავარსა იუდელთასა და ნათესავთმთავარსა, ვითარცა იგი მნებებელ იყოს და რაჲთა იუდელნი მეორესა წელსა მიზღობისასა მისავალისა ხარკთაგან თავისუფალ იყენენ და არცა მოქმედებდენ, არცა მათეუ ხარკთა მოსცემდენ“.

6. „ლაიოს კესარმან, თვთმპყრობელმან მეორედ, განაწესა, რაჲთა წლითი-წლად მისცემდენ ხარკთა იეროსოლჳმელთა ქალაქისათვის, იოპპით ვარეშე. მეშუდისა წლისა, რომელსა საშაბათოდ წელიწდად უწოდენ, ვინაჲთგან ჰას შინა არცა ხეთაგან ნაყოფსა მიიღებენ, არცა სთესვენ და რაჲთა სიღონს შინა მეორესა წელსა ხარკსა მისცემდენ მეოთხესა დათესულთასა და ამათანა რაჲთა ვრკანოსს და შვილთა მისთა ათეულსა მისცემდენ, რომელსა და მშობელთაცა მათთა მისცემდეს და რაჲთა არცა ერთი ვინ, გინა მთავარი, ანუ მკვდართმთავარი, ანუ წარვლინებული საზღვარსა შინა იუდელთასა, და ადგილებდეს თანაშემწეთა და მკვდართა, გინა შემძლებელ იყოს საკმართა მიკლასა მათგან, გინა დაზამთრებისა ძლით, ანუ სხვსა რომლისამე სახელისათვის<sup>1</sup>, არამედ ყოვლით კერძო დაუჭირებელ იყენენ. თანად შემდგომად ამათ ყოველთაჲსა, რაოდენი დაიპყრეს, გინა მოიცილდეს და დაიპყდრეს, ესე ყოველნი აქუნდენ მათ. ხოლო იოპპი ქალაქი, რომელი პირველითგანვე აქუნდა იუდელთა<sup>2</sup>, რომთა მიმართ სიყუარულისა მოქმედთა, მათთვის გუთნავს ჩუენ ამისი ყოფნა, ვითარ და პირველცა. ხოლო ხარკთა ამის ქალაქისათვის ვრკანოსს, ალექსანდროჲს ძე და ყრმანი მისნი ქუეყანისა მკვდრთაგან ადგილთა, ლიმენათა, სასყიდლით მიმღებელთაგან, წლითი-წლად მისცემდეს სიღონს შინა მოდთა ორთა ბევრთა და ექუსას სამეოცდაათხუთმეტთა, ვარეშე მეშუდისა წლისა, რომელსა შაბათად უწოდენ, რომელსა შინა არცა ანეულპყოფენ, არცა ხეთაგან ნაყოფსა მიიღებენ. და თანად დაბანი, დიდსა ველსა შინა მყოფნი, რომელნი ვრკანოსს და მშობელთა მისთა დაეპყრენს უწინარეს, სთნავს სენკლიტობასა ამათი ქონებად ვრკანოსს და იუდელთა მიერ სამართალთა ძლით, რომელთათვის და პირველცა აქუნდეს. ხოლო დაადგრენ დასაზამითგანნიცა სამართალნი, რაოდენნი იყენეს იუდელთა და მღღელთმთავართა შორის ურთიერთას მიმართ და კაცთმოყუარებანიცა, რაოდენნი განბჭობილთა ზოგადობისა და სენკლიტობისაჲთა აქუნდეს და ამათ სამართალთა კუმევისა შემძლებელ იყენენ, ლვდთა შორის. და თანად ადგილთა<sup>3</sup> და სოფელთა და საპყდრებელთა, რაოდენნი მეფეთა სურიაჲსა და ფენიკისათა, რომელნი თანაშემწედ რომთა იყენეს და ნიჭებით მიეცნეს ადგილნი ესე, რაჲთა მოინა-

<sup>1</sup> სახლისათვის *ἀρχαίαι* 14<sup>288</sup> (ბ *δομα* = 1) სახელი; 2) საბაბი. ამ კონტექსტში იგულისხმება მეორე მნიშვნელობა. <sup>2</sup> იუდელთა ქალაქი A. <sup>3</sup> ადგილთა A.

\* დაწყებული ამ ადგილდან 10, 10-მდე Q-ს ტექსტი ნაკლებია.



ჯოფიერებდენ იუღელნი, ამათი ვრკანოას ნათესავთმთავრისა და იუღელთა მერე ქონებაჲ სთნავს სუნკლიტობასა. ხოლო მიეცემოდის ვრკანოსს და ყრმათა მისთა და მოხუცებულთა, მის მიერ წარმოვლინებულთა, ადგილი სახილველო ჟურთით ცემასა მარტოდ/მბრძოლთასა და მკეცასა და მსხდრე იყვნენ სუნკლიტოკოსთა თანა. ხოლო მოითხოვდენ დიკტატორისაგან ანუ ცხენთმთავრისაგან შესლვასა რაჟამს სუნკლიტობისა მიმართ, შეიყვანებოდიან და პასუხათა მისცემდენ მათ ათთა ღღეთა შინა, ბრძანებაჲ რაჲ ექმნეს“.

7. ღაიოს კესარმან, თვთმპყრობელმან დიკტატორმან მეოთხედ, თანად ვპატოსმან მეწუთედ, დიკტატორად განჩინებულმან კეთილისა ცხორებისათჳს, სიტყუანი-ყვნა სამართალთათჳს ვრკანოას, აღექსანდროას ძისათა, იუღელთა მღღელთმთავრისა და ნათესავთმთავრისათჳს ესევეითარნი: „პირველთა ჩემგან თვთმპყრობელთა სამთავროთა შინა უწამებიეს ვრკანოასთჳს, იუღელთა მღღელთმთავრისა, და იუღელთათჳს სუნკლიტობასა ზედა და ერსა რომთასა და მღღელიერ არს ერი და სუნკლიტობაჲ მათთჳს, გუთნავს უკუე ჩუენცა კეთილად მოკსენებაჲ და მოღურნეობაჲ, რაჲთა ვრკანოსს და ნათესავსა იუღელთასა და ვრკანოას ყრმათა სუნკლიტობისა მიერ და ერისა რომთამსა ღირსნი ჩუენდა მომართისა სიყუარულისანი მიეგნენ მათ და ნაცვლად მისსა, რომელი იკეთილმოქმედეს ჩუენდა მომართ მღღლი, ნაცვალ-ეგოს“.

8. „იუღიოს ღაიოს, მკედართმყვანი, ვპატოსი რომთაჲ, პარ-ანელთა მთავართა და განზრახვასა და ერსა, მხიარულებაჲ შემემთხვენეს მე იუღელნი<sup>1</sup> დილოს შინა და ვიეთნიმე მწირნი იუღელნი, ხოლო იყვნეს მოხუცებულნიცა თქუენნი და განმიცხადეს მე, ვითარმედ თქუენ ბჳობით აყენებთ მათ მამულთა და სამღღელითა წესთა კუმეგად. ხოლო მე არა სათნო-მიჩნს ჩუენთა მოყუარეთა და თანაშემწეთა მიმართ ესევეითართა ბჳობათა ქმნად და არა ტევებად, რაჲთა ცხონდებოდიან წესთა მათთაებრ და საყმართა და სამსხუერპლოთა შეწირვად, რაჲთა მას ქმნად არცა რომს შინა დაიყენებიან იგინი. და რამეთუ ღაიოს კესარმან ჩუენმან და მკედართმყვანმან და ვპატოსმან ბრძანებასა<sup>2</sup> შინა მაყენებელმან ქალაქითი-ქალაქად მწყობრთა შეკრებისამან, მხოლოდ ესენი არა დააყენნა არცა საყმართა თანმიღებისაგან, არცა სერობათა თანა ქმნად: ესრეთვე მსგავსად მეცა, სხუათა მწყობრ-მე მიერთა მაყენებელი, ამათ მხოლოდ მიუტევებ მამულთა წესთაებრ და სჯულთა შეკრებად და სერობად. და თქუენცა კეთილად ჰქმნათ, უკუეთუ რომელიცა რაჲვე ჩუენთა მოყუარეთა და თანაშემწეთათჳს ბჳობაჲ გიქმნიეს, ესე უმტკიცო ჰყოთ მათისა ჩუენდა მომართ სათნოებისა და კეთილგონებაობისათჳს“.

9. ხოლო შემღგომად ღაიოსს სიკუღლისა მარკოს ანტონიოსს და პოპლიოს დოლოველლას, ვპატოსად მყოფთა, თანად სუნკლიტობაჲ შეკრიბეს და ვრკანოას მოხუცებულთა, მუნ მიწვენულთა, ეზრახნეს, რომელთათჳს ევედრებოდეს და სიყუარული ქმნეს მათდა მიმართ და ყოველთა მიტევებაჲ საჯა მათთჳს სუნკლიტობამან, რაოდენთა მიმთხუევად მნებებელ იყვნეს, ხოლო დავდვა მათ მიერ თნებულიცა, რაჲთა სიცხადე თქუმულთაჲ მახლობელად აქუნდეს წარმკითხველთა წიგნთასა.

<sup>1</sup> იუღელნი A. ■ ბრძანებაჲ A.

10. იყო უკუე ესევიტარი თნებული სვკლიტობისაჲ სამცველოთაგან, გარდაწერილი ფიცართაგან საზოგადოთა სამცველოთაჲსაჲ/კონიტომას რუტოლომასსა, კონიტომას კორნილიომასსა, განმგებელთა ქალაქითი-ქალაქად. წიგნსა მეორესა: „პირველთაგან აღმწერელთა უწინარეს სამთა დლითა აპრილისაგან ტაძარსა შინა ერთგონებისასა“ იყვნეს ლუკიოს და კარპუნიოს მენტინიასი პისონ, სერუინიოს პაპინიოს ნემონიასი კვინტოს, დიოს კანინიოს ტირიტინა რევილიოს, პოლიოს ტიდიტიოს ლევიკიოს ძე პოპლიაი\*, ლევიკიოს აპულიოს ლევიკიოს ძე სერგია, ფლავიოს ლევიკიოს ძე ნემონია, პოპლიოს პლავტიოს პოპლიოს ძე პაპირია, მარკოს სასელიოს მარკოს ძე მეკია, ლუკიოს ეტილიტინა რუკიოს ლევიკიოს ძე ტილიტინა\*\*, მარკოს კვინტოს მარკოს ძე პოპლია პლავტილოს, პუპლიოს სერრიოს. პოპლიოს დოლოველას, მარკოს ანტონიოს ეპატოსთა სიტყუანი ყვნეს, რომელთათვის თნებულთა სუბერ სვკლიტოსთაჲსა დიოს კვსარმან იუდელთათვის საჯა და სამცველოსა შინა დადებჲ ვერ ასწრო, ამათვის გუთნავს ჩუენ ქმნაჲ, ვითარ და პოპლიოს დოლოველას და მარკოს ანტონიოსს ეპატოსთა სთნავს დადებჲ ამითი ნაწერთა თანა და ქალაქითი-ქალაქად განმგებელთა მიმართ, რაჲთა იზრუნონ მათცა ნაწერთა შინა ორ ფიცართა დადებჲ. იქმნა უწინარეს ხუთთა დღეთა ფევრუარისათა, ტაძარსა შინა ერთგონებისასა. ხოლო წარმოვლინებულნი ვრკანომს მიერ მღღელთმთავრისა იყვნენ ესენი: ლუსიზახოს პავსანიასი, ალექსანდროს თეოდორომსი, პატროკლოს ქერეაჲსი, იზახათის ონიასი.

11. ხოლო ვრკანოს წარავლინა ერთი ამო მოხუცებულთაგანი დოლოველას მიმართ, რომელი იყო მაშინ მთავარი ასიაჲსაჲ, მეედრებელმან, რაჲთა განუტევენეს იუდელნი მკედრობისაგან და დაიციდნენ მამულთა წესთა მათთა და ამათ შინა ცხონდებოდან, რომლისა მიმთხუევიჲ ადვილად ეყო მას, რამეთუ მიმღებელმან დოლოველას ვრკანომს ნაწერთამან და არცა განმზრახველმან მიუმცნო ასიაჲსა შინათა ყოველთა და მიუწერა იუდელთათვის ეფესელთაჲ ქალაქსა, რომელი იყო უპირველესი ასიაჲსა შინა. ხოლო ეპისტოლე ესრეთ სახედ მქონებელ იყო:

12. „განმგებლობასა არტემონისასა პირველსა თუესა ლინეონისასა“<sup>1</sup>: დოლოველას თვთმპრობელი ეფესელთა განზრახვასა და მთავართ და ერსა, მხიარულებჲ! ალექსანდროს თეოდორომს ძემან, მოხუცებულმან ვრკანომს, ალექსანდრომს ძისამან, მღღელთმთავრისა და ნათესავთმთავრისა იუდელთაჲსამან, ცხად-მიყო მე, ვითარმედ არა შემძლებელ არიან აღმკედრებად მოქალაქენი მისნი ამისთვის, რამეთუ არცა საქურველთა ტკრთვად შემძლებელ არიან, არცა სლვად დღეთა შინა შაბათთასა, რამეთუ არცა საზრდელთა მძულთა და წესისაებრთა ღონიერ არიან. მე უკუე, ვითარ და პირველ ჩემსაჲცა მყოფნი მთავარნი, მივსცემ მათ უმკედრობასა და შეუდობ კუმევიჲ მამულთა წესთა სამღღელთა ძლით და წმიდათა, რაჲთა შეკრებებოდინ, ვითარცა სჯულ არს მათდა და შესაწირავთათვის სამსხუერპლოთა. და მნებაჲს, რაჲთა მისწერნო ესენი თქუენცა ქალაქითი-ქალაქად“.

v

\* ἢ ἔσ' ἂν ἔμ: 'Ομεισία 14<sup>210</sup> (საკუთარი სახელთ თარგმნილია. ზემოთ, 8,5-ში, 2139 სახელი „ანბნისაჲსა“ სახით არს წარმოდგენილი). <sup>10</sup> Πάπλιε Τηθύειος Λευκίου υἱὸς Ποπίου 14<sup>210</sup>. <sup>20</sup> Ἰεπίου Ἐρισθίου Λευκίου Σηθηρῆϊνα 14<sup>210</sup>. <sup>30</sup> μινδ: Ἀθ-αιψος 14<sup>215</sup> (იანვარი)

13. „და ესენი ვიდრემე დოლოველას<sup>1</sup> მოანიჲა ჩუენთა უკანოას ევღრებითა მისა მიმართ. ხოლო ლევიკოს ლენტლოს ვპატოსმან თქუა: „მოქალაქენი რომთანი იუდელნი, სამღდელოთა იუდაებრივთა მქონებელნი და მოქმედნი ეფესოს შინა, წინაშე დალიქისა მოშიშებისა ძლით მკედრობისაგან განუტევნა უწინარეს ათორმეტთა ოკრომეროვსა კალანდათასა“. ლევიკოს ლენტლოსა, ლაიოს მარკელლოსა ვპატოსთა თან-იყუნეს ტიტოს ასპიოს ტიტოს ძე ვალბოს ორატიაასი, მოხუცებული, ტიტოს ტონგიოს ტიტოს ძე კროსტომინაასი, კონინტოს კასიოს კონინტოასი, ტიტოს პომპიოს ტიტოს ლონგინოს, ლაიოს სერულიოს ლაიოს ძე ტარიტინაასი ვრაკტოს, ათასთმთავარი, პოპლიოს კლუსიოს პოპლიოს ენორიაასი დალლოს, ლაიოს სენტოს ლაიოს ძე სავვატინაასი“.

„ტიტოს ასპიოს ტიტოს ძე ველოს, მოხუცებული და ნაცვალმკვდართმევანი ეფესელთა მთავართა, განზრახვასა. ერსა, მხიარულებამ! იუდელნი, ასიას შინა მყოფნი, ლევიკოს ლენტლოს ვპატოსმან ჩემსა მკედრებელობასა მათთვის განუტევნა მკედრობისაგან. ხოლო მკედრებელი შემდგომად ამათსა ფანნიოს მკედართმთავარისად და ლევიკოს ანტონიოასი, ნაცვალგანმგებელისად, მივემთხვე“. და თქუენგანცა მნებაეს მოურნეობამ, რაათა არავინ განსცდიდეს მათ“.

14. ბჰობამ დილიელთამ: „ვეკროვს ზე მთავრისა, თუესა თარგილიონსა, ოცსა, განზრახვამ მკედართმთავართამ. მარკოს პისონ, მკედრებელმან, მოწვეულმან ქალაქსა ჩუენსა, რომელი დაწესებულ იყო მკედართმეკრებასა ზედა, მიგვწოდნა ჩუენ და მრავალთა მოქალაქეთა უბრძანა, რაათა უკუეთუ ვიეთნიმე არიან იუდელნი მოქალაქენი რომთანი, არავინ აიძულებდეს მათ მკედრობისათვის, რამეთუ განუტევებიან იუდელნი მკედრობისაგან ვპატოსსა ლევიკოსს კორნილიოსს ლენტლოსს კეთილმედობისა ძლით მოშიშებისა მათისა, რომლისათვისცა გიღირს თქუენ რწმუნებამ მკედართმევანისად“. და მსგავსითვე ამითთა გონებითა კესარმანცა საჯა ჩუენთვის.

15. „ლაიოს ფანნიოს ლაიოს ძე, მკედართმევანი ვპატოსი, კოელთა მთავართა, მხიარულებამ მნებაეს, რაათა უწყოდით, ვითარმედ თუდელნი მოხუცებულნი მოვიდეს ჩუენდა, მკედრებელნი, რაათა მიიხუნენ სუკლიტობისა მიერ ქმნულნი თნებულნი მათთვის. ხოლო ქუეშდაწესებულ არიან თნებულნი. მნებაეს უკუე, რაათა იზრუნვოთ კაცთამ თნებისაებრ სუკლიტოსთასა, რაათა თქუენისა ქუეყანი/სა მიერ მამულსა მათსა უშიშოებით აღუყანებულ იქმნენ“.

267

16. „ლევიკოს ლენტლოს ვპატოსმან თქუა: მოქალაქენი რომთანი იუდელნი, რომელნი საგონებელ იყვნეს ჩემდა სამღდელოთა იუდაებრივთა ქოხებად და ქმნად ეფესოს შინა კეთილმოშიშებისა ძლით, განმიტევიებიან. ესე იქმნა უწინარეს ათსამმეტთა ოკრომეროვსა კალანდათასა“.

17. „ლევიკოს ანტონიოს მარკოს ძე, ნაცვალგანმგებელი და ნაცვალმკედართმევანი, სარდიანელთა მთავართა, განზრახვასა, ერსა, მხიარულებამ

<sup>1</sup> დოლოლოველას AQ, Δολολλοβλεις 14<sub>283</sub>.  
<sup>2</sup> αλασπιδν 14<sub>288</sub> (შეესატყვისება 20 სექტემბერს).

იუდელთა, მოქალაქეთა ჩუენთა, მოსრულთა ჩემდჳ მარხუენეს, ვითარმედ შესაკრებელსა მქონებელ არიან თესაგან მამულთა სჯულთაებრ დასაბამითგან და ადგილსა თესაგან, რომელსა შინა თანად საქმეთა და ურთიერთას მართალთა სიტყვისკვებათა სჯიან. ესე მთხოველთა მივანიჲე მათ, რაათა შემძლებელ იყენენ ამისა ქმნად და დაცვად“.

18. „მარკოს პოპლიოს პურიოის ძემან და მარკოს მარკომსმან და პოპლიოის ძემან ლევკიოს პრქუეს ლენტლოსს ანთუპატოსსა: მოსრულთა ვითარმედ ვასწავებთ მას, რომელთათვის დოსითეოს! კლეოპატრიდისმან აღექსანდრიელმან სიტყუანი ყვნა, თუ ვითარ უყოს მოქალაქეთა რომისათა იუდელთა, რომელნი ჩუეულებასა მქონებელ არიან სამდღელოთა იუდაებრივთა ქმნად. და უკუეთუ სათონ-უჩნს მათ კეთილმოშიშებისა ძლით, რაათა განუტევენეს. და განმიტევებიან უწინარეს ათსამმეტთა ოკტომვრიოისა კალანდათასა, იყენეს კნტილიოის თანა“.

19. „და ლევკიოის ლენტლოისა, ლაიოის მარკელოისა, უპატოსთა, ტიტოს ასპიოს ტიტოის ძე ვალლოს ორატიაისი, მვედრებელი ტიტოს ტონგიოს კროსტომინაისი, კონტოს კაისიოს კონტოისი, ტიტოს პომპიოის ტიტოის ძე კორნილიოს ლონგინოს, ლაიოს სერუილიოს ლაიოის ტირიტინაისი ვრაკტოს ათასმთავარი, პოპლიოს კლუსიოს პუპლიოის ძე ენორიაისი ღაღლოს, ლაიოს ტევეტიოს ლაიოის ემილიაისი ათასმთავრის, სექსტოს<sup>2</sup> ატილიოს სექსტოის ძე ესომიას სესრანოს\*, ლაიოს პომპიოის ლაიოის ძე სავვატინაისი, ტიტოს ასპიოს ტიტოის ძე მენანდროს, პოპლიოს სერუილიოს პოპლიოის ძე სტრაეონ, ლევკიოს პაკიოს ლევკოის კოლლინაისი კაბიტონ, ავლიოს ფრუერიოს პავლოის ძე ტერტიოს, ასპიოს მინას — ამათ წინაშე ლენტლოს თნებული გამოიღო, ვითარმედ მოქალაქენი რომთანი იუდელნი, რომელნი სამდღელოთა იუდაებრივთა მოქმედებად ჩუეულ არიან ეფესოს შინა, წინაშე დალიკისა კეთილმოშიშებისა ძლით მათისა განმიტევებიან“.

20. „ლაოდიკელნი მთავარნი ლაიოსს რავილიოისს ლაიოის ძესა, უპატოსსა, მხიარულებაჲ სობატროს, ვრკანოის მდღელმთავრისა მოხუცებულმან, მოგუცა ჩუენ შენ მიერ წარმოვლინებული ეპისტოლე, რომლისა მიერ გუაუწყებდეს ჩუენ, ვითარმედ ვრკანოის მიერ, იუდელთა მდღელმთავრისა, ▼ /წარმოვლინენ ვიეთინიჲე, წერილთა მომღებელნი ნათესავისათვის მათისა დაწერილთა, რაათა შესაძლებელ იყოს მათ მიერ შაბათთა დაცვაჲ და ნეშტთა დღესასწაულთაჲ აღსრულებაჲ მამულთა სჯულთაებრ და რაათა არავინ უბრძანებდეს მათ იძულებით, რამეთუ მოყუარენი არიან ჩუენნი და თანამბრძოლნი და ნუენ ეუსამართლოების მათ სამთავროსა ჩუენსა შინა და ტრალღანელთა წინააღდგომილთათვის პირის-პირ, ვითარ არა შემწყყნარებელთა ბრძანებულთათვის მათ და გომცნიეს ამათი ესრეთ ქმნაჲ, ხოლო ვედრებულ იქმენცა, რაათა ჩუენცა მოგვწყერნე მათთვის. ჩუენ უკუე, შედგომილთა შენ მიერ მომცნებულთასა, თანად ეპისტოლე მოცემული შევიწყნარეთ და ს-

1 დოსთესოს AQ, Δυσίμοις 14<sup>230</sup>. 2 კესტოს AQ, Σέξταις 14<sup>230</sup>.

\* ὄνο: Αἰμιλία Σεργαῖος 14<sup>230</sup>.

ერთა ჩუენთა წერილთა შინა შთავდეით და სხუათათესცა, ვითარ მოგიმცინეს, ვიზრუნოთ, რამთა არცა ერთისათეს ბრალულ ვიქმნეთ“.

21. „პოპლიოს სერუილიოს პოპლიოას ძე ღალვას, ანთჰატოსი, მილისიელთა მთავართა, განზრახვასა, ერსა, მხიარულებამ! განმგებელი“. ერმის ძე, მოქალაქე თქუენი, მოვიდა ჩემდა, ტრალიას შინა მქცეველისა აგარაკსა შინა და ცხად-მიყო მეცნიერებითა თქუენითა დაყენებამ იუდელთამ მსახურებათა მათთაგან და შაბათთა და სამღდელოთა მამულთა შემსხუერპლეობათაგან და ნაყოფთა მოსთულებად, ვითარცა წეს არს მათესს, დაცულ იქმნენ სჷულნი და ბჷობამ მნებავს უკუე, რამთა უწყოდით. ვითარმედ მე. მსმენელმან სიტყუათა, ჳლომით ქმნულთამან, ვსაჷე არა დაყენებამ იუდელთამ წესთა მათთა კუმევისაგან“.

22. ბჷობამ პერლამინელთამ: „კრიტიპოოს ზე განმგებელისა, თუესა დესიოსა პირველსა, განზრახვამ მჷედართმთავართა“: ვინამთგან რომნი, შუდგომილნი მოქალაქობასა პირველთა მამათასა, ზოგადისა ყოველთა კაცთა სიმტკიცისათეს ძჷრისხილვას! თავს-ისხმენ და პატივისმოყუარებობენ შემწეთა და მოყუარეთა მათთა კეთილბედობით მტკიცესა მშუდობასა შინა დადგინებად, რამეთუ წარუვლენიეს მათდა მიმართ ნათესავსა იუდელთასა და ჳრკანოსს, მღელთმთავარსა მათსა, მოხუცებულნი — სტრატონ, ძე თეოდოტოასი, აპოლონიოს ალექსანდროასი, ენია ანტიპატროასი, არისტოველოს ამენტროასი, სოსიპატროს ფილიპპოასი, მამაკაცი კეთილნი და სახიერნი, და თითოეულად გამომაჩინებულთათეს უბრძანებიეს სჷნკლიტობასა, რომელთათეს უქმნიანცა სიტყუანი, რამთა არარას ავნებდეს ანტიოზოს მეფე, ანტიოზოას ძე, იუდელთა, თანაშემწეთა რომთასა, თანად რამთა სამცველონი და ლიმენანი და ადგილი და სხუამ, რომელი რამვე მოულებიეს მათგან, უჷუნ-სიეს კუალად და არა შესაძლებელ იყოს ლიმენათა განყენებამ და რამთა არავინ უხარკო იყოს იუდელთა ადგილსა ანუ ლიმენათა მათთა განმავალი, მეფე, გინა ერი, გარნა თუ მხოლოდ პტოლემეოს, ალექსანდრიელთა მეფე, რამეთუ შინწე არს და მოყუარე ჩუენი და იოპპისა სამცველო განადგონ, ვითარცა ევედრნეს განზ/რახვასა ჩუენსა. ლუკიოსს პეტრიოსს, მამაკაცსა კეთილსა და სახიერსა, ჰნებიეს, რამთა ვიზრუნვოთ ამთი ესრეთ ქმნამ, ვითარცა სთნავს სჷნკლიტობასა და რამთა განვაგოთ უშიშოებით სახლადმი მათდა ალყენებამ მოხუცებულთამ. ხოლო შევიწყნარეთ განზრახვამანცა და შესაკრებელმან თეოდოტოსს და მივიღეთ ეპისტოლე მისგან და თნებული სჷნკლიტობისამ. ხოლო თეოდოტოსს ვინამთგან თქუნა სიტყუანი მისნი მრავლითა მოსწრაფებითა და გამოაჩინა ჳრკანოას სათნობამ და დიდსულობამ და ვითარმედ ზოგად ყოველთა კეთილისმოქმედ არს და თესაგანცა მისა მიმართ მიწვეულთათეს, თანად ნაწერნი საეროთა ჩუენთა შინა დავსხენით და ჩუენ ყოველთავე ქმნამ ვსაჷეთ იუდელთათეს ბრძანებისაებრ სჷნკლიტოსთამსა, ვითარ მყოფთა თანაშემწედ რომთა. ხოლო ევედრა თეოდოტოსსცა, ეპისტოლესა მომცემელი ჩუენდა, მჷედართა ჩუენთა, რამთა წარავლინონ ჳრკანოას მიმართ ნაცვალნაწერი

268

1 ძჷრისხილვა A Q D.

\* Περσων 14,248 (სჷკუთარი სახელი გაიგებულა საზოგადო სახელ ძ პერსონა-თან და თარგმნილთა). 1<sup>o</sup> ამ ადგილიდან გრძელდება ტექსტი S-ში.

ბკობისა და მოხუცებულნი, რომელთა აუწყონ წადიერებითი მოსწრაფებაჲ ერისა ჩუენისაჲ და რაჲთა ევედრნენ მას დაცვად და აღორძინებად ჩუენდა მომართსა სიყუარულსა და მიზეზ კეთილისა რომელსავე ქმნად და ვითარმედ ნაკვლისგებანიცა ჭეროვანნი მიიხუნეს და რაჲთა მოიქსენონ, ვითარმედ ჟამთა შინა ავრაამოსთა, რომელი იყო მამაჲ ყოველთა ევრაელთაჲ, მშობელნი ჩუენნი მოყუარენი იყვნეს მათნი, ვითარცა ვჰპოვებთ საზოგადოთა შინა წერალთა“.

23. ბკობაჲ ალიკარნასელთაჲ: „მღდლობასა მემნონ არისტიდისასა\* თუესა ანთესტარიონსა სთნდა ერსა მოქსენებითა მარკოჲს აღუქსანდროსითა: ვინაჲთგან ღმრთისა მიმართ პატროსნებაჲ და ღირსებაჲ ყოველსა ჟამსა შინა მოსწრაფებით გუაქუს და შეუდგებით ერსა რომთასა, რომელი კეთილისმოქმედი არს ყოველთა კაცთაჲ და მათ, რომელმან მოწერნეს ქალაქისა მომართი სიყუარულისათჲს იუდელთაჲსა და თანაშემწეობისა, რაჲთა აღსრულებოდინან მათ მიერ ღმრთისა მიმართნი მღდელმოქმედებანი და დღესასწაულნი განწესებულნი და კრებანი, გუთნავს უკუე ჩუენცა, რაჲთა იუდელნი, მნებებელნი, მამაკაცი და თანად დედაკაცი, შაბათთა დაიმარხვიდენ და მღდელმემსხუერპლეობათა სრულ-ჰყოფდენ იუდაებრივთა სჯულთაებრ და ლოცვათა ჰყოფდენ ზღვსა მიმართ მამულისა ჩუეულებისაებრ. ხოლო უკუეთუ ვინმე აყენებდეს, მთავარნი გინა მსოფლიოჲ, ამის ზღვეულებისა თანამდებ იყოს და სასჯელსა მიმცემელ ქალაქისა“.

24. ბკობაჲ სარდიანელთაჲ: „სთნდა განზრახვასა და ერსა მოქსენებითა მკედართმთავართაჲთა: ვინაჲთგან დამკვდრებულნი ქალაქსა ჩუენსა შინა იუდელნი მოქალაქენი, მრავალთა და დიდთა კაცთმოყუარებითა მქონებელნი მარადის ზოგადობის: მიერ და აწ მოწვეულნი განზრახვისა მიმართ და ერისა, მვედრებელ იქმნენ თჲსაგან მიცემითა მათთვის სუკალიტობისა მიერ და ერსა რომთასა სჯულთა და თავისუფლებისა დაცვასა, რაჲთა განწესებულთა სჯულთაებრ შეკრებოდინან და მოქალაქობდენ და არა ვესაჯებოდით მათ, თანად მიეცათ მათ ა/დგილი, რომელსა შინა შეკრებულნი ცოლთა თანა და შვილთა აღუსრულებდეს მამულთა ლოცვათა და მსხუერპლთა. გუთნავს უკუე განზრახვასა და ერსა მიტევებაჲ მათთვის შეკრებად პირველგანჩინებულთა დღეთა შინა და ქმნად სჯულთა მათთაებრ. ხოლო განესაზღვროს მათ ადგილიცა მკედართმთავართა მიერ აღშენებისათჲს და დამკვდრებისა მათისა, რომელიცა ადგილი სთნდეს მათ მარჯუელ ამისა მიმართ და რაჲთა მომსყიდელნიცა ქალაქისანი მოურნე იყვნენ შემოღებად შესამსგავსთა საზრდელთა, რომელთა იკუშევედენ იუდელნი“.

25. ბკობაჲ ეფესელთაჲ: „განმგებელობასა მინოფილომისსა თუესა არტიმისიოსა პირველსა, ნიკანორ ეფეზიომოსმან თქუა: სთნდა ზოგადობასა, მოქსენებითა მკედართმთავართაჲთა, ქალაქსა შინა მყოფნი იუდელნი ერზახნეს მარკოსს და იულიოსს პომპიიოსს, ვრუტოჲს ძესა, ანთუპატოსსა, რაჲთა სრულ-ჰყოფდენ შაბათთა და ყოველთაჲვე იქმოდინან მამულთა მათთა წესთაებრ და არცა ერთი ვინ აენებდეს. უტევა მკედართმთავარმან, რაჲთა სთნდეს განზრ-

\* არისტოტელისა] + αμαξ βξ ποιησει Βθασβμοι 14,266 (= ეონუმოსის ნაშვილების); S: შულობისანერ ეონუმოსსა. D=AQ.

ხეასა და ერსა საქმე რომთა მიერ თნებული და არავინ აყენებდეს დაცვაღღესა შაბათთასა და არცა ვინ მიჰკლდეს პატრესა, არამედ მოჰმედ იყენენ ყოველთავე მამულთა მათთა სჯულთაებრ“.

26. მრავალნი ვიდრემე უკუე არიან და სხუანიცა<sup>1</sup> სენკლიტობისა მიერ და რომისა თვთმპყრობელთა ესევეითარნი ბრძანებანი, ქმნულნი ვრკანოას მიმართ და ნათესვისა ჩუენისა და ქალაქთა მიერნი ბჰობანი და დაწერილნი ეპისტოლეთა მიმართ სამართალთა ჩუენთასა თანჯმობანი<sup>2</sup> მთავართანი, რომელთა მიერ ყოველთათვს შესაძლებელ არს დაწმუნებამ ამათ დაწერილთაგან, რომელნი არა მოშურნეობით წარიკითხვიდენ აღწერილსა ჩუენსა, ვინაჟთგან ცხადთა და საჩინოთა სასწაულთა მომცემელ ვართ რომთა მიმართ ქმნულისა სიყუარულისა ჩუენისათვს, მაჩუენებელნი ამათნი რეალისა ძეგლთა და ფიცართა ზედა კაპეტოლიოსა შინა ვიდრე აჰამომდე დადგრომილად. ყოველთა ვიდრემე აღწერისაგან, ვითარ ნამეტავისა, ერთბამად და უშუერისა ვიჰმენ. ხოლო არავინ შემრაცხოს ესრეთ უგბილი, რომელმანცა არა ირწმუნა ჩუენი რომთა კაცთმოყუარებისათვს, რამეთუ ესე მრავალთა ბრძანებათა მიერ აჩუენეს ჩუენდა მომართ და ჩუენიმცა არა ჰგონა ჰქმნარიტებამ, რომელთათვს ვიტყვთ და რომელთა მიერ აღმოვაჩინეთ რომთა მიმართ ვიდრემე სიყუარული და თანშემწეობამ, მათ ეამთა შინა ქმნული, ცხად-გვქმნეს.

თ. 11

1. ხოლო შემთხუეულ იქმნა მასვე ეამსა შინა აღშფოთებამ სურიასა შინათა ესევეითარისა მიზეზისაგან: ვასოს კიკლიოს, ერთმან პომპიიოას ძლითთა მბრძნობთაგანმან, მზაკუევარებასა მიმღებელმან სექსტოას მიმართ კესარიას, იგი ვიდრემე მოაკუდინა, ხოლო თვთ, მყვდრობისა მისისა მიმყვანებელი, მპყრობელ იყო საქმეთა. თანად ბრძოლამ დიდი აპამიას შინა შედგა, რამეთუ კესარისა მკედართმთავარნი მივიდეს მას ზედა ცხენოსანთა თანა და ჭუეთისა ძალისა. ხოლო მათ ანტიპატროსცა მიუვლინა თანაშემწეობამ შვილთა თანათვსთა, მომკვსენებელმან, რაოდენნი კეთილნი ეყენეს კესარისა მიერ და ამისთვს შურისგებასა და სასჯელსა მკლევლისაგან მიკლად სამართალდ შეშრა/ცხელმან. ხოლო მიყოვრებულ იქმნა რამ ბრძოლამ, მარკოს ვიდრემე მოვიდა რომით მთავრობასა ზედა სექსტოასსა. ხოლო კესარ კასიოოს და ვრუტოას თანათა მიერ შესაკრებელსა შინა მოიკუდინა, დამპყრობელი მთავრობისამ წელთა სამთა და თუეთა ექუსთა. ესე ვიდრემე უკუე სხუათაჲ შინა ცხადქმნულ არს.

269

2. ხოლო კესარისა სიკუდილსა ზედა ბრძოლამ რამ იქმნა და ყოველნი მთავარნი მკედრობისა შეკრებად სხუანი სხუად განიბნეოდეს, წარვიდა კასიოოს სურიად, რამათა მიიყვანნეს აპამიას მყოფნი მკედარნი. და დამკსნელმან ოკრებისამან მიიყვანნა მრჩობლნივე ვასოს და მარკოსცა და ქალაქთა მომელელი საკურველთა და მკედართა შეჰკრებდა და ხარკთა დიდთა დასდებდა მათ ზედა. ხოლო უფროსსა ძკრი უყო იუდეასა, შვდასთა ტლანტთა ვეცხლისათა მიმკდელმან. ხოლო ანტიპატროს, ხედვიდა რამ საქმეთა დიდსა შიშსა

<sup>1</sup> სხუანიცა A. <sup>2</sup> თანქმანი AQS.

და შფოთსა შინა, განუყო შეკრებამ საკმართად და თითოეულსა ძეთა მათთა-  
განსა მისცა მივლად ამითი სოფლებთაგან. რომელნიმე მალიხოსს მისცნა აღ-  
გილნი, ბოროტჩუეულებით მდებარესა მისა მიმართ, ხოლო სხუათაგან უბრ-  
ძანა შეკრებამ. და პირველად ვიდრემე იროდი, ლალილემათ შემკრებელი,  
რაოდენნი ბრძანებულ იყვნეს მისთვის, ფრიად საყუარელ იყო კასსიოზსა. რა-  
მეთუ გონიერად ჰრაცხა რომთა მსახურებამ და მათ მიერსა სიყუარულსა შემ-  
ზადებამ უცხოთა შრომათაგან. ხოლო განისყიდვოდეს მამაკაცი, რაოდენნი  
მოურნენი იყვნეს სხუათა ქალაქთანი და ოთხნი ქალაქნი ოკერ ყვნა კაცთა-  
გან კასსიოს, რომელთაგან იყვნეს უძლიერესნი ლოფნამ<sup>1</sup> თანად და ამჟამისი  
და ამით თანა ლვლად და თამნამ. ხოლო კასსიოს აღიძრა რისხვისა მიერ.  
რადთა მოაკუდინოს მალიხოს, რამეთუ მიიმართა მას ზედა, არათუმცა ვრკა-  
ნოსს, ანტიპატროსს მიერ ასთა ტალანტთა წარმვლენელსა მისთვის, დაეყენა  
იგი მიმართებისაგან.

3. ხოლო ვინამთგან კასსიოს იუდეამთ წარცნდა, მალიხოს ბოროტსა გა-  
ნიზრახვიდა ანტიპატროსთვის, აღსრულებასა მისსა სიმტკიცედ ვრკანოზს  
მთავრობისად მკუქელი. გარნა არა დაეფარა ანტიპატროსს ამითი განმზრახვე-  
ლი, არამედ მცნობელი წარვიდა წიად იორდანისა და მკედრობასა არაეულსა  
ერთბამად და მსოფლიოსა შეკრებდა. ხოლო მალიხოსს, გონიერად მყოფი,  
უარპყოფდა ზედგანზრახულებასა და სიტყუა-უგებდა ფიცით მისთვის და  
ყრმათა მისთათვის და ვითარმედ ფასაილოზს იეროსოლვმთათა მცველობასა,  
ხოლო იროდის საჭურველთა მცველობასა ქონებასა არცა თუ გონებად მოი-  
ლო ესევეთარი რადეე. და ვინამთგან ხედვიდა უღონობასა<sup>1</sup>, დაეგო ანტი-  
პატროსს მიმართ და დაიზაფნეს მარკოზს მკედართმთავრობასა სვრისა შინა,  
რომელმან, აგრძნა რაჲ განლაღებამ მალიხოსის იუდეასა ზედა, მივიდა ვიდრე  
კინიდა მოკუდინებად მალიხოსსა. ხოლო ანტიპატროსს ვედრებითა აცხოვნა.

4. არამედ დაეფარა ანტიპატროსს ცხოვნებამ მალიხოსს, მკლველისა მი-  
სისაჲ, რამეთუ კასსიოს ვიდრემე და მარკოს, მკედრობისა შემკრებელთა,  
ყოველი მოურნეობამ კელთ-უდევს იროდის და მკედართმთავრად განაჩინეს  
იგი ლელესა შინა სვრისასა და ნაენი მისცნეს და ძალი ცხენოსანთა და  
ქუეითთა და აღუთქუეს მას მეფედ იუდეამსა განჩინებამ შემდგომად ბრძო-  
ლისა, რამეთუ შეეწეოდა მაშინ ანტონიოსს და ახალსა კესარსა. ხოლო მალა-  
ხოს, შეშინებულმან მაშინ უმეტეს, შორს ყო ანტიპატროს და ვეცხლითა  
მარქუმნებელმან ვრკანოზს მეღვისამან, რომელსა თანა მარხოზნივე ისერებ-  
დეს, წამლითა მოაკუდინა მამაკაცი და აღჭურვილთა მქონებელი განმზადებ-  
და ქალაქისა მიმართთა. ხოლო ვინამთგან აგრძნეს ზედგანზრახულებამ მამისა  
მიმართ იროდი და ფასაილოზს და ბოროტად მქონებელ იყვნეს, კუალად უარ-  
პყოფდა მალიხოსს და უმეცრებასა მაკუდინებელისასა იტყოდა. და ანტიპატ-  
როს ვიდრემე, კეთილმსახურებითა და სიმართლითა გარდამატებული და მა-  
მულისათვის მოსწრაფებასა მკუქემეული, ესრეთ სახედ აღსრულდა. ხოლო ყრმა-  
თა მისთაგან იროდის ვიდრემე მეყუსეულად აგრძნა შურისგებასა ძიებამ მა-  
მისათვის, მკედრობისა თანა მალიხოსს ზედა მისრულმან. გარნა ფასაილოზს,

<sup>1</sup> უღონობა A.

<sup>2</sup> Γόρυα 14<sup>2</sup>, კოფნა S.



უმოხუცებულესსა, უფროსლა ზაკუვით სათნო-უნინდა მოკუდინებამ მამაკაცისა, ნუსადა მბრძოლად ნათესავისა შეირაცხნენ. თანად და უკუე მალიხოხს სიტყუსგებამ შეიწყნარა და რწმუნებამ იჩემა, ვითარ არცა ერთსა ბოროტსა ზოქმედებად სიკუდილისათუს ანტიპატრომსა, თანად საფლავი შეამკო მამისამ. იროლი აღაშენებდა და კლომასა კაცთასა დაქსნიდა.

5. ხოლო შემდგომად არა მრავლისა, წარმოდგა რამ დღესასწაული იეროსოლუმელთამ, მიიწია მკედართა თანა ქალაქად. და შეშინებული მალიხოხს არწმუნებდა უკანოსს, რამთა არა უწამოს მას შესვლამ. ირწმუნა ვიდრემე უკანოსს, ხოლო მიზეზსა წინა-უყოფდა დაყენებისასა, ვითარმედ არა ჭერარს ერისა უცხოვსა შეწყნარებამ, განიწმიდებოდის რამ სიმრავლე. ბოლო არად შემრაცხელი იროლი მივლინებულთა, შევიდა ლამით ქალაქად და საშინელ ვიდრემე იყო მალიხოვსა. ხოლო მალიხოხს არა დაუტევებდა ჩემებასა, არამედ სტიროდა ანტიპატროსს და აღმოუწოდდა ცხადად, ვითარ მოჰუარე, ხოლო ფარულად დაცვასა ხეულისასა ჰყოფდა. სინდა უკუე იროლის თანათაცა არა მხილებამ ჩემებისა მისისამ, არამედ რამთა უსაეკოდ-უპატოვისმოყუარონ მალიხოხსს.

6. ხოლო იროლი აღსრულებისათუს მამისა თვისა მიუმცნო კასიოსს და მან უკუე. მეცნიერმან ვითარებასა მალიხოხსასა, მიუმცნო იროლის შურსა ძიებამ მანისათუს და წარავლინა ფარულად ათასთმთავართა მიმართ, ტკროსს შინა მყოფთა და უბრძანა, რამთა თანა-შეეწინენ იროლის, სამართალთა ქმნად მგულებელსა. ხოლო ვითარ ლაოდიკიამ დაიპყრა კასიოსს, წარვიდეს მისა მიმართ ზოგად, გვრავნთა და სავმართა მიმღებელნი მისთუს. და იროლი ვიდრემე მალიხოხს, მუნ მიწევნულისაგან, ჰგონებდა მსჯავრისა მიცემასა. ხოლო იგი, ტკროს შინა ფვნიკისასა მე/კუელი საქმისამ, უდიდესთა შეეხებოდა, რამეთუ ყრმამ მისი მძველად მყოფ იყო ტკროს შინა და სინდა ქალაქად მისლვამ და განპარვამ მისი და იუდეად უკუნქევეამ და რაჟამს წარვიდეს კასიოსს ანტონიოხს ზედა, რამთა განმაყენებელმან ნათესავისამან თვთ დაიპყრას მთავრობამ. არამედ წინააღმდგომსა განზრახვისასა მოქმედებდა ბელი, რამეთუ იროლი, გონიერად მყოფმან და გამგონემან განზრახვისა მისისამან, წინა-წარავლინა მონად სიტყვთ ვიდრემე სერსა განზრახვებად და რამეთუ სერებამ მათ ყოველთამ წინაწარვე თქვა, ხოლო ქეშმარიტებით — ათასთმთავართა მიმართ, რამთა არწმუნოს მათ განსლვამ მალიხოხს ზედა მახვლითა. და მათ უკუე, განსრულთა და მახლობელად ქალაქისა შემთხუეულთა მისთუს კიდესამ ზღვსასა, დაწყლეს მამაკაცი. ხოლო უკანოსს, განცვრებული ქმნულსა ზედა, უკმოებად მიდრკა და, ძნად მოსრული თავად თუსად, იკითხვიდა იროლის ძლითთა და თუ რამ არს ქმნული და ვინ მალიხოხს მომაკუდინებელი. ხოლო ვინამთგან მიუგეს, ვითარმედ კასიოსს ბრძანა ესე, აჟო საქმე, რამეთუ ბოროტ იყო ფრიად და მტერ მამულსა. და მალიხოხს ვიდრემე ანტიპატროსს მიმართ უსჯულოებისათუს ესე სასჯელი მისცა.

270

7. ხოლო კასიოსს წარვიდა რამ სკრიამთ, შფოთ იქმნა იუდეასა შინა, რამეთუ ფელიქს, დატევებულმან იეროსოლუმათა შინა მკედრობისა თანად.

1 დაუტევე და A. დაუტევე და Q. 2 კლეს AQ.

მიმართა ფასაილოს ზედა, რაჟამს ერი საჟურველთა შინა იყო. ხოლო ირადი ფავიოსს მიმართ წარვიდა, რომელი იყო დამასკოს შინა მკედართმევანებელი და მნებებელ იყო წარსლვად ძმისა მიმართ, არამედ სენისაგან დაყენებულ იქმნა, ვიდრემდის არა ფასაილოს, უმჯობეს ელიქსისა ქმნულმან, შეაწყუდია იგი გოდოლსა შინა და შემდგომად ამისა ზავითა განუტევა. და თანად ვრკანოსს აბრალებდა, მრავალთა კეთილთა მიმღებელსა მათგან, ხოლო აწ თანაშემწესა მტერთასა, რამეთუ მაშინ ძმად მალიხოასი, განმადგინებელი არაწირეთა სოფელთაჲ. სცივდა მასადასაცა, ყოველთა უმაგრესსა. ამას შინა აღსუბუქნებული იროდი სენისაგან მიიწია და მიმღებელმან მისგან ყოველთა ადგილთამან, რაოდენნი აქუნდეს, განუტევა იგი, ზავთა მოქმედი.

### თ. 12

1. ხოლო ანტილონოს არისტოველოასი შთაიყვანა იუდეად პტოლემეოს მანჯოასმან, რამეთუ სიძე იყო მისი. და შეეწეოდა მას მარიონცა, რომელი ტურელთა მძლავრად დაუტევა კასიოს, რამეთუ მძლავრებისა მიმღებელმან ამან მამაკაცმან დაიძვა სვრიაჲ. ხოლო მარიონ ღალილუად მოიწია, რომელი მახლობელ იყო და სამნი სამცველონი მიუხუნა<sup>1</sup> და მცველთა მიერ სცივდა მათ. და იროდი უკუე: ამასცა ზედა მიწევნულმან, მიუხუნა მას ყოველნივე. ხოლო ტურელთა მცველნი კაცთმოყუარებით განუტევნა. არიან უკუე ვიღონიძე, რომელთა ნიჭნიცა მისცნა, რაჟთა აქუნდეს სიყუარული ქალაქისა მინართ. ამათი მოქმედი მიეგება ანტილონოსს და ბრძოლისა განმამყოზელმან მრსთვის, სძლო და აწლა საზღვართა იუდეაჲსათა შემოსარული, განდევნა მიერ. ხოლო იეროსოლვმად მიწევნულსა გვრგვინთა შეამკობდეს ვრკანოს და თანად სინაელე, რამეთუ აწლა დაწინდებულ იყო ვრკანოას ნათესაჲისათვს. ამისთვის უფროასლა შეეწეოდა მას. მგულებელი მიყვანებად ალექსანდროას, არისტოველოას ძისა, ასულსა, ხოლო ვრკანოას ასულის შვილსა, რომლისაგან იქმნების მამადსამთა წულთაჲ და ორთა ქალთაჲ. ხოლო მიეყვანა უწინარესცა ცოლი. მდაბლის გუარითა, სახელთ დორი, რომელი იყო მისდა ერთის ქუეყანისაჲ, რომლისაგან იქმნა მისა უპირამშოესი ყრმად ანტიპატროს.

2. კასიოსს ვიდრემე უკუე კელთ-იგდეს ანტონიოს და კესარ ფილიპოთა შინა. ვითარ და სხუათაცა მიერ უწყებულ არს, ხოლო შემდგომად ძლევისა კესარ ვიდრემე ღალილიად წარვიდა, ხოლო ანტონიოს ასიად წარემართა. და ვინაჲთგან მიიწია ვითუნიად, ყოველით კერძო მოიწეოდეს მოხუცებულნი და მთავარნიცა იუდეელთანი, შემასმენელნი ფასაილოს და იროდისნი და იტყოდეს, ვითარმედ სახე ვიდრემე შეფობისაჲ ვრკანოსს აქუს, ხოლო ესენი ყოველსა კელმწიფებასა მქონებელ არიან. არამედ ანტონიოსს მრავალთა პატივითა აქუნდა იროდი, მისრული მისა მიმართ სიტყვისგებისათვს შემასმენელთაჲსა. და ამისთვის შეემთხვა შემასმენელთა არცა თუ სიტყვისა მიმთხუევაჲ, რამეთუ მოეყიდა ესე იროდის საქმართა მიერ ანტონიოასგან. ხოლო ვინაჲთგან ეფესოდ მიიწია ანტონიოს, წარავლინა ვრკანოსს მდღელთმთავარმან და ნათესავმან ვედრებჲა მისა მიმართ, გვრგვინი თანად ოქროასაჲ და ევედრ-

<sup>1</sup> მთხუ A, მთხუ Q. = მდაბლს... ქუეყანისა| სახელით დიმოტინდორის ნათესაჲისაჲან AQ, სახელით დიმოტინდორის, ნათესაჲისაგან უმდარესისა D, ყურადღა მუამეს დურეს ძისა ზს მძიხს: 14<sub>200</sub> (=სოლად მოყვანა მისვე ტომის მდაბლი ქალი, სახელად დორის).

ნეს, რაათა ტუეექმწულნი კასიოას მიერ იუდელნი არა სჯულთა ბრძოლ-  
საათა. მიმწერელმან მთავართა მიმართ თავისუფლად განუტევენეს და ქუე-  
ყანამ, რომელი კასიოას უამთა შინა მიელო, უკუნ-სცეს მათ. სამართალთა  
ჭეროვნად მსჯელმან ანტონიოს იუდელთათუს, მეყუსეულად მიუწერა ვრკა-  
ნოსს და იუდელთა. წარავლინა უკუე ტვრელთაცა ბრძანებამ, ამათი მქონე-  
ბელი.

3. მარკოს ანტონიოს თვთმპყრობელი ვრკანოსს, მღღილ-ომთავარსა და  
ნათესავთმთავარსა იუდელთასა, მხიარულებამ უკუეთუ მპრთელობთ კეთილ  
სადმე, ვმრთელობ უკუე და მეცა მკედრობისა თანა. ლუსიამახოს პავსანიამა<sup>1</sup>  
და იოსიპოს მენნეოასი და ალექსანდროს თეოდოროასი<sup>2</sup>, მოხუცებულნი,  
ფფესოს შინა შემემთხვენეს მე და უწინარესცა რომს შინა ქმწული მათ მიერ  
ვედრებამ განაახლეს და აწ შენთუს და ნათესავისათუს მოსწრაფებით გუეზ-  
რახნეს, რომელი გაქუს ჩუენდა მომართ, განმაცხადებელნი. მრწმუნებელ-  
მან უკუე საქმეთაგანცა და სიტყუათა, ვითარმედ საქუთრებასა მქონებელ ხართ  
ჩუენდა მომართ და მტკიცესა ჩუეულებასა თქუენსა და ღმრთისმსახურსა  
გუდისკმისმყოფელმან, თუსად შევრაცებე. ხოლო ვინათგან არბევდეს ა/სიასა 271  
ყოველსა წინააღდგომილნი ჩუენ თანა და ერთსა რომთაასა და არცა ქალაქთა,  
არცა ძლიერთა განეყენებოდეს. არცა ფიცთა, რომელნი ყვენეს, დამცველ იქმწ-  
ნეს, ჩუენ ვითარ არა თუსასა მხოლოდ ლუაწლისათუს, არამედ ვითარ ყოველ-  
თათუს ზოგად, შურ-ვიგვთ ამის მიზეზისა მოქმედთაგან, თანად კაცთა მიმართ-  
თა უსჯულოებისათუს და ღმერთთა მიმართ ნაცოდვემთათუს, რომლისათუს და  
მზისაცა უკუნქცევასა ვკვონებთ, რომელმან და თვთცა მქმუნეარებით დახედნა  
კესარისა საძაგელებასა ზედა. არამედ განზრახვითა მათთა, ღმრთისმბრძოლთა,  
რომელნი შეიწყნარნა მაკედონიამან, ვითარ თუს მათდა არს აერი უსახურთა  
ნაკადრებთათუს და შემრღუეულებასა ნახევიარ ბორგნულისა ბორორჩუეუ-  
ლებისასა ფილიპპოთა თანა მაკედონიამასათა, ვმბრძოდე და აღგილთა მარ-  
ჭუეთა დამპყრობელნი მათთაგან აზლუდვილთა ვიდრე ზლუადმდე, ვითარ ბჟი-  
სა ერთისა ყოვლისა შესაელისა მქონებელთა მძლე ვექმწენით, რამეთუ უსა-  
მართლოთა მათთა კელყოფათათუს დასაჩნენ იგინი ღმერთთა. და ვრუტოს, ფ-  
ლიპპ(ოასსა) შელტოლვილი და გარემოდგომილი ჩუენ მიერ, ეზიარა კას-  
სიოსს მსგავსითა წარწყმედითა. აწ უკუე, ვინათგან ესენი იტანჯნეს, ამიერი-  
თგან მშვდობით განსუენებასა ესასოებთ ასიამსსა და დაცხრომასა ბრძოლისა-  
გან. ზიარ უკუე კელ-ყოფთ თანაშემწეთა ჩუენთა ღმრთისა მიერ მოცემული-  
სა ჩუენდა მშვდობისა, რამეთუ ვითარ სენისაგან დიდისა სხეული ასიამსა  
აწ ძლევისა ჩუენისა მიერ აღემართა. კსენებასა უკუე მქონებელი შენსა და  
ნათესავისასა, აღორძინებასა ვზრუნავ უმჯობესთა თქუენთასა. ხოლო დამისხ-  
მან ნაწერნიცა ქალაქთა მიმართ, რაათა უკუეთუ ვიეთნი თავისუფალნი ვინა  
მონანი ჰოროლსა ქუეშე განისყიდნეს\* ლაიოას მიერ კასიოასა ანუ მის ქუე-  
შე დაწესებულთაგან, განტევებულ იქმწნენ ესენი. და მნებავს, რაათა კაცთ-  
მოყუარებით იკუმევედთ თანად ჩემ მიერ და დოლოველლამს მოცემულთა და  
ტვრელთა დაეყენებ, რაათა არა მიძულებელ თქუენდა იყვენენ და რაოდენნი  
იუდელთანი ჰქონან, ამათსა უკუნქცევასა ვბრძანებ. ხოლო გვრგვნი, რომელა  
წარმოავლინე, მივითუალე“.

<sup>1</sup> ალექსანდროს თეოდოროასი<sup>1</sup> ალექსანდროასი AQ, 'Αλεξανδριος Θεοδωρος 14<sup>207</sup>.  
\* თაბ ბძეს მძედმრეშავ 14<sup>312</sup> (=გაიუიდნენ თუქციონზე, სუქარო ვაქრობთ).

4. „მარკოს ანტონიოს, თვთმპყრობელი ტვროსისა, მთავართა, განზრახვასა, ერსა, ვიხაროდენს მიჩუნენს მე ეფესოს შინა ვრკანოას მღღელთმთავრისა და ნათესავთმთავრისა მოხუცებულთა, მეტყუელთა, ვითარმედ ადგილი მათი თქუენ დაგიაყრის, რომელსა შინა შეხუედით, ოდეს იაყრობდეს წინააღმდეგომნი ჩუენნი. და ვინამთგან მთავრობისა ძლით ბრძოლაჲ მივითუალეთ და ჭეროვანთა და სამართალთა მოურნეობისა მოქმედ ვიქმენით, შურ-ვიგეთ არცა მალლისა მომქსენებელთაგან, არცა ფიცისა დამცველთაგან, მნებაჲს, რამათა თქუენ მიერცა მშვდობა იყოს თანაშემწე/თა ჩუენთა მიმართ. და რაოდენნი ჩუენთა მბრძოლთაგან მიიხუენით, არა შევიდობ, არამედ უქუნ-სცენით ესენი, რომელთაგან მიხუშულ არიან, რამეთუ არცა მთავართა, არცა სენკლიტობისა მკედართაგან მიცემითა მიიხუენს, არამედ იძულებით მიმტაცებელთა მიანიჭენს მათ, რომელნი საკმარ ექმნებოდეს უსამართლობათა მიმართ.

ვინამთგან უკუე სასჯელი მისცეს მათ, გუნებაჲს, რამათა შემწეთა ჩუენთა უიძულებელად აქუნდენ, რაოდენნი აქუნდეს ოდესგე და თქუენცა, უკუეთუ რომელნიმე ადგილნი ვრკანოას, იუდელთა. ნათესავთმთავრისანი, ერთითაცა დლითა უწინარეს აწ თქუენ გქონან, ამისთვის, რამეთუ არა უტევა ღაიოსს კასიოსს ბრძოლისა მოღებაჲ სამთავროსა ჩუენსა ზედა, უკუენცემასა ვბრძანებ და იძულებასა ნუცა ერთსა მიიღებთ მათ ზედა, რამათაცა უძლურ ჰყვენით იგინი თქსთა ზედა მუუფებად ადგილთა. ხოლო უკუეთუ სიტყუსებაჲ რომელმე გაქუს მისა მიმართ, ოდეს მოვიდეთ ადგილთა ზედა, შესაძლებელ იყოს თქუენდა ამისი კუმევაჲ, რამეთუ ჩუენ თითოეულსა თანაშემწეთა და სამართალთასა სწორებით დამცველ ვართ“.

5. „მარკოს ანტონიოს თვთმპყრობელი ტვროსისა მთავართა, განზრახვასა, ერსა, მხიარულებასა განწესებული ჩემი წარმოვიღენიეს თქუენდა მიმართ, რომლისაჲ მნებაჲს თქუენ მიერ ზრუნვაჲ, რამათა საზოგადოთა წიგნთა და აწესოთ იგი წერილითა რომაულთა და ელლინურითა და საჩინოსა შინა გაქუნდეს იგი დაწერილად, რამათა ყოველთა მიერ შესაძლებელ იყოს წარკითხვაჲ. მარკოს ანტონიოს თვთმპყრობელმან, დადგინებულ იქმნენს რაჲ ტვრელნი მამაკაცინი საზოგადოთა საქმეთა ზედა, თქუე: ვინამთგან ღაიოს კასიოსს, ესე კერძოა უცხოსა სამთავროსა მქონებელი, მკედრობისა ქუეშე და თანაშემწედ მყოფი წარტყუნა და მოაოჭრა ნათესავი იუდელთაჲ, მოყუარედ მყოფი რომთა ერისაჲ, საჭურველითა მძღველნი უგუნურებისა მისისანი, განწესებითა მსჯავრითა აღჰმართებთ მის მიერ წარტყუენილთა, რამათა უკუენიცენ ესენი კუალად შემწეთა ჩუენთა და რაოდენნი განისყიდნეს იუდელთანი, გინა სხელნი ანუ მონაგები ესენი, განტევებულ იქმენინ. სხელნი ვიდრემე თავისუფალნი თავისუფალ იყვენ ვითარ და პირველცა, ხოლო მონაგები უწინარესთა ვიდრე უფალთა მიეცეს. და რომელმან არა ისმინოს განწესებული ჩემ მიერ, სასჯელისა მიგებაჲ მნებაჲს. და უკუეთუ ვიპყრა მამინურჩი, ღირებისაებრ საქმეთასა ვიზრუნვო ტანჯვამ უკუე“.

<sup>1</sup> იყო A.Q. <sup>2</sup> დადგინებულ იქმნეს... ზედა] ერთმან სამთა განწესებულთაგანმან პირველთა ვართა S, რქონ ანტონიუს ანტონიუსოუს რქონ ანტონიუსოუს რქონიუსოუს 14<sup>გვ</sup> (ანტონიუსოუს ამ სამთაგანმა, რომელი დადგინებულ იქნა ქვეყნის მმართველთა). A და მასზე დაყრდნობით QD თვალსწინებურ LVW ნუსხების ჩვენებას; სადაც რქონიუსი ნაცულად არის ვსჯილი.

6. ხოლო ესევე სიღონელთაცა და ანტიოქელთა და არაეთა მიუწერა. დავეწერენით ვიდრემე უკუე და ესენიცა ჟამიერად სანიშოქმნადნი მოურნეობისათუს, რომლისაჲ ვთქუთ რომთაგან ქმნაჲ ნათესაისა ჩუენისათუს.

თ. 13

1. ხოლო შემდგომად ამათსა ვინაჲთგან სკრიად მიიწია ანტონიოს, კლეოპატრა, შემთხუეულმან მისთვის კილიკიას შინა, ტრფიალებისა მიერ კელთიგლო იგი. და კუალად ასნი უძლიერესნი / იუდელთაგან მიიწინეს მისა მიმართ, შემასმენელნი იროდის და მის თანათანი და დააყენეს უძლიერესნი მათნი მეტყუელებად. ხოლო მესსალა სიტყუა-უგებდა მათ ყრმათათუს მუნ დამთხუეულობასა ვრკანოხსსა, რამეთუ აწლა სიმამრი იყო მისი. და მსმენელმან მრჩობლთაგანვე ანტონიო დაფნის შინა, იკითხა ვრკანოხსგანცა, ვითენი უმჯობეს განაგებენ ნათესაესა. და ვრკანოს იროდის თანანი თქუა. ხოლო ანტონიოს, პირველცა საკუთრებასა მქონებელმან მათდა მიმართ მამულისა სიყუარულისათუს, რომელი დაეინიოხსთა მყოფმან ქმნა მამისა მიმართ მათისა, ესე ვიდრემე მრჩობლნივე ოთხმთავრად დაადგინნა და იუდეაჲსა საქმეთგანგებჲა მათ უბრძანა. ხოლო დაწერნა წერილიცა და ათხუთმეტნი მკდომთაგანნა შეკრნა. და ეგულეობდა რაჲ მოკუდინებჲა მათი, ევედრნეს არა ქმნად იროდის თანანი ამას.

272

2. გარნა არცა ესრეთ დასცხრებოდეს აღმოსრულნი ვედრებისაგან, არამედ შეემთხვნეს კუალად ანტონიოსს ათასნი, ტკროსს მისლვად მგულუბელსა. ხოლო ანტონიოს, მრავალთა საკმართა მიერ განხრწნილმან იროდისაგან და ძმისა მისისა, უბრძანა ადგილითი-ადგილად მყოფთა მთავართა ტანჯვაჲ მოხუცებულთა იუდელთაჲ, რომელნი გულისმთქუმელ არიან ახალთა საქმეთა და იროდის თანათათუს მიცემაჲ მთავრობისაჲ. ხოლო იროდი მალიად წარსლვასა უბრძანებდა მათ განსრული, რამეთუ დაბანაკებულ იყო ქვშასა ზედა წინაშე ქალაქისა და განაზრახებდა მათ ვრკანოსცა, ვითარმედ დიდი ბოროტი ქმნეს, უკუეთუ ძლევისმოყუარებათა მიმართ განვიდენ. და იგინი ვიდრემე არა ირწმუნებდეს. ხოლო რომნი, გამოვლდომილნი მეყუსეულად მახვლებითა, რომელთაჲმე მოაკუდინებდეს მათგან და რომელთაჲმე სწყლვიდეს, ხოლო ნეშტნი, ლტოლვილნი სახიდ თუსად, შინეულნი დაიდუმებდეს. ხოლო ერი ვინაჲთგან ლაღადებდა იროდისთვის, განრისხებულმან ანტონიოს შეკრულნიცა მოაკუდინნა.

3. ხოლო მეორესა წელსა სკრიად დაიპყრეს პაკორა, ძემან მეფისამან და ვარზაფრამანის, სატრაპმან პართთამან. აღსრულდა უკუე პტოლემოსცა მენენოასი. და მთავრობისა მიმღებელმან ყრმამამ მისმან ლუსანიი სიყუარული ქმნა ანტილონოას მიმართ, არისტოვეულოას ძისა, ამის საკმარებისა მიმართ სატრაპისა მიმყვანებელმან, რამეთუ დიდად შემძლებელ იყო მის წინაშე. ხოლო ანტილონოს ათასთა ტალანტთა მიცემასა აღუთქუმიდა პართთა და ხუთასთა დედაკაცთასა, უკუეთუ ვრკანოხსგან მთავრობისა მიმღებულთა მას მისცენ და იროდის თანანი<sup>2</sup> მოაკუდინნეს. არა უკუე მისცა მამინ, არამედ

1 პართა A. 2 თანან A, თანი Q.

პართა ამისთვის იუდეასა ზედა აღიკვედრეს და შთაიყვანებდეს ანტილონოსს, პაკოროს ვიდრემე — ზღვსპირით, ხოლო სატრაპი ვარზაფრამანის — საშუაალ ქუეყანისა<sup>1</sup>. და ტყველთა ვიდრემე დაუტუნეს კარნი პაკოროსს, ხოლო სიდონელთა და პტოლემადელთა შეიწყნარეს. მკედრობაჲ უკუე ცხენოსანთაჲ განავლინა იუდეასა ზედა პაკოროსს, რაჲთა განიხილონ. ქუეყანაჲ და ანტილონოსს თანა-შეეწოდინა და თანად მთავარი თანმოსახელე, მწდე შეფისაჲთაჲსა, წარატანა. ხოლო კარმილოესა მთისაგან მოვიდეს იუდეელნი ანტილონოსს მიმართ და თანაშემწეობასა აღუთქუმიდეს. და ანტილონოსს პკონებდა კერძოსა რომელსამე აღვილისასა მიღებდა, / ხოლო ღრვოჲ ეწოდებრის სოფელსა. და ვინაჲთგან ჰბრძოდეს ვიეთნიმე, წარვიდეს იეროსოლჲმად კაცნი ესენი. და მრავალნი რაჲ შეკრბეს შემწენი, სამეფოთა ზედა მიიწინეს და ამათ ჰბრძოდეს. ხოლო განწყობოდეს მათ ფასაილოეს და იროდის თანანი და ბრძოლაჲ რაჲ იქმნა საშუაალ უბანთა, მძლე ექმნეს ჰაბუენი მბრძოლთა და სდევნიდეს მათ ტაძრადმი. წარავლინეს უკუე ვიეთნიმე აღჭურვილნი მახლობელთა მიმართ სახლთა, რაჲთა დაიკენენ იგინი, რომელთაჲცა ზედა აღდგომილმან ერმან, ვინაჲთგან ოკრად პოენეს იგინი თანაშემწეთაგან, სახლთა მათ თანა დაწუნეს იგინიჲცა. ამის ვიდრემე უსამართლოებისათუს შურისგებაჲ მიიღო იროდი შემდგომად მციერედისა მკლომთაგან, რამეთუ განწყობილმან მათმან ბრძოლად მრავალნი მათგანნი მოაკუთდინა.

4. ხოლო იქმნებოდეს რაჲ დღითი-დღე ტჳორტებანი ურთიერთას, მოელოდეს მბრძოლნი სოფლით ერსა, რომელსა ეგულებოდა მოსლვაჲ დღესა შინა პენტეკოსტისასა<sup>2</sup>, ხოლო დღესასწაული არს ესე. წარმოდგა რაჲ უკუე დღე, მრავალნი ბევრნი შეკრბებოდეს გარემოჲს ტაძრისა, კაცთა აღჭურვილთა და უჭურველთანი. ხოლო აქუნდა ტაძარი და ქალაქი მოწვენიელთა, გარეჲს სამეფოთაჲსა, რამეთუ ამათ მციერთა თანა მკედართა სცვიდეს იროდის თანანი. ფასაილოს ვიდრემე ზღუდესა სცვიდეს, ხოლო იროდი, საღარნაჲ მქონებელი, გამოვიდა მბრძოლთა ზედა წინაშე ქალაქისა და ძლიერად მბრძოლმან მრავალნი ბევრნი მიდრიცნა. და რომელნიმე ქალაქად მიივლტოდეს და სხუანი — ტაძრად, ხოლო რომელნიმე გარეგან მყოფსა ხანდაკსა, რამეთუ იყო მუნ ხანდაკოვანი.

ხოლო შეეწოდა მას ფასაილოსცა. პაკოროს უკუე, პართთა მკედართანთავარი, ცხენოსანთა თანა მციერთა მივიდა ქალაქად ანტილონოსს! მიერ ვედრებული, იკუთ ვიდრემე, ვითარ დამაცხრობელი შფოთისაჲ, ხოლო ჳეშმარბტებით — თანაშეწვენად მთავრობისა მისისა. და ფასაილოს შეიწყნარა იგი, სოყუარულით მიგებებულმან. ხოლო პაკოროს არწმუნა ვედრებაჲ ვარზაფრამანის მიმართ, ზაკუეჲსა რომელსამე მომლონებელმან მისთვის. და ფასაილოს, არა რომლისა მეცნიერმან, ირწმუნა. ხოლო იროდი არა აქებდა ქმნულთა ურწმუნოებისათუს ვარჯარისთაჲსა, არამედ პაკოროსს და მომავალთა მიმართ ზედდადებულებასა ბრძანებდა.

5. წარვიდეს უკუე ვრკანოს და ფასაილოს ვედრებად ვარზაფრამანის მიმართ, ხოლო პაკოროსს, დამტევებელმან იროდისთვის ორასთა ცხენოსანთა-

<sup>1</sup> ანტილონოსს აკ.

<sup>2</sup> „აღმკედრება“ ზნა ბუქანული დღენის მსგავსად (14<sup>333</sup>) არც თარგმანში არ შევარდება, იგულისხმება რომ პაკორმა აღმკედრა ზღვსპირით, ვარზაფრამანმა კი — საშუაალ ქუეყანისა.  
<sup>3</sup> Πεντηκοστήν 14<sup>337</sup> (= „ფასაი“ დღესასწაულის 50-ე დღე).

მან და ათთა<sup>1</sup> თავისუფლად სახელდებულთამან, წინა-წარავლინა იგინი. მიიწინეს რაჲ უკუე ღალილეს შინა, მოეგებნეს შეჭურვილინი მას შინა მდგომნი მბრძოლნი. და ვარზაფრამანის ვიდრემე პირველად წადიერებით შვიწყნარა იგინი და ნიჭნი მისცნა, ამისა შემდგომად ზაქუვესა განიზრახვიდა. ხოლო მახლობელად ზღუსა შთავიდეს ფსაილოვს თანა მყოფნი ცხენოსანნი. და მუნ მსმენელნი, ვითარმედ ანტილონოს ათასნი ტალანტნი აღუთქუნა პართთა და სუთასნი დედაკაცნი, მიერთგან იქუსა მქონებელ იყენეს ვარვაროსთა მიმართთა უკუე, არამედ და ღამითცა ზედგანზრახულთა აუწყა ვინმე, რამეთუ მცველი უცხადოსა შინა დადგინებულ იყო მათ მიერ. და პურობილ იქმნესმცა, არათუმცა მომლოდუ იყენეს, ვიდრემდის შეიპყრან იროდი იეროსოლვმას მყოფთა პართთა, ნუსადა მცნობელი მოკუდინებისა მათისაჲ ივლტოდის იგი. და ესენი ესრეთ მქონებელ იყენეს და მცველნი მათნი იხილვებოდეს. ფსაილოსს ვიდრემე უკუე განაზრახებდეს ვიეთნიმე, რაჲთა მეყუსეულად აღვდეს ცხენსა და არა მდგომარე იყოს. და უფროსლა ამათ მიმართოფელლოს აწუედა მას, რომელსა ესმინა საჩამალღამსგან, სკრიასა შინა მაშინ უმდიდრესისა, ამათ ესრეთ ქმნად და ნავთა მიანიჭებდა ღტოლვისა მიმართ, რამეთუ მახლობელ იყო ზღუჲა. ხოლო მას არა სათნო-უჩნდა დატევებაჲ ვრკანოასი, არცა ვარეგან ძვრხილულობაჲ ძმისაჲ, არამედ, მისრული ვარზაფრამანის მიმართ, ეტყოდა: „არა სამართალ არს ესევითართა განზრახვაჲ ჩუენთვის, რამეთუ საკმართა მოქენესა უმეტესნი გექმნენ, მათსა, რომელთა ანტილონოს მოგვემს“. და სხუებრცა ბოროტ არს. უკუეთუ მისა მიმართ მიწევნულნი, მვედრებელნი სარწმუნოებით, მოაკუდინნეს არა რომლისა მეუსამართლოენი. ხოლო ვარვაროსი ეფუცებოდა ამათსა მეტყუელსა, ვითარმედ არცა ერთი მოგონებულთაგანი ჰეშმარიტებს, არამედ ცრუთა იქუთა აღუშფოთებდეს იგი. და თანად მივიდოდა პუკოროსს მიმარო.

6. და ვითარ წარვიდა, ვიეთნიმე პართნი შეპყრვიდეს ვრკანოსს და ფასაილოსს, მრავლად მგმობელთა ცრუფიცებასა პართთასა.

ხოლო იროდის მიმართ წარვლინებულსა საჭურისსა აქუნდა მცნებაჲ, რაჲთა ვარეგან ზღუდისა განმყვანებელმან შეიპყრას იგი. ხოლო შეემთხვნეს ფსაილოვს მიერ წარვლინებულნი, რომელთა აუწყეს მას პართთა ურწმუნობაჲ. რომელთაჲცა აგრძნა რაჲ მბრძოლთა მიერ შეპყრობაჲ, იროდი მივიდა პუკოროსს მიმართ და უძლიერესთა მიმართ პართთასა, რომელნი მეუფე სხუათა იყენეს მაშინ. ხოლო იგინი, მეცნიერნი ყოვლისანი, იჩემებდეს ზაქუვეით და ეტყოდეს, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა განვიდეს მათ თანა წინაშე ზღუდისა მიგებებად მომღებელთა წერილისათა, რამეთუ არა შეპყრობილ არიან იგინი წინააღმდგომთა მიერ და მოწევნულ არიან მაუწყებელნი, რაოდენნი წარკმართნა ფსაილოს. გარნა იროდი არა ირწმუნებდა ამათ, რამეთუ მსმენელ იყო სხუათაგან შეპყრობასა ძმისასა. და ვინაჲთგან განაზრახებდა ვრკანოასს ასული, რომლისა ასული დაეწინდა, უფროსლა იქუნეულ იქმნებოდა პართთა მიმართ. სხუანი ვიდრემე უკუე არა ყურად-იღებდეს მისასა, ხოლო იროდი ირწმუნებდა ფრიად გონიერისა დედაკაცისასა.

7. ამით შინა განიზრახვიდეს რაა პართნი, თუ რომლისაა ჭერ-არს მოქმედება, რამეთუ არა სათნო-უჩნდა მათ ცხადად ბრძოლა ესევეითარისა მამაკაცისა, მეორისა დღისად მიუტევეს საქმე. ესევეითართა შფოთთა/ შინა ქმნულმან იროდი და უფროასლა მრწმუნებელმან მათმან, რომელთაგან ესმნეს ძმისათვის და პართთა ზედგანზრახვისათვის, ვიდრე წინააღმდეგობამან, მწუხრისა მოწვეწულებასა ამას შინა აგრძნა კუმევეა ლტოლვისა და არა მიმყოფრება, რამეთუ უცხადო არიან მბრძოლთა მიერნი ძვრხილულობანი. მიმყვანებელი უკუე აღჭურვილთა, რომელნი აქუნდეს, და აღმყვანებელი დედაკაცთა კარაულთა ზედა დედისა თანად მისისა და დისა და რომლისაა ეგულეობდა ცოლად მიყვანება, აღექსანდროას ასულისა, ხოლო არისტოველოას ყრმისა და თანად დედისა<sup>1</sup> მისისა, რომელი ვრკანოას ასული იყო, და უკაბუქესისა ძმისა და მონაგებისა ყოვლისა და მათ თანათა სიმრავლისა, იღუმეად მივილტოდა ფარულად მბრძოლთაგან. რომელთაგან არამცა ვინ ესრეთ სხუად ბუნება პოვნილ იყო, რომელსამცა მაშინ, თანდამთხუეულსა საქმეთასა, არა შეეწყალნეს იგინი ძნელბედობისათვის, დედაკაცი მიმყვანებელნი ჩხვლთა შვილთანი და ცრემლით და სულთქუმით დამტევებელნი მამულისანი და მოყუარეთანი საკრველთა შინა და თავთა თუსთათვის ამას თანა არცა ერთსა კეთილსა მომლოდენი.

8. არამედ იროდი, ზესთამქმნილო გონიერებისა მძღვეარისა წყლულისაგან, თვთ იგი სულმქნე იყო ბოროტისა მიმართ და თანაწარამეალი გზასა ზედა თითოეულსა განმწვობად უბრძანებდა, რაჟთა არა განსცენ იგი მწუხარებასა, რამეთუ ესე მავნებელ ექმნეს მათ ლტოლვისა მიმართ, რომელსა შინა მხოლოდ მდებარე არს ცხორება მათი. და იგინი ვიდრემე, ვითარ იროდი განაზრახებდა, მოთმინებასა განსაცდელისასა მოსწრაფე იყვნეს. ხოლო კინლა შოიკლა თავი თვისი, რამეთუ დაეცა კარაული და დედასა მისსა შეემთხვა ძვრხილუობა სიკუდილისა და თანად მწუხარებისათვის მის ზედა ქმნული და მოშიშებისათვის, ნუსადა ეწინენ მას მბრძოლნი მდეგარნი, ვინაჟთგან ყოველი წარკვებოდა შემთხუეულსა ბოროტსა ზედა. აღმოიკადა მან მახული და ეგულეობდა წყლვად თავისა თვისისა, არათუმცა დაეყენა იგი მუნ დამთხუეულთა, თანად სიმრავლისა მიერ მძღვეელთა და ვითარმედ არა ჭერ-არს დატევებად მათი მტერთა წინაშე ქმნადთა, რამეთუ არა მკნისად არს ესე, რაჟთამცა თავი თვისი ბოროტთაგან განათავისუფლა, ხოლო მოყუარენი უგულეებელს-ყენა მათ შინა. იძულებული უკუე განყენებად ესევეითარისა მკადრეობისაგან თავისა მიმართ თვისისა სირცხვლითა მეტყუელთაჟთა და სიმრავლისაგან, რომელნი არა აწუეედეს თვისითა კელითა მსახურ-ქმნასა თავისასა, რომელთათვის წადიერ არს, აღმდებელი დედისა და მსახურებასა მაღირსებელი, რომელსა უამი მისცემდა, ვიდრედა წინამდებარისა გზისა მიმართ, მაღლადსა სლვასა მოქმედი მასადაჟსა სამცველომსა მიმართ. და მრავალთა ბრძოლათა მბრძოლმან ზედგამოსრულთა და მდეგართა პართთამან, ყოველთავე შინა სძლო.

9. ხოლო ლტოლვასა შინა არცა იუდელნი დაადგრეს მტკიცედ მისა მიმართ, არამედ ზედ-დაესხნეს ესენიცა, მიწვეწულსა ქალაქად ექუსითა სტადი-

<sup>1</sup> დედესა A.



ონითა შორს / და განეწყენეს კელად<sup>1</sup>, მიწვენულნი გზასა ზედა, რომელნიცა სიელტოლად მოდრიკნა და მძლე ექმნა არა ვითარ უღონოებასა და ჭირსა შინა მყოფი ვინმე ესევითარსა, არამედ ვითარ კეთილად და მრავლისა ძალისა თანა ბრძოლისა მიმართ განმზადებული. ამას ადგილსა შინა, სადა მძლე ექმნა იუდელთა, შემდგომად უამისა რომლისამე მეფეექმნულმან აღაშენა და სამეფოდ სიტყვს ღირსად შექმნადა და ქალაქად იროლიად სახელს-სდვა. ხოლო მიიწია<sup>2</sup> რაჲ თრისას შინა, ესრეთ წოდებულსა ადგილსა, შეემთხვა მას ძმად მისი იოსიპოს და განზრახვაჲ აქუნდა ყოველათვის, თუ რომლისაჲ ჯერ არს მოქმედებაჲ, რამეთუ მრავალი სიმრავლე შედგომილ იყო გარეშე სასუილლით დადგინებულთა. ხოლო ადგილი მასადასაჲ, სადა შელტოლვაჲ წინამდებარე იყო მათთვის, მცირე იყო შეწყნარებად ესოდენისა სიმრავლისა, რომლისათვისცა უმრავლესნი ვიდრემე განუტევენა, უმეტეს ცხრა ათასთა მყოფნი და სხუასა სხუა კერძო უბრძანა ცხოვნებაჲ თავთა თვსთაჲ და წარსაგებელნი მისცნა. ხოლო რაოდენნი სუბუქ იყვნეს და ძლიერ, ამათი მიმყვანებელი სამცელოდ მიიწია და მუნ დამტევებელი დედაკაცთა და უკუანა შედგომილთაჲ, ხოლო იყენეს ვითარ რვაასნი, და იფქლი კმასაყოფელი იყო ადგილსა მას შინა და წყალი და სხუანი საქმარნი ყოველნი, ესრეთ წარემართა იგი კლდისა მიმართ არავიანასა<sup>3</sup>. ხოლო ერთბამად მოწვენასა თანა დღისასა სხუათა ვიდრემე ყოველთა იეროსოლემელთასა მიიტაცებდეს პართნი და მხოლოდ უკანოჲს საქმართა განეყენებოდეს, რომელნი იყვნეს სამასნი ტალანტნი<sup>4</sup>. ხოლო მრავალნი იროდისნიცა დაშთეს და უფროჲსლა რაოდენთა წარლებად უსწრო იუდეად გონიერებით. შამაკემან. ხოლო ქალაქისა შინანი ვიდრემე საქმარნი არა კმა-ეყენეს პართთა, არამედ და სოფლებიცა მათი წარტყუენეს განსრულთა და მარისაჲ, ქალაქი ძლიერი, უმკვდრო ყვეს.

10. და ანტილონოს ვიდრემე, ესრეთ შთაყვანებულმან იუდეად, პართთა მეფისა მიერ კრკანოს და ფასაილოს შეკრულნი მიიყვანნა. ხოლო ფრიად მწუხარე იყო განტოლვისათვის დედაკაცთაჲსა, რომელთა მიცემასა მნებუბელ იყო მბრძოლათვის, ამას სასუიდელსაცა აღმთქუმელი მათთვის საქმართა თანა. ხოლო მოშიშმან კრკანოჲსგან, ნუსადა მზრახველმან სიმრავლისამან უკუნ-ილოს კუალად მეფობაჲ, რომელი იცეებოდა პართთა მიერ, დაჰყუენთა ყურნი მისნი. მომვერაგებელმან, ვითარმედ არღა მერმეცა კუალად მისა მიმართ მიიწიოს მღდელთმთავრობაჲ ასონაკულუეყანებისათვის, სჯულნი უნაკ-ლულთა აღირსებს პატვისა.

ხოლო ფასაილოჲს სულმკნეობასა ზედა განკრეებულ იქმნეს ვინმე, რომელმანცა აგრძნა რაჲ დაკლულად გულეებაჲ თვისი, არა სიკუდილი შეპრაცხა მძევარედ, არამედ მტრისა მიერ ვნებაჲ ამისი მწარედ და უშუერად ჰგონა. და საკრველთაგან არა მქონებელმან კელთამან თავისუფლად მოკუდინებად<sup>5</sup> თვისსა, კლდესა შემახეთქებელმან თავისამან განიყვანა თავი თვისი ცხოვრებისაგან, ვითარ სთნდა უმჯობესობაჲ ამისი ესევითარსა უღონოებასა შინა, ხოლო კელმწიფებაჲ მოკუდინებისაჲ საშუებელად მისა მიულო მბრძოლსა. / ხოლო იტყვან, ვითარმედ წყლულეებაჲ დიდი ექმნა მას და წარმავლენელმან

<sup>1</sup> მიწია. <sup>2</sup> ტალანტნი. <sup>3</sup> მოკუნებლად. <sup>4</sup> A.

<sup>5</sup> *ἐξ ἑσθραῖς ἐπέδμενος* 14<sup>308</sup> (=მოეზადნენ საბრძოლველად). <sup>6</sup> *καὶ Πέρας ἦν Ἀφαια*: 14<sup>303</sup>.

მკურნალთაგან ანტილონოს ვითარ კურნებად, წამლითა განხრწნეს იგი, სასიკუდიროსა წამალსა მკუმეველთა წყლულისა მიმართ. უწინარეს ვიდრევე სრულად სულისა განტევებისასა ფასილოს, მსმენელმან დედაკაცისა ვისმე. მიერ განტოლვასა ძმისა თვისისა იროდისსა მბრძოლთაგან, ფრიად მზიარულებით მოითმინა აღსასრული, რამეთუ დაუტევა შურისმგებელი სიკუდილისა მისისა და მსჯავრსა მტერთაგან მიღებად შემძლებელი.

### მ. 14

1. ხოლო იროდი გარემოდგომილთა არა შეაშინებდა, არამედ მწუხარე ჰყოფდა არა პოვნად საქმეთა გონიერთა და მარგებელთა, რამეთუ მალხოზს მიმართ, არავთა მეფისა, მრავალთა კეთილთა მიმთხუეულისა<sup>1</sup> უწინარეს, წარვიდა ნაცვალისგებასა მოღებად, რაჟამს ფრიად მოქენე იყო საკმართა მიღებასა, ვინა სესხთა, ანუ ნიქთასა, ვითარ მრავალთა მიმთხუეულისაგან<sup>2</sup> მის მიერ. რამეთუ არღა მეცნიერი ძმისა ძლითთა, მოსწრაფე იყო კსნასა მისსა მბრძოლთაგან, საკსართა მიმცემელი მისთვის ოქროთა ვიდრე სამასთა ტალანტთადმდე. ხოლო მიიყვანებდა ფასილოსცა ყრმასა ამის მიზეზისათვის, შვდ წლისად მყოფსა, რაჟთა მისცეს იგი წინდად არავთა. ხოლო შეემბზუნეს მას მიმბრძობელნი მალხოზსნი, რომელთა მიერ ებრძანა უკუნქეცევა მისთვის, რამეთუ მცნებულ არს იგი პართთა მიერ არა შეწყნარებად იროდისა. ხოლო ამას მიზეზსა იტუმევედა არა მიცემისათვის სესხთაჲსა და ამას მოქმედებდეს მთავარნი არავთანი, რაჟთა კუებულ ყონ იგი საკმართაგან, რომელნი ანტიპატროსს მიერ მიეხუნეს მათ. ხოლო იროდი მიუგო მათ, ვითარმედ არცა ერთისა იძულებად მიწევნულ არს მათდა მიმართ, გარნა მხოლოდ რაჟთა ეზრახოს მათ უსაჭიროესთა საქმეთათვის.

2. ამისა შემდგომად სთნდა განშორებამ და წარვიდა ფრიად გონიერებით ეკვატედ მიმართ. და მაშინ ვიდრევე ტაძარსა რომელსამე შინა მიიწია, რამეთუ დაეტევენეს მუნ არა მრავალნი შედგომილნი. ხოლო მეორესა დღესა, რინოკურურად მიწევნულსა, მუნ ესმნეს ძმისა მისისათვის<sup>3</sup>. ხოლო მალხოს, შემანებელი და მღვენელი იროდისა, არარას უმეტესსა იქმოდა, რამეთუ განშორებულ იყო, აწლა მოსწრაფე პილუსიოდში. და ვინაჟთგან მიწევნულსა ნაენი, მუნ მდგომარენი, აყენებდეს მას ალექსანდრიად წარცურვებისაგან, მიემთხვა მთავართა, რომელთაცა მიერ შეკდიმებისა ძლით და მრავლისა სირცხლისა<sup>4</sup> წარავლინა ქალაქად და კლეოპატრას თანა იმყოფებოდა. ხოლო მუნ დადგრომასა ვერ შემძლებელ იქმნა რწმუნებად კლეოპატრა, რამეთუ რომედ წარსლვად მოსწრაფე იყო, თანად უკუე ზამთრისა ყოფასა და იტალიასა შინათათვის შფოთსა და ქოთებასა მსწავლელი.

3. წარსრული მიერ პამფვილიად და ზამთარსა სსასტიკისა მთავრომილი, ძნიად/და როდოსს მიწევნული ცხონდა, ტვრთთა ზღულად შთამყრელი. და

<sup>1</sup> მიმბრძობელსა A. <sup>2</sup> მიმთხუელისაგან A. <sup>3</sup> მიკსისათვის A.

<sup>4</sup> \* εὐλακίῃ ἄρχειον 14776 (ἢ ἄρχειον) = 1) სირცხელი, 2) ყურადღება, პატივისცემა. ამ კონტექსტში ფულისხმება მეორე მნიშვნელობა).

ორნი მოყუარენი მისნი პოვნა მუნ შინა, საპინა და პტოლემოს. ხოლო მპოენელმან ქალაქისამან კასსიოსს მიმართისა ბრძოლისაგან მოოჯრებულად, არცა უღონობასა შინა კეთილის-ყოფაჲ მისი დაიციონა<sup>1</sup>, არამედ ძალისაებრ აშენებდა მას. თანად ტრირთა შემშალდებელი და წარსრული მიერ იტალიად მოყუარეთა თანა, ვრენტისიოდ შთავიდა და მიერ რომს მიწვეულმან პირველად ვიდრემე ანტონიოსს აუწყნა შემთხუეულნი მისთვის იუდეასა შინა: და ვითარ ძმად მისი ფსაილოს, პართთაჲ მიერ შეპყრობილი, წარწყმდა და კრკანოს ტყუე-ქმნულ არს მათ მიერ; და ვითარმედ ანტილონოს დაადგინეს მეფედ, საკმართა მიცემასა აღმთქუმელი ათასთა ტალანტთა და დედაკაცთა ხუთასთა, რომელნი პირველნი ნათესაენი იყვნეს; და ვითარმედ ესენი ღამით განიყვანნა და განევეტო კელთაგან მტერთაჲსა, მრავალთა ძვრხილულობათა შომთმენელი. ამისა შემდგომად ვითარმედ ძვრხილულობენ თესნი მისნი, გარემოდგომილნი მტერთაგან; და ვითარმედ ზამთარსა შინა წარმოცურვებულ არს და ყოველი განსაცდელი შეურაცხ-წყოფიეს, მოსწრაფესა მისგან მყოფთა სასოებათა მიმართ და მხოლოსა შეწვენისა.

4. ხოლო ანტონიოსსა სიწყალული შევიდა იროდის განსაცდელისათვის და ზოგადი გულისსიტყუაჲ იყუმიჲ ესოდენსა ღირსებასა შინა დადგინებულთათვის, რომელთა მიცემასა აღუთქუმიდა იროდი, უკუეთუ მეფე იქმნეს, ვითარ მოვსენებითა ანტიპატროსს სიყუარულისათვის, ხოლო რომელნიმე საკმართათვის, რომელთა მიცემასა აღუთქუმიდა იროდი, უკუეთუ მეფე იქმნეს, ვითარ და პირველცა, ოდეს ოთხმთავრად განიჩინა, ხოლო უფროსდა. ანტილონოსს მიმართისა სიძულილისათვის, რამეთუ მკდომსა და რომთა მტერად ჰკონებდა მას, წადიერ იყო თანაშეწევნად, რომელთათვის ევედრებოდა იროდი. კესარ ვიდრემე უკუე ანტიპატროსს მკედრობათათვის, რომელნი ეგვტეს შინა მამასა მისსა თანა-იმკედრნა და ნიჭისათვის და ყოველთა შინა სიყუარულისა და მომადლებისათვისცა ანტონიოსსა, რომელი ფრიად მოსწრაფე იყო იროდის ევედრებასა სრულ-ყოფად და შეწვენად, რომელთათვის ენება იროდის, მზა იყო კესარცა. და შემკრებელნი განზრახვისანი, მესსალა და მის თანა სატრაპინოს და წარმომადგინებელნი იროდისნი, თანად მამისა მისისა კეთილმოქმედებათა წარმოიტყოდეს და რომელი მას რომთა მიმართ აქუნდა სიყუარული, შეაჯსენებდეს, შემასმენელნი ერთბამად და მბრძოლად გამომაჩინებელნი ანტილონოსსნი არა პირველისა შეტოდებისათვის მხოლოდ, არამედ რამეთუ პართთა მიერ მიიღო მთავრობაჲ, რომთა შეურაცხისყოფელმან. ხოლო განზრახვაჲ განრისხნა ამით ზედა და წარმოდგომილი ანტონიოსს ასწავებდა მათ, ვითარმედ და პართთაცა ბრძოლისა მიმართ იროდის მეფობაჲ უმჯობეს არს. და სთნდა ესე ყოველთა და დაამტკიცეს.

5. და ესე დიდი მოსწრაფებაჲ იყო ანტონიოსის იროდისათვის, რამეთუ არა მხოლოდ მეფობასა ზედა დაადგინა იგი, არა მსასოებელი ამისი, რამეთუ არცა/ამისა თხოვად აღვიდა თავისა თვისისათვის, არცა ჰკონებდა რომთა მიერ მიცემასა მისთვის, ვინაჲთგან ნათესაეთით-ნათესაეად აქუნდა მათ ჩუეულებად მიცემად ამისა, არამედ ევედრებოდა, რამთა ცოლის-ძმამან მისმან მიიღოს მეფობაჲ, რომელი იყო შვილისშვილი აღიქსანდროსისი, მამით ვიდრემე არის-

<sup>1</sup> დაიკუნა S. 3 პართა A.

ტოვულოსი, ხოლო დედით — ვრკანოასი. და ამას შვდთა დღეთა შინა მი-  
ეჰქიჯა ყოველსავე, არცა ერთისა რაჲს მსასოებელი, რაჲთა წარვიდეს იტა-  
ლაათ. ესე ვიდრე უკუე ქაბუკი იროდი მოაკედინა, ვითარ ეჰმსა თუსა  
ცხად-ვეყოთ.

ხოლო დაიქსნა რაჲ შესაყრებელი, საშუვალმჭონებელნი იროდისნი ან-  
ტონიოს და კესარი გამოვიდეს წინამძღუანელთა ერთბამად, სხუათაცა მთავრო-  
ბათა კვატოსათა თანად, რაჲთა უმსხუერპლონ და რაჲთა თნებული დაღვან  
კაბტოლიოსა შინა. ხოლო ასერებდა იროდის პირველსა დღესა მეფობისასა  
ანტონიოს.

და ამან ვიდრემე ესრეთ მიილო მეფობაჲ, მიმთხუეულმან ამას მეასესა  
და მეოთხმეოცესა და მეოთხესა ოლკუმბიადისასა, კვატობასა ლაიოჲს დომე-  
ტიოჲსასა და ალვინოჲსასა მეორედ და ლაიოჲს ასინიოჲს პოლიონისასა.

6. ხოლო ამას ყოველსა ეჰმსა შინა აოკრებდა ანტილონოს მასადას შინა  
მყოფთა, რომელთა ყოველი ვიდრემე საკმარებაჲ აქუნდა, გარნა წყლისაგან  
მხოლოდ ნაკლულევან იყვენეს. ვიდრეღა ამის ძლით იოსიპოს, ძმაჲ იროდისი,  
ორასთა თანა თუსთა მკედარათა მნებებელ იყო ლტოლვასა არავთა მიმართ,  
რაჲთა განეზრახოს მათ, რამეთუ ესმა, ვითარმედ შეინანა მალხოს იროდის  
მიმართ ნაცოდვებთათუს. ხოლო იპყრა იგი ღმერთმან, რამეთუ აწვმა ღამით  
და კურკელნი აღივსნეს წყლით და არღარა მოქენენ იყო ლტოლვისა. რომ-  
ლისათუსცა განმკნობილნი უმეტეს ღონიერებისათუს მათგან მოკლებულისა  
წყლისა და ღმრთისა წინამოურნეობისა მიერ ქმნად შემრაცხელნი ამისნი  
მათუს, გამოვიდეს და შეებმა უყვეს ანტილონოჲს თანათა, რომელთამე ცხა-  
დად, ხოლო რომელთამე ფარულად და მრავალნი მათგანნი განხრწნენეს. ამას  
შინა ვენტიდიოს, რომთა მკედართმთავარი, წარვლინებული სვრიათ დაყენე-  
ბად პართთა ზედამოსლვასა, მათ თანა იუღეად მიიწია, სიტყუთ ვიდრემე იო-  
სიპოჲს შეწევნად, ხოლო ყოველი განზრახვაჲ მისი იყო, რაჲთა საკმარნი მიი-  
ხუნეს ანტილონოჲსგან. მახლობელად უკუე იეროსოლკმთა დაბანაკებულმან  
კმასაყოფელი ვეცხლი მიილო ანტილონოჲსგან და წარვიდა მიერ უმრავლე-  
სისა ძალისა თანა. ხოლო რაჲთა არა ცხად-იქმნეს მის მიერ კადრებული, სი-  
ლონ კერძოჲსა რომლისამე თანა მკედართაჲსა დაუტევა მუნ. ხოლო ანტილო-  
ნოს ამასცა ნიჰნი მისცნა, რაჲთა არა განსცილდეს მას, რამეთუ ჰგონებდა კუა-  
ლად პართთა მოსლვასა შეწევნად მისდა.

## თ. 15

1. ხოლო იროდი, იტალიათ პტოლემეიდად წარკურეებულმან და შემკ-  
რებელმან<sup>1</sup> ძალისა არა მცირედისამან უცხოთა და თანმონათესვეთაგან, მი-  
მართა დალილვით ანტილონოჲს ზედა. ხოლო შეეწეოდეს მას სილონ და  
ვენტიდიოს, რწმუნებულნი ვდელლიოჲს მიერ, რაჲთა თანა-შთაჰყვენ ირო-  
დის, ანტონიოჲს მიერ წარვლინებულსა. ვენტიდიოს ვიდრემე ქალაქთა ში-

<sup>1</sup> შერებულმან A, შერულმან Q.

ნა ვიღოდა, პართთა მიერსა შფოთსა დამაწუნარებელი, ხოლო სილონ—იუღესა შინა, საქმართა მიერ ანტილონოასგან განხრწნილი. იროდის უკუე მომავალსა ყოველსა დღესა შეეძინებოდა ძალი და ყოველი ღალიღეაჲ, გარეშე მკირედთაჲსა, მას შეუღდებოდა. ხოლო ვინაჲთგან მიიმართა მასადას შინა მყოფთა მიმართ, რამეთუ საჭირო იყო ცხოვნებაჲ სამცველოსა შინა გარემოდგომილთა ნათესაეთაჲ მბრძოლთაგან, წინაღმდგომ ექმნა მას იოპპი. გარნა ჭერ იყო პირველად მისი გამოღებაჲ, მბრძოლად მყოფისაჲ, რათთა არცა ერთი სამცველოჲ დაუშთეს ზურგით მტერთა, უკუნ-იქცეს რაჲ იეროსოლუჲმად. და სილონცა ამასეუ მიზესა იტყოდა ზედაღდგომისასა. და ვინაჲთგან იუღელნი სდევნიდეს მას, იროდი მკირისა ერისა თანა განვიდა და იუღელნი შიდრიკნა, ხოლო სილონ აცხოვნა, ბოროტად მბრძოლი. და დაიპყრა რაჲ იოპპი, მოსწრაფე იყო კსნასა მასადას შინა მყოფთა თესთასა. ხოლო ადგილისა შინანი რომელნიმე მამისა მისისა სიყუარულისათეს შეუღდებოდეს და სხუანი—დიდებისა მისისათეს და რომელნიმე—ნაცვლისგებისა ძლით მრჩობლთაჲე მკირისა კეთილბედობისა, ხოლო უმრავლესნი — სასოებათა ძლით, რომელნი აქუნდეს, ვითარ მტკიცისა მეფისა ზედა მიერთგან.

2. და შეკრებულ იყო ძალი მძიმე. და ანტილონოს უკუე სიმარჯუეთა გზისათა და ადგილთა მზირთა მიერ წინა-დაიპყრობდა და ყოველითურთ არცა მკირესა რას აენებდა ამით მბრძოლთა. ხოლო იროდი, მასადისა სამცველოასაგან მიმყვანებელი თესთაჲ და რისან სამცველოასაცა მიმღებელი, მივიღოდა იეროსოლუჲმათა მიმართ. ხოლო შეუღდებოდა მას სილონის თანა მყოფი მკედრებჲაჲ და მრავალნი ქალაქისაგანცა, შეშინებულნი იროდის ძალისაგან. და დაიბანაკა დასავალით კერძო ქალაქისა, ხოლო მუნ დადგინებულნი მცველნი ასრევდეს ისართა და სტყორცებდეს მათდა მიმართ. და ვიეთნიმე გამორბიოდიანცა სიმრავლისა თანა და ჰბრძოდიან მიახლებულთა მათთა. ხოლო იროდი უბრძანა პირველად ქადაგებაჲ გარემოჲს ზღუდისა, ვითარმედ კეთილთათეს ერისათა მოწევნულ არს და ცხოვრებისათეს ქალაქისა, არცა საჩინოთა მტერთათეს მომკვსენებელი ძურისაჲ, არამედ დაეწყებასა მიმცემელი მისა მიმართ ნაცოდვებთაჲ. ხოლო ანტილონოს, იროდის ქადაგებულთა მსმენელი, იტყოდა სილონის მიმართ და რომთა მკედრობისა, ვითარმედ გარეგან მართლმსაჯულობისა მათისა მისცემენ მეფობასა იროდის, მსოფლიოდ მყოფსა და იღუმელსა, ესე იგი არს ნახევარ იუღელსა, რამეთუ ჭერ-არს ნათესავისა მისისაგან მყოფთათეს მიცემაჲ მეფობისაჲ, ვითარცა წეს-არს მათდა. და ვითარმედ უკუეთუ აწ სიძულილისა მქონებელ არიან მისა მიმართ და მწებებელ არიან წარღებასა მეფობისასა, ვითარ პართთაგან მიცემულსა მისთეს, არამედ არიან მრავალნი ნათესავისა მისისანი, რომელთა მიიღონ სჯულისაებრ მეფობაჲ, რომელნიცა არცა ერთსა მცოდველნი რომთა მიმართ და მღდელად მყოფნი, არა ჭეროვანსა მწებელ იქმნეს, პატივისაგან დაკლებულნი. ამით მეტყუელებდეს რაჲ ურთიერ/თას და გინებათა მიმართ განვიდეს, ანტილონოს ბრძოლაჲ უბრძანა ზღუდით მკედართა თესთა. ხოლო იგინი სტყორცებდეს ისართა მათდა მიმართ და მრავლისა გულსმოდგინებისა მქუმველთა მათდა მიმართ, ადვილად განასხნეს იგინი ზღუდეთაგან.

3. მაშინ და სილონცა განაცხადა ქრთამისა მიღებაჲ, რამეთუ განავლინნა თესთა მკედართაგან არა მკირედნი, ნაკლულეყანებასა საზრდელთასა ქადა

გებად და საკმარათა თხოვად მოსყიდვისათვის საზრდელთაჲსა და ვითარმედ „წარგყვანებით მარჯუეთა ადგილთა მიმართ დასაზამთრებლად, ვინამთგან ქალაქნი გარემოასნი ოკერ არიან ანტილონოჲს მკედართა მიერ მოოკრებითა“<sup>1</sup>. თანად აღძრვიდა მკედრობასა და წარსლვასა მეცადინობდა. ხოლო იროდი ევედრებოდა სილონის ქუეშე დაწესებულთა მთავართა და მკედართა, რაჲთა არა დაუტეონ იგი, კესარის და ანტონიოჲს და სუნკლიტობისა მიერ წარმოვლინებული, რამეთუ იზრუნოს ღონიერებისა მათისათვის და მისანიჭოს მათ უშუერველობაჲ ადგილად, რომელთათვის მოქენე არიან. და შემდგომად ამისა ევედრებისა მეყუსეულად მიიმართა დაბათა მიმართ და არცაჲა ერთი წარსლვისა მიზეზი დაუშთებოდა სილონს, რამეთუ სიმრავლე საზრდელთაჲ ესოდენს მოილო, რაოდენთა არცა ერთი ვინ სასოებდა. თანად სამარიაჲსა მახლობელთა თვისთა<sup>2</sup> მიუმცნო, რაჲთა იფქლი და ღვწოჲ და ზეთი და საცხოვარნი და სხუანი ყოველნი იერისხუნტოდ შთამოიხუნენ უნაკლულობისათვის მკედართაჲსა საზრდელისაგან შემდგომთაჲცა დღეთა შინა. ხოლო ესენი არა დაეფარვოდეს ანტილონისს, არამედ მეყუსეულად წარავლინნა დაბნებთა მიმართ დამაყენებელნი და მოშხირალნი იფქლის მომღებელთანი. ხოლო იგინი, მრწმუნებელნი ანტილონოჲს ბრძანებთანი და მრავლისა სიმრავლესა აღჭურვილთაჲსა გარემოჲს იერისხუნტოჲსა შემკრებელნი, სცივიდეს, მსხდომარენი მათა ზედა, საზრდელისა მიმღებელთა, გარნა არცა იროდი მშვდ იყო ამათსა ესრეთ მოქმედებასა შინა, არამედ ათთა მკედრობათა მიმყვანებელი, რომელთაგან ხუთნი ვიდრემე რომთანი იყვნეს, ხოლო ხუთნი — იუდელთანი, და სასყიდლით დადგინებულთა არა მცირედთა, რომელთა თანა მცირედნი ცხენოსანნიცა იყვნეს, იერისხუნტოდ მიიწია. და ქალაქი ვიდრემე დაკშული პოვა, ხოლო ხუთასთა მკედართა გამოიხუნეს სამცველონი, დედაკაცთა თანა და მონათესვეთა მათთა. და ამათმან მიმყვანებელმან ესენი ვიდრემე განუტევენა, ხოლო რომთა, შესრულთა, განუხურეს ქალაქი, მიმთხუეულთა<sup>3</sup> სახლებსა, აღსაესესა ყოველთა საკმარათა მიერ. იერისხუნტოჲსა ვიდრემე სამცველოსა და მტევებელი მეფე უკუნ-იქცა, ხოლო რომთა მკედრები განუტევეა დაზამთრებად განშორებულთა დაბათა მიმართ: იუდეაჲსა და ლალილეაჲსა და სამარიაჲსათა. ხოლო მიემთხვა ანტილონოჲს სილონის მიერ ნაცვლად ნიქთა, რომელნი მიეცნეს, შეწყნარებასა რომლისამე მკედრობისასა ლუდიას შინა/პატავისმცემელი ანტონიოჲსი. და რომნი ვიდრემე იეფობასა შინა იყვნეს, დამტევებელნი საქურველთანი.

277

4. ხოლო იროდის არა სათნო-უნდა დაყუდებით დადგრომაჲ, არამედ ილუმეჲლ წარავლინა ძმაჲ თვისი იოსიპოს ორ ათასთა თანა აღჭურვილთა და ოთხასთა ცხენოსანთა, ხოლო თვთ სამარიად მიწიენული და მუნ დამტევებელი დღისაჲ და სხუთა ნათესავთაჲ, რომელნი აწლა გამოსრულთ იყვნეს მასადიჲ. თუო ლარლიად მიიწია გამოღებად რომელთამე ადგილთა, რომელნი ანტილონოჲს მცველთაგან იცევიდეს, ხოლო მიიწია რაჲ სეუფორს, შთამოუტევეა ღმერთმან თოვლი და ანტილონოჲს მცველნი განვიდეს სამცველთა და იეფობათა შინა საზრდელთასა იყო იროდი. ამისა შემდგომად ავაზაკთა ვიეთმე ზედა, რომელნი მკედრობდეს ქუაბთა შინა, განავლინა გუნდო<sup>3</sup> ცხენოსანთაჲ და აღჭურვილთა სამად განმყოფელმან, რამეთუ ცნა ბო-

<sup>1</sup> თესთა|+მისთა AQS. <sup>2</sup> მიმთხუელთა A. <sup>3</sup> გონდი.

როტისმოქმედებად მათი. ხოლო იყო ესე მახლობელ დაბისა, არვილად სახელდებულისა. და მეორემოცესა დღესა მივიდა თვთ იგი ყოველისა სიმრავლისა თანა. და მალიად გამოსრულთა მტერთა მიდრიკეს მარცხენე კერძო მკედრობათა მისთად. ხოლო თვთ, გამოჩინებულმან სიმრავლისა თანა, მიდრიკნა სივლტოლად ოდესმე მძლეველნი და, მილტოლეილნი, უკუნ-აქცინა და სდევნიდა მბრძოლთა ვიდრე იორდანისა მდინარედმდე მლტოლეულთა სხვთ გზით. და მიილო ყოველი ღალილეად გარეშე ქუაბთა შინა დამკვდრებულთა. ხოლო განუყო ვეცხლიცა, მიმცემელმან თითოეულისა მამაკაცისათვს ასორმოცდაათთა დრაბათა, ხოლო მთავართა მრავლად უმეტესი წარუველინა, საზამთროთა შინა მყოფთა. და ამთ შინა მივიდა სილონ მისა მიმართ და მთავარნიცა, საზამთროთა შინა მყოფნი, რამეთუ ანტილონოსს არა ენება საზრდელთა მინიჭებად მათთვის და არა უმეტეს თვსა ერთისა ზრდიდა მათ მამაკაცთ ესე. ხოლო წარავლინა მონათა მიმართ და უბრძანა სოფლებისა შინათა საქმართა აღებად და მთად წარლტოლეად, რაათა რომანი, არა მქონებელნი საკიროთანი, სიყმილითა განიხრწნენ. ხოლო იროდი ამათი ვიდრემე მოურნეობად ფერორას, უქუბუკესსა ძმასა, უბრძანა და ამცნო ალექსანდრიოთსაცა შეზღუდვად. ხოლო ამან მალიად იეფობად საქიროთად მიანიჭა მკედართა და თანად ალექსანდრიოთ, მოოკრებული, აღაშენა.

5. ხოლო ამათვე უამთა შინა ანტონიოს ათინათა შინა იქცეოდა. და სურისა შინა ენტიდიოს სილონის, მიმწოდებელმან პართთა ზედა, წარავლინა, პირველად ვიდრემე რაათა იროდის შეეწიოს<sup>1</sup> და ამისა შემდგომად სხვსა ბრძოლასა მიმართ მიუწოდოს თანაშემწეთა. ხოლო იროდი, ქუაბთა შინა მყოფთა ავაზაკთა ზედა მოსწრაფემან, სილონ ვიდრემე ენტიდიოსს წარუველინა, ხოლო თვთ მიიმართა ავაზაკთა ზედა. იყენეს უკუე სრულიად დახეთქილთა მთათა შინა ქუაბნი და საშუვალ დანახეთქისა მქონებელნი წარსავალთანი და კლდეთა მახვლთა/მიერ მოზღუდვილნი. ამთ შინა მსხდომარე იყენეს ყოველთა თანა ნათესავთა მათთა. ხოლო მეფე, ლარნაკთა შემამტკიცებელი, შთაუტევებდა ამთ, რკინისა ჯაჭუთადმი დამოკიდებელი მანქანებით, მწუერვალისაგან მთათაჲსა, რამეთუ არცა ქუეთ აღსლვად შესაძლებელ იყო სიმახვლისათვს მთისა, არცა ზენაჲთ შთასლვად მათდა მიმართ. ხოლო ლარნაკნი სავსე იყენეს აღჭურვილებითა, რომელნიცა მქონებელ იყენეს კავთა დიდთა. რომელთა მიერ ეგულებოდა მიტაცებად წინააღმდგომთა ავაზაკთაჲ და მოკუდინებდა შთამოლებულთაჲ. ხოლო შთატევებად ლარნაკთაჲ ძნელ იყო სიღრმისათვს ფრიადის, რომლისათვს საზრდელნიცა აქუნდეს მთ შინაგან. ვითარ უკუე შთატევებულ იქმნეს ლარნაკნი და არავინ იკადრებდა ვამოსლვასა ქუაბისა პირთა ზედა მყოფი, არამედ შიშით დაწყნარებულ იყენეს, აღჭურვილთაგანი ვინმე, მომრტყმელი მახვლისაჲ და ორთავე კელთა მიერ მომბლუჭველი<sup>2</sup> ჯაჭვსაჲ, რომელსა ზედა შთამოკიდებულ იყო ლარნაკი, შთავიდა პირთა ზედა, რამეთუ საძნაურ უჩნდა ესოდენ მიმყოვრებაჲ, გამოსლვად არა მკადრებულთაჲ. და მიწვენულმან პირსა რომელსაჲ ზედა, პირველად ვიდრემე მაზრაკითა უკუნ-აქცინა მრავალნი, მდგომარენი პირსა ზედა. ამისა შემდგომად კავითა მომზიდველი წინააღმდგომთაჲ, შთაუქენებდა ქუე

<sup>1</sup> შეწიოს A. <sup>2</sup> მომჭულველი AQ.

მთხრებლადმი. და შინაგან შესრულმან მრავალნი მოაკუდინნა და კუალად ლარნაკად უქუნქეული დაღუმებულ იქმნა. ხოლო შიშსა მქონებელ იყვნეს სხუანი, მსმენელნი ტყებისანი და ცხორებისათჳს სასოწარკვეთილ იყვნეს. და ყოველი ვიდრემე საქმე აქუნდა გამოსრულთა, რამეთუ მრავალთა, შენდობითა მეფისა ქადაგებისათა, მორჩილებად მისცნეს თავნი თჳსნი. ხოლო ესევე სახე მომავალსაცა დღეს იკუმის, გამომავალთა მიმართ ავაზაკთა და ბრძოლად განწყობილთა მათთვის კართა ზედა და თანად ცეცხლი აღუდგეს და აღენტნეს ქუბანი, რამეთუ მრავალი ნივთი\* იყო მათ შინა. ხოლო მოხუცებულსა ვისმე, შეწყუდებულსა შინაგან შვდთა შვილთა თანა და ცოლისა, ევედრებოდეს ესენი, რათა უტევნეს განსლვად მბრძოლთა მიმართ, ხოლო ესე, მდგომარე<sup>1</sup> პირსა ზედა, მარადის<sup>2</sup> პირველად განსრულსა ყრმათა მისთაგან მოაკუდინებდა და ყოველნი მოკუდინებულ ყვნა, ამისა შემდგომად — ცოლიცა თჳსი. და მთხრებლად შთამასრეველმან მკუდართამან, შთაიგდო მათ ზედა თავიცა თჳსი, სიკუდილისა მომთმენელმან უწინარეს მონებისა. ხოლო პირველ მრავლად აყუდრა იროდის უნდობისა მისისათჳს. ამას თანა მეფე მარჯუენესა მიუპყრობდა და ყოველსა თავისუფლებასა უბრძანებდა, რამეთუ სახილველ იყვნეს ქმნულნი მოხუცებულისა მიერ. ესენი რამ იქმნებოდეს, დაპყრობილ იქმნნეს ქუბანი ყოველნი.

278

6. ხოლო მეფე, დამადგინებელი პტოლემეოსის მუნ მკედართმთავრად, სამარიად წარვიდა ცხენოსანთა თანა ექუსასთა და აღკუტრვილთა სამ ათასთა, / რათა ბრძოლით გამოცდილ იქმნეს ანტილონოსს მიმართ. გარნა პტოლემეოსსა არა წარემართნეს მკედართმთავრობისანი, არამედ და უწინარესცა აღმამჯობებელთა ლალილუასათა, მისრულთა მისა, მოაკუდინეს იგი. და ამისნი მოქმენი მიივლტოდეს სერტყოვანთა შინა და ძნიად სავალთა აღგილთა და მიიტაცნეს და წარიღეს ყოველი მუნ შინა მყოფი. არამედ შურ-იგო ამათგან იროდი აღმოსრულმან, რამეთუ რომელნიმე განდგომილთაგანნი მოაკუდინნა, ხოლო სიმავრეთა შინა მილტოლვილნი, გარემოდგომილმან, იგინიცა მოაკუდინნა და სამცველონი აღმოჰგებურნა. და ესრეთ დამაცხრობელმან შფოთისამან ზღვეულ ყვნა ქალაქნიცა, ასთა ტალანტთა მიმღებელმან.

7. ხოლო ამათ შინა ვინაჲთგან დაეცა პაკოროს ბრძოლასა შინა და ძლეულ იქმნნეს პართნი, წარავლინა ვენტიდიოსს შეწყვენად იროდისა მაქერა ირთა განწყებულთა თანა და ათასთა ცხენოსანთა, რამეთუ ასწრაფებდა ანტონიოს. მაქერა ვიდრემე უკუე, ანტილონოსს მიერ მიწოდებული, გარეგან იროდის განზრახვისა საქმართა მიერ მომედგრებული, წარვიდა, ვითარ განხილვად საქონელთა მისთა. ხოლო გონებისა მისისა მცნობელმან ანტილონოსს არა შეიწყნარა იგი, არამედ შურდულთა მიერ მტყორცებული ქვათაჲ აყენებდა მას და განაცხადებდა განზრახვასა მისსა. და ვინაჲთგან აგრძნა, ვითარამედ უმჯობესთა განზრახვებდა მას იროდი და შეაკეთუნა თავი თჳსი, არა მსმენელმან განზრახვისა მისისამან, წარვიდა ამჟამს ქალაქად და რაოდენთა იუდელთა შეემთხუეოდა გზასა ზედა, მოაკუდინებდა მათ, მტერთა თანად და

<sup>1</sup> მდგ<sup>2</sup>მე AD.

\* ცღჲ 14<sub>188</sub> (= 1) შემა; 2) ნოთი, მატრია. ამ კონტექსტში იგულისხმება პირველი მნიშვნელობა. <sup>10</sup> ძბ ძღ 14<sub>188</sub> (= 1) ყოველთვის, განუწყვეტლავ; 2) ყოველ წერხე. მოხუცი სათითაოდ, ყოველ წერხე გამოსულ შვილს კლავდა. ე. ი. იგულისხმება მეორე მნიშვნელობა).



მოუყარეთა, განარისხებულმან მათ ძლით, რომელნი შეემთხვნეს. ხოლო მეფე, განარისხებული მათ ზედა, სამარიად მივიდოდა, რამეთუ ანტონიოს მიმართ მნებებელ იყო ამათ ძლით<sup>1</sup> წარსლვასა და რამეთუ არა ესევითარათა შემწეთა მოქენე არს, რომელნი უფროსლა მას ავნებენ, ვიდრე მბრძოლთა და ვითარმედ კმა-არს მისთვის ანტილონოს მიმართი ბრძოლად. ხოლო მაქერა, შედგომილი, ევედრებოდა დადგრომად და უკუეთუ ესრეთ აღძრულ არს, არამედ რაფთა ძმად მისი იოსიპოს დაადგინოს მათ თანა ანტილონოს ბრძოლად. და დაეგო ვიდრემე, მრავლად ევედრებული მაქერაჲს მიერ. ხოლო მუნ დამტევებელმან ძმისა თვისისა იოსიპოსმან მკედრობისა თანა, განაზრახა არა ძვრხილულობად, არცა წინაჯდომად მაქერაჲსა.

8. და თუთ მეფე ანტონიოს მიმართ მოსწრაფე იყო, ხოლო შეემთხვა, რამეთუ ანტონიოს აოკრებდა სამოსატათა ეფერატი მდინარესა თანა მყოფსა სოფელსა. და შეეწეოდეს მას ცხენოსანნი და ქუეითნი, მიმავალნი მისა მიმართ. ხოლო იროდი, მიწვეული ანტიოქიად და მრავალთა მუნ შეკრებილთა მიმთხუეული, ანტონიოს მიმართ წარსლვად მოსწრაფეთაჲ, გარანა შინასათეს განსლვად არა მკადრებელთაჲ, რამეთუ ვარვაროსნი უმზირდეს გზათა ზედა და მრავალთა მოაკუდინებდეს, განმამკნობელი მათი იროდი წინამძღუარქმენა მათ გზისა. ხოლო მეღრესა სადგომსა სამოსატათასა უმზირდეს მუნ მელარენნი ვარვაროსთანი ანტონიოს მიმართ მიმავალთა და შესავალთა მალნარისათა, რომელნი ველადმდე განიწეოდეს, დაადგინეს მუნ ცხენოსანნი არამკირდენნი, დუმილსა მქონებელნი, ვიდრე არა განვიდოდიან განმავალნი ცხენთა სარბიელსა ველსა შინა. ხოლო იროდი, უკუანაჲთ მავალი, სცვიდა. და უცნაურად დაესხნეს მათ სადარნოსა შინა მყოფნი, ვითარ ხუთასნი. და პირველ ვიდრემე სივლტოლად მიდრიკნეს, ხოლო მეფემან, მიმსრბოლმან მათ ზედა ძლიერებითა, რომელი იყო მის თანა, მეყუსეულად უკუნ-აქცინა მბრძოლნი და აღმპართა სიმკნე მკედართა თვსთაჲ და უშიშ ყვნა იგინი. და პირველ ლტოლვილნი, უკუნქცეულნი, მოაკუდინებდეს, ყოვლით კერძო მბრძოლნი ვარვაროსთანი. და სდეენიდა მათ მეფე, მომსრველი, და მიტაცებულთა ჭურჭელთა და ტყუეთა ყოველთა მაცხოვნებელი წინა-ვიდოდა, რომელნიცა ფრიად იყვნეს მიყვანებულ ვარვაროსთა მიერ. და ვინაჲთგან უმრავლესნი მოვიდოდეს მათ ზედა ბრძოლად, რომელნი ველად განსავლსა თანა იყვნეს, ამათმანცა ბრძოლამყოფელმან სიმრავლისა თანა ძლიერისა სივლტოლად მიდრიკნა და მრავალთა მოაკუდინებელი მათგან უშიშსა გზასა მიანიჭებდა უკუანაშედგომილთა. ხოლო იგინი მაცხოვრად და მთავრად უწოდდეს მას.

9. ხოლო ვინაჲთგან მახლობელად სამოსატათა მიიწია, წარავლონა ანტონიოს მკედრობაჲ თვისი შემთხუევად მისა თვისისა სამკაულისა თანა, ამას პატივსა მიმნიჭებელმან იროდისთვის თანაშემწეობისა ძლით, რამეთუ ისწავა მათ ზედა დასახმად ვარვაროსთაჲ. და თანად მიწვეული იხილა მხიარულებით და გზასა ზედა მის მიერ მოქმედებულთა მსწავლელმან შეიწყნარა სიტკბობით და სიმკნესა მისსა ზედა განკვრდებოდა და თუთ ანტონიოს, შემტკობელმან მისმან, ვითარ იხილა, ამბორს-უყო და პატივ-სცა, კუალად მეფედ

<sup>1</sup> ძლითთ A.

განმაჩინებელმან. ხოლო ანტიოხოს შემდგომად არა მრავლისა მისცა სამცველო და ამისთვის დასცხრა ბრძოლა. და ანტონიოს სოსსიოსს მისცა ესე და მბრძანებელი მისთვის თანაშეწყენად ჩროდისა, თუთ ეკვპტეს წარემართა. ჯა სოსსიოს ვიდრემე ორნი გუნდნი მკედარათანი წინა-წარავლინა იროდის თანა იუდეად და თუთ იგიცა უმრავლესისა თანა მკედრობისა შეუდგა.

10. ხოლო აწლა შემთხუეულ იყო სიკუდილი იოსიპოსსთვის იუდეასა შინა სახითა ესევეითარითა: დავიწყებამ მიილო მათი, რომელნი ძმამან მისმან, ანტონიოსს მიმართ წარმავალმან, ამცნა მას. ხოლო დაბანაკებული მათა ზედა იერიხუნტოდ მოსწრაფე იყო, რამეთუ ხუთნი გუნდნი მისცნა მას მაქერა და მნებებელ იყო მომკასა იფქლისა მათისასა. არამედ რომთა მკედრობამ ახლად შეკრებულ იყო და ბრძოლათა უმეცრებამ აქუნდა და რამეთუ მრავალნი თანააღრაცხილ იყვნეს სურიათ, რომლისათვისცა ზედ-დაესხნეს მას მუნ მბრძოლნი და შეყენებულ / ძნელოვანთა ადგილთა შინა, მოკულდა თუთ იგიცა, მკედლ მბრძოლი და მკედრობამ ყოველი წარწყმიდა, რამეთუ ექუსნი გუნდნი განიხრწნეს. დამპყრობელმან მკედარათან ანტილონოს მოკუეუთა თავი იოსიპოსსი და ხუთასთა\* ტალანტთა საქსართათუნ მისცა ძმასა მისსა ფერორას. და ამისა შემდგომად განრისხებულთა ლალილეულთა მთავართა ზედა მათთა ერთგონებანი იროდისნი ტბასა შინა მოაშთვნეს. და იუდეასა შინა მრავალნი კლომანი იქმნებოდეს. ხოლო მაქერა გითამს სამცველოსა განამავრებდა.

11. და თანად მიიწინეს მეფისა მიმართ მიმთხრობელნი მოქმედებულთანი და დაფნის შინა ანტიოქიასასა აუწყეს მას ბედი ძმისა მისისა. ხოლო უწყებულ იყო მისთვისცა ჩუენებათა რომელთამე მიერ, ცხადად მაჩუენებელთა სიკუდილსა ძმისა მისისასა. მოსწრაფექმნილი უკუე სლვასა შინა, ვითარ ლივანოსსა მთად მიიწია, რეასანი მკედარნი მიიყვანა მიერ და მქონებელი ერთისა რომაულისა გუნდისა<sup>1</sup> პტოლემადიდას მივიდა. და მიერ, ლამით ადგომილი მკედრებისა თანა, განკვლიდა საშუეალ ლალილეასა. ხოლო მოეგებვოდეს მას მბრძოლნი და, ძლეულნი ბრძოლასა შინა, შეწყუდეულ იქმნეს ადგილსა რომელსამე შინა, ვინამ წარმომართებულ იყვნეს პირველსა დღესა და მიერთებან უკუე განთიად იქმოდა ბრძოლათა. და ვინამთგან დიდი ზამთარი იქმნა და არარას შემძლებელ იყო მოქმედებად, წარავლინა მკედრობამ მახლობელთა დაბათა მიმართ. ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა მისა მეორეცა გუნდი მკედრობისა, ანტონიოსს მიერ წარმოვლინებული. და შეშინებულთა, რომელნი მქონებელ იყვნეს სამცველოსა, ლამით დაუტევეს იგი. ხოლო მეფე მოსწრაფე იყო იერიხუნტოსსა ზედა, მქონებელი გონებასა შინა ძმისა თუსისათვის შურისგებასა. და ვინამთგან დაისადგურა, ასერებდა მთავართა თუსთა, ხოლო შემდგომად სერობისა შევიდა საყოფელად, განმტარებელი მუნ დამთხუეულთამ. აქა შინა იხილოს ვინმე ღმრთისა მიერი სიყუარული მეფისა, რამეთუ დაეცა სართული სახლისა; ხოლო არცა ერთი ვინ შინაგან მყოფო განიხრწნა, ვიდრედა ყოველთა ირწმუნეს იროდის ღმრთისმოყუარებამ, ესრეთ დიდისა და საკვრველისა ძვრისხილვისაგან განლტოლვილისა.

<sup>1</sup> გონდისა A.

\* πνευματικα 14,30 (=50).

12. და მეორესა უკუე დღესა ვითარ ექუს ათასნი მბრძოლნი, შთამოს-  
რულნი მწუერვალთაგან მათათასა, შეაშინებდეს რომთა და მარტოდ მბრძოლ-  
ნი\*, მიახლებულნი, მახრაკებითა ესროდეს მეფისა გარემოას მყოფთა და  
ქვეებითა და თვთ მას, მეფესაცა, ვინმე სცა წიბოთა ქუეშე.

ხოლო ანტილონოს წარავლინა სამარიასა ზედა მკედართმთავარი, სახე-  
ლით პაპოს, ძალისა რომლისა მცირეთა, რაჟთა იქვ მისცეს მბრძოლთა, ვი-  
თარმედ მრავლისა ძალისა მქონებელ არს, არამედ ესე ვიდრემე მაქერაას  
მკედართმთავრისათუს მოდგომილ იყო. ხოლო იროდი, ხუთთა ქალაქთა  
მიმღებელმან, დანეშტებულნი მას შინა, ვითარ ორ ათასნი, მოაქუდინნა და  
ქალაქთა დამწუველი / აღვიდა პაპოსას მიმართ. ხოლო დაბანაკებულ იყო  
ესე დაბასა შინა, ისანად წოდებულსა. და მრავალნი მივიდოდეს მისა იერი-  
ხუნტოჯთ და იუდეაჟთ. ხოლო ვინაჟთგან მიიწია მბრძოლთა ზედა, სიმკნითა  
მბრძოლმან მათმან სძლო ბრძოლასა შინა და შურისმგებელი ძმისა თვისისა-  
თუს, შედგომილი, დაბად მილტოლვილთა მოაქუდინებდა. აღიესებოდეს უკუე  
სახლნი აღტურვილთაგან და მრავალნი სართულთა ზედა აღივლტოდეს. ხოლო  
იროდი სძლო ამათცა და სართულნი სახლთანი დაამკუნა და აღსაესედ იხილ-  
ვებოდეს მკედართაგან, ანასდაჟთ პურობილთა. ამათ ვიდრემე უკუე ზენაჟთ  
კერძო ქვათა ესროდეს მრავლად და ურთიერთას დაცემულთა მოაქუდინებ-  
დეს. და მძენვარე სახილაჟი იყო ესე ამას ბრძოლასა შინა, რამეთუ მკედარ-  
თა სიმრავლე აურაცხელი სხუაჟს-სხუაჟსა ზედა მდებარე იყო შინაგან ზღუ-  
დეთა. ამან საქმემან ფრიად მოამდოვრნა გონებანი მბრძოლთანი და გულვე-  
ბადლთათუს მოშიშებდეს, რამეთუ მრავლად იხილვებოდეს შორით, რომელნი  
ივლტოდეს, დაბად მიწეუნულნი. და არა თუმცა ღრმასა ზამთარსა დაეყენა,  
მიწეუნულისამცა იეროსოლქმათაცა ზედა მკედრობაჟ მეფისაჟ, მინდობილი  
ძლევისაჟ და ყოველიმცა საქმე მოქმედებულ იყო და რამეთუ ანტილონოს  
სრულიადსა ლტოლვასა განიზრახვიდა და წარსლვასა ქალაქისაგან.

13. მაშინ ვიდრემე უკუე მეფემან, რამეთუ მიმწუხრი იყო, სერობაჟ  
უბრძანა მკედართა თუსთა და თვთცა, დამაშურალი, შევიდა საყოფელსა  
რომელსამე ბანად, სადა დიდი ძვრხილულობაჟ შეემთხვა მას, რომელსაცა  
განეველტო ღმრთისა წინამოურნეობითა: რამეთუ შიშულად მყოფი ყრმისა  
ერთისა თანა, რომელი შედგომილ იყო მისთუს, შინაგან სახლისა მბრძოლ-  
თა ვიეთმე აღტურვილთა მიემთხვა, რომელნი შიშისა ძლით შეველტოლვილ  
იყვნეს მუნ. და ვითარ იბანებოდა, გამოვლო ერთმან, მახვლსა მქონებელმან  
შიშუელსა და კართაჟთ განვიდა. და შემდგომად მისსა მეორემან და მესამე-  
მან მსგავსადვე, სამთავე შეტურვილთა. და არცა ერთსა მავნებელ ექმნნეს  
მეფესა, შიშისა მიერ განცუბრებულნი და ამას მხოლოდ მოსურნე იყვნეს,  
რაჟთა თვთ, არა რომლისა ენებულნი, განვიდენ. ხოლო მომავლსა დღესა.  
პაპოს თავისა მომკუთვლმან, რამეთუ მოკუდინებულ იყო, ფერორას წარ-  
უვლინა ნაცვლად მისსა, რომელნი ევენეს ძმასა მისსა, რამეთუ პაპოს მკლ-  
ველ ექმნა იოსიპოსს.

14. ხოლო ვინაჟთგან დასცხრა ზამთარი, აღძრული მიერ მახლობელად  
იეროსოლქმათა მიიწია და დაიბანაკა არა შორს ქალაქისაგან. ხოლო ესე მე-

\* სხვსა A. † მენებლნი AS, მენებლნი Q.

\* of the γυμνασιον 14,12 (ამსუბუქედ შეიარაღებულნი).

280<sup>1</sup>

სამე წელიწადი იყო მისა, ვინაჲთგან მეფედ რომს შინა განიჩინა. ხოლო აღმკედრებულმან და მახლობელად ზღუდისა მისრულმან, ვინაჲთ მარჯუე იყო საბრძოლად, წინაშე ტაძრისა დაიბანაკა და ეგულებოდა ბრძოლისა ყოფაჲ. ვითარ უწინარეს ოდესმე პომპეოსცა. და სამთა მიწისა გორთა აღმადგენელმან ადგილსა ზედა, კოშკნი აღჰმართნა და მრავლისა კელისა მკუმეველი / საქმისა მიმართ და მომკუეთელი გარემოისისა ნივთისაჲ, დამადგინებელი საქმეთა ზედა მეცნიერთა მამაკაცთაჲ, მუნ ყოფასა მკედრობისასა, თვთ სამართიად წარვიდა ცოლად მიყვანებისათჳს ალექსანდროსს, არისტოველოს ძისა, ასულსა, რამეთუ ამისა დაწინდებულ იყო. ვითარ და უწინარესცა თქუმულ არს ჩუენ მიერ.

## თ. 16

1. ხოლო შემდგომად ქორწილთა მოვიდა სოსიოს ფვნიკით, წინაწარმოშავლენელი ძალისაჲ საშუვალ ქუეყანისაჲთ. მოვიდა უკუე მკედართმთავარიცა, სიმრავლესა მქონებელი ცხენოსანთა და ქუეითთასა. ხოლო მოიწია მეფეცა სამართაჲთ, არამცირესა მკედრობასა მომყვანებელი პირველსა თანაჲ. რამეთუ სამნი ბევრნი იყვნეს და ყოველნი იეროსოლემასა ზღუდეთა თანაშეკრებოდეს და მსხდომარე იყვნეს ვორიოჲთ კერძოსა<sup>2</sup> ზღუდესა თანა ქალაქისასა, რამეთუ მკედრობისაჲ ათერთმეტი განწყობილებჲაჲ იყო აღქურვილი, ხოლო ცხენოსანნი — ექუს ათასნი და სხუანი შემწენი, სკრიჲთ მოწევნულნი. და ორნი მთავარნი — სოსიოს ვიდრემე, ანტონიოს<sup>3</sup> მიერ წარმოვლენებულ იყო თანაშეწევნად, ხოლო იროდი — თავით თვისით, რაჲთა ანტილონოსსგან მიმღებელი მთავრობისაჲ თვთ განმეფნეს ნაცვლად მისა სკნკლიტოსთა. ბრძანებისაებრ, რამეთუ ანტილონოს რომს შინა მბრძოლად განჩენილ იყო.

2. ხოლო მრავლითა წადიერებითა და ძლევისმოყუარებითა, ვითარ ყოვლისა ნათესავისა ერთად შეკრებითა, იუდელნი ჰბრძოდეს იროდის თანათა. შინაგან ზღუდეთა შეყენებულნი და მრავლად კმოდეს გარემომს ტაძრისა. და განამკნობდეს, ვითარმედ ივსნნეს ივინი ღმერთმან ძვრხილულობათაგან. და თანად ქალაქსა შინა ყოვლითურთ შემზადებულ იყვნეს და სავაჭრონი აღიხუნეს, რაჲთა არა დაუშეთს გინა კაცთა, ანუ პირუტყუთათჳს საზრდელი მისასყიდელად მბრძოლთა მიმართ და ფარულად ავაზაკობისა მკუმეველნი ულონობასა შეუქმოდეს მათ. ხოლო ამათმან მსწავლელმან იროდი უცნაურნი ადგილთა შინა<sup>4</sup> და დაუსნა მზირნი ავაზაკთა და სასყიდელთა მოსყიდისათჳს წარავლინა მკედრობათა წესი, ვიდრეღა მცირესა ჟამსა შინა ფრიადი იფთობჲა საზრდელთაჲ ექმნა მათ.

ხოლო აღმადღებოდეს მრავლისა კელისა მიერ მოქმედებითა სამნივე გორნი მიწისანი ადვილად, რამეთუ მკაჲ იყო და არარაჲ აყენებდა მათ აღმართებისა მიმართ, არცა აერთი გამო, არცა მოქმედნი. და თანად მანქანებათა აღმმართებელნი სცემდეს ზღუდეს და ყოველთა მეცნიერებათა მკუმეველნი არა შეაშინებდეს შინაგან მყოფთა, არამედ ნაცვალთა მოილონებდეს. იგინიცა, არამცირედთა მათ მიერ ქმნულთა მიმართ და თანად გამომსრბოლ-

<sup>1</sup> A-ში ჰაენაქია არეულია. 279 v-ს ვაგარძელება მოცემულია 281 r-ზე. <sup>2</sup> კერძოსა AQ.

<sup>3</sup> εν τῷ τῷ ἐπιμαρτυροῦσθαι τῶν 14<sub>72</sub> (= მოსახერხებულ, ხელსაყრელ ადგილებში).

ნი ნახევარქმულთა მანქანებათა დასწუვიდეს და განსრულებულთადა და  
 ეკლად მიწვეულნი არა უდარეს კანნიერებისა რომთაჲსა გამოჩნდებოდეს,  
 ხოლო მეცნიერებაჲ აკლდა მათ. თანად მანქანებათა მიერ ზღუდეთა აყენებ-  
 დეს, რამეთუ დაცემულ იყვნეს პირველად შენებულნი. და მიწასა ქუეშე მი-  
 გებებულნი და განმჯურეტელნი მისნი ჰბრძოდეს. და სასაოწარკვეთილებასა  
 უფროჲს, ვიდრე გონიერებასა მკუშვეელნი, ევედრებოდეს უკუანამსკნელსა  
 ბრძოლასა შინა\* და ამას მაშინ, ოდეს მკედრობაჲ დიდი გარემოდგომილ  
 იყო მათთვის და სიყმილითა / მოუძღუარებულ იყვნეს და ნაკულუევანებითა  
 საჭიროთათა, რამეთუ მეშვედ წელიწადი მოიწია მაშინ. და აღვიდეს ზღუდე-  
 სა ზედა პირველად ვიდრეშე რჩეულნი მამაკაცი ოცნი, ამისა შემდგომად  
 ასთმთავარნი სოსსიოჲსნი, რამეთუ აღებულ იქმნა პირველი ზღუდე დღითა  
 შინა ორმოცთა, ხოლო მეორე — ათხუთმეტთა. და რომელნიმე შტონიცა  
 ტაძრისანი დაიწუნეს, რომელთა დაწკუჲა ირადი ანტილონოს დასწამა, რაათა  
 სიძულელი შეემთხუოს მას იუდელთა მიერ. ხოლო ვინაჲთგან დაპყრობილ  
 იქმნა გარეგანი ტაძრისა და ქუეშე კერძოჲ ქალაქისა, შინაგანსა ტაძრისა და  
 ზემო ქალაქსა შეეკლტოდეს იუდელნი. და შეშინებულნი, ნუსსად დაყენე-  
 ზულ იქმნენ რომთაგან დღით-დღელთა მსხუერპლთა შეწირვად ღმრთისა,  
 ევედრნეს, რაათა უბრძანონ მსხუერპლთა მხოლოდ შეღებაჲ მათთვის. ხოლო  
 ირადი მიუტევნა მათ ესენი, რამეთუ ჰკონებდა მისა მიმართ მორჩილებასა ჰა-  
 თსა. და ვინაჲთგან არა რომელი იხილა მათ მიერ ქმულად, რომელთათვის იქუ-  
 ნეულ იყო, არამედ მერმეცა წინა-აღუდგებოდეს მას ძლიერად ანტილონოს  
 მეფობისათვის, მბრძოლმან მათმან ძლიერებით დაიპყრა ქალაქი. და მეყუსეუ-  
 ლად აღსაესე იყვნეს ყოველნი სისხლითა, რამეთუ რომნი განრისხებულ იყვნეს  
 ესოდენ განგრძობისათვის ბრძოლისა, ხოლო იროდის თანათანი მოსწრაფე  
 იყვნეს, რაათა არცა ერთი მბრძოლი დაშთეს იუდელთაგან. მოსრვოდეს  
 უკუე სიმრავლენი ფრიალნი სივიწრეთა შინა და სხუათა შეყენებულნი და  
 ტაძრად შევლტოლვილნი. ხოლო იყო არცა ყრმათა, არცა ბერთა სიწყა-  
 ლული, არცა კრძალულებაჲ დედაკაცთა უძღუარებისაჲ. და ამას თანა შევრ-  
 დომილი მეფე ევედრებოდა მათ რიღებად, გარნა არცა ვინ იპყრობდა მარ-  
 წუნესა, არამედ ვითარ აღბორებულნი ყოველსა (ჰასაესა) მოაკუდიენებდეს.  
 სადა ანტილონოსცა არცა პირველსა, არცა მაშინ მყოფსა ბედსა გონებად  
 მომღებელი, შთამოვიდა გოდლისაგან და სოსსიოჲს ფერკთა შეუვრდა. ხო-  
 ლო მან, არა შემწყყნარებელმან მისმან ესრეთ შეცვალებისათვის, ძლიერად გა-  
 ნიციინა და ანტილონიდ უწოდა. გარნა არა ვითარ დედაკაცი თავისუფლად  
 განუტევა სამკველომსაგან, არამედ შეკრული იცვებოდა.

3. ხოლო იროდი, მძღველი ბრძოლათაჲ, ზრუნვიდა, რაათა იპყრნეს  
 უცხონიცა თანაშემწენი თვისნი, რამეთუ უცხოჲ სიმრავლე მიიმართებდა ხილ-  
 ვად ტაძრისა და ტაძრისა შინათა სიწმიდეთა, რომლისათვისცა მეფე რომელ-  
 თამე ევედრებოდა და სხუათა აქადებდა, ხოლო არს, რომელთა და საჭურ-  
 ვლითაცა უკუნ-აქცევდა, უბოროტეს ძღუელებისა შემრაცხელი ძღვეისაჲ,  
 უკუეთუ რომელიმე უხილავთაგანი ხილულ იქმნეს მათ მიერ.

\* πρωτευουδικου εν πικραδι εν εβουδαϊσθη 14,178 (=მეფერად იბრძოდნენ ბოლომდე).

281 ხოლო დააყენებდა ტაცებათაგანცა ქალაქითი-ქალაქადი, მრავლად მედრებელი სოსიოას მიმართ, ვითარმედ უკუეთუ საქმართა და მამაკაცთაგან დააცარიელონ ქალაქი რომთა, უდაბურთა მეფედ დაუტევონ იგი და ვითარმედ ესოდენსა სიკუდილსა ზედა მოქალაქეთასა მცირედ სანაცვლოდ შეურაცხიეს მთავრობაჲ ქუეყანისაჲ. ხოლო სოსიოს ეტყოდა, ვითარმედ ნაცვლად ბრძოლისა სამართლად ბრძანებულ არიან მკედარნი მიტაცებად საქმართა, ხოლო იროდი მიუგო, ვითარმედ „მე განუყო თითოეულსა: სასყიდელი მათი ჩემთა საქმართაგან“. და ესრეთ დანეშტებულისა ქალაქისა მოსყიდელმან აღთქუმანი აღუსრულნა: ბრწყინვალედ ვიდრემე თითოეულსა მკედარსა და შესასმგავსად მთავართა და მეფობრივად თვთ მას, სოსიოსსა, მიანიჭნა ნიჭნი, ვიდრელა წარვიდეს ყოველნი ღონიერსა საქმართაგან.

4. ესე ვნებამ შეემთხვა იეროსოლჴმელთა ქალაქსა ვპატობასა რომს შინა მარკოას აღრიპპაჴსასა და კანიდიოას ღალღოჴსასა, მეასესა და მეოთხმეოცესა და მეხუთესა ოლჴმპიადისასა, მესამესა თუესა, დღესასწაულსა მარხვისასა, ვითარ კულად მოქცეული განსაცდელი, რომელი იყო იუდელთა ბომპიოჴსა ზედა და რამეთუ ამის მიერ ამასვე დღესა შინა მიყვანებულ იქმნეს შემდგომად შვლთა და ოცთა წელთა. ხოლო სოსიოს, ოქროასა გვრჯენსა შემწირველი ღმრთისა, წარვიდა იეროსოლჴმამთ, მიმყვანებელი ანტილონოასი, შეკრულსაჲ, ანტონიოას მიმართ. ხოლო იროდი შეშინებულ იქმნა, ნუსადა. დაცულმან ანტილონოს ანტონიოას მიერ და რომს წარყვანებულმან, ქმნეს. სიტყუანი მისთვის სკლიტობისა მიმართ, მაჩუენებელმან თავისა თვისიამან მეფეთაგან, ხოლო იროდისმან, მსოფლიოთაგან და ვითარმედ ყრმათა მისთაჴერ-იყო მეფობაჲ ნათესავისა ძლით, დაღაცათუ იგი მცოდველ იქმნა რომთა მიმართ. ამათ ძლით მოშიშმან მრავალთა საქმართა მიერ არწმუნა ანტონიოსს მოკუდინებაჲ ანტილონოასი. რომელი ესე იქმნა რაჲ, იროდი ვიდრემე შიშისაგან განთავისუფლდა, ხოლო ასამონეოას მთავრობაჲ ესრეთ დასცხრა შემდგომად წელთა ას ოცდაექუსთა.

ესე სახლი ბრწყინვალე იყო და საჩინოჲ ნათესავისა ძლით და მღდელთ მთავრობისა პატივისათუს და მათ ძლით, რომელნი მშობელთა მისთა ნათესავისათუს იუდელთაჴსა იმოქმედნეს. არამედ ამათ ურთიერთას კლდომისა ძლით მთავრობაჲ წარწყმიდეს და გარდაიცვალა იროდის მიმართ, ანტიპატროას ისა, რომელი იყო მსოფლიოჴსა სახლისაგან და მსოფლიოჴსა ნათესავისა და მეფეთა მორჩილსა. და ესე ვიდრე დასასრული ასამონელთა ნათესავისა მოგვლებიეს.

ფლავიოას იოსებოას იუდაებრივისა დასაბამსიტყუაობისაჲ, წიგნი მეათოთხმეტე.

ენანი არიან მათხუთმეტას შინა იოსიოგოს მოთხრობათას  
რუდაბერივისა ღასაბამსიტუაობისათჳს

1. ვითარმედ მიიღო რაჲ ქალაქი იეროსოლუმელთაჲ სოსიოს და ირო-  
დი, ანტონიოს ვიდრემე ცულითა მოაყუდინა ანტილონოს ანტიოქიას შინა,  
ხოლო იროდი ორმეოცდახუთნი მოყუარეთა მისთაგან, პირველნი იეროსოლუ-  
მელთანი, მოსრნა და ქალაქისა შინათაგან ვეცხლი შეკრიბა.

2. თუ ვითარ სახედ ვრკანოს, პირველი მეფე იუდეელთაჲ და მღდელთ-  
მთავარი, განტევებული არსაკის მიერ, პართთა მეფისა, იროდის მიმართ  
უყუნ-იქცა.

3. ვითარმედ იროდი ძმად ცოლისა მისისა მარიამმისი, არისტოველოს,  
მღდელთმთავრად დაადგინა და შემდგომად არა მრავლისა განხრწნად შეჰ-  
შხადა მისი.

4. ვითარმედ შემდგომად არისტოველ/ოას მოყუდინებისა, დედისა მი-  
სისა ალექსანდრაჲს ნაწერთაგან ვედრებულმან კლეოპატრა არწმუნა ანტო-  
ნიოსს, რაჲთა მიუწოდოს იროდის და გამოიკითხოს მისგან მოყუდინებისათჳს  
არისტოველოჲსა. ხოლო მან, მიწვეულმან მისა მიმართ და სიტყუსმყოფელ-  
მან, დაჰყენნა ბრალობანი.

5. ვითარმედ იროდი, დამტევებელი ანტონიოჲს, იეროსოლუმად მიიწია  
და ცრუთა შესმენათა მიერ რწმუნებულსა ენება მოყუდინებაჲ ცოლისა მი-  
სისა მარიამმისი, გარნა სიყუარულითა მისითა შეპყრობილი განეყენა კლვასა  
მისსა, ხოლო იოსიოგოს, ქმარი სალომისი, მარიამმის თანა შესმენილი, მეყუ-  
სეულად მოაყუდინა.

6. ვითარმედ კლეოპატრა, იუდეელთა და არაეთა მეფობასა მიღებად მნე-  
ბებელმან, კერძოთა რომელთამე მიღებად შეუძლო მათგან ანტონიოჲს მიერ.

7. და ვითარმედ კლეოპატრა იუდეად მიიწია, რომელიცა კნინდა მომ-  
ცაეკუდინა იროდის, არათუმცა მოყუარეთა მისთა დაეხრწია იგი.

8. ვითარმედ იროდი ჰბრძო არეტას, რომელსა ეჰმსა ანტონიოს კესარიასა  
მიერ<sup>2</sup> აკტიონს<sup>3</sup> იძლია ბრძოლასა შინა.

9. ძრვისათჳს, რომელი იქმნა იუდეასა შინა და განხრწნისათჳს კაცთა  
და საცხოვართაჲსა.

10. და სიტყუსგებისად იროდისი იუდეელთა მიმართ, მწუხარეთა ვნები-  
სათჳს და ძლეულებისა, რომელი იქმნა.

11. ვითარმედ შემდგომად ქადაგებისა იროდი, მბრძოლმან არაეთამან,  
სძლო მათ.

<sup>1</sup> მოყარეთა A. <sup>2</sup> კესარიას მიერ]—QS. <sup>3</sup> აკტიონს]—QS, კატაკტიონს AD, მუ რწ მდ.  
'Ανεση, ტ. VIII, გვ. 540 (—აკტიონთან).

12<sup>1</sup>. ვითარმედ საჭიროდ მქონებელმან იროდი წარსლვასა კესარის მიმართ, მძლეველისა, მოაკუდინა კრკანოს; ვითარმედ მიიღო კესარის მიერცა მეფობა და ეგვიპტედ წარავლინა იგი, მრავლად პატივცემული მის მიერ.

13. ვითარმედ აღმოსრულმან, ცრუთა შესმენათა მიერ განრისხებულმან, მოაკუდინა ცოლი მისი მარიამში.

14. ვითარმედ შემდგომად მარიამმის სიკუდილისა განმხრწნელი სენი მიიწია და თვთ მეფესაცა ეწია;

15. ვითარმედ დამან მეფისამან სალომი კოსტოვაროს, ქმარი მისი, შეასმინა მეფესა, ხოლო იროდი იგიცა და სხუანი ვიეთნიმე განხრწნა.

16. სიყმილისათვის, რომელი იქმნა იუდეასა და სვრიასა შინა და ვითარმედ აცხოვნა სიმრავლენი და ქალაქი იროდი.

17. აღშენებად ელინურთა ქალაქთა, რომელნი იროდი აღაშენა.

18. ვითარმედ კესარ დასძინა მეფობასა იროდისსა სახლი ღვსანიაისი, რომელიცა ზინორდოროს ვისმე აქუნდა მიზღვით.

19. რომლისათვისცა იროდი სამადლობელად კესარისა ტაძარი, პატივისმოყუარებით შემამკობელმან, აღუშენა და ვითარმედ იუდელნი, განრისხებულნი ამისთვის, ვითარ გარეგან იუდელთა სჯულისა ქმნისათვის, მრავალნი მოიკუდინნეს იროდის მიერ.

20. ვითარმედ დამარტუველმან იეროსოლვმათა პირველისა ტაძრისამან, სხუად აღადგინა შემდგომად ექუსასთა წელთა, ორგზის უფროდსი საზომითა.

მოაქუს წიგნსა ჟამი წელთა ათრვამეტთა

ფლავიოს იოსიპოზსი იუდაებრივისა დასაბამსიტყუაობისად,  
წიგნი მეათხუთმეტე

## თ. 1

1. სოსიოს ვიდრემე უკუე და იროდი, თუ ვითარ ძლიერებით მიიღეს იეროსოლვმა და ამათ თანა ვითარ ტყუედ მიიყვანეს ანტილონოს, უწინარესსა ამისგან წიგნსა ჩუენსა ცხად-უყოფიეს. ხოლო შემდგომნი მათნი აქ თქუენეთ.

რამეთუ ვინაფთგან ყოვლისა იუდეაჲსა მთავრობაჲ კელთ-იგდო იროდი, რაოდენნი ვიდრემე იყენეს სიმრავლისაგან მსოფლიონი და მისთვისთა მბრძობნი, ე/სენი პატივსა შინა აქუნდეს. ხოლო რომელნი წინააღმდეგობათასა აღირჩევდეს, არა დასცხრებოდა შურისგებად და ტანჯვად მათდა თითოეულსა დღესა. ხოლო პატივ-იცემებოდეს მის მიერ ფრიად პოლლიონნი ფარისეველი და სამეა, მოწაფე მისი, რამეთუ გარემოდგომილ იყენეს რაჲ მბრძოლნი იეროსოლვმათათვის, ამათ განაზრახეს მოქალაქეთა შეწყყნარებაჲ იროდისი, რომელთა ძლით ნაცვლისგებათაცა მიიღებდეს: ხოლო ამან პოლლიონ, დათსაჯებოდა რაჲ ოდესმე სიკუდილად იროდი, წინაწარეე თქუა, მამრალობელმან კრკანოზს და ბქეთამან, ვითარმედ ცხოვნებულმან იროდი იგინი<sup>2</sup> ყო-

<sup>1</sup> ეს პუნქტი ბერძულს დედნის საძებელში სამი (IX—X—XI) პუნქტით არის წარმოდგენილი (ტ. VIII, გვ. 542). <sup>2</sup> იგი AQS.



ველნი მოაკუდინნეს. და ესე ეამსა შინა იქმნამცა, რამეთუ სრულ-ყენა ღმერთმან სიტყუანი მისნი.

2. ხოლო მას ეამსა შინა, დამპყრობელი იეროსოლჳმათაჲ, ყოველსავე სამკაულსა მიიღებდა, რომელი იყო სამეფოთა შინა და მდიდართაგანცა მიიღებდა. და შემკრებელი სიმრავლესა ვეცხლისა და ოქროსასა, ამას ყოველსა ანტონიოსს მიანიჭებდა და მოყუარეთა მისთა. ხოლო მოაკუდინნა ორმეოც-დახუთნი პირველნი ანტილონოას მოყუარეთანი, მცველთა დამადგინებელმან ბჭეთა თანა ზღუდისათა, რაჲთა არარაჲ განღებულ იქმნეს მკედარჲთა თანა. და მკუდართა განხილვიდან და ყოველი, რომელი იპოვის ვეცხლი, გინა ოქროჲ, ანუ მონაგები რომელიმე, ესე მეფისა მიიღიან. და დასასრული ბოროტთაჲ არა რომელი იყვის, რამეთუ მონაგებთა ანგაპრებთა მპყრობელისაჲ მიიღებდა, ხოლო ქუეყანასა აიძულებდა არა მუშაკობად მეშვდესა წელსა, რომელი წარმოდგომილ იყო მაშინ და თესვიჲ მას წელიწადსა შინა არა ჯერ-არს ჩუენ მეორ ქუეყანისაჲ.

ხოლო ანტონიოს, ტყუედ მიმყვანებელი ანტილონოას შეკრულისაჲ, მნებებელ იყო სასწაულად ძლევისა დაცვასა მისსა. გარნა ეინაჲთგან ესმა შფოთებთაჲ ნათესავისაჲ და იროდის სიძულილისა ძლით სიყუარულის ქონებთაჲ ანტილონოას მიმართ, სთნდა ამისი ანტიოქიას შინა მოაკუდინებთაჲ, რამეთუ არა შემძლებელ იყვნეს ყოველითურთ დაწყნარებად იუდელნი. ხოლო ეწამების სიტყუასა ჩემსა სტრაგონცა კაპადოკელი, მეტყუელი ესრეთ:

„ხოლო ანტონიოს ანტილონოს იუდელი, ანტიოქიად მიყვანებული, მოაკუდინა. და საგონებელ იქმნა ესე რომაელთაგან პირველად მეფესა ცულითა მოკლვად, რამეთუ სხვთა სახითა ვერ შეუძლო შეცვალებთაჲ იუდელთა განზრახვისაჲ, რაჲთა შეიწყნარონ იროდი, ნაცვლად მისსა დადგინებული მეფედ, რამეთუ არცაღა ტანჯულთა მეფედ სახელისდებთაჲ მისი თავს-იღვეს, ესრეთ დიდსა რასმე ბრძნობდეს პირველისა მეფისათჳს, რომლისათჳსცა უპატიოებასაჲ ჰგონებდა მოკლებასა მისა მიმართისა პატივისასა და შემციობასა იროდის მიმართისა სიძულილისა“. ამით ვიდრემე სტრაგონ იტყჳს.

## თ. 2

1. ხოლო ვინაჲთგან დაიპყრა მეფობაჲ იროდი, მსწავლელი ამისი ვრკანოს მღდელთმთავარი, ხოლო იყო პართთა შორის ტყუედ, იროდის მიმართ მიიწია, განტევებული ტყუეობისაგან ესრეთ სახედ: ვარზაფრამანის და პაკოროს, რომელნი იყვნეს მკედართმთავარნი პართთანი, ტყუედ მიმყვანებულთა ვრკანოას, პირველ მღდელთმთავარქმნული/სა და შემდგომადღა მეფისათა, და იროდის ძმისა, ფასაილოასთა, პართთა მიმართ წარიყვანეს და ფასაილოს ვიდრემე, არა მომთმენელი კდემისაჲ საკრველთა შინა, არამედ უმჯობეს შემრაცხელი დიდებით სიკუდლილისაჲ ყოვლისა ცხორებისაგან, თვთმკლველ ექმნა თავსა თჳსსა, ვითარ და წინაწარცა ვთქუთ.

2. ხოლო ვრკანოს, წარყვანებული და პართთა მეფე ფრაატის სიმშვიდით დადებულ იქმნა მისა მიმართ, კეთილნათესავობისა მისისა საჩინოებასა წინაწარვე მსწავლელი, ამისთჳსცა საკრველთაგან განუტევა და ვაკვლონს შინა

ქცივისა ქმნა მათ თანა მიანიჭა, სადა იყო სიმრავლე იუდელთაჲ. და ესენი პატივ-სცემდეს ვრკანოსს, ვითარ მღვდელთმთავარსა და მეფესა და ყოველი ნათესავი იუდელთაჲ, დამკვდრებული ვიდრე ევფრატადმდე, საყუარელ იყო მისა. ხოლო მსწავლელი იროდის მიერ მიღებასა მეფობისასა, იხარებდა სასოებათა შინა, ვითარ დასაბამითგან სიყუარულისა მქონებელი მისა მიმართ და მადლისა ქსენებასა მექუელი იროდისგან, რამეთუ განკითხული და სიკუდილილსა ზღვეულებად მგულებელი ძვრისხილვისა და ტანჯვისაგან იქსნა. და სიტყუანი-ყვნა იუდელთა მიმართ, მოსწრაფემან წარსლვად მისა მიმართ. ხოლო იგინი აყენებდეს და მსახურებათა დადგრომად აღუთქუმიდეს ერთბამად და პატივთა მეტყუელნი, ვითარმედ არცა ერთი რაჲ მოაკლდეს მას მათ მიერ მღვდელთმთავართა და მეფეთა პატივისაგანი და უფროსდა, რამეთუ არცა მუნ შემძლებელ არს ამათსა შემთხუევასა ნაკლულევაანებისა ძლით სხუელისა, რომელი ევნო მას ანტილონოსგან. თანად ნიჭნი არა მსგავსად პირველთაჲსა მიეცემოდინან მას მეფეთაგან, რომელნი მიიხუნეს მსოფლიოდ მყოფთა, ვინაითგან იცვალა ბედი მათი არა უსიტყოდ.

3. ესევეითართა წინა-უყოფდეს იუდელნი, არამედ ვრკანოსს სურვილი აქუნდა წარსლვისაჲ. და იროდი, მიმწერელი, ევდრებოდა, რაათა ევდროს ფრაატისს და მუნ მყოფთა იუდელთა, რაათა არა მოშურნი ექმნენ მას ზიარებასა მეფობისასა ქონებად, რამეთუ აწ არს ჟამი, მან ვიდრემე რაათა მიავნეს მადლნი ნაცვლად კეთილთა, რომელნი ეყვნეს მის მიერ და ნაცვლად აღზრდისა და ცხოვნებისა ცხოვრებისა, ხოლო ვრკანოს — რაათა მიიხუნეს. ესევეითართა მიმწერელმან ვრკანოსსთვის წარავლინა ფრაატისცა მიმართ მოხუცებული სარამალა და ნიჭნი მრავალნი, რაათა არა დააყენნეს კეთილისყოფანი შემოქმედრსა მიმართ მისისა მსგავსისავე კაცთმოყუარებისა მკუთხველმან. გარნა არა ამისთვის იყო ესოდენ მოსწრაფებაჲ, არამედ რამეთუ არა ჭეროვნად მთავრობდა, მოშიშ იყო სამართლიანთა შეცვალებათათვის და კელისქუემედ ქონებასა ვრკანოსსა მოსწრაფე იყო, ვინა რაათა ყოველითურთ შორს ყოს იგი, რამეთუ ესე იმოქმედაცა უკუანამსკენელ.

283 4. მაშინ ვიდრემე უკუე ვინაითგან მიიწია რწმუნებული, განტევებული პართისაგან და სავმართა მიმღებელი ნიჭად იუდელთაგან, ყოველითა პატივითა შეიწყნარა იგი, თანად შესაყრებელთა შინა პირველსა ადგილსა. მიანიჭებდა და სერობათა შინა პირველ დამსუმიელი შეაც/ტუნებდა, მამად მწოდებელი მისი და ყოველით კერძო მზაკუევარებითა უიჭუელობასა მოივაჭრებდა. ხოლო შოილონებდა სხუათაცა საუმჯობესოდ მთავრობისა თვისისა, რომლისა ძლით და სახლისა შინანიცა მიტრომად აღუდგეს მას, რამეთუ განკრძალულ იყო მღვდელთმთავრად ერისა დადგინებად საჩინოსა ვისმე თვსთა მისთაგან, რომლისათვის ვაკვლონით მომწოდებელმან უნდოთაგან მყოფსა მდელსა ვისმე, სახელით ანანიოლსს, ამას მისცა მღვდელთმთავრობაჲ.

5. მეყუსელულად უკუე არა მოითმინა უპატივობებაჲ აღექსანდრა, ასულმან ვიდრემე ვრკანოსმან, ცოლმან აღექსანდროსს, ძისა არისტოველლას მეფისამან, აღექსანდროსსგან ყრმათა მქონებელმან — ერთსა ვიდრემე შუე-

ნიერსა სახითა, არისტოველოდ სახელდებულსა და სხუასა, იროდის თანა-  
მკვდრისა, კეთილსახეობითა გარდამატებულსა. ხოლო შეშფოთებულ იყო  
და მძვნვარედ მოითმენდა უპატივობასა ყრმისასა, უკუეთუ სიცოცხლესა  
შინა მისსა მოწოდებულთაგანი ვინმე ღირს-იქმნეს მღდელთმთავრობისა. და  
მიწერა კლეობატრასა, რაჟთა თანაშეეწეოდა მას მომღერალა ვინმე წარღე-  
ბად ნაწერთა და თხოვდა ანტონიოსგან მღდელთმთავრობასა ყრმისათჳს.

6. ხოლო ანტონიოს ვინაჲთგან მცონარებით ისმენდა, მოყუარებმან მის-  
მან გელლეოს, იუდეად მიწევნულმან საკმარებათა რომელთათჳსმე, ვითარ  
იხილა არისტოველოს, განკვრდა ფრიად შუენიერებისათჳს და სიდიდე და  
შუენიერებაჲ ყრმისაჲ დაუკვრდებოდა, ხოლო არა უდარეს მარიაჲმისიკა,  
რომელი მკვდრ იყო მეფესა თანა და ცხად იყო შეილკეთილად რომელთადმე  
მპოვნელი ალექსანდრასი. ხოლო ალექსანდრა ვინაჲთგან მივიდა სიტყუად  
მისა მიმართ, არწმუნა მას გელლეოს, რაჟთა დაწერნეს ხატნი მრჩობლთანივე  
და წარუვლინნეს ანტონიოსს, რაჟთა უკუეთუ იხილნეს, არცა ერთისაგან  
ქუებულ იქმნეს, რომელთათჳს ვეედრებინ. ამათ სიტყუათა მიერ აღზუავე-  
ბულმან ალექსანდრა წარუვლინა ხატნი ანტონიოსს. ხოლო გელლეოს მენი-  
შეობდა, მეტყუელი, ვითარმედ: „არა კაცთაგან საგონებელ მიჩნან, არამედ  
ღმრთისა რომლისამე მიერ ქმნულ არიან ყრმანი“. და მნებებელ იყო ამის მიერ  
შუებათა მიმართ დაცხნასა ანტონიოსსა. ხოლო მან შეიკიღმა ქალისა მიწე-  
რილისა თხოვაჲ იროდისაგან და ესევეითარისა ძლით განკრძალული იქუეუ-  
ლობათათჳს კლეობატრასთა, გარნა მიუძეცო წარვლინებაჲ ყრმისაჲ შუენიე-  
რებით\*, ზედა-დამრთველმან ამას, უკუეთუ არა მიძიედ შეურაცხოს. ესენი  
რაჲ მიიწინეს იროდის მიმართ, არა კეთილად საჯა შუენიერებითა კეთილად  
მყოფისა არისტოველომისი, რამეთუ ათექუსმეტისა წლისაჲ იყო და ნათესავი-  
თა ზესთმქონებელ, წარვლინებაჲ ანტონიოსს მიმართ, რომელი შემძლებელ  
იყო მაშინ, ვითარ არავინ სხუაჲ რომთაგანი და თანად მზად მინიჭებაჲ ტრფი-  
ალთა მიმართ და შუებათა შინა ღონიერ/ქმნილი ამისი ცხადად შემძლებელო-  
ბისაგან. ნაცვალ-უწერა უკუე იროდი, ვითარმედ უკუეთუ მხოლოდ განვიდეს  
ქუეყანისაგან ყრმაჲ, ყოველნივე იუდელთანი ბრძოლითა და შფოთითა აღივს-  
ნენ, მგონებელნი შეცვალებასა და განახლებასა სხვსა მეფისასა.

7. ამათ მიერ მკმნელმან ანტონიოსგან, არა ყოვლითურთ ჰგონა უპატივო-  
ქმნაჲ ყრმისა და ალექსანდრასი, არამედ და ცოლიცა მისი მარიაჲმე არა  
დასცხრებოდა ვედრებად, რაჟთა მისცეს მღდელთმთავრობაჲ ძმასა მისსა. და  
საჯა ამისი ესრეთ ქმნაჲ იროდი საუმჯობესოდ თჳსად, რაჟთა არცა წარსლვად  
შემძლებელ იყოს ვინაჲვე პატივცემული. და შემკრებელი მოყუარეთა, მრავ-  
ლად აბრალებდა ალექსანდრას, ფარულად ზედგანმზრახსა მეფობისა მისისასა  
და კლეობატრას მიერ მომვერაგებელსა, რაჟთა მას ვიდრემე მიეღოს მთაე-  
რობაჲ, ხოლო ყრმაჲმან ნაცვლად მისსა მიიხუნეს საქმენი ანტონიოსს მიერ.  
დჲ ამათ განიზრახვის იგი უჭეროდ, რამეთუ და ასულიცა მისი დაკლებულ  
იყოს პატივისაგან და შფოთნი სამეფოსა ზედა იმოქმედნეს, რომელი მან,  
მრავლად დამაშურალმან, მოიგო ძვრხილულობათა მიერ არა დამთხუეულთა;

\* *αὐτὸν οὐκ ἐπείθειτο* 15<sub>ა</sub> (*ἐπείθει* = 1) შუენიერი, კარგი; 2) კარგი საბაბი. ამ კონ-  
ტექსტში საჭიროა მეორე მნიშვნელობა).

და ვითარმედ არა მოიქცნენ მან ივინი, რომელთა არა კეთილად მოქმედებდა იგი მისა მიმართ, განმაყენებელი მისი მათდა მიმართისა მართალმოქმედებისაგან. „და აწ, თქუა, მივსცემ მღვდელმთავრობასა ყრმასა შენსა, დაღაცათუ უწინარეს მივეც ანანილოსს ყოვლითურთ ყრმად ყოფისათვის არისტოველოსა“. ესე ვითართა რაჲ მეტყუელებდა არა განუხილველად, არამედ ფრიალ გონიერებით შეცთუნებისათვის დედაკაცთაჲსა და მუნ დანეშტებულთა მოყუარეთაჲსა. ტკივნულქმნულმან ერთბაჲმად და მხიარულმან სასოებისათვის მოულოდნელთაჲსა და მოშიშმან იქუნეულობისა ძლით, ცრემლით მიუგო ალექსანდრას: მღვდლობისათვის ვიდრემე, თქუა, ყოველსავე მოსწრაფე არს სულმოკლებისა ძლით, ხოლო მეფობისათვის არცა განიზრახავს. არცა უკუეთუ მოიწიოს მისა მეფობაჲ, მნებებელ არს მიღებასა და აწცა კმასაყოფელად მქონებელ არს პატივისა მთავრობისა მისისათვის და სიმტკიცისა, რომლითა ზესთა ჰმატს, შემძლებელი სხუათა მთავრობად ყოვლისა ნათესავისა თანა. და აწ ვიდრემე, ძლეული კეთილისყოფათაგან, მიითუალავს ვიდრემე პატივისა ძისა მისისათვის, ხოლო იყოს ყოვლისა მიმართ ქუეშედაშორიილებულ. შენდობილ იქმნენ უკუე, დაღაცათუ რომლისავე ნათესავისა და კადნიერებისათვის, რომელი აქუს, უშუერსა რასმე ტკივნეული მოქმედებდეს.

ესრეთ ურთიერთას მზრახველნი და მსწრაფლიად მარჯუნეთა მიმცემლნი, განეშორნეს, ვითარ ჰგონებდეს შორსქმნელნი ყოვლისა იქსანი.

### თ. 3

1. ხოლო მეფემან იროდი მეყუსეულად მიუღო მღვდელმთავრობაჲ ანანილოსს. რომელი იყო, ვითარ და წინაწარცა ვთქუთ, არა ადგილის შინაჲ, არამედ ეფერატსა თანა დამკვდრებულთა იუდელთაგანი, რამეთუ არა მკირდნი ბევრნი ამის ერისაგან ვაეკლონს გარდაამკვდრნეს. და ამიერ იყო ანანილოს, სამღვდელმთავრობასა ნათესავისაგან და უწინარესცა სიყუარულსა მქონებელი იროდის მიმართ. ამას ვიდრემე პატივისცა იროდი, რაჲმს მეფობაჲ მიიღო და ამაზე დაჰქსნა, რაჲთა დააცხრენეს შფოთნი თვისანი, უსჯულოებათა მოქმედმან, რამეთუ არავის სხუასა მიჰლებოდა პატივი, ვრთავის მიმღებულსა. არამედ პირველ ვიდრემე ანტიოხოს ეპიფანე დაჰქსნა სჯული, მიმღებულმან იისუფსაგან და ონიას, ძმისა მისისა, დამადგინებელმან; ხოლო მეორედ — არისტოველოს ვრკანოსს მიუღო, ძმისა თვისსა და იროდი — მესამედ — მისცა მთავრობაჲ ყრმასა არისტოველოსს.

2. და მაშინღა ჰგონებდა დაწყნარებასა სახლისა შინათასა, გარნა არა ვითარ ჩერ-იყო ზავთა შინა, უეჭუელად მყოფ იყო ალექსანდრას. მიმართ კვლადებულთა საქმეთა შინა, არამედ ამცნებდა, ვითარმედ უკუეთუ ქაჲი პოვონ უპაბუჟესთა და მკლომობითთა საქმეთაჲ, რაჲთა განუცხადონ მას. თანად უკუე უბრძანებდა სამეფოთა შინა ქცევად და არცა ერთსა რომელსავე კვლმწიფებით მოქმედებდა. ხოლო მოურნე იყვნეს მცველნი, ფარულად ვიდრელა არცა ერთი დღითი-დღე მოქმედებულთაგანი დაიფარვოდა სახლსა შინა. ესე ყოველნი მცირედ-მცირედ განაველურებდეს მას და სიძულილი აღორქანდებოდა, რამეთუ დედაკაცობრივითა განზრახვითა აღსაესედ მყოფი

რამს მიერ. ხოლო პატივისმოყუარებასა მჩემებელი ყრმისა მიმართ და განმყვანებელი უმიშსა ადგილსა, მზა იყო თანაგანცხრომად და მღერად მის თანა მხიარულებით. და ვინამთვან დადებულებად ადგილისაჲ ცხელ იყო, შეკრებულნი მალიად წარვიდეს ბანად. და საცურველთა ზედა წარდგომილნი, რომელნი იყვნეს დიდნი ეზოსა შინა, ნუგეშინის-იციმდეს სიციხისაგან შუეადლისა. და პირველად ვიდრემე ხედვიდეს მონათა და მოყუარეთა, რომელნი ცურვიდეს მუჲ. ამისა შემდგომად შთავიდა ყრმადეა. ხოლო იროდი აღძრნა მოყუარენი მისნი ბოროტისა მიმართ, რომელთათვის ბრძანებულ იყვნეს სიბნელისა მოწვეულებასა. და მარადის დაამძიმებდეს და შთაულურკუმებდეს მცურველსა, ვითარ განცხრომით, და არა უტევებდეს, ვიდრემდის არა მოაშთვეს სრულიად. და ესრეთ ვიდრემე განიხრწნა არისტოველოს, ათრვამეტაა წელთა ცხორებულო, ხოლო მღღელთმოთაერობაჲ იყრა წელიწადსა ერთსა, რომელიცა ანანილოს მიიღო კულად.

4. ხოლო ვინამთვან მიეთხრა ვნებაჲ ესე დედაკაცთა, მეყუსეულად შეკვალებისათვის გოდებაჲ იყო წინამდებარესა მკუდარსა ზედა და გლოვაჲ დაუპყრობელი. და თანად განჯდა რაჲ სიტყუაჲ ესე, დიდად ტკივნეულობდა ქალკი და ყოველი სახლი განითვისებდა განსადღელსა, ვითარ არა უცხოჲსა ზედა ქმნულსა. ხოლო ალექსანდრა ფრიად ტკივნეულობდა მეცნიერებისათვის წარწყმედისა და ლმობაჲ უმეტესი აქუნდა მეცნიერსა, თუ ვითარ იქმნა, გარნა მოთმინებასა ჰყოფდა საჭიროებით, მომლოდობისათვის უდიდესისა ბოროტისა. და მრავალგზის ვიდრემე ინება თვთმოკუდინებითა თავისაჲთა შეურაცხ-ყოფაჲ ცხორებისაჲ, არამედ მოითმენდა, უკუეთუ შემძლებელ იყოს ცხორებად, რაჲთა შეეწიოს მზაკუვარებით და უსჯულოდ მოკუდინებულსა. და მაშინლა უმეტეს მოსწრაფე იყო ცხორებისათვის და არცა ერთსა იჭულსა მიცემად მნებებელ იყო განზრახვით მოკუდინებისათვის ძისა თვისისა, მოცალესა ჟამსა შურისგებისათვის მეძიებელი, რომლისათვისცა ესე ვიდრემე სიმტკიცით იპყრობდა იჭუნეულობასა. ხოლო იროდი ყოველთა მის გარეშეთა მტკიცედ აჩუენებდა არა განზრახვით ქმნასა ყრმისა სიკუდილისასა არა მხოლოდ გლოვისა მომმარჯუებელი, არამედ და ცრემლთაჲ მკუმეველი და შემრლუევასა სულისასა ჰეშმარიტსა მაჩუენებელი, ნუტყუე და ვნებისაგანცა ძლეული სახესა ზედა შუენიერებისა და სიკეთისასა, დადაცათუ უმჯობეს შერაცხილ იყო მისთვის სიკუდილი ყრმისაჲ. ხოლო საფლავად განღებისანი ფრიად ბრწყინვალედ აჩუენნა და შემზადებულებაჲ ლარნაკთაჲ და სიმრავლე საკუმეველთაჲ მდიდრად იმოქმედა და მრავალი სამკაული შთაძვლა მის თანა, ვიდრეღა განაერთო მწუხარებაჲ დედაკაცთა გოდებისაჲ და ამით კერძოთა ნუგეშინის-სცა.

1

5. ხოლო ალექსანდრას არცა ერთი ამით ესევითართაგანი სძლევა, არამედ მარადის და უფროსლა ცსენებაჲ ბოროტისაჲ ლმობასა მიმნიჭებელსა გოდებასა შეუქმოდა<sup>1</sup> და მრისხანეობასა. და მიუწერა კლეოპატრას მზაკუვარებაჲ იროდისი და წარწყმედაჲ ყრმისაჲ. ხოლო კლეოპატრა, და პირველცა მოსწრაფე შეწევნად მოქენისა და უბედობათა ალექსანდრასთა შემწყვალბელი, ყოველითურთ მოურნე იყო მისა და არა დასცხრებოდა, განმზრახვებელი

<sup>1</sup> შეოქმოდა A.

ანტონიოასი შურისგებად სიკუდილისა ყრმისასა, რამეთუ არა ჭერ-არსო, რაჟამცა მის მიერ დადგინებული მეფედ იროდი და ყოვლითურთ უღირსი მთავრობისაჲ ესევეითართა უსჯულოებათა აჩუენებდა ნანდვლ მეფეთა მიმართ. ამათ მიერ რწმუნებულმან ანტონიოს, ვითარ ლაოდისაჲ მიიწია, წარავლინა, მბრძანებელმან იროდისმან მისლვად და არისტოვულოას მიმართ მოქმედებულათჳს სიტყვსაგებად, რამეთუ არა მართლიად ქმნულ არს ზედგანზრახვჳჲ, უკუეთუ მის მიერ იქმნა. ხოლო მან, შეშინებულმან მიზეზისაგან და კლეოპატრას სიძულისაგან, რამეთუ არა უტევა ანტონიოსს, განზრახებელმან სიბოროტისა ქონებად იროდის მიმართ, სთნდა ვიდრემე მორჩილებაჲ, რამეთუ არცა შემძლებელ იყო სხუასა რასაჲე მოქმედებად. და დამტევებელმან დედისძმისა მისისა, იოსიპოასისა<sup>1</sup>, განმგებელად მთავრობისა და მუნ შინათა საქმეთა, ამცნო ფარულად, რაჟათა უკუეთუ რაჲ/მე ვენოს მას ანტონიოასს მიერ, შეყუხულად მოაკუდინოს მან მარიაჲმი, რამეთუ იგი სიყუარულსა მქონებელ არს ცოლისა მიმართ და მოშიშ არს გინებისაგან, ნუსადა, მო-რა-კედეს იროდი, შუენიერებისა ძლით სხვსა ვისამე სასწრაფო იყოს მარიაჲმი ჭერონად. ხოლო ყოვლითურთ ცხად-ჰყოფდა ამით სიტყუითა მიმართებასა ანტონიოასსა დედაკაცისა მიმართ და რამეთუ პირველცა ასმიოდა შუენიერებაჲ მისი. იროდი ვიდრემე უკუე, ამათი მამცნებელი და სასოებათა არა უშიშთა მქონებელი ყოველთა ძლით, წარვიდა ანტონიოას მიმართ.

6. ხოლო იოსიპოს, დადგინებული განგებასა ზედა სამეფოთა საქმეთასა და ამისთვის მრავლად მზრახველი მარიაჲმის მიმართ საქმისა ძლით და პატივისა, ვითარ ჭერ-იყო დედოფლისა მიმართ ქმნად მისგან, მრავალთა სიტყუათა მეტყუელებდა მისა მიმართ იროდის მოწლოებისა და სიყუარულისათჳს. ხოლო ვინაჟთგან ლიქნიდეს<sup>2</sup> დედაკაცებრ მიპარვად სიტყუათა და უფროჲსა ალექსანდრა, მნებებელი იოსიპოს ჩუენებად მათდა გონებასა მეფისასა, იიძულა ნამცნებთაცა თქუმად, დასარწმუნებელად მოქმედი მათი, ვითარმედ გარეშე მისსა არცა სიცოცხლედ შემძლებელ არს და უკუეთუ რაჲმე ბოროტი შეემთხვოს, არცა სიკუდილისა შინა ჭერ-უჩინს განზორებაჲ მისგან. ესენი ვიდრემე იოსიპოს. ხოლო დედაკაცი, ვითარ ჭერ-იყო, არა მოწლოებად შემრაცხელნი იროდის სიყუარულისანი, არამედ უფროასლა სიბოროტედ, უკუეთუ არცა შემდგომად სიკუდილისა მისისა დაკლებულ იქმნენ წარწყმედისა და სიკუდილისაგან, ბოროტსა გონებასა მქონებელ იყვნეს.

7. ხოლო ამას შინა სიტყუაჲ იქმნა იეროსოლჳმელთა ქალაქსა შინა მათ მიერ, რომელთა სიძულისი აქუნდა იროდის მიმართ, ვითარმედ ანტონიოსს, მტანჯველსა მისსა, მოუკუდინებეს იგი. ამან სიტყუამან ყოველნი ვიდრემე, ვითარ ჭერ-იყო, სამეფოსა შინა მყოფნი აღაშფოთნა, ხოლო უფროასლა დედაკაცი. ხოლო ალექსანდრა არწმუნა იოსიპოსსცა, რაჟათა სამეფოთაგან გამოსრული მათ თანა მიივლტოდის რომაულთა მკედრობათა ნიშისა მიმართ, ოდეს გარემოას ქალაქისა დაცვისათჳს მეფობისა დაბანაკებულ იყო და მთავარ მათდა იყო იულიოს. რამეთუ ამის მიერ, პირველად ვიდრემე უკუეთუ შფოთი რომელიმე შეემთხვოს ეზოსა შინა, უშიშად დაადგრენ, სიყუარულსა მქონებელნი რომთაგან, ამისა შემდგომად სასოებაჲ ყოველთა მიმთხუევისა,

<sup>1</sup> იოსიპოასმან A.Q.D. <sup>2</sup> ლიქნიდეს A.Q.

უკუეთუ მარიამში იხილოს ანტონიოს, რომლისა ძლით და მთავრობაცა-  
შიილონ და არცა ერთისაგან დაკლებულ იქმნენ, რომელთაჲ ჭერ-არს მიმთხუე-  
ვაჲ კეთილნათესავობასა შინა მეფობრიგისა ქმნულთაჲ.

8. ამათ გულისხმობდა შინა დამთხუეულობდეს რაჲ იგინი, ნაწერნი  
იროდისნი მიიწინეს, მათუწყებელნი წინაღმდგომთა სმენილისათა უწინარეს.  
რამეთუ ვინაჲთგან მიიწია ანტონიოსს მიმართ, მალიად მოამშუდა იგი ნიჭთა-  
შიერ, რომელთა მიმღებელი იეროსოლკუმაჲთ წარვიდა და მალიად სიტყუათა  
შიერ არწმუნა არა სიძულელისა ქონებად მისა მიმართ, თანად კლეოპატრაჲ!  
სიტყუანი უდარეს შეძლებელ იყვნეს იროდის ძლუნთასა. რამეთუ, იტყოდა  
ანტონიოს, ვითარმედ არა კეთილ არს პატიესა მიკლად მეფისაგან მთავრობასა-  
286 შინა ქმნულთა/ძლით, ვინაჲთგან ესრეთ არცა მეფე იყოს, არამედ მიმცემელ-  
თა პატივისაჲ და კელწიფებისასა მალირსებელთა მას შინა იკუმბო; სიპტ-  
კიცე. და ესევე კლეოპატრასცა აუწყა, რაჲთა დასცხრეს მთავრობათა მოურ-  
ნობისაგან. ამათ ყოველთათვის და სხუათაცა პატივთათვის მიწერა იროდი,  
რომელი აქუნდეს ანტონიოსს შიერ აღთქუმათაგან ხილვისა შიერ და ვითარ-  
მედ თანა-ისერებს თითოეულსა დღესა ანტონიოსს თანა, დაღაცათუ ბოროტ  
იყო შესმენათა მიმართ კლეოპატრა, რომელმანცა სიყუარულითა ქუეყანისა-  
თა გამოითხოვა მეფობაჲ მიცემად მისა და ვითარმედ ყოველითა სახითა ისწ-  
რაფა შორს-ქმნაჲ მისი. მართლმსაჯელად მიმთხუეულმან ანტონიოსსმან და  
შიერიოთგან არღარას ბოროტსა იკუეულ არს, არამედ მალე მიიწიოს, უმტკი-  
ცესა სიყუარულსა მიმღებელი მეფობისათვის და საქმეთა და კლეოპატრაჲსა-  
არღარა არს სასოებაჲ ანჲპაარებისაჲ, რამეთუ ანტონიოსს მისცა ნაცკლად  
მათსა, რომელთათვის ევედრებოდა, ლელე სურიაჲსა და ამისთვის ნუგეშინის-  
ცა და თხოვათა მისთა ნაცვალ-აგო, რომელთა ჰყოფდა იუდეაჲსათვის.

9. ესე ნაწერნი რაჲ მიიწინეს, დასცხრეს ვიდრემე ამის მიმართებისაგან,  
რომლისა ძლით ლტოლვასა მნებებელ იყვნეს რომთა მიმართ, ვითარ სიკუ-  
დილსა მსწავლელნი იროდისნი. არამედ არა დაფარულ იქმნა განზრახვად  
მათი, გარნა ვინაჲთგან პართთა მიმართ წარმავლენელი ანტონიოსი იუდეად  
უკუნ-იქცა მეფე, მეყუსეულად დამან სალომი და დედამან განზრახვად, რა-  
მელი უწყოდეს ალექსანდრამს თანათათვის, განუცხადეს მას, ხოლო სალომი  
ქმრისა თვისისა იოსიპოსსათვისცა სიტყუაჲ თქუა შესმენისაჲ და ვითარმედ მარ-  
იამის თანა-ყოფვის. ხოლო ამათ იტყოდა მისა მიმართ სიძულილისათვის  
მისისა, რამეთუ ურთიერთას რაჲ იქმნიან უმეტესისა ბრძნობისა მკუმეველი,  
ყუედრებდის ჰვენათესავობასა მათსა. ხოლო იროდი, ფრიად მკურვალესა  
ტრფიალებასა მქონებელი მარიამის მიმართ, მეყუსეულად ვიდრემე შეჰ-  
ფოთნა და შურსა ვერ მოითმენდა და შიშითა შეპყრობილ იყო, ნუსადა კად-  
ნიერი რამე იმოქმედოს ტრფიალებისათვის, ვენებითა და შურითა რისხვად  
აღძრულმან, რომლისათვისცა თუსაგან განიკითხვიდა მარიამის იოსიპოსს შა-  
მართათვის. ხოლო იგი ფუცკვიდა და ყოველთა წარმომთქუმელი პასუხად, რაი-  
დენნი იყვნეს არამოკიდევლისად, მცირედ-მცირედ არწმუნებდა მეფესა და  
გარდაიკვალებოდა რისხვისაგან, ძლუელი დედაკაცისა შიერისა სიყუარული-  
საგან, ვიდრელა ირწმუნა მსმენელმან სიტყვისგებისამან, რომელთათვის იკითხუ-  
და და სიყუარულისათვის მადლსა აღუვარებდა მას ფრიადსა და თანად იგი  
ვითარსა სიყუარულსა მქონებელ არს მისა მიმართ, განუცხადებდა მას. და

დასასრულსა, ვითარ საყუარელ არს ტრფიალებულთა შორის, ცრემლთა შთავარდეს, მრავლითა მოწლებობითა შემტკობელნი ურ/თიერთას. ხოლო ვინაჲთ<sup>v</sup> გან დაუმტკიცებდა და უფროასლა მეფე და სიყუარულისა მისისა მიმართ მიიზიდვიდა<sup>1</sup>. „არა მოყუარისა არსო, თქუა მარიაჲში, მცნებისაებრ, უკუეთუ რაჲმე ბოროტი გვენოს ანტონიოსგან, რაჲთამცა თანა-წარწყყმდე, არა რომლისა მიზეზი“. ესე სიტყუაჲ რაჲ შეეხო, ტკივნულქმნილმან მეფემან მეყუსეულად ვიდრემე განუტევა იგი კელთაგან, ხოლო თუთ იგი კმობდა დათმთა თუსთა შთამოიფხურიდა ცხადსა პარკასა ქონებად მეტყუელი მისა მიმართ იოსიბოჲს ზიარებისასა, რამეთუ არამცა ეთქუა, რომელი თუსაგან მოისმინა, არათუმცა დიდი სარწმუნოებაჲ ქმნულ იყო მათ შორის. ხოლო ესრეთ მქონებელი კნინლა მნებებელ იყო მოკუდინებასა დედაკაცისასა. არამედ ძლეულმან მისა მიმართისა ტრფიალებისაგან ესე ვიდრემე მიმართებაჲ იპყრათვისა თუსისა თანა, ძნიად ტკივნეულობით მომთმენელმან, ხოლო იოსიბოჲსი, არცა სახედველად მისა მიწვეწულისაჲ, მოკუდინებაჲ ბრძანა. და ალექსანდრას შემკრველი სცივიდა მას, ვითარ ამათ ყოველთა მიზეზსა.

თ. 4

1. ხოლო ამას შინა სკრიასა შინანცა შფოთთა აქუნდეს, რამეთუ ევედრებოდა კლეოპატრა ანტონიოსს, რაჲთა ყოველთა იგი განაგებდეს და არწმუნებდა, მთავრობისა მიმღებელსა თითოეულთაგან, მისდა მიცემად. და მრავლად შემძლებელ იყო ანტონიოსს მისა მიმართისა სიყუარულისაგან, ხოლო ბუნებით ანგაპრებასა ზედა მოხარული არა რომელსა უსჯულოებათაგან დაუტევებდა, რამეთუ ძმად ვიდრემე, რომელსა მეფობისა მიღებაჲ ეგულებოდა, უწინარესევე მოაკუდინა წაშლითა, მეათხუთმეტესა წელსა მქონებელი. ხოლო რაჲ არსინოი, მვედრებელი ეფესოს შინა არტემის ტაძარსა, მოაკუდინა ანტონიოსს მიერ. რამეთუ საქმართა ძლით, უკუეთუ მხოლოდ სადმე ჰკონის ტაძარნი და საფლავნი, იუსჯულოებოდეს. არცა ტაძარი რომელივე წარუტყუენველად თნებული ეგო, რომლისაგან არა მიილო მას შინად სამკაული, არცა ბილწსა რომელსა ვიდრე და უშუერთა მენებელსა განეყენებოდა, უკუეთუ მხოლოდ ეგულებოდის ღონიერ-ქმნად ანგაპრებასა მეუსამართლოსასა. არამედ ესე ყოველი არა კმა-ყოფოდა დედაკაცსა მდიდარსა და მონასა გულისთქუმათასა, ვიდრედა ყოველივე გონებასა შინა მცირედ შეერაცხნეს, რომელთათვის მისწრაფე იყო. ამისთვის და ანტონიოსსცა აძულებდა, რაჲთა მარადის სხუათაგან მიმღებელი მას მიანიკებდეს. და განმავალი მის თანა სკრიასა შინა, მნებებელ იყო მონაგებად თუსად ქმნასა. ლუსანიას ვიდრემე უკუე პტოლემოსს, პართთაგან გამომთხოველმან, ვითარ საქმეთა ზედა დადგინებად, მოაკუდინა იგი. ხოლო ითხოვედა ანტონიოსგან იუდეასა და არავიასა, მვედრებელი, რაჲთა მიუხუნეს ესენი მეფეთა მათთა და მას მისცნეს. ხოლო ანტონიოსს ყოვლითურთ ძლეულებად შეემთხუეოდა დედაკაცისაგან არა მხოლოდ თანაზრახვისაგან, არამედ და წაშალთაცა მიერ საგონებელ იყო შორჩილებად, რომლისაცა მიმართ მნებებელ ი/ყვის კლეოპატრა, გარნა სა<sup>287</sup> ჩინობასა უსამართლოებისასა დააწყნარებდა, რაჲთა არა ესოდენ უსამართლოქმნული დიდთა მცოდველობდეს. რაჲთა უკუე არა ყოველთაგან იქმნიდეს,

<sup>1</sup> მიზიდვიდა AQS.



არცა რაოდენთა უბრძანებდა იგი, არა მოქმედი ცხადად ბოროტსა გონებულ იქმნეს, კერძოსა რომელსამე ორისავე ქუეყნისაგან მიმღებელმან ესენი მიანიჭნა მას. მისცნა უკუე შინაგან ელევთერო მდინარისა მყოფნი ქალაქნიცა, ვიდრე ევაპტედმდე, გარეშე ტკრომსა და სიდონისა, პირველითაგანვე თავისუფლად მეცნიერმან, რომელთათვის მრავლად ევედრა მიცემად მისა კლეოპატრა.

2. ამათი მიმთხუეული კლეოპატრა და წარმავლენელი ანტონიოზი ვიდრე ეფრატადმდე სომხითად წარმავლისამ, უკუნ-იქცა და აბამიას ვიდრემე და დამასკოს მიიწია. და იუდეად მიწევნულსა მიეგება მას იროდი, ვინაჲთგან არაჯაჲთ მიცემულთა მოსავალთა ზედა და იერისუნტოჲთ იროდი დადგინებულ იყო. ხოლო აღმოაცენებს ესე ქუეყანაჲ ვალსამოსა, რომელი უპატიოსნესი არს მათ შინათაჲ და მუნ მხოლოდ აღმოეცენების, თანად ფვნიკი მრავალი და კეთილი. აქა შინა იყო რაჲ კლეოპატრა, მარადის უმრავლესი ჩუეულებჲაჲ ექმნებოდა მას იროდის მიმართ და მნებებელ იყო თანა-ყოფად მეფისა, ბუნებით დაუფარველად ამიერ გემოთა მკუშმეველი, ნუუკუე და ვნებულიცა მისა მიმართ ტრფიალებითსა რასმე, ანუ უსარწმუნოესი დასაწყისსა მზაკუევარებისასა შემზადებელი მის ზედა ქმნულისა გინებისაგან, ხოლო ყოვლითურთ გულისთქუმისა მიერ ძლეულებასა აჩუენებდა. იროდი უკუე და პირველცა არა მოყუარე იყო კლეოპატრასა, ყოველთა მიმართ ბოროტად მეცნიერი მისი. ხოლო მაშინ და სიძულილსაჲ ადიღებდა, უკუეთუ უძღებებისა ძლით ესევეითართა მოქმედებს იგი და ნუსადა საჩინოქმნული დაისაჯოსა, უკუეთუ ესევეითართა მზაკუევარებით კელ-ჰყოფდეს კლეოპატრა. რომლისათვისცა სიტყუანი ვიდრემე მისნი შეურაცხ-ყვნა და განზრახვისა ჰყოფდა მოყუარეთა თანა, რაჲთა კელთა შინა ქონებული მოაკუდინოს, რამეთუ მრავალთა ბოროტთაგან იქსნნეს ყოველნი, რომელთათვის აწვეე ბოროტისმოქმედ არს და რომელნი მომლოდენ არიან. ხოლო ესე ანტონიოსცა ფრიად სარგებელ ეყოს, ვინაჲთგან არცა მისა მიმართ სარწმუნო არს, უკუეთუ ოდესმე ეწიოს მას ჟამი, გინა საქმარებჲაჲ ესევეითართათვის მოქენესა. ამათი მნებებელი დააყენეს ჰოყუარეთა და პირველად ვიდრემე ასწავებდეს, ვითარმედ არა ჭერ-არს, რაჲთამცა ღიღთა მოქმედი უცხადესსა ძვრისხილვათასა მიიღებდა და მრავლად ზედლაღებულნი ევედრებოდეს არა რომელსა მოქმედებად კადნიერებით, ვინაჲთგან არა მოითმინოს ანტონიოს, არცა უკუეთუ ვინმე ფრიად სარგებელი მისი წარმოუდგინოს წინაშე თუალთა მისთა, რამეთუ ტრფიალებმან უფროსლა დაჰქსნეს და ჰგონოს იძულებით და მზაკუევარებით მისლვაჲ მის ზედა. და არცა ერთი რაჲ იყოს ჭეროვანი სიტყუისგებისა მიმართ და კელყოფაჲ ვიდრემე ესევეითარი ქმნეს ღედაკაცისა მიმართ, / ღიღთა ღირსებათა მქონებელისა მას ჟამსა შინა. ხოლო სარგებელი არცა ერთი, დაღაცათუ ვინმე ჰგონოს ესე სილაღით განმხილველმან, ცხად-იქმნეს რაჲ განზრახვჲაჲ მისი, რამელთა ძლით არა უცნაურ არს, ვითარმედ ღიღთა და დაუცხრომელთა ბოროტთა მიერ აღიგოს სამთავროჲ მისი და ნათესავი, ხოლო შესაძლებელ არს ქმნაჲ ცოდვისაგან, რომლისა მიმართ მიუწოდს იგი და ჟამისაჲა კუშვეჲაჲ ჭეროვნად ადვილ არს. ესევეითართა მიერ შემეშინებელნი და ძვრისხილვასა

შესამსგავსსა ცხადმყოფელნი დამხარწველ ექმნებოდეს მას კელყოფისაგან. ხოლო მან, ნიჭთა მიმნიჭებელმან კლეოპატრამსთვის, ეგვპტელ წარავლინა.

3. ხოლო ანტონიოს, სომხეთისა მიმღებელმან, არტავაზი, ყრამა ტიღრანისი, ყოველთა თანა სატრაპთა შეკრული, ეგვპტელ წარსცა და ესენი კლეოპატრას შიანიჭნა და ყოველი სამკაული სამეფოისამ, რომელი მიიღო სომხეთით. ხოლო განმეფნა სომხეთისა არტაქსია, უმოხუცებულესი ყრამათა მისთამ, განლტოლეილი მაშინ. და განმდევნელთა ამისთა არქელაოს და ნერონ კესარმან უმრწამესი ძმამ მისი, ტიღრანი, მეფობისა მიმართ შთაიყვანეს.

4. ესენი ვიდრემე უკუანაძსენელ. ხოლო ხარკთამ, რომელთამ ჭერ-იყო მიცემამ ანტონიოსს მიერ მიცემულისა სოფლისაგან, იროდი ვიდრემე მართლიად მიმცემელ იყო, არა ჭეროვნად შემრაცხელი მიზეზნა სიძულდილისასა მიცემად კლეოპატრამსა. ხოლო არავი, იროდის ძლით მიმართებასა მჩუენებელისა, უამსა რაოდენსამე მისცემდა მას ორასთა ტლანტთა, არამედ შემდგომად ამათსა ბოროტრუეულ და მძიმე იყო მიცემათა მიმართ. და ძნიადლა, უკუეთუ კერძოთაცა რომელთამე დააკლებდის, არცა ამათსა მიცემასა ჰკონებდის გარეგან ზღვეულებისა.

01. 5

1. ხოლო იროდი, ესევეთარად რამ უგონებოდ ხედვიდა და დასასრულსა არცა ერთისა რომლისავე ქმნასა მნებებელად, აქუნდა განზრახვამ მათ ზედა განსლვისათვის, გარნა იკუმევედა მოცდასა რომაულისა ბრძოლისასა, რამეთუ ბრძოლამ საგონებელ იყო მეშვდესა და მეოთხმოცესა ასთა თანა ოღვმპიადისათა. ვინაიათგან კესარსა ეგულებოდა ანტონიოსს მიმართ ლუწამ ყოველთაჲს საქმეთა ზღვსპირს\*. ხოლო იროდი, ვინაიათგან და ქუეყანამცა ნაყოფიერ იყო მისა შრავალყამ და მოსავალთა და ძალისაგანცა ლოვნიერ იყო, თანაშეწევნასა აღუთქუმიდა ანტონიოსს, გულსმოდგინებით შემზადებულებასა მკუშველი. ხოლო ანტონიოსს მისისა ვიდრემე თანაშეწეობისამ არა მოქენობამა ექუა, არამედ არავსა ზედა წარსლვამ უბრძანა და რამეთუ ესმოდა მისგანცა და კლეოპატრამსგან ურწმუნობამ მისი, რამეთუ ჰკონებდა კლეოპატრა, ვიჯარმოდ უმჯობეს იყოს მისთვის, უკუეთუ ერთსა მეორისა მიერ ბოროტად ევნებოდის. ესენი რამ ემცნეს მას ანტონიოსს მიერ, უკუნქცეული იროდი მკედრობასა შეპკრებდა მეყუესულად არავიად წარსლვისათვის. და ვანჩაუაუბულ იქმნეს რამ/ცხენოსანნი და ქუეითი ძალი, დიოს ქალაქად მიიწია. და მუნ მოეგებნეს მას არავნი, რამეთუ არა დაეფარნეს მათ ბრძოლისა ძლითნი. და ბრძოლამ რამ იქმნა ძლიერი, მძლე ექმნეს იუდელნი. ხოლო წენდგომად ამათსა მრავალი მკედრობამ არავთამ კანიად მიიწია, და ესე სოფელნი არიან ლელისა სკრიპიასანი. ხოლო იროდი, უწინარესვე მსწავლეი, მიიწია მათ ზედა, მიმყვანებელი უმრავლესსა ძალისასა. და მიეახლა რამ კანას, სთნდა დაბანაკებამ და ხანდაკი გარემოავლო სიმარჯვთ, ბრძოლათა მი-

288

\* ევოლუბოდა A.

\* მკ' 'Ακρίθ 15<sub>100</sub> (=უერე აკანანიაში, ამბრაკის სრუტის შესასვლელში. მთარგმნელის მიერ მიჩნეულია საზოგ. სახელ ძანოცად= ზღვისპირი).

მარცხე: ჰელ-ყოფად მნებებელმან. ამით რაა განაწესებდა იგი, კმობდა სიმრავლეს იუდეულთაჲ, უმჯობეს შემრაცხელი დაყოვნებისაგან არავთა ზედა განსლვა-სა. და ჰქრონილ იყო, მინდობილი კეთილად განწესებისაჲ და გულსმოდგინებაჲ უმჯობესი აქუნდა, რომელნი პირველსა ბრძოლასა შინა მძლე ექმნნეს, არცა კელთადმდე მოწვენასა მბრძოლთასა შემნდობელნი.

ხოლო შემოთებდეს რაა და ყოველსა მოსწრაფებასა აჩუენებდეს, სთნდა შეფესა ეულსმოდგინებასა სიმრავლისასა კუმევაჲ და მეტყუელმან, ვითარმედ არცა იგი დააკლდეს სიმცნისა მათისაგან, პირველ თვთ იგი წარუძღუა მათ, აღუტრვილი, და ყოველნივე თვსთა განწესებულებათა თანა შეუდგებოდეს ნას. ხოლო მეუესეულად შოში დაეცა არავთა, რამეთუ მცირედ წინააღდგომილნი ვითარ ხედვიდეს უბრძოლელად მყოფთა და აღსავსედ სიმცნითა, ივლტოდეს უმრავლესნი, ძლეულნი, და განიხრწნნეს, რამეთუ ათინიონ არა ბოროტისმყოფელ ეყო იროდის და იუდეულთა. ვინაჲთგან ესე მკედარათმთავარი იყო მუნ შინათაჲ კლომატრამსი, ხოლო იროდისთვის გულვებადსა არა შეუშაბდებულად განიხილავდა, რამეთუ გულსმობრძუებელ იყო, ვითარმედ უკუეთუ ბრწყინვალე რამდე იმოქმედონ არავთა, რაჲთა დუმილი აქუნდეს, ხოლო უკუეთუ იძლიენენ, რომელი შემთხუეულ იქმნაცა, რაჲთა ადგილთა თვსთაგან მიწვენულთა მისა შემშადებელი ზედა-დაესხას იუდეულთა. და მაშინცა დამაშურალთა და ძლეულებად საეკუელთა და უცნაურად მიტევებული მათ ზედა მრავალსა კლესა იქმოდა, რამეთუ გულსმოდგინებათა მათთა ჰეშმარიტთა მტერთა მიმართ აღმღეველნი იუდეულნი და მძლეობასა უშიშოებით მკუმეველნი, მალიად იძლეოდეს მბრძოლთა მიერ და მრავალთა წყლულებათა მიიღებდეს ადგილთა შინა უცხენოსნოთა და კლდოვანთა, რომელთაცა მეცნიერებაჲ უმეტესი აქუნდა ზედდადებულებისა მოქმედთა. ხოლო ბოროტად რაა ევნებოდა, თანად არავნი მიიყვანებდეს მათ და, კუალად უკუნქეულნი, მოსრვიდეს აწდა ძლეულთა.

და იქმნებოდეს ყოვლითურთნი წარწყმედანი მოკუდინებულთანი და ძლეულთაგანი მრავალნი\* მიივლტოდეს ბანაკად. ხოლო მეფე იროდი, უსასოქმნილი ბრძოლისათა შინა, აღმკედრებული წარვიდა შეწვენისა მოყვანებად. გარნა ვერ ასწრო მრავალად მოსწრაფემან შეწვენისათვს, რამეთუ დაპურობილ იქმნა ბანაკი იუდეულთაჲ, ხოლო არავნი არა მცირედ ბე/დნიერობდეს გარეგან სასოებისა ძლევისა მიმღებელნი, რომლისა უმეტესი წარეწყმიდა და მრავალსა წინააღმდგომთა ძალსა მიმყვანებელნი. ამიერ უკუე იროდი ავაზაკობათა იკუმევედა და მრავალად მარბეველი არავთა სოფლებისაჲ, ბოროტსა-უყოფდა ზედამისლვითა მიერ, დაბანაკებული მათთა ზედა და ყოვლოთურთ მოშიშ იყო საჩინოდ კელთადმი ბრძოლად მისლვისა. ხოლო არა ზღვეულ იქმნებოდა შრომისმოყუარებისაგან ზედაჲს-ზედაჲს და თანად თვსთა მკედართა მოურნე ექმნებოდა, ყოვლითა სახითა წარმმართველი ნაკოლავთაჲ.

2. ამას შინა ბრძოლისა შედგომილობასა ზღვსპირს!\* კესარისასა ანტონიოჲს მიმართ მეშვდესა წელსა იროდის მეფობისასა, შეიძრა ქუეყანაჲ იუდეულთაჲ, ვითარ არაოდეს საგონებელ იყო სხუასა ქაჲსა და მრავალი სოფ-

<sup>1</sup> განაწესება A.

\* *cf. xvi. 15* (= არა მრავალნი). <sup>1</sup> *8π* 'Ακτιφ 15, 221.

ლისა შინათა პირტყუთა სიკუდილო იმოქმედა. ხოლო განიხრწნეს კაცნიცა ჭუეშე კერძო დაცემულთა სახითა ვითარ სამნი ბევრნი. და მკედრობაჲ უკუე, ველსა შინა მქცევი, არარას მენებელ იქმნა ვნებისა მიერ. ესენი რაჲ ისწავნეს არაუთა და უფროსლა ჭეშმარიტად მიმთხრობელთაგან მათდა, რომელნი იხარებდეს ქმნულთათვის სიძულლისა ძლით მათისა, უფროსლა განმწნდებოდეს, ვითარ დამკობისათვის მბრძოლთა სოფლებისა და განხრწნისათვის კაცთაჲსა და ჰგონებდეს არლა მერმეცა დაშთომასა წინააღდგომისა მათისასა. და თანად მოხუცებულნი იუდეელთანი, რამეთუ მივიდეს ქმნულთა უწყებად. შემპყრობელთა, მოაკუდიწნეს ივინი და ყოელითა წადიერებითა მიიმართებდეს მკედრობასა მათსა ზედა. ხოლო იუდელნი არცა მოსლვასა მათსა მოელოდეს და განსაცდელთა მიმართ მოშიშებით მღებარენი დაუტევებდეს მონაგებთა, მრავლად უსასოებისა მენებელნი ამათვის, რამეთუ არცა სწორბატეობისაჲ იყო სასოებაჲ მათთვის, პირველ ძლეულთაჲ ბრძოლათა შინა, არცა შეწვევისაჲ, ვინაჲთგან ძვრხილულობდეს სახლისა შინანი მონაგებნი მათნი. ესრეთ რაჲ მქონებელ იყვნეს, განამწნობდა მეფე, სიტყვთ მარწმუნებელი მარჯართაჲ, მოსწრაფე აღმართებად დაცემულთა სასოებათა მათთა. ხოლო აღმძრველი და განამამწნობელი ვითიმე უძლიერესთაჲ, მიერითგან კადნიერ იქმნა მერტყულებად სიმრავლისაჲ მიმართ, უწინარეს მტონარე ამისთვის, ნუსადა ბოროტად იკუმიონ იგი ძნელბედობათათვის. ხოლო ევედრებოდა, ესე ვითართა სიტყუათა მოქმედი სიმრავლისა მიმართ:

3. „არა უმეცარ ვარ ვიდრემე, ოჲ მამაკაცნო, ვითარ ამას ეამსა შინა მრავალნი წინააღმდგომანი ქმნულ არიან საქმეთა ჩუენთანი და მინდობაჲ ვიდრემე ესე ვითართა შინა არცა მრავლად სიმენითა გარდამატებულთაჲ ჭერარს. არამედ ვინაჲთგან გუსწრაფებს ჩუენ ბრძოლაჲ და ქმნულთაგანი არა რომელი არს ესე ვითარი, რომელმცა არა განემართებოდა ერთითა საქმითა, კეთილად / მოქმედებულთა, რომლისათვისცა ვედრებაჲ აღვირჩიე თქუენი 289 ერთბაჲად და უწყებაჲ, რაჲთა დაადგრეთ სიმენეთა თქუენთა ზედა. ხოლო მნებაეს პირველად ბრძოლისათვის აღმოჩენად, ვითარმედ სამართლად ვიქმნო ამს, წინააღმდგომთა გინებისაგან იძულებულნი. რამეთუ უკუეთუ ესე ისწავოთ, დიდი მიზეზი გულსმოდგინებისაჲ გექმნეს თქუენ. ხოლო შემდგომად აღმოჩენისა, ვითარმედ არა რომელი არს ჩუენთა ბოროტთა მიერ ქმნული მიზეზი, მრავალნი სასოებანი გუაქუენდენ ძლევისა მიმართ.

ვიწყო უკუე პირველისაგან, მოწამემყოფელმან თქუენმან, რომელთათვის ვიტყუე. რამეთუ არაუთა უსჯულთაგან უწყით ვიდრემე და სხუათაცა მიმართ ყოველთა ესრეთ ურწმუნოდ მღებარე, ვითარ ჭერარს ვარჯაროზისაგან ქონებაჲ და ღმრთისა უმეცრისაგან. მრავლად ვიდრემე გუბრძვეს ჩუენ ანგაპრეზით და შურიით და შფოთთა შინა გვზირდეს მსწრაფლიად. და მრავალთა ვიდრემე რად საქმარ არს თქუმაჲ? არამედ და ძვრხილულნი თვისისა მთავრობისაგან განვრდომად და კლეოპატრაჲს მონებად, ვიეთ სხუათა იქსნეს ივინი შინისაგან? რამეთუ ჩემი ანტონიოჲს მიმართი სიყუარული და მისი თქუენდა მომართი მოწლეობაჲ მიზეზ იქმნა. რაჲთა არცა ესენი რასმე მენებელ იქმნენ უკურნებელსა, რამეთუ განეკრძალებოდა მამაკაცი არა რომელსა ქმნად, რომელი შემძლებელ იყოს ვნებად ჩუენდა. ხოლო ვინაჲთგან მნებებელ იყო კლეოპატრაჲს მინიჭებასა რომელთამე კერძოთასა ორისავე სამთავროსაგან, ესეცა მევე განვაგე და მრავალთა ნიჭთა მიმცემელმან ჩემთვისაგან, ორთავე

სარგებელი ვიზრუნვე. ხოლო წარსაგებელნი მე მივიხუნენ, ორასთა ვიდრემე ტლანტთა მიმცემელმან და ორასთათვს თავსმდებელქმნულმან, რომელნი ქლუპანისაგან მისაძვლელ იყვნეს, ხოლო ჩუენ ამათგან განკუთვულ ვართ. და თანად ჭერ-იყო. რაჟთა არცა ერთსა ვის მისცემდენ ხარკსა იუდეელნი, განა ნაწილსა ქუეყანისაგან, ხოლო უკუეთუ არა ამათვს, რომელნი ჩუენ ვაცხოვნენით. არცა უკუეთუ არაჟთა არა აღიარონ მრავლისა თანა შეწყყნარებისა და მადლიერებისა, არამედ რამეთუ მთავრობისა უსამართლოებასა მნებებელ იყვნეს დამაკლებელნი ჩუენგან და ამათ, არა მბრძოლად მყოფთაგან, არამედ მოყუარედ. და ვითარ აღვილსა მქონებელ არს სარწმუნოებად უმბრძოლესთაჲ მიმართ, ხოლო მოყუარეთა მიმართ მტკიცედ დაცუად ჭერ-არს ამისი. არამედ ამათ თანა არაჟაჲ ესევეთარი იპოვების, რომელნი შეძინებასა ვიდრემე ყოვლითა სახითა უმჯობესად შეპრაცხენ, ხოლო უსამართლოებასა არა ზღვეულებად შემძლე, უკუეთუ მხოლოდ შეძინებად შემძლებელ იყვნენ. არს უკუე სხვსაცა ძიებად თქუნენ მიერ, უკუეთუ ჭერ-არს შურსა ძიებად მეუსამართლოეთაგან, ვინაჲთგან ღმერთსაცა ესევე პნებაჲს, რომელი გუამცნებს, რაჟთა მარადის საძაგელ იყოს გინებაჲ და უსამართლოებაჲ და ესე არა მხოლოდ ჭეროვანს, არამედ და საჭიროცა ბრძოლისა მიმართ გან/სლვად ჩუენს: რომელნი აღსაარებულ არიან უსჯულოებასა მქონებელად ელლინთა შორის და ვარჯაროსთა, ესენი იმოქმედნეს ამათ ჩუენთა მოხუცებულთა მიმართ, მომაკუდინებელთა მათთაჲ, რამეთუ ელლინნი სამღდელოდ და წარუტყუენველად-ყოფასა ქადაგათსა იტყვნან, ხოლო ჩუენ უმჯობესთა ბრძანებასა და უღირსესთა სჯულთასა მომთხრობელთა მიერ ვისწაევბთ ღმრთისაგან, რამეთუ ესე სახელი ღმერთსაცა კაცთა სახილველად მოიყვანებს და მბრძოლთა დაგებასა შემძლებელ არს მბრძოლთა მიმართ. რომელი უკუე უსახურებაჲ უზესთაჲს იქმნეს, გარნა თუ მოხუცებულთა მოკუდინებაჲ, სამართლისათვს მტყუელთაჲ! ვითარ უკუე შემძლებელ იქმნენ ანუ ცხორებასა შინა კეთილად დგომასა, გარნა ბრძოლასა შინა განმარჯუებასა, ესევეთართა მოქმედნი, ჩემდა ვიდრემე არად საგონებელ არიან. ნუუკუე და თქუასცა ვინმე, ვითარმედ ჩუენ თანა ვიდრემე სიმართლე და მსჯავრი არს, ხოლო იგინი უმცნეს და უმრავლეს არიან. არამედ პირველად ვიდრემე უჯერო არს თქუნენ მიერ ამათი მტყუელებაჲ, რამეთუ რომელთა თანა სამართალი არს, მათ თანა და ღმერთიცა, ხოლო ღმერთი რაჲ მახლობელ იყოს, და სიმრავლე და სიმცნეცა მახლობელ იყოს. და რაჟთა თავთაცა შორის თვსთა განვიხილოთ, ვსძლეთ პირველსა ბრძოლასა შინა განწყობილთა, ხოლო მეორედ არცა თუ წინაშე ჩუენსა შეუძლეს დაგმობაჲ, არამედ ივლტოდეს მეყუსეულად, არა მომთმენელნი ზედმისლვისა ჩუენისა და სიმცნეთანი. ხოლო ჩუენ, მძლეველთა, ათინიონ ზედ-დაგუესხა, ბრძოლასა უცნაურსა მიმღებელი. ნუ სიმცნითა მათითა გუძლესა, ანუ უსჯულოებითა და მომზირალობითა ზაკუეით? რაჲსათვის უღარეს მცნე ვართ, რომელთა ძლით უღიდესთა სასოებათა ჭერ იყო ქონებაჲ? ვითარ უკუე მოშიშ ვიყვნეთ მათგან, რომელნი რაჲამს ქეშმარიტებით გუბრძოდენ, მარადის იძლევიან, ხოლო ოდეს იძლეოდინან, მზაკუევარებით მოქმედებენ ძლევისა. და ვითარ უკუეთუ ვისმე მცნედ შეურაცხიან იგინი, არა ამისთვს უუროსნსა განმცნობილ იქმნეს იგიცა, რამეთუ სიმცნე არა უძლურთა მიმართ

<sup>1</sup> გნ-ნა A.

<sup>2</sup> ესე თჳ არს ანგელოზთა ანუ წინაშარმეტყუელთა.

საჯმარ არს, არამედ შეძლებასა უძლიერესთა დაპყრობად. ხოლო უკუეთუ თსთა ვნებათაგან შეშინებულ ხართ და ძრვისა მიერ შემთხუეულთათვის, პირ-  
წალად ვიდრემე გულისკმა-ყავთ, ვითარმედ ესე არავთაცა შეაცთუნებს, უდი-  
დეს შემრაცხელთა ჭეშმარიტისგან ქმნილთასა. ამისა შემდგომად, ვითარ-  
მედ არა კეთილ არს, რაფთამცა მათ კადნიერებად, ხოლო ჩუენ მოშიშებად  
ერთისა და მისვე მიზეზისაგან შეგუემთხუეოდა, რამეთუ იგინი ვიდრემე არა  
თვისისა რომლისამე კეთილისა მიერ მქონებელ არიან სიმკნესა, არამედ ჩუენ-  
თა ძნელბედობათაგან ბოროტთა შინა სასოებენ.

ხოლო ჩუენ, მიმართებულთა მათ ზედა, დაუტეოთ უდიდეს ბრძნობად  
მათი და ჩუენ მივიღოთ სიმკნე და ვპბროდით უმკნოქმნულთა. და რამეთუ  
არცა ესოდენ ძვრხილულ ვართ, არცა ვითარ ჰგონებენ ვიეთნიმე, რისხვად  
შაუკუნენის ღმერთისა ნათესავსა ჩუენსა ზედა, არამედ ესენი შე/მთხუეულე- 290  
ბანი იქმნებიან და ვნებანი რომელნიმე. და უკუეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ  
არაინ, ცხად არს, ვითარმედ და დაცხრომილ არიანცა მისითავე განზრახვითა,  
ვითარ კმამყოფელობითა ქმნულთაათა. რამეთუ უკუეთუმცა ენება შერმეცა  
უფროსლა ვნებად, არამცა დაცხრომილ იყო. ხოლო ვითარმედ გულგებად  
იყო ბრძოლისა ქმნად, სამართლისა მეცნიერმან, განაცხადა მან ესე: რამეთუ  
ენიანთგან ძრვად იქმნა ქუეყანასა შინა და წარწყმდეს ვიეთნიმე, არცა ერთსა  
ვის რად ევნო საჭურველთა შინა მყოფთაგანსა, არამედ ყოველნი ვცხონდით.  
და ცხად-ვიყო ღმერთმან, ვითარმედ უკუეთუმცა ყოველ ნათესავითურთ,  
ცოლთა თანა და შვილთა აღმკვდრებულ იყვენით, არცამცა რად ესრეთ შეგმ-  
თხუეოდა თქუენ საენებელი. ამათნი მომკსენებელნი და უფროსლა რამეთუ  
ყოველსა ეამსა წინამდგომელად გაქუს ღმერთი, განვედით მართლიადითა  
სიმკნითა უსამართლოთა ზედა სიყუარულისა მიმართ და დაუკებელთა ბრძო-  
ლასა შინა და უსახურთა მოხუცებულებისა მიმართ და მარადის თქუენისა  
სიმკნისაგან ძლეულთა“.

4. ამათნი მსმენელნი იუდელნი მრავლად განმკნობილ იქმნეს სულითა  
ბრძოლისა მიმართ. ხოლო იროდი, მსხუერპლთა მოქმედი განწყესებულემა-  
თაებრ და მრავლითა მოსწრაფებითა მიმყვანებელი მათი, წარვიდა არავთა  
ზედა, განმწიადებელი იორდანისადა. და მახლობელად მბრძოლთა დაიბანაკა,  
ხოლო სათნო-უჩრდა სამცველომსა რომლისამე, შუეულ მდებარისა, გამოლე-  
ბად, რამეთუ ესრეთ სარგებელ ეყოს ესე მას და მალიად ბრძოლისა განწყო-  
ბად და უკუეთუ ჭერ-იყოს განსლვად ბრძოლისა მიმართ, რათა სიმბაგრე-  
დ აქუნდეს იგი მკვდრობასა. ხოლო ამას არავნიცა განიზრახვიდეს მათთვის,  
რომლისათვისცა ძლევისმოყუარებად იქმნა ადგილისათვის. და დასაბამი ურთი-  
ერთას ტყორცებისადა ისართა მიერ, ამისა შემდგომად, მიერიოთგან კელთამდე-  
ცა მიწევნულნი, უმრავლესნი ორკერძოვე დაეცემოდეს, ვიდრემდის ძლეულ-  
ნი არავნი განეშორნეს.

ესე მეყუსიეულად არა მცირე სასოებად ექმნა იუდელთა და ძალისა მა-  
თისა მომკსენებელნი უფროსლა ბრძოლისა მიმართ განსლვად მნებებელ  
იყვნეს და უმკნესად კელ-ყვეს განღებად ხანდაკისა მათისადა და ბრძოლასა შე-  
ბებად ზანაკისადა. ამათ მიერ იძულებულნი არავნი გამოვიდეს უწყესოდ და  
არარად აქუნდა გულსმოდგინებისა გინა სასოებისადა ძლევისა მიმართ, გარნა

<sup>1</sup> საგებელ იყოს A, სარგებელ იყოს Q.

ეგრეთა კელთა მიმართ მიიწინეს უმრავლესყოფნი და რამეთუ ასწრაფებდაცა მკადრებოდა იუდეულთა იძულებისა მიერ მკედართყვანებულნი. და ბრძოლაჲ რაჲ იქმნა ძლიერი, არა მცირენი დაეცემოდეს მრჩობლთაჲჲ კერძო-ო. აგან, ხოლო უკუანასკნელ ძლეულნი არავნი ივლტოდეს. და იყო ესოდენი კლვაჲ ლტოლვილთაჲ, ვიდრეღა არა მხოლოდ მბრძოლთაგან იკუდინებოდეს, არამედ თვთ თავთა თვსთა მიზეზ ბოროტთა ექმნებოდეს, სიმრავლისა მიერ და უწესოდ სლვისა დათრგუნვილნი და თვსთა საქუთრველთა მიერ მოკუდინებულნი, რამეთუ ხუთასნი მათგანნი მკუდარ იქმნნეს, ხოლო სხუაჲ სიმრავლე ხანდაჲდ შეივლტოდა, გარნა სასოებაჲ ცხორებისაჲ არა სიმტყიცით აქუნდა უღონობისათჳს საზრდელისაჲსა და უფროჲსღა წყალისა ნაკლულევანებისათჳს. თანად მღევნელთა იუდეულთა ვერ შეუძლეს მიწვენაჲ მათი, არამედ ჰქდომარენი გარემოჲს ხანდაჲსა სციიდეს შესაგალთა და არა უტევებდეს შტლებად საქირთა და თანად გამოსლვისაგან აყენებდეს ლტოლვად მნებებელთა.

5. ესევითართა შინა მყოფნი არავნი ევედრებოდეს იროდის პირველად ვიდრემე, რაჲთა დაიკსნას ბრძოლაჲ. ამისა შემდგომად, რამეთუ წყურთილი ასწრაფებდა მათ, ყოველსაჲე მოთმენად ევედრებოდეს, რაჲთა მიემთხვენ მამინ მოკალებასა. ხოლო იროდი არა შეიწყნარებდა არცა მოხუცებულთა, არცა საქსართა ტყუეთასა, არცა სხუასა რომელსაჲე, რამეთუ ძლევისმოყუარებოდა შურისგებად მათ მიერ ქმნულთა უსჯულოებათათჳს მისა მიმართ. იძულებულნი უკუე სხუათაჲ მიერ და წყურთილისაგანცა, გამოსრულნი კელთულდებდეს მათ თავთა თვსთა მიყვანებად. და ხუთთა დღეთა შინა ოთხ ათასი სიმრავლე ესრეთ დაჰყრობილ იქმნა, ხოლო მეექვსესა დღესა სთნდა ყოველთა დანებებულთა გამოსლვაჲ სჯულითა ბრძოლისაჲთა და მიმართებაჲ წინააღმდეგომთა ზედა ბრძოლად, რაჲთა უკუეთუ საქმარ იყოს რომელსაჲე ვნებაჲ. არა განიხრწნენ უდიდებონი მცირედ-მცირედ. ამათნი მთნებლნი გამოვიდეს ვიდრემე ხანდაჲსაგან, გარნა არასაღა კმა-ეყვნეს ბრძოლასა ბრწყინვალედ. ბრძოლისა მიმართ მოუძღურებულნი და სულთა და სხეულისა ადგილსა არა მქონებულნი, ხოლო სიცოცხლესა შეძინებად შემრაცხულნი. უკუეთუ მოკუდენ განსაცდელსა შინა და დაეცნეს მათგანნი პირველსა ბრძოლასა შინა ვითარ შვდ ათასნი. და ესოდენნი რაჲ წყლულებაჲ იკუმიეს, განყენსა მათ სიმენე, რომელი იყო მათღა უპირველეს. ხოლო განკვრებულთა განსაცდელსა შინა თვსთა იროდის გონიერებისათჳს, მიერითგან დაემორჩილნეს და წინამდგომელად ნათესავისა განაჩინეს. ხოლო იროდი, მრავლად კეთილბედრიკრობათა ზედა განმწნობილი, უკუნ-იქცა სახიდ თვსად, დიდსა პატივსა მიმღებელი ამის მკნევეთილობისათჳსცა.

## თ. 6

1. სხუანი ვიდრემე უკუე კეთილად აქუნდეს მას, ძნიად კელთსაგდებელქმნულსა ყოველთა შინა, გარნა ძვრხილულობაჲ შეემთხვა მსჯავრსა მიცემად ყოველთათჳს. ვინაჲთგან ანტონიოსს მძლე ექმნა კესარ, აკციონს შინა მბრძოლი. მამინ უკუე უსასო იყვნეს იროდისთვის საქმენი და ესრეთვე მსგავსად გარემოჲსთა მისთა მტერთა და მოყუარეთათჳსცა, / რამეთუ არა ჯერ-იყო უტანველად განტევებაჲ ესოდენისა მისისა სიყუარულისათჳს ანტონიოსს

მიმართ. იყო ვიდრემე უკუე უსასობეაჲ მოყუარეთა მისთაჲ მისა მიმართთა სასოებათათჳს. ხოლო რაოდენთა სიძულილი აქუნდა, საგონებელ იყენეს მის თანა ლმონასა საჩინოდ, არამედ ენებაჲ დაფარული აქუნდა მოხარულთა, ვითარ უმჯობესისა შეცვალებისა მიმთხუევადთა. ხოლო თვთ იროდი, მხედველი ვრკანოჲს მხოლომსაჲ ღირსებასა ზედა მეფობრივსა, უმჯობესად შეპრაცხდა, რაჲთა არა უტევოს იგი შემპარკოლებელად მისა. უკუეთუ ვიდრემე ცხონჯღს და განველტოს ძვრისხილვასა, უმჯობესად შემრაცხელი, რაჲთა არა ესევეითართა ჟამთა შინა ზედა-აღუდგებოდის მას მამაკაცი ღირსი სიტყუსაჲ მიმთხუევად მეფობასა. ხოლო უკუეთუ რაჲმე ევნოს კესარისა მიერ, მოშურნეობით მოკუდინებად წადიერი, რაჲთა არა მხოლოჲ მქონებელ იქმნეს მეფობასა ვრკანოსს.

2. ესენი რაჲ გონებასა შინა აქუნდეს მას, მიეცა მას მათ მიერცა მიზეზნი რომელიმე, რამეთუ ვრკანოს, სახითა სიმშვიდისაჲთა მაშინცა და სხუასა ჟამსა, არა მნებებელ იყო მრავალსაქმიერობასა, არცა შეუნდობდა ბედსა შეხებად უკუბუეკსთა საქმეთა, არცა შეყუარებად ყოველსა მის მიერ ქმნულსა. ხოლო ალექსანდრა ძლევისმოყუარე იყო და სასოებასა შეცუვლებისასა დაუპყრობელად მომღებელი სიტყუათა ჰყოფდა მამისა მიმართ, რაჲთა არა დასასრულადმდე ყოვლისა მოითმინოს იროდის უსჯულოებაჲ სახლისა მიმართ მათისა, არამედ რაჲთა წინა-უსწროს მტკიცედ დაცვაჲ შემდგომთა მათთა სასოებაჲ. და ევედრებოდა მიწერად ამისთვის მალხომს მიმართ, არაჲთა მთავრობასა მქონებელისა, რაჲთა შეიწყნარნეს იგინი და უშიშოვებით დაიცენეს, რაჲეთუ უკუეთუ განვიდენ იგინი და იროდის ძლითნი ესრეთ წარმართებულ იქმნენ ჳერისაებრ მტერობასა წინა კესარისასა, იქმნენ მიმღებელნი მთავრობისანი ნათესეობისთვისცა და სიყუარულისა ერთაჲსა. ამით რაჲ არწმუნებდა, ვრკანოს ვიდრემე უკუნ-აქცევდა სიტყუათა, არამედ ვინაჲთჳნ ძლევისმოყუარებთისა და დედაკაცობრივსა მენებელ იყო ალექსანდრა და არცა ლამე, არცა დღე დასცხრებოდა, არამედ მარადის ამითვის და იროდის შესმენისათვის მეტყუელებდა, დასასრულად ირწმუნა ეპისტოლეჲსა მიცემაჲ დოსითეოსსთვის, მოყუარეთა მისთაგანისა, რომელსა შინა დაეწერა, რაჲთა წარუვლინნეს მას არაჲმან<sup>1</sup> წარმყვანებელნი და თანამავალნი ცხენოსანნი ასფალტიტისა ტბისა მიმართ, ხოლო ესე აშორავს იეროსოლჳმამსა მათთა<sup>2</sup> სამასითა სტადიონითა. და არწმუნეს დოსითეოსს, მსახურსა მისსა და ალექსანდრასსა, რომელსა არა მკირდენი მიზეზნი სიძულილისანი აქუნდეს იროდის მიმართ, რამეთუ იოსაჲმოს ნათესავე იყო, რომელი მოეკუდინა მას და უბირველესი ძმად ტვროს შინა მოკუდინებულთაჲ ანტონიოჲს მიერ. გარნა / არა არწმუნეს ამით დოსითეოსს მტკიცე-ქმნაჲ ვრკანოჲს მსახურებისა მიმართ, არამედ აღმრჩეველმან მეფისა მიმართთა სასოებათამან უმეტეს მისთაგან, მისცა იროდის ეპისტოლე. ხოლო მან, მიმთუალველმან სიყუარულისამან, ამისიცა მსახურებაჲ უბრძანა მას, რაჲთა შემყოფელმან ეპისტოლისამან და დამბეჭდველმან მისცეს მალხოს და მის მიერნი ნაწერნიცა მოიხუნეს, რამეთუ არა მკირედი სარგებელი იყოს, უკუეთუ ცნას მან მისიცა განზრახვაჲ. ესენი რაჲ გულსმოდგინებით იმოქმედნა დოსითეოს, მიუმცნო არაჲმან ვრკანოსს შეწყნარებაჲ მისი და მის

<sup>1</sup> არაჲმან<sup>1</sup> არაჲმ AD, არა Q, —S, ჯთხ "Αραβα 15<sub>100</sub>. <sup>2</sup> მათთა—S, ἄνω ნ<sub>100</sub> (=სახლდართა. ბ მპოც-ის ნაცულად თარგმნილია ἄθ მპოც=მთა).



თანათა ყოველთა და იუდეელთა, რაოდენნი მოყუარე არიან მისა და ვითარმედ წარუვლინოს მათ ძალი, უშიშროებით მოყვანებად საეკუელი და ვითარმედ არცა ერთისაგან ნაკლულევან იქმნენ; რომელთათვის ევედრნეს. ჩულო ვითარ ესე ეპისტოლეცა მიიღო იროდი, მეყუსეულად მიუწოდა ვრკანოსს და მისა მიმართ ქმნულთა აღთქუმათათვის მალხოხსგან გამოიკითხვიდა. ხოლო ვინაძთგან უვარ-ყო ვრკანოს, მაჩუენებელმან ეპისტოლეთამან იროდი მოაკლდინა მამაკაცი.

3. ამათ უკუე დავსწერთ ჩუენ, ვითარცა მქონებელ არიან მოსაქსენებელთა შინა იროდი მეფისათა. ხოლო სხუათა არა თანა-ეკმებთან, რამეთუ არა ამისთვის ჰგონებენ ვრკანოხს ზედა მოღებასა მიზეხისასა იროდისგან, არამედ უფროხსლა მზაკუვარებით ამით სახითა მოკუდინებასა, რამეთუ დასწერენ ესრეთ: მოსუმურობასა შინა, არა რომელსა იქუსა სიტყვისასა მიმცემელმან, ჰკითხა ვრკანოსს, უკუეთუ ეპისტოლეთა რომელთამე მიმღებელ არსა მალხოხსგან. და მან ვიდრე აღიარა მოსაკითხავთა წერითა მიღებაჲ. ხოლო იროდი კუალად ჰკითხვიდა, უკუეთუ და ნიჰსაცა რომელსამე მამღებელ არსა. ხოლო მან არარა უმეტესი, გარნა თუ პირუტყუთა აღმავალთა ოთხთა მივლინებაჲ მისა აუწყა და ესევეითარი მიზეზად მიიღო, ქრთამად შემრაცხელმან და შინაგანმცემლობად და მოშობაჲ მძძინა მამაკაცისაჲ. ხოლო ნიშად არარაჲს მცოდველისად და ესევეითარსა აღსასრულსა შთავრდომილისად შეპრაცხენ სიმშველესა ქეუულეებისასა და არცა სიჭაბუკესა შინა ზუაობისა ვ-ნა სილადისა ჩუენებასა, არცა ოდეს მეფობაჲ თუ მას აქუნდა, არამედ ამასცა შინა უმრავლესნი განსაგებულთანი ანტიპატროსს მოუტევნა. ხოლო მაშინ ვრთთა უმეტეს ოთხმეოცნი წელნი ქმნულ იყვნეს და ყოველთა სიმტკიცითა იროდის მთავრობასა ირწმუნებდა. განიწილა უკუე. ეფერატსაცა და იმიერ პატივისმცემელნი ყოველნი დაუტევნა, ყოველითურთ მისა მიმართ ქმნულმან დამორჩილებად. უცხოთა ყოველთა შეხებად არა დაჰარწმუნებელისად და არა მისისა ბუნებისაებრ, არამედ ესენი მიზეზ ექმნენ იროდის.

4. ესევეითარიმე აღსასრული ცხორებისაჲ შეემთხვა ვრკანოსს. პრავალ-  
292 თა და მრავალსახეთა / ცხორებისა ბედთა მკუმეველსა. რამეთუ მეყუსეულად მეფობასა დედისა მისისა აღუქსანდრასსა მთავრად იუდელთა ნათესავისად დადგინებულმან წელთა შინა ცხრათა დაიბყრა პატივი და ნიმღებელი. აჲ შემდგომად სიკუდილისა დედისა მისისა და ამისი დამპყრობელი თუეთა სამთა, განვარდა არისტოველოხს მიერ, ძმისა თვისისა, ხოლო კუალად დადგინებულ იქმნა პომპიოხს მიერ და ყოველთა პატივთა მიმღებელი ორმოცთა წელთა იყო ამათ შინა. ხოლო ვინაძთგან მეორედ მიელო, ანტილოხს მიერ ნაკლულევანქმნული სხუელითა, პართთა მიერ ტყუე იქმნა და მიერ სახიდ თვისად აღმოვიდა ჟამისა რაოდენისამე წარვრდომილობასა შინა, წინაყოფილთა სასოებათათვის იროდისგან, რომელთაგან არცა შეემთხვა მას სასოებისაებრ მრავალევენბულსა ცხორებისა მკუმეველსა, არამედ უძვრესსა ამას და არა ღირსსა აღსასრულსა მიემთხვა, ვითარცა წინაწარ-ვთქუთ. ხოლო მშვედ იყო და მდაბალ ყოველთა შინა და უმრავლესსა მთავრობისასა განმე-

ბელთა მიერ განაგებდა და არა მრავლად გამომეძიებელ იყო, არცა მრისხანე ზედამდგომელი მეფობისაჲ. და ანტიპატროსს და იროდისს ვიდრე აქამოდღე შეემთხვა აღსლვაჲ სიჰჴედისა მისისათჳს და აღსასრული ესევითარისა ცხო-რებლისაჲ პოვა მათგან არა ჳეროვანი, არცა კეთილი.

5. ხოლო იროდი, ვინაჲთგან შორს-ყო ვრკანოსცა, მოსწრაფე იყო კესა-რისა მიმართ და არა რომელსა კეთილისა სასოებად შემძლებელსა მის ძლით-თა საქნეთათჳს, სიყუარულისა ძლით, რომელი იყო მისა ანტონიოჲს მიმართ, იჴუსა მქონებელ იყო ალექსანდრაჲს მიმართ, ნუსადა ჟამისა მიმღებელჲმან თანად სიმრავლე განაყენოს და სამეფოჲსა შინანიცა საქმენი აღაშფოთნეს. ხოლო მიანდენა ყოველნი საქმენი ფერორას, ძმასა თჳსსა, და დედაჲ თჳსი — კჳბროს და დაჲ და ნათესაჲი ყოველი მასადათა შინა დაადგინა და უბრძანა, უჴუეთუ რაჲმე მისთჳს ბოროტი ისმინონ, რაჲთა მტკიცედ მქონებელ იყვნენ საქმეთა. ხოლო მარიამი<sup>1</sup>, ცოლი მისი, რამეთუ არა შესაძლებელ იყო მასვე ქცევასა ქონებად განყოფილებისათჳს დისა მიმართ და დედისა მისისა, ალექსანდრიოჲს შინა დაადგინა ალექსანდრაჲს თანა, დედისა მისისა, და იოსიპოს განმგებელი და იტურეოს სოემნოსი დაუტევნა მათ ზედა, დასაბამითგანვე სარწმუნოქმნულნი მისა მიმართ. ხოლო მამინ მიზეზად პატრივისა დაცვისათჳს დედაკაცთაჲსა დაუტევნა იგინი. არამედ იყო მათდაცა მცნებულ, რაჲთა უჴუეთუ რაჲმე ისწავონ მისთჳს ბოროტი, მრჩობლინვე მოაკუდინნენ, ხოლო მეფობაჲ საღად ყრმათა მისთა დაუმარხონ ძმისა მისისა, ფერორაჲს თანა.

6. ამათი მამცნებელი თთჳს როდოს წარსლვად მოსწრაფე იყო, მიგებე-ბად კესარისა. ხოლო ვინაჲთგან მიიწია ქალაქად, მიეღო ვიდრემე მისგან პა-ტივი, გარნა მის ძლითისა სხჳსა ღირსებისაგან არა შთამომდაბლდებოდა. ხოლო ვინაჲთგან ზიარებასა სიტყჳსასა ღირს-იქმნა ზრახვითა კესარისა მი-მართ, მრავლად უფროსლა განაცხადებდა სიდიდესა გონიერებისა მისისაჲა <sup>v</sup> არცა ვედრებათა მიერ, ვითარ ჳერ-იყო ამათ ძლით მიდრეკილი, არცა მოჴე-ნეობასა რომელსამე წინამყოფელი, ვითარ ნაცოდვებთა ზედა, არამედ, მიმ-ცემელი გულისსიტყუასა მოჴმედებულთასა, უშიშოებით ეტყოდა კესარისა, ვითარმედ და სიყუარული დიდი უჴმნიეს მას ანტონიოჲს მიმართ და ყოველ-ნივე უმოჴმედებინ ძალისა მისისაებრ, რაჲთა მის ზედა იქმნენ საქმენი. მკედრობითა ვიდრემე არა ზიარებულ არს არავთა ძალისა ძლით, ხოლო <sup>v</sup> აკამარნი და იფქლი წარუვლინებეს მისთჳს. და ესენი მცირე არიან მის მიერ ჳელყოფილთაგან, რამეთუ აღმსაარებელსა ვიდრემე მოყუარედ ყო-ფისასა, ხოლო კეთილისმყოფელად სხჳსა მეცნიერსა, ყოვლითა კერძოთა სულისა და სხეულისა და ღონიერებისათა თანა-აც ძჳრბილულობაჲ მათ ძლით, რომელნი მას უმცირეს, გინა უმჯობეს აჴუნდეს აღზრდილსა. „არამედ ესეცა გულისკმა-ყავ კეთილად მოჴმედებული ჩემ მიერ, რამეთუ არცა აჳ-ტიოჲს ბრძოლასა შინა ძლეული დაუტევე, არცა თანა-წარგჳყვევ სასოებითა აწლა ცხადად წარსლვასა ბედისასა, არამედ დავიცვე მისა თავი თჳსი, დაღ-ცათუ არა თანაშემწე ღირსსაჳმარი, გარნა განმზრახებელი ჳეროვნად ანტო-ნიოჲსი ერთსა მიზეზსა ცხოვნებისა და საქმეთაგან არა განვრდომისასა მაჩუე-

<sup>1</sup> მარტაში A. Μαριამου 15<sup>tes</sup>. შესაძლებელია, მახვლი ქართულ ა-ზე ზერძელის გე-რუნით გაჩნდა.

ნებელი, რაათა კლეოპატრა მოაკუდინოს თუ იგი, თანად მთავრობაჲ საქმეთაჲ ეყოს და შენდა მიმართნიცა დაგებანი უადვილესს პოენესს მტრობისასა. რომელთაჲ არცა ერთსა განმგონებელმან, უსარგებლოდ ვიდრემე მისთვის და საუმჯობესოდ შენთვის, წინა პატივ-სცა განუზრახველობასა. აჲ უკუე, უკუეთუ ანტონიოსს მიმართისა რისხვისათჳს დასჯი გულსმოდგინებასაცა ჩემსა, არა არს ჩემდა უფარის-ყოფაჲ მოქმედებულთაჲ, არცა უღირს-ვიჩინო ჩემსი მისა მიმართსა სიყუარულსა ცხადად მეტყუელებაჲ. ხოლო უკუეთუ ჩემგზისა განმგდებელმან გამოიძიო, თუ ვინ ვარ კეთილისმყოფელთა მიმართ და ვითარ მოყუარე გექმნები შენ, გამოცდილებაჲ ჩუენ მიერ ქმნულთა მეცნიერ-გუყოფს<sup>1</sup>, რამეთუ შემდგომად სახელისა ცვალებისა არა უღარესსა სიმტკიცესა სიყუარულისასა ჩუენებად შემძლებელ ექმნეს.

293 7. ესევეთართა მეტყუელმან და ყოვლითურთ მაჩუენებელმან თავისუფლებასა სულისასა, არა მცირედ მოიზიდა კესარი, პატივისმოყუარედ და ბრწყინვალედ მყოფი, ვიდრელა მიზეზთა მიერ ნაცოდავითა ქმნაჲ მისა მიმართისა სიყუარულისაჲ მოივჳკრა. და მაშინ კუალად გვრგვნი მისცა მას და ღბრძანა, რაათა არა უღარეს იყოს მისა მიმართ, ვითარ უწინარეს ანტონიოსს მიმართ. და ყოვლითა პატივითა აქუნდა იგი, ზედდამძენელსა, ვითარმედ კაიოდოსს მიუწერეს ყოვლითა გულსმოდგინებითა / ერთმმთავრობათა\* მიმართ თანაშეწევნაჲ მისი იროდისგან. ესოდენსა შეწყყნარებასა ღირსქმნულმან და გარეგან სასოებათა მხედველმან კუალად მისა დამტკიცებასა დასაბამადვე მეფობისასა მიცემითა კესარისაჲთა და ბრძანებითა რომთაჲთა, რომელი მან უმტკიცესად მოუვჳკრა თავსა თჳსსა, წარავლინა კესარი ვიდრე ეგვპტელმდე და მიანიჭნა მას ნიჭნი და მოყუარეთა მისთა, უმეტესს ძალისა ყოვლისა სულდილობისა მაჩუენებელმან. ხოლო გამოითხოვდა ანტონიოსს მოყუარეთაგანსაცა აღექსანდროსს, რაათა არარაჲ უსახური ევნოს. არამედ ამას ვიდრემე არა მიემთხვა, ვინაჲთგან ასწრო ფიცი კესარმან. ხოლო აღმოვიდა კუალად უღდად უმრავლესითა პატივითა და კანდიერებითა და წინააღმდეგობათა მომლოდენი შიშსა შთაყარნა, ვითარ მარადის უბრწყინვალესსა ძვრისხილვათაგან სახიერებისა მიერ ღმრთისა მომგებელი. მეყუსეულად უკუე შეწყყნარებად კესარისა მოსწრაფე იყო, სვრიათ ეგვპტელ წარსლვად მგულებელის. და ვინაჲთგან მიიწია, შეიწყყნარა იგი პტოლემიდას შინა ყოვლისა თანა სამეფოჲსა მსახურებისა და მიანიჭნა მკედრობასაცა ნიჭნი და საჭიროთა უშურველობაჲ. და ესრეთ მოყუარეთა შორის დაიწესებოდა. და მკედრობათა ძალისა შორის განწესებული თანა-აღმკედრდებოდა და შეიწყყნარებდა მას და მოყუარეთა მამაკაცთა მიერ ასთა და ორმეოცდაათთა, ყოველთა შუებისა მიმართ და სიმდიდრისა ჩუეულთა. ხოლო მიანიჭა ურწყულსაცა შინა მავალთა უშურველობაჲ სასწრაფოთა და საჭიროთაჲ, ვიდრელა არცა ღვნის, არცა წყლისაგან, რომელი უფროსს საკმარ იყო მკედართა, ნაკლულევან იყენეს. კესარსა ვიდრემე უკუე რვაასნი ტალანტნი მიანიჭნა და წარმოუდგინა ყოველთა სიყუარულისა მიღებაჲ, რამეთუ მეფობისაგან, რომელი აქუნდა, მრავლად უმეტესთა და უბრწყინვალესთა მსახურებათა აჩუენებდა. ამან

<sup>1</sup> ექმნეს AQ. \* მეცნიერებაჲ AQ. \* მოყურეთა A.

\* ἰσὺς: μεσομύχους 15<sub>296</sub> (=ბრძოლაში ბირისპირ გამოსული მოწინააღმდეგე).

უფროასლა სიმტკიცედ სიყუარულისა და გულსმოდგინებისად დაადგინა იგი და მრავალი მიიღო საკმარებასა შინა ჟამისასა დიდსულობისა შემაწყობელ-მან. ხოლო ესე კულად აღმოვიდოდეს რაჲ ეგვბით უპირველესნი, არა უღარეს გამოჩნდა მსახურებათა შინა.

თ. 7

1. მაშინ ვიდრემე უკუე მიწვეულმან სამეფოდ თვსად აღშფოთებულად პოვა სახლი მისი და ბოროტად მქონებელად ცოლი მისი მარიამში და დედაჲ მისი ალექსანდრა, რამეთუ გულისმსიტყუველნი, რომელი და საეკუელცა იყო არა უშიშოებისათვის სხეულთასა მას ადგილსა შინა დადგინებად, არამედ ვითარ დაცვისათვის, რაჲთა არცა ერთისა, არცა სხუათა და. არცა თავთა მაჲთა ზედა აქუნდეს კელმწიფებაჲ, მძვნეარედ მოითმენდეს. თანად მარიამში ტრფიალებასა ვიდრემე მეფისასა ჩემებად და უმჯობესისა მისისათვის ქმნულად მზაკუარებად შეპრაცხდა და მწუხარე იყო ამისთვის, რამეთუ არა აქუნდა სასოებაჲ ცხორებისაჲ, უკუეთუ რაჲმე ძერი ეენოს იროდის. და იოსიპოს მიცემულთა/ მცნებათა მოაქსენებდა, რომლისათვისცა პატივით მქონებელ იყვნეს მცველთა და უფროასლა სოემოსს, მის მიერ ყოველსავე მეცნიერნი. ხოლო სოემოს პირველად ვიდრემე საჩუშუნო იყო, არცა ერთისა დამტყვებელი<sup>1</sup>, რომელნი ემცნენ მისთვის იროდის. ხოლო სიტყუათა მიერ და ნიქთა ვედრებით მოჩუქებული დედაკაცთა მიერ, მცირედ-მცირედ აღილოდა და უკუანასკნელ აღმოქუნა ყოველივე მცნებანი მეფისანი, უფროასლა არა მსასოებელმან მასევე კელმწიფებასა ზედა აღმოსვლისა მისისამან, რომლისა ძლით უფროასლა განვლტოლილი მის მიერისა ძვრისხილვისაგან არა მცირესა მხიარულებასა პოვნად ჰგონებდა დედაკაცთა მიერ, რომელთაჲ ჩერ-იყო არა დამკობაჲ ღირსებრსა მათისაგან, არამედ უფროასლა პატივნი იყვნენ მეფედ მყოფთა, გინა მეფისა მახლობელქმნულთა. ხოლო სასოებდა არა მცირედ, ვითარმედ დალაკათუ ყოველთა განზრახვისა თვისისაებრ მოქმედი იროდი უკუნ-იქცეს, არცა ერთისა მოქნე იქმნეს წინააღმდეგმსა სიტყუად დედაკაცისა მიმართ მნებებელისა თქუმად, რამეთუ უწყოდა მარიამის მიმართი ტრფიალებაჲ მეფისაჲ, უზესთაეს სიტყუსაჲ. ესენი იყვნეს დამკნულნი აღმოთქუმად ნამცნებთა. ხოლო მარიამში მწუხარებით მოისმინა, უკუეთუ არა იყოს მისა დასასრული იროდის მიერთა ძვრისხილვითაჲ და მწუხარებით მდებარე იყო არა რომლისა შესამგავსთაგანისა მიმთხუევასა<sup>2</sup> მისსა მვედრებელი და მლოცველი, ხოლო ძნიად დასარწმუნებელ<sup>3</sup> უნდა, უკუეთუ შემდგომად მისსა მიემთხვოს ცხობებასა. და ესე აჩუენა უკუანასკნელ, არცა ერთისა მისა მიმართისა ვნებისასა დამფარველმან.

2. რამეთუ იროდი, დიდთა მიმთხუელი გარეგან სასოებისა და სახიდ თვსად აღწიადებული პირველად ვიდრემე, ვითარ ჩერ-იყო, ცოლსა ახარებდა ამათ ძლით და მხოლოასა ყოველთაგან ტრფიალებისა ძლით და სიყუარულისა მისისა პატივისმცემელი შეიტკობდა. ხოლო მარიამის, მიეთხრობოდეს რაჲ კეთილბედობანი, არა მხიარულებაჲ, უფროასლა ვიდრე მწუხარებით

<sup>1</sup> დამტყვებლნი A.Q.D. <sup>2</sup> მიმთხუევასა A. <sup>3</sup> დასარწმუნებლ A.

მოთმენაა შეემთხუეოდა, არცა დაფარვამ ვნებისაა შესაძლებელ იყო, არამედ უდიდებოდ გარდაამატებულისა კეთილნათესავობისათს.

ამბორის-ყოფათა მიმართ ვიდრემე სულთ-ითქუმიდა, ხოლო მოთხრობათა ზედა მწუხარებასა უფროსს, ვიდრე მხიარულებასა აჩუენებდა. ხოლო ვითარ არა საჩემებელ იყვნეს მხოლოდ, არამედ და საინოქმნულნი, ფრიად შეაშფოთებდეს იროდის, რამეთუ მწუხარე იყო, მხედველი უცხოთა სიძულილთა ცოლისასა, არა დაფარულსა მისა მიმართ. შეურევებელ იქმნებოდა საქმესა ზედა და ტრფიალებისა მოთმენასა ვერ შემძლებელ იყო, თანად რისხვათა და დაგებათა ზედა არა დაადგარებოდა, არამედ სხვსაგან სხუად გარდასრულსა მრჩობლთავე ზედა ფრიადი აქუნდა ულონოება. ესრეთ უკუე, საშუაელ სიძულილისა და სიყვარულისა პყრობილი და მრავალგზის მზაქმნული ნაცულისგებად ამპარტავენებისა მისასა, ვინაფთვან წინაწარვე შეპყრობილ იყო სულთა, უძლურ იქმნებოდა / გარდაცვალებად კაცსა\*, ხოლო ყოველითურთ ტკბილ უჩნდა ტანჯვამ მისი, გარნა მოშიშებდა, ნუსადა შესტყეს, უდიდესსა ტანჯვასა მიმთხუელი მის მიერ შემდგომად სიკუდილისა.

3. ხოლო მცნობელნი მისნი ესრეთ მქონებელად მარიაამის მიმართ, თანად და და დედა კეთილისა ჟამისა პონასა მექუელობდეს მისა მიმართისა სიძულილისათს და შეასმენდეს, არა მციარედ აღმზარზუნელნი იროდისნი შესმენათა მიერ, სიძულილსა ერთბამად და შურსა შთაგდებად შემძლებელთა. ხოლო იროდი ესევითართა სიტყუათა არა მხიარულებით ისმენდა, არცა ქმნასა რომლისსავე შეპმართებდა ცოლისა მიმართ, ვითარ მრწმუნებელი და მძვნვარედ მქონებელ იყო მისა მიმართ მარადის და ვნებითა ეტყინებოდა, რამეთუ მარიაამი ვიდრემე არა დაჰფარვიდა ვითარებასა ვნებისასა, ხოლო იროდი ტრფიალებასა რისხვისა მიმართ გარდასცვალებდა მარადის. და მეყუსეულად ქმნულ იყვნესცა რამე უკურნებელთაგანნი, ხოლო აწლა მიეთხრა რამ ბრძოლასა შინა ძლევა კესარისა და სიკუდილი ანტონიოს და კლეოპატრასი ეგვიპტეს შინა, მოსწარაფემან მიგებებად კესარისა ესრეთ დაუტყენა სახლისა შინანი, ვითარ მქონებელ იყვნეს. ხოლო განვიდოდა რამ იგი, მარიაამი, წარმომადგინებელმან სოემოასმან, მრავალი მადლი ზედმოურნეობისა მისისა აღუვარა და აღმწერებოდა! გამოუთხოვა მეფისაგან და ესე ვიდრემე მიემთხვა პატივსა. ხოლო იროდი, ეგვიპტეს მიწვეული, სიტყუათა მიერ უზრახა კესარსა მრავლითა კადნიერებითა, ვითარ აწვე მოყუარე და დიდთა პატივთა ღირს-იქმნა, რამეთუ კლეოპატრას მცველთა მკვდართაგანნი ღალატელნი ოთხასნი მას მიანიჭნა და ქუეყანა კუალად უკუნ-სცა მას, რომელი კლეოპატრას ძლით მიღებულ იყო მისგან. ხოლო შესძინა სამეფოსა ღადრადცა და იპპო და სამარა და ამათ თანა ზღვსპირისაგან ღაზად და ანთიდონად და იოპი და სტრატონის გოლოლი.

4. და მიმთხუელი<sup>1</sup> ამათი, უბრწყინვალეს იყო და კესარი ვიდრემე წარავლინა ანტიოქიად. ხოლო თვთ აღმოსრული რაოდენ ჰგონებდა წარამართებასა საქმეთა მისთასა გარეგანთა მიერ კეთილზედნიერობისა მიმართ,

<sup>1</sup> მიმთხუელი A.

\* აქ, მიწვეული 15<sub>211</sub>. (მწვეული აქ მდებარეობით სქესისა და უნდა თარგმნილიყო როგორც „ქალი“). \* კარსაგან 15<sub>212</sub> (=სამთავროს მთავრობა).

ესოდენ სნეულებად შინათა თვსთა მიერ და უფროსდა ქორწილისაგან, რომელი უწინარეს უფროსდა ბედნიერობად შეერაცხა, რამეთუ ტრფიალებად არა რომლისა მოთხრობილთაგანისა უმცირესი შეგმობთუეოდა მარიამის მიმართ ჯეროვნად. ხოლო ესე სხუებრ ვიდრემე განკრძალულ იყო და სარწმუნოხ მისა მიმართ, გარნა აქუნდა დედაკაცობრივი რაჲმე ერთბამად და ბოროტი, ბუნებით კმასაყოფელად მარადის შუებული და დამონებელი იროდისი გულისთქუმითა და მეფობასა მას ზედა და სხვასა მიერ უფლებასა არა გულისმსიტყუველი ეამისაებრ, მრავალგზის ვიდრემე გინებით დადებულ იქმნა მისა მიმართ. და იგი ვიდრემე მოითმენდა ამას, მოლიწული მტკიცედ და სიმარჯვთ. და ცხადად დედასა და დასა ჰვენათესავობისათუს / აყუედრებდა და ბოროტად იტყადა, ვიდრედა უფოთი იყო დედაკაცთა შორის და სიძულითი დაუგებელი მას ეამსა შინა და შესმენანი ფრიადნი. და იქუნულობითი სიძულითი აღზრდილი განემარტებოდა სიერცესა შინა წელიწდისასა, რომელსა შინა კესარისა თანა იქცეოდა იროდი. და დასასრულად, წინაწარვე განგებული უდიდესად, განხეთქილ იქმნა ესევეითარისა მიზეზის ქმნულობითა: მიწოლილი იქმნა მეფე, ვითარ განსუენებად დღე შუვა და მიუწოდდა მარიამის სიყუარულისა ძლით, რომელი აქუნდა მარადის მისა მიმართ. ხოლო იგი შევიდა ვიდრემე, გარნა არა დაჲდა მოსწრაფეობასა მეფისასა, მაყუედრებელი მისი და მაგინებელი, რამეთუ პაპი მისი და ძმა მოაკუდინა. ხოლო მან მძუნგარედ მოითმინა გინებაჲ და რისხვისა მიმართ მზა-იქმნებოდა. ამას შინა უფოთსა დიდსა მბრძნობელმან დამან მეფისაჲან, სალომა, მრავლად შემზადებული პირისმწდე შეავლინა, მბრძანებელმან სიტყუად, ვითარმედ არწმუნებს მარიამმი სიყუარულსა შემზადებად მისა მეფისა მიმართ. და უკუეთუ აღუფოთნეს და იკითხვიდეს, რაჲ სადმე არს ესე, რაჲთა თქუას, ვითარმედ წამალსა ვიდრემე იგი მქონებელ არს, ხოლო მას შემზადებად ევედრების და მსახურებისა ქმნად. და უკუეთუ არა აღიძრას მეფე საყუარლობასა ზედა, რაჲთა უტევოს სიტყუად უქმად, რამეთუ არა რომელი ძვირ ეყოს მას. ესევეითართა წინაწარვე მასწავლელმან მას ეამსა შინა წარავლინა მეტყუელებად. ხოლო პირისმწდე დარწმუნებით ერთბამად და მოსწრაფებით შევიდა მეფისა მიმართ, ძლუნად მიმნიჭებელი მისა მარიამმისი მეტყუელი, ვითარმედ არწმუნებულ არს საყუარობელსა მიცემად მისდა. ამისა მიმართ აღიძრა და რაჲ არს საყუარობელი, იკითხვიდა. ხოლო მან წამალი თქუა მის მიერ მოცემული, რომლისა ძალსა უმეცარ არს იგი, ვინაჲთგან წინაწარვე სწავლულ იყო მოთხრობად უმჯობესსა მისთუს და მეფისათუსცა. ესევეითართა სიტყუათა მსმენელი იროდი და უწინარესცა ბოროტად დადებული, მერმეცა უმეტეს აღძრულ იქმნა, თანად ყუერულსა, რომელი იყო სარწმუნო მარიამმისი, სტანჯვიდა წამლისათუს, მეცნიერი, ვითარმედ არა რომელი შესაძლებელ იყო ქმნად გარეშე მისსა, არცა დიდი, არცა მცირეჲ. ხოლო კაცი, ძვრისხილვათა შინა ქმნული, არა რომელსა მქონებელ იყო თქუემად, რომელთა ძლით იტანჯებოდა, სიძულილსა ვიდრემე დედაკაცისსა მისა მიმართ ქმნაჲ თქუა სიტყუათათუს, რომელნი სომეოს აუწუნა მას. ამათ რაჲ მეტყუელებდა საკურისი, მერმეცა დიდად კმამყოფელმან მეფემან, არასადა, თქუა, სოი მოს, სარწმუნოდმყოფი სხუასა ეამსა შინა მისთუს და სამეფომასა მისისათუს, განმცემელცა იქმნა ნამცნებთა, უკუეთუმცა არა ზესთადწეენულ იყო მარიამმის ზიარებისა მიმართ. და სოემოასი ვიდრემე მეყუსეულად მოკუდინებაჲ უბრძანა შემპყრობელთა, ხოლო ცოლსა მიჰკდიდა მსჯავრს, შემ-

კრებელი უსაკუთრესთა მისთაჲ და შესმენასა მისწრაფებით მოკმედ იყო საყუარობელთა და წამალთათჳს შესმენათაებრ. ხოლო დაუპყრობელ იყო სიტყუასა შინა და ბჭობისასა უმრისხანე და დასასრულად ესრეთ მქონებელად / მეცნიერთა მისთა, მუნ დამთხუეულთა<sup>1</sup> სიკუდილი განბჭეს მისი. განჩინებულ იქმნა რაჲ უკუე ესევითარი ბჭობაჲ, სთნდა რაჲმე ესევითარი მასცა და მუნ დამთხუეულთაცა, რაჲთა არა ესრეთ მოსწრაფებით მოაკუდიონონ იგი, არამედ რაჲთა ერთსა რომელსამე სამეფოთა სამცველოსა საყუადლსა შინა შეიცვან იგი. გარნა სასწრაფო იქმნა სალომის თანათა შორსქმნა კაცისა<sup>2</sup>. და უფროასლა<sup>3</sup> არწმუნეს მეფესა, განმზარახებელთა ერისა მის შფოთთა ქმნა, უკუეთუ ცოცხალი დაცვულ იქმნეს<sup>3</sup>. მარიამში ვიდრემე უკუე ესრეთ მიიყვანებოდა სიკუდილად.

5. ხოლო განმხილველი ჟამისა აღექსანდრა და რამეთუ<sup>4</sup> მცირეთაცა სასობათა მქონებელ იყო, ნუსადა იგიცა მსგავსთავე მიემთხვოს იროდისაგან, წინააღმდეგომად პირველისა კადნიერებისაგან ფრიად უშუერად გარდაიცვალებოდა<sup>5</sup>. რამეთუ მნებებელი ჩუენებად უმეცრებასა მათსა, რომელსა<sup>6</sup> მიზნესა მქონებელ იყო მარიამში, გამოვლდომილი და მაგინებელი ასულისა სასმენელად ყოველთა კმობდა, ბოროტად მწოდებელი მისი ქმრისა<sup>7</sup> მიმართ და უმადლოდ და ვითარმედ მართლიად ევენებიან მას ბოროტნი ესევითართა ნაკადრებთათჳს, რამეთუ არა კეთილად ნაცვალა-აგო<sup>8</sup> კეთილისყოფელსა მათ ყოველთათჳს. ესევითართა რაჲ იჩემება საშუელ<sup>9</sup> უშუერებით და ნკადრებოდა თმათაცა<sup>10</sup> შეხებად, მრავალი ვიდრემე, ვითარ ჭერ-იყო, ბრალობაჲ<sup>11</sup>. იყო მისსა სხუათა მიერცა უშუერისა<sup>12</sup> მისისა<sup>13</sup> ჩემებისათჳს. ხოლო უფროასლა ცხად იქმნა თვთ მის, წარწყმედად გულეებადისაგან, რამეთუ არცა სიტყუასა<sup>14</sup> მიმცემელ იქმნა<sup>15</sup> დასაწყისსავე თანა, არცა აღშფოთებული მხედრითა მძევარებისა მისისა მიმართ; არამედ გონიერებით გამოაჩინებდა ცხადად ცოდვასა<sup>16</sup> მისა<sup>17</sup> მიმართ, და უფროასლა სიძულელსა აღექსანდრასა<sup>18</sup> იროდის მიმართ<sup>19</sup>. ესე ვიდრემე უშიშითა გონებითა და ფერითა სახისათა შეუცვალბებელითა<sup>19</sup> სიკუდილისა მიმართ მივიდოდა, კეთილგუარიანობასა<sup>20</sup> არცა უნაკლულოთა შინა უცხადესქმნელი მხედველთა მიმართ. და იგი ვიდრემე ესრეთ მოკუდა, დედაკაცი სიწმიდისა მიმართ<sup>21</sup>, დიდსულობისა დიდად ჩუეულქნელი.

6. ხოლო სიმშვედ აკლდა მას და უფროასლა იყო ბუნებით ძლევისმოყუარე. ხოლო შეუენიერებითა სხეულისათა და დამთხუევითა ღირსებისათა

<sup>1</sup> უე კომპლექსი ამ ადგილიდან ბოლომდე A-ში უმ სახით არის წარმოდგენილი. ვასწორებთ სქოლორში ჩამოტანის გარეშე. <sup>2</sup> ამ ადგილიდან ტექსტის ბოლომდე სპივე ხელნაწერში (AQS) იხმარება „უდროსლა“ ფორმა. ვასწორებთ სქოლორში ჩამოტანის გარეშე. <sup>3</sup> დააცულად-უქმნეს A. <sup>4</sup> არ A. <sup>5</sup> გარდაცვალებოდა S. <sup>6</sup> რომელთა Q. <sup>7</sup> ქმრისა AQ. <sup>8</sup> ნაკუდა-აგო S. <sup>9</sup> საშუელ S. <sup>10</sup> თმათაცა S. <sup>11</sup> ბრალობა S. <sup>12</sup> უშუერისა AQ. <sup>13</sup> მისისა|+მისისა AQ. <sup>14</sup> სიტყუასა A. <sup>15</sup> მქონებელ-იქმნა S. <sup>16</sup> ცოდვასა A. <sup>17</sup> მისისა AQ. <sup>18</sup> აღექსანდრასა A. <sup>19</sup> შეუცვალბებულთა S. <sup>20</sup> კეთილგუარიანობასა A. <sup>21</sup> მიმართ|+და Q.

<sup>22</sup> ვეგრძლიდან ბოლომდე A-ში ტექსტი XIX ს.-ში არის აღდგენილი. დაწვებული ამ ადგილიდან მოკუდავს Q და S ნუსხების ყველა ფონეტიკური და ორთოგრაფიული ჩუენება. <sup>23</sup> იხილეთ მწიგნობი 15231 (=ქალის). <sup>24</sup> უფროასლა... მიმართ|—ბერძნულ დედანში.

სა ცხორებისას<sup>2</sup> კელმწიფებდასა შინა ქცევისას<sup>3</sup> მარწმუნებელნი ბედო-  
სანი<sup>4</sup>. და იგი<sup>5</sup> ვიდრემე სამარიას შინა, სევასტედ წოდებულსა, ესრეთ სა-  
ხედ სენოვან იყო<sup>6</sup>.

8. ხოლო იქცეოდა რამ იეროსოლჰმათა შინა ალექსანდრა<sup>7</sup> და ისწავ-  
ნა<sup>8</sup> იროდის ძლითნი, მოსწრაფე იყო ქალაქისა სამცველოთა<sup>9</sup> დაპყრობად.  
ორნი უკუე იყვნეს<sup>10</sup> ესე: ერთი ვიდრემე თვთ ქალაქისა, ხოლო სხუაჲ --  
ტაძრისა და მათნი<sup>11</sup> მპყრობელნი კელისქუეშედ მქონებელ იყვნეს<sup>12</sup> ყო-  
ველსა ნათესავსა, რამეთუ მსხუერბლთა ქმნა<sup>13</sup> გარეშე ამათსა არა შესაძლე-  
ბელ იყო, ხოლო გარე ამათსა შეწირვისა<sup>14</sup> არა შესაძლებელ იყო ცხორებამ  
იუდელთა. თნგიერ მსხუერბლვაჲ<sup>14</sup>, რომელთა შეწირვად<sup>15</sup> ჩუეულ იყვნეს<sup>10</sup>  
ღმრთისა<sup>16</sup> მიმართ. ამის უკუე სამცველოსა<sup>17</sup> ზედა მყოფთა ესევეითართა სი-  
ტყუათა<sup>18</sup> ეტყოდა ალექსანდრა<sup>19</sup>, ვითარმედ ჟერ-არს მისა და იროდის  
ყრმათავს მიცემა სამცველოსა<sup>20</sup>, ნუსადა წინამსრბოლმან<sup>21</sup> ვინმე სხუამან<sup>22</sup>  
ნაცვლად<sup>23</sup> იროდისსა<sup>24</sup> მიიხუნეს<sup>25</sup> განსაგებელნი, რამეთუ უკუეთუ<sup>26</sup>  
მრთელ იქმნეს<sup>27</sup>, არავინ უსაკუთრესთა მისთავანმან ესრეთ დაუმარხოს მას  
ძთავრობად. ესე სიტყუანი მისნი არა სიმშვდით მოითმინნეს, არამედ ურწ-  
მუნოდ მყოფნი უწინარესცა<sup>28</sup> ჟამსა შინა<sup>29</sup>, უფრომსლა მამინ ურწმუნოდ  
დაადგერს. თანად<sup>30</sup> სიძულილთა ალექსანდრასთა<sup>31</sup> და ვითარმედ<sup>32</sup> არა ჟერ-  
არს სიცოცხლესა შინა იროდისსა<sup>33</sup> სასოწარკვეთილებამ<sup>34</sup>, რამეთუ პირველ-  
თავანგეჲ<sup>35</sup> მოუყარენი იყვნეს, ხოლო ერთი მათგანი იყო ძმისწული მეფისა,  
აქიას<sup>36</sup>. და მეუყუსეულად წარმავლინებელმან აუწყა მას განზრახვა<sup>37</sup> ალექ-  
სანდრასისა<sup>38</sup>. ხოლო მეფემან, შემდგომად არა მიმამყოფებელმან<sup>39</sup>, მოკუ-  
ლინებამ ბრძანა მისი, ხოლო თვთ ძნიად და ბოროტეებითა განტოლოერ-  
ღი სენისაგან ბოროტ იყო, სულითა და სხეულითა განბოროტებული ერთ-  
ბამად რისხვსა მიერ და ყოველთა მიზეზთა კუმეველ მზა იყო მტანჯველ  
დამთხუეულთა. მოაკუდინნა<sup>40</sup> უკუე უსაკუთრესნიცა<sup>41</sup> მოუყარენი მისნი:  
კოსტოვაროს და ლუსიმახოს<sup>42</sup> და ლადად<sup>43</sup> წოდებული ანტიპატროს და მათ  
თანა დოსითეოს ესევეითართა მიზეზითა<sup>44</sup>.

296 9. კოსტოვაროს ვიდრემე იყო ნათესავით იღუმელი, ღირსებითა უპირ-  
ველესთავანი იღუმელთა და ნაშობი/მემსხუერბლეთა. კოზეს ღმრთად შე-  
რაცენ<sup>45</sup> იღუმელნი. ხოლო ვრკანოს ვინაჲთავან<sup>46</sup> მოქალაქობამ მათი იუ-  
დელთა წესისა და სჯულისა მიმართ გარდაცვალნა<sup>47</sup>, იროდი, მიმღებელმან  
მეფობისამან, მთავრად იღუმესა<sup>48</sup> და ღაზასა<sup>49</sup> განაჩინა კოსტოვაროს და  
მისცა მას<sup>50</sup> დაჲ<sup>51</sup> თვისი, სალომი, იოსიპოს<sup>52</sup> მომაკუდინებელმან, რომელ-

<sup>1</sup> უსასოვბასა A. <sup>2</sup> ცხორებისა A. <sup>3</sup> ქცევისა A. <sup>4</sup> ბედესნი AQ. <sup>5</sup> ათი A. <sup>6</sup> იყო—AQ.  
<sup>7</sup> ალექსანდრა A. <sup>8</sup> ისწავნა A. <sup>9</sup> სამცველოთა S. <sup>10</sup> იყვნეს S. <sup>11</sup> მათნი Q. <sup>12</sup> ქმნა A.  
<sup>13</sup> შეწირვის S. <sup>14</sup> მსხუერბლვა A, მსხუერბლვა Q. <sup>15</sup> შეწირვა A. <sup>16</sup> ღმრთისა A. <sup>17</sup> სამცვე-  
ლოსა S. <sup>18</sup> სიტყუათა A. <sup>19</sup> ალექსანდრა A. <sup>20</sup> სამცველოსა S. <sup>21</sup> წინამსწრობელმან Q. <sup>22</sup> სხამან  
AQ. <sup>23</sup> ნაცვლად S. <sup>24</sup> იროდისსა S. <sup>25</sup> მიიხუნეს A. <sup>26</sup> უკუეთუ S. <sup>27</sup> მრთელ იქმნეს A. <sup>28</sup> ურ-  
წმუნარესცა Q. <sup>29</sup> თვისა A. <sup>30</sup> თანა A. <sup>31</sup> ალექსანდრასთა A, ალექსანდრასთა Q. <sup>32</sup> ავითარმედ  
<sup>33</sup> იროდისსა A. <sup>34</sup> სასოწარკვეთილებამ A. <sup>35</sup> პირველითგან A. <sup>36</sup> აქიასის A, აქიასის Q,  
აქიასის S. <sup>37</sup> განზრახვა A, განზრახვა S. <sup>38</sup> ალექსანდრასი AQ. <sup>39</sup> მიმამყოფებელმან S. <sup>40</sup> მო-  
აკუდინა AS. <sup>41</sup> უსაკუთრესნიცა AQ. <sup>42</sup> ლუსიმახოს A. <sup>43</sup> ლადად A, ლადად Q. <sup>44</sup> მიზეზითა A.  
<sup>45</sup> შერაცენ Q. <sup>46</sup> ვინაჲთავან AQ. <sup>47</sup> გარდასცვალნა S. <sup>48</sup> იღუმისა AS. <sup>49</sup> ღაზასა A.  
<sup>50</sup> მათ AQ. <sup>51</sup> და A. <sup>52</sup> იოსიპოს QS.



